ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

9-10

2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 78-Ე № 9-10 2002 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ
ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐ

ᲛᲐᲠᲘ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 3
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ – **ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ.** ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ 6
ᲝᲛᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 10
ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ „ᲐᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ“ 14
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 16
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲮᲐᲑᲐᲖᲘ – ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ 18
ᲛᲐᲜᲝᲜ ᲑᲣᲚᲘᲡᲙᲔᲠᲘᲐ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 33
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ – ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 35
XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ – �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲖᲐᲘᲠᲐ ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ 37
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲕᲐᲡᲘᲙᲝ ᲐᲜᲣ ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲡᲘ.ᲞᲘᲔᲡᲐ 39
ᲓᲘᲜᲝ ᲑᲣᲪᲐᲢᲘ – ᲨᲘᲨᲘ ᲚᲐ ᲡᲙᲐᲚᲐᲨᲘ.ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ. ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲠᲗᲝ **�გᲐᲒᲐ ᲨᲣᲠᲚᲐᲘᲐᲛ** 69

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ – „ᲠᲐᲢᲛᲝ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲔᲚ ᲬᲕᲘᲛᲐᲓᲐ“ 94
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲔᲠᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ 111
ᲜᲝᲜᲐ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ – ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲝᲩᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 114
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ – „ᲧᲝᲠᲐᲜᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲓᲒᲐᲠ ᲞᲝᲡ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ 118
ᲡᲝᲤᲘᲝ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ – ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲡᲝᲤᲠᲐᲒ ᲡᲔᲤᲔᲕᲠᲘ 121
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ – ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲕᲘ ᲡᲣᲚᲘ 124
ᲡᲘᲝᲠᲔᲜ ᲙᲘᲠᲙᲔᲒᲝᲠᲘ – ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲗᲘᲙᲣᲠᲘᲡ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ.ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ** 127

იხ. მე-2 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი
(გაგრძელება)

მეცნიერება

შოთა თეთვაძე – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკატორები 130
მარინა ნახუცრიშვილი – ილია ჭავჭავაძის „სარჩოგელაზედ" 138

ხელოვნება

ნათელა ურუშაძე – სცენური სახის მხატვრული ფორმა 144

გამოსათხოვარი

მურმან ლეგანიძე 151
გივი ძნელაძე 151

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტ მარი აბრამიშვილს. მისი ლექსები პირველად „მნათობში" გამოქვეყნდა. უაღრესად ფაქიზი ლირიკული ლექსების ავტორი ამავე დროს უკომპრომისო და ზნეობრივად სპეტაკი პიროვნებაა, რასაც მკაფიოდ წარმოაჩენს „მნათობშივე" გამოქვეყნებული მისი მოგონებების ფურცლები. ვულოცავთ პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ კვლავაც იმ სულიერ მხნეობას, რომელმაც ცხოვრების მძაფრი ქარტეხილები გამოატარა.

●

ხომ ხარ ყელამდე?!
ხომ ტანჯვაში შემოგეჭამა,
აღარ მინდაო, სიცოცხლეზე
მაინც ვერ იტყვი,
რადგან ეს ტანჯვა სიყვარულის
ღირდა ერთ წამად,
დასაწყისად და დასასრულად
შენი გრძელი დღის.

ჩემი ყაყაჩო

ამ ყვავილებში ქარი რომ ცხოვრობს,
ქარი კი არა, ლექსის ღმერთია!
ყველა ყვავილი წაგეღო, ქარო,
ოღონდ ყაყაჩო არ წაგერთმია.

ყაყაჩოსავით ვარ დაღდასმული,
ცეცხლიც, ნახშირიც ჩემი ხვედრია,
ყაყაჩოსავით დამიწვავს სული
და სანთელივით დამიღვენთია.

მის უსათუთეს ფოთლებს რომ ნამავს,
ჩემი ობოლი ცრემლის წვეთია, —
როგორ გახშირდა სახელი — ანა
და ყველამ იცის, ანა ერთია.

ყველა ყვავილი წაგეღო, ქარო,
ოღონდ ყაყაჩო არ წაგერთმია.

არ შეიძლება

ავადმყოფური იმ სიყვარულით
რა ცუდად კვდება!
რა ცოტას ითხოვს!
მთლად ჭკვიანი და მთლად ნორმალური
არ შეიძლება, პოეტი იყოს!

დაფნის გვირგვინის ის რა ღირსია,
ეკლის გვირგვინით თავს თუ არ იმკობს, —
წამების, ჯვარცმის ვისაც შიში აქვს,
არ შეიძლება, პოეტი იყოს!

ღმერთო, დაგვიფარავდე!

როდის იყო, რომელ დროში
რომ არ ღირდა ერთი გროშიც
კაცის პატიოსნება?
შეკვეცია როდის ფრთები,
წართმევია ნიჭი ფრენის
სიყვარულზე ოცნებას?

დასცინოდნენ როდის ნეტავ,
სათნოებას და სულს ნეტარს,
ბავშვურ გულუბრყვილობას,

როდის იყო, თუნდაც ფიცხი,
რომ ჰკარგავდა კაცი სინდისს
და სიცრუე ყვიროდა?

როდის, როდის იყო ჩვენში,
სიამაყით განთქმულ ერში,
მათხოვრების მრავლობა?
თავს ირჩენდნენ ძარცვით, პარვით,
არ ახსოვდათ წინაპარი
და არც შთამომავლობა?

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის იყო, ქართველები,
უპატრონო, როგორც ცხვრები,
მთელ მსოფლიოს მოედვნენ,
დაუყრუვდნენ ზარის რეკვას
და თუ მტერს არ გაურეკავს,
მამულს ნებით ტოვებდნენ?

მტერ-მოყვარეს ველარ სცნობდნენ,
არ ახსოვდათ აღარც ცოტნე,
აღარც არაგველები,
ვერ ხედავდნენ იმ ქედუბრალ
და უსუსურ ახალ-უხლებს
არად უჩნდათ ძველები?

სამწუხაროდ, დიახ, დიახ,
თუ კი ვიტყვით გულახდილად,
მუდამ გვჭირდა ღალატი,
მაგრამ დღეს რომ მახეს ვუგებთ?
ლამის სახლი გადავბუგოთ, —
ღმერთო, დაგვიფარავდე!

ახალი დროის გმირები

გავყურებ ეჭვით და ალმაცერად
ამ დროის გმირებს და პატრიოტებს, —
ნეტავი ერთი კაცი მაჩვენა,
ნამდვილ გმირობას რომ სჩადიოდეს.

მიტოვებული აკვანი

— გერმანიაში წასულა!
— ამერიკაში წასულა!
— ჰოლანდიაში წასულა!
— აქვე, თურქეთშიც გასულა,
გადაულახავს მთა-პარი, —
ჰე, ჰე, ჰე, რა დაქსაქსულა
ქართველი კაცის გზა-კვალი?!
ლოდინის ზღვაში დაცურავს
ბაზალეთის ტბის აკვანი.

თავისუფლება

მოდი, ამ ერთხელ მეც ასე ვიზამ:
ლექსიდან რითმებს გამოვაძევებ,
სტრიქონთა ბოლოს ჩაკიდებულთ ვით ხმატკბილ ზარებს,
ვით სამკაულებს, ამოღებულთ სიტყვის მადნიდან
და ვნახავ ერთი,
რა შეუძლია უთხრას ლექსმა ჩემს საქართველოს,
მოულოდნელად მოვარდნილი თავისუფლებით
დაბნეულს, საწყალს და გაოცებულს.

დავიწყებ ასე: ჩემო სამშობლოვ
(მაშ რით დავიწყო? სხვა არ მყავს სატრფო!),
მომილოცნია უბორკილობა!
თავისუფლება გიხდება ისე,
შვენის დედოფალს სამოსელი ვით საქორწილო.
ო, რა კარგი ხარ! ვშიშობ კიდევაც,
ასე ლამაზი, გულუბრყვილო და ჯერაც სუსტი,
არ მოგიტაცოს ნაცნობმა ძველმა,
ან არ მოგხიბლოს ალერსმა ახლის.
მობინადრენი, ვისიც ხარ სახლი (აქ თვითნებურად გამოტყვრა რითმა!)
განუკითხავად ულებენ კარებს ყველას, ვისაც სურს
წაგგლიჯოს რაღაც მაგ შენ ბუნებრივ სამკაულთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მითხარით, რა გამოვიდა? ლექსი ლექსსა ჰგავს ამ ქაოსშიაც.
თუ ღვთის წყრომაა ეს ურითმობა,
მე მაინც ვფიქრობ, ისა სჯობია, თეთრი ბლის ბროლის კუნწულასავით
რომ დაუწყვილდნენ სიტყვები ერთურთს
და ეს ლიანგი განტოტებული, ერთ კალაპოტში ჩადგეს და დინდეს.
გიჟურ ვნებათა ცოფიან ტალღებს
არ წაულეკავს საზღვარი ვიდრე.

●

ფიქრი, ლოდინი მარადი,
წარსულის განმეორება,
სიყვარული და ღალატი —
მეტი რა არის ცხოვრება?

თვალები

ან სიყვარულს, ან სიძულვილს
თქმა რად უნდა სიტყვებით,
მუნჯიც იყოს, კაცს თვალებში
შეხედავ და მიხვდები.

ნაკვერჩხლებად ფანტავს მზერას
სიყვარულით დამწვარი,
თვალებში ძევს მძულვარებაც,
თვალებია, რაც არი!

რასაც იტყვი, შეიძლება,
ის არც იყოს მართალი,
სად თვალებით საუბარი,
სად ჰაერში ნათქვამი.

ზოგს ისეთი თვალები აქვს,
გეგონება ღვთისანი,
იმ თვალების პატრონი კი
შენ რომ სძულხარ, ის არი.

დაბრუნება

წვიმს ისე გულის გამაწვრილებლად,
წვიმს და ეს წვიმა სულში გუბდება, —
აუცილებლად, აუცილებლად
ახლა ვიღაცა სახლში ბრუნდება.

წვიმს ისე წვრილად, ისე საშინლად,
წვიმის წივილი ისმის გარედან, —
ასეთი წვიმა იყო მაშინაც,
კაცი სახლიდან როცა გავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

ბავშვები

მოთხრობა

ქალბატონი თინათინი მარჯანიშვილზე შემხვდა.

ბოლო ოთხი წელიწადი, რაც აფხაზეთიდან გამოგვდევნეს, არ მენახა.

ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა – მომეხვია, გულთბილად მომიკითხა, ისე, როგორც მხოლოდ მას სჩვეოდა და სხვას არავის. რაღაცნაირად განსხვავებული შეხვედრა იცოდა მუდამ, სახეს დედობრივი მზრუნველობით გაჯერებული ღიმილი უმშვენებდა. ჭეშმარიტად გულითადი ადამიანი იყო.

გამოცვლილი ჩანდა. დროს თავისი დაღი დაემჩნია მისთვის.

ჩვეულებრივზე უფრო შავგვრემანი მეჩვენა. ერთ დროს უნაოჭო, ნათელი შუბლი საკმაოდ შესამჩნევ ხაზებს დაეღარათ. თვალებშიც სევდა ჩასდგომოდა და სახესაც აღარ უნათებდა გულის სიღრმიდან წამოსული ის ღიმილი, ასე რომ განასხვავებდა სხვებისგან.

მართალია, ეს ოთხი წელიწადი ყველა დევნილისათვის ჯოჯოხეთური სიმძიმის წლებია, წელში გამართვის საშუალებას რომ არ იძლევა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ქალბატონი თინათინი თითქმის გაენადგურებინა, მიწასთან გაესწორებინა.

შემატყო, მისმა გამომეტყველებამ ისე დამაბნია, ენა ვერ დავაპარი, მოკითხვაც კი ვერ მოვახერხე.

– სანდრო მომიკვდა. ექვსი თვის წინ დავასაფლავე აქ, თბილისში... – თავი დაღუნა, თვალები ცრემლებით აევსო. – ახლა შვილთან ვცხოვრობ. – სიმწრით გაღიმებულმა ისევ ამომხედა. – ძალიან მეჩქარება, შვილიშვილს რძე უნდა მივუტანო... დარდმა იმსხვერპლა ჩემი სანდრო... ნოსტალგიამ მოუთავა ხელი...

გატრიალდა და წავიდა.

თვალი გავადევნე. ხელში სარძევე ეჭირა და მხრებჩამოყრილი მიაბიჯებდა.

საოცარი გულისტკივილი ვიგრძენი – როგორ შეეცვალა ამ შედარებით მცირე დროს ეს დიდებული, საკუთარი ღირსების შეგრძნებით გაამაყებული, თუმცა არა პატივმოყვარე, მაგრამ უსაზღვროდ თავმოყვარე ქალი!

მანამ ვიდექი და მივაცილებდი თვალით, სანამ ხალხის ტალღამ არ შთანთქა.

გამოვბრუნდი და ჩემი გზა განვაგრძე.

თავისთავად, გაუცნობიერებლად ამედევნა ფიქრი წარსულ დღეებზე. იმ დღეებზე, მაშინ თითქმის უკვალოდ რომ ჩაიარეს, მაგრამ ახლა რომ მივუტრიალდი, ამ გადასახედიდან ძალზე შთამბეჭდავი მოვლენებით აღსავსე დღეებად მეჩვენა.

აი, როგორი იყო ერთ-ერთი იმ დღეთაგანი.

●

გვიანი შემოდგომა იდგა. ჟინჟღლავდა. ზღვა ღრიალებდა. კავკასიონის ქედს ღრუბლის შავი ქულები მარბიელი ჯარის რაზმებივით შესეოდა, ცას თითქოს დაბლა დაეწია და გარშემო წკვარამი დაესადგურებინა.

ერთი სიტყვით, მოჟამული ამინდი იყო.

სადარბაზოში რომ შევედი, სითბო ვიგრძენი. პალტოს ღილები შევიხსენი, საყელო გავისწორე და წვიმის წვეთები ჩამოვიფერთხე.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

– შემოდი! – ლომივით დაიბუხუნა მასპინძელმა.

კარი შევაღე და სალამი ვთქვი:

– გამარჯობათ!

არ მიპასუხა.

ფანჯარასთან იჯდა, ამოჩემებულ ადგილზე მიდგმულ სავარძელში. ამოჩემებულ ადგილზე-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ სხვაგან, სხვა სკამზე ან სხვა ადგილას არასოდეს ჯდებოდა. კითხულობდა? – აქ იჯდა. ჩაის სვამდა თუ უბრალოდ ისვენებდა? – აქ ეძლეოდა ნეტარებას.

– დარწმუნებული ვარ, თინიკომ გთხოვა, მოსულიყავი, – უკმაყოფილების დაუფარავად მომახალა და ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა. – აბა, ისე რას მოხვიდოდი. თითქმის სამ თვეზე მეტია, არ გამოჩენილხარ.

გავულიმე და ხელების სავსავით ვანიშნე – არა, ამდენი ხანი არ იქნება-მეთქი.

– ჩაწერილი მაქვს, როდის იყავი უკანასკნელად. თუ გინდა, ახლავე გეტყვი... – წამოდგომა დააპირა, მაგრამ არ დავანებე.

– იჯექი, იჯექი. ხომ იცი, რა ჯოჯოხეთური სამუშაო მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, — უცებ დამიკრა კვერი და თითქოს ერთბაშად გამოიცვალა — ჩამოიშორა ის ყასიდი გაბრაზება და თვალებში ჩვეულებრივი სითბო ჩაუდგა. — არ გეწყინოს, ჩემო კარგო. რაც ეს საზიზღარი ამინდები დაიჭირა, გარეთ ველარ გამოვდივარ, ვზივარ ამ ოთხკედელში გამოკეტილი და ვკითხულობ. ვკითხულობ და ვფიქრობ. ხმის გამცემი მენატრება. სანამ თინიკო მოვიდოდეს, სული კბილით მიჭირავს. მითხარი, ხომ იმ კუდიანმა დედაკაცმა დაგირეკა, სანდროს მიაკითხე, შეუძლოდ არისო?

გამეღიმა.

მართალს ამბობდა. ის-ის იყო სამსახურში მივედი და ტელეფონის ზარი გაისმა.

— წუხელ ცუდად ეძინა. ამ დილითაც შეუძლოდ იყო. შენი ჭირიმე, თუ შეგიძლია, მიაკითხე სანდროს! — მთხოვა ქალმა.

თინათინი სანატორიუმში მუშაობდა ექიმად და დღის პირველ ნახევარში მუდამ დაკავებული იყო. ამიტომ, როცა სანდროს მარტო დატოვება ეშინოდა, ქმრის მეგობრებს ურეკავდა რიგრიგობით, ჩემს მოსვლამდე შემოიქციეთო.

ეტყობა, იმ დღეს ჩემი რიგი დამდგარიყო და დამირეკა კიდეც.

— არა, თქვენთან დავრეკე და არავინ მიპასუხა, — ვიცრუე მე.

— ჩვენი ტელეფონი დაზიანებულია.

— ჰოდა, — განვაგრძე იმით გახარებულმა, რომ სიცრუეში ვერ მამხილა, — ქალბატონ თინათინს დავურეკე.

— ესე იგი, შენი აქ მობრძანება მაინც ინსპირირებულია.

— ასე გამოდის! — დავყარე ბოლოს ფარხმალი და მაგიდასთან მიდგმული სკამი ფანჯრისკენ მივაჩოჩე. — მართალი გითხრა, მომენატრა შენთან საუბარი.

არაფერი უთქვამს. მხოლოდ ჩაიცინა, ცალყბად, თუმცა კმაყოფილად. კმაყოფილებას კი იმით გამოხატავდა, რომ თვალებს ოდნავ მილულავდა.

მრავალმხრივი განათლების მქონე კაცი იყო. თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. თუმცა ხმამაღლა არასოდეს უთქვამს, მაგრამ ვატყობდით, რომ თავი მოსწონდა — ჰამლეტი მითამაშიაო. საერთოდ არტისტული ბუნების კაცი იყო. ხან უსაზღვრო ოპტიმისტი და ცხოვრებაზე უზომოდ შეყვარებული, ხანაც გამოუსწორებელი პესიმისტი და მელანქოლიით შეპყრობილი; სამხატვრო აკადემიაშიც უსწავლია. მშვენიერი მხატვარი იყო.

— აკადემიაში სწავლა რატომ მიატოვე? — ვკითხე ერთხელ.

თავი ჩაჰკიდა. ერთხანს საკუთარ ხელებს დასცქეროდა, მერმე ღრმად ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლაო:

— ღერძიდან ჩამოვვარდი და თავიდან ვეცი... სწავლის გაგრძელება ველარ შეძელი... ახლაც...

ჰო, ახლაც უჭირდა ხანგრძლივი ჩაგულისყურება, ერთ პოზაში დიდხანს ყოფნა, თავში სპაზმები მაწუხებსო, ხშირად დაუჩივლია.

თუმცა მაინც ნაყოფიერად მუშაობდა — ხატავდა და წერდა. წერდა ძირითადად ლექსებს, შიგადაშიგ — მოგონებებსა და წერილებს ფერწერაზე. პირადად იცნობდა ქართული ლიტერატურის კორიფეებს, გამოჩენილ ქართველ თუ რუს მხატვრებს. სახელოსნოს ერთი კედელი ქართველი მწერლების პორტრეტებით ჰქონდა მოფენილი და, როცა შინ მარტოკა რჩებოდა და ჯანმრთელობა ამის საშუალებას აძლევდა, მათთან ხმამაღლა საუბრით ერთობოდა. ეს რომ ასე იყო, თვითონ მითხრა ერთხელ: ამათ ხშირად ვესაუბრები, ვეკამათები კიდეც.

— ახალი არაფერი დაგიხატავს? — ვკითხე.

როგორღაც გამოცოცხლდა და თვალები აუჟუჟუნდა.

— დავხატე. წამო, გიჩვენებ! — მსუბუქად წამოდგა და წინ ენერგიული ნაბიჯებით წამიძღვა.

ასე მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როცა დარწმუნებული იყო, ნახატი გამოუვიდა — ესე იგი, ოდნავაც არ ეეჭვებოდა, რომ მორიგ გამარჯვებას მიაღწია.

შენ პირველი ხარ, ვისაც ეს სურათი ვაჩვენე. ჯერ თინიკოსაც არ უნახავს. გამაბრაზა და იმიტომ არ გავაკარე სიახლოვეს.

— ეს როგორ? — გამიკვირდა მე; რადგან ვიცოდი, თინათინი იყო ყველა მისი ნამუშევრის უტყუარი ექსპერტი.

— მუშაობას მიკრძალავდა. ცუდად რომ გახდე, რა მეშველება, ხომ ჩემი სადავიდარაბო იქნებიო. რას იზამ, დედაკაცი დედაკაცია. ყვავივით ნუ დამჩხავი, ენაკვიმატი ხარ-მეთქი, რომ ვუთხარი, გამიბრაზდა.

„ბავშვები" — გამეღიმა უხმოდ.

ჭეშმარიტად ბუტია ბავშვებივით იყვნენ. ხშირად კინკლაობდნენ, მაშინაც კი, საამისო არავითარი საფუძველი რომ არა ჰქონდათ. გაბუტულები ერთხანს თავთავის საქმეს მიაშურებდნენ. ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ შერიგდებოდნენ და ისე აჟღურტულდებოდნენ, თითქოს წლობით უნახავები ყოფილიყვნენ.

— აი, ნახე! — ზეწარი გადასწია და თავისი ახალი ნამუშევარი გამოაჩინა.

საკმაოდ დიდი ტილო იყო, დაახლოებით ნახევარი კედელი ეჭირა. ზედ ვერაფერი გავარჩიე, გარდა ფერებისა. თითქმის ყველა ფერი ერთბაშად მიჭრელებდა თვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებურად უკან დავიხიე. თვითონაც დიახია ჩემთან ერთად.

— სწორია, ფერწერული ნამუშევარი შორიდან უკეთ აღიქმება... — თქვა და ნიკაპზე თითმიჭერილი მიაჩერდა ტილოს. ისე უცქეროდა, თითქოს პირველად ხედავდა. დაუოკებელი ჟინითა თუ დაუმცხრალი ვნებით წამონთებული მისი თვალები დაუფარავ აღტაცებას აფრქვევდა.

მე კი ვიდექი და დაბნეული თუ გაოცებული შევცქეროდი მის ამ ბოლო ნამუშევარს. ხმა ვერ დამეძრა, რადგან არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

რაღაც გამოუცნობი ფიგურები, მახინჯსიფათიანი ადამიანები, კენტავრები, ურჩხულის თავი, ერთმანეთში გადახლართული ასპიტები, შორს, ზედა კუთხეში, წითლად აბრიალებული ხანძრის ენა და... ფერები. თითქოს ფერთა ჭიდილი აესახა მხატვარს. თითქოს ამ ერთმანეთთან შეუთავსებელ არსებათა თუ საგანთა ურთიერთკავშირის მოტივირება ფერებით განეზრახა.

ფერწერის საიდუმლოებათა სიღრმეში ჩაუხედავი კაცი ვარ, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რასაც ვხედავ: სწორედ იმას აღვიქვამ ფერწერულ ნამუშევარში, რაც თვალსაჩინოა, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედაპირზე დევს. აქ კი...

— იცი, რა დავარქვი ამ ნახატს? — მკითხა ოცნებაში ჩაძირულმა. ყურადღება არ მოუქცევია, რას განვიცდიდი, და საერთოდ განვიცდიდი თუ არა რამეს მისი ამ ნახატის მაცქერალი, — ქაოსი.

— ქაოსი? — დაუფიქრებლად წამოვიძახე.

— დიახ, ქაოსი... — უცებ შემომხედა. ვერ გეტყვით, რა ამოიკითხა ჩემს სახეზე, მაშინვე კედელთან გაჩნდა, ნახატს ზეწარი მარდად წააფარა და მკლავში ხელი გამიყარა. — შენ ამას ვერ გაიგებ... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ვერ გაიგებ. — მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო დამაბნია, თუმცა კრინტიც არ დამიძრავს.

კარი გააღო, წინ გამატარა და სკამზე მიმითითა. თვითონ თავის საყვარელ სავარძელში ჩაეშვა.

— გული მიგრძნობს, მალე გაუგონარი არეულობა დაიწყება... — წამით იყუჩა და ფიქრმორეულმა განაგრძო: — დიახ, ნამდვილი ქაოსია მოსალოდნელი. ღმერთმა ქნას, ჩვენი ქვეყანა გადაურჩეს ამ უბედურებას, თუმცა... — თავი ურწმუნოდ გადააქნია და ახლა მობობქრე ზღვას გახედა. ზღვა კი ყალყზე შემდგარი ურჩხულივით უტევდა ნაპირს. კოკისპირულად წვიმდა და წვიმის შიშინი სამგლოვიარო ჰანგივით გაისმოდა.

გული მომეწურა. მიყვარს ბავშვობის ჟუჟუნა წვიმა და ვერ ვიტან შემოდგომის დელგმას. მაისის წვიმა ალერსიანია, ვარდებს ახარებს.

— მეშინია, მოსალოდნელი ქაოსის ნანგრევებში არ მოვყვეთ. თუმცა ასეთი რამ ნამდვილად გვემუქრება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში დღეს იმდენი პარტია ჩემობს პირველობას. კარგად მოგეხსენება, ოჯახს ერთი კაცი უნდა მართავდეს. ასეა ქვეყანაც — მასაც ერთი პარტია უნდა მართავდეს. შეიძლება სხვა პარტიებიც არსებობდეს, მაგრამ, თუ ყველა პირველობას დაიჩემებს, დასასრული კატასტროფული იქნება. ამ ტილოზეც, შენ რომ ახლახან ვერაფერი გაუგე და მგონი დამიწუნე კიდეც, მხოლოდ ქაოსის ჩემეული წარმოდგენის ასახვა ვცადე...

— არა, არა... კარგი ნახატია... — ძლივს გავხსენი კრიჭა.

სანდრომ ისევ ზღვას გახედა. კარგა ხანს გაოგნებულივით მისჩერებოდა.

— ჰმ... კარგი... — დაიწყო ბოლოს, თუმცა ჩემსკენ არ მოუხედავს — კვლავ ზღვას გასცქეროდა. — მგონი ბერტოლდ ბრეხტმა თქვა — სიტყვა „კარგ"-ს საზიზღარი გემო დაჰკრავსო. თუმცა, სიმართლეს გეტყვი, გულის სიღრმეში მაინც მესიამოვნა შენგან უგერგილოდ წარმოთქმული ამ სიტყვის გაგონება. კაცმა რომ თქვას, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან მისი მიზანი მხოლოდ პატივმოყვარეობის ჭიის დაპურებაა, სხვა არაფერი. ეტყობა, სიბერეში მეც გამჩენია ეს ჭია და, ალბათ, იმიტომ მესიამოვნა.

ეს საოცარი გულახდილობა იყო, რაც არასოდეს შემინიშნავს მისთვის. არ უყვარდა გულის გადაშლა. ვერ იტანდა მისი სულის კუთხე-კუნჭულებში სხვის ფათურს. მხოლოდ იმას თუ გეტყოდა, რის დამალვაც არ ძალუძდა, რაც თითქოსდა სახეზე ეწერა. და ჩემთვის მუდამ ბოლომდე გაუხსნელი და შეუცნობელი რჩებოდა.

ის-ის იყო, რაღაც უნდა მეთქვა, რომ კარი გაიღო და ქალბატონი თინათინი გამოჩნდა.

ქოლგა კუთხეში გაშლილად დადო და ჩვენსკენ გამოემართა.

— გამარჯობა თქვენი, ახალგაზრდებო! — ჩანთა სკამზე დააგდო, პალტო გაიხადა და საკიდარზე დაჰკიდა. — ღმერთო, ეს რა ამინდია, ლამის ცა ჩამოიქცეს!

სანდრომ ცოლს ღიმილიანი მზერა ესროლა. ჰკითხა:

— ხათუნას დაურეკე?

ხათუნა თბილისში სწავლობდა და მშობლები, როგორც წესი, ორჯერ მაინც ურეკავდნენ ყოველ კვირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავურეკე, კარგადაა.

— რა დღეა დღეს, თინიკო? — უცებ მიაფეთა კითხვა სანდრომ და ცალყბად გაღიმებული მიაჩერდა.

— პარასკევია, შემოგევლე. რა იყო?

— „ლიტერატურული საქართველო" მომიტანე? — იმავე გამომეტყველებით ჰკითხა და დარწმუნებულმა, რომ უარყოფით პასუხს მიიღებდა, ისე შემომხედა, თითქოს მანიშნებდა — ხედავ, რა ხალხთანა მაქვს საქმეო.

— უი, მოგიკვდა ჩემი თავი! — შეიცხადა ქალმა, ქმარს მიუახლოვდა და ყელზე ეამბორა. — დამავიწყდა... მარტოკა მეგულებოდი და შინ გამოვიქეცი!.. — უთხრა, თან თვალი ჩემსკენ გამოაპარა, — ნუ დამძრახავ ამ უწყინარი სიცრუისთვისო.

— ასეა, — მომიბრუნდა სანდრო და თითქოსდა ნიშნისმოგებით მითხრა: — კაციშვილი არ მეგულება ამქვეყნად, ჩემზე გული შესტკიოდეს... მე ქვეყნის დედინაცვალი ვარ, რომელსაც, როგორც წესი, მუდამ აბრადუმს მაყრიან თავზე...

— კარგი რა, სანდრო... — იწყინა თინათინმა და სარკესთან მივიდა, ჩამოშლილი თმა თავის მოხდენილი აქნევით გაისწორა. — სასიკვდილო განაჩენს ნუ გამომიტანთ...

— განა არ იცი, რომ იმ გაზეთს მუდამ მოუთქმელად მოველი?! აკი დილას შეგახსენებ...

— მართალი ხარ, ცამდე მართალი, მაგრამ დამავიწყდა და რა ვქნა ახლა?

— არაფერი, ბატონო, რა უნდა ქნა. მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს.

აი, ასე იცოდა. რაც უნდა უწყინარი სიტუაცია ყოფილიყო, მუდამ ტრაგიკულ ელფერს ანიჭებდა ხოლმე.

— ხომ იცი, შეგვინახავენ გაზეთს და ხვალ მოგიტან.

— დიდი მადლობა... — თავი დაუქნია უკმაყოფილოდ მოქუფრულმა სანდრომ.

ჩუმად ვიჯექი ჩემთვის და იმათ შემყურეს გულში მეღიმებოდა. ვიცოდი, ეს მცირედი წაკინკლავება საკმარისი იყო, რომ ერთმანეთს გაბუტვოდნენ. თუმცა არც შერიგებას დასჭირდებოდა დიდი ხანი. ოღონდ მარტონი უნდა ყოფილიყვნენ, გარეშე პირის მოწმობა ხელს უშლიდა მათს დაუყოვნებლივ შერიგებას. ამიტომ უმალ წამოვდექი და განვაცხადე:

— უნდა დაგტოვოთ. ოთხ საათზე თათბირი მაქვს.

ცოლ-ქმარმა თავი გამოიდო — არ გაგიშვებთ, ვისადილოთ და მერმე წადიო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე: მინდოდა „ბავშვები" რაც შეიძლება მალე შერიგებულიყვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოგარ ზამათავა

სათოვლიას ხვაშიადი

შროშანივით აშრიალდა
სათოვლია,
აშრიალდა მახარობლად თოვის.
სათოვლიას
ყვავილები გაშლია და
ზამთარს ხვდება ხელთათმანის ქსოვით.
მე მგონია, — სათოვლია
ბავშვია და
წელს პირველად ეგებება თოვას.
ნუ შეუჩნდით,
გულში უდევს ხვაშიადად, —
გაისადაც რომ ამ კაბით მოვა.
ხევის თერძთან თეთრი ნისლი
პეშვით მიაქვს,
აუკინძავს ყელსაბამი ცვრისა.
ახტაჯანა პირველ ფიფქზე შეშლილია,
თავად ერთი ნამცეცია ცისა.
ყოჩივარდამ არ შენიშნოს ეშინია, —
საიდუმლო კაბის გამოცვლისას.

ზამთრისპირი ლაკადაში

ტყეში წუხან
ბერმუხანი, —
თავ-მხრებ-გადაშიშვლებულნი...
და მოჭივის ფოთლებს ქარი —
ლაფშა —
ლაგამმიშვებული.

ცამ —
კაციეით ჩაიკვნესა —
გასერილმა ელვის დანით.
მთა საზვავე ზეწარს კემსავს
ყინულების ლავგარდანით...

ბარში ფშვინავს
ღვინის გუდა,
ზღაპრის გუდაც
ოჩოკოჩის,
ამის მეტი რაღა უნდათ
ჭაბუკს — ჭვირთს და
ცირას — მორჩილს?!

„სო რექ, ჯიმა
გუჯმახანი,
ოჯალეში ქოდმახვამი“,
ოდის ჭერის
სიგრძე,
განი
გამიბრწყინე თოლისქვამით.

ქორწილებით
ლაკადაში
ზამთრისპირი თბება ოდეს,
თეთრი ცირა
ლოგინს გაშლის,
თეთრი ჭირხლი ხატავს ოდებს.

„ანთე-კანთე-ოსმანათე“*

ივანე ჭანტურიას – გველნაკბენზე
შელოცვების მთქმელს

ეკის მთაზე ყანა გქონდა,
ბროლის მარცველბს დგამდი გოდრით,
ყანის თავზე ქარი ქროდა,
ყანის გულში იდო ლოდი.
ლოდქვეშ ბუდე იყო გველის,
სავსე გველის წიწილებით...
ცულის ტარზე გედო ხელი,
შიშით ვეღარ იძინებდი.
დაგიკბინა გველმა მაინც
ხარი — შვილთა მარჩენალი...
დაახვავე ლოდზე ბზე და
ღრუბლებს ჭიდე ცეცხლის ალი.

---

* *საკრალური სიტყვები გველნაკბენზე შელოცვიდან.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოდი კირად გამოწვი და
გამოხრუკე გველ-წიწილი...
და მას შემდეგ, რაღა გინდა,
მტერი ტირის, შენ — იცინი.

„ანთე-კანთე-ოსმანათე"...
გველს და მაცილს შენი კრულვა.
მზე-კაცი ხარ, რომ ანათებ,
ექიმი ხარ, როცა კურნავ.

ტყეში

კივის და ნატრობს ზარნაშო
ღამეს უთევარს, უკუნსა.
გუგული ბედთან თამაშობს, —
შაშვს „ჩუქნის" კვერცხს და „გუგუსა".

ქარი ვერ აშრობს ფულუროს, —
ფოთლის შრიალით მოფოთლილს.
შედგე და უნდა უყურო, —
ქოჩორს ივარცხნის ოფოფი.

ტყეს ალამაზებს ფრინველი,
ვით სუფრას ლექსი კაფია.
ტყე სამოთხეა პირველი, —
ჯერ რომ არ გაუკაფიათ,

ჯერ რომ არ ჩაუნთხევიათ
შიგ სიძულვილის ბალღამი.
ასეთ ტყეს, მრუმეხევიანს,
ცა აღსარებას ჩაბღავის,

ჩაბღავის ჭექა-ქუხილით,
ქარ-წვიმით ღრუბლის ერდოდან.
ტყე წუხს კაცური წუხილით,
მაგრამ კაცს აღარ ენდობა.

კივის, ეძახის ზარნაშო ღამეს,
ტყის ღამეს, უკუნსა.
გუგული ბედთან თამაშობს, —
შაშვს „ჩუქნის" კვერცხს და „გუგუსა".

ტერენტი გრანელის მონოლოგი

ვარ მარტის ქარი, —
მიუსაფარი,
ძებნად გასული ღია მღვიმეთა...
ჯერ კიდევ წაბლა ლომის ფაფარი, —
ტურებს რომ აფრთხობს, —
შემრჩა იმედად.

ჩუმად მივყვები კუბოთა სრბოლას, —
რაღაცა მჯერა ღმერთის და კაცის,
მაგრამ ცივ მკერდში გამჩრია სოლად
უსულგულობის ზამთარი მკაცრი.

აფთიაქარმა, ალბათ, დამცინა:
„აბებს რომ გჩუქნი,
ეს უზმოსია."

მთელი დღე ხშირად
ჩემთვის უზმოა, —
შენც დაგიმალე, დაო ზოზია.

ხშირი სტუმარი ამ აკლდამათა
ცხოვრების სუსხმა გამამათხოვრა.
რაც დამემართა,
ნიჭმა დამმართა, —
ვფიცავ ქარსა და მამა-მაცხოვარს.

ვიყო პოეტი —
მიუსაფარიც! —
არც საწყენია, არც მტკივნეული, —
თუ არ დაკარგეთ ჩემი საფლავიც,
დაუსტამბავი ლექსის რვეულიც.

ამ მთებში გავძლებით

მთების გარეშე ველარ გავძლებდით,
კავკასიონი სიმაღლეს გვაჩვევს.
დავანებული მთებზე ტაძრები
წირვა-ვედრებით ხვდებოდნენ გამჩენს.

კარგად იცოდნენ, არა მგონია,
მთებუნახავმა ველის კაცებმა —
ჩაბარუხების მძლე სიმფონია,
სიმაღლის კულტი და აღტაცება.

ცის სიახლოვე სურვილს ამძაფრებს, —
სტუმრები ვიყოთ სხვა ლაჟვარდების,
განა ტრამალთა სურათს ვაძაგებ,
მაგრამ ლარნაკი მთაა ვარდების.

მთიდან მომსკდარი მდინარის შფოთვა,
და თეთრ მწვერვალთა ალმასიონი, —
ეს პოემაა,
ეს არის შოთა,
ეს ლექსებია გალაკტიონის.

ქართველი მთების გარეშე ვერ ძლებს, —
მთათა სიმაღლე ოცნებას გვაბეგენ,
მთა გვიზრდის კრავებს და ოქროს ვერძებს
და ვწირავთ ამ მზის,
ამ მთების გამჩენს.

მთების ბურჯებზე
ვაშენებთ ტაძრებს
და მილიონ წელს
ტაძრებში გავძლებთ.

შროშის დოქიდან

როცა ძალიან მიჭირს,
ანდა ძალიან მილხინს,
მოსაფერებლად ვნატრობ
ნისლებს ლამაზი ლიხის,

პურობა ლიხის ჩრდილში
ერთ კარგ ქორწილად მიღიოს,
შროშის დოქიდან ვისხამ
რიყოთულების ღიღინს.

პირველი პოეტური სიზმარი

ქორმა წაიღო ყვითელი
აწივლებული ფთილა,
ვუსაყვედურე მურიას, —
რატომ არ იყავ ფრთხილად,

ქორი დავწყევლე ყაჩაღი, —
არ გაგითენდეს ღილა...
სიზმარში ვნახე წიწილი, —
ლურჯ ცას ეკერა ღილად.

როცა „ლილეოს“ გუგუნებს უშბა

მზით სავსე ცაში ქუხილი წყდება,
წყდება გრიგალთა ქაჯური ქროლა,
ნისლის პერანგი შხარაზე წდება,
მთის ყალიონად ჩანჩქერი ბოლავს.
კავკასიონის მყინვართა წყებას
მხოლოდ მზე გვჩუქნის
ხელთუქმნელ ბროლად.

მზითვე შემოყავთ ჭრიალა ურმებს
ნექტარი რთველის,
სიცილი ყანის...
ცისკრით, —
ცვარ-ნამის რძით მოსაუბრე, —
მზემ ცას შეაბა ზღაპრული კარი.
ბავშვსაც კალთაში ცოდნია თურმე,
რომ დედის დედა დიდი მზე არი.

ნურვინ ინატრებს ღლეებს უბრალოს,
მზის და მშვიდობის ვინატროთ ღლენი.
ვარდი თუ ვარდობს,
ბალი თუ ბალობს, —
მზეო, უფალო,
მადლია შენი.

იმედდაკარგულს სხივით მკურნალობ,
ყველა დაცემულს სითბოთი შველი.

მზე იყო
პირველყოფილთა ღმერთი
და მზევე რჩება სასოდ ჭკვიანის.
მზით ჩვენი სული სამყაროს ერთვის,
და ვარსკვლავების ხიბლავს ბრჭყვიალი.

როცა პოეტმა ბრინჯაოს ხანის,
მზეზე უტკბესი არ ჩანდა რახან,
კლდეზე ამოსჭრა ანი და ხანი
და ცაში სიტყვის მეუფე ნახა,
მზეს შუბლვარსკვლავა შესწირა ხარი
და ენგურს ოქროს საწმისით ჩაჰყვა.

... მზეში „ლილეოს“ გუგუნებს უშბა,
ფრთებს არწივები კოშკებზე შლიან,
სვანს — მზე ამღერებს, —
მზის ერთგულ გუშაგს,
გულს რომ უქებენ მთაშიც, ბარშიაც.
მზე სვანს უმადლის, —
ბრძენსა და მუშას, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მსოფლიო
მზესთან ვალშია.

ვალში ვარ მეც და
მაღალო ღმერთო,
შემაძლებინე ფრენა უშიშრად,
ვიდრე ლექსს სულთან არ შევაერთებ
ჰიმნად მზისა და
ჰიმნად უშბისა.

ლექსის ჩარხიდან ანასხლეტი ბურბუშელები

1

არ შეახოცოთ ხელები ღრუბელს,
როდესაც მთვარე ზღვაში ბანაობს,
მთვარეს ატმებით სავსე აქვს უბე
და წყლის სარკეში ანა-ბანაობს.
კვიპაროსები მოჰგვანან შუბებს, —
ხალიბთა მხრებზე რომ მოქანაობს...
არ შეახოცოთ ხელები ღრუბელს!..

2

ღამის მეგზურად შენ მინდები და
ცის აივანზე მტრედები სხედან...
ამ ფაზისური შებინდებიდან
სიმღერის ქორი
ააფრენს ქედანს.
სიმღერის ასლებს შეგპირდები და
ასლებს კი არა,
მოგართმევ დედანს.
ყვავილოვანი ველ-მინდვრებიდან
ერთი ყვავილის მოწყვეტას ვბედავ, —
რადგან მეგზურად შენ მინდები და...
უფრო საყვარელს ვერავის ვხედავ.

3

კალათით ველი ვარსკვლავთა ცვენას, —
მლაშე ტალღათა ლაშქრის იერიშს.
ცა — სიყვარულის მგონია სცენა,
სულის აკვანი — თვალსაწიერი.
შაშვის გალობით, ბულბულის სტვენით
ხმელეთი ზღვაზე არის ძლიერი.
კალათით ველი ვარსკვლავთა ცვენას...

4

მწვანე ხეობა ჩანჩქერს ალექსებს,
ყოველ ნაბიჯზე ძერწავს „ახ-ნეტავს“...
რომელი ვარდი მომიალერსებს, —
სანამდი წლები თმებს გადაპენტავს?
ცას ჩემი ცოდვით თვალი დაევსოს, —
თუ შემაჯიბრებს დევსა და კენტავრს...
ხევმა ჩანჩქერი მაინც ალექსოს!..

ქეთევან შენგელია

წიგნიდან „აკაციის ხეივანი“

წვიმდა და წვიმდა

ზეცას შეაწყდა ვარსკვლავი,
ისევ გაბრწყინდა ყაწიმთან,
სიზმარი ვნახე: დამარცხდნენ
ყორნები ვაჟას არწივთან.
ცოლიკაურით აივსო,
აზარფეშა და ყარყარა,
წვიმდა და წვიმდა; ცამ ცრემლი,
მარგალიტებად დაყარა.
ჩემსავით დარდიანია
ამაყი ციხე წერეთის,
ქოლაგირი და კოჯორი,
ზემო და ქვემო თელეთი...

საუბარი ბუსთან

როგორ არ მეტყვი, რა, მ მზე გაწვალებს,
და დაღამებას ნამდვილად ელი,
შენც ხომ გაქვს ქვეყნად იმის უფლება,
რომ იყო ერთი ღამისმთეველი.
მოიწყინო და იფიქრო, გული
ენდობა ვინმეს ისევ თუ არა,
უვარსკვლავებო ღამეა გარეთ,
სტკივა შენი და ჩემი იარა.

მოლოდინი

თორმეტს ჩამოჰკრავს საათი,
თორმეტს უჩვენებს ისარი,
ქუჩის ბოლოში, ტაძართან,
ის არის, გულო, ის არის!

ქსოვდა დეიდა

ვარდისფერ ძაფში გახლართულ თითებს,
მშვიდი მუსიკა თითქოს აცეკვებს,
ფანჯრის რაფაზე კენკავს ბელურა,
მისთვის გაბნეულ პურის ნამცეცებს.
დღეს ასფურცელას ბილიკს მივყვები,
ნანატრი გზები ციცკენ მიქრიან,
ფეხებმოკეცილ წეროებს, ნახე,
ჩემსავით ლურჯი მთების ფიქრი აქვთ...

ო, ეს საღამო

ო, ეს საღამო...
მთვარის შუქზე
შემჯდარი ჩიტი,
ჩაძინებული,
გალობისგან
უკვე დაღლილი.
ოთახის კუთხის
ერთ კედელთან
მომცრო სურათი,
სურათზე კვალი,
სივრცე, თოვლი,
გზა და მარხილი.
ო, ეს საღამო...
მოლოდინით
გამთბარი ქუჩა,
შავ როიალზე
დაწყობილი
თეთრი ნოტები,
ხე, გაშლილი და
გაბურჯგნული,
მაღალი თუთა,
სარკმელს მომსკდარი
მწვანე ტოტები.
ო, ეს საღამო...
მოგონების ცისფერი მოლი,
მოლზე მოსული უხვად სოსანი,
მთვარის სხივებზე
მგალობელი ლამაზი ჩიტი,
მირაჟის ერთი მოციქული,
ჩიტი — მგოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

„ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ“

ჩუმად იდგნენ ტირიფები ჩემთან ერთად,
ცას შეხედე, ამ ოქროსფერ სხივებს,
ვინ მიყვარდა ქვეყანაზე შენზე მეტად,
ვინ მჩუქნიდა ყვავილების მძივებს?!

ტბასთან იდგნენ ტირიფები ჩემთან ერთად,
„ქორო ნუ ფრენ!.. ჰაუ, ჰაუ, ქორო“...
ვინ მიყვარდა ქვეყანაზე შენზე მეტად,
მზეს შეხედე... ამ ქარვისფერ ჭორომს.

თენდება

შ-ს

გამობაჯბაჯდა გარიჟრაჟი
ცაზე ბავშვივით,
პირველი სხივი გაიზმორა —
აჟღერდა სიმი.
ჯერ დედამიწა ვერ გაათბო
მისმა ალერსმა,
იყო ბალახი ნაღვლიანი,
სველი და ცივი...

ნისლი დაიძრა ტაატით და
სვენებ-სვენებით,
შორიდან ჰგავდა,
მოსეირნე პატარა პინგვინს,
მზე ისწორებდა ცეცხლის კაბას
სამოთხის კართან,
ყაყაჩო შლიდა,
ალისფერ გვირგვინს.

●

მთელი ცხოვრება მოლოდინია
და მერე დაგღლის, აბა, რას იზამს?!
გააფერმკრთალებს ცდუნების ნაყოფს,
მარგალიტივით პატარა მიზანს.

ჩვენ ველოდებით ფრთაშესხმულ ილბალს,
სიყვარულის ჩრდილს — ხეზე ლიანებს,
ნამდვილად მარტო სიკვდილი მოდის,
ის არაფრით არ დაიგვიანებს.

●

მე ვიცი, რასაც მოყვები ახლა,
ამას ყვებოდა გრიგალი წუხელ,
მიაჭრიალებს ბედი წვალებით,
ადამის მხრებზე შემოდგმულ უღელს.

ვის უკვირს ჩიტი ნანადირევი,
კაენის ცოდვა, თევზის ფართხალი,
აღარ დავეძებ, სხვასთან რომ ტყუი,
შენს თავთან თუ ხარ მაინც მართალი?!

●

შერჩენილა საქანელა ხეზე,
მსხლის ხეს ფერი დასდებია მიწის,
იწვის სახლი, მამა-პაპის ეზო,
აფხაზეთში საქართველო იწვის...

ეზოს კართან წამივიდა გული,
პაწაწინა ფეხსაცმელი ეგდო...
დაიფარე საქართველოს სული,
შენი ჯვარი დაიფარე, ღმერთო!

●

ფარავნის ტბასთან, ფოკაში,
სალოცავია ერთი,
მოდი, ახლავე წავიდეთ,
„მოვინახულოთ“ ღმერთი...

მერე ხიხანში შევიდეთ,
მერე მაჩვენე სხალთა,
წითელი ყაყაჩოებით
ამავსებინე კალთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან ახობაძე

ისე აფეთქდნენ

მზე
ფეხს იკიდებს
და შიშინით
მიიწევს მაღლა,
მთებზე ზარს რეკავს
გაზაფხულის

მწვანე ცისკარი...
ისე აფეთქდნენ
მგლოვიარე
ხეები ახლა,
თითქოს ერთბაშად
აუსრულდათ,
ყველა სიზმარი.

ახლა

მივალ, მიღიმის
ცის კაბადონი,
მივალ, უბრალოდ
ხმის გამცემს ვნატრობ,

ახლა ამ ქვეყნის
ბატონ-პატრონი
მთებზე შემდგარი
მთვარეა მარტო.

რომ დაიმკვიდრო

არ ვიცი, გულში ვის რას უგალობ,
ან შენგან ვის რა ემახსოვრება?!
მიდის და მიდის, ასე უკვალოდ,
არაფრის მთქმელი შენი ცხოვრება.

აქ სულ სხვა ცეცხლი არი საჭირო,
რომ დაიმკვიდრო შენი ადგილი, —
მით უფრო, როცა უცხო არა ხარ,
არც მაღალ ციდან ჩამოვარდნილი.

ვაზი

ჩამოვიტანე
საჩინოდან
ნერგი ვაზისა,
დავრგე სახლის წინ
და ატირდა
უცხო ბავშვივით...

მიდის დღეები
და ქალაქის

გაბმულ ხმაურში
ისე იზრდება,
ისე ფეთქავს
და იფოთლება, —
ასე მგონია,
მამაჩემის
მზრუნველი ხელი
ეხვევა
ჩემი სახლის აივანს.

იქნებ იპოვო

ველური ქარი მთებს ნისლებს აცლის,
არავინ აღარ ჭაჭანებს გარეთ...
შენ კი, ჯიუტად მიყვები გზაწვრილს
და იმედივით ანთია მთვარე.

სურვილებით და ოცნებით დაღლილს,
რომ არ გასვენებს ქარი — აფთარი...
ამ უკაცრიელ ღამეში ახლა, —
ეგებ იპოვო თავშესაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სადღაც სულ ახლოს
ამაზრზენად გავარდა თოფი
და ჭრელ სიზმრებში
ჩაძირული უმთვარო ღამე —
შეანჯღრია და
დაუკარგა სიმშვიდე უცებ...
სროლის ხმამ ისევ
დაუბრუნა სიფხიზლე სოფელს
და უსასრულოდ
გამოაბა საეჭვო ფიქრებს.

ჩემს ბავშვობას

ვის შეატოვე
მოხდენილი
ის მერცხლის ფრთები,
ამ სიცხადეში
მოქცეულო
გულუბრყვილობავ...
ნაუცბათევი
გაცინება
როგორც თოვლისა —
გაიბრწყინე და
მერე ისე
გაუჩინარდი.

სვანეთს მიდიხარ

ტარიელ კვიციანს

სამეგობროში რახან გიქებენ
სვანური მუხლის ძალას, —
იარე... ძმაო, შენისთანები
განა ბევრია ქალაქს?!
ახლა, ო, ახლა
უფრო რომ ვნახონ
შერკინებული ბედთან —
სვანეთს მიდიხარ...
ალბათ სულ ახლოს
რომ ისაუბრო ღმერთთან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ხაბაზი

ნოველები

დემეტრე თავდადებული

სასახლის დიდი და მოჩუქურთმებული კარი ჩაკეტილი იყო. უცხოთაგანს მეფე არავის ღებულობდა. არც ელჩებს, არც თავადებს, არც სხვა სტუმრებს. დიდებულთაგან მცირე კრებული იახლა. ეს იყო, რომ სამი ცოლიდან სამივე იჯდა დარბაზში. პირველი — ტრაპიზონის კეისრის ასული, მეორე — მონღოლი ქალი, სოლღარ თათრის ასული, მესამე კი — ბექა ჯაყელის ასული, ნათელა.

პირველი და მეორე ცოლი მტრის თვალის ასახვევად მოვიყვანე, ხოლო მესამე — ჩემთვისაო, — ხუმრობით იტყოდა მეფე.

მამის ტახტს შემოსწყობოდნენ მეფისწულნი და მეფის ასულნი. ტრაპიზონელი ქალისაგან დავითი, ვახტანგი, მანოელი და ლაშა. მონღოლი ასულისაგან ბაადური და იედგარი, ქალიშვილი ჯიგდა-ხათუნი. ნათელა ჯაყელის ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გიორგი.

მეფის გამომეტყველებას მჭმუნვარე არ ეთქმოდა, მის სახეს უფრო ფიქრის ღრუბელი გადაჰკვროდა.

დედა არ ახსოვს. გვანცა დედოფლის სიკვდილით დასჯის დროს სამი წლისა იყო. დავით ულუმ მესამე ცოლი რომ შეირთო, პანია დემეტრე მამამ ტარსაიჭ ორბელს მიაბარა აღსაზრდელად. აქედან გამოჰყვა ორბელთა ციხე-სანახების სიყვარული.

ადრე მიიცვალა დავით ულუ და ტახტის სიმძიმე თორმეტი წლის ყმაწვილზე გადავიდა. ტანადი და თვალადი იყო, ამიტომ ბევრ დიდგვაროვან ასულს ეჭირა მისკენ თვალი, მაგრამ სიყვარულით ჯვარისწერა მეფეთაგან ძალიან ცოტას რგებია ბედად. მეფის საქორწინო სარეცელზე გადიოდა ხან დაზავებისა და ხან ხარკის დათმობის გარიგება. ასე იყო ათა-ბაბადან და ეს ბედი ერგო დემეტრესაც.

ჭაბუკ მეფეს მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნეს. მდბიოთა წრიდან გამოსულ სადუნს საწვრთნელად ბევრი არა რა ჰქონდა, რომ ახალგაზრდა მეფისათვის გადაეცა. მონღოლურის ცოდნის გამო თარჯიმნად თუ შეეშველებოდა, ეს იყო და ეს. ასე იყო თუ ისე, გამზრდელმა და მზრუნველმა, გაზრდილს ათაბაგობა და ამირსპასალარობა გამოსტყუა. მოგვიანებით, დემეტრეს მისი ერთგულებისაც აღარ სჯეროდა, მაგრამ საქმე მოითხოვდა მის შორიახლო დგომას და მეფეც ამას უწევდა ანგარიშს.

შორეული სიზმარივით ახსოვს მონღოლთა ურდოში სტუმრობა. სადუნი, რა თქმა უნდა, თან ახლდა. საქართველოს მეფე მონღოლთა ყაენს უნდა დაემტკიცებინა და დემეტრეც გამონაკლისი არ იყო.

— აი, თურმე, რა ლამაზი ყოფილა იგი. მოდი და ასეთ ბიჭს ნუ დასვამ მეფედ. — ღიმილით შემოხვდა მონღოლთა ყაენი.

ამ სიტყვებს თორმეტი წლის ბავშვის სახეზე ერთი ძარღვიც არ აუტოკებია. საქართველოს მეფე იდგა ღირსეულად და ამაყად, თანაც იმდენად სერიოზულად, რომ ყაენს სახე სიცილმა მოუბრიცა. არც ამ სიცილს გამოუწვევია მეფე-ბავშვის სახეზე წყენა ან სიხარული. მნახველი ამ ამბავს ისე აღიქვამდა, რომ არათუ ქვეშევრდომი ყაენთან, არამედ ტოლი ტოლთან იდგა და კურთხევას ელოდა.

გვირგვინი იქ, საქართველოში უნდა დაედგათ დემეტრესათვის. აქ კი წყალობისა და თანხმობის ოქროს ჯაჭვი უნდა ჩამოეკიდათ. ნაბიჯი ღირსეულად გადადგა ყაენისაკენ და თავიც ღირსეულად ოდნავ დახარა. ყაენმა ოქროს თეფშიდან ოქროსავე ჯაჭვი აიღო საქართველოს მეფის კისერზე ჩამოსაკიდად... ამას რომ აკეთებდა, ძალაუნებურად, მეფის ასაკისათვის შეუფერებლად მსხვილ კისერს დააკვირდა, რომელსაც ზედ ეტყობოდა ჯიში და ჯილაგი. ალბათ იმას ფიქრობდა: — თუ ჭკვიანად არ იქნები, ოქროს ურდოში ჩამოსული არაერთი შენზე უფრო ბეჭბრტყელი და მსხვილკისერა ქართველისათვის წაგვიჭრია ამაყი თავიო...

არღუნ ყაენის ცივი და გალიგვული თითები ფრთხილად შეეხნენ დემეტრეს კისერს. ზედ გველივით ცივი ოქროს ჯაჭვი რომ დაკიდა, მაშინ იფიქრა დემეტრემ:

— ღმერთო, როდის იქნება ამ სისხლისმსმელთა ნაჩუქარი ჯაჭვების გარეშე ეკურთხოს საქართველოს მეფეო...

ასე ეკურთხა მეფედ თორმეტი წლის დემეტრე მეორე, ძე დავით ულუსი და დედოფალ გვანცასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი და იმეფე. იყავ მოყვარედ ჩვენთა...

ერთხელ კიდევ ღირსეულად დახარა თავი საქართველოს მეფემ და ერთხელ კიდევ შეხედა მის მაღალ ყელს ყაენმა...

ოქროს ურდო განთიადისას დატოვეს. გული ერეოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გასცდებოდა ამ კარვების ქალაქს.

საქართველოს საზღვრებს რომ მიუახლოვდნენ, პირველ სოფელშივე შვება იგრძნო. ცხენიდან მარდად ჩამოხტა, მოთქრიალე წყაროსთან მივიდა, ხელ-პირი წაიბანა და სულ გამდინარე წყაროს გაატანა მტერთა ამბორი და საილხანოს მტვერი, რაზეც ბევრი იცინა სადუნ მანკაბერდელმა.

ერთ ხასხასა მინდორში რომ გავიდნენ, მეფის ტოლა ბიჭები რიკ-ფაინს თამაშობდნენ.

— მეფეო დემეტრე, ბედნიერნი არიან ეს შენი ტოლი ბიჭები, თუ... საკუთარ მამულში, ბავშვობას მინდობილნი რიკ-ფაინს რომ თამაშობენ...

მეფე ჩაფიქრდა ნუთით.

— ბედნიერებაზე ბედნიერს უნდა ჰკითხო, უბედურებაზე — უბედურს.

იყო პასუხი ახალგაზრდა მეფისა.

ეტყობა, ბიჭებმა თვალი ჰკიდეს მინდორში შემოსულ ამალას და აჟრიამულდნენ:

— დიდება საქართველოს მეფეს, დიდება საქართველოს მეფეს...

— ესენი არიან შენი მოლაშქრენი, შენი ჩუხჩარხნი და მეჭურჭლეთუხუცესნი, მეცხოვნენი და გუთნისდედანი.

თქვა ტარსაიჭ ორბელმა.

იქით და აქეთ მგზავრობის დროს პირველად გაიღიმა მეფემ გულღიად. ცხენიდან ჩამოხტა, ზოგი გადაკოცნა, ზოგს ბეჭზე მოუთათუნა ხელი. მერე კი ცხენებზე ამხედრებულნი ჩქარი ჭენებით ქართლისკენ დაიძრნენ...

მას შემდეგ დიდი ხანი გასულა. მეფის შუბლზე ამდენი ნაიარევი მონღოლების სიყვარულის არა და, სალაშქრო ერთგულების ნიშანი ნამდვილად იყო. ასი ათასზე მეტი ქართველი დაცემულიყო ასურეთთან, ამასიასთან და სხვა ციხეებთან, სადაც მტრის მტერი ქართველის მტერი არ ყოფილა.

— კიდევ რას მემართლებიან, ან კიდევ რაღა მოაკლდათ, მკლავი თუ ძღვენი და ამას ვაკეთებდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა გადამერჩინა მათი თარეშისაგან.

ფიქრობს დემეტრე.

დარბაზი მეფის ერთგული დიდებულებითა და მეფის სახლეულითაა სავსე. აქვეა ნიკოლოზ კათალიკოსიც.

კეისრის ასული, მონღოლი ქალი და ნათელა ჯაყელი გვერდიგვერდ სხედან თავიანთი შვილებით.

— მე კი არ უნდა მივიმალო მთიულეთში, აი, ესენი, ჩემი ოჯახი. პაწია გიორგის და ნათელას ტაოში, იშხანის ციხეში გავგზავნი. ვახტანგს მთიულეთში, ჩემს ძმადნაფიცთან. მონღოლი ცოლის მამასთან გაგზავნა გადაწყვიტა, ბაადურსა და იედგარს იახლებსო თან.

სახლეულს, ყველას რომ სამალავი მიუჩინა, შვილთა შორის ყველაზე უფროსს, დავითს დაადგა თვალი.

— რა უცებ წამომადგა თავზე. მოდრეკილ მშვილდსა ჰგავს. ერთ-ორ ბრძოლაში ვიახლე თან, გვერდიდან არ მომშორებია. ბრჭყალი მოვუსინჯე... ვეფხვის ბოკვერივითაა.

— დავითს, დავითს წავიყვან თან...

ზედ ტახტის ახლოს მჯდარმა დავითმა მამის ფიქრი ამოიცნოო თითქოს, თვალებგაბრწყინებულმა გაუღიმა მეფეს.

— ასე სჯობია, შვილს რომ თან ვიახლებ, არც მაშინ დამიჯერებენ ჩემს ერთგულებას?

ერთგულება!

ამ სიტყვამ ფოლადივით გაიზრიალა.

მტრისადმი ერთგულება...

მე სადაც შევფიცე და მათ გვერდით ვიბრძოდი, იქ არასოდეს მიღალატია და ისე ჩემი ქვეყნის განთავისუფლების იმედი არასოდეს გადამიწურავს...

პირველი სიტყვა ტარსაიჭ ორბელსა თქვა. მეფე უეჭველად მთიულეთში უნდა გადავიდესო.

დიდებულთაგან უმეტესობაც ამის მომხრე იყო.

ურდოში ყაენთან ხლება ურჩია ნიკოლოზ კათალიკოსმაც.

— მოცილებად, თუ... ეკლესიისაგან ჩემს განდგომას ქადაგებს. ჩემს სამცოლიანობაზეც ცოფებსა ჰყრის... თუმცა მეც ხომ ასე ვფიქრობ, რომ უნდა წავიდე ყაენთან. მხოლოდ ამით გადავარჩენ ჩემს ქვეყანას, მხოლოდ ეს დაამშვიდებს სისხლის სუნითა და შეთქმულებით გაგიჟებულ ყაენს.

ყველას საუბარი რომ მოისმინა, მერე თავად ინება სიტყვა.

— ხვალ განთიადისას, ურდოში წასასვლელად მზად ვიქნებით მე და დავით უფლისწული, ტარსაიჭ ორბელთან ერთად.

ამის თქმაზე მეფის სამივე ცოლმა მოურწყავი ნარგიზებივით ჩაჰკიდეს თავები.

სიტყვა არავის დაუძრავს.

მეფე დემეტრე ურდოში მიემგზავრებოდა...

ეს გზა ნაცნობი იყო მეფისათვის. ამ გზით იარა, როცა მისი მეფედ დამტკიცება იყო ყაენთან. ამის გაფიქრებაზე მწარედ გააჟრჟოლა. გაახსენდა მონღოლის გალიგვული ხელები და კისერზე ჩამოკიდებული ოქროს ჯაჭვი. მარტის ცივი დღე იდგა გარეთ. ტყიან ბილიკზე რომ გავიდნენ, მეფე ცხენიდან ჩამოხტა, შვილს ხელი გადასდო და ხშირ ტყეში შეიყვანა. მაღალი, ნათელი ტყე იყო. წიფლის ხეებს თეთრი, ქათქათა ტანი ხარბად აეყარათ. მეფე ერთ დიდ წიფლის ხესთან მივიდა და მკლავები შემოაჭდო. თითქოს ეფერებოდა, მერე უფლისწულს მიუბრუნდა:

— შვილო, დავით, მოდი აქ.

— ამ მაღალ წიფლებს ხომ ხედავ?

— ვხედავ, მამა, რატომ მეკითხები?

— არა, ისე შეგეკითხე...

არ ახსნა ნათქვამი მეფემ. ერთხანს ტყეში იბორიალა, მიწა აილო, ხელში ჩაიფშვნა და დიდხანს უყურა. მალე ურდოს მიწები იწყებოდა და მეფე ქართულ მიწას ეფერებოდა.

ნორჩი უფლისწული თავის თავთან განმარტოვდა.

— ტყე რომ ტყედ დარჩეს, როცა ზრდასრულ წიფლებს გამოჭრიან, იგი ახალმა ნერგებმა უნდა შეავსონ. ეს თქვა მეფემ, რომ...

— არა, არა, ეს არ უთქვამს. ბოლოს ხომ დაუმატა: ისე, სხვათა შორის ვთქვიო...

მამა-შვილთან ახლოს ტარსაიჭ ორბელი მიაჭენებდა თავის ქურანას. შვილის შემდეგ ყველაზე მეტად მისი სიახლოვე სიამოვნებდა მეფეს.

ისევ შვილთან განმარტოვდა მამა.

— შვილო, დავით. შენთან მინდა საუბარი.

— თქვი, მამავ ბატონო.

— მონღოლთა შესაწევნად ჩემი ხმალი რომ არ დადუმებულა, ეს ძალიან ცოტას ნიშნავს არლუნ ყაენისათვის. შვილთა შორის უფროსი შენა ხარ და ამიტომ შენ გიახლეთან. არც ის არის გამორიცხული, ამ გზებით მარტოს მოგიწიოს საქართველოში დაბრუნება. იმას გიბარებ, და-ძმანი მოძებნო და ღირსეულად უპატრონო. შენამდე ტარსაიჭ ორბელთან მქონდა საუბარი, რომ ჩემს შემდეგ სამეფო გვირგვინი შენზე გადმოვა.

ეს ისე, თორემ ახლა ერთად შევალთ დამოყვრებულ მტრის საბუდარში. ვინძლო მტერი არ გავაცინოთ და თუ სიკვდილი გვიწერია, ისიც ღირსეულად ავიტანოთ.

— მესმის, მამა!

ახლოვდებოდა მონღოლთა საილხანოს მთავარი ქალაქი, სადაც ყაენი იჯდა. კარვების ქალაქი, რომლის ხსენებაც ყოველ ქართველს ზიზღსა და შიშს გვრიდა. ამ ქალაქში ლაღად და თავისუფლად ხუტლუბუღა მანკაბერდელი გრძნობდა თავს. მტრისგან ასეთი პატივი მამამ, სადუნმა ანდერძა და ამ პატივთან ერთად მონღოლური ენის ცოდნაც დაუტოვა. ასე რომ, მასზე ბევრი იყო დამოკიდებული ახლა, რას და როგორ უთარგმნიდა მონღოლთა ყაენს. მეფეს მომხრეებმა ისიც ამცნეს, ხუტლუბუღა ყაენს საქართველოს ტახტზე აფხაზეთის მეფის დავითის შვილის, ვახტანგის დასმას ურჩევდა. საამისო მიზეზიც ჰქონდა ხუტლუბუღას, მამამისი სადუნი ათაბაგისა და ამირსპასალარის ტიტულს ფლობდა ერთად, ხოლო დემეტრემ შვილს მარტო ამირსპასალარობა აკმარა და ათაბაგობა ტარსაიჭ ორბელს უბოძა.

სამაგიეროდ, მამა-შვილი დიდი პატივით იყვნენ მიღებულნი მონღოლთა ურდოში.

ხშირად იტყოდა დემეტრე:

მტრისგან დაფასებული კაცი, იშვიათად, რომ თავის ქვეყანას გამოადგესო...

ახლა დემეტრეს მსაჯულად ყაენი, ხოლო თარჯიმნად ხუტლუბუღა მანკაბერდელი ელოდა.

— ხომ წუთითაც არ მქონია მონღოლთა სიყვარული. ქრისტეს ვფიცავ, ყაენის ჩამოგდების შეთქმულებაში ჩემს მონაწილეობას თვით ღმერთიც ვერ დამიმტკიცებს. მაშინ ხომ მთიულეთს ვიყავი ძმადნაფიცთან, მაგრამ ესეც ვერაგი ხუტლუბუღას ნათამაშევია.

ფიქრობდა დემეტრე.

მეფედ დამტკიცების შემდეგ დემეტრე არაერთხელ შეხვედრია ყაენს, მაგრამ მის ხსოვნაში ის პირველი შეხვედრა ვერაფერმა დარჩდილა, როცა თორმეტი წლის მეფეს ილხანმა ოქროს ჯაჭვი ჩამოჰკიდა და ერთგულებაზე დააფიცა.

ოქროს ურდოს სასახლე კარგად იყო ცნობილი დემეტრესათვის. დღეს ამ დარბაზში უნდა გადაწყვეტილიყო არათუ მეფობის, არამედ სიცოცხლის უფლებაც.

და იდგა ახოვანი და ვაჟკაცი მეფე ყაენის წინაშე. გვერდით ნორჩი უფლისწული დავითი ედგა და დიდებულთაგან რამდენიმე დარბაზშიც ახლდა მეფეს.

აი, ისიც ხუტლუბუღა მანკაბერდელი. ყაენის თარჯიმანი, მონღოლურის შესანიშნავი მცოდნე. გველის დანახვა ერჩია მეფეს ახლა მის ხილვას. ხუტლუბუღა ყაენის ფერხთით, მასთან სულ ახლოს იჯდა. ახლოს ჯდომა კი იმას ნიშნავდა, ერთგულების რა ზომით სარგებლობდნენ მისი ქვეშევრდომები. აქ, ამ ადგილას ადრე სადუნ მანკაბერდელი იჯდა, ახლა კი მისი ადგილი შვილს ეჭირა...

მეფის მარჯვენა მხართან იდგა უფლისწული დავითი. ანაზდად შვილის ხელი მამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენას შეეხო და მეტად ეამა შვილის ხელთან შეხება. ტანში სითბო ჩაუდგა და მუხლში ძალა გაუორკეცდა.

— კარგი ბიჭი წამოგსწრია დემეტრე ხან. კარგად მახსოვს, შენც მაგ ასაკისა იყავი, როცა მეფედ განგაწესე საქართველოში. არც მერე შეგირცხვენია თავი, ეგვიპტის სულთანის წინააღმდეგ ასურეთთან და ამასიასთან ჩვენი დროშის ერთგულს.

— მეც ასე ვფიქრობ, ძლევამოსილო ყაენო, რომ შესაძლებელს ვაკეთებდი.

ახლა კი ხუტლუბუღას თარგმნის ჯერი დადგა და დარბაზში ქართველის მონღოლური გაისმა:

— შენი მეგობრის, ბუღა ჩინგსანგის ჩემს წინააღმდეგ ამხედრების შემდეგ გაჩნდა ეჭვები შეთქმულებაში შენი მონაწილეობისა, თუმცა დივანხანამ ეს არ დაადასტურა.

— ყოველთვის როდი შეგვიძლია განვსაჯოთ მეგობართა მოქმედება, დიდო მბრძანებელო. არის საქმენი, როცა სულები მეგობრობენ, ხოლო მათი მარჯვენნი სხვას აკეთებენ... თქვენს წინააღმდეგ შეთქმულების დროს მე მთიულეთს გახლდით ძმადნაფიცთან და აქაური ამბებისა არა ვიცოდირა.

— მეც ასე მგონია, დემეტრე ხან. ველი, რომ დივანხანა ერთხელ კიდევ დაადგენს და შეამოწმებს შენს ნათქვამს.

დარბაზში ისევ ხუტლუბუღას მონღოლური გაისმა და მერე ისევ ყაენმა მიმართა დემეტრეს:

— ვფიქრობ, რამდენიმე დღით გაგიხანგრძლივდება ჩვენთან სტუმრობა, სანამ ყველაფერი გაირკვევა.

ყაენთან შეხვედრა დამთავრდა და დარბაზი აიშალა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და იქ მხოლოდ ორნი დარჩნენ, საილხანოს მბრძანებელი და მისი თარჯიმანი, ათაბაგობაზე უარის თქმის გამო განაწყენებული ხუტლუბუღა მანკაბერდელი...

მამა-შვილი გვერდიგვერდ იწვნენ. მეფეს დღევანდელი დარბაზობა ედგა თვალწინ. მაინცდამაინც, არც დივანხანის სიმართლისა სჯეროდა, რადგან ვერაგ ხუტლუბუღას დივანხანაზეც შეეძლო გავლენის მოხდენა. ისევ ღმერთის იმედით უნდა დარჩენილიყვნენ ურდოში ჩასული მამა-შვილი. ჩუმად წამოდგა და საქართველოსთვის ილოცა. ზეცას შეავედრა თავისი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. დავით აღმაშენებელი, თამარი, ლაშა-გიორგი, დავით-ულუ ახსენა და დასაძინებლად მიწვა. სიზმარში ხუტლუბუღა ეზმანა და ამ ხილვამ გამოაღვიძა.

კართან ვიღაცამ ჩაახველა და მერე კაკუნიც გაისმა. კარებში მონღოლის თავსაბურველი გამოჩნდა.

— ყაენისაგან გვაქვს ნაბრძანები მოსულიყავ ნათქვამი გადმოგცეთ, რომ დივანხანამ თქვენი შეთქმულებაში მონაწილეობა დაადასტურა და თავის მოკვეთა მოგისაჯათ.

მეფემ მძინარე უფლისწულს გადახედა. ახლა იდგა წუთი, ან მუხლმოყრის და ლაჩრობისა, ან მტერზე დაცინვისა. მეფეს კარგა ხანია ენატრებოდა ეს მეორე გზა და მოსულს მიახალა:

— დამღალა თქვენმა ფერებამ და ერთგულების მტკიცებამ. დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია. ასი ათასი ქართველი ჩამიწყვეტია ჩვენთვის უსარგებლო ომებში. თქვენი გული კი მაინც ვერ მოვიგე. ვერც თქვენი სტომაქი გავაძღე მისატანითა და ძღვენით. თუკი რომელიმე ქართველი დიდებულის გოგოს სილამაზის ამბავს გაიგებთ, ძალით თუ ნებით, ოქროს ურდოში ერეკებით. ეს გზა თქვენამდე ქართველ ქალთა ცრემლითაა მორწყული და კაცების სისხლითაა შელებილი. ღმერთს ვფიცავ, შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ არარას გევედრებით, მოხდეს, რაც მოსახდენია.

ამ სიტყვების შემდეგ დემეტრე მძინარე უფლისწულთან მივიდა. ახალაღინღლულ ტუჩებზე ფრთხილად ეამბორა. მეფეს გასვლისთანავე მაჯებზე ბორკილები მიამაგრეს. გზად ტარსაიჭ ორბელი შემოხვდა, ისიც გაელვიძებინათ მონღოლებს.

— დავითს ნუ გააღვიძებთ, არ მინდა შვილმა ჩემს წამებას უყუროს. სული ზეცისაა, ჩემი სხეულის საქართველოში წაღება დამივალებია.

ტარსაიჭს თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

— ნუ ტირი, ორბელო, ხომ ხედავ, მე უცრემლოდ მივყვები ამ არაკაცთ. რაც გითხარი, ის შემისრულე და შვილს მიპატრონე.

მიდიოდა ბრგე და ამაყი. რამდენიმე სოფელი გადაიარეს. რიჟრაჟისას მტკვრის პირას გაიყვანეს. ეტყობოდა, აქ ყველაფერი წინასწარ მოემზადებინათ, მაშხალები ბრიალებდნენ. აქ იდგა თავსაკვეთი კუნძიც. ორი მონღოლი ხელში ცულებით ელოდნენ მეფის კუნძთან მისვლას. მაშხალების ცეცხლზე მათი ჩრდილები ძრწოლვით ცახცახებდნენ.

— თავი დახარე, — იყო ჯალათის ბრძანება.

— ამათ თავიდან მოუვიდათ თვალში ჩემი კისერი, როცა თორმეტი წლის ბავშვი მეფედ დამამტკიცეს. არც მაშინ დამიხრია ქედი. დღეს კი საკუთარი სიცოცხლის გარდა არა მაქვს დასაკარგი. რომ არ ჩამოვსულიყავი, ქვეყანას ამიოხრებდნენ და ამ ქვეყნისთვის შემინირავს ჩემი სიცოცხლეც...

— თავი დახარე, გიაურო...

ისმის მონღოლთა ბრძანება.

დემეტრემ მუხლი კვლავაც არ მოიდრიკა. მაშინ მონღოლი მივიდა და ცული ფეხზე მდგარს შემოჰკრა. დემეტრეს სისხლი გადმოსთქრიალდა, მაგრამ არ დაჩოქილა. ახლა მეორე ცულიანმა შემოჰკრა მეფეს.

— რა ჯიუტი კისერი გაქვს, გიაურო. ათას კაცზე მაინც წამიგდებინებია თავი და შენისთანა ჯიუტი ქედი ჯერ არ შემხვედრია.

მუხლზედაჩოქილი მოკვდა მეფე. მხოლოდ მკვდარს განუშორეს თავი ტანს და მტკვარში ჩავიდნენ მეფის სისხლით მოთხვრილი ხელების დასაბანად. როცა მობრუნდნენ, აღარც მეფის ტანი იყო მტკვრის პირას და აღარც თავი...

ვაჟკაცურად აასრულა ტარსაიჭ ორბელმა დემეტრეს დანაბარები. ჯალათებს უკან გამოდევნებულმა, მოიპარა მეფის ცხედარი. მტკვარს ჩაჰყვა, მეთევზეებიდან თევზი იყიდა, დემეტრე საზიდარზე დააწვინა, ზემოდან ხამის ქსოვილი გადააფარა და თევზი დააყარა. აქაოდა, მეთევზეები ვართ და თევზი მიგვაქვსო.

მდაბიოდ ჩაცმული ტარსაიჭ ორბელი და უფლისწული დავითი საზიდარს სამშობლოსკენ მიუძღვებოდნენ მზე ამოსულიყო და საზიდარზე დაყრილი თევზი ათასნაირად ბრჭყვიალებდა.

საქართველოში რომ შევიდნენ, მეფის ცხედარს თევზი გადააცალეს და ისე განაგრძეს გზა. ზეცას და მიწას ერთად გაეგო დემეტრეს თავდადების ამბავი.

გზებზე ხალხი გამორბოდა, მუხლებზე ეცემოდნენ და პირჯვარს იწერდნენ. რეკდნენ ზარები და მოსთქვამდნენ ქალები.

ერთ სოფელში, ერთ გლეხის ქალს ასულიერებდნენ.

— მე ბედშავს, მიყვარდა მეფე ნამდვილი სიყვარულითაო. მხოლოდ ერთხელ, სვეტიცხოველში ვნახე წირვაზეო...

— ვაი, შე მართლა უბედურო, მეფის სიყვარული როგორ გაბედე, თან ერთი ნახვითაო, — ეუბნებოდნენ ქალები.

— განა გულმა მკითხა, განა თვალებმა მკითხეს?

მოსთქვამდა ქალი...

რეკდნენ ზარები და მეფე დემეტრე თავდადებული დედაქალაქში შედიოდა.

კიდევ ერთ აოხრებას გადარჩენილ ქვეყანას თავისი დარდი ჰქონდა, ხოლო დავით უფლისწულს მამის ანდერძი აწვალებდა:

— გახიზნული ოჯახი და და-ძმები მოძებნე, ქვეყანას უპატრონე და უმეფეო.

დედაქალაქიდან ბავშვად გავიდა დავითი და ახლა ზრდასრულ მამაკაცად ბრუნდებოდა.

დღემდე არც კი იცოდა, ამდენი ზარი თუ ეკიდა სამრეკლოებს. ეს კი არადა, ასე ეგონა, მთლად საქართველოს ზარები რეკდნენ დემეტრეს სადიდებლად.

— კიდევ კარგი, რომ ქართულ მიწაში ძვალთშელაგება ეღირსა.

ამბობდა ერთი.

— ტარსაიჭ ორბელს უნდა ვუმადლოდეთ ამას.

იტყოდა მეორე.

მზე რომ ჩავიდა, ლოცვად დადგა ტარსაიჭ ორბელი.

— აჰა, მეფეო, აღვასრულეთ შენი ანდერძი. შენი წმინდა სხეული მტერთა საჯიჯგნად არ დაგვიგდია. შენი სისხლი და ხორცი — დავითი მოგაცილებდა და ასე ჩამოგიყვანეთ საქართველოში...

მეორე დღეს მებადურები კვირობდნენ მტკვარში თევზთა სიმრავლეს და მათ ტანზე სისხლიან წერტილებს. მოაწყდა და მოაწყდა სისხლით დაწინწკლული თევზები მტკვრის ნაპირებს. მარტის ცივი დღე იყო და მზე მქრქალად ანათებდა ომებით დაღლილი საქართველოს ცარგვალზე.

ჭანთ დაბა

უკვე ერთი თვეა მერაბ ცანავას ექსპედიცია კოლხური სამარხის გათხრაზე მუშაობს. ექვსი მეცნიერი და ოთხი მუშა ერთ სახელდახელოდ შეჭედილ ფიცრულ ქოხში ათევს ღამეს. კოლხური სამარხი ახალგაზრდა მეცნიერის პირველი დამოუკიდებელი ექსპედიციაა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. მხოლოდ იმას ნერვიულობდა, რომ ჯერჯერობით არქეოლოგიური მონაპოვარი ერთობ ღარბი იყო. სულ რამდენიმე კოლხური ცული, ბრინჯაოს ისრის ნამსხვრევი და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები.

არქეოლოგის მუშაობა ისეთივე ფრთხილი და დაკვირვებული უნდა იყოს, როგორც მის მიერ აღმოჩენილი ოქროს ცვარათი გაწყობილი სამკაულის კეთება. ახალგაზრდა მეცნიერმა ისიც კარგად იცოდა, რომ აქ ორი რამ არის საინტერესო და საყურადღებო, როგორც აღმოჩენა, ისე მისი მეცნიერული შეფასება.

ახალი კოლხური სამარხი თითქოს სცდიდა ახალგაზრდა არქეოლოგს, მის ნებისყოფას, მის ცოდნას და ჯერჯერობით ძნელად უღებდა კოლხურ-ელინური მითების სამყაროს კარებს. მუშებს არ ენდობოდა, შავ სამუშაოსაც თვითონ ეძალებოდა, რომ მიწასა და ღორღს რაიმე ფასეული არ გაჰყოლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიღალა.

მდინარის პირას, შრიალა ჭადრის ძირში მივიდა და ხის ძირში გულაღმა წამოწვა. ხელები თავქვეშ ამოიდო და ზეცას შეხედა.

– ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ. ერთი რამ დარჩა უცვლელი. მიწა და ზეცა. მიწა, რომელზეც ახლა ვწევარ და ზეცა, რომელსაც გავყურებ. ეს არის საზღვრები, რომელშიც ათასი ცივილიზაცია აყვავდა და დაინგრა.

დიახ, ყველაფერი ინგრეოდა მიწისა და ზეცის გარდა. დღეს ახალგაზრდა არქეოლოგი მერაბ ცანავაც ერთ-ერთი კოლხური ქალაქის ნანგრევებზე წევს და ზეცას აჰყურებს. ერთი თვეა ღამეს მინდორში, კრუალებისა და ჭრიჭინების გვერდით ათევს სახელდახელოდ შეჭედილ ოროთახიან ფიცრულში. ახლა კი ვინ იცის, რომელიმე დიდებულის ოთახში ან აბანოში წევს ან მზის ტაძრის სამსხვერპლო ქვასთან გაშოტილა.

ო, მზეო, მზეო, შემწირე ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის ზვარაკად.

ამ გაფიქრებაზე ცოლ-შვილი მოაგონდა. მეუღლე და სამი შვილი, რომლებიც ერთი თვეა, რაც არ უნახავს. ის კი გულაღმა უსაქმურად წევს მდინარის პირას და ზეცას აჰყურებს. იქნებ უიღბლობის ნიშანია პირველი არქეოლოგიური ექსპედიციის წარუმატებლობა, ან იქნებ ბიძგია მეტის გასაკეთებლად. ჯანდაბას, ერთხელ კიდევ ეკვეთება ამ ნამსახლარს და...

„ჯანდაბას“ – ეს სიტყვა რომ წარმოსთქვა, მარჯვენა ხელი მიწას დაჰკრა და მიწამ ისეთი გუგუნით უპასუხა, აი გულ-მკერდზე რომ დაიბრაგუნებ ხელს და ხმა შიგთავსის სიცარიელეს გამცნობს. ერთხელ კიდევ დაჰკრა ხელი მიწას და ისეთივე გუგუნით უპასუხა პაწია შემაღლებულმა ბექობმა, რომელზედაც წელან თავი ედო და ბალიშის მაგივრობას უწევდა. მიწას რომ დახედა, ასეთი ბალიშისმაგვარი შემაღლება ერთი კი არა, ხუთი აღმოჩნდა.

ხელთ მხოლოდ პაწია ჯიბის დანა ჰქონდა. იმ ბალიშ-გორათი დაიწყო, რომელზედაც თავი ედო. მოსახმარებლად ჯერ არავის შეხმიანებია. მწვანე მოლი ამოჭრა და ფოფვა დაიწყო. ნახევარ მეტრზე რომ ჩააღწია, დანა ქვაზე გახრჭიალდა. იმედგაცრუებისა და ხრჭიალის გამო ტანში გააჟრიალა.

– ქვა ყოფილა. ის დანარჩენი ოთხი შემაღლებული ადგილიც, ალბათ, ქვებია და მეტი არაფერი.

მაგრამ ქვის ქვეშ?!.

ეს სამუშაო კი დანით შესასრულებელს აღემატებოდა და მუშებს გასძახა:

– ბიჭებო, ბიჭებო, თოხები და საჭრელები ბარები მოიტანეთ და აქეთ მოდითო.

მუშებმა ქვას ირგვლივ მიწა შემოათხარეს და მიწაში ქვაკირით დაგმანული კოლხური ამფორა აღმოჩნდა.

– ამფორა. მოსალოდნელიც იყო ყოველ ადგილას, – თქვა მერაბ ცანავამ.

– ფრთხილად, არ აამოძრაოთ, როგორმე მთელი შევინარჩუნოთ.

ამფორა კი უკვე, ვინ იცის, რამდენი ათასი წლის შემდეგ, ცერზე იდგა და კოლხურ მზეზე შრებოდა.

ახლაგაზრდა არქეოლოგს სულსწრაფობამ სძლია და თავისი ჯიბის დანით ამფორაში ჩაჭედებული ქვის ამოძრობა დაიწყო.

ფრთხილად მუშაობდა. შემდეგ ქვა ამოძრავდა და ადვილად ამოვარდა, ამფორაში კი ისევ ათასწლეულების სიბნელე მეფობდა. ჯიბის ფარანი ამოიღო და შიგ ჩაანათა.

– ამფორაში ასე, ხუთი-ექვსი წლის ბავშვის ჩონჩხია, – თქვა მერაბმა და ექსპედიციის წევრებს გადახედა.

– ამფორაში ბავშვის ჩონჩხი? – გაიკვირვეს მუშებმა.

– დიახ, ძველი კოლხები გარდაცვლილ ბავშვებს ამფორებში კრძალავდნენ...

ასე გათხარეს დანარჩენი ოთხი ამფორაც და ყველაში ბავშვების ჩონჩხი ინახებოდა. ჩონჩხების სიგრძე-სიმოკლე მათ შორის ასაკს მიანიშნებდა. აქედან გაჩნდა ვარაუდიც, რომ ამფორებში ჩაკრძალული ბავშვები ერთმანეთზე თითო წლით უფროსუმცროსი და-ძმები იყვნენ.

გათხრები გრძელდებოდა.

მერაბ ცანავამ მოსვენება დაკარგა.

– მერაბ, ადრე წამოწოლილიყავი მაგ ჭადრის ძირში, ამხელა სიზმარს თუ ნახავდი. – ეხუმრებოდნენ მეგობრები.

გიული მიქაძე, ეს ლამაზი, აზიზი გოგოც კი მუშებივით დაკაპიწებულიყო და სამარხებში იდგა.

ამფორათა სამარხი რომ დამთავრდა, ქალის სამარხი გამოჩნდა. ჩატანებული ძვირფასეულობებისა და სამშვენისების სიმრავლის გამო, არქეოლოგებმა იგი დიდგვაროვან კოლხ ქალად და ამ ბავშვების დედად შერაცხეს. თანაც, ჩატანებული ნივთებიც და სამშვენისებიც ადგილობრივი, კოლხური იყო. ბუნებრივია, იგი ამ ბავშვების დედა, კოლხი დიდგვაროვანი ქალი იყო.

გათხრები გრძელდებოდა.

და...

დედის სამარხის მერე სხვა ქალის სამარხი აღმოჩნდა. ჭურჭელი და სამკაულები მთლიანად უცხო. არც თავის ქალის მსგავსება შეინიშნებოდა კოლხი

ქალის თავის ქალასთან. აშკარად ეტყობოდა, რომ იგი ასევე დიდგვაროვანი, მაგრამ უცხო ტომის ქალი იყო.

ექსპედიციის მუშაობა მარტო ამითაც რომ დასრულებულიყო, მას უთუოდ წარმატებული ეთქმოდა, მაგრამ...

დიდგვაროვანი უცხოელი ქალის გვერდით ისევ ხუთი ბავშვის სამარხი აღმოჩნდა, რომლებიც ამფორებში არ იყვნენ ჩადებულნი.

ამ მონაპოვარმა კი მეცნიერული აღმოჩენის შეფასება ერთობ გაართულა.

— რას უნდა ნიშნავდეს ხუთი ბავშვი ამფორებში დაკრძალული და ხუთიც — უამფოროდ, ესე იგი, კოლხური ტრადიციის გარეშე? ორივე ხუთეულის წინ სხვადასხვა ეროვნების დედაა დამარხული.

— მკვლელობა?!

კითხვას სვამდა მერაბ ცანავა.

უცხო ტომის ქალის გვერდით დაკრძალული ბავშვების ჩონჩხი მთელი იყო, ხოლო ამფორებში მყოფთა ჩონჩხები ჯერ ასე დაწვრილებით არ იყო შესწავლილი.

როცა ამ ვერსიით დაინტერესდნენ, აღმოჩნდა, რომ ამფორებში მყოფი ბავშვების თავები ტანს მოშორებულნი, გვერდით იდო და ხერხემლის თავთან შეერთების ადგილს ძალადობის ნიშნები ეტყობოდა. ეს ბავშვები არქეოლოგებმა თავმოკვეთილ ბავშვებად მონათლეს.

ეჭვსგარეშე იყო, რომ ერთი კოლხური ქალაქის ტრაგედიის წინ იდგნენ, მაგრამ არავინ იცოდა, ვისი ბოროტი სცენარი ედო საფუძვლად ამ ტრაგედიას, რომელიც, ალბათ, რამდენიმე ათასი წლის წინ ამ ქალაქის მცხოვრებთ შესძრავდა და შეაძრწუნებდა თავისი სისატიკით.

●

დაღამდა. მერაბ ცანავს მოხსენებითი ბარათი უნდა დაეწერა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე და მოკლე შეჯამება გაეკეთებინა არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ.

იგი იჯდა სახელდახელოდ შეჭედილ ფიცრულში, ალბათ, ძველი კოლხური ქალაქის მოედანზე და წერდა...

ხვალ ცოლ-შვილი ჩამოვა თბილისიდან. მაშინ პირველხილვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს ემოცია გადაფარავს. მას დღეს უნდა დაეწერა ის, რაც ეს-ესაა იხილა და რასაც მთელი ღამე წერდა.

წერდა ერთი კოლხური ქალაქის კოშმარული ტრაგედიის შესახებ. მაგიდაზე დანთებულ სანთელს მთვარე თავის ნათელს უმატებდა და იგი მთელი ღამე ქალაქის ქუჩებში „დადიოდა"...

●

კოლხეთის ჯარი სკვითთა ნიმფეებს შესდგომოდა. იქცეოდნენ აგურისა და ალიზის კედლები და მტვრის ვეებერთელა კორიანტელის ღრუბლით ძირს წვებოდნენ. მეფე სასახლის ერთ დარბაზში ცხენდაცხენ მიეჭრა მტრის მხედართმთავარს, მეფეს სპასალარმა დაასწრო და გზა გაუკაფა გვირგვინოსანს. სასახლეში შეჭრილი ცხენები ჩლიქებით ფშვნიდნენ ისედაც დამსხვრეულ კრონოსულ და ათენურ ჭურჭელს.

— მტერი დამარცხებულია, იყავით გულმოწყალენი და შემწყნარებელნი ბავშვებისა და ქალებისადმი. არც ამ ძვირფასეულობის განადგურებაა საჭირო, — მიუბრუნდა მეფე ამირსპასალარს.

— მართალს ბრძანებ, მეფევ, მაგრამ წინა სასახლის ერთი დარბაზიდან ბუნიკებითა და ხანჯლებით აღკაზმული ქალთა გუნდი გამოვარდა და... ხმლის დადუმება არ ეგებოდა, რადგანაც მათ უკან მამაკაცები მოდიოდნენ. ეტყობა, მტერმა გაიგო ჩვენი ლმობიერება ქალებისადმი.

მეფის დუმილი იმას ამბობდა, რომ მაშ, კარგი, სადაც ჯერ არს, თქვენი გულმოწყალებით იმოქმედეთ და სადაც საჭიროა, არაფერი მოაკლოთ კოლხთა გამარჯვებას. როგორც შეძლებთ, იქნებ დაუმსხვრეველგაუნადგურებელი შეინარჩუნოთ ეს ულამაზესი ნადავლიც. ყველა გამარჯვება ხომ მტრის დამარცხებითა და ალაფის სიმრავლით ფასობს.

ამ ციხე-დარბაზს ზედ ეტყობოდა, რომ ერთ-ერთი ძლევამოსილი დიდებულის სახლ-კარი იყო, რომელშიც შერწყმულიყო სიმდიდრე და გემოვნება, ხელოვნება და აზრის სინატიფე. თუმცა ეს ყოველივე მტრისა იყო, მეფეს მაინც გულს სჭეჭკავდა მისი ცხენების მიერ დათელილი დარბაზები.

უცებ, მეფის ცხენი მუზარადიანი შუბლით, რომელიღაც ქანდაკებას დაეტაკა. ქანდაკება კედელთან იდგა და გარედან მასიური, ჩამოსხმული ბრინჯაოსი ჩანდა, მაგრამ ცხენის დატაკებისას ლითონი ზრიალით მოშორდა კედელს და მეფის წინ შუბლით დაენარცხა იატაკს. და... ვაი, საოცრებავ, ამ ქანდაკების უკან იდგა ნამდვილი ქანდაკება, ასე, ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონა და შიშისაგან გრძელ-გრძელ წამწამებს აფახურებდა. წელი შიშველი ჰქონდა და მარცხენა ფეხს ვარდისფერი, თხელი ქსოვილი ემოსა. მარჯვენა ფეხი მუხლამდე შიშველი ჰქონდა და მუხლს ქვემოთ ძვირფასი თვლების ასხმა შემოხვეოდა. შუბლზე, კუნაპეტ თმაში ჩაკარგულ ოქროს ჯაჭვზე ვეებერთელა ზურმუხტის თვალი ეკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე მიხვდა, რომ ქალიშვილი, ბრინჯაოს შიგნით, ცარიელი ქანდაკების უკან მიმალულიყო. ჯერ მის გონიერებაზე გაეცინა, მერე მისმა სილამაზემ მოსჭრა თვალი.

ბრინჯაოს თუმცა ლაბაზი, მაგრამ ამ გოგოს სილამაზესთან ვერმიწვდენილი ხელოვნება მიწაზე დანარცხებულიყო ქალიშვილის წინ.

– ნუ მომკლავ, მეფევ!

ამოთქვა თავის ენაზე კედელზე ქანდაკებასავით ატუზულმა გოგომ.

ოცდაოთხი წლის მეფეს წამით დავიწყებოდა, რომ მტრის ქალაქი ისევ ფეხზე იდგა, თუმცა მისი ბასტიონები ბრინჯაოს ქანდაკებებივით წამდაუწუმ ეცემოდნენ, მაგრამ თვალი მაინც ვერ მოაშორა ასულს, რომელშიც ახლა თანაბრად ბუუტავდა შიშიც და იმედიც.

– ნუ მომკლავ, მეფევ!

კვლავ ამოთქვა გოგომ.

ოვალური ფანჯრიდან მტვრის კორიანტელი შემოვარდა და მეფესა და გოგოს შორის ჩადგა. მერე ბურუსი რომ დაწყნარდა, მეფე გონს მოეგო.

ჯერ კიდევ ახლოს არ იყო გამარჯვება. თავად დატუქსა თავისთავში ჩამჯდარი ცდუნება, რომ წუთით მოწყდა ბრძოლის ველს.

წარბები შეიკრა, ქალიშვილს ზურგი აქცია და სპასალარს მიაძახა:

– სამშვიდობოს გაიყვანე!..

მერე თითქოს ეცოტავა ეს ჰაიჰარად თქმული სიტყვა და დაუმატა:

– არაფერი დაუშავდეს, მე თავად მოვიკითხავ!..

ეს თქვა და მეფემ დარბაზი დატოვა.

– ნუ მომკლავ, მეფევ!

კვლავ ხმიანობდა მეფის ყურებში გოგოს წკრიალა ხმა. ანაზდად მეუღლე მოაგონდა და ცხენს მათრახი გადაჰკრა. დედოფალი ყოველი ლაშქრობის შემდეგ ტყვეებს შემოივლიდა. განსაკუთრებით ლამაზ გოგონებს ვერ იტანდა. ზოგს თავისი ხელით შეურჩევდა საქმროს, ზოგი თუ სასახლეში დარჩებოდა, მის აზიდულ წარბებსა და მეკრულ შუბლს არაერთხელ გადაეყრებოდა ხან სად და ხან სად. ნიშნად იმისა, რომ სასახლეში ცხოვრება განსაკუთრებულ წესსა და რიგს მოითხოვდა, მისი უნაზესობა ავაზის სიფრთხილით ზვერავდა მეფის საწოლისაკენ მიმავალ ბილიკებს...

– ეს რა ფიქრები მომეძალა, თფუი ეშმაკს! მაცდურია დიაცის თვალები, მაგრამ ყურებში რომ ისევ ჩაესმის:

– ნუ მომკლავ, მეფევ!

– თფუი ეშმაკს, თფუი...

ჯერ კიდევ ქალაქის კედლები ვეება ურჩხულებივით დაჰყურებდნენ კოლხთა ჯარს. ქალაქის გასასვლელში მოისარნი გამოხტნენ და ისართა წვიმა დააყარეს მეწინავეთ.

– მთავარი ლაშქარი საჭირო აღარ არის. მტერმა იარაღი დაჰყარა უკვე. ვინძლო, გზის გამგნებნი წინ გავუძღვანოთ და კოლხეთისაკენ ვუქნათ პირი ლაშქარს, – თქვა ამირსპასალარმა.

– ისე ჰქმენ, როგორც საქმემ გიკარნახოს, – უთხრა მეფემ ამირსპასალარს და დაცემულ ქალაქს გაჰხედა.

– ვისაც სხვისი დაცემა სურს, თავად უნდა გამოსცადოს იგი. ბევრჯერ დამწვარან ჩვენი სახლები მათი ცეცხლითაც. ჩვენი ტყვეებიც დიოდნენ ბევრჯერ მათ გზებზე, ზურგში მათი მათრახების ტკაცუნით. კვდებოდნენ კოლხები საკუთარი ციხის კედლებთან, მაგრამ დღეს რატომღაც ძალუმად დაჰკოდა მეფის გული ახალგაზრდა ასულის მუდარამ:

– ნუ მომკლავ, მეფევ!

შუადღემდე ქალაქის დათვალიერებას მოუნდა. გულადი ბიჭები ჩააყენა მეციხოვნეებად და ქალაქისთავიც სანდო მიუჩინა...

და მიდიოდა კოლხთა ლაშქარი მშობლიური ქვეყნისაკენ. შუაში ტყვეებით, თავსა და ბოლოში კოლხი მოლაშქრეებით.

ტყვე ქალებისათვის უზარმაზარი ოთხთვალა შეეჭედათ და ასე მიჰყავდათ...

– ნუ მომკლავ, მეფევ!

და აგერ ისიც, ზის ოთხთვალაზე ღამისფერი თმითა და ცალ მუხლზე ძვირფასი თვლების მძივით. იჯდა ოთხთვალაზე, თავი ჩაექინდრა და ტიროდა. მიდიოდა ასული და თან მიჰქონდა მუდარით ნათქვამი:

– ნუ მომკლავ, მეფევ!

ზარ-ზეიმით გაიღო კოლხთა ქვეყნის ჭიშკარი. ურიცხვ ალაფთან ერთად ტყვეებმაც დაფარეს ქალაქის მთავარი მოედანი. სასახლის ბანზე მეფის სახლეული იდგა და მეფისკენ იმზირებოდა...

– მეფევ, ტყვეები საით დავაბანაკოთო, – ჰკითხა სპასალარმა.

გაუხარდა მეფეს, რომ კიდევ ერთხელ მიეცა შემთხვევა შეეხსენებინა:

– ის ასული ცალკე ოთახში მოათავსეთ...

– ეგრე იქნება, მბრძანებელო! – სიტყვა დაუბრუნა ამირსპასალარმა...

მიუხედავად იმისა, რომ დაღლილი იყო, პირველ ღამესვე მოინახულა მეფემ სკვითი ასული.

იგი ერთხელ კიდევ მიეკრა კედელს, როგორც მაშინ და ლალის ბაგეებით ჩაიჩურჩულა:

– ნუ მომკლავ, მეფევ!

მეფეს ახლა ხმამაღლა გაეცინა.

– არ მოგკლავ, სიყვარულისთვის მინდიხარ, ნუ მიფრთხი. მიყვარხარ და ჩემი მინდა იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თქმაზე სულ გადაირია სკვითის ასული. უხედნი ცხენივით ეკვეთა სარკმელს, მაგრამ მეფის ღონიერმა მკლავებმა გადაარჩინეს გადაჩეხვას...

არც დედოფლის ყურს გამოჰპარვია მეფის ახალი მიჯნურობის ამბავი, მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება მეფისათვის მეორე ცოლის მოყვანა მოეშალა.

ეს იყო, რომ სასახლის ეზოში ორი შუბლშეკრული კოშკი უყურებდა ერთმანეთს. ერთი ქვეყნის დედოფლისა, მეორე – სკვითის ასულისა.

ესოდენი პატივიც დასდო მეფემ „მეორე დედოფალს", რომ თან ჰყოლოდა თავისი ტომის ათი მცველი.

მეფეს კოლხი ქალიდან ხუთი შვილი ჰყავდა, რომელსაც სკვითმა ქალმა ხუთი წლის მერე თავისი ხუთიც მიუმატა.

ერთი დარდი სჭირდა უცხო ტომის ქალს. კოლხური სახელმწიფოს წესით და რიგით მეფის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ უფროსი ძე შვილი ცხადდებოდა.

– უფროსი ვაჟიშვილი უნდა გამოვასალმოთ წუთისოფელს, – ჩურჩულით უთხრა სკვით ასულს თავისი ტომის მცველმა.

– მაშინ მეორე დაიჭერს მის ადგილს...

კოლხი ქალის ნაშობი ხუთივე შვილი ხომ სკვითის ნაშობ ხუთივეზე უფროსნი იყვნენ.

– მოვკლათ ხუთივე!

გამოსცრა კბილებიდან სკვითმა მცველმა.

– ხუთივე?!

უპასუხოდ დატოვებული დასტური მისცა სკვითის ასულმა.

●

კოლხეთის მეფე ლაშქრად იყო.

ერთ დღეს, როცა დედოფალს გაელვიძა, საწოლში შესულ დედას ხუთი შვილის ტანს განშორებული ხუთი თავი უმზერდა.

კედლიდან გველის შხამის საწამლავი გადმოიღო, შესვა და შვილებს მიუწვა გვერდით.

მეფის ერთგულმა სამეფო კარმა შუშაში ჩარჩენილი გველის შხამი სკვითის ასულსა და მის ნაშიერთაც გაუნაწილეს.

და ასე მოუკვდა იმ დღეს კოლხეთს ათი შვილი. კოლხური წესის მიხედვით, კოლხი ქალის ნაშობნი ამფორებში ჩაკრძალეს და ამდაგვარად მიაბარეს მიწას დედის გვერდით, ხოლო სკვითის ქალისანი – დედიშობილა დაკრძალეს თავის დედასთან ერთად.

ბრძოლაში ვერვინ გაბედა მეფისათვის ეთქვა ეს ამაზრზენი ამბავი, მხოლოდ მობრუნებულს უთხრეს ქალაქის ჭიშკრებთან და მანაც ხანჯალი გულში ბოლომდე ივადა.

●

მერაბ ცანავამ ექსპედიციაზე ნარსადგენი მოხსენებითი ბარათი დაასრულა და მზეც ამოვიდა.

დილით მეუღლე და შვილები ჩამოვიდნენ თბილისიდან. ყველაფერი უამბო გუშინდელი აღმოჩენის შესახებ და ამფორებში თავდაჭრილი ჩონჩხებიც ანახა.

ბალახში ჭრიჭინები მღეროდნენ და არქეოლოგები ისევ მიწას თხრიდნენ.

თან მერაბს ეხუმრებოდნენ:

– მერაბ, ხშირად წამოწექი იმ ჭადრის ძირას.

– ჭადრის ძირას წამოწოლა არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ იმედგაცრუებულმა მიწას ტორი დავარტყი და ვთქვი: – ერთს კიდევ ვეკვეთები მიწას და მერე ჯანდაბას-მეთქი. კოლხური ქალაქის მეციხოვნემ სიტყვა „ჯანდაბა" „ჭანთ დაბად" გაიგო. თავისიანი, ანუ ჭანი ვეგონე და ქალაქის კარი ფართოდ გამიღო ამ აღმოჩენისათვის. დაბაც ხომ ქალაქს ნიშნავს ძველქართულად.

ყველას გაეცინა, მაგრამ ყველას მჭრქალ ღიმილში კოლხური ქალაქის ტრაგედიის სევდაც იკითხებოდა.

– ახლა ვიღას ეძებთ?

იკითხა მერაბის უფროსმა ვაჟმა.

– მეფეს ვეძებთ, მამი... – გატეხილი ხმით უპასუხა მერაბმა შვილს.

პატარა კოლხების ჩონჩხები ისევ მიწას მიაბარეს თავიანთ დედებთან ერთად.

გათხრების ველიდან რომ გამოდიოდნენ, მერაბის მეუღლემ არქეოლოგებში ერთ ლამაზ გოგოს ჰკიდა თვალი და მეუღლეს ჰკითხა:

– ის ლამაზი გოგონა ვინ არის?!

მერაბს გაეღიმა და ორაზროვნად უპასუხა:

– დაახლოებით ასეთივე კითხვა დაუსვა კოლხეთის დედოფალმა მეფეს, როცა ალაყაფების კარები გაიღო და სკვითის ულამაზესი ასული შემოვიდა სასახლეში. ამ ლამაზ გოგოზე კი გეტყვი, რომ იგი უნიჭიერესი არქეოლოგი გიული მიქაძეა.

– ჩემი მხრივ დავამატებ, რომ ქალთა უნარი დაკვირვებისა და შეცნობისა, ხუთი ათასი წლის განმავლობაშიც კი ოდნავადაც არ შეცვლილა და ჩვენ ისევე ცნობისმოყვარენი დავრჩით, როგორებიც ვიყავით.

ახლა კი გულნრფელად გაეღიმა მერაბს და მეუღლეს უპასუხა:

– ვხედავ და გეთანხმები!..

ველზე კი არქეოლოგები მიწას აბრუნებდნენ და ისე კითხულობდნენ, როგორც ოდესღაც წაკითხულ, მაგრამ დავიწყებულ წიგნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერპთამსხვრეველი

ჩემს მეზობლად ერთი კერამიკოსი ცხოვრობდა. მისი დღე და მოსწრება, წითელ თიხას ეზიდებოდა სოფლებიდან. ხვნეშოდა, ზელდა, ოფლს იწურავდა და იყო ერთ ამბავში.

სახელოსნო სარდაფში ჰქონდა. ჩადიოდა, ამოდიოდა, ფუსფუსებდა... მისი ნაღვაწის შესახებ რაიმეს თქმა არ შემეძლო. მე სარდაფში არ ჩავსულვარ და მისი შემოქმედება სადმე გამოფენილი არ მინახავს. ისინი არც რომელიმე წიგნში შესულა ილუსტრაციების სახით და მისი ოჯახის მეტს მისი შემოქმედება არავის ენახა.

რამდენჯერ მიფიქრია, ერთი მანახა, რა სიცოცხლე შესძინა ამ ჭაპანწყვეტით მოტანილ თიხას, რას მისდევს და რას აღმერთებს ხელოვნებაში, მაგრამ ჩემით ხომ არ შევეჭრებოდი სარდაფ-სახელოსნოში და მას თვითონ არასოდეს მივუპატიჟებივარ.

ალბათ, მართლა ვერასოდეს აღმოვჩნდებოდი მის სახელოსნოში, რომ არა მისი ძმა, რომელიც, როგორც ეტყობა, თიხის მოთხრასა და გადმოტანაში ეხმარებოდა და ელოდა, რომ ერთ დღეს მისი ძმის შემოქმედება აღიარებას მოიპოვებდა, მაგრამ ძალიან გაგრძელდა ეს დრო და... არადა, იმ კურთხეული სოფლიდან მოჰქონდათ ეს წითელი თიხა, რომელიც ფორმისა და აზრის მინიჭების გარეშეც ხელოვნება იყო და თუკი ოდნავ სულს შთაბერავდა ხელოვანი, გაცოცხლებული თიხა ცრემლებს გადმოღვრიდა და ატირდებოდა.

იმას მოგახსენებდით, არასოდეს მომიწევდა იქ ჩასვლა-მეთქი...

ერთ დღეს, განმარტოებით ეზოში მჯდომს, კერამიკოსის სარდაფიდან არაადამიანური ღრიალი მომესმა, რომელიც მერე ჩხუბში გადაიზარდა და ვხედავ, კერამიკოსის ძმა გარეთ გამოვარდა და ჩემკენ გამოემართა.

— ერთი წუთით, შენი ჭირიმე, ერთი წუთით ჩამოდი ჩვენთან სარდაფში. არ გაინტერესებს, რას შვრება შენი მეზობელი? რაზე კარგავს დროს?.. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით.

ჩემი თანხმობაც არ იყო საჭირო, ისე ძალად მივყავდი. არადა, მეც რამდენჯერ მიფიქრია იქ შესვლა და დღეს განგებამ ამ კაცის ხელით თითქმის ძალად შემაგდო კერამიკოსის გამოფენაზე.

სელის მოქსოვილ სკამზე კერამიკოსი იჯდა და ცოლი შუბლზე სველ ტილოს აფენდა. აქა-იქ დამტვრეული კერამიკა იატაკზე მიმობნეულიყო...

როგორც ჩემმა მიმპატიჟებელმა მითხრა, იგი დაილალა ამდენი თიხის სოფლიდან ჩამოტანით და შური თიხის კერპებზე იძია. დიახ, კერპებზე. თაროებზე ასობით თიხის კერპი იდო. ათას პოზაში, რომელთა ნახევარს თავში ჯოხი ჰქონდა დაკრული და საფეთქელგახეთქილი მიმზერდა. ზოგიერთს ისეთი მწუხარე სახე ჰქონდა, გეგონებოდა, კერამიკოსმა წინასწარ იცოდა მათი ბედი და ასეთი შექმნა, თითქოს საშველად მეძახდნენ შეძრწუნებული სახითა და ყვირილისათვის გაღებული ბაგეებით.

— მოდი, კაცი არა ხარ? ამას რომ კაცი გამოძერწავს? ა, აი, ამაზე დროს რომ მოაცდენს... მამიჩემის წითელი გორი, ზედ რომ წითელ კარტოფილსა ვთესამდი, სულ ამ დარბაზში ჩამომიტანია კალათითა და გოდრით. ვეუბნებოდი, გაყიდე, ორ შაურ აიღებ-მეთქი, ან გამოფინე სადმე, იქნებ ვინმემ თვალი ჰკიდოს. არადა, სახლში ცოლ-შვილი გიკვდება მშიერი.

— ა, მოდი, მოდი აქეთ. აგერ რომ კაცის თავს ხედავ, ვინ გგონია, ჩვენი სოფლის თავმჯდომარეა. ამისი ერთი თავი რომ დადის ამქვეყნად, იმას ვდარდობთ სოფელში და ამასა კიდევ, ჩემი ჩამოტანილი მიწით იმ მამაძაღლი თავმჯდომარის მეორე თავი არ შაუქმნია?..

და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უთხლეშია კერპთამსხვრეველს ჯოხი და გაუტეხია სოფლის თავმჯდომარის თავი.

— ნეტავ არ გეთქვა, კერპთამსხვრეველო, რომ შენი თავმჯდომარე თახსირი, წამგლეჯი და უცხვირპიროა. შენამდე მე ის შენმა საკარტოფილე წითელმა მიწამ მითხრა, — ვფიქრობ ჩემთვის.

— ა, აგერ კიდევ, აგერ რომ ქალი შაუქმნია, ამაზე უწესო, ამაზე ღვთისპირიდან გავარდნილი ქალი ჩვენს სოფელში არ დადიოდა შარაგზაზე. ამასა კიდევ ძეგლი დაუდგმია ამ ქალისთვინა. ის სულძაღლიანი ლამის ხუთი წელია ჩაძაღლდა და ჩემს ძმასა მეორედ არ გაუცოცხლებია, რომ კიდევ ერთხანს წაიიმასქნას?..

ახლა შენ დაჯექი და მითხარი, ამნაირი ქალების დახატვისათვის დღეს გროშსაც თუ მოგცემენ. აი, ეს მითხარი და მეტი არაფერი მინდა.

— ეჰ, შენ მართლა კერპთამსხვერველო, ჩემზე გეკითხა, ეს ვისი ქანდაკებაა და გეტყოდი, რაც თავად ქანდაკებამ მითხრა, მაგრამ ახლა რაღა დროისაა. ამ ქალსაც თავი გახეთქია და ეგ არის, რომ სისხლი არ გამოსდის.

— ბევრი ვაფრთხილე, ან გაყიდე, ან რაც გინდა უყავი-მეთქი. მერე ეს ჯოხი გამოვთალე. ფიჭვისა ან თხმელისა ხომ არ გგონია, შქერის ტოტს მეორე ტოტი რომ ებმის, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მოკლეზე მივაჭერი. მთელი ზაფხული ხმება და კერპდება და აი, ის ჯოხია ეს...

— ვიცი, ვხედავ კერპთამსხვრეველო. იქნებ ის სჯობდა, ეს ჯოხი შენი ძმისთვის დაგეკრა შუბლში და... ეს უფრო ადვილი იქნებოდა მისთვის, რადგან ამ სარდაფში ისეთი მაღალი ხელოვნება ჰყოლია დამალული თავისი გაუბედაობითა და ხელოვანის თანდაყოლილი სიმორცხვით, მშობლის სიყვარულით, რომელიც თავის „შვილებს" არასოდეს გაჰყიდის...

ამ გამოფენის შუა ნაწილს რომ მივუახლოვდი, კერამიკოსმა, რომელსაც შუბლზე სველი ნაჭერი ეფარა, მკრქალად გამიღიმა და ამით ყველაფერი მითხრა.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შუბლგახეთქილი, სისხლგადმომჩქეფარე მხატვრის გამოფენაზე მიმიწვიეს.

— რატომ ადრე არ ჩამოვედი, რატომ მე არ ვიაქტიურე. მე, მე უნდა შემოვჭრილიყავი. მე უნდა მოვსულიყავი აქ.

მივყვები ფიცარზე დალაგებულ ქანდაკებებს და ახლა სახეზე ღიმილგადაფენილ კერპებს გავუსწორდი, რომლებიც მიღიმოდნენ თითქოს და ამით მადლობას მიხდიდნენ.

კერპთამსხვრეველი შქერის გაკერპებული ჯოხით ამ ხნის განმავლობაში თან დამყვება.

— ხელოვნება ხელოვნებისათვის, მორჩა და გათავდა! რა უნდა ხელოვნებას ამასთან, ახლა გვერდით რომ მოყვება შქერის ჯოხით, რომლისთვისაც ქმნილება მარტო გასაყიდი საგანია. იყო წლები, ამ თქმისათვის ხალხი ჯვარს აცვეს. მე კი დღეს, ამ დამსხვრეული ქანდაკებების ფონზე, ამ აზრის სიმართლეში ვრწმუნდები...

ერთადერთი, რაც იმ წუთებში შევძელი, ის იყო, რომ კერპთამსხვრეველს მივუბრუნდი და ვუთხარი:

— დანარჩენებს ხელი არ მოჰკიდო, თორემ პოლიციას გამოვუძახებ!

კვლავ გაკერპდა კერპთამსხვრეველი.

— როგორ, კაცო, ჩემი ძმის სახლში მე მაპატიმრებ?!

— ეს შენი ძმის სახლი არ არის, ეს ხელოვნების სახლია, — ვუთხარი და სარდაფი დავტოვე...

კერამიკოსი მეორე დილით გარდაიცვალა.

ერთი კვირის შემდეგ ტელევიზიით, საგამოფენო დარბაზში მდგარი ლამაზი გოგონა ლაპარაკობდა:

— დღეს საგამოფენო დარბაზში გადმოიტანეს სულ ახლახანს გარდაცვლილი ნიჭიერი კერამიკოსის ბაჩანა ეგაძის უნიკალური გამოფენა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს. როგორც ხელოვნებათმცოდნენი აღნიშნავენ, ტრადიციულ ქართულ კერამიკას აქ ერწყმის შესრულების ორიგინალობა და ინდივიდუალობა, სინატიფე და ხატოვნება. როგორც გვაცნობეს, ამ გამოფენას მალე უცხოეთის დამთვალიერებელიც ნახავს. იგი ექვსი თვის განმავლობაში რიგრიგობით მოივლის საფრანგეთის, ჩეხეთის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების საგამოფენო დარბაზებს...

მთელ ღამეს თვალწინ მედგა შუბლზე თეთრნაჭერგადაფარებული კერამიკოსი და ჩემს თავს ვეკითხებოდი:

— ნუთუ მართლა ასეთი უზენაესი მსაჯულია იგი — უსაზიზღრესი გაქრობა ამქვეყნად, რომელსაც სიკვდილს ვეძახით, რომ ნიჭს თავისი ადგილი მივაკუთვნოთ. ან რატომ არის გზა ხელოვნებისა ამდენი აზრთამსხვრეველის ლაბირინთებში გასავლელი...

რატომ, რატომ...

ურომლისოდაც ხვალ ისედაც ყველა ყველაფერს გაიგებს...

ძველი სახლის დღიურები

მიტოვებული სახლი ქალაქის განაპირას იდგა. რამდენს ჩავუვლიდი, სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ, რატომ მიატოვეს? იქნებ ეპიდემიის გამო, იქნებ თავისი უსახურობის გამო ადგნენ და ნავიდნენ მისგან, ისე, როგორც შეუხედავ ქალს მიატოვებენ.

ამ სახლს არც ანგრევდნენ, არც რაიმეს უმატებდნენ. იდგა ერთნაირად. აქა-იქ სარკმლებგამოცლილი, სიბერესავით გადაქანებული და უსახური.

ხანდახან უპატიურნი და გზააბნეულნი შეეხიზნებოდნენ, ან დაბნეული პირუტყვი შევიდოდა მის ფარღალალად დატოვებულ პირველ სართულზე, ხოლო ხანდახან სახურავზე დატანებული სამტრედედან ღამურების დაფეთებული გუნდი შეერეოდა სიბნელეს.

თუკი შესაძლებლობა მქონდა, ყოველთვის გვერდს ავუვლიდი ამ სახლს. შორიდან შემოვუვლიდი და თვალს ვარიდებდი, რადგანაც იქიდან შელამებისას თავშეუკავებელი სიცილი და აღვირახსნილი ხმაური გამოდიოდა. ისეთი შემთხვევა იყო, მიტოვებულ სახლს ეშმაკები რომ დაეპატრონენ. თქვენ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიდგინეთ და, მისი ჩამტვრეული მინებიდან ერთხელ სიმღერაც კი გავიგონე, რომელიც მე მაშინ უპატიურთა სიმღერად მოვნათლე.

ერთი სიტყვით, ეს სახლი მძულდა, მაგრამ ხომ არის ხანდახან, კაცზე სხვა შეხედულებები გაქვს და გაცნობის მერე გეცვლება ან უცვლელი გრჩება ეს წარმოდგენა...

ერთ დღეს, ამ სახლის მოპირდაპირე ქუჩა რომ უნდა გადამეკვეთა, ზაფხულის შხაპუნა წვიმა წამოვიდა და ვიფიქრე, რა უნდა იყოს, მის ნახევრადჩამონგრეულ აივანზე შევიყუდრებ-მეთქი.

ქვის სამი-ოთხი საფეხური ავირბინე და კედელთან ავიტუზე. რაღაც ორი ფიცარი მიფარავდა, თორემ მთელს აივანზე წვიმდა.

ზღვიდან მონაბერმა ქარმა კარი ააჭრიალა და გააღო. ასე მეგონა, ამ საშინელმა სახლმა სტუმრად მიმინვია-მეთქი.

— მოდი, ერთი, შევალ. რა იყო წინათ, იმის გაგებას მაინც შევძლებ, ვინ ააშენა, ან ასე უმოწყალოდ ვინ მიატოვა-მეთქი.

უპატრონო სახლში ისე ვერ გაივლი, რომ იატაკზე შენი კვალი არ დატოვო. ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ჩემი ნაბიჯები კვალში მომდევდნენ, კვალში ჩამიდგნენ და შუა ოთახამდე მიმყვნენ. მტვერზე დარჩენილი ჩემი კვალი ახლა რომელიმე დეტექტიური წიგნის გარეკანად გამოდგებოდა...

მე ახლა იმ ოთახში ვიდექი, რომელსაც უპატიოსნო ღამის მთევარნი იყენებდნენ. კედლებს მათი შემოქმედებაც ეტყობოდა და წარწერები ზუსტად აღნუსხავდნენ რომელიმე მეძავის აქ ყოფნის საათს... და წუთებსაც კი. მარჯვენა კედელზე ერთი „ყოჩი" აქ თავისი სამოცდაათი ლაშქრობისა და მის მონაწილეთა სიას გვთავაზობდა. ძალაუნებურად, უხეშად შევადარე ბეჰისტუნის კლდეზე სპარსთა მეფის დარიოსის ცნობილი წარწერა: „მე სპარსთა მბრძანებელმან, დარიოსმან..." კედლები უხვად იყო დასურათხატებული უპატიურთა გამოფენითაც.

ამის ნახვის შემდეგ კიდევ უფრო შემზარდა ეს სახლი და მეგონა, მე ახლა უზარმაზარი ურჩხულის მუცელში ვიყავი, სადაც ნებაყოფლობით აღმოვჩნდი.

— მოდი, რაკი ეს ერთი ოთახი ვნახე, მეორეშიც გადავალ. ვნახავ და მერე ცაც რომ ჩამოინგრეს, აღარასოდეს შევეყუდრები მის ჭერს-მეთქი.

უპატრონო სახლი!

სახლი, რომელსაც დღიდან აშენებისა, პატრონის ხელი არ მიჰკარებია... აქ ყველაფერი ინგრეოდა და ილეწებოდა, მაგრამ...

მაგრამ, როგორც ჩანს, თვითგალამაზების უნარი არა მარტო ადამიანებს დაგვჩენია ბუნებიდან. ღელის ქვები ხავსის ხავერდებით ლამაზდებიან. მაღალი, გამხმარი წიფლის ტანზე სურო მიცოცავს და სიცოცხლით რთავს სიკვდილს, ქალაქის სანეხვეს თეთრი თოვლის თავშალი გადაეფარება და დაფარავს თავისი უნაზესი სითეთრით...

მიტოვებული სახლის კედლებს კარგა ხანია დაუკარგავთ იმედი, რომ მათ უსახურობას ვინმეს ხელი სასიკეთოდ შეცვლის, შელებავს ან შეათეთრებს. და მიტოვებულ სახლს თავის თავზე თვითონ უზრუნია. უპატიურთა ოთახისაგან განსხვავებით, აქ სხვა მდგომარეობაა. ჭერიდან და კედლებიდან ობობებს ვეება ჰამაკები დაუშვიათ ძირს. თუ ჩემს ნაკვალევს არ ჩავთვლით, აქ ყველგან ნაცრისფერი ხავერდის მტვრის საფენია. ერთ მასიურ კედელთან პიანინო დგას, რომელსაც დედაბრის ერთი კბილივით, ერთი კლავიში შერჩენია. ფანჯრების მინები სიბინძურისგან სუბტროპიკების მწვანე ლოპრით დაფარულა და ეს ჭერიდან დაშვებული ობობას ჰამაკები, ერთკლავიშიანი პიანინო, მწვანე ლოპრით შელებილი სარკმლები და იატაკის ნაცრისფერი ხალიჩა, ჩემი სამი-ოთხი ნაბიჯით, გაბედული მხატვრის უაღრესად მოდერნისტულ ნახატს მაგონებს.

ასე მგონია, რომელიღაც სპექტაკლის დეკორაციების შუაგულში ვდგავარ...

უპატრონო სახლი!

ნეტავ, რა დააშავა ისეთი, რომ ასე უმოწყალოდ მიატოვეს?

ჩაჟანგებული კარების ანჯამების-ჭრიალმა გამცა პასუხი, მაგრამ...

კედლიდან ალბატროსის მტკივან ფრთასავით ჩამოგდებული, ნახევრად ჩამოგლეჯილი შპალერი ქანაობს. ვინ იცის, იგი რამდენი წელია ამ ყოფაში ედავება ქარებს... ვინ იცის...

კედელთან მივედი, შპალერის ნახევს ხელი ვკიდე და ქვევით ჩამოვწიე. წლებისგან გახევებული ისე გაუხეშებულა, რომ არც კი ჩამოიხია. მაშინ ძალით ჩამოვფხრიწე ერთი დიდი ნაგლეჯი. ოდესღაც ბაცი ვარდისფერი თეთრი ყვავილებით.

მეორე ადგილას უფრო დიდი ნაგლეჯი მოვაფხრიწე კედელს და ჩემს ფერხთით რვეულის შეყვითლებული ფურცლები დაცვივდა. უპატრონო სახლის კარებმა ისე გაიჭრიალეს, გეგონებოდა, მთელ სახლს გააჟრიალა ტანში...

მე ახლა ობობების სამფლობელოში ვიყავი და მათი სათვალთვალო თოკები რომ შეირხნენ, ჩემს ტანზე ათობით ობობა მიბობღავდა ჩემზე შურისძიებით ანთებული.

ამირან ხაბაზი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრ-ყვითელი ფურცლები ხელში ავიღე. იმ სინათლეზე, რაც ფანჯრიდან აღწევდა, იმის ნაკითხვა მოვახერხე, რომ ყვითელ ფურცლებს პირველ გვერდზე „დღიურები" ეწერა.

ოთახის მტვრისგან ისე ვიყავი სულშეხუთული, რომ იმ ოთახში ამის მეტის წაკითხვა არ შემეძლო. სხეული ობობებითა და ფილტვები მტვრით მქონდა სავსე.

უპატრონო სახლში ჩემი შესვლისა და გამოსვლის კვალი დავტოვე, მე კი მთელი ღამე სახლის პატრონის დღიურებს ვკითხულობდი.

დღიური პირველი

გუშინ ზღვას გავყურებდი. თედუნაც თან მყავდა. ვუთხარი, აი, შორს, შორს, კავკასიონი რომ მოჩანს, მამაშენი იქ იბრძვის-მეთქი.

პაწია თითი გაიშვირა და მითხრა: მამიკოსთან წამიყვანეო...

ჩვენ კარგად ვართ. არა გვიშავს. ვწერ ამ წერილებს, მაგრამ არ გიგზავნი. როცა დაბრუნდები, იმ დღისათვის ვინახავ. არ მინდა ჩემი მდგომარეობით გული დაგიმძიმო. რომ მობრუნდები და ამ დღიურებს იმ იმედიან წერილებს შეადარებ, რომელსაც გწერდი — ვიცი, დამტუქსავ... ან რის გაკეთება შეგიძლია ახლა, საბრალოვ. ალბათ, სადმე სანგარში ნევხარ და ტყვია გაწვიმს. ვიცი, იმ წუთსაც ჩემზე და თედუნაზე ფიქრობ.

თედოს მუსიკას ვასწავლი. სულ შენი სმენა აქვს. ყველაფერს ადვილად ითვისებს.

პირველად ხელი რომ მთხოვე, ხომ გეუბნებოდი, ამ სიშორეზე ნუ წამიყვანმეთქი. ახლა ჩემიანებს რომც უნდოდეთ, ვერც ჩამოვლენ. მე კი იქ წასვლა და შენი კერის გაციება არ მინდა. ჩვენს ბუხარშიც ამოდის კვამლი და შენს პატარა სახლს შენი ოჯახი ჰქვია. გაჭირვებით როგორ არ მიჭირს. აი, სწორედ მაგიტომ არ გწერ ამ წერილს. ოღონდ შენ დამიბრუნდი საღ-სალამათი და იდოს ეს წერილი შენი თვალების მოლოდინში, რომ ერთ დღეს დაბრუნდები და...

დღიური მეორე

ძალიან გაგვიჭირდა. მთელი კვირა ღომით გამყავს ბავშვი. გუშინ ნანას გიგლას ხაჭოიანი პური გამოგლიჯა ხელიდან და სახლისკენ გამოიქცა. ძალად წავართვი და გიგლას დავუბრუნე. თედოც ტიროდა, მეც და ასე მგონია, მაშინ შენც ტიროდი ცხრა მთას გადაღმა.

დღიური მესამე

არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, ამ დღიურებს რომ ვწერ, მაგრამ მე ხომ ახლა შეფასებისა და ავ-კარგის გარჩევის გრძნობა კი არა, არამედ შენთან საუბრის სურვილი მაწერინებს. ავალ გივისთან მინდა მივიდე, შენი ამხანაგი რომაა... როგორ არ იცი. იცი, იცი. უბრალოდ, არ გაგახსენდა, თორემ... თუმცა რაა გასახსენებელი. ადრე კვირა არ მახსოვს, რომ ჩვენთან არ მოსულიყო სადილად. გაგახსენდა, ხომ?.. იქნებ თავის სასადილოში დამაწყებინოს მუშაობა. მაშინ მე და თედუნა უფრო ადვილად გავიდოდით. პური მაინც არ მოგვაკლდებოდა... გუშინ ძლიერი ქარი იყო და ჩვენ სახლის წინ რომ ბებერი ფიჭვი იდგა, ძირიანად მოთხარა. მე თვითონ დავაპე, ხერხს მარინა დეიდა მიწევდა. თედუნაც ხვნეშოდა და ორ-ორ ღერს ეზიდებოდა, თანაც მეუბნებოდა, „მიწელე მამიკოს, მე ლომ გეხმალებიო".

გთხოვ, მაპატიო ასეთი წერა. ასე მგონია, შენ გესაუბრები. ამას, რასაც ფურცელს ვანდობ, სხვას ვერავის ვეტყვი. როცა დაბრუნდები, სიამოვნება გელის — ამ ჩემი ნაცოდვილარის კითხვა.

ხუმრობა ხომ არაა...

ახლა თედუნას სძინავს, მე კი ვწერ, რომ ეს დღეები შეგინახო. შენ ხომ ამ დღეებს ვერასოდეს ნახავ. ისინი ჩავლილნი დაგხვდებიან, როგორც გაზაფხული, ზაფხული... როგორც შემოდგომის ფოთლები...

ხო, ხვალ გივისთან მივდივარ. მაშინ იქნებ მეზობლის პური არ შეეხარბოს შენს თედუნას.

იქნებ...

დღიური მეოთხე

... ასეც ვფიქრობდი, რომ გივი ყურადღებას მომაქცევდა. ხომ მოგაგონდა ცალხელა გივი. სხვათა შორის, ხელი გაუკეთებია, მაგრამ ისე სჯობდა, ეს არაბუნებრივი, შავი მოქანავე ხელი რაღაც საშიშ შთაბეჭდილებას სტოვებს. თავად კი კმაყოფილია.

დიდი ჯაფა არ მადგას. ეგ არის, რომ შენ გვენატრები. პურიც აღარ გვაკლია... თედუნა მშვენივრად მღერის. ვიცი, დაბრუნების შემდეგ ამას რომ წაიკითხავ, იტყვი: მე რომ ვიბძოდი, თქვენ მღეროდითო... ისე, ხუმრობით მეტყვი, ხომ? ხუმრობით, თორემ ისემც მტერმა იმღერა, ჩვენს სიმღერას რომ სიმღერა ჰქვია.

დღიური მეხუთე

ეტყობა, ხალხის ცნობა არ ვიცი. გივი ერთი დამთმობი, წყნარი და მიმტევებელი კაცი მეგონა. სასადილოდან თეფშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმქონდა სამრეცხაოში. ერთი თეფში გადმომივარდა და გატყდა. ბავშვიც თან მახლდა... ამაზე სულ გადაირია: თუ მუშაობა გინდა, ბავშვი მეზობელს დაუტოვეო. მე ეს ვერ გავაკეთე და მთელი კვირა სახლში ვიჯექი. ნახევრად მშივრები ვიყავით.

დღიური მეექვსე

მე ისევ ვმუშაობ. რა ძნელია მუშაობა იმასთან, ვინც გეჯავრება. არა, მაინც უნდა გითხრა. ხომ არ გამიწყრები სიმართლისათვის?.. გახსოვს? ერთი კაცი რომ გამომედევნა პარკში საღამოს. რამდენი იცინე, ეს რომ მოგიყევი... ეჰ, თემო, შენი სიცილი, შენი ლამაზი სიცილი... როგორ მაკლია. თურმე, რა ბედნიერი ქალი ვყოფილვარ და არ მცოდნია...

ჰო, გადამცილდა, იმას გიყვებოდი. რაღაც საშინელი შესახედაობა აქვს თავისი შავი მოპორწიალე ხელით ამ გივის. ერთ დღეს სამრეცხაოში რომ ვარ და თავი მარტო მგონია, მოვიხედე და... გივი, თავისი მოპორწიალე ხელით. ისე შემეშინდა, ბოლო თეფში ისე მაგრად დავდე დანარჩენებზე და გავიქეცი, რომ ერთი ათი თეფში ჩამოვარდა მაგიდიდან და დაიმსხვრა.

ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ მეორე დღეს არაფერი უთქვამს. ორ-სამჯერ შევნიშნე, შორიდან იდგა და მიყურებდა თავისი მოპორწიალე შავი ხელით... თედუნა მეუბნება: „დედიკო, გივი ბიძია იმ მეოლე ხელს ლატომ ალ იბანს, ელთი ხელი შავი ლომ აქვს და მეოლე თეთლი...“

ეტყობა, შენს გივის ხელიც შავი აქვს და გულიც. სულელი ხომ არა ვარ, მისი მზერა ვერ ავხსნა... ისე, შენ ხარ დამნაშავე, ასეთი კაცი ოჯახში რომ შემომიყვანე და მიმასახურე. არ უნდა იცოდე, ვინ მოგყავს სახლში?

ეჰ, ისევ შენ გაგამტყუნე. ალბათ, სადღაც სანგარში გაყინული და გათოშილი. არ მიწყინო, გამიგე. ისეთი ჩხუბიც მენატრება ცოლ-ქმარს შორის, რომელიც ალერსი უფროა, ვიდრე ჩხუბი. რა მაგარი ქალი ვიყავი შენით, ახლა კი ვიღაც ცალხელას აჩრდილი ჩამდგომია კვალში.

დღიური მეშვიდე

რა ჰქვია იმ მდგომარეობას, ახლა რომ მე ვარ? შიში. შიში საკუთარი თავის დაკარგვისა... მე ჯანდაბამდე გზა მქონია. შიში შვილის დაკარგვისა...

შიში.

უფრო მეტიც, რომელიც სიტყვით არ გამოითქმება. იგი შიშზე მეტია. მისი გამოსახატავი სიტყვა არ შექმნილა.

ძრწოლა!

არა, არც ეს!

არა, არა...

დღიური მერვე

არა, არ უნდა დამეწყო დღიურების წერა. მინდა ხმამაღლა ვიყვირო, რომ არა ვარ გულწრფელი, არა ვარ მართალი...

... და მაინც ვწერ...

დღიური მეცხრე

ალბათ, მალე დღიურების წერას შევწყვეტ.

დღიური მეათე

ჩვენი ლამაზი სახლი. ალბათ, ძლიერ გენატრება. გახსოვს ჩვენი ქორწილი? ჩვენს უკან მოზეიმე მაყარი. ჩემი ფეხსაცმლით გატეხილი თეფში. თედუნასთან განათევი პირველი ღამე. უძინარი ღამე, რომ ჩვენ შვილი გვეყოლა.

გახსოვს?

შენი უწყება სამხედრო კომისარიატიდან. ფრონტზე შენი გაცილება და შენი ირაოს ფრთასავით ფართო ხელის დაქნევა.

?!

დღიური მეთერთმეტე

მაპატიე.

მე უკვე წავედი არა შენგან, არამედ ჩვენი სახლიდან. თუკი ოდესმე ამ დღიურებს წაიკითხავ, დიდი ფიქრი არ დაგჭირდება, მიხვდები ვისთან წავედი თედუნასთან ერთად... აპრილში ბავშვს ველოდები...

ვკეტავ სახლს და მივდივარ, რადგანაც მე აღარ მაქვს შენს სახლში ყოფნის უფლება...

ჩვენი ფართე ოთახი პიანინოთი. ჩვენი შეუღლების მეორე დღეს კედელზე ბაცი ვარდისფერი შპალერი რომ გავაკარი. ორივენი ხელებით რომ ვეფერებოდით კედლებს, შპალერს ისე ვერ გააკრავ, კედელს თუ არ მიეფერე.

დიახ, ჩვენი ფართე ოთახის კედლებს ვეფერებოდით. დღეს მინდა ეს შპალერი ფრთხილად ჩამოვახიო კედელს, მივანებო და შეგინახო. იმ კედელში ჩაგიტოვე ჩემი და შენი სიყვარულის დღეები. სანამ? მანამდე, როცა შენს სახლთან ახალი მაყარი მოდგება. მეორე დღეს ამ გახუნებულ ქაღალდს რომ ჩამოხსნი, მაშინ ნახავ ჩემს დღიურებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კი ისევ, როგორც მაშინ, თქვენ ისევ მიეფერებით კედლებს და ახალ შპალერს გააკრავთ...

შენ ნამდვილად გაქვს ამის ღირსება და უფლება, ვაჟკაცობაც, რომ ეს დღიურები წაიკითხო. მერე კი, თუ გინდა, ნება-ნება გაატანე ქარაშოტებს, ვით ჩავლილი გახუნებული და გარდასული დღეები...

არა, შენ იქნებ მაპატიო კიდეც, მაგრამ მე, მე აღარ მაქვს შენს ჭერქვეშ ცხოვრების უფლება.

მე სამარადისოდ მივდივარ!

●

მთელი ღამე მიტოვებულ სახლზე ვფიქრობდი.

თურმე ის მოჭრიალე კარები კი არ ჭრიალებდნენ, უთქმელი სევდით ტიროდნენ. ის შპალერი, მე რომ კედელს ჩამოვახიე, დანგრეული ბედნიერების უკანასკნელი ფრთა ყოფილა. ის პიანინო, ერთი კლავიში რომ შერჩენოდა, ამ სახლში თქმული სიმღერის ბოლო კრინი იყო.

არა, ხვალ დილითვე უნდა მივიდე და ეს დღიურები თავის ადგილას დავაბრუნო. მერე წებოთი ისევ მივაწებო კედელს და ამით მცირედით მაინც გავამრთელო სახლის ტკივილი...

ღამის ქარს ხეები მიმოუქცევია. ზოგან ბაღები აუწეწავს. ზღვა გაგიჟებული ასკდებოდა ჯებირს და ნაპირზე ამოდენა ფაფუ ობდა.

მივდივარ, რომ იმ ოთახში ჩემი კიდევ ერთი შესვლა-გამოსვლის კვალი დავტოვო და რაც მთავარია, ეს ტკივილიანი დღიურები დავუბრუნო ძველ სახლს.

ის კი ვერ დაბრუნდა, ალბათ, რომლისთვისაც ეს წერილები იწერებოდა. ის ცოცხალია თუ... ვინც ამ დღიურებს წერდა.

მაგრამ, საოცრებავ!

შორიდან შევნიშნე, რომ ძველი სახლი თავის ადგილზე აღარ იდგა. წუხანდელ ქარს ჭერი ძირს დაენარცხებინა და ახლა თუნუქის ფურცლებს აქეთ-იქით უნაცვლებდა ადგილს.

სახლი, ეს ტანჯული და უპატრონო სახლი...

მაგრამ ამ დღიურებს რა ვუყო, რომელ კედელში ჩავატანო, ნიშნად ტრაგიკული სიყვარულისა...

მერე მისი დამწერის სურვილი გამახსენდა: „ქარს გაატანეო" – მეუღლეს რომ წერდა. ანაზდად ხელი შევუშვი გაყვითლებულ ფურცლებს და ქარმაც შორს, შორს წაიღო ისინი, რადგანაც წუხანდელ ნგრევა-ტრაგედიას თუ რაიმე აკლდა, ეს გაყვითლებული დღიურები იყო და ისინიც ფურცელ-ფურცელ, ქროლვა-ქროლვით, შორს და შორს მიჰქონდა გაავებულ ქარიშხალს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანონ გულისკერია

„ჩვენს ზევით მზეა —
დროშა მარადი“.
უიტმენი

●

როგორი სიმარტოვე ააგიზგიზე.
მხოლოდ წყალობა არის, ახლა, შენი ნათელი.
ხომ შემიძლია უარი ვთქვა,
მიწის სილბო ვაგრძნობინო ხელებს და სახეს,
მერე ეარგყო,
გულისტკივილში იმედად არ ამოგიყვანო.
ხომ შემიძლია...
.....
მე შენ მჭირდები
(ეს სიტყვები მხოლოდ ასე უნდა გამოთქვა).
ამოდი და დილა მახარე.
დამაყოვნე ღია სარკმელთან.
ჩამოდი ისე, უფრო ამაღლდე და
კეთილი იყოს შენი მობრძანება მიწაზე!
.....
სისხლი გრძნობს სავსე სიახლოვეს ყველაზე კარგად.
თვალებს ვენდობი — ღამის ცაზე სევდად ანათებ.
სხეული მთვარეს უფრო გუობს და ამოდიხარ,
შენი ნათელი ხრიოკ სულში რომ დაავანო.
გამჭვირვალე სევდის ცისფერში შუქად ჩამდგარმა
მიწის სიმძიმე დამაძლევინე, მაგრამ...
განა მარტო ამისათვის მიყვარხარ, მზეო?!.

●

ღრუბელი უფრო დაგინდობდა, მწვანე ბალახო.
მარილნაკბენი გეჯურება ჩემი ცრემლი და
მოგარიდებდი ფეხისგულებს, მუხლებს, მაგრამ ხომ
შენ აზიზმაზიზ, მსუბუქ ხელებს უფრო ვერ იტან.
და მეც უცნაურ, მაგრამ სანდო გრძნობას არ ვმალავ,
შევიძლებ ერთგულ ტკივილად და ცრემლად დაგირჩე —
ხომ მხოლოდ მაშინ ეპირები ჩემთან ლაპარაკს,
როცა ჯიუტად მოგდგები და გულზე გაბიჯებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გაწვიმდი ახლა. ჩამორეცხე ლურჯი სიშორე,
ჩამომიშალე უკარება ცა ნატეხებად,
თორემ, იდუმალ ბგერათშრიალს, როგორც ნიჟარა,
ვერ ვიშორებ და სხვა ტკივილი ვეღარ ხერხდება!
ხშირად სასურველს, საოცნებოს და მელანქოლიკს
გელი. შხაპუნას, კოკისპირულს... რას არ გარქმევ და...
ჰა, მოვიხურე ჩუმი სევდა შენი ნაქონი,
ცრემლმორეული გელოდები ღია სარკმელთან.

●

შენთვის სისხამზე გადაიხსნა ლურჯი ცის კარი
და ამ მიწაზე რა ღიმილი დაგაკავებდა.
მწვანე თვალები ერთდროულად მზეს და კალენდარს
მიეყინა და ახლა დროის სრბოლა მრისხანებს.
აბა, რა იცი, როგორმა ცამ დამაიმედა,
გზაჯვარედინზე მარტოდმარტო რატომ ვრჩებოდი...
სულის ღიობში ფორიაქი სევდად შემოდის
და სულ ეს არის, რაც ცხოვრებამ გამოიმეტა,
მაგრამ... ხომ არის ღამე, არის გრილი სისხამი,
ტკბილ-მწარე სევდის დღეები ხომ შერჩა კალენდარს.
შენთვის, ღვთის ნებით, გადაიხსნა ლურჯი ცის კარი.
ასეც ვიცოდი... ღიმილი რას დაგაკავებდა!

●

შენ, როცა ბრაზობ,
სასაცილო ხარ ამღვრეული ნაკადულივით.
რაღა ვქნათ ახლა...
მზეჩაწურული იმედებისგან ერთადერთი
ფრთონა დაგვირჩა.
ეს სურვილებიც უმისამართოდ
და უკვალოდ თუკი ქრებიან,
რა მელექსება...
.....
ამაზე ხომ გაგეცინება
და მე კვლავ გეტყვი —
შენი სიცილი ჩემი ფრთებია!

●

ჩემს გზებზე სულ მუდამ
ცრემლი და პირქარი,
ჩემი ზოდიაქო –
მთვლემარე ლომია,
და თუ შეხვედრისთვის
არც ისე ვიჩქარი,

ჩვენი ნაცნობობა
„ვარდების ომია“,
დაე, მეპატიოს
ზაფხულის სიზმარი
და უიმედობის
მძიმე აგონია!

●

ჩემს მთებს
გრიგალთა ქარიშხალი გადაჰკიოდა,
თოვლქვეშ ჩავლიე
სიმწიფის რთველი,
მიკვირს,
არც ისე უძლური ვარ,
ასე იოლად
რად მანადგურებს უხეში ხელი!?

●

კვლავაც კვარივით დამქონდეს
გული – სამყაროს კარავი,
შიგნით – ცრემლების ხელადა,

გარეთ – მხნე, გაუბზარავი, –
მებრალებოდეს ყველა და
საბრალოდ ვუჩნდე არავის...

●

ჰაიტ, ტანთეთრო თუთებო
ჰაიტ, ლურჯთვალა თხმელებო,
ჰაიტ, ტირიფის ცრემლებო, –
ვფიცავ, რაც კი რამ გწყენიათ –

რაც ცოდვა ჩამიდენია –
ჩემგან აღარა გევნოთ!
მზეი გზად გამიფენია –
მეც თავზე შემოგევლოთ!

●

მიწავ...
მუხლმოყრით მოგაგებ პატივს.
მიწავ – მშობელო.
მიწავ – ადამო.
მზეს – შენს თეოზე შემომჯდარ არწივს
ჩემი თაყვანი დაუსაბამო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათბობს. მაცოცხლებს. მალაღებს. მაწვიმს
მზოგავს (ჩემს ნაცვლად ლპება ლაფარო).
მათბობს და ზოგჯერ მახვედრებს მაცილს,
მამცნობს სამყაროს დაუსაბამოს.
მაწამებს. ხელმყოფს. მადარდიანებს.
წამტაცებს მშობელს. მახლობელს. სატრფოს.
მატირებს. მტანჯავს. მასევდიანებს.
მაღვიძებს. მმოძღვრავს. მაღელვებს. მალტობს.
ხანაც ყველაფრის საპირისპიროდ
მომივლენს ლექსს და მომივლენს რითმას.
შვებად მექცევა სიტყვა საჭირო
(მტერმა აშარმა, რაც უნდა ის თქვას).
სამადლობელო, ვით შევძლო, მითხარ,
მიწავ – სინათლის და მზის აკვანო.
მიწავ – სიცოცხლე.
მიწავ – სამოთხე.
მიწავ, სიკვდილის თავშესაფარო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XX საუკუნის ავსტრიული პოეზიიდან

გეორგ თრაკლი

●

ამ ხოდაბუნებს კუპრის წვიმა ო, როგორ აწვიმს,
ხე წაბლისფერი დგას თავისთვის, განმარტოებით,
ქარი კი სტვენით უვლის ირგვლივ ცარიელ ქოხებს.
რა მწუხარეა ეს საღამო.

სოფლის ბოლოზე
სიფრიფანა ობოლი ვოგო თავთავს აგროვებს.
თვალები მისი ოქროსფერი მწყემსავს დაისებს,
მისი წიაღი ციოთმოვლენილ საქმროს მოელის.

შინ მომავალმა
მწყემსებმა ნახეს ეკალბარდებში
ვოგონას გვამი, უკვე გახრწნილი.

აჩრდილიღა ვარ შორეული, ბნელი სოფლების.
ყურს მივუპყრობდი ღვთიურ დუმილს
ჭალის წყაროსთან.

ცივი ლითონი მომხვდა შუბლში
და ჭია-მატლი მეხვევა გულზე
და ჩემს ბაგეზე ჩაქრა სხივი და ჩაიშრიტა.

უდაბურ ველზე ვეგდე ღამით,
უწმინდურობით, ვარსკვლავთა მტვრით გაფიჩხებული.
თხილიანებში წკრიალებენ
ანგელოზები...

ბილი

წყეულიმც იყავ, გესლო თეთრად
ნათევი ღამის!
ქუფრი ხეების ეს ბაღნარი
უცხოდ ნაზარდი,
სავსე გველებით, ღამის პეპლებით,
ბაბაჭუებით და ღამურებით.
ო, უცხო სულო! დასალიერში ჩაჰყოლია
მზეს შენი ჩრდილი,
ბნელი მეკობრე
ურვა-ჭმუნვის მლაშე ზღვებისა.

ფითრდება ღამე,
და შხუილით გადაუფრენს თეთრი ფრინველი
პირქვედამხობილ ფოლადის ქალაქს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელზე ლასკერ-შულერი

ქვეყნიერების ალსასრული

ქვითინებს, ბოდებს ქვეყნიერება,
გარდაცვლილიყოს თითქოს ღმერთი უსაყვარლესი,
ჩამომხობია საფლავივით მთელ დედამიწას
მძიმე ჩრდილები, ბნელთ-უბნელესი.

მოდი, ო მოდი. დავიმალოთ, შეიძრა სული,
ჩასვენებულა, ვით კუბოში ყოველის გულში
სიცოცხლე ჩუმი.

შენ! ჩვენ კოცნა გვსურს, ალერსი გვწყურის,
გულისთქმა მწველი უკაკუნებს ქვეყნის კარიბჭეს,
სადაც ჩვენ უნდა ამოგვხდეს სული...

საღამო მოდის

საღამო მოდის, ვარსკვლავებში ჩავიძირები, —
სულის წიაღმა კვლავ არეკლოს სამშობლოს გზები,
ძაძით მოსილი და ბედშავი მამული ჩემი.

გულები ჩვენი სიყვარულით გარინდებულან,
უსპეტაკეს
ნუშის გულივით,
ერთ ნაჭუჭში შეტყუპებული.

ვიცი გიპყრია ჩემი ხელი კვლავინდებურად,
მარადიული განშორებით ვართ მონუსხული...
მანდობს გულისთქმას ოდეს ეგ ბაგე, შრიალებს მაშინ
მაშინ შრიალებს ო, ჩემი სული.

გერმანულიდან თარგმნა ზაირა არსენიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ მამულაშვილი

დიდი და პატარა ვასიკო ანუ მივიწყებული ვალსი

(2 მოქმედებად და 5 სურათად)

მოქმედი პირნი:

ვასიკო ტატიშვილი (დიდი ვასიკო)
ბესო – მისი ვაჟი
ნაზი – ბესოს მეუღლე
ვასიკო (პატარა ვასიკო) – მათი ვაჟი
კოტე გუგუშვილი (კონსტანტინოვიჩი)
ნანა – მისი მეუღლე
ნინო – მათი ქალიშვილი
ნუნუ – ნინოს ბებია, ნანას დედა

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

(პატარა, უბრალოდ გაწყობილი მისაღები: ერთი კედელი მთლიანად წიგნის თაროებს დაუფარავთ. მოპირდაპირე კუთხეშიც წიგნებით სავსე ძველმოდური კარადა დგას. მათ გარდა: ძველებური გასაშლელი მაგიდა, ტახტი, რადიომიმღები და პორტატული ტელევიზორი... დიდი ვასიკო ხალისიანად ტრიალებს ოთახში: სამზარეულოდან ხილით სავსე ლანგარს გამოიტანს და საკანფეტეთა შორის ჩადგამს. მერე უკან დაიხევს და კმაყოფილი მოავლებს თვალს კოხტად გაწყობილ სუფრას. თან ხმადაბლა ღიღინებს და საათზე იყურება – ვიღაცას ელის...

ისმის ზარის ხმა. აფორიაქებული მასპინძელი ჩაის ტილოს სკამზე მიაგდებს, წამით სარკესთან შეჩერდება, პერანგის საყელოს შეისწორებს. გრძელი, მსუბუქი ნაბიჯებით მიდის კართან და აღებს...)

ბესო – (საქმიანი, საკუთარ თავში დარწმუნებული) გამარჯობა, მამა!

დ.ვ. – (არ ელოდა) გამარჯობა!

ბესო – (თვალი ძლივს მოსწყვიტა გაშლილ მაგიდას) გასაგებია! (თავის ქნევით) მე რა არ ვიფიქრე, რომ აღარ გამოჩნდი. ვრეკავ, ვრეკავ, არავინ პასუხობს. ამას კი თურმე პაემანი აქვს.

დ.ვ. – რა პაემანი, რას სულელობ!.. ასეც რომ იყოს, რაო ვითომ?

ბესო – (მრავალმნიშვნელოვნად) არაფერი. კარგი, მე ველარ გამოვედი, ვერ დაგიკავშირდი. შენ დაგერეკა, არ იქნებოდა?

დ.ვ. – (ხელით ტელეფონზე ანიშნა) დარეკე! მესამე დღეა, ჩაუწყდა ხმა. არ ვიცი, დაზიანდა თუ გამომითიშეს.

ბესო – გადასახადის შეტანა დაგავიწყდებოდა.

დ.ვ. – პირიქით, სულ წინდაწინ შემაქვს, მაგრამ... ეშლებათ ხოლმე! დღეს დილით ორჯერ ჩავედი ძირს და დავრეკე. გადავამოწმებთო და რა ვიცი.

ბესო – ხომ ხედავ!.. თუ ორჯერ ჩახვედი, არ შეიძლებოდა ჩვენთვისაც მოგეწვდინა ხმა?!

დ.ვ. – დავრეკე, ბატონო, ველაპარაკე ნაზის: ღვიძლმა გამიხსენა-მეთქი, შეტევა მქონდა. არ დაჯდები? (ქამარი მოუშვა და საშინაო ხალათის კალთები შეისწორა) ეტყობა, იმ საღამოს გავცივდი – ცოტას გავივლი-მეთქი და შენ რომ დაგშორდი, ორი გაჩერება ფეხით გამოვიარე.

ბესო – იმ წვიმაში?

დ.ვ. – ცრიდა უბრალოდ. მაგისთანებში მივლია?

ბესო – ახლა როგორ ხარ, სულ აღარ განუხებს? შალი უნდა შემოიხვიო, მამა, თბილად ჩაიცვა.

დ.ვ. – შალი ერთი კი არა, ორი მეხვია. ამ დილით მოვიხსენი, აღარ მშველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესო — მაგას არ გეუბნები, მამა? წლებს თავისი გააქვთ. შენთვის უკვე აღარც ეს შეიძლება (ანიშნებს მაგიდაზე) და არც მარტოდ ცხოვრება. ღმერთმა დაგიფაროს და დროით რომ ვერ მოგხედოთ, რომ დაგემართოს რამე, ხომ მოგვეჭრა თავი?!. ორად ხომ ვერ გავიჭრები? ყველას თავისი საქმე აქვს: ოჯახი, სამსახური... ყოველდღე ამ სიშორეზე ვინ ივლის?! ხან სტუმარია, ხან მეზობელი, ხან თვითონ ჩვენა ვართ მისასვლელი... გადმოდი. იქ იტრიალო შვილიშვილთან, არ გირჩევნია? ხომ ვიცი, როგორ გიყვართ ერთმანეთი. საჭმელი არ მოგაკლდება და სითბო, ხმის გამცემი...

დ.ვ. — კარგი, კარგი. მთლად საიქიოდ ნუ გამამწესებ, თუ კაცი ხარ. სამოცი ახლა არ შემისრულდა?..

ბესო — შენ ხუმრობ და, წელანაც გითხარი, რამე რომ შეგემთხვეს, ხომ იცი, რას იტყვიან?.. ხალხის ყბაში გინდა ჩამაგდო? (ხელს ჩაიქნევს) მე ველაპარაკები და ეს საათს დაჰყურებს. ვინ არის მაინც, რამე არ გიხიმანკლოს ამ სიბერეში.

დ.ვ. — ვინ იქნება? ვასიკო უნდა ამოვიდეს. გუშინ ამოირბინა — ამხანაგს ამოვიყვან, წიგნები სჭირდებაო.

ბესო — ვინ ამხანაგიაო (სუფრას მოავლო თვალი), ქალია?

დ.ვ. — ვინ არის და შენი უფროსის გოგო. ვისთვის მოვიტანდი ამდენ ტკბილს?

ბესო — უყურე, რა კვაჭია ეგ მამაძაღლი! ტყუილად კი არ დაანათლე შენი სახელი, (ხილი აიღო და კმაყოფილი ჭამს) ეგ საქმე რომ გამოვიდოდეს, ძაღლი არ დაჰყეფს ჩემს ბედს.

დ.ვ. — მერე შენ რომ გაბღენძვა არ გიყვარს...

ბესო — გავიბღინძებოდი კი არა, ჩვენი განყოფილების უფროსი გადის პენსიაზე. უშვებენ და უკვე მთელი განყოფილება იზომებს მის სავარძელს. არადა, რამდენიმეს ისეთი ზურგი აქვს. გადაწყვეტით კი, მმართველმა უნდა გადაწყვიტოს, კონსტანტინოვიჩმა...

დ.ვ. — აბა, დუშაში მოგსვლია და ეგ არის.

ბესო — (გამომცდელად) ისე ლაპარაკობ, თითქოს გადაწყვეტილი იყოს ყველაფერი.

დ.ვ. — აბა, ყოველ საღამოს რომ საჯაროში გარბის ვასიკო, როგორ გგონია, სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებს?.. ერთად ვმეცადინეობთო!..

ბესო — ჰო, მაგრამ... თუ არ დაჩქარდა ეს საქმე, შეიბერტყავს ყურებს კონსტანტინოვიჩი?

დ.ვ. — კარგი, თუ კაცი ხარ, [illegible] ვინმე ამ დუნიაზე, მისიანებს რომ არ ექაჩებოდეს, თანაც, დედისერთა შვილის მამამთილს. ისე, რომ იცოდე, ურიგო გოგო არ არის შენი სარძლო. ურიგო კი არა...

ბესო — შენ, მგონი, იცნობ კიდეც...

დ.ვ. — ქუჩაში შემხვდნენ ამ წინაზე და... ეტყობა, ჩამწვარია ჩვენს ვაჟკაცში.

ბესო — აიდა, ვასიკო! მაინც როგორ იმგვანე ასე? (მტევანი აიღო და აღლვებული წიწკნის) მამაძაღლი, შენ უკვე გაგაცნო, ჩვენთან კი ჯერ სიტყვა არ დასცდენია! როდის მოვალთო, არ მეკუთვნის, მეც ვნახო?

დ.ვ. — (საათს დახედავს) აქამდეც უნდა მოსულიყვნენ (ფანჯარასთან მივა, ფარდას გასწევს და ქუჩაში იყურება). შენ ხომ არ დაგინახეს და ქუჩაში იცდიან.

ბესო — რა ამისთანა საფრთხობელა მე ვარ!

დ.ვ. — ნუ, ერიდება, ალბათ, გოგოს.

ბესო — (აჩქარდება) აბა, წავალ. დამირეკე მერე, მამა.

დ.ვ. — ხომ გითხარი, არ მუშაობს-მეთქი. ტასოსთან კიდევ შესვლა არ მინდა, იმხელა ყურები აქვს.

ბესო — მაგას მოევლება. მივალ სამმართველოში და ჩავართვევინებ. ნახევარ საათში!.. დამირეკე, გაიგე? (მიდის).

დ.ვ. — (კარს მიხურავს, ისევ სამზარეულოში გადის და შამპანურის ბოთლით ბრუნდება) რომ არ მოვიდნენ, რა? იმათ გაუგებ ახლა რამეს? ვინ იცის, სად დახეტიალობენ. (ზარის ხმა). ახლავე. (მიდის სარკესთან, თმას და ხალათს შეისწორებს და კარს აღებს. შემოდის პატარა ვასიკო — მაღალი, გამხდარი. აცვია ჯინსი, თეთრი პერანგი და ფერადი ქურთუკი. სახეზე დაბნეულობა და სასოწარკვეთილება ეტყობა. დიდი ვასიკო შვილიშვილს გაატარებს და გარეთ გაიხედავს) მარტო მოხვედი?

პ.ვ. — არ მოვიდა (კი არ ჩაჯდება, ჩაეხეთქება სავარძელში).

დ.ვ. — მოხდა რამე?

პ.ვ. — რა უნდა მომხდარიყო. შენ რომ დაგშორდით, შევთანხმდით, ხვალ ორ საათზე შევხვდეთო. ერთ საათზე მეტია ვდგევარ აფთიაქთან ბასიაკივით. ვუცდი, ვუცდი...

დ.ვ. — ვერ დაურეკე? იქნებ, ცუდად არის, ან ვინმე გაუხდათ შეუძლოდ...

პ.ვ. — როგორ არ დავრეკე. დედამისი შემხვდა. რა არის იცი, ბაბუ... ცოტა იმისთანა ქალია. მოკლედ, არ ვევასები. უშლის ჩემთან სიარულს და ის რომ შემხვდება, ეგრევე დავუკიდებ ხოლმე. მოკლედ, მიცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაზე და ახლა ტელეფონს არავის მიაკარებს...

დ.ვ. — (აღელვებული დადის მაგიდის გასწვრივ) ყურმილის დაკიდება რა ზრდილობაა! როგორ გეკადრება. ან ნინო მოგინონებს ასეთ საქციელს?.. მაინც რატომ უშლის? ან საიდან იცი, რომ უშლიან, თვითონ ნინომ გითხრა? (პ.ვ. თავს აქნევს თანხმობის ნიშნად) რაო მაინც? ოჯახს გიწუნებს, თუ შენი ცუდი უთხრა ვინმემ?

პ.ვ. — რა ვიცი, ბაბუ. ვის რა უნდა ეთქვა? (ადგა, მაგიდიდან ბორჯომის ბოთლი აიღო, მაგრამ გასახსნელი ვერ მონახა და სამზარეულოში გავიდა).

დ.ვ. — როგორ, რა იცი?! თუ გითხრა გოგომ, მიშლიანო, ის აღარ გითხრა, რა მიზეზით? არ გეუბნება, თუ არც გიკითხავს? (ისევ ზარი. დიდი ვასიკო შეფიქრიანდა) ვინ უნდა იყოს? ტასო ხომ არ მოვიდა ამბის საყნოსად? (აღებს კარს) მობრძანდი, გენაცვალე. გამარჯობა!

ნინო — ვასიკო აქ არის, ბატონო ვასიკო? უნდა შევხვედროდით და...

დ.ვ. — აქ არის, აქ. შემოდი, გენაცვალე, რას ბოდიშობ?

ნინო — ცოტა შემაგვიანდა და აღარ მოუცდია...

პ.ვ. — (შემოვარდება ბორჯომის ბოთლით ხელში) ნინო! ვიფიქრე, აღარ გამოუშვეს-მეთქი... როგორ მიხვდი, რომ აქ ვიქნებოდი?

ნინო — (მშვიდად) რა მიხვედრა უნდოდა, ვასიკო, აქ არ უნდა მოვსულიყავით? სახლი ვიცოდი, ვიღაც მოხუც ქალს ვკითხე სადარბაზო და მომასწავლა.

პ.ვ. — აქ რომ არ დაგხვედროდი? ხომ შეიძლებოდა, დამერეკა ბაბუა ვასიკოსთვის, ჩაიშალა, ვეღარ მოვალთ-მეთქი.

დ.ვ. — კარგი, ვასიკო. მთავარია, ნინომ პირობა შეასრულა და მოვიდა. უნდა მოგეცადა. ქალი ყოველთვის იგვიანებს.

პ.ვ. — ნინოს ჯერ არ დაუგვიანია.

ნინო — ვასიკო!

დ.ვ. — მით უმეტეს! როცა იქნებოდა, ხომ უნდა დაეგვიანა? ასე არ არის, ნინო? (ისევ ვასიკოს) მე ერთი წუთით სამზარეულოში გავალ და მანამდე შენ წიგნები დაათვალიერებინე. გადააწყვე, რომლებიც გჭირდება და მერე მაგიდას შემოვუსხდეთ.

ნინო — მე ნასადილევი ვარ, ბატონო ვასიკო, ნუ შეწუხდებით.

დ.ვ. — არ გამაგონო! ოჯახში პირველად ხარ, არ უნდა დაილოცო? ახლავე ყველაფერი იქნება უმაღლეს დონეზე! ვასიკო, სტუმარს მიხედე! (გადის).

(თაროსთან ვასიკომ იდროვა და მოეხვია ნინოს)

ნინო — რას შვრები, გაგიჟდი? (გაეშვება ბინება)

პ.ვ. — რად დაიგვიანე, რამდენი გიცადე, იცი?

ნინო — სტუმრები გვყავდა და ვეღარ მოვახერხე.

პ.ვ. — სტუმრები? (ისევ მოეხვევა, მაგრამ დიდ ვასიკოს ფეხისხმას მოჰკრავენ ყურს და გაშორდებიან) ამ ორ თაროზე სულ უნიკალური წიგნებია, 900-იან წლებში დაბეჭდილი. რელიგიის ისტორია, მსოფლიოს ხალხების ზნე-ჩვეულებები და ლეგენდები. აი, ფრეზერი რომ გინდოდა, „ზალატაია ვეტვ". ეს კი მოროზოვის ათტომიანი სერიალი — „ხრისტოს" (ნინომ მომცრო ტომი ჩამოართვა და ათვალიერებს) წუხელ რომ დაიგვიანე, გაგიჯავრდნენ? დედაშენი რას გეუბნება? (ჩურჩულზე გადავიდა ვასიკო).

ნინო — შენ დარეკე წეღან? ხმა რომ არ ამოიღე, გამიჯავრდა. ვერ ჰკითხე, სად არისო?

პ.ვ. — რა ვიცი, ისე ჩამეძიება ხოლმე, ვინ კითხულობსო. როგორღა მოახერხე გამოსვლა?

ნინო — ჰოო! (სიცილით) NB-ის თამაშს უყურებდნენ და მე, ვითომ არ მაინტერესებდა, ჩემს ოთახში გავედი. უცებ ჩავიცვი და გამოვვარდი.

პ.ვ. — რომ დაბრუნდები?..

ნინო — შენ მაშინ ნახე, თუ მამამ მომიკითხა. წიგნები იმიტომ მინდა, ამხანაგთან გავედი-მეთქი, ხვალისთვის მჭირდება.

პ.ვ. — იმიტომ გეუბნები. მოვაწეროთ ხელი და გავიპაროთ. სოფელში, ბიძაჩემთან. იცი, რა კაცია! სულაც ბალტიისპირეთში წაგიყვან — ყოფილხარ ტალინში ან რიგაში?

ნინო — გამოცდები? გინდა, ერთი წელი დავკარგოთ? თუ არადა, ცოტა რომ შემაგვიანდება, დედას წნევა უწევს, რომ გავიპაროთ, რა დაემართება?!

პ.ვ. — აბა, როდემდე ვიყოთ ასე? მერე ან შეგვირიგდებიან, ან სულაც აქ ვიცხოვრებთ, ბაბუა ვასიკოსთან.. ა, ბაბუ!.. რამე რომ იყოს, არ შეგვიკედლებ მე და ნინოს?

დ.ვ. — (გამოდის სამზარეულოდან) რაო, უკვე ასეა საქმე?

პ.ვ. — რამე რომ იყოს-მეთქი, ბაბუ.

დ.ვ. — თქვენ გადაწყვიტეთ და... სულ წავალ აქედან: სოფელში გადავალ.

ნინო — არა, ბატონო ვასიკო, როგორ გეკადრებათ. ვასიკომ იხუმრა...

დ.ვ. — ვასიკომ იხუმრა, მაგრამ მე არ ვხუმრობ. მართალს გეუბნები. მე სოფელში ვარ დაბადებული და გაზრდილი, შვილო, და მიწა ეძახისო, რომ იტყვიან, მართალი

ყოფილა: მომენატრა იქაურობა. სოფელში მამისეული სახლი გვიდგას. ჩავალ და ვიქნები ჩემთვის — დავბარავ, დავთესავ... თქვენები რას გეუბნებ..ან?

ნინო — (დარცხვენით) ჩვენები ნინაალმდეგები არიან: ჯერ ინსტიტუტი უნდა დაამთავრო, თორემ მერე გაგიჭირდებაო.

დ.ვ. — სწორია, მეც ასე ვფიქრობ და გირჩევთ. შეიძლება ვასიკოს ეწყინოს კიდეც, მაგრამ სიყვარულში, როგორც დაგვიანება, ისე არც აჩქარება შეიძლება...

პ.ვ. — კარგი რა, ბაბუ. ინსტიტუტის დამთავრებამდე მთელი სამი წელია.

ნინო — არა, ვასიკო. დედა მართალია! ჯერ ინსტიტუტი დავამთავროთ, თორემ ჩვენების უნებართვოდ რომ მოვაწეროთ ხელი, იმდენი წვრილმანი საზრუნავი და საფიქრალი, იმდენი უსიამოვნება შეგვხვდება, ყველაფერი გაუფერულდება და აზრს დაკარგავს...

დ.ვ. — რა გითხრა, ჩემო ნინო. ერთში მართალი ხარ — ცხოვრებამ ჭაობივით იცის ჩათრევა, თუ თვითონ ადამიანს არ ეყო ძალა, მოერიოს თავს და, ამ მოსაბეზრებელ ყოველდღიურობასა და ერთფეროვნებაზე, თუ გინდა, გაჭირვებასა და წვრილმანებზე მაღლა დადგეს და ზევიდან დახედოს ყველაფერს. ან იმისთანა რა სიძნელეები უნდა შეგხვდეთ?.. ჩვენ აქ არა ვართ, მშობლები, ახლობლები... (წამით ჩაფიქრდა) ჩვენ დროს ჭირდა! ომი იყო, გაჭირვება და შიმშილი. დღე ქარხანაში ვმუშაობდით, საღამოობით — სკოლაში დავდიოდით. რამდენჯერ გაკვეთილზე ჩაგვძინებია მშივრებს და დაღლილებს... და მაინც გვიყვარდა. ვცდილობდით, ერთმანეთის გვერდით ვყოფილიყავით, ერთმანეთისთვის გაგვენდო ჩვენი ფიქრი და საწუხარი, ოცნება... რაზე ვოცნებობდით? ომის დამთავრებაზე, მშვიდობაზე, ახლობლების დაბრუნებაზე. და კიდევ — დილის ძილზე, ოჯახურ სიმშვიდესა და ბედნიერებაზე. ვოცნებობდით, ხელი მოგვეწერა, ერთმანეთის ცქერით და სიყვარულით გავმძღარიყავით. და ეს, წარმოიდგინე, არც ისე მიუწვდომელი გვეჩვენებოდა, რაკი ბევრს არც არაფერს მოვითხოვდით. ოღონდ მშვიდობა ყოფილიყო, რომ ერთად ყოფნა შეგვეძლებოდა, ერთად ხეტიალი, რაბათში ჯაყელების ციხეზე ასვლა... ყველაზე დიდი ბედნიერება კი მაინც თეატრში წასვლა იყო, სამეჯლისო ცეკვებზე...

პ.ვ. — თეატრში, ცეკვებზე?

დ.ვ. — ჰო. 43 წელი იყო. დაღამდებოდა და მთელი ქალაქი წყვდიადში იძირებოდა. მთვარე თუ გაანათებდა დაცარიელებულ ქუჩებს. ჩვენ ხომ პატარა, პროვინციულ ქალაქში ვცხოვრობდით. თეატრს ვერ ათბობდნენ და რომ გაეთბოთ, ვიდაც მეხთვის ვის ეცალა. და აი, ფრონტიდან დაბრუნებულმა ახალმა დირექტორმა გამოსავალი მონახა: მაყურებელი რომ მოეზიდათ, ანტრაქტებისას სამეჯლისო ცეკვებს მართავდნენ... (წამით გაჩუმდა და ისევ განაგრძო) გაყინულ დარბაზში 10-12 ფანატიკოსი მოხუცი თეატრალი თუ იჯდა. გარეთ კი, ფოიეში, კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე — ჯარისკაცების სასულე ორკესტრი, ოფიცრები, მათი ოჯახები და უცოლშვილო კავალრები. ჩვენი სასაზღვრო ქალაქი ყოველ კვირა დღეს რაიონში დისლოცირებული ნაწილების ოფიცრებით ივსებოდა. მაყურებელთა დარბაზში ისინი იშვიათად შედიოდნენ: ქართული არ იცოდნენ. ისხდნენ ფოიეში და ელოდნენ, როდის დამთავრდებოდა მოქმედება, რომ ეცეკვათ. ხშირად, ანტრაქტი 5-10 წუთის ნაცვლად ნახევარ საათს გრძელდებოდა, მაგრამ არ მახსოვს, ვინმეს პროტესტი გამოეთქვა, ან მაყურებელს და ან მსახიობს — შუაღამისას რომ უხდებოდათ შინ დაბრუნება, რადგან თითოეული საღამო ლამის მთელი ქალაქის ზეიმი იყო. მხოლოდ აქ ახერხებდნენ სულის მოთქმას ომის მკაცრსა და ულმობელ დღეებში... ანტრაქტის მაუწყებელი სინათლეები აინთებოდა თუ არა, ჯარისკაცები ინსტრუმენტებს მოიმარჯვებდნენ და ნელ ვალსს იწყებდნენ... (იწყება დიდი ვასიკოს მუსიკალური თემა — ვთქვათ, „ცისფერი დუნაი") და ყველა თავდავიწყებით ეძლეოდა ცეკვას — ოფიცრობა, მათი ოჯახის წევრები, მაყურებლები, მსახიობები და ჩვენც — საცეკვაოდ მისული ახალგაზრდობა (ისევ პაუზა) ცეკვა დროებით გვავიწყებდა ომსა და გაჭირვებას, ქარხანას, ლამის სკოლას... ვცეკვავდით და მხოლოდ ერთანეთს ვხედავდით, ერთმანეთით ვარსებობდით...

(დიდი ვასიკოს უკანასკნელ ფრაზებზე სცენა თანდათან ბნელდება. ნინო და პატარა ვასიკო ერთ წამს ერთმანეთს შეჰყურებენ, მერე — თითქოსდა უნებურად — პატარა ვასიკო თავს უკრავს ნინოს და საცეკვაოდ იწვევს...)

ნინო — გუშინ რაღად გააცდინე გაკვეთილები? ქიმიამ გიკითხა. ტრიგონომეტრიამ ხვალ საკონტროლო გვექნებაო... მე თუ ისევ უკან გადამსვა, ვისგან გადაიწერ?..

პ.ვ. — ჰო... აფნიაში ავედით მე და დედაჩემი. მამაჩემის ჩექმები და პალტო გადავცვალეთ. ცოტა კარტოფილი და ქერი მოგვცეს... თქვენ დაგრჩათ რამე... მინდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომეტანა, მაგრამ უკვე გეძინათ... სინათლე არ გამოდიოდა...

ნინო – ნავთი გაგვითავდა. დეიდა ქეთოსთან გადავედი, მაგრამ აღარც იმას ჰქონდა. ბევრი იარე, ისეთი დაღლილი სახე გაქვს.

პ.ვ. – ნუ იტყვი. მუხლები მეკეცება.

ნინო – თუ გინდა, წავიდეთ.

პ.ვ. – რას ამბობ, ერთი საღამო გვაქვს. (ცეკვავენ)

ნინო – რატომ იღიმები, რამე გაგახსენდა?

პ.ვ. – არაფერი. შენზე ვფიქრობდი. რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

ნინო – ვიცი. ხვალ რომელი ცვლა ხარ ქარხანაში? ადრე უნდა ადგე?

პ.ვ. – ჰო, პირველი.

ნინო – მაშინ ადრე წავიდეთ.

პ.ვ. – არა.

ნინო – არ გინდა, ცოტა მაინც გამოიძინო? ხვალაც ხომ ვერ გააცდენ გაკვეთილებს!

პ.ვ. – ჰო, ფიზიკაში და ქიმიაში ნიშანი არა მაქვს.

ნინო – მერე, დაზგასთან რომ ჩაგეძინოს? გინდა, იმ მუსხელი ბიჭივით დაგასახიჩროს, ვასიკო?

პ.ვ. – შენზე ვიფიქრებ და არ ჩამეძინება. (ცეკვავენ)

ნინო – რა იყო, რა დაგემართა დღეს, ბიჭო?

პ.ვ. – რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ, ნინო. ნეტა შეიძლებოდეს, სულ ასე ვიყოთ, მთელი სიცოცხლე!

ნინო – ცოტაც მოიცადე. დირექტორმა გვითხრა, რაკი სტალინგრადთან დამარცხდნენ, გერმანელების საქმე წასულიაო. დამთავრდება ომი და ხელს მოვაწერთ, ქარხანა ბინას მოგვცემს, ავეჯს ვიშოვით და ვიქნებით ჩვენთვის...

პ.ვ. – ჩვენები ტანსაცმლის კარადას და ორ საწოლს მოგვცემენ...

ნინო – ოი, რა კარგია! (ჯოტა ხანს ეგენი ვიმყოფინოთ. ფულს რომ მოვაგროვებთ, ახალი საწოლები ვიყიდოთ... მონიკელებული, გონჯიაშვილებს რომ უდგათ...

(ცეკვავენ. უცებ ერთმანეთს დაშორდებიან და განათდება)

დ.ვ. – (თავს აიღებს) შეიძლება, ყველაფერი ეს დღეს დაუჯერებელი და სენტიმენტალურიც მოგეჩვენოთ, მაგრამ... ეს გვქონდა საოცნებო: ახლადდაქორწინებულებს ქარხანა საერთო საცხოვრებელში აძლევდა პატარა ოთახს. ჩვენი იმპორტული ავეჯი კი, რკინის უბრალო საწოლები იყო. საერთოდ, იმ დროს სულ სხვაგვარი დამოკიდებულებები იყო ხალხიც სხვანაირი – მცირედითაც კმაყოფილდებოდნენ და სხვა ჰქონდათ საოცნებო...

პ.ვ. – რა მცირედით, ბაბუ?

დ.ვ. – როგორ გითხრა... სხვაგვარი ურთიერთობები იყო, ხალხიც უფრო გულღია, გულითადი... თავისუფალი მისვლა-მოსვლის მოყვარული. დღეს ადამიანთან სტუმრად ველარ მისულხარ, რადგან თუ სუფრა არ გაგიშალა და სანაქებო საჭმელ-სასმელი არ მოგართვა, შერცხვება! მაშინ კი, და მერეც, ომის შემდგომ, იმით ვკმაყოფილდებოდით, რაც გაგვაჩნდა. მიუხედავად გაჭირვებისა და საერთო ნაკლებობისა, ჩვენთან ყოველდღე ვიღაც მოდიოდა – ნათესავები, მამას ამხანაგები, მეზობლები... თავის მხრივ, ჩვენც ხშირად დავდიოდით სტუმრად. ნავთის ლამპის შუქზე ვუსხედით მაგიდას და რაც გვქონდა, იმით ვკმაყოფილდებოდით – ლობიო იქნებოდა, მოხარშული კარტოფილი, თუ მჭადი და ყველი, ან მურაბიანი ჩაი და ჯემიანი პური... არქონა და გაჭირვება სასირცხო არ იყო – ყველანი ერთ ტაფაში ვიწოდით. ახლა, რაც დრო გადის, მით უფრო იცვლება ხალხი. ადამიანი უკარება, საკუთარ თავში და ოჯახში ჩაკეტილი ხდება, გულგრილი.

(ერთ წამს ჩაფიქრებული გაიყურება სადღაც, მერე ისევ ხმადაბლა განაგრძობს)

დღეს, შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაშინ ჩვენ გაცილებით მეტს ვლაპარაკობდით სპექტაკლებზე და კონცერტებზე. ხშირად, ცეკვებიდანაც და სკოლიდანაც შინ განგებ გრძელი გზით ვბრუნდებოდით, ერთმანეთს ძველ ფილმებს და ახლადწაკითხულ, ან რადიოში მოსმენილ წიგნებზე ვუამბობდით, ლექსებს ვუკითხავდით – გალაკტიონს, ესენინს, გოგლა ლეონიძეს... რამდენჯერ პატრულს გადავყრივართ. კიდევ კარგი, პატარა ქალაქი იყო და ყველა გვცნობდა. წელანაც გითხარით, ვისაც თვითონ არ გამოუცდია, ალბათ, ვერ გაიგებს, ან უცნაურად მოეჩვენება-მეთქი ეს ყველაფერი, მოძველებულად და სენტიმენტალურად. მაგრამ ასე იყო და სწორედ ეს აძლევდა ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას სილამაზეს და ხალისს. არ იფიქროთ, მომავალი ღრუბლებში გახვეული გვეხატებოდა. ჩვენ არც გვინდოდა ასეთი მომავალი, არსებულით ვკმაყოფილდებოდით. დანარჩენი უკვე ჩვენზე იყო დამოკიდებული – ჩვენ ვაცოცხლებდით, ჩვენ ვავსებდით და ვაძლევდით აზრს... ისევე, როგორც ჩვენს ცხოვრებას აძლევდნენ

აზრს და ავსებდნენ ხალისით, ეს ცარიელი ქუჩები და მთვარიანი ღამეები, ახალგაზრდული ოცნება და ჯარისკაცური სასულე ორკესტრის შესრულებული ვალსები...

(ისევე, როგორც წელან, მოგონების დროს თანდათან ბნელდება, გაისმის ვალსის ხმა და პატარა ვასიკო და ნინო ცეკვას განაგრძობენ).

ნინო — დღეს, ალბათ, მამა მომაკითხავს...

პ.ვ. — წუხელ ძალიან გაგიჯავრდნენ?!

ნინო — ისე...

პ.ვ. — მაშინ, ამ ანტრაქტის შემდეგ წავიდეთ, რომ ვერ მოგვისწროს. ქვემოდან მოვუაროთ, სადგურის მხრიდან.

ნინო — იქ ახლა დიდი თოვლი არ იქნება?

პ.ვ. — არა უშავს, მე გაგიკვალავ, მაგრამ... სახლში რომ გაგიჯავრდებიან?

ნინო — გამიჯავრდნენ. სამაგიეროდ, მთელი საღამო შენთან ვიქნები.

(ვალსი ხმამაღლა ჟღერს და მათ ხმებს ფარავს)

სურათი მეორე

(ტატიშვილების ბინა. ნაზი სასტუმრო ოთახში ფუსფუსებს, მტვერს წმენდს, ავეჯს ასწორებს. უბრალო კაბაზე სადა წინსაფარი შემოუკრავს. ისმის ზარის ხმა. ნაზი კარს გააღებს და დიდ ვასიკოს შემოუძღვება).

ნაზი — გამარჯობა, მამა. ამ ქარში რამ გამოგიყვანა: არ გეშინია, რომ შეგიბრუნოს?

დ.ვ. — კარგი, თუ ქალი ხარ. რაღა ავადმყოფობას მოვუკლივარ და რაღა მარტოობას!

ნაზი — უყურე, აქეთ გვსაყვედურობს! რამდენჯერ გითხარით, გადმოცვალე ბინა, ერთად ვიცხოვროთო და რომ არ შვრები! აგერ, მშვენიერი ერთოთახიანია ჩვენს ბაქანზე. ცოტა ფულსაც დაგვიმატებდნენ და მოვითქვამდით სულს.

დ.ვ. — ეგენი იმ სიშორეზე წამსვლელები რომ არ არიან, ჩემო ნაზი?

ნაზი — რატომ ვითომ, რა იმისთანა გვარიშვილები მყვანან! თუ არა და, ამბობენ, სამმაგ გაცვლას აპირებენო.

დ.ვ. — რა ვიცი, რა ვიცი. ძნელია შეჩვეული ადგილის მოშორება.

ნაზი — კარგი რა, მამა. სხვები როგორ ცვლიან?! აბა, ეგ არის საქმე — შეტევა გქონია, ძლიერი ტკივილები და ჩვენ არაფერი გაგვიგია. ექიმს მაინც გამოგიძახებდით.

დ.ვ. — მეზობელმა გამომიძახა, ტასიკომ.

ნაზი — ოოჰ, მე უბნის ექიმზე გეუბნები? პროფესორს მოგიყვანდა ბესო, დიდმამიშვილს, ან ხახანაშვილს. აქ რომ იყო, ნომ მოგხედავდით? ყურადღება არ მოგაკლდებოდა და პატივისცემა...

დ.ვ. — თქვენგან ეგ არც იქ მაკლია, ჩემო ნაზი. ტელეფონი გამომითიშეს და იმიტომ ვერ შეგატყობინეთ-მეთქი, არ გითხარი?

ნაზი — ჰოდა, რა იცი, ხვალ კიდევ არ გამოგითიშავენ, ან არ გაფუჭდება? ღმერთმა დაგიფაროს და ან დარეკვა რომ ვერ შეძლო? გადმოდი, ბატონო, და თუ ჩვენთან არ გინდა და საკუთარი შვილი და მისი ოჯახი ვერ აგიტანია, იყავი ისევ შენთვის. მხოლოდ ახლოს იყავი, რომ ყურადღება მოგაქციოთ. ვიცოდეთ, რა გიჭირს და რა გილხინს... შორს ჩვენგან და რამე რომ დაგემართოს, ხალხი რას იტყვის? ხომ მოეჭრა თავი ბესოს. არადა, როგორ უყვართ სამსახურში, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს და უცებ! გითხრა, ჩიფჩიურის ადგილი თავისუფლდებაო? მაინც მიაბრძანეს პენსიაში...

დ.ვ. — ოო, ეგ რა სათქმელია, ჩემო რძალო. არაფერ მაგისთანას მე არ ვაპირებ! (იცინის) არ გამომიყვანეს ნირვა ამ საშობაოდ?! (ჯდება) ბესო წასულია?

ნაზი — (ნაწყენი, რომ სათქმელი ბოლომდე ვერ თქვა და ვერც შედეგს მიაღწია) სად იქნება, შაბათი მაგისთვის არ არსებობს და კვირა. თვეში ერთხელ თუ დარჩა სახლში, მაშინაც მეზობლებთან ზის ეზოში და ნარდს უხათქუნებს.

დ.ვ. — ვასიკო? ჯერ არ დაბრუნებულა ინსტიტუტიდან, მეოთხე დაიწყო.

ნაზი — მეოთხე? ღმერთო, სადაცაა მოვა ბავშვი და მე ჯერ სადილის გასაკეთებლად ვერ მოვიცალე, ესაა ცხოვრება?! მტვრების წმენდას და ნამცხვრებს გადავყევი (შემოსასვლელიდან კვლავ ზარის ხმა ისმის). აგერ, მობრუნდა ის ბედოვლათიც. მოშივდა, ალბათ. იტყვის ახლა ათი ლიტრი ლუდი წავაგე თავისი ხინკლებითო და დამაყენებს თავზე თავისნაირ უქნარებს ამ საღამოს. ჩაახეთქებს და ჩააცეცხლებს, რაც თვითონ გადაურჩა და მოისვენებს. გაუღე, მამა. მე მაგისი თავი არა მაქვს. იქნება, რამე მოვუსწრო იმ ბიჭს.

(დიდი ვასიკო აღებს კარს. შემოდის პატარა ვასიკო)

პ.ვ. — შენა ხარ, ბაბუ? როგორ ხარ, კიდევ გაწუხებს ღვიძლი?

დ.ვ. — ჩაცხრა უკვე. ერთ-ორ კვირას დიეტას დავიცავ და... ნინო როგორ არის?

პ.ვ. — როგორ იქნება იმათი გადამკიდე.

ნაზი — (სამზარეულოდან) შენა ხარ, ვასიკო? რად დაიგვიანე? მოდი, ხელები დაიბანე და მაგიდას გაგიწყობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.ვ. — არ მინდა, არ მშია!

ნაზი — იქ ჭამე რამე? მოდი, მოდი, ყავა მაინც დალიე. შენ რომ გიყვარს, ნაღებიანი ნამცხვარი გვაქვს...

პ.ვ. — მე მიყვარს ნაღებიანი ნამცხვარი? (გახედავს დიდ ვასიკოს).

ნაზი — ჰო, დედა. მერე რამსიმაღლეა რომ იცოდე, როგორ ამოვიდა... ასეთი არასოდეს გამომსვლია. მოდი და ვასიკო ბაბუაც მოიპატიჟე.

პ.ვ. — ესმევა ყავა?

ნაზი — მაშინ ნამცხვარი მიართვი.

პ.ვ. — ჰო, კარგი. მოდი, ბაბუ, დაიბანე და დავსხდეთ.

(ვიდრე ნაზი სამზარეულოში ფუსფუსებს, ბაბუა და შვილიშვილი მარტო დარჩნენ)

დ.ვ. — მართლა მშვენიერი ნამცხვარია, ჩემო ნაზი. საფუარზე დააყენე თუ სოდაზე?

ნაზი — (კმაყოფილი) საფუარზე. ბესოს მოაქვს ხოლმე სამსახურიდან.

პ.ვ. — (ბაბუას გვერდით მიუჯდება და ნამცხვარს გადაიღებს) ბაბუ, ხვალ საღამოს იქნები სახლში? გივი და მე ამოვალთ, ეგრე ექვსზე, შვიდზე...

ნაზი — (ყური ცქვიტა) გივი?

დ.ვ. — რა გითხრა, წიგნები რომ მიუტანე, გაუხარდა?

პ.ვ. — (სიცილით) კინაღამ გარეკა. ბაბუაშენისთანა კაცი მეორე არ დადის თბილისში, უნდა ამოვიდე და პირადად ვუთხრა მადლობაო.

დ.ვ. — ოო, დიდი შებერტყილი ხალხი ხართ შენ და ის შენი გივი. მაყარიჩიც მე გინდათ მაკისრებინოთ, არა? (სიცილით) ამოიყვანე, შვილო. ამოდით. რაც სკოლა დაამთავრეთ, ორჯერ გყავდა თუ სამჯერ.

ნაზი — (გამოდის სამზარეულოდან) რა წიგნები მიეცით, მამა. ბესო ამბობდა, რაღაც-რაღაცეები მჭირდება და ვეღარ ავედიო.

დ.ვ. — ბესოს რომ გამოადგება, იმისთანა წიგნებს რატომ მივცემდი, ან გივის რად უნდა?.. საბუნებისმეტყველოზეა ბიჭი, ბრემის „ცხოველთა სამყარო" დასჭირდა და იქნება, მათხოვოსო, უთქვამს. მაინც ტყუილად მეწყო და მტვერი ჭამდა, მოკლედ, ვუფეშქაშე.

პ.ვ. — იცი, რანაირი ბიჭია, ბაბუ. გინდა თუ არა, გადავუხდი, რამდენიც ღირსო.

ნაზი — მერე ასე აიღეთ და აჩუქეთ? ბრემი, კაცო? დიდი ტომები რომ გეწყო ქვედა თაროზე. ისინი ხომ 900-ან წლებში, თუ კიდევ ადრე იყო გამოცემული. ასე როგორ მიეცით, სულ მუქთად?

დ.ვ. — რა არის სალაპარაკო, ჩემო ნაზი. მე ტყუილად მეწყო და იმას სჭირდებაო, ვასიკომ. მთელი ათი წელი ერთ მერხზე ისხდნენ, ფულს რანაირად გამოარჩევ და?!

ნაზი — რატომ, ვითომ? აბა, თქვენსავით ვინ ყრის დღეს ქონებას?

პ.ვ. — კარგი რა, დედა. ძმაკაცს სჭირდებოდა და მე ბაზრობაზე მიმეცა ქორ-ვაჭრისათვის?!

ნაზი — ქორ-ვაჭარს ნუ მისცემდი, გეთქვა იმ ვაჟბატონისთვის, ბაბუაჩემს ფული სჭირდება, გაყიდვას აპირებს და შენ იაფად მოგცემს-თქო. ისიც კარგი ვინმე ბრძანებულა, ხომ იცი. ისე როგორ გამოგართვა ამისთან წიგნები, არ იცის, რა ღირს?.. როგორ უნდა იცხოვრო, ვასიკო, როგორ! ვერ ხედავ, როგორ შეიცვალა ხალხი?!

დ.ვ. — შეიცვალა, ჩემო ნაზი, მაგრამ ყველა არა.

ნაზი — კარგი რა, მამა. პირიდან ნუ გამომღლეტთ ხოლმე სიტყვას. კიდევაც იმიტომ არის ასეთი, რომ ჩვენ ერთს ვეუბნებით, შენ — მეორეს. ბოლოს და ბოლოს, კაცია, რაღაც ხომ უნდა შეეძლოს? თუ არა და, თუ თქვენ ასე ხართ, ბატონო, აღზრდილი, რომ გეუხერხულებათ და გეძნელებათ ფულზე ლაპარაკი, მე ვეტყოდი! ჩვენი ქონება სხვამ მოიხმაროს და ჩვენ მშრალზე ვისხდეთ, როდემდე?!

დ.ვ. — გაყიდვას და ბაზრობაზე გატანას თუ მოვინდომებდი, ჩემო ნაზი, როგორმე თქმასაც მოვახერხებდი სხვის დაუხმარებლად, მერწმუნე! არ ღირს ახლა ამაზე დავა და ის...

ნაზი — როგორ არ უნდა ვიდავო, მამა. ჩვენ უკვე წლებში ვართ და ასეა თუ ისე, გავლიეთ წუთისოფელი, მაგან კი აწი უნდა იცხოვროს. როდის რას მოეწევა ასე ამ ქვეყანაზე? თუ ქალი მაინც შეხვდა ისეთი, ქეჩოში რომ ჩასჭიდებს ხელს, კიდევ კარგი. თუ არა და, უნდა ზედ გადაუაროს ყველამ...

პ.ვ. — დაიწყო „ტანგეიზერის" უვერტიურა...

ნაზი — ტანგეიზერს გიჩვენებ მე შენ, უზრდელო. ტანგეიზერს ადარებ დედას? თუკი ხმის ამოღება შეგიძლია, სხვაგან რატომ გაქვს ჩავარდნილი ენა? ერთი გალეული გოგოსთვის ვერ მოგივლია... (ვასიკო წამოხტა და ნანყენი გავარდა მეორე ოთახში) ნურც ეტყვით ვაჟბატონს. რატომ მამამისისა არ გამოჰყვა ცოტა, იმისი შიშით ხმა ვერ ამოგვიღია სახლში... (ისევ ზარის ხმა) მობრძანდა... ხსენებაზე! (აღებს კარს).

ბესო — (შემოდის) მოხვედი, მამა? როგორა ხარ, „ნარმალნა"?

დ.ვ. — კი, კი, უკეთ.

ბესო — სულ მოგეშვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ.ვ. — ახლა ამას დიეტა უნდა, ცოტა სითბო და მომეშვება, აბა, რას იზამს!

ბესო — როგორ აჯობებს, მივიდეთ დიდმამიშვილთან, თუ ჯერ სულ უნდა ჩაცხრეს?

დ.ვ. — რა გითხრა...

ბესო — აბა, გავიგებ, როდის აქვს მიღება და დაგირეკავ. (ნაზის) სხვა არაფერია საჭმელი, ამ სადილობისას რაღა დროს ყავაა, ქალო?

ნაზი — სახლს ვალაგებდი და ვერ მოგისწარით, ბატონო. კვირაში ერთხელ რომ რჩები სახლში, პატარაზე წამახმარო ხელი, ღმერთი გიწყენს?! არ მოგბეზრდა მთელი სიცოცხლე ნარდის ხათქა-ხუთქი და ლაზღანდარობა?

ბესო — ნარდი კი არა, ის... გიორგი შემხვდა აგერ, შენი კარის მეზობელი. რემონტი დაუწყია და მაჩვენა — როგორ მოგეწონებაო! მერე... ჯერ არაყი მოიტანა, დავილოცოთო და ეგრე, ზეზეულად ვუთაქეთ სამ-სამი... ბარემ დავსხდეთო და, ხომ იცი...

ნაზი — შენც ეგ გინდოდა და...

ბესო — ლოჯი და მისაღები გაუერთიანებია და ისეთი ოთახი გამოდის, ას კაცზე გაიშლება სუფრა. მაგას არ შეეშლება!.. მერე ისეთი ფერები შეურჩევია, სადა... ჩვენსას კი არა ჰგავს, იმასავით რომაა აჭრელებული... ისე შეუტრიალებია და შეუცვლია ყველაფერი, ჩეხური პროექტი გეგონება.

ნაზი — შე უბედურო, შენ — სხვისი რომ გაგიკვირდება ყველაფერი! მაღირსე რემონტი, ამ შეულესავ სინკარებში რომ ამომხადე სული და ნახავ, როგორ უნდა სადად და გემოვნებით გაკეთება. ქარელიდან ჩამოთრეულმა გორსალამ უნდა გასწავლოს?!. მამაშენის ბინა რომ გადაგვეცვალა და ეგ ერთოთახიანი შემოგვეერთებინა, სულ ავიღებდი ყველა კედელს, მარტო ტუალეტს და აბაზანას დავტოვებდი. სხვას ყველას გავაერთიანებდი: ოთახს, ლოჯიას, სათავსოებს, ჰოლს და იმისთანა მისაღები გამოვიდოდა, თვალი დაგრჩებოდა, მაგრამ რა გინდა. ისე შეეჩვიე ამ ოროთახიან ბუჟუნტოს... (თან გამარჯვებულივით გახედა დიდ ვასიკოს — აგრძნობინა, რომ მასთან ჰქონდა საქმე...)

ბესო — ეს ვისი თეფშია, ვასიკო დაბრუნდა? (ცდილობს, სხვა თემაზე გადაიტანოს საუბარი) სად არის, თავისთან გავიდა?

ნაზი — თავისთან გახლავს.

ბესო — რა არის, დღეს რაღა მოგელანდა? ჭამა მაინც დააცალე ხოლმე და მერე აუშვი იალქნები!.. სულ არაფერი უჭამია, მამა? იქნებ, დაუძახო. ხომ იცი, შენი ხათრი აქვს, დაგიჯერებს... (აღელვებულივით ოთახში).

ნაზი — მამას დამიხედეთ! შენ რატომ არ უნდა დაგიჯეროს, თუ ასეა: მშობელი არა ხარ?! (დიდი ვასიკო უკმაყოფილოდ გადააქნევს თავს და გადის. ბესო ცოლთან მიდის და ხმადაბლა ეკითხება).

ბესო — ისევ იმ ამბავზე მოგივიდათ ლაპარაკი? რა იყო?

ნაზი — რა იყო და მოუხარშავი რომ არის და უნდილი! ხმის ამოღება რომ არ შეუძლია. მაგან როგორ უნდა შეინახოს ოჯახი, ღმერთო! განა ტყუის ის გოგო.

ბესო — კარგი, ჰო!.. საერთოდ აღარ გამოვა.

ნაზი — აბა, ამხელა ოყლაყმა ის გაფსხრიკული გოგო ვერ უნდა მოტეხოს? მაგის ხნის რომ ვიყავით... არ გახსოვს, რა დღეში მაგდებდი? გასაქანი აღარ მომეცი, ვიდრე თანხმობა არ მათქმევინე.

ბესო — კარგი-მეთქი. იქნებ, გული შეიცვალა? მაგ ასაკში ყველაფერი ხდება.

ნაზი — შენ დღეს რაღაც სხვა ჰანგზე ამღერდი, ხომ იცი?! აქამდე თავს იკლავდი...

ბესო — აქამდე ასე იყო.. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა გვაქვს სახვეწი და სამუნათო? იმათ იკითხონ! ალბათ, ვასიკოც მიხვდა.

ნაზი — მიხვდა კი არა, ლოქოსავით დაუღია პირი და ელის, როდის მოართმევენ ოქროს სინით. მაგან როგორ უნდა გაიტანოს თავი, სულ ხომ ჩვენ არ ვეყოლებით, კაცო.

ბესო — გეყოფა-მეთქი, რომ გეუბნები!

ნაზი — გეყოფა, გეყოფა და აგერ, როგორი იზრდება! წეღან ერთი სიტყვა ვუთხარი და მაშინვე ზედ გადაეფოფრა მამაშენი. თუ ასე შესტკივა გული, ხომ ხედავს, ბავშვი უფრო იმიტომ იკავებს თავს, რომ ამ სოროსოდენა სახლში ჩვენც ვერ ვეტევით და ორი ოჯახი ვერ იცხოვრებს...

ბესო — რა სოროსოდენა, ქალო, ჭკუაზე ხარ? ჩვენ ათი წელი ვიცხოვრეთ ერთ ოთახში! კიდევ გყავს ვინმე, მაგის მეტი?

ნაზი — მაშინ სხვა დრო იყო, გეხაცვალე. თუ ასე ძალიან შესტკივა გული მამაშენს, რატომ არ გადმოვა და თავის ბინას არ დაუთმობს?

ბესო — სუ, ქალო, არ გაიგოს!

ნაზი — გაიგოს, თუ ასეა. მაგას ხომ არ ჰგონია, ვერ ვხვდები, რას აპირებს.

ბესო — ახალი ამბავი!.. რას აპირებს მაინც?

ნაზი — რას და, იმ შენი პატიოსანი ძმისთვის უნდა. დიდი მიხვედრაა საჭირო, ხომ იცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესო — საიდან მოიტანე?! რომ გაიგოს, შეიძლება საერთოდ აღარ მოადგას აქ ფეხი. ან ჩემი ძმა რა შუაშია, წლები ისე გადის, ერთხელ თუ ჩამოვა თბილისში.

ნაზი — ეგ მე მკითხე, ერთხელ კი არა, ძალიანაც მოუხშირა ამ ბოლო დროს.

ბესო — მერე უშლი? ჩვენ თუ ჩავდივართ?

ნაზი — არ ვუშლი, მაგრამ მაშინვე რომ ქალაქის მეორე ბოლოში გავარდება და მამაშენს მიადგება, ჩვენ უფრო ახლოს არა ვართ სადგურთან? ვითომ ვერ ხვდები, რა კუჭის წვაც აქვს: შვილები წამოეზარდნენ, ორ-სამ წელიწადში თბილისში უნდა ჩამოიყვანოს სასწავლებლად და ბინა ნებავს!

ბესო — ბინა კი არა, შენი შეწუხება ეხათრება. და საერთოდ, იქ არ ურჩევნია, მამასთან, ცალკე, თავისუფლად. იტყვი რაღაცას!

ნაზი — ურჩევნია და, იმ ბინაში რომ შენი ხათრიანი ძმის ბარტყები ჩაიბუდებენ და შენ მშრალზე დაგტოვებენ, მაშინ გაგახსენებ. მოიცა! (გადის გაავებული).

ბესო — ახლა ამას უგორე კოჭი!.. გეყურება, ნაზი! (გაედევნება).

(მცირე პაუზის შემდეგ იღება კარი და დიდი და პატარა ვასიკო გამოდიან).

პ.ვ. — აბა, მაგათი ის მინდა კიდევ, ბაბუ, ისედაც დაწყვეტაზე მაქვს ნერვები.

დ.ვ. — კარგი-მეთქი, თუ ჩემი ხათრი გაქვს (მიჰყავს მაგიდასთან) მამაშენმა გთხოვა და ნუ აწყენინებ (მიიხედ-მოიხედავს) რა იქენით, ხალხო! განგებ თუ გავიდნენ, რომ არ მოგერიდოს. დაჯექი, გეუბნები, თორემ აღარც მე შევჭამ! (გვერდით მიუჯდება) კი მაგრამ... მას მერე სულ არ გინახავს?

პ.ვ. — როგორ არა, მაგრამ სალაპარაკოდ ველარ მოვიხელთე. დილით, ხუთი წუთი რომ აკლდა კონსულტაციის დაწყებას, დედამისმა მოიყვანა მანქანით და დამთავრებამდე მანქანაში უცდიდა. შესვენებაზე რომ მივედი, თვალით მანიშნა, არაფერი მითხრაო და მეც ვთოხლე რა!.. გუშინ მთელი დღე ვურეკე, მაგრამ სულ ის ქალი იღებდა ყურმილს. ცოტაც და გავრეკავ რა! ხო არ მივიდე და მამამისს მოველაპარაკო ერთი-ერთზე. თქვას, რა უნდა!

დ.ვ. — შენი იქ ასე მისვლა როგორ შეიძლება! სახლში რომ არ დაგვხდეს და ის შენი სასიდედრო შეგრჩეს ხელში? ან ლაპარაკი რომ მოგივიდეთ და სულ გააფუჭო საქმე?!

პ.ვ. — ვა, ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდებიო!.. მაშ, რა ვქნა, ბაბუ. შენ მიდი მაშინ ბებიამისთან. წუხელ რომ მითხარი ტელეფონში, ომის დროს ერთად ვსწავლობდითო...

დ.ვ. — მთელი ორი წელი. სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით და ფაბრიკაშიც ერთად ვმუშაობდით.

პ.ვ. — უთხარი, რამენაირად ერთხელ კიდევ შეეთეთესოს დედამისს და მე ვიცი. სხვა თუ არაფერი, მოვიტაცებ! მიხვალ, ბაბუ? მოდი რა, ამ საღამოს...

დ.ვ. — იტყვი შენც! ეგრე უცებ როგორ მივალ!.. რამდენი წელია აღარ მინახავს ის ქალი!

პ.ვ. — აბა, როდის?! წამოდი რა, ბაბუ. მე ქვევით დაგიცდი.

დ.ვ. — დღეს არ გამოვა! ბოლოს და ბოლოს, საპარადოდ არა ვარ ჩაცმული. რატომ ვათქმევინო, ამისთანა საქმეზე დალაქული პიჯაკით მოვიდაო. არა! ხვალ მივალ, ან ზეგ... გაგაგებინებ.

პ.ვ. — გამოიცვალე პიჯაკი. ტაქსს დაგიჭერ და ხელათ გავვავრდეთ შენთან და გამოვიდეთ...

დ.ვ. — გაგიჟდი? უნდა მოვიფიქრო, რა ვუთხრა იმ ქალს, როგორ ვუთხრა. სამუსაიფოდ ხომ არ მივდივარ. მთელ ჩემს დიპლომატიურ ნიჭს უნდა მოვუხმო. გეუბნები, მივალ! ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე. რა გაქვს სანერვიულო, თუ კაცი ხარ! რაც მთავარია, ქალი თანახმაა და თუ გაჭირდა, მართლაც მოვიტაცოთ, როგორც შენ თქვი და სულ მშრალზე დავსვათ ის შენი სასიდედრო. შევთანხმდით?

სურათი მესამე

(გუგუშვილების ბინა. ფარდის გახსნისას სცენაზე მხოლოდ ნანაა — ფორტეპიანოს უზის და რ. ლაღიძის „თბილისო"-ს ასრულებს. მცირე ხნის შემდეგ ჰოლიდან ზარის ხმა ისმის. ნანა დაკვრას განაგრძობს, ზარი გაბმით რეკავს).

ნანა — (დგება) ახლა-ვე!.. (წამით სარკესთან შეჩერდება, თმას შეისწორებს, ნიკაპს წინ გაიწვდის და ყელის კუნთებს დაჭიმავს) მობრძანდა ქალბატონი! (აღებს კარს). კოტე!.. ასე ადრიანად? კიდევ უსიამოვნება ხომ არ შეგხვდა, საყვარელო? (კოცნის).

კოტე — არაფერი. პატარა საქმე მაქვს... ჰო, მართლა, ნანუსი, ზურაბ გედევანოვიჩმა უნდა გამოგვიაროს. კოლეგიაზეა სამინისტროში და იქიდან პირდაპირ ჩვენთან მოვა (საათს დახედავს) ასე, ერთ საათში, საათნახევარში და აბა, შენ იცი, როგორ გაგვიმასპინძლდები.

ნანა — (შეიცხადებს) ნუ, კოტე, როგორი ხარ, გენაცვალე. სამსახურიდან ვერ გადმომირეკე?!. ახლა რა მოესწრება,

საყვარელო. გინდა, შევრცხვე ბატონ ზურაბთან?

კოტე — მე ხომ ვიცი, რაღაცას მოახერხებ, მოკლედ, საუზმეული და ბოლოს — კარგი მწვადი! დანარჩენი შენ იცი, რასაც მოასწრებ. ჰო, მართლა, ის არაყი ჩამოასხით, წითელწყაროდან რომ გამომიგზავნეს საშვიდნოემბროდ. ერთი მაგარი პროექტი მინდა შევტენო და თუ გამოვიდა და მოვაწერინე ხელი, კაცი არ ვიყო, თუ ამ ზაფხულს ვარნაში არ დაგასვენოთ შენ და ნინო, „ზალატიე პესკი-ია"..

ნანა — კოტე, ოღონდ ეგ გააკეთე, საყვარელო და არ ვიცი... ჩიფჩიურები ყოველ წელს იალტაში დადიან, ჩვენ კი გაგრას და ხოსტას ვერ გავცდით.

კოტე — ახლაც წავიდნენ! იმდენი ვუჩიჩინე გედევანოვიჩ!', პენსიაში უშვებს...

ნანა — არ გადამრიო! ისე კი, მეცოდება, ხომ იცი.

კოტე — რა აქვს შესაცოდი. წყნეთში ჩვენ ავდიოდით საგზურით, თუ ისინი?

ნანა — რომ არ გამოვიდეს, კოტიკო!

კოტე — არ გამოვა და... (ხელს დამუშტავს და თვალს უკრავს — გამოჭერილი მყავსო) ნუნუს უთხარი, ყასაბთან ჩავიდეს, გაფრთხილებულია.

ნანა — კი, კი, ახლავე. დე-და!.. ყველაფერი იქნება, კოტე, ყველაფერი, მაგრამ ამ გოგოს რა მოვუხერხოთ, მითხარი. რამდენი ვეხვეწე, რა არ ვუთხარი, ჩამოეხსენი-მეთქი იმ ბიჭს და შეაყარე კედელს ცერცვი. მთელი საათი ვუცადე, მეტი და... წამოვედი.

კოტე — კარგი, კარგი! (საათს დახედავს) შენს საქმეს მიხედე, დანარჩენი მე ვიცი. მაგას ხომ არ ჰგონია... რომ ვათამამებ... (შედის თავის ოთახში).

ნანა — ჰო, კოტე, შენი ჭირიმე! შენ დაგიჯერებს. დე-და! არ გესმის, ქალო. რამდენჯერ უნდა დაგიძახო? (მარჯვენა კარიდან მაღალი, სათნო სახის მოხუცი გამოდის — ეს ნუნუა.) კოტემ ბატონი ზურაბი უნდა მოვიდესო. ჩადი ძირს, ჩემი სახელით მივიდესო ყასაბთან... (ნუნუ უსიტყვოდ გაბრუნდა. ვიდრე ის ტანსაცმელს გამოიცვლიდა, ნანამ მეორე ოთახიდან ხელჩანთა გამოიტანა, ფული ამოიღო, გადათვალა და ხელჩანთა იქვე, ფორტეპიანოზე მიაგდო.)

ნუნუ — (ბრუნდება ორად მოკეცილი ჩანთებით) ღვინოც ხომ არ ამოვიტანო?

ნანა — რა კითხვა გინდა, ქალო. ორისამი ბოთლი „ტიბაანი" წამოიყოლე, ხომ იცი, როგორ გიყდება კოტე. აჰა, ფული. დაითვალე, ორმოცი მანეთია. (ნუნუმ უსიტყვოდ ჩაიდო ჯიბეში და წასვლა დააპირა) შენთვის ხომ არაფერი დაუბარებია ნინოს ამ დილით?

ნუნუ — რა უნდა დაებარებინა?

ნანა — იქნება, სადმე აპირებდა-მეთქი კონსულტაციის შემდეგ?

ნუნუ — არაფერი.

ნანა — აღარ ვიცი, რა მოვუხერო ამ გოგოს. იქნებ, მოლაპარაკებოდი, დედა. შენი უფრო სჯერა. ჩვენ სიტყვას ფასი აღარა აქვს.

ნუნუ — (უხეშად) მე რა უნდა ვუთხრა, პატარა ბავშვია? სადაცაა 21-ის შესრულდება. გაიგეთ ვინ არის ის ბიჭი, როგორი ოჯახის შვილია. ასე ხელაღებით დაშლა გაგონილა? რაკი ნინოს მოსწონს, ალბათ, ურიგო ყმაწვილი არ არის. დაეცადეთ, თვითონ გაერკვეს, თვითონ გადაწყვიტონ...

ნანა — ვინ არის და კოტესთან უმუშავია მამამისს, სადღაც საბურთალოს ბოლოს ცხოვრობენო, ოროთახიან „ხრუშჩოვკაში".

ნუნუ — ნახევარი თბილისი „ხრუშჩოვკებში" ცხოვრობს... ვინ არის, რა გვარია?

ნანა — ვინც გინდა, იყოს. იმისათვის ვზრდიდი ასე და ცივ ნიავს არ ვაკარებდი, რომ „ხრუშჩოვკაში" იცხოვროს?

ნუნუ — „ხრუშჩოვკაში" რათ უნდა იცხოვროს, ეს ქარვასლისხელა სახლი ვისთვის გინდა?!

ნანა — მანამდე არ აუდგა გვერდები, რომ ზედსიძედ შემოვიყვანო! იქნებ, იმიტომაც აეტორღიალა ამ თავქარიან გოგოს, რომ აქ იფარფაშოს — ჩვენ ჩავაცვათ და დავახუროთ და „ვოლგაც" მივართვათ. სულ მაგ ჭკუაზე ვარ, ხომ იცი! არ მეყო, მთელი ცხოვრება რომ სხვებს ველოლიავე?.. ჯერ ქმრის მშობლებმა და დებმა შემჭამეს, მერე ბავშვი, იმისი სკოლა, პიონერთა სასახლე, წრეები. აქეთ კოტეს ამხანაგები და თანამშრომლები. მე ადამიანი არა ვარ?.. მშვენიერი საქმრო გამოუნახა მამამისმა. ისეთი სასახლე უდგათ, მეფისნაცვალს შეშურდება. აკადემიკოსი ბიძა, მილიონერი მშობლები. იმ ხალხმა რომ გაიგოს, რომ სხვასთან დაწანწალებს, ხომ ჩაგვეშლება ყველაფერი. თუ შენთვის სულ ერთია, რა მოხდება?

ნუნუ — მე მინდა, ბედნიერი იყოს!

ნანა — ღმერთო, ეს ვინ არის! შენ გინდა ბედნიერი იყოს და მე არ მინდა?! იქნებ, შენზე მეტად რომ მინდა, იმიტომ ვიგლეჯ ნერვებს! არა, მაინც რამ გათქმევინა ეს? მე არ მინდა, ჩემი შვილი ბედნიერი იყოს?!

ნუნუ — გააჩნია, ბედნიერებას რას ეძახი!

ნანა — გეყოს ახლა! ამიტომაც არის, ჩვენს ნათქვამს არ იკარებს, რომ მაგ სისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელეებით გამოუტენე თავი! (გაანჩხლებული) ბედნიერებას რას ვეძახი!

ნუნუ – ტყუილადა გწყინს, შვილო. შენ ბედმა დაგზოგა და უზრუნველი ცხოვრება გარგუნა. ასე იყო, თუ ისე, სხვებზე უკეთ გეცვა და გეხურა... ყოველ შემთხვევაში, ბევრს შურდა და შემოგნატროდა... მაგრამ ხანში რომ შეხვალ, და უკან დაიწყებ ცქერას, დაინახავ, რომ სჯობდა სხვა ყველაფერი გკლებოდა და მთავარი გქონოდა: ურთიერთგაგება და სიყვარული!

ნანა – რა დაგემართა, ქალო. რა ჭკუაზე ხარ დღეს?!

ნუნუ – ნუ ყვირი! (ხელით ქმრის ოთახზე ანიშნა) მე თვითონ ასე გავლილ ცხოვრება და შენც დაგლუპე. არ მინდა ნინომაც ასე იცხოვროს – ყალბი ბედნიერებით და ილუზიებით.

ნანა – განა არა, კოტე სულ იმას მეუბნებოდა, დედაშენი რაღაც ისე მიყურებს, არ ვუყვარვარო. მაშინვე შეგატყო!

ნუნუ – ვერაფერი დაკვირვებული ბრძანებულა, თუ მე შემატყო, რომ ისე არ მიყვარდა, როგორც უნდა მყვარებოდა და შენ კი ვერა. ან იქნებ, შენი სიყვარული არცა სჭირდებოდა!

ნანა – (შიშით გახედავს ქმრის ოთახის კარს) დედა! რა აგიტყდა დღეს, ქალო! რაღა დროს ეგენია შენს ასაკში! რას ლაპარაკობ, გესმის? სხვებივით არავისში გავუცვლივარ და რასაც მოინაგრებს, გარეთ არ ფლანგავს და შინ მოაქვს. რაზე შეატყვე, რომ არ ვუყვარვარ?..

ნუნუ – ცოლ-ქმრობა მარტო მონაგარის შინ მიტანა და ღამით ერთად ძილი არ არის! ერთმანეთის მონატრებაა და სიყვარული, უანგარო ზრუნვა და თუ საჭირო იქნება, მსხვერპლის გაღების, თვითშეწირვის მოთხოვნილება!

ნანა – ნეტავი სად ამოიკითხავ ხოლმე ამ ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს... არ შეგვიკლა თავისი მორიაკით და ჟიროდუთი?! შენი გაგებით იმ ლაწირაკსა აქვს თვითშეწირვის მოთხოვნილება, რაკი მთელ დღეებს ჩვენს ფანჯრებნინ ათენ-აღამებს? მაგასთან იქნება ბედნიერი? კაცი, ჩემო კარგო...

ნუნუ – იქნება, თუკი უყვართ!.. ნინო ისეთი გოგო არ არის, შეუფერებელთან დაიჭიროს საქმე. დააცადე-მეთქი, თვითონ გაარკვიონ.

ნანა – (გაანჩხლებული) კიდეც შენ აგულიანებ იმ უტვინო გოგოს, რომ დაიმარტოხელებ ხოლმე სამზარეულოში და ეჩურჩულები! აღარ დავინახო დღეის ამას იქით, ნინოსთან ჩაიკეტო და ჩვენს ბედს აღმდეგ გააქეზო, თორემ არ ვიცი!

კოტე – (გაღიზიანებული) აღარც დღეა მოსვენება ამ სახლში, აღარც ღამე! რა არის ეს გაუთავებელი დავა და ჩხუბი! სხვა ადგილი ვერ მოძებნეთ საკამათოდ?.. იცი, დაღლილი დავბრუნდი, ერთი ხუთი წუთით მოვატყუებ-მეთქი თვალს!..

ნანა – ო, კოტიკო, არ ვიცოდი თუ გეძინა, გენაცვალე. მაგრამ რა ვქნა, ნერვები დამაწყვიტა ამ ქალმა. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადარია ბავშვი – ჩვენ ერთს ვეუბნებით, ეს მეორეს და იმიტომაც დადის ასე თავგზააბნეული.

კოტე – ეხლავე მოკეტეთ ორივემ და მე ნუ ჩამრევთ თქვენს საქმეებში! თუ ერთი დავუსტვინე, ხომ იცი?! თქვენი იმისთვის მცალია სწორედ!..

ნანა – ჰო, მაგრამ, კოტე... რაღა დროს მაგისი...

კოტე – გითხარი, ჩემი გადასაწყვეტი არ არის-მეთქი! თუ არადა, შენი უფრო არ უნდა სჯეროდეს ნინოს? მეტი საერთო არ უნდა გქონდეს შვილთან! (ნუნუ აქამდე ამრეზით უსმენდა. ჩანთა აიღო და უკმაყოფილომ გაიხურა კარი. კოტემ ისარგებლა და მისი მიმართულებით გაიწოდა თითი) არ უნდა მისცე ამდენი უფლება! ამას ვინ ჰკითხავს! ოჯახში ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს! (ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა) გითხარი, დაუჩქარე-მეთქი, ჩააგზავნე ქვევით დედაშენი – ერთ საათში მოვა ის კაცი, თქვენ კი, დგახართ აქ და ჩხუბს უნდებით. აღარც დავისვენო? სამსახურში არ მყოფნის აყალ-მაყალი?!

ნანა – ჰოდა, მარტო სამსახური და საქმე რომ გახსოვს, იმიტომ გენგრევა ოჯახი. რატომ არ იკითხავ, სად არის აქამდე შენი ქალიშვილი? სად დადის, ვისთან დადის?! აქამდე არ უნდა დაბრუნებულიყო?! შენ სამსახურის მეტი არაფერი გახსოვს და მე ვიჭყლიტები: ყოველდღე ეს უბედურება და გულისხეთქება მაქვს.

კოტე – რა გულისხეთქება? გამაგებინე, რა გინდა თქვა?

ნანა – რა და... რომ მოგადგნენ ახლა ყვავილებით და სიმღერ-სიმღერით, ხელი მოვაწერეთო, რას აპირებ?

კოტე – როგორ გაბედავენ!

ნანა – რატომ, ახლანდელებისგან გასაკვირია? მაგის მეტს რას ვისმენ ყოველდღე – გაიპარა, გაჰყვა, მშობლების უნებართვოდ მოაწერა ხელი და ათასი ამდაგვარი. აი, ახლაც... ამდენს რომ იგვიანებს, სად არის, რას აკეთებს?! (განერვიულებული დადის ოთახში) მარტო მე რა შემიძლია, რა?

დედაჩემი ჩვენს საწინაამდეგოს ჩასჩიჩინებს, შენ არა და არა გცალია. ხმას ამოვიღებ და ყვირილს მიწყებ, შეურაცხყოფას მაყენებ...

კოტე — ეგრეა, არა მცალია და ხვალიდან სულ აღარ მეცლება! ან იქნებ, თქვენი სისულელეებისათვის ამისთანა ვარიანტი უნდა გავუშვა ხელიდან?! სამსახურიც დავკარგო?

ნანა — (დაიბნა) სამსახური რა შუაშია?

კოტე — იმ შუაშია, რომ... გაზეთებს მაინც არ კითხულობ, შე ჩემა... ან ტელევიზორს არ უყურებ? ყოველდღე ერთი და იგივეს რომ ახურებენ — სახელმწიფო ჩაბარება, სახელმწიფო მიღებაო. პირველად მეც ერთ ყურში შევუშვი და მეორეში გავატარე, მაგრამ იმ გაერთიანებებია სიაში, რომლებიც ჩაბარების ამ სისტემაზე გადაჰყავთ, ჩვენი ქარხნებიც რომ ვნახე, გამოვფხიზლდი. იცი, რა არის ეს სახელმწიფო ჩაბარება და მიმღები კომისია? თანაც ამხელა ქარხნების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა? ხარისხიან პროდუქციას ვერ გამოუშვებ და არ მიიღებენ, ე.ი. გეგმას ვერ შეასრულებ, ხელფასს ვერ გასცემ! ძველებურად სახელმწიფო კი არ აგინაზღაურებს ზარალს: მოგკიდებენ ხელს და ამოგკრავენ პანლურს — ხელმძღვანელობა არ შეგძლებიაო. მანქანაც გვერდზე დაგრჩება, ჩემო ლამაზო, ხელფასიც, პრემიებიც, აგარაკებიც და რა ვიცი კიდევ, დაბარებულივით რომ მოდიოდა. რაც მთავარია, ვეღარც ზემოდან დაგეხმარებიან (ხელით სადღაც მაღლა ანიშნა და კიდევ უფრო დაუწია ხმას) ვის აწყობს, რომ იმისი რეკომენდაციით დაწინაურებულ ხალხს პარტყა-პურტყით ხსნიდნენ? იჯდება კაბინეტში და აბოლებს „მარლბოროს". აღარც რეკომენდაციებს გასცემს ძველებურად და აღარც სიტყვას წაგახმარს გაჭირვებისას — ხვალ მეც ამას არ მიმაყოლონო. აბა!

ნანა — მაშ, რა უნდა ვქნათ, კოტიკო, გენცვალე?

კოტე — რა უნდა ვქნათ და ცოტა მეტად გავანძრიოთ ტ.... და, რაც მთავარია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს! გაახილე რა თვალები! თქვენი მიეთ-მოეთისთვის მცალია, ხო იცი! შენ უნდა მიხედო...

ნანა — მე შემიძლია, კოტე?

კოტე — მე შემიძლია იმ მურდალ სასტუმროებში გდება მთელი კვირაობით, იმ ქაჯებთან სუფრაზე ჯდომა და იმათი სადღეგრძელოების მოსმენა?!. არადა, თუ არ ჩააკითხე, კარგათ მეყოლე. თანაც სულ იმაზე უნდა იფიქრო, არ ჩაგიშვან, დანომრილი ფული არ შემოგტენონ... მოადგილეს გაიყვან და წილი უნდა მისცე... და საერთოდ, ვის სჭირდება ეს [illegible] ნინო იმისთანა გოგოა, ჩვენ [illegible] ად...

ნანა — არ ვიცი, არ ვიცი... ისეთი საშინელი სიზმარი ვნახე წუხელ, ვთქვი, ხვალ რაღაც მეწყინება-მეთქი. ღმერთო, ოღონდ ახლა დაბრუნდეს, არაფერი ისულელოს და მერე მე ვიცი, ღმერთო! (სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა როგორ გაჩერდა ლიფტი და გაიღო მისი კარი).

კოტე — მოვიდა! რა იცი ეს, ტყუილად რომ გაიხეთქავ ხოლმე გულს... (ხმა უწყდება. გარედან მხიარული ხმები და რამდენიმე კაცის ფეხისხმა ისმის).

ნანა — ღმერთო! (ორივენი ცუდის მოლოდინში გაინაბებიან. ხმაური თანდათან მიწყდება და სადღაც ზევით დაჯახუნდება კარი).

კოტე — უჰ, მეც შემაშინე, შე ვირიშვილო! ფუ!..

ნანა — შეგაშინე. მე ყოველდღე სულ ამ ყოფაში ვარ. აღარ შემიძლია, ნერვები დამაწყდა. გინდათ, სამარეში ჩამიყვანოთ? რა დაგიშავეთ, ამისი ფასი? წელანაც გითხარი, მერე იმისთანა სიზმრებში ვარ... (გარედან კვლავ მოისმა ლიფტის კარის ხმაური) აგერ, ღმერთო! ოღონდ მშვიდობიანად დამილამე ეს დღე, ოღონდ მშვიდობით დამიბრუნდებოდეს და მერე მე ვიცი. ღმერთო! (ისმის ზარის ხმა) ვინ არის? ნინოს ხომ თავისი გასაღები აქვს?

კოტე — იქნებ, არ წაუღია.

ნანა — (თითქმის კივილით) წაიღო! (კვლავ ზარის ხმა). რაღას უყურებ, მიდი, გაუღე. მე მუხლები აღარ მემორჩილება. ღმერთო! (და ვიდრე კოტე კარს გააღებდა, კანკალი აუვარდება ნერვიულობისგან).

ნინო — (შემოდის) მამა, სახლში ხარ? რა არის, როგორ მიყურებთ, მოხდა რამე? (ნანა მაგიდაზე დაემხობა და ისტერიული ქვითინი აუვარდება). რა დაემართა? დედა!..

კოტე — კარგი ახლა, თორემ სულ მივლეწ-მოვლეწავ აქაურობას? (ნინოს) მოჰკიდე ხელი, თავის ოთახში გავიყვანოთ, არავინ მოვიდეს. (მიჰყავთ). კარგი, ახლა ამისი დროა? (კარამდე მიჰყვება, გამობრუნდება და ისევ თავის ოთახში შედის). თქვენი...

(პაუზა. იღება ნანას ოთახის კარი, გამოდის ნინო, მაგიდიდან ჩანთას აიღებს და მეორე კარში გავა. ისევ იღება კარი და ნანა გამოდის. ხელში ცრემლებით დასველებული ცხვირსახოცი უჭირავს. მივა სარკესთან, თმას შეისწორებს, თვალებსა და უპეებს აკვირდება... შემოსასვლელიდან ზარის ხმა ისმის. ნანა სარკეს მოშორდება და გაგულისებული მიდის კარისკენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა – მობრძანდა, როგორც იქნა! (აღებს კარს).

დ.ვ. – გამარჯობათ!

ნანა – (ხისტად) გამარჯობათ!

დ.ვ. – შეიძლება ქალბატონი ნუნუ ვნახო?

ნანა – მმ... მობრძანდით. ქალბატონი ნუნუ გასტრონომში ჩავიდა და ახლავე ამოვა. (დაბალ სავარძელზე ანიშნებს) დაელოდეთ.

დ.ვ. –(ჯდება) უდროო დროს შეგაწუხეთ, ქალბატონო.

ნანა – როგორ გეკადრებათ.

დ.ვ. – ოო... (მაგიდაზე ძველებური ბრყელძირა ჩიბუხი შენიშნა) რა შესანიშნავი ნახელავია. შეიძლება, ენახო?

ნანა – სპარსულია. ჩემს მეუღლეს მოართვეს დაბადების დღეზე.

დ.ვ. – მე მგონი, უფრო თურქული უნდა იყოს. (ათვალიერებს) რა თქმა უნდა. შეხედეთ, საყალიბე ზოლები რა გარკვევით ემჩნევა... თუმცა, ოსტატს შეძლებისდაგვარად დაუგლუვებია შემდეგ. თანაც, ორნაწილიან ყალიბშია ამოყვანილი...

ნანა – თქვენ ასე კარგად ერკვევით ამაში, ბატონო?

დ.ვ. – რას იზამ. ძველი ახალციხელი ვარ. ბავშვობისას ამის მეტი რა მინახავს ბაზრობებზე.

ნანა – დარწმუნებული ხართ, რომ სპარსული არ არის?

დ.ვ. – რა თქმა უნდა. სპარსულს არაბული დამლა ექნებოდა. აქ კი თურქულია. შეხედეთ, აი „ფანი" – ეს მორწმუნეთა განსაკუთრებულ, სულიერ ამაღლებას, ასე ვთქვათ... ეგზალტირებას გამოხატავს... როდესაც ადამიანი ყოველგვარ ამქვეყნიურს ივიწყებს. (ათვალიერებს) საერთოდ, ნაცრისფრად გამომწვარი ჩიბუხი დამზადების მაღალი ტექნიკით განსხვავდება სხვა ფერის, მათ შორის მოწითალო და ვარდისფერი ჩიბუხებისგან... სპარსული ჩიბუხი კი, როგორც გითხარით...

ნანა – ეტყობა, თქვენ მართლაც ურიგოდ არ უნდა ერკვეოდეთ ამაში, ჩემო ბატონო. თუ შეიძლება აქეთ წამობრძანდით, აღმოსავლურ ოთახში ჩემს მეუღლეს მოწითალო ჩიბუხების მთელი კოლექცია აქვს.

(გადიან. იღება მეორე კარი და ნინო გამოდის. ხელში წიგნი უჭირავს. მცირე ყოყმანის შემდეგ ნანას ოთახის კარს შეაღებს და შეიხედავს. მერე დააყურებს, გამობრუნდება, ტელევიზორს ჩართავს და სავარძელში მოკალათდება, დაბალ მაგიდასთან ტელევიზორის ხმაზე სამუშაო ოთახიდან კოტე გამოვა).

კოტე – შენ ხარ, ნინო? დედაშენი როგორ არის, ცოტა გაუარა? (ნინო თავს უქნევს) სად არის?

ნინო – ეტყობა, სტუმარი მოუვიდა. აღმოსავლურიდან ისმის ლაპარაკი.

კოტე – ჭამა არ გინდა , რომ უკვე ჩაუჯექი. ხვალა გაქვს გამოცდა? (ნინო თავს აქნევს) ჰო, რა მინდოდა მეთქვა, შეიძლება ასე გაანერვიულო დედა?

ნინო – ხომ გითხარი, მამა, პროფკავშირის კრება გვქონდა. დეკანი დაგვესწრო და ძალიანაც რომ მდომოდა, ვერ გამოვიპარებოდი. დავრეკე, ტყუილად არ მელოდო-მეთქი. მეტი რა უნდა მექნა?!

კოტე – მოკლედ, ახლა ამისი დრო არ არის: ზურაბ გედევანოვიჩი უნდა მოვიდეს და მერე მე და შენ სერიოზულად მოვილაპარაკებთ.

ნინო – კი, ბატონო. (ღიმილით) ისე, ამ ბოლო დროს, ბატონმა ზურაბმა ძალიან მოუხშირა ჩვენთან სტუმრობას.

კოტე – (მკაცრად) ნინო! არც მე და არც დედაშენი ისე ძველმოდურ ხალხს არ ვეკუთვნით, და სულ არ მინდა, რომ დაგაძალოთ, ან შენი სურვილის წინააღმდეგ... მაგრამ... შენც უნდა გაგვიწიო ანგარიში. დარწმუნებული ხარ, რომ ასეთი ვარიანტი კიდევ გამოგიჩნდება ცხოვრებაში?

ნინო – მაშინ... უნდა ვიჩქაროთ, მამა. არ გადაიფიქროს იმ კაცმა.

კოტე – ამას უყურე, რომ მაშაყირებს კიდეც... ხომ არ გავიწყდება, რომ კოტე გუგუშვილს ელაპარაკები?! ისე იქნება, როგორც მე ვამბობ, გესმის?! ხმას რომ არ ვუწევ, შენ ხომ არ გგონია?!

ნინო – კარგი რა, მამა. გითხარი, არ მომწონს-მეთქი ის კაცი! დაგჭირდებათ, ჯერ რა დროს შენი ეგ არის, უნდა ისწავლო, ინსტიტუტი დაამთავრო და დაგჭირდებათ, არიქა, კიდევ შეგხვდება ასეთი ვარიანტი ცხოვრებაშიო. მართლა პატარა ბავშვი ხომ არა ვარ?!

(წიგნს ხმაურით დახურავს და ისევ თავის ოთახში გავარდება)

კოტე – ნინო! ის დროა, გუდა-ნაბადი ავიკრა ამ სახლიდან! (მუქარით დააქნევს თავს, ტელევიზორს გამორთავს და გადის. იღება აღმოსავლური ოთახის კარი და ნანა და დიდი ვასიკო უკვე მეგობრული ბაასით გამოდიან).

დ.ვ. – კარგით, ქალბატონო ნანა, მე წავალ. როგორც ჩანს, ნუნუ იგვიანებს და აღარ შეგაწუხებთ.

ნანა – რა შეწუხებაა. ისე საინტერესოდ მესაუბრეთ. ახლა უკვე მეც მეცოდინება მათი გარჩევა. დედა, ალბათ, სადაცაა მოვა

და რომ გაიგებს, ჩვენთან იყავით და არ დაელოდეთ...

დ.ვ. — (საათს დახედავს) რა ვქნა, ხუთისთვის ერთ ადგილზე რომ არ ვიყო, არ შეიძლება: ხვალ-ზეგ გამოვივლი, ქალბატონო ნანა... თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით.

ნანა — როგორ გეკადრებათ, პირიქით. რაც შეეხება იმ ამბავს კი. წელანაც გითხარით, მე სერიოზულ მნიშვნელობას არც ვაძლევდი. რა დროს მაგათი ეგ არის-მეთქი, ჯერ ხომ სულ ბავშვები არიან. ისწავლონ, ინსტიტუტი დაამთავრონ და მერე ვნახოთ... თუ კიდევ გექნებათ სურვილი. დიახ, დიახ. ჯერ რა ჭკუა მოეკითხებათ?!

დ.ვ. — გეთანხმებით, გეთანხმებით, ქალბატონო ნანა, მაგრამ... მეორეს მხრივ, თუკი ასე უყვართ ერთმანეთი, ცოდონი არიან. განა უმაღლესს მერე კი არ ამთავრებენ ხოლმე? რამდენიც გნებავთ.

ნანა — ამთავრებენ, მაგრამ ვაი, იმ დამთავრებას. განა ჩემს ნინიკოს ზოგიერთივით სამზითვოდ უნდა დიპლომი! ასპირანტურაზე ფიქრობს, მეცნიერულ მუშაობაზე და ხარისხზე. რატომ უნდა გადაყაროს წყალში ამდენი შრომა? მეხუთე კლასში იყო ნორჩ ნატურალისტთა წრეში რომ მივიყვანე სკოლაში. მეექვსედან კი უკვე პიონერთა სასახლეში ვატარებდი. ყოველ მეორე დღეს, საბურთალოს ბოლოდან. მაშინ ჩვენ საბურთალოზე ვცხოვრობდით...

დ.ვ. — ჰო, მაგრამ... ქალბატონო ნანა, განა ჩვენ...

ნანა — არა, არა, ბატონო ვასიკო. გაგონებაც არ მინდა. როგორ გეკადრებათ. მე ხომ ვიცი, რომ ყველაფრის დათმობა მოუხდება. თვითონ მაინც არ მქონდეს მწარე გამოცდილება: მთელ კურსზე თითით საჩვენებელი სტუდენტი ვიყავი, ყველასაგანი გამორჩეული. პროფესორები რას არ მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ... გავთხოვდი და თუმცა, დედაჩემიც და მეუღლის მშობლებიც სულ თავს მევლებოდნენ, ყველაფერი წყალში ჩამეყარა. ოჯახი, ბავშვი... ჩემი მეუღლე მაშინ უკვე დიდ თანამდებობაზე მუშაობდა, ნაცნობი არ გვაკლდა და მთხოვნელი... ასე რომ... ძალიან გთხოვთ...

დ.ვ. — კი, ბატონო. თქვენც მართალი ხართ, მაგრამ ნუ დავუშლით მაინც. შეხვედრები რომ ავუკრძალოთ და გავაღიზიანოთ, შეიძლება, უარესიც გააკეთონ...

ნანა — (ყალბი სიცილით) რა უარესი? თქვენ მე მაშინებთ, ბატონო ვასიკო.

დ.ვ. — მოგეხსენებათ, ადმინისტრაციული მეთოდი ყოველთვის საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს. მით უმეტეს, მათ ასაკში! ხომ გაგიგონიათ, აკრძალული ხილი ტკბილიაო, თორემ მე ჯერ-ჯერობით მთლიანად! მით უმეტეს, რომ ნინოს ინსტიტუტის დამთავრებამდე ვერც წარმოუდგენია ოჯახს მოეკიდოს. შესანიშნავი გოგონა გყავთ, ქალბატონო ნანა! ჭკვიანი, დაფიქრებული... ბედნიერი დედა ბრძანდებით. მე გარეგნობაზე აღარაფერს ვამბობ...

ნანა — დიახ, დიახ... გმადლობთ. აბა, როგორ... (საუბრით მივლენ კართან და სწორედ ამ დროს ზარის წკრიალიც გაისმის). აი, დედაც მოვიდა. (აღებს კარს).

ნუნუ — (შემოდის დატვირთული და ჩანთებს იქვე, კართან დაჰყრის). უჰ, ამომივიდა სული!..

ნანა — (ვითომ მსუბუქი საყვედურით) სადა ხარ აქამდე, ქალო. როდის რას მოვასწრებთ, მაინცდამაინც ახლა მოგინდა დაგვიანება? (ახლაღა შენიშნა, რომ ნუნუ ვასიკოს უყურებს და გაახსენდა სტუმარი). ჰო, ბატონი ვასიკო გვესტუმრა და რომ დაიგვიანე, აღარც ის იცდის, საჩქარო საქმე მაქვსო.

ნუნუ — ბატონი ვასიკო?! რაო, რისთვის შეწუხებულა?

(მოულოდნელად ლიფტის მხრიდან ხმამაღალი ლაპარაკი და ფეხისხმა მოისმა და ნანას გული გადაუქანდა).

ნანა — ვაიმე, მგონი, ბატონი ზურაბია. რამდენჯერ გითხარი, აქ ნუ იცი-მეთქი ამ ჩანთების დაყრა, სამზარეულოში გაიტანე!

ნუნუ — გაიტანე მერე! ხომ ხედავ, სულს ძლივს ვითქვამ. თუ მე ამ სიმაღლე კიბეებზე ამოვიტანე, შენ სამზარეულოში ვერ უნდა გაიტანო? (დაიხრება ასაღებად. დიდი ვასიკო ვერ მოითმენს და დასახმარებლად წაეტანება). (მკაცრად) არ არის საჭირო, მე თვითონ! (გადის).

ნანა — (აღშფოთებული) დედა!

დ.ვ. — (კარს გამოაღებს). არაფერია, ქალბატონო ნანა. ეტყობა, ხასიათზე ვერ არის. სხვა დროს გამოვივლი. ერთი სიტყვით, როგორც შევთანხმდით. კარგად ბრძანდებოდეთ!

ნანა — ნახვამდის (მიხურავს კარს).

კოტე — (გამოდის თავისი ოთახიდან) ვინ იყო, მე ხომ არ მიკითხა ვინმემ?

ნანა — ვინ და, გაგეცინება, კოტე. იმ ყმაწვილის პაპა, ნინოს რომ დასდევს. ვითომ ნუნუს ნახვა უნდოდა...

კოტე — რა გახდა ეს ხალხი, რომ ველარ მოვიწყვიტეთ. იმდენს იზამენ, მართლა ამოვაძუებინებ კუდს სამსახურიდან იმ ვაჟბატონს. დავიბარე, კარგად შევახურე და გავაფრთხილე — მიხედე-მეთქი შენ შვილს, თორემ იცოდე, ველარ მოვრიგდებით. დამპირდა, კარგიო და ახლა მამამისი მომიგზავნა?

ნანა — იქნებ, ბიჭმა გამოაგზავნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე — არ ვიცი მე! ოჯახის ეროსი ის არის, და პასუხიც იმან უნდა აგოს! რაო, რა უთხარი?

ნანა — რას ვეტყოდი, რა დროს ეგ არის, ჯერ უნდა ინსტიტუტი დაამთავრონ-მეთქი, ცხოვრება ნახონ... ჩვენ სერიოზულად არ ვუყურებთ-მეთქი მაგას.

კოტე — ნინომ გაიგო?

ნანა — არა. თავის ოთახშია.

კოტე — ნუნუმ?

ნანა — კარებში შეხვდა და ისე დაუფეთა ანგელოზები, არა მგონია, კიდევ გამოიხედოს აქეთ!

კოტე — ეგ ძალიან კარგი, მაგრამ... რაღა მაინცდამაინც დედაშენთან მოვიდა?

ნანა — შენს ქალიშვილს ჰკითხე... ალბათ, უთხრა, რომ ბებია თანაუგრძნობს და...

ნუნუ — (ბრუნდება უკვე საშინაოდ ჩაცმული) წაბრძანდა? (სიძე-სიდედრი ერთმანეთს შეხედავენ, კოტე შებრუნდება და გავა).

ნანა — (ღიმილით) რა არის, ქალო, შეიძლება ასე შეხვდე? რაც უნდა იყოს, სტუმარია.

ნუნუ — ალბათ, ღირსი იყო. რაზე მობრძანდა მაინც, ჩემგან არ ნებავდა?

ნანა — როგორ ღირსი... (ნანამ დამთავრება ვერ მოასწრო, კარი გაიღო და მისაღებში ნინო გამოვიდა) ნინიკო, მე ნიღაბი უნდა გავიკეთო, დედიკო. ხედავ რას მიგავს კანი. შენ ბებიას მიეხმარე, ერთ საათში ბატონი ზურაბი უნდა მოვიდეს და შენს გადამკიდეს, ყავის დაფქვაც კი დამავიწყდა.

ნინო — დავფქვი წელან.

ნანა — მართლა? აბა, წავალ და მერე მეც წაგახმართ ხელს. (გადის).

ნუნუ — სად იყავი აქამდე, შვილო. ხომ იცი, როგორ ნერვიულობს, როცა იგვიანებ. არ უნდა დაიბარო, თუ აპირებ სადმე?

ნინო — ოო, კრება გვქონდა, ბე, კრება! ბოლო ზარი დაირეკა თუ არა, წამოვცვივდით — არავის არ უნდოდა დარჩენა, მაგრამ ჯგუფხელმა დეკანი შემოიყვანა და რაღაც ვიზამდით. ხომ არ გატყუებთ არა, შენ რაღა მოგივიდა?

ნუნუ — ის მომივიდა, რომ თუ მართლა ასე გიყვარვარ, რას მიმალავ? თუ ასეა საქმე, აქამდე არ უნდა გეჩვენებინა ის ბიჭი?.. დედა მართალია! აბა, შენი თავი წარმოიდგინე იმის ადგილზე — არ იცოდე შენი შვილი ვისთან დადის, აღარც გითხრას?

ნინო — კარგი რა, ბე. ბავშვი ხომ არა ვარ. ვერა ვხედავ, რაზეა გაბრაზებული, ან ბატონმა ზურაბმა რისთვის მოუხშირა ჩვენთან სტუმრობას? თეატრში წავალთ და ვითომდა შემთხვევით, ისინიც იქვე აღმოჩნდებიან, კონცერტზე წავალთ, ისინიც იქ არიან... ვერა ვხვდები? გაიგონ, რომ ამ ... იმისი სასახლე მაინტერესებს და ... მილიონერი მშობლები. მე სხვა მიყვარს.

ნუნუ — (მკაცრად, მაგრამ ხმადაბლა) არ გიყვარს. რომ გიყვარდეს, ამდენს არ გვალაპარაკებდი. თუ გადაწყვიტე, უნდა თქვა და მორჩე.

ნინო — ჰოდა, ვთქვი და მოვრჩი. შეგიძლია იმათაც უთხრა. მაინცდამაინც ზოგიერთებივით...

ნუნუ — არა, მე მაგას არ გეტყვი, შვილო. ჩემზე უკეთ იცი, როგორ მოიქცე, მაგრამ... თუ დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ის არის... სიყვარულია და არა უბრალო გატაცება, ხელს ნუ ჰკრავ. პირველ სიყვარულს სულ სხვანაირი გაფრთხილება უნდათ, სხვანაირი! არ ვიცი, იქნებ, მერე უფრო დიდიც იყოს და ძლიერიც, მაგრამ ადამიანის ბუნება ასეთია, როგორც კი პატარა წყენა შეხვდება, გაუგებრობა და უსიამოვნება, მაშინვე პირველი ახსენდება, ტკბილ მოგონებად რომ ქცეულა და თავს ირწმუნებს, რომ იქ, იმასთან ასეთი რამ არ მოხდებოდა, ის იყო ნამდვილი სიყვარული. ასეა თუ ისე ცხოვრებაშიც ბევრს შევხვედრივარ, სინანულის ცრემლებს რომ ღვრიდნენ და მისტიროდნენ პირველ სიყვარულს და ამის მეტი რა წამიკითხავს, ან მინახავს კინოში თუ თეატრში. ეტყობა, მთლაც ვიღაც მოცლილის მოგონილი არ უნდა იყოს! შეიძლება, ცხოვრებაში ბევრსაც მიაღწიო, სულ თვალ-მარგალიტში და ოქროში ჩაგსვან, მაგრამ... ის მაინც არ იქნება, მეორედ აღარ მოვა.

ნინო —ბებო, შენ და ეგენი?.. ყოჩაღ!

ნუნუ — ვითომ რაო, მე ახალგაზრდა არ ვიყავი?!

ნინო —ჩემი ბე! (მოეხვევა) შენი ჭირიმე! ხომ ვიცოდი, რომ ძალიან, ძალიან გიყვარდი, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ კიდევ უფრო ძალიან გყვარებივარ.

ნუნუ — გამიშვი, კარგი! (გაეშვებინა) მეტი ხომ არ გინდა. ლაპარაკს გადამაყოლე და სადილი გასაკეთებელი დამრჩა. თუ მართლა ეგრე გიყვარვარ, წამოდი, მომეხმარე. სულ იმას რომ ამბობ, რა კარგად ამზადებო, არ გინდა, გასწავლო?

ნინო — სხვა დროს რა, ბებო. თემა მაქვს დასაწერი.

ნუნუ — მე რომ მოხმარება დამჭირდება, მაშინ გამოგიჩნდება დასაწერი და საზეპირო! (გადის სამზარეულოში)

ნინო — (შეჰყვება) ჩემი ბებო! რა ქნას, რომ ასეთი ზარმაცი და უქნარა შვილიშვილი ჰყავს. არა, ბე? მოდი, გაკოცო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ — იქით გაინი, ახლა მოუნდა კოცნა და მოფერება. მე ხომ ცას არ გამოვეკერები, შვილო, და აღარც შენა ხარ პატარა. დღეს-ხვალ გათხოვდები და ოჯახის პატრონმა ქალმა საქმლის კეთება არ უნდა იცოდე? აი, მითხარი, რისი მომზადება შეგიძლია, რას გააკეთებ უცხო ოჯახში რომ შეხვალ?

ნინო — ოო!.. სულ მაგაზე ვფიქრობ, ვილაც „იმათ" როგორ ვუკეთო სადილები!

ნუნუ — ვინ ვილაცეებს. აბა, რას იზამ, შვილო?

ნინო — რას და.. ვიდრე ჩვენ დავამთავრებთ და ეგ ამბავი მოხდება, კოოპერატიულში შევალთ.

ნუნუ — მერე, კოოპერატიულში რომ იქნებით, ვინ გაგიკეთებთ?

ნინო — ვინ და... (გახარებული) შენ წაგიყვან, ბე. შენ ხომ ასე გიყვარვარ. მე კიდევ ვიმუშავებ.

ნუნუ — ნახა გამოსავალი! მე და დედაშენი, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს, როდემდე გაგყვებით? როცა შენ ჩვენი ხნისა მოიყრები და შვილები, შვილიშვილები, რძლები და სიძეები დაგეხვევიან, მაშინ? ხომ მოგიხდება სამზარეულოში ტრიალი?

ნინო — ოჰ, იმათ დავუდგები მოსამსახურედ!

ნუნუ — აი, თურმე როგორი ყოფილხარ. ესე იგი, მე მოსამსახურე ვარ, არა?!

ნინო — კარგი რა, ბე. სიტყვაზე დამიჭირე? თან, შენ ხომ საკუთარ სახლში ხარ, სხვისი ოჯახია? ბე! სულ არ მინდოდა მეწყენინებინა შენთვის...

ნუნუ — (თავისთვის). სწორია, მოსამსახურე ვარ, აბა, რა ვარ!

ნინო — ბებო! (დიქტორმა რაღაც გამოაცხადა რეპროდუქტორში და მერე წყნარი მელოდია დაირხა). გაიგონე? შენი საყვარელი ვალსებია. ავუწიო?

ნუნუ — აუწიე, აუწიე. (გულჩაწყვეტილი იკეთებს ნინსაფარს და საქმეს შეუდგება. ნინო დარცხვენილი დგას კართან, უნდა შევიდეს და შეირიგოს ბებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მერე წიგნს აიღებს, იქვე, კუთხეში ჩამოჯდება და კითხულობს. ვალსის ხმა ძლიერდება და თანდათან მთელ ბინას ავსებს. ნუნუ საქმეს შეეშვება, დანით ხელში დგას და ჩაფიქრებული ისმენს. ისე, რომ ნინო ვერ ხედავს. ასე გადის თითქმის ერთი წუთი, მეტი).

ნინო — (გამოერკვევა და ჩაფიქრებულ ნუნუს რომ დაინახავს, სიცილით წამოვარდება) რაღაც მიგეწვა, ბებო. (სამზარეულოში შეირბენს და გაზქურიდან ქვაბს გადმოდგამს. მერე კარს გამოაღებს, რომ დამწვარი ხახვის სუნი გარეთ გავიდეს. ... უკვე გვიანია)

ნანა — (შემოდის უკმაყოფილო სახით) რა დაწვით, სახლში აღარ დაიდგომება. მაინცდამაინც დღეს აგიტყდება ყველაფერი?! სადაცაა მოვა ის კაცი.

ნინო — (გულღიად) ვალსს უსმენდა და ფიქრებში გაერთო.

ნანა — ეტყობა, იმ ვაჟბატონის დანახვამ აურია დავთრები, ძველი დრო გაახსენდა... არადა, როგორ ვერ ვიცანი... კოტეს რომ არ ეთქვა... (კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ნუნუს გამოხედვა დაიჭირა და გაცლა ამჯობინა. ისევ საძინებელ ოთახში გავიდა).

ნინო — ვინ ვაჟბატონი, ბე?.. (ეშმაკურად) ის ხომ არ არის, რომ აღარ მეორდება?.. (ხელს მოხვევს) ნეტავი ვიცოდე, რამ შეაყვარა ეს ვალსები. (დაატრიალებს).

ნუნუ — მოიცა, შვილო, არ წამაქციო. შენ თუ გგონია, რომ თქვენი ბროუკ-დანსი და სხვა მისთანა სისულელეები სჯობია ვალსს!

ნინო — რა ვიცი, აბა, ბე. რამდენჯერ მოინდომე, გესწავლებინა, მაგრამ... რაღაცნაირი უბრალოა და... ცოტა მოსაწყენიც.

ნუნუ — ეგ თქვენი ბროუკი კი ცარიელი რიტმია, მეტი არაფერი. სულელური მანჭვა-გრეხვა და ფეხების ბაკუნი. ვალსს მაგას შევადარებ?.. სწორედ მაგ უბრალოებაშია სილამაზე. თითქოს კი არ ცეკვავ, ჰაერში ფრენ, მიწას არ ეხები... და თანაც ერთმანეთისადმი ისეთივე რიდი, მოკრძალება იგრძნობა, როგორც ქართულ ცეკვაში. იცინე, იცინე, თუ თვითონ არ გიცეკვია, ვერც გაიგებ. თვითონ უნდა იგრძნო, გამოსცადო, უყურე!.. (ცეკვავენ. ვალსის ხმა თანდათან ძლიერდება).

ნინო — მეც არ მიკვირდა, რა ნახა-მეთქი ამ ვალსებში, რატომ უსმენს ასე. ბე-ბო!.. (ცეკვავენ) რა საოცარია, არა? ახლა როგორი ძველმოდური ჩანს და თქვენ დროს, ალბათ, ექსტრამოდად ითვლებოდა. ამიტომაც არის, რომ თქვენი თაობის ხალხი სულ ამის ქება-მოგონებაშია. იმ დღეს ვასიკოს... ჰო, ვასიკოს ბაბუასთან ვიყავი. იცი, რა კარგი მოხუცია, ბე, ნაკითხი... წიგნები დამჭირდა და ვასიკომ ბაბუაჩემს აქვსო. ჰოდა, ლაპარაკში იმანაც მაშინვე ის გაიხსენა, ვილაც გოგოსთან რომ ცეკვავდა ხოლმე ახალციხეში.

ნუნუ — (შეკრთა) სადა?

ნინო — ახალციხეში. თურმე ომის დროს თეატრში იმართებოდა ცეკვები. ჯარისკაცები უკრავდნენ ანტრაქტებში... რა სანახაობა იქნებოდა, არა, ბე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ — მოიცა, რა გვარია ის შენი ვასიკო?

ნინო — ტატიშვილი. მაღალი მოხუცია, ცისფერთვალა... უი, თქვენც ახალციხეში არ ცხოვრობდით ომის დროს?

ნუნუ — ჩემზე თქვა რამე?

ნინო — არა, ბე. ისე გაიხსენა, ჯარისკაცების სასულე ორკესტრი მოდიოდაო. შენთან ხომ არ ცეკვავდა ხოლმე?

ნუნუ — მოიცა, მოიცა. იმიტომ იყო წეღან აქ? იმიტომ მობრძანდა, მეც არა ვთქვი!

ნინო — სად იყო, ბე? ვასიკოს ბაბუა იყო აქ? მერე?

ნუნუ — მეც არ გამიკვირდა, რამ მოიყვანა-მეთქი? მაშ, იმისი შვილიშვილია?!

ნინო — რაზე იყო, შენ ელაპარაკე?

ნუნუ — ეგლა მაკლდა, ველაპარაკე! ზედაც არ შევხედე! მაშ, იმისი შვილიშვილია?!

ნინო — ის არის, ბე?.. ერთად დადიოდით?

ნუნუ — დავდიოდით კი არა, მთელმა ახალციხემ იცოდა ჩვენი ამბავი. სახლშიც მოდიოდა. მამა წინააღმდეგი იყო, მაგრამ დედაჩემს ძალიან მოსწონდა.

ნინო — მერე, ბე?.. გაწყენინა? რატომ დაშორდით?

ნუნუ — მე რა მაწყენინა. თავისთავს აწყენინა.

ნინო — მერე რა მოხდა, ბე? კვირაობით თეატრში რომ დადიოდით და ცეკვავდით...

ნუნუ — არაფერი. უწყება მოუვიდა და ჯარში წაიყვანეს. ფრონტზე...

(სცენა ბნელდება. ვალსის ხმას ჯერ ხალხის გუგუნი და გაუგებარი შეძახილები ფარავს, მერე ორთქლმავლის კივილი და ქშენა...)

ნინო — ვასი-კო! ვასი-კო!.. (ხალხის გროვიდან ეძახის ვაგონის ღია კარში მდგომს)

პ.ვ. — ნუნუ!.. აქეთ-აქეთ! (ჩამოხტება და მოეხვევა) რად დაიგვიანე? მე მეგონა, აღარ მოხვიდოდი.

ნინო — როგორ არ მოვიდოდი. მაშ, რას ვიზამდი, არ გაგაცილებდი?.. მორიგე ვიყავი და ძლივს დავეთხოვე. აი, რაღაცეები მოგიტანე.

პ.ვ. — ნუნუ!

ნინო — იცოდე, თავს გაუფრთხილდი, გესმის? შენ რომ რამე დაგემართოს, თავს მოვიკლავ!

პ.ვ. — ნუ გეშინია, არაფერი მომივა. მხოლოდ შენ იყავი კარგად.

ნინო — ძალიან გიყვარვარ? ვასიკო!..

პ.ვ. — ძალიან. შენ, გიყვარვარ?

ნინო — რას ამბობს, ვასიკო. მიყვარხარ კი არა...

უხეში ხმა — აბა, ყველანი ვაგონებში, სწრაფად! გადის მატარებელი!..

ნინო — შენ არ იდარდო, გესმის? მე დაგიცდი. რამდენიც უნდა დაიგვიანო, დაგიცდი! ხომ დაბრუნდები? მითხარი, დაბრუნდები-თქო, ვასიკო.

პ.ვ. — დაბრუნდები. მხოლოდ კიდევ ერთხელ მითხარი, რომ გიყვარვარ.

ნინო — მიყვარხარ, ვასიკო.

პ.ვ. — რომ ძალიან, ძალიან გიყვარვარ.

ნინო — ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ვასიკო.

პ.ვ. — და რომ სულ ასე გეყვარები, არ დამივიწყებ!

ნინო — მეყვარები, ვასიკო. სულ ასე მეყვარები! მხოლოდ თავს გაუფრთხილდი და წერილები არ დამიგვიანო ვასი-კო!.. ჩახვალ თუ არა, მომწერე, გესმის?.. სულ ორი სიტყვა, რომ ვიცოდე სადა ხარ, ვასიკო! ვასიკო!

პ.ვ. — ნუნუ!

(მათ ხმას საბოლოოდ ფარავს საერთო აურზაური, დაძრული ორთქლმავლის შეკივლება და ქშენა. ვალსის ხმა ძლიერდება...)

მეორე მოქმედება

სურათი მეოთხე

(გუგუშვილების ბინა. ფარდის გახსნისას სცენაზე მხოლოდ ნინოა. დაბალ მაგიდასთან ზის სავარძელში და კითხულობს. ისმის ტელეფონის გაბმული ზუმერი. ნინო წიგნს გადადებს და ყურმილს მისწვდება).

ნინო — ალო! ვერ გავიგე. ყურმილი რომ მე ავიღე? (იცინის). მარტო ვარ. დედა და მამა სტუმრად არიან, ბებია მეზობელთან გავიდა. რა არის ვასიკო, ნასვამი ხარ? კონსულტაციაზე არ წავსულვარ, გავაცდინე! ხვალ დაგირეკავ, ვასიკო, ვერ ჩამოვალ! ვერც ხუთი და ვერც ერთი წუთით. არა!. კი, ბატონო, ამოდი. მაგის გარანტიას გაძლევ, რომ ხუთ წუთში არავინ მოვა. ამოდი, ამოდი! (ყურმილს დადებს, სარკესთან მივა და თმას შეისწორებს. ისმის ზარის ხმა. მიდის კართან და აღებს).

პ.ვ. — (ბარბაცით შემოეყუდება კარში — ეტყობა, ზედმეტად იმთვრალებს თავს). შეიძლება? არ შეგაწუხებდი, მაგრამ... რაკი ხუთი წუთის გარანტია მომეცი.

ნინო — ჩემი სიკვდილი! აკი ნასვამი არა ვარო? ვასიკო!

პ.ვ. — ნასვამი კი არა, კაი მაგარი გამოსირებული ვარ, ბითური. კაროჩე, კარგად მომტეხე, ტექნიკურად. არ იფიქრო საჩხუბრად მოვედი. პროსტო, მინდოდა მეთქვა, ვსიო-მეთქი, ავახვიე, ყველაფერი გასაგებია!

ნინო — რა არის გასაგები, ვასიკო. რას სულელობ?

პ.ვ. — კარგი რა, დღეს მაგას ვილა ჭამს! ნუცას სკოლაა? — დედა არ მიშვებს, სამეცადინო მაქვს... როდემდე უნდა ვიდგე დებილივით იმ აფთიაქის წინ?

ნინო — ვასიკო, არა სჯობია, ხვალ შევხვდეთ? ჩვენები რომ დაბრუნდნენ და ამ სახით განახონ, რას იტყვიან?

პ.ვ. — ჯერ ხუთი წუთი არ გასულა და თანაც, ხვალ რა, გამოგიშვებენ?!

ნინო — კარგი, თქვ-, რა არის გასაგები, რა გინდა მითხრა.

პ.ვ. — რა და... ის რეფერენტი რომ დადის თქვენთან, ვარდოსანიძის ძმისშვილი.

ნინო — (ღიმილით) აა... შენ ეგ ვინ გითხრა?

პ.ვ. — რა მნიშვნელობა აქვს, ვინც მითხრა. ხომ დადის? ისიც და მისი აკადემიკოსი ბიძაც.

ნინო — და შენ გჯერა ეგ? ვასიკო!

პ.ვ. — მაინც რატომ არ უნდა მჯეროდეს, რისთვის სხედან ყოველკვირას თქვენთან?!

ნინო — (მოულოდნელი გააფრთებით) თუ გჯერა, მაშინ რისთვისღა მოხვედი, მითხარი, თუკი იცი, რომ სხვა გამჯობინე და იმას მივყვები, რაღად დამდევ?! (პაუზა) ახლა კი ვხედავ, ვინცა ყოფილხარ. ტყუილად კი არ გამაფრთხილა ბებიაჩემმა, როცა შენი გვარი გაიგო...

პ.ვ. — იცი რა! მართლადამართლა... (უკმაყოფილოდ აიქნევს ხელს) რაკი ხმას არ ვიღებდი, არ ვაწყენინო-მეთქი...

ნინო — თორემ რას იტყოდი?

პ.ვ. — იმას რომ ფიცი ჰქონდათ ნათქვამი, მაგრამ... სხვას გაჰყვა და ახლა... აქეთ აწვება.

ნინო — როგორ არა გრცხვენია, ვასიკო? ხომ იცი, რომ ნუნუს გაზრდილი ვარ და ჩემზეა გადაყოლილი. შენ რომ მართლა გიყვარდე და ცოტა ისეთი ბიჭი იყო, ასე მატკენდი გულს? რა უფლება გაქვს, ასე მელაპარაკო ბებიაჩემზე?!

პ.ვ. — შენ რა უფლება გაქვს, რომ ასე ლაპარაკობ ბაბუაჩემზე? ხომ იცი, როგორ უყვარხარ და პატივს გცემს... რაღას დამდევო, რომ მეუბნები, გეთქვა რა... (პაუზა) უფრო იმაზე მწყდება გული, რომ ... დაწყვიტე... რას დამაყენებ ხოლმე საათობით აფთიაქის წინ, ყველას დასანახად და სამასხროდ. სხვისგან უნდა გამეგო, არა?

ნინო — არა გრცხვენია, მაგას რომ მეუბნები, ვასიკო? არ მიყვარდი და ისე გხვდებოდი ყოველ საღამოს? ისე დაგყვებოდი ყველგან, ისე ვიჯექი შენთან გვიანობამდე და გაკოცნინებდი?! ესე იგი, ვინა ვყოფილვარ?..

პ.ვ. — მოიცა... მაგას ვინ გეუბნება... ალბათ, გიყვარდი, მაგრამ... მერე სხვა გამოჩნდა... უკეთესი ვარიანტი და... რა არის ამაში ისეთი. მინისტრის რეფერენტი, მაყუთა... მე კი, ვინა ვარ, რა მიჭირავს ხელში? მე შეგინახავ? ტყუილად კი არ მეუბნება დედაჩემი — არარაობა ხარო!

ნინო — გაჩუმდი! ისღა გაკლია, ცრემლები გადმოყარო! (პაუზა) შენ ჩემზე კარგად იცი, რომ შეიძლება, ის მართლაც ბევრად გჯობია, მაგრამ... ჩემთვის... შენი ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს, იდიოტო!.. იმიტომ რომ... (ტირილი აუვარდება).

პ.ვ. — (გახარებული) ნინო!

ნინო — არ მომეკარო! ალბათ, გიყვარდიო, ეს როგორ მითხარი...

პ.ვ. — (ბედნიერი) ნუ ტირი. (ცდილობს მოეხვიოს) ხომ იცი, როგორი სულელი ვარ და ეჭვიანი. ნინო!.. მაპატიე!.. (მის სიტყვებს ზარის გაბმული წკრიალი დაფარავს. ნინო შეშფოთებული გაეშვებინება და სასოწარკვეთილი მოათვალიერებს იქაურობას)

ნინო — ვაიმე, დედაჩემი!.. გითხარი, ხვალ შევხვდეთ-მეთქი, ახლა რა ვქნა?! (ფეხაკრეფით მიდის კართნა. თან თმას ისწორებს და თვალებს იწმენდს. გაიხედავს სათვალთვალოში. გახარებული) ოი, ჩემი ბებოა! (აღებს კარს).

ნუნუ — (შემოდის) ხომ არ მოინყინე? ლაპარაკს შევყევით ბებრები... (ახლაღა შეამჩნია ნამტირალევი თვალები და შუბლი შეიკრა) დაბრუნდნენ უკვე? (მერე პატარა ვასიკო შენიშნა, დაბნეული რომ წრიალებდა კუთხეში და ეჭვით მოხედა შვილ-შვილს) რა მოხდა?

ნინო — არაფერი, ბებო. (ვასიკოს) გაიცანი, ეს ჩემი ბეა.

პ.ვ. — (უხერხულად) გამარჯობათ!

ნუნუ — (ცივად) გამარჯობა! (ისევ ეჭვით ახედ-დახედავს ნინოს და მეორე ოთახისკენ მიდის). დედას არ დაურეკავს?

ნინო — არა, ბე.

ნუნუ — (კართან ისევ შემობრუნდება) მოდი, ერთი წუთით. (ხმადაბლა) რა არის? (ნამტირალევ თვალებზე ანიშნებს) რამე ისეთი ხომ არ გაგიბედა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — რას ამბობ, ბე. ის გაუგია... ზურაბ გედევანოვიჩის ძმისშვილის ამბავი და...

ნუნუ — მერე? აქვს უკვე იმისი უფლება, რომ პასუხი მოგთხოვოს?

ნინო — პასუხი კი არა, მითხარი თუ მართალია და წავალო.

ნუნუ — მერე, შენც დააღე პირი ამხელა გოგომ და აღრიალდი? რას იფიქრებს...

ნინო — კარგი რა, ბებო, შენ რაღა დაგემართა. შენც გადაგიბირეს?..

ნუნუ — როგორ გადამიბირეს? ეგ რა სიტყვაა?

ნინო — აბა, რა არის? რაც ის გაიგე, რომ ვასიკო იმისი შვილიშვილია, სულ შეიცვალე.

ნუნუ — შევიცვალე! იმიტომ, რომ მეშინია, ეგაც ბაბუამისის მსგავსი ხომ არ არის-მეთქი, თავკერძა.

ნინო — არა, ბე. ვასიკო ეგეთი არ არის... და არც პაპამისი. შენ, ალბათ, ნაწყენი რომ ხარ, იმიტომ... თვითონ არ ამბობდი...

ნუნუ — რას ვამბობდი? დედაშენი რომ წამოგვადგეს ახლა თავზე, რას მეტყვის? თუმცა, შენ რა გენაღვლება — მე გამლანძღავენ და გამთათხავენ. ხუთი წუთით ველარ უნდა გავიდე მეზობელთან? (და თითქოს ამას უცდიდაო, დაიწკრიალა ზარმაც) აგერ, გაეცი პასუხი!

ნინო — კარგი! (ერთ წამს თავდახრილი იდგა, მერე უსიტყვოდ გასწია კარისკენ. გზად მიმავალმა ვასიკოს გამოჰხედა და ხელის კანკალით გააღო კარი, გახარებული) — მობრძანდით!

(ნუნუ და ვასიკო გაოცებით შეჰყურებენ შემოსულს. ეს დიდი ვასიკოა)

დ.ვ. — გამარჯობა, ნინო, ვასიკო აქ არის? (სწრაფად მოათვალიერა ოთახი და ერთმანეთისგან ასეთ მანძილზე მდგომი ნუნუ და პატარა ვასიკო რომ შენიშნა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა) სახლიდან ცოტა აღელვებული წამოსულა და დედამისმა, გაჰყევი, არაფერი დააშავოს თავისი გამოუცდელობითო.

პ.ვ. — (ნაწყენი) ბაბუ!

ნინო — მობრძანდით, პალტო გაიხადეთ.

დ.ვ. — არა, მე... (ადგილზე კერპივით გახევებულ ნუნუს გახედა).

ნინო — გაიხადეთ, გთხოვთ. (ძალით გაახდევინებს და შემოსასვლელში გააქვს).

ნუნუ — (უეცრად) კარგი იყო, წინდაწინ გვცოდნოდა, თუ ჩვენთან აპირებდით მოსვლას: ჩემი ქალიშვილი და სიძეც შინ დაგხვდებოდნენ.

ნინო — (ყური მოჰკრა ნუნუს ნათქვამს) ბე!

დ.ვ. — მართალი ბრძანებაა, მაგრამ ასეთი უცებ მოხდა ყველაფერი... ხომ გითხარი, ისე იყო აღელვებული ჩემი რძალი...

ნინო — (მივა ბებიასთან) ბე, ძალიან გთხოვ. თუ გიყვარვარ! (ნუნუ ამოიოხრებს და თავს ჩაჰკიდებს) დაბრძანდით, ბატონო ვასიკო. (კარადიდან ხილით სავსე ლანგარს გადმოიღებს, მერე ჭიქებს და გრაფინს, მაგრამ სიჩქარეში კინაღამ დაუცვივდება. ისევ ნუნუ იმარჯვებს და ხელს მიახმარს, ჭიქებს ჩამოართმევს) რატომ არ დაბრძანდებით?

დ.ვ. — არაფერი არ არის საჭირო, ჩემო ნინო. ჩვენ ეხლავე წავალთ. ნუ შეაწუხებ ბებიას.

ნინო — ოჯახს არ დალოცავთ? (ღიმილით) აკი ისე არ შეიძლებაო? ახლავე ყველაფერი იქნება, უმაღლეს დონეზე! (ნუნუს, რომელსაც ისევ ხელში უჭირავს ჭიქები) მომეცი, ბე. სულ რომ იმას მეუბნები ხოლმე, როდის უნდა ისწავლოო — ნახავ, ვიცი თუ არა. შენ დაჯექი და დაისვენე. სუფრას მე გავაწყობ. ვასიკო, მომეხმარე. ეს თეფშები გამომიტანე სამზარეულოში. (თვითონ ჭიქები აიღო და გავიდა. პატარა ვასიკო თეფშებით ხელში გაჰყვა უკან. პაუზა. ნუნუ და დიდი ვასიკო მარტოდ დარჩნენ. არ იციან, რა ქნან. ბოლს ისევ დიდი ვასიკო მოერევა თავს და თუმცა, აშკარად ეტყობა, რომ უჭირს, მივა ქალთან).

დ.ვ. — ვიცი, ყველაფერი იმის შემდეგ, რაც მოხდა, არ გსიამოვნებს ჩემი დანახვა... შეიძლება, არც უნდა მოვსულიყავი...

ნუნუ — მაგას შეიძლება არ სჭირდება!

დ.ვ. — მაპატიე, მაგრამ აქ რომ მოვდიოდი, იმაზე კი არ ვფიქრობდი, შენ გესიამოვნებოდა თუ არა ჩემი დანახვა, ამათ არ ვავნო-მეთქი ჩემი მოუსვლელობით: აღელვებულ გულზე რაღაც ისეთი არ მოიმოქმედოს, სანანებელი რომ გაუხდება და ცხოვრებას გაუმრუდებს. არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, მაგრამ რომ ვხედავ, როგორ უყვართ, როგორ შესციცინებენ ერთმანეთს, მინდა, რითიც შემიძლია დავეხმარო, რომ ამათაც ისე არ აეწეწოთ ცხოვრება, როგორც მე. (პაუზა). ჩემსავით ინერციით არ იცხოვრონ და იღოლიალონ ამ ქვეყანაზე... სხვა თუ არაფერი, ეგ ხომ მაინც გამოვცადე და ვიცი...

ნუნუ — ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება ადვილია. მაგრამ მე თავის მართლებას არ ვაპირებ. ან კი რა აზრი აქვს ახლა, მაგრამ, თვითონ რა გააკეთე, რომ ასე არ აგწეწოდა და გაგმრუდებოდა ცხოვრება? გიფიქრია ამაზე?

დ.ვ. — ყველაფერი.

ნუნუ — არა!

დ.ვ. — ყველაფერი, რაც კი შემეძლო. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, სასაყვედურო მქონდეს რამე (პაუზა), არც შენ გსაყვედურობ, მაგრამ, უბრალოდ, გული მტკივა, რომ ასე გამოვიდა. ყველაფერი დავთმე — სოფელი ოჯახი... ქალაქში გადმოვვარდი და რაკი პროფესია არ მქონდა, ჯერ თეატრში მოვეწყვე სცენის მუშად. მერე ფაბრიკაში გადავედი. კუბოსხელა სოროში ვცხოვრობდი, რომ შენს სიახლოვეს ვყოფილიყავი და ორი კაპიკი შემეგროვებინა. რომ შემძლებოდა, მეტსაც გავაკეთებდი, ისე მიყვარდი.

ნუნუ — გიყვარდი და მეც სიყვარულით გპასუხობდი.

დ.ვ. — კიდევ გეუბნები, არ იფიქრო, ვნანობდე. იმ დღეების გახსენება დღესაც ძველებურად მითბობს გულს და ჩემ სიცოცხლეს რაღაც აზრს აძლევს. თავიდან რომ დამაწყებინა ცხოვრება, ალბათ, იგივეს გავაკეთებდი!

ნუნუ — თუ იმ დღეების გახსენება შენ გულს გითბობს, მე დღემდე იმათი მოგონებებით ვცოცხლობ. რაც გინდა მითხარი, მისაყვედურე — ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ იმას ნუ მეტყვი, არ გიყვარდიო. ყველაფერს ეჭვის თვალით ნუ შეხედავ. ნუ იქნები ასეთი სასტიკი!.. (პაუზა) ხომ გახსოვს, მამაჩემს არ მოსწონდი და საღამოობით, გვიან რომ ვბრუნდებოდი, სულ უსიამოვნება გვქონდა, მაგრამ შენთან გატარებული თითო წუთისთვის ყველაფერს ვითმენდი, მეტსაც მოვითმენდი, რადგან უშენოდ ერთი საღამო კი არა, სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. იმ საღამოს კი, ომში მივდივარო რომ მითხარი, მეგონა მინამ გაიხსნა პირი. და დღემდე იმ დღეს ვწყევლი, თუმცა, სხვებისთვის, ალბათ, ჩვეულებრივი დღე იყო... (იწყება ნუნუს და დიდი ვასიკოს მუსიკალური თემა — ჩვენი ნაცნობი ვალსი. სამზარეულოდან ჭურჭლით დატვირთული ნინო და პატარა ვასიკო გამოდიან, ჭურჭელს მაგიდის ბოლოში დააწყობენ და გაისუსებიან)

დ.ვ. — რას იზამ, სხვებისთვის ჩვეულებრივი დღე იქნებოდა და თეატრშიც ისე უკრავდა ორკესტრი, როგორც ყოველთვის... გახსოვს, როგორი მზიანი შემოდგომა იდგა? ჯერ პალტოებს არ ვატარებდით. შენ თეთრი, შენი მოქსოვილი ჟაკეტი, გრძელი კაბა და შენი საყვარელი ტანკეტკები გეცვა. თმაზე კი ცისფერი ბაბთები გეკეთა.

(ბნელდება, ვალსის ხმა სულ უფრო ძლიერდება. პატარა ვასიკო ნინოსთან მიდის, ხელს მოხვევს და ცეკვავენ...)

ნინო — რა იცი ეს, ვასიკო? ... ენამ არ გიყივლოს. ასეთ რამეზე ... გაგონილა?

პ.ვ. — არ გეხუმრები, ნუნუკა. უწყება მომივიდა. (იღებს ჯიბიდან და აჩვენებს).

ნინო — ვაიმე, დედა!.. რა გვეშველება, ვასიკო, რატომ აქამდე არ მითხარი?

პ.ვ. — რად გინდოდა? დარდი და უსიამოვნება გაკლია ცხოვრებაში?

ნინო — რანაირი ხარ, ვასიკო, რანაირი! ასეთი რამის დაფარვა გაგონილა? რა უცნაური ბიჭი ხარ, რა სულელი!

პ.ვ. — აი, ხედავ? გუშინწინ რომ მეთქვა, ეს ორი დღე ხომ სულ ამ ყოფაში იქნებოდი?

ნინო — ღმერთო, რომ მცოდნოდა, წუხელ ხომ აღარ წაგეჩხუბებოდი?

პ.ვ. — აი! გითხარი, მერე ინანებ-მეთქი, რომ არ მაკოცნინე!

ნინო — ჩუმად, ბიჭო, არავინ გაიგოს! რა სულელი ხარ!.. (ცეკვავენ) პირდაპირ ფრონტზე წაგიყვანენ, ვასიკო?

პ.ვ. — არა, ნუნუკა. ჯერ ხომ ასწავლიან, ამზადებენ: ორ თვეს თუ ნახევარი წელიწადი. გააჩნია, რომელ ნაწილში მოვხვდები.

ნინო — ღმერთო, მანამდე მაინც დამთავრდებოდეს ომი!

პ.ვ. — ნუ გეშინია, ამბობენ, ახლა მალე დამთავრდებაო.

ნინო — როდის მალე, ვინ გითხრა, ვასიკო?

პ.ვ. — კომისარიატში ლაპარაკობდნენ: ასე, ერთ წელიწადში დამთავრდებაო. ვიღაც გენერალი იყო თბილისიდან.

ნინო — ღმერთო, რა გაიყვანს ამ წელიწადს. მეც რომ შენთან წამოვიდე, ვასიკო? ქალებიც ხომ მიჰყავთ სანიტრებად.

პ.ვ. — შე მშიშარავ, შენ იქ გამოდგები?

(მათ ხმას და ვალსის მელოდიას ორთქლმავლის კივილი და საერთო ყაყანი გადაფარავს. — მეორდება სცენა მესამე სურათიდან).

ხმა — აბა, ვაგონებში, გადის მატარებელი! ვაგონებში!

ნინო — შენ არ იდარდო, გესმის? მე დაგიცდი. რამდენიც არ უნდა დაიგვიანო, დაგიცდი. ხომ დაბრუნდები? მითხარი, დავბრუნდები-თქო, ვასიკო.

პ.ვ. — დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები. მხოლოდ კიდევ ერთხელ მითხარი, რომ გიყვარვარ.

ნინო — მიყვარხარ, ვასიკო!

პ.ვ. — რომ ძალიან, ძალიან გიყვარვარ!

ნინო — ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ვასიკო.

პ.ვ. — სულ ასე გეყვარები და არ დამივიწყებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — მეყვარები, ვასიკო, სულ ასე მეყვარები. მხოლოდ თავს გაუფრთხილდი და წერილები არ დამიგვიანო, ჩახვალ თუ არა, მომწერე ორი სიტყვა, რომ ვიცოდე, სადა ხარ... გესმის, ვასიკო? ვასი-კო!

(მატარებლის ხმა ძლიერდება და მთლიანად გადაფარავს მათ ხმებსაც და საერთო ხმაურსაც. მერე კვლავ მიწყდება, ვალსის მელოდიაღა ისმის).

დ.ვ. — არა! (მუსიკა წყდება. პატარა ვასიკო და ნინო შეჩერდებიან და მათ მხარეს სცენა ჩაბნელდება) ეს მანამდე იყო, ფრონტზე წასვლამდე. მერე ყველაფერი შეიცვალა.

ნუნუ — ფრონტიდან შენც შეცვლილი დაბრუნდი!

დ.ვ. — არ შევიცვლებოდი?! მტერს არ ვუსურვებ! 18 წლის ცხვირმოუხოცავი ბიჭი მოვხვდი ცეცხლის ხაზზე. ჯერ რა მენახა ცხოვრებაში?.. არადა, ხომ გახსოვს, როგორები ვიყავით — ლექსები, მთვარიან ღამეში ხეტიალი... გალაკტიონი და ლადო, ესენინი და ბლოკი და უცებ, ფრონტის ხაზი: სიკვდილი, ჰოსპიტლები! შენ რომ არა, ან ჭრილობები მომიდნობდნენ, ან ამდენი სიხლის და უბედურების ცქერა, მაგრამ შენ მელოდი და ვცდილობდი ძაღლის ხორცი გამომესხა, გამეძლო...

ნუნუ — შენი ამბავი რომ გავიგე, გადასახლებაში ყოფილა და ჩამოვიდაო, გულს შემომეყარა. აღარ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა თუ მწყენოდა. მთელი წელი გელოდი, მომაკითხავს-მეთქი, მომძებნის... ან რისი იმედი მქონდა, ნანა უკვე სასკოლო ასაკისა სრულდებოდა. მე კი, გელოდი, გელოდი და ჩემს ნაცვლად, შენ ჩემ ქმართან მიხვედი, ვალიკოსთან... და ვაჭრობაში მოწყობა სთხოვე...

დ.ვ. — რა გითხრა.

ნუნუ — ნახვედი და ერთხელ არ მომაწვდინე ხმა... ერთი ბარათის გამოგზავნა რა გახდა!

დ.ვ. — არ შემეძლო, ნუნუ. სპეცნაწილში გამანაწილეს... 44 წლის გაზაფხულზე კი, მორიგი დივერსიული ოპერაციების შემდეგ, ფრონტის ხაზზე რომ გადმოვდიოდით, ბარძაყში დავიჭერი... მერე ის იყო, წლების მანძილზე რომ ერთად ვმსახურობდით, და ძმებივით ვიყავით — ჩემიანები რომ მეგონა — სათითაოდ შემომეცალნენ და 17 წლის უკრაინელ ბიჭს შემატოვეს — ჯერ ხერხემალი რომ არ გამაგრებოდა, ან საიდან მოხვდა ასე პატარა ფრონტზე! კარპატებიდან იყო საწყალი, მისამართიც კი არ დამრჩა. მთელი კვირა ტყე-ტყე მატარა ზურგით... რომ დავეტოვებინე, საკუთარ ტყავზე ეზრუნა, აღარც ტყვეთა ბანაკში მოხვდებოდა, ჩემი მიზეზით, აღარც ციმბირში... ორი წელი გავატარეთ ზაქსენჰაუზენში. ორი წელი და — დილიდან საღამომდე ამას ვთვლიდით — 71 დღე! როგორც იქნა, დამთავრდა ყველაფერი. გვეგონა, გვეშველაო — გაგვათავისუფლეს და, მუსიკით და ყვავილებით გამოცილებულები — გმირები რომ გვეგონა თავი — როგორც კი ჩვენს საზღვარზე გადმოვედით, პირველივე სადგურის ჩიხში შეგვაყენეს, გინებით და კონდახების ცემის შეგვყარეს საბარგო ვაგონებში და ციმბირში გვიკრეს თავი...

ნუნუ — აქაც ხომ იგივე იყო, ვასიკო. იქნებ, უარესიც! აქაც ისეთივე ცოდომადლი არ ტრიალებდა?! თვითონ არ გამოსცადე წასვლამდე: დღისით — ფაბრიკა და ღამის სკოლა, ღამით სხვენზე მორიგეობა, შიმშილი, ტალონები, მაგრამ მთავარი — ჩვენი ბავშვური ოცნებების მსხვრევა იყო — ვიღაც ზნედაცემული, მაღალი წოდებით და უფლებებით გათავხედებული გარეწრების თავნებობა და შეურაცხყოფა... თანაც, წმინდა სიტყვების საფარით — სამშობლოსთვის, ფრონტისთვის, სტალინისთვის, გამარჯვებისთვის... იქ იცოდი, ვისაც ებრძოდი. შეგეძლო იარაღით დაგეცვა თავი. აქ ხმას ამოიღებდი და მავნებლია და პროვოკატორის იარლიყს მოგაწებებდნენ... ეს მიკლავდა გულს და მაბოროტებდა. როცა შენც დაგკარგე და ყველა ოცნება ხელებში შემომადნა, შეძლებულ კაცს გავყევი, მატერიალურად მაინც ამოვისუნთქავ-მეთქი. სულ ეს არის. მითუმეტეს, შენგან არაფერი ისმოდა, ერთხელ არ მომაწვდინე ხმა.

დ.ვ. — წეღანაც გითხარი, არ შემეძლო-მეთქი. გადასახლებაშიც სპეცბანაკში მოვხვდი, — ჯერ სახალინზე, მერე ნორილსკში... ჩვენგან ერთეულები თუ დაბრუნდნენ... ის უკრაინელი ბიჭიც იქ ჩაწვა, მუდმივი გამყინვარების ზონაში... და მე იქ ჩავწვებოდი მამონტივით, ის დამპალი რომ არ მომკვდარიყო და ხრუშჩოვს დემოკრატობა არ მოენდომებინა. მაგრამ რა! დავბრუნდი და... მე განა არ მესმის, არც მიფიქრია, რომ ამდენ ხანს მომიცდიდი... რა იცოდი, რომ ცოცხალი ვიყავი, ან რომ გცოდნოდა კიდეც — გამომიშვებდნენ და სიკვდილამდე იქ არ დამტოვებდნენ, ალუმინის საბადოებში?

ნუნუ — მე მაინც მოგიცდიდი... გიცდიდი, ვასიკო. მაგრამ... საშველი არ მომცეს, არც შინაურებმა და არც იმათ... რამდენჯერ მინატრია, ნეტავ ელამი გავჩენოდი-მეთქი დედაჩემს, ან კოჭლი, მახინჯი, მაშინ ხომ დამანებებდნენ-მეთქი თავს. თანაც, ხომ გითხარი, მარტო ფიზიკურად კი არა, სულიერადაც გა-

ვტყდი, დავიღალე ამდენი გაჭირვებისა და დარდისგან. არადა, თითქოს განგებ, მაჭანკალი მაჭანკალზე მომიდიოდა. ყველაზე მეტად კი ვალიკოს დები აქტიურობდნენ და ბოლოს თავისი გაიტანეს (ტირის).

დ.ვ. — ნუ ტირი, გთხოვ. ისედაც ბევრი ცრემლი ვნახე ამ ქვეყნად. შენ ცრემლს მაინც ნუ დამამახსოვრებ!

ნუნუ — თავს არც მე ვიმართლებ. გიღალატე და სიტყვა გავტეხე, მაგრამ რაღაც წმინდა მაინც დამრჩა — რომლითაც ვამაყობდი, რომელიც სიცოცხლის, სხვებისთვის თვალის გასწორების უფლებას მაძლევდა — ჩემი კერპი მყავდა, რომლის წინ ყოველ საღამოს ვიყრიდი მუხლს აღსარებისთვის, განსაკუთრებით კი, ვალიკოს ყოველი უგვანი საქციელით შეურაცხყოფილი. ის კერპი შენ იყავი, ვასიკო! შენ შემოგტიროდი, მაპატიე-მეთქი, გპირდებოდი, მეც მალე მოვალ შენთან და... უცებ, გამოჩნდი და... (ტირის) საბოლოოდ ვირწმუნე, რომ ბოლოს ყველა ტყდება და ქედს იხრის!

(ვიდრე დიდი ვასიკო რამეს იტყოდა, სიჩუმე ზარის წკრიალმა დაარღვია. სამზარეულოდან ნინო და პატარა ვასიკო გამოვიდნენ. ნინო კართნა მივიდა, გააღო).

ბესო — (შემოდის) შეიძლება? მე ვასიკოს მამა ვარ, გენაცვალე. დედამისმა დამირეკა, რომ თქვენთან წამოსულა და... მამა, შენც აქა ხარ?

ნინო — მობრძანდით. პალტო გაიხადეთ.

ბესო — არა, არა, გმადლობთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ასე შემოგეჭერით ოჯახში, მაგრამ ამ ვაჟბატონის გადამკიდე, ისე თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი, სალამიც კი დამავიწყდა. გამარჯობათ, ქალბატონო! (თავს უკრავს ნუნუს). იმედია არაფერი უსულელია.

პ.ვ. — მამა! (მიდის მასთან)

ბესო — რა გითხარი იმ დღეს? ჩაიცვი ახლავე და წავიდეთ! (მამას) ხომ არ შეანუხა ეს ხალხი?

დ.ვ. — არა, არა. ყველაფერი ნორმალურადაა. მე უკვე წამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ჩვენი ნინო არ შვრება, ოჯახი უნდა დალოცოთო.

ნინო — სულ ხუთი წუთით. მაგიდა უკვე გაშლილია.

ბესო — არა, არა. (ნუნუს) რატომ წუხდებით, ქალბატონო. ვასიკო, რა გითხარი, ჩაიცვი-მეთქი ახლავე. შენც, მამა, ნულარ შევაწუხებთ...

დ.ვ. — რა დაგემარ.ა, მართლა ასე ხომ...

(შემოსასვლელიდან ისევ ზარის წკრიალი მოისმა. ბესო გაშრა, შეშინებული ბავშვივით აიწურა და ხან კარს უყურებს, ხან მასპინძლებს. ისევ დაიწკრიალა ზარმა. ბებიამ და ნინომ ერთმანეთს ... მერე ნუნუ წყნარად მივიდა კართან)

ნანა — (შემოდის) ოჰ, როგორ დავიღალე, რომ იცოდე, როგორ დავიღალე. ყველაფერი რომ სულელურად იციან, გორსალები!

ნუნუ — ს.სს!.. სტუმრები გვყავს.

ნანა — სტუმრები? (სწრაფად შეათვალიერა ოთახში მყოფები და როცა მათ შორის დიდი ვასიკო შეიცნო, ყველაფერს მიხვდა).

დ.ვ. — გამარჯობათ, ქალბატონო ნანა. უკითხავად შემოგეჭერით ოჯახში, მაგრამ უნდა გვაპატიოთ. გაიცანით, ეს ჩემი ვაჟია და... შვილიშვილი.

ნანა — გამარჯობათ! დიახ, დიახ. (უცებ) ბოდიშს ვიხდი, მე ახლავე. (მიდის ტელეფონთან, აიღებს, გვერდზე გაეა და რეკავს) ალო! ნუციკო, საღამო მშვიდობისა, გენაცვალე. მე ვარ ნანა, კაცები ჯერ არ დაბრუნებულან? კი, ჩემი კოტეც გამოიყოლეს. როგორც კი მოვლენ, უთხარი, მაშინვე სახლში წამოვიდეს. სტუმრები გვყავს, ჩემო ნუციკო.

ბესო — არა, არა, ქალბატონო ნანა. როგორ გეკადრებათ, ჩვენ უკვე მივდივართ. ნუ შეაწუხებთ კონსტანტინოვიჩს...

ნანა — (ყურმილში) ვეჭვიანობ, გენაცვალე, ვეჭვიანობ! ანდა, მოვა თუ არა, დამირეკოს, კარგი? შენი იმედი მექნება, ჩემო ნუციკო. (ყურმილს დადებს და ჩანთანს, რომელიც აღელვებულს აღარ გახსენებია და ისევ იღლიაში აქვს ამოდებული, ნუნუს მიაწვდის) თქვენ აღარ ხუმრობთ, ვატყობ.

ნუნუ — (მშვიდად) არ უნდა შემომეშვა?

ნანა — (გამანადგურებლად ახედ-დახედავს და ისევ შუა ოთახში ბრუნდება) ახლავე ჩემი მეუღლეც გამოჩნდება. რომ მცოდნოდა, რომ ჩვენთან აპირებდით მოსვლას, ხომ არ გავუშვებდი. მე მომიყვანეს და თვითონ ფეხბურთის საყურებლად წავიდნენ...

დ.ვ. — დღეს ხომ ჩემპიონთა თასის ტურია, როგორ დამავიწყდა.

ნინო — ჩავრთოთ ტელევიზორი, ბატონო ვასიკო?

ბესო — არა, არა. მეტს აღარ შეგაწუხებთ. ვასიკო!

დ.ვ. — სხვა, როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ნანა. ბატონი კოტე როგორ არის, გავიგე, დაუწინაურებიათ...

ნანა — დიახ, დიახ... ჯერ საერთოდ არ ჰქონდა მოსვენება და ახლა შაბათ-კვირასაც იქ არის. ძლივს გამონახა ეს ერთი საღამო. რა საწყენია, რომ წინასწარ არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაფრთხილეთ, თუ მოსვლას აპირებდით. მაშინ ხომ აღარ გავუშვებდი.

დ.ვ. — როგორ გეკადრებათ, ჩვენ ხომ ისე გამოვიარეთ.

ნანა — დიახ, რა თქმა უნდა... მაგრამ ახლა ცოტა გადაკრულშია და... (უცებ, განზე გამდგარ ნინოს და პატარა ვასიკოს შეასწორა თვალი, რომლებიც რაღაცაზე ჩურჩულებენ და იცინიან). ნინიკო, შვილო, ბებიას მიეხმარე, ცოდვაა, მთელი დღეს ფეხზე ტრიალებს.

ნინო — ახლავე, დედა. (პ. ვასიკოს) იცი, რა ხოხმა იყო? (გადაიხრება და რაღაცას უჩურჩულებს სიცილით).

ბესო — შეგაწუხეთ, ქალბატონო ნანა, მაგრამ უნდა გვაპატიოთ. ხომ იცით, დღევანდელი ახალგაზრდების გადამკიდე...

ნანა — დიახ, დიახ! (არ უსმენს. ყურადღება ნინოსა და პ. ვასიკოზე აქვს მიპყრობილი) ნინიკო, რა გითხარი?! (ბესოს) ისე კი, სიმართლე გითხრათ, მიკვირს თქვენი. მართლაც... ნუ მიწყენთ და, ისეთი ხალხი ყოფილხართ... იმის შემდეგ, რაც ჩვენს ოჯახებს შორის მოხდა!

ნინო — დედა!

ნანა — მე გითხარი, ბებიას მიეხმარე-მეთქი (სამზარეულოზე ანიშნა, ნინო უკმაყოფილოდ გადის ოთახიდან). პირდაპირ გაოცებული ვარ. აი, მამათქვენი იმ დღესაც იყო. ვითომ ისე შემოიარა, მაგრამ დედაჩემმა ზედაც არ შეხედა (ხელით სამზარეულოდან გამოსულ ნუნუზე ანიშნა) და მგონი, კარგადაც შეამკო. ასე არ იყო, დედა? სწორედ, არ მეგონა, თუ ამის შემდეგ კიდევ გექნებოდათ ჩვენთან მოსვლის ხალისი...

ბესო — ქალბატონო ნანა, კიდევ გეუბნებით, მე სულ არ მიფიქრია თქვენი შეწუხება. მეუღლემ დამირეკა სამსახურში და ეს წუთია მოვვარდი წასაყვანად. ხომ ხედავთ, პალტოც არ გამიხდია.

ნანა — უბრალოდ, ლამაზი არ არის, ბატონო ბესო, თორემ... მე რატომ უნდა გითხრათ, რომ ყოველივე იმის შემდეგ, თქვენი აქ მოსვლა... ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ოჯახი თავშესაფარი ხომ არ არის? წახვალთ, წამოხვალთ და მოგვადგებით. თანაც, წელანაც გითხარით, იმ ამბების შემდეგ.

ნუნუ — (მკაცრად). იმ ამბებს მოეშვი. საჭირო რომ იყოს, მე ვიტყოდი.

ნანა — დამაცადე, დედა! სწორედ იმიტომაც მოგვადგებიან ხოლმე ასე, რომ როცა საჭირო იყო, მაშინ არ უჩვენე კარზე. სად გაგონილა, რომ ოფიციალური საცოლე და საქმრო ასე დაშორდნენ, წლების მანძილზე ურთიერთობა აღარ ჰქონდეთ ერთმანეთთან და უცებ, თავიანთ ცოლი და ცოლისდა მიაყენოს: არიქა, მიჭირს და იქნება, შენი ქმარი დამეხმაროს, თავისთან მომანყოს სამსახურშიო... თქვენი არ ვიცი და მე შემრცხვებოდა!

ბესო — (აქამდე ჩუმად ისმენდა საყვედურებს, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა) მაპატიეთ, ქალბატონო ნანა, მაგრამ მამას სულ არ უნდოდა, არც დედას გამოგზავნა და არც ვაჭრობაში მუშაობა. უბრალოდ აიძულეს. მერწმუნეთ, ის თქვენთან მომსვლელი არ იყო!

ნანა — ახლა ისე ნუ გამოიყვანთ, რომ ჩვენ ვთხოვეთ...

დ.ვ. — მთავარია, რომ მოხდა, ბესო!

ბესო — არა, მამა. მიზეზი გამართლება არ არის, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ზოგჯერ გამართლებაზე მეტიცაა. შეიძლება უფრო გაუგო ასეთ კაცს, მეტი პატივ.-სცემა იგრძნო. მომისმინე, ვასიკო. შენც, ჩემო ნინო. მაპატიე, რომ ასე მოგმართავ, მაგრამ მინდა რომ სწორედ თქვენ იცოდეთ.

დ.ვ. — კიდევ გეუბნები, არ არის-მეთქი საჭირო.

ბესო — საჭიროა, მამა. ამათთვისაა საჭირო, ამათი მომავლისთვის... რას იზამ, ქალბატონი ნანაც მართალია! მამაჩემი დიდი ხნით დაიკარგა: ოჯახს მოეკიდა, შვილები ეყოლა! და უცებ, ვიმეორებ, წლების შემდეგ... მაგრამ ცხოვრება იმისთანა რამაა... კი არ მივიდა, ხელით მიიყვანეს... მე მაშინ სულ პატარა ვიყავი. ის-ის იყო სკოლაში მიმაბარეს, მაგრამ იმ დღეებში ჩვენთან სულ ამაზე იყო ლაპარაკი და, ამიტომაც დამამახსოვრდა... ასე დეტალურად... (ბესო ფაქტიურად პ. ვასიკოს და ნინოს უყვება და არა — ნანას!)

პ.ვ. — (შეეცოდა ბაბუა, რომელიც მკაეთრი მოძრაობით მოშორდა ბესოს, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში დაიწყო ცქერა). მამა, თუ ბაბუას არ უნდა...

ბესო — არა, ვასიკო, ბოლომდე უნდა ითქვას. გაიგონ, რომ ჩვენ ვაიძულეთ, ჩვენმა უმწეო მდგომარეობამ, სიღარიბემ... (პაუზა). თბილისში, დედაჩემს ჯერ ჩემი ძმა ეყოლა, მერე გოგონა. ის ოთხი წლის შემდეგ დაგვეღუპა. ერთი სიტყვით, დედა იძულებული გახდა თავი დაენებებინა ფაბრიკისათვის. ძალიან გაგვიჭირდა. მამა დღე ქარხანაში მუშაობდა, ღამე რომელიღაც გასტრონომის დარაჯად. ომისშემდგომი წლები იყო: კარაქს და მისთანებს შავ ბაზარზე თუ იშოვიდი. მოკლედ, ერთხელ დეიდაჩემი მოგვადგა და რომ ნახა, რა დღეში ვიყავით, აუტყდა დედაჩემს: ხომ ხედავ, პატიოსანი შრომით არაფერი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის, წამოვიდეს ვასიკო ჩვენს სისტემაში და ორ-სამ თვეში მოითქვამთო სულს. იქ არც ისე ადვილი იყო მოწყობა, მაგრამ თქვენი მეუღლის იმედი ჰქონდა, ქალბატონო ნუნუ.

ნანა — რა თქმა უნდა, იცოდით, რბილი კაციაო და...

ბესო — მამა წინააღმდეგი იყო. სულ რომ შიმშილით მოკვდე, იმასთან არ მივალო. ყოველ საღამოს ერთი აურზაური იდგა — ჩხუბი, ხვეწნა-მუდარა, ტირილი. საყვედურებს ბოლო არ უჩანდა... ჩემი და დღენაკლული დაიბადა და ექიმებმა, განსაკუთრებული კვება სჭირდებაო, ზღვის აბაზანები... ჩვენ კი ხშირად საჭმელიც არ გვქონდა, ცარიელ პურზე და მაკარონის სუპზე გადავდიოდით. ჰოდა, ვეღარ გაუძლო, ან ვინ გაუძლებდა და დათანხმდა...

პ.ვ. — მამა!..

ბესო — შუამავლობა ისევ დეიდაჩემმა იკისრა. ის წაჰყვა, უფრო სწორად, იმან წაიყვანა დედაჩემი ქალბატონ ნუნუსთან. (ნუნუს) ალბათ, გახსოვთ. ორი დღის შემდეგ კი დეიდა გახარებული მოვარდა: ვალიკოს თავისთან დაებარებინა მამაჩემი. მე, როგორც გითხარით, ის იყო შვიდის შევსრულდი და შეიძლება, სხვა ბევრი აღარაფერი მახსოვს, მაგრამ ის დღე, ჩვენი მისვლა მამათქვენთან, არასოდეს დამავიწყდება. სამნი წავედით: დეიდა, მე და მამაჩემი. მე, ალბათ, უფრო დაძაბულობის შესარბილებლად. მახსოვს, ტრამვაით ვიარეთ, მერე ფეხით. მამა სულ კბილებს აკრაჭუნებდა, დეიდა ამშვიდებდა: რა მოხდა, შე კაცო, ათთხუთმეტ წუთს ვერ გაიჭირვებო?.. როდესაც მივედით, მდივანმა ქალმა ჯერ მე და დეიდაჩემი შეგვიყვანა. მამა მოსაცდელში დარჩა — გამხდარი, ფერწასული. გაცვეთილ, საკერებლებიან შინელში. მამათქვენი სიმპათიური გარეგნობის კაცი აღმოჩნდა, დიდულვაშა, სათვალიანი...

ნანა — (ხმადაბლა) მამა.

ბესო — მოგვიკითხა. მე თავზე გადამისვა ხელი. უჯრიდან ერთი მუჭა კარამელი ამოიღო და ჯიბეში ჩამიყარა. ცოტა ხანს დეიდას ელაპარაკა, არ მახსოვს რაზე. მერე ზარი დარეკა და მდივან ქალს მამაჩემის შემოყვანა დაავალა. გაიჭრიალა კარმა და შემოვიდა მამა. შევხედე და თვალები დავაჭყიტე: ვეღარ ვიცანი — მაღალი, წელში გამართული — ისეთი ღირსეული და საკუთარ თავში დარწმუნებული გამომეტყველება ჰქონდა, ვალიკო წამოხტა დაშეგება. დეიდაჩემს მოვხედე, ვერც იმას გაეგო, რა მოხდა: როგორ, ან რამ შეცვალა ეს კაცი ერთ წუთში. ერთი სიტყვით, ილაპარაკეს — რაღაცეებს ყვებოდნენ, ხუმრობდნენ... მერე ვალიკომ სადღაც დარეკა, ჩემი ... და აბა, თქვენ იცითო. უფროსებ... ოართვა, მე ისევ მომიალერსა და წამოვედით. მამაჩემს სახლამდე აღარ ამოუღია ხმა. თანდათან ისევ მწვანე ფერი დაედო, მოიბუზა და ბოლოს ისევ იმ გაწამებულ კაცად იქცა, ტრამვაიში რომ იჯდა გამტკნარებული სახით. თავისთვის ვერ ეპატიებინა ეს დათმობა და მერეც, საერთოდ გაურბოდა ამ თემაზე ლაპარაკს. იმ საღამოს კი, შინ რომ დავბრუნდით, ისე წაეჩხუბა დედაჩემს, დედა ცუდად გახდა და მერე მთელი ღამე ტიროდა. (პაუზა) ერთი სიტყვით, თუ ბაბუაშენი დათანხმდა, მიზეზი ჩვენ ვიყავით.

პ.ვ. — (დიდ ვასიკოსთან მივა და მკლავზე მოჰკიდებს ხელს) ბაბუ!

(ერთ წამს სიჩუმეა. ყველანი დიდ და პატარა ვასიკოს უყურებენ და უცებ, ყუმბარის აფეთქებასავით ისმის ზარის ხმა. ნანა გახარებული მოსწყდება ადგილს და კარს აღებს).

ნანა — აი, ჩემი კოტეც მოვიდა. (შემოუძღვება ქმარს) კოტე, გენაცვალე, გითხრა ნუციკომ? როგორ მინდოდა, ბიჭებთან დაგესვენა ერთი საღამო, მაგრამ ისეთი სტუმრები გვყავს, სხვანაირად არ შემეძლო.

კოტე — (უკვე მოასწრო ყველას შეთვალიერება) ვინ სტუმრები (ირონიულად), ოო, ბესო უბრალო საქმეზე არ მოვიდოდა — პრაქტიკული კაცია, საქმიანი...

ბესო — (რომელიც სულ შეიცვალა, დამნაშავესავით ცმუკავს ადგილზე) შეგაწუხეთ, კონსტანტინოვიჩ, მაგრამ არ მეგონა, ამდენ ხანს შემოვრჩებოდით, საღამო მშვიდობისა!

დიდი და პატარა ვასიკო — გამარჯობათ!

კოტე — (სალამზე არ პასუხობს. დაკვირვებით ახედ-დახედავს ორივეს) ხო, მაგრამ ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ იმ დღეს და თითქოს, ყველაფერზე შევთანხმდით. ასე მალე დაგავიწყდა?

ბესო — როგორ გეკადრებათ, კონსტანტინოვიჩ. არ დამავიწყდა, მაგრამ... სხვაგვარად გამოვიდა და... ხომ იცით, როცა საქმე შვილს ეხება...

კოტე — (მკვახედ) ჰოდა, სხვაგვარად რომ გამოვიდა და შვილს რომ ეხება, სწორედ იმიტომ... (ცალი თვალით გახედავს გადაფითრებულ ნინოს) ნინიკო, ერთი წუთით შენს ოთახში გადი!

ნინო — მამა!

კოტე — ძალიან გთხოვ, ნერვებს ნუ ამიშლი! ნუნუ!.. (აქამდე მაგიდასთან კერპივით გახევებულმა ნუნუმ ხელში შერჩენილი ტილო მაგიდაზე დააგდო, შვილიშვილთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდა, ხელი მოჰკიდა და გავიდნენ). ჰოდა, ჩემს შვილს რომ ეხება-მეთქი, იმიტომაც გაგაფრთხილე. ხომ იცი, თუ ერთი გადამიბრუნდა შარიკი!

ბესო — კონსტანტინოვიჩ, მე... ათი წელი ერთად ვმუშაობთ, ტყუილს როგორ გეტყვით?.. ვასიკოს წასაყვანად მოვედი. აი, ქალბატონიც მოწმეა.

კოტე — ჰოდა, ათი წელი რომ ჩემთან მუშაობ, აქამდე ვერ გაიგე, რომ ჩემთან მარქენალ ხარს რქა არ შერჩება! გააკეთე, როგორც შევთანხმდით, თორემ... იცოდე, ტანკივით გადაგივლი!

დ.ვ. — (ვეღარ მოითმინა) თუ შეიძლება, ქრისტიანულად გვითხარით, ბატონო...

ბესო — (სწრაფად) მოიცა, მამა!

დ.ვ. — არც ისე შეუსმენელი ხალხი ვართ, რომ ვერ გავიგოთ. ეს ქუჩური, ჟარგონული მუქარა რა საკადრისია, ან ვის აშინებთ?

კოტე — მოიცა, ვილაცა ხარ... მე დაგიძახე, მოდი და ლექცია წამიკითხე-მეთქი?! დაგპატიჟე, კალთები დაგაგლიჯე?!

ნანა — კოტე!

კოტე — ისე კი, მართალია, ხომ იცი. (ნანას) შენი ბრალია ეს ამბავი, გენაცვალე. მე კი ვუთხარი ერთხელ და ჩავთვალე, ყველაფერი გაირკვა-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, ამათ კიდევ რაღაცის იმედი აქვთ. უნდა გასაგებად უთხრა და გაათავო!

ნანა — აღარ ვიცი, მეტი რა გავაკეთო, კოტიკო. გოგოს ფეხს აღარ ვადგმევინებ გარეთ, ინსტიტუტში მიგვყავს და მოგვყავს და ტელეფონთან მთელი დღე მე ვზივარ, თითქოს მეტი საქმე არ მქონდეს. ხომ უნდა მიხვდნენ, არა?

კოტე — (მკაცრად) ვინ უნდა მიხვდეს, ვინ? ესენი?! მოკლედ და გასაგებად უნდა უთხრა: — არ-რა! მორჩა და გათავდა! ეტყობა, ეგ მოხუცი რომ იყო ამ წინეებზე და შენ ჩიბუხებზე გაუბი ლაი-ლაი, იმედი მიეცათ. პირდაპირ უნდა გეთქვა! ბიჭოს! თუმცა, შენც მართალი ხარ — ვიფიქრებდი, რომ ჩვენი იმდღევანდელი ლაპარაკის შემდეგ ეს ვაუბატონი კიდევ აქ დამხვდებოდა?

ბესო — კონსტანტინოვიჩ... ასე არ გინდათ, გთხოვთ... ხომ გითხარით, დამთვრალა ეს ვაუბატონი და გამოქცეულა. დედამისმა დამირეკა სამსახურში, მიხედე, არ შეაწუხოს ის ხალხიო... პალტოც არ გამიხდია!..

კოტე — ეგ ჩემი საქმე არ არის, ჭირიმე! გაიგე, რა თქვა დედამისმა? გოგოს გარეთ არ ვუშვებთ, არ ვახვედრებთ და ვუშლით. კიდევ რა გავაკეთოთ? ვერ უნდა მიხვდე, რომ არ გვაწყობს თქვენი ვარიანტი, არ გვინ-დი-ხართ!.. ბიჭოს! რომ ჩამომწკრიალებულხართ აქ, ვითომ რაო: თქვენი შეხედულებით დამაბამთ? — სიტყვა-პასუხით, ჩაცმულობით თუ რა? წადით რა, თქვენი ტოლი ნახეთ, თქვენი შესაფერი ოჯახი მოძებნეთ, ალხანას — ჩალხანაო, არ გაგიგონია?! ეხლა მე რომ ამერიკელი კონგრესმენის ბიჭი ვინდომო სიძედ, რამე გამომივა? არ იტყვიან, კუმ ფეხი გამოყოო? ეგრე რა... აუცილებლად ასე უნდა გელაპარაკო? მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე გითხარი, გაგაფრთხილე... მაინცდამაინც კისერი მოგიგრიხო?..

პ.ვ. — (უცებ) იცით, რას გეტყვით, ადამიანურად ილაპარაკეთ.

ბესო — (შეშფოთებული) ვასიკო!

კოტე — (ზიზღით) ეს ვიღაა? ეს ლანირაკიც რომ მე მასწავლის, როგორ ველაპარაკო!

პ.ვ. — ნინოს მამა არ იყოთ, გიჩვენებდით...

ბესო — ვასიკო! როგორ ელაპარაკები ბატონ კოტეს?! ყურადღებას ნუ მიაქცევთ, კონსტანტინოვიჩ. ხომ გითხარი, ცოტა ნასვამია.

კოტე — (უხეშად მოიშორებს) იქით გაიწი! (პატარა ვასიკოს) აქვთ მემუქრები?! აქ, ჩემს სახლში?!

პ.ვ. — ჯერ ერთი, ეს თქვენი კი არა, თქვენი სიმამრის სახლია...

ბესო — ვასიკო!

კოტე — და მე შენ!.. (უნდოდა კარისკენ ებიძგებინა, მაგრამ ვასიკო მაჯაში სწვდა და გადაუტრიალა). ხე..ხე-ლი!

ნანა! — კოტე!

დ.ვ. — ვასიკო!

ბესო — (მივარდება და დაეჯაჯგურება) რას ბედავ! გაუშვი-მეთქი და მონყდი აქედან!

პ.ვ. — რატომ გავუშვა? რომ ამან გვლანძღოს და ჩვენ შენსავით ველაქუცოთ? რომ იმ ვილაცის ადგილზე შენ დაგსვავს, არა? ფუ, მართლა!.. ამასთან თავს ასე როგორ იმდაბლებ, ამასთან...

ბესო — (ხელს გაუშვებს და სილას შემოჰკრავს) რეებს ბედავ?

(პაუზა. ერთ წამს ყველა გაოგნებული დგას. კოტე დროს იხელთებს, გაეშვებინება და თავის ოთახში შევარდება)

ნანა — (იკივლებს) კოტე!.. (პატარა ვასიკოს) წადით, მოგკლავს. იარაღს გამოიტანს!.. (და როცა რევოლვერშემართული ქმარი დაინახა, ზედ აეფარა ყმაწვილს) კოტე, არ ესროლო, შენი ჭირიმე! ამას უყადრებ თავს, ამ ღლაპს?!. ჯერ მე მესროლე, მე მომკალი! კოტე, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე! კოტე!

ნუნუ — (შემოვარდება ნინოსთან ერთად) ვასიკო!

ნინო — მამა!

ბესო — კონსტან... ტინოვიჩ... როგორ კადრულობთ. ამას მე ახლავე...

ნანა — კოტე!

პ.ვ. — მოიცათ, ქალბატონო. მესროლოს ერთი, რისი მსროლელია!

დ.ვ. — ვასიკო!

ნინო — ვასიკო!

ბესო — გაგიჟდი? წადი ახლავე აქედან! არ გესმის, რას გეუბნები?! (ცდილობს კარისკენ წაიყვანოს).

პ.ვ. — ხელი გამიშვი! და, საერთოდ, ხმა აღარ გამცე, გესმის?! შენი დანახვა აღარ მინდა! იმის შემდეგ, რაც შენ აქ იკადრე!

ნინო — ვასიკო!

კოტე — ჰმ!.. გესროლო, არა? საკუთარ ოჯახში, ყველას დასანახად და ციხეში ჩავჯდე... (რევოლვერს ჯიბეში იდებს) კარგი! (ნუნუს და ნინოს) მე თქვენ რა გითხარით?! მარშ, ახლავე! (ნუნუ და ნინო ისევ გადიან) თუ ეს გაპატიო, კაცი ნუ ვყოფილვარ! თუ არ გაგსრისო, შარშანდელი თოვლივით არ გაგაქრო!..

პ.ვ. — ოო, იმედია, ამისთვის ბნელ ღამეს შეარჩევთ, მარტო არ იქნებით და ყველა კბილებამდე შეიარაღებული გეყოლებათ! ჰო, ჰო!.. ისიც ვიცი, სამსახურიდან რომ გათავისუფლებდნენ და ერთ კაცს შუბლზე დაადეთ იარაღი. ახლა რომ თქვენი კეთილისმყოფელია და დამოყვრებასაც უპირებთ. მაგრამ არ გამოგივათ, იცოდეთ... ხომ არ გგონიათ, თქვენსავით მეც ქონება მაინტერესებს? ქურდობით ნაშოვნი სიმდიდრე და თვალ-მარგალიტი. აი, ეს აღმოსავლური ჩიბუხები. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, მე თქვენი არაფერი მინდა. ნინოს მე ვუყვარვარ და ვნახოთ, ვინ გადამიდგება გზაზე. შეიძლება, ისე ვერ ვაცხოვრო, როგორც თქვენთან არის, მაგრამ ორ-სამ წელიწადში კარგი სპეციალობა გვექნება, ვიმუშავებთ და როცა იქნება, მაინც მოვეწევით ამ ქვეყანას. ყოველ შემთხვევაში, თქვენი დასაყვედრებელი არაფერი გვინდა!

კოტე — ჰოდა, როცა შენი გაიტანო, არა, მოდი და პირში ჩამაფურთხე! შენისთანებისთვის მომიგრეხია კისერი, ხომ იცი... მოიცა!

დ.ვ. — არ გეკადრებათ ასე ლაპარაკი, ბატონო კოტე. სირცხვილია! მე მგონი, თქვენზე 20-25 წლით უფროსი მაინც ვარ და საერთოდ, რამდენადაც ვიცი, საზოგადოებაში გამორჩეულ პირად ითვლებით. ვის აშინებთ მაგ თქვენი იარაღით? ძალიან გთხოვთ, მუქარას მოეშვათ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმე!

კოტე — ეს რაღას ამბობ, ბატონო კეთილები... რა, აქეთ მაშინებ?!

დ.ვ. — არა, მე შეშინება არ მჩვევია, გაფრთხილებთ!

ბესო — კარგი რა, მამა. კონსტანტინოვიჩს სულ არ უფიქრია...

დ.ვ. — შენ გაჩუმდი! შენზე უკეთ ვიცი, რაც იფიქრა! (ისევ კოტეს) ხომ გაიგონეთ ვასიკომ რა გითხრათ? არავინ სახლში არ გივარდებათ და არც თქვენი ქონება და თანამდებობა სჭირდება ვინმეს. მათ შორის არც ამას. (ანიშნებს ბესოზე) რაც შეეხება ახალგაზრდების ამბავს კი, ეს მათი პირადი საქმეა. უფროსებს შეგვიძლია ვურჩიოთ, დავუშალოთ, მაგრამ ვერ ავუკრძალავთ. და თუ საქმე საქმეზე მიდგება, არცა გვაქვს ამისი უფლება!

კოტე — სწორედ შენ დაგეკითხები, ხომ იცი.

დ.ვ. — მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ მე დამეკითხოთ. აი, თქვენს შვილს კი უნდა დაეკითხოთ, ვალდებულიცა ხართ.

კოტე — აა... აი, თურმე რა! გესმის, ნანა? ტყუილად კი არ ჩამომწკვრივდნენ აქ. ვიდრე შენ ტელეფონს უჯექი, ამათ უკვე მოუკვარახჭინებიათ საქმე. თავის ჭკუაზე გადაუყვანიათ შენი ქალიშვილი...

ნანა — კიდევ მე ვარ დამნაშავე, კიდევ? ლექციებზეც გვერდით ხომ არ დავუჯდები, ადამიანო?! და ეტყობა, ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან. რა გინდათ ჩვენგან? სარგებლობთ 19 წლის გოგოს თავქარიანობით და ცხოვრება გინდათ აუწეწოთ?! როგორც დედაჩემს აუწეწეთ და მოუშხამეთ! არ გამოგივათ! მე თვითონ მოვკლავ ჩემს შვილს, თვითონ ამოვხდი სულს და თქვენ არ ჩაგიგდებთ ხელში! ვერ უყურებთ ამათ? წეღანაც გითხარით, რაც თქვენ დედაჩემს გაუკეთეთ, იმის შემდეგ აქ როგორღა მოადგით ფეხი? როგორ არ გრცხვენიათ?! ჩემს გასაგონად რომ უმღერით ოდებს, ასეთი და ისეთი კაციაო!.. მე არ ვიცი, ვინცა ბრძანდება? თან მამეჩემიც რომ გამოლანძღეს სასხვათაშორისოდ!.. რა პირით ახსენებთ იმის სახელს, როგორ არ გრცხვენიათ?! საწყალმა იცოდა თქვენი ამბავი. იცოდა!

დ.ვ. — რა ამბავი, ქალბატონო ნანა, საიდან მოიტანეთ?!.

ნანა — ყველაფერი იცოდა, ყველაფერი! მაგრამ წესიერი კაცი იყო, უყვარდა დედაჩემი და აპატია ახალგაზრდული შეცდომები! (დიდი ვასიკო გაოცებული შეხედავს ნანას) რას მიყურებთ? წლების მანძილზე ხვდებოდით ერთმანეთს, ყოველ საღამოს ერთად იყავით და არ მითხრა ახლა, მხოლოდ ლექსებს ვუკითხავდიო... მთელი ახალციხე აალაპარაკეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე — აი, ეს მესმის! მეც არ მიკვირდა, ასე ნაგლად რომ გვაწვებიან-მეთქი? ჰოდა, რაკი ამ წუწკ ბებერს დედაშენთან ჰქონია საქმე და ხახვივით შერჩა ყველაფერი, იფიქრეს ჩვენთანაც...

დ.ვ. — ღვთის გულისთვის!.. ნუნუმ არ გაიგოს!.. როგორ კადრულობთ!

კოტე — გაიგოს თორემ... ერთბაშად სირცხვილით არ დაიწვას!

ნანა — კოტე!

კოტე — ხმა! ისიც მეყოფა, აქამდე რომ მიმალავდი დედაშენის კა..ქალობას!.. არა, ვითომ რომ გიკვირდა კიდეც, ჩვენ ერთს ვეუბნებით, ის — მეორეს და გადარია ბავშვი, ჩვენი სულ აღარ ესმისო! კარგს რას ეტყოდა? ამათაც იფიქრეს, ეტყობა, ამ ოჯახში ყველაფერი მოდისო და... ხომ ხედავ?!

(პატარა ვასიკო ისევ გაიწევს კოტეზე, მაგრამ შუაში კვლავ ნანა ჩაუვარდებათ კივილით. მას დიდი ვასიკო მიეხმარება. მხოლოდ ბესო დგას განცალკევებით, ყველაფერზე ხელჩაქნეული).

ნანა — კოტე!

დ.ვ. — ვასიკო!

(არეულობაში პირველად ვერც კი შენიშნავენ ნინოს, რომელიც ცარიელი ჭიქით ხელში გამოვარდება ოთახიდან).

ნინო — დედა! სასწრაფო, ჩქარა! (და რადგან ნანას მისი არ ესმის, მიეჭრება და შეანჯღრევს) ბებო ცუდად არის, ჩქარა! (შერბის გვერდით ოთახში. ნანა და კოტე ერთმანეთს გადახედავენ, მერე ნანაც ნინოს კვალდაკვალ გადის. მისაღებში მხოლოდ კოტე და დაბნეული სტუმრები რჩებიან. სიჩუმეა, ყველა გვერდით ოთახს გასცქერის, საიდანაც წამის შემდეგ ნანას საშინელი კივილი და ხმამაღალი ქვითინი ისმის! კოტე ადგილს მოსწყდება და აფორიაქებული შევარდება ოთახში, საიდანაც ახლა გაოგნებული ნინო გამოდის).

პ.ვ. — (მივარდება) ნინო!

ნინო — (გამოერკვევა) ვასიკო! ჩემი ბე აღარ არის! ჩემი ბე მოკვდა!

სურათი მეხუთე

(რკინიგზის სადგური. მარცხნივ, წინა პლანზე ხის უბრალო მერხი დგას. შორიდან მცირეგაბარიტიანი ელმავლის საყვირის ხმა ისმის. შემოდიან დიდი და პატარა ვასიკო. პირველს საშუალო ზომის ჩანთა უჭირავს, მეორეს — ასეთივე ჩანთა და ჩემოდანი).

პ.ვ. — (მოათვალიერებს იქაურობას და მერხთან ჩერდება) დაჯექი, ბაბუ. მე გავიქცევი, გავიგებ, საიდან გადის ახალციხის მატარებელი. (ტვირთს მერხზე აწყობს).

დ.ვ. — რად გინდა. ჩამოდგება და გაგიოცახადებენ.

პ.ვ. — სარბენი არ გაგვიხდეს, ბაბუ. მერე ყველა ერთბაშად მიაწყდება...

დ.ვ. — გაგვიხდება და ვირბინოთ. მამაშენივით შენც საპყარი ხომ არ გგონივარ?

პ.ვ. — კარგი რა, როგორი გახდი ამ ბოლო დროს. დალაპარაკება აღარ შეიძლება!

დ.ვ. — აბა, ისე დაუძლურებული რომ ვიყო, ვაგონამდე მისვლა არ შემეძლოს, ახალციხეში წავიდოდი? სადგური იმისი სადგურია, რომ უნდა გაიქცე, გამოიქცე... დასასვენებლად კი არ მივდივარ იქ, უნდა ვთესო, ვბარო...

პ.ვ. — ის მაინც ხომ ეცოდინებათ, მეთოთხმეტე ვაგონი სად ჩერდება — თავშია, ბოლოში... რატომ უნდა ვირბინოთ ამხელა ჩანთებით და ჩემოდნით...

დ.ვ. — კი, ბატონო, გაიგე. (პატარა ვასიკო რომ წავა, ჩემოდანს და ჩანთებს მერხიდან აიღებს და იქვე, გვერდით მიაწყობს. დაჯდება. ჯიბიდან გაზეთს ამოიღებს, ერთს შეარჩევს, დანარჩენს ისევ შეინახავს. გაზეთს გაშლის და ათვალიერებს... ამასობაში პატარა ვასიკო ბრუნდება) რაო?

პ.ვ. — ამათი ამბავი არ იცი? — ფოთის მატარებელი იგვიანებს, ჯერ არ ვიცით, რომელ ლიანდაგზე ჩამოდგება, შეიძლება, ახალციხე სულაც ბორჯომის ვაგზლიდან გავიდესო და... აგერ, ეს ყოფილა, პირველ ლიანდაგზე.

დ.ვ. — არ გითხარი? (შეინახავს გაზეთს) ჰო, რა მინდოდა მეთქვა, ვასიკო. იზოლირებული კი ჰქვია, მაგრამ... ხომ იცი, როგორ გადის ხმა ერთი ბინიდან მეორეში. საღამოობით მარტო რომ დარჩები, ან სტუმრები გეყოლება, თუ მუსიკის მოსმენას დააპირებ, ძალიან ნუ აუწევ მაგნიტოფონს, ბაბუ. საძილე ოთახი პირდაპირ ტასიკოს ერთოთახიანს ესაზღვრება და მოხუცი ქალია, გატანჯული...

პ.ვ. — ვიცი, ბაბუ.

დ.ვ. — მისაღებში მოუსმინე ხოლმე. კიბის მხარესაა და არავის შეაწუხებს.

პ.ვ. — მე მგონი, იქ არც ძილი შეიძლება, ბაბუ. ვაითუ, ნამთვრალევზე წამოვიხვრინო და გამოვალვიძო ტასიკო! (შეხედავენ ერთმანეთს და გაეცინებათ). მაინც რატომ აიტეხე ასე უცებ წასვლა? გამოზაფხულდებოდა, დათბებოდა და მერე კიდევ მესმის... იქ, ალბათ, ჯერაც თოვლია და ყყაპი. ჩახვალ ახლა ამდენი ხნის მიტოვებულ სახლში... რამდენი ხანია აღარავის უცხოვრია, არ გაგიჭირდება?

დ.ვ. — უდაბნოში კი არ მივდივარ. სოფელი მაინც სოფელია, ვასიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლობა იქ ჯერ კიდევ მხარში ამოდგომას ნიშნავს, ლხინის და ჭირის გაზიარებას. აქ რომ არის, ქალაქში, ისე კი არაა...

პ.ვ. — კარგი, შენ იქ რიგიანი მეზობლები გეყოლება და გულს გადააყოლებ, მე როგორ გავძლო უშენოდ, სულ მარტომ?..

დ.ვ. — რატომ მარტო? დედა გყავს და მამა. იმიტომ კი არ დაგიტოვე ბინა, რომ დღედაღამ იქ იჯდე: როცა სამუშაო გექნება, სამეცადინო და რა ვიცი კიდევ. სხვა დროს მშობლებთან იქნები ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ცოლის მოყვანამდე. ვინა ჰყავთ შენს მეტი? აბა, შენი თავი წარმოიდგინე იმათ ადგილზე (პაუზა) აქამდეც მინდოდა მეთქვა და ველარ მოვახერხე. ბაბუ, მარტო დღისით რომ მიდიხარ სახლში, დედის სანახავად, ბესო ცოდვა არ არის? ხომ იცი, როგორ უყვარხარ?! გაწყენინა, ძალიან გაწყენინა, მაგრამ რას იზამ. მამაა შენი. რისთვის წვალობს, ან რისთვის დაემართა ის ამბავი? — ისევ შენთვის, ბაბუ, ოჯახისთვის...

პ.ვ. — არა, ის მაინც როგორ იკადრა... იქ არ იყავი, ბაბუ?! ხომ გახსოვს!

დ.ვ. — არ გინდა! კი ბატონო, მაგრამ შენი მოვალეობაა, მარტო შვილის კი არა, ადამიანის. იქნებ თვითონ უფრო განიცდის, რომ... ასე გაეთელინა ცხოვრებას... ჯერ გვარი ნახე, ჩიფჩიური... იმისი ადგილისთვის რომ ასეთი ამბავი ატყდება, ამისთანას იკადრებენ?! მაგრამ იმათაც რა ქნან, თუკი წინ.. ჰერსპექტივაში უკეთესი არაფერი მოჩანს... ძნელი ყოფილა ცხოვრება, ბაბუ, ძნელი. ზოგჯერ ვერც გაუგებ იმისთანას გაგაკეთებინებს... ეჰ, ხომ ნახე იმ დღეს, შენი ყურით მოისმინე... უბედური კაცი ვარ, ბაბუ, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული. ცხოვრებაში სულ იმის ცდაში ვიყავი, სხვისთვის არაფერი დამეშავებინა, ცოდვა არ ამეღო და... უსიამოვნებისა და უბედურების მეტი არაფერი მომქონდა თურმე. მეგონა, სხვები იყვნენ დამნაშავეები ჩემთან და სინამდვილეში მიზეზი მე ვყოფილვარ. ჩემი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ჩემს სინდისს, ჩემს პრინციპებს არ ვღალატობდი და ამით უბედურება და ტანჯვა მომქონდა ყველასთვის...

პ.ვ. — შენი რა ბრალია, ბაბუ.

დ.ვ. — ჩემი ბრალია, აბა, ვისი? მე რომ არ მოვსულიყავი იმ დღეს იმათთან, ეს არ მოხდებოდა. ნუნუც ცოცხალი იქნებოდა და არც შენი და ნინოს საქმე მივიდოდა აქამდე. ფეხი მომტეხოდა და იქ არ მოვსულიყავი! ამას როგორ ვაპატიებ თავს, ბაბუ, ვიდრე პირში სული მიდგას.

პ.ვ. — რას იფიქრებდი, რომ ის ქალი ამისთანა რამეს იკადრებდა?

დ.ვ. — მეც მაგას არ ვამბობ... ეჰ!

პ.ვ. — წავიდეთ, ბაბუ, ჩასხდომა დაიწყო. (დიდი ვაკისო უსიტყვოდ დგება და აქეთ-იქით იყურებ) რას უყურებ?

დ.ვ. — არაფერს. ხალხს ვუყურებ — იციის, კიდევ მომიწევს ჩამოსვლა თბილისში, კიდევ ვნახავ?

პ.ვ. — ბაბუ?

დ.ვ. — ერთს გთხოვ. ხომ გახსოვს რომელი რიცხვი იყო, ის უბედური რომ დაიღუპა?.. თუ მე ვერ მოვახერხო თბილისში ჩამოსვლა, ნუ დაიზარებ — დამპირდი, რომ შენ გახვალ ხოლმე და ყვავილებს გაიტან საფლავზე...

პ.ვ. — კი, კი, ბაბუ. რა თხოვნა გინდა. ერთად გავალთ! მე იმ პირობით გიშვებ, რომ ზაფხულობით იქ იქნები და ზამთრობით ყოველთვის ჩემთან ჩამოხვალ... ასე არ შევთანხმდით?..

დ.ვ. — (გახარებული) მოვიდა. (პაუზა) ვიცოდი, მოვიდოდა. ისე არ გამიშვებდა, არ გამომთხოვებოდა.

(პატარა ვასიკო გაოცებული გაიხედავს იქით და შეცბება — შემოდის შავებში ჩაცმული ნინო).

ნინო — გამარჯობათ! (უეცრად ჩაეხვევა დიდ ვასიკოს და ცრემლები წამოსცვივ) ბაბუ!..

დ.ვ. — დიდი მადლობა, ბაბუ, რომ ისე არ გამიშვი... წეღან ვასიკოსაც ვეუბნებოდი, ჩემი ბრალია-მეთქი, მე რომ თქვენთან არ მოვსულიყავი იმ დღეს, ფეხი რომ მომტეხოდა, ანდა მანქანა დამჯახებოდა და გავეტანე, ის ამბავი არ მოხდებოდა... (გამოერკვევა) მატარებელში ასვლა არ მინდოდა: განგებ ვაგვიანებდი, ვიცოდი, მოხვიდოდი... კარგი, დამშვიდდი. (ღიმილით) როგორ გაიგე, რომ მივდიოდი? შენ გააგებინე, ვასიკო? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ნინომ არ დაივიწყა ბებერი ბაბუა ვასიკო, აპატია... (ეფერება) აბარებ გამოცდებს?

ნინო — ორი ჩავაბარე.

დ.ვ. — ვასიკომაც. პოლიტეკონომია და... მეორე რა ჩააბარე, ვასიკო?

პ.ვ. — ორგანული ქიმია.

დ.ვ. — ჰო, ორგანული ქიმია. როდის გიმთავრდება გამოცდები?

ნინო — ოცდაორში უნდა დამმთავრებოდა, მაგრამ... ის ამბავი რომ მოხდა, ერთი გამოცდა გადამიტანეს და ალბათ, თვის ბოლომდე ვერ დავამთავრებ.

დ.ვ. — ბაკურიანში რომ აპირებდი, სიმპოზიუმზე უნდა გამოვიდეო? ველარ წახვალ. რას იზამ, ნეტავ შეიძლებოდეს იქით წამოსულიყავი, ახალციხისკენ. რომ იცოდე, რა თოვლი იციის, განსაკუთრებით ზემო სოფლებისკენ. ბაკურიანი მოგონილია იმათთან. ვარძიას გაჩვენებდი, ხერთ.კისს, ვანის ქვაბებს, საფარას და რა ვიცი... იმ ადგილებსაც ნახავდი... რაბათს, თეატრს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.ვ. — ბაბუ, მე ავალ, ბარგს დავაბინავებ.

დ.ვ. — არ გინდა მოგეშველო?

პ.ვ. — არა. ჩანთებს დავაწყობ და გამყოლს ვნახავ... (მიდის დატვირთული).

დ.ვ. — (თვალს გააყოლებს. მერე ნინოს მოხედავს. ეტყობა, რაღაცის თქმა უნდა და არ იცის, როგორ დაიწყოს. ბოლოს ჯიბიდან საათს ამოიღებს, დახედავს) სადაცაა გავა. ჰო, რა მინდოდა მეთქვა... დიდი მადლობა, რომ მოხვედი, ჩემო ნინო... ამისი ჯავრი რომ აღარ გამაყოლე. წელანაც გითხარი, მატარებელში ასვლა არ მინდოდა. გული მიგრძნობდა, რომ მოხვიდოდი...

ნინო — რას ამბობთ, ბაბუა ვასიკო. როგორ შემეძლო არ მოვსულიყავი... თქვენ ისეთი ადამიანი ხართ... მე ისე მიყვარხართ, როგორც ჩემი ბებო...

დ.ვ. — (მოეხვევა და ამშვიდებს) ბაბუ!..

ნინო — სიკვდილის წინ ბებომ ყველაფერი მიამბო თქვენზე. განიცდიდა, რომ ვალიკოსთან თქვენი მისვლის მიზეზი არ იცოდა და ასე გხვდებოდათ ხოლმე, ცუდს ფიქრობდა... და რომ მის თვალში ისევ იმ ვასიკოდ დარჩით იქ, ახალციხეში რომ გნახათ და უყვარდით (სადღაც, შორიდან კვლავ მოისმა ვალსის რამდენიმე ტაქტი და ისევ ჩაიკარგა სადგურის ხმაურში) თვითონ მთხოვა, მეთქვა ეს, ბაბუა ვასიკო.

დ.ვ. — ნუნუ ანგელოზი იყო, ბაბუ. იმ დღეს უბრალოდ, აღელვებულ გულზე ვეღარ შეიკავა თავი, თორემ იმასაც არ იტყოდა. არადა,ჩემზე უკეთ ვინ იცის, რომ ცამდე მართალი იყო. არ უნდა მივსულიყავი, არა! მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ეტყობა არ იცოდა... ან იცოდა, მაგრამ შენ არ გითხრა, რომ იმ ამბების შემდეგ,ერთხელ კიდევ მივედი ვალიკოსთან. ასე წელიწადნახევრის თუ ორი წლის მერე. (პაუზა) რევიზია დაგვეცა და გარღვევა აღმოგვაჩნდა. მოხსნას და პასუხისგებაში მიცემას გვიპირებდნენ. ახლა დირექტორმა აღარ მომისვენა, მაგის მეტი ვერავინ გვიშველისო. ჰოდა, მივედი, დამეხმარე-მეთქი. დამეხმარა. მერე თავისთან გადამიყვანა სამმართველოში — აწი კაცი უბატონოდ ვერ გაგცემსო ხმას!

ნინო — ბაბუ!

დ.ვ. — ამაზე მწარე რა უნდა ყოფილიყო, ჩემო ნინო. ძაგრამ ასე იყო. თუმცა, ამის შემდეგ დიდხან აღარც მე დავრჩენილვარ ვაჭრობაში. ველარ შევძელი. ისევ ჩემს ქარხანას დავუბრუნდი. ჯერ სკოლა დავამთავრე, მერე ინდუსტრიული ინსტიტუტი... მაშინ ასე უძახდნენ პოლიტექტნიკურს... (პაუზა) ხომ ხედავ, მე სულაც არა ვარ ისეთი წმინდანი, როგორც ნუნუს უთქვამს, ან ბესოს და ჩემს ვასიკოს ჰგონიათ. ან როგორ ვიქნები — ჩვეულებრივი ადამიანი ვარ: უამრავი ხინჯითა და წინააღმდეგობებით, ცხოვრებაშიც ბევრჯერ შემშლია. ბევრიც დამიშავებია და შევმცდარვარ — საკმარისზე მეტად!

ნინო — რას ამბობთ, ბაბუა ვასიკო. თქვენ საოცარი ადამიანი ხართ. თქვენს მეტს ვის შეუძლია ასე ილაპარაკოს საკუთარ თავზე... მაგრამ მე ხომ ვხედავ. ყველაფერი ვიცი. ბებიამ ისიც მითხრა, ბესოს შესახებ...

დ.ვ. — ბესოს შესახებ?

ნინო — რომ თქვენი შვილი არ არის, თქვენს მეუღლეს მოჰყვა და დღემდე ასეთი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთში, როგორ გიყვართ და ზრუნავთ, როგორ...

დ.ვ. — (შეშფოთებით) ვასიკომ იცის ეს? ხომ არ გითქვამს?

ნინო — არა, ბაბუ. დღეს პირველად ვნახე, იმ ამბების შემდეგ.

დ.ვ. — (შიშით იყურება პერონისკენ) ჰოდა, ძალიან გთხოვ... ვასიკომ არაფერი არ უნდა იცოდეს. მითუმეტეს ახლა... ხომ გესმის, შეიძლება, სულ აიყაროს გული.

ნინო — ვიცი, ბაბუ.

დ.ვ. — ან ნუნუმ საიდან გაიგო, ა? ვცდილობდით, სხვას არავის სცოდნოდა. ვასიკოს დედისათვისაც კი არ გვითქვამს. ახლა ჩვენ სამს გვეცოდინება... (იყურება პერონისკენ) მოდის. ჰო, იმას ვამბობდი, ჩემო ნინო, იმ შავბნელ დღეს, რაღაც ერთ თუ ორ საათში, თქვენს თვალწინ მთელმა ჩვენმა ცხოვრებამ ჩაიქროლა — თავისი პატარა სიხარულებით და ტკივილებით. თითქოს განგებ, რომ თქვენ არ გაიმეოროთ ის შეცდომები. ასეთი ყოფილა ეს ქვეყანა! განა მე ასეთი... ასეთი ვიყავი, პირველად რომ შევხვდით მე და ნუნუ, მაგრამ ერთგან ცხოვრებამ დამათმობინა, მეორეგან მე თვითონ დავთმე და... თანდათან ვიქეცი იმ ვასიკოდ, რომელსაც შენ იცნობ. თუმცა, სულ ომს ვერ დავაბრალებ ყველაფერს. ადამიანებმაც საკმარისად წაახმარეს ხელი ჩვენს უბედურებას... მოხვედი, ვასიკო?

პ.ვ. — ბარგიც დავაბინავე და შენი თანამგზავრიც გავიცანი — ვილაც ახალგაზრდა კაცია, დიატომიტის საბადოს ინჟინერი...

დ.ვ. — დიდი მადლობა, ბაბუ. (დახედავს საათს) სამი წუთი დარჩა გასვლამდე. ბილეთი. (მონახავს) აი, ისიც. (წამით ჩაფიქრდება) ცხოვრებაში ასე ყოფილა, რას იზამ... მაგრამ მაინც უნდა გავუძლოთ, ვეცადოთ შევინარჩუნოთ, არ დავკარგოთ ის დიდი და კარგი, რა მძიმე ხვედრიც უნდა გვარგუნოს ბედმა. აი, მე... რა აღარა ვნახე

და გამოვცადე ცხოვრებაში, მაგრამ წარსულს რომ გადავხედავ ხოლმე, ჩემს ახალგაზრდობას რომ გავიხსენებ – გული არ ბერდება თურმე, ოხერი! – ისევ ის ვასიკო მგონია თავი, სიყვარულით თავგზააბნეულმა პირველად რომ ვიგრძენი თავი მამაკაცად... (ხმა აუკანკალდება) ისევ იმ ვალსის ხმა ჩამესმის ყურში... (დააყურა, თითქოს ახლაც უსმენსო და, მართლაც აუღერდა მისი და ნუნუს ვალსი)... ჩვენი ბავშვური სიყვარულია და ოცნებების სიმბოლოდ რომ იქცა და დიდხანს, დიდხანს, წლების მანძილზე მხოლოდ ის ხმიანებდა ჩემს სულში, ვიდრე ცხოვრება ჩაჰკლავდა იმასაც. თუმცა, ბოლომდე ვერც ის მოერია, ვერ ჩაჰკლა და, ალბათ, ვერც ჩაჰკლავს, ვიდრე სული მიდგას, მერე კი... თქვენ გააგრძელებთ, ბაბუ! (მოეხვევა და ჯერ ნინოს ეაცალობა, მერე ვასიკოს). მივდივარ და იმედად ისევ ეს მრჩება, რომ ბოლომდე გაგყვებათ ეს სიწმინდე და თქვენი მომავალი მაინც იქნება ისეთი – ჩვენ რომ ვოცნებობდით... (ხელით ანიშნებს ახალგაზრდებს, ნუ გამომყვებით) აბა, ბედნიერად! (მიდის. წამით შეჩერდება და მოიხედავს) ახალციხეში შეხვედრამდე! (ღიმილით დაუქნევს ხელს ნინოს და ვასიკოს. ისინიც ხელისქნევით ემშვიდობებიან)

(დიდი ვასიკო გადის. ისმის ელმავლის საყვირისა და ვაგონების დაძვრის ხმები. სინათლის რკალში მოქცეული ახალგაზრდები უსიტყვოდ მოხედავენ ერთმანეთს... პატარა ვასიკო მხარზე მოხვევს ხელს ნინოს. მარჯვენით კვლავ მიმავალ მატარებელს ემშვიდობება... ვალსის ხმა ძლიერდება).

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დინო გუცატი

შიში ლა სკალაში

მოთხრობა

მოხუც დირიჟორ კლაუდიო კოტესს ერთი წუთითაც არ უყოყმანია, ჩაეცვა თუ არა ფრაკი პიერ გროსგემუთის "ყრმების ამოხოცვის" დებიუტზე (იტალიისათვის სრულ სიახლეზე). რაც მართალია, მართალია, გაგანია მაისი იყო, როცა ყველაზე მოუსყიდველი მაყურებლებიც კი ირწმუნებიან, რომ ლა სკალაში სეზონი ნელ-ნელა იწურება და ძირითადად ტურისტებისაგან შემდგარ მსმენლებს, ჩვეულებრივ, ისეთი უეჭველი ნარმატების მომტან წარმოდგენებს სთავაზობენ, განსაკუთრებულ ძალისხმევას რომ არ მოითხოვს და ტრადიციული რეპერტუარიდან თავის აუტკივებლად არის შერჩეული. არად დაგიდევენ, თუ დირიჟორები ვირტუოზები არ იქნებიან, ანდა, მომღერლები, განსაკუთრებით ძველი, დრომოჭმული ლა სკალელები, მაყურებლის დიდ ინტერესს ვერ გამოიწვევენ. ამ დროს თვით ყველაზე დახვეწილი პიროვნებებიც საკუთარ თავს იმის უფლებასაც აძლევენ, რაც სხვა, უფრო საკულტო თვეებში ლა სკალაში სკანდალს გამოიწვევდა: ქალბატონები თითქმის კარგ გემოვნებად მიიჩნევენ, თუ მაინცდამაინც ზედმიწევნით არ დაიცავენ საღამოს ტუალეტს და ნაშუადღევის მსუბუქ ტანსაცმელში მოვლენ, ხოლო მამაკაცებს ჰგონიათ, რომ დასაშვებია, ლურჯი ან მუქი რუხი ფერის ჰალსტუხი გაიკეთონ, თითქოს მეგობრის ოჯახში სტუმრად მიდიოდნენ. ზოგიერთი აბონემენტის მფლობელი სნობიზმს იქამდე მიჰყავს, რომ ერთხელაც არ გამოჩნდება ლა სკალაში, მაგრამ სხვას არ დაუთმობს თავის ლოჟას ან ლოჟაში ადგილს, ცარიელი რომ რჩება. ჰგონიათ, უკეთესიც კია, თუ ამას ნაცნობები შეამჩნევენ.

ამ საღამოს კი საზეიმო სპექტაკლი იყო. უწინარესად, იმიტომ, რომ "ყრმების ამოხოცვა" თავად იყო მოვლენა .ამ მითქმა-მოთქმის გამო, რომელიც ხუთი თვის წინათ პარიზში მისი დადგმის შემდეგ ნახევარ ევროპას მოედო. ამბობდნენ, ამ ოპერით (მართალი რომ ვთქვათ, ავტორის განმარტებით, ეს იყო "სახალხო ორატორია თორმეტ სურათად გუნდისა და ხმებისათვის") ელზასელმა კომპოზიტორმა, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული სკოლის მეთაურმა, სიბერეში რაღაც ახალი გზა აირჩია (მას შემდეგ, რაც მანამდე არაერთი გამოიცვალა): ადრინდელთან შედარებით კიდევ უფრო გამაოგნებელი და თამამი ფორმები შეიმუშავა აშკარად იმ განზრახვით, რათა "მელოდრამა ბოლოს და ბოლოს, ციმბირში გადასახლებიდან, სადაც ალქიმისტებს მისთვის სიცოცხლე ძლიერი ნარკოტიკებით შეენარჩუნებინათ, სიმართლის მივიწყებულ შარაგზაზე დაებრუნებინა". მოკლედ, თაყვანისმცემელთა თქმით, გროსგემუთმა ხიდი ჩატეხა აწმყოსთან და XIX საუკუნის დიდებულ ტრადიციას დაუბრუნდა (მაგრამ საკითხავი იყო, როგორ?). ზოგიერთმა კრიტიკოსმა ოპერას ბერძნულ ტრაგედიასთანაც კი უპოვა შეხების წერტილები.

ასე იყო თუ ისე, საზოგადოების დაინტერესებას ისიც აძლიერებდა, რომ პიერ გროსგემუთმა უარყო პოლიტიკური ჟანრი. ყველა ნიშნით ჭეშმარიტ გერმანულ ოჯახში დაბადებულს, მაინც თითქმის პრუსიული იერი ჰქონდა, თუმცა, სახე ასაკსა და ხელოვნების სამსახურს დაეხვენა. მრავალი წელი გრენობლთან ახლოს ეცხოვრა და ოკუპაციის პერიოდში საეჭვოდ მოქცეულა: უარი ვერ ეთქვა გერმანელებისათვის საქველმოქმედო კონცერტის დირიჟორობაზე. იმასაც ამბობდნენ, თითქოს დიდად დახმარებოდა ზონის მაკიებს[1]. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა აშკარად არ გამოეხატა თავისი პოზიცია: კარჩაკეტილს ეცხოვრა თავის მდიდრულ ვილაში, საიდანაც განთავისუფლებამდე დარჩენილ ყველაზე კრიტიკულ თვეებში ფორტეპიანოს ჩვეულებრივი, გულის გამაწვრილებელი ხმაც არ ისმოდა. მაგრამ გროსგემუთი დიდი ხელოვანი იყო და მის კრიზისზე ხელახლა არავინ ალაპარაკდებოდა, "ყრმების ამოხოცვა" რომ არ შეექმნა. ორატორია ყველაზე მარტივად ასე აიხსნებოდა: ხელოვანმა ახალგაზრდა ფრანგი პოეტის, ფილიპ ლაზალის ორატორიის ბიბლიურ ეპიზოდზე გამართულ ლიბრეტოში ნაცისტების მიერ მოწყობილი მასობრივი ჟლეტის ალეგორია გააცხადა, სადაც ჰეროდეს სახეში ჰიტლერი მოიაზრებოდა. ასე, რომ, უკიდურესმა მემარჯვენე კრიტიკოსებმა გროსგემუთს შეუტიეს და ბრალი დასდეს, თითქოს ზედაპირული და მოჩვენებითი ანტიჰიტლერული ალეგორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურუსში ვერ შეემჩნია გამარჯვებულთა მიერ ნორიმბერგის ხეობამდე ყოველი ქალაქის გარეუბანში ჩუმ-ჩუმად მოწყობილი ასეთივე ხოცვა-ჟლეტა და ანგარიშსწორებები. ზოგიერთები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. მათი აზრით, "ყრმების ამოხოცვა" ჩაფიქრებული იყო ერთგვარ წინასწარმეტყველებად, რომელიც მომავალ რევოლუციასა და მის თანამდევ საშინელებაზე მიანიშნებდა. ამგვარად, ორატორია ესახებოდათ აჯანყების წინასწარ დაგმობად და ხელისუფლებისადმი მოწოდებად, სათავეშივე ჩაეხშო იგი. მოკლედ რომ ვთქვათ, ორატორია შუა საუკუნეების სულით გაჟღენთილს ლიბელს[2] წარმოადგენდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გროსგემუთს სულ რამდენიმე, მშრალი სიტყვით უარეყო ყველა ბრალდება. მისი აზრით, "ყრმების ამოხოცვა" მხოლოდ ქრისტიანული რწმენის გამოხატულებად უნდა აღექვათ და სხვა არაფრად. მაგრამ პარიზში დიდი ბრძოლები გაჩაღებულიყო და გაზეთებსაც, კარგა ხანია, გესლითა და შხამით ეკამათათ ამაზე.

ყოველივე ამას დაუმატეთ მუსიკალური ხორცშესხმის სრულყოფილებით დაინტერესება, როგორც ეძახდნენ, შემზარავი სცენების ნახვისა და ბრიუსელიდან სპეციალურად მოწვეული სახელგანთქმული იოჰან მონქდარის ქორეოგრაფიის ხილვის მოლოდინი. უკვე ერთი კვირა იყო, რაც გროსგემუთი რეპეტიციებისათვის თვალის სადევნებლად ცოლისა და მდივანი ქალის თანხლებით მილანში ჩამოსულიყო. ცხადია, თვითონაც დაესწრებოდა წარმოდგენას. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს სპექტაკლს მოვლენის ფონს უქმნიდა. მეტიც, მთელი სეზონის განმავლობაში ასეთი მნიშვნელობის soirée[3] არც კი გამართულა. ამასთან დაკავშირებით მილანს იტალიის ყველაზე ცნობილი კრიტიკოსები და მუსიკოსები სწვეოდნენ, პარიზიდან კი ფანატიკოს გროსგემუთელთა ჯგუფი ჩამოსულიყო და კვესტორსაც[4] ეზრუნა საგანგებო დაცვაზე, რათა თავი დაეზღვია მოსალოდნელი ქარტეხილისგან.

საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მრავალი ფუნქციონერი და პოლიციის აგენტი, რომლებიც თავდაპირველად ლა სკალაზე იყვნენ მიმაგრებული, სხვაგან გადაიყვანეს. გვიან ნაშუადღევს ამაზე უფრო საგან-გაშო ახალი საფრთხე შეიქმნა. ხმა დადიოდა, ძალიან მალე, შესაძლოა, ამ ღამესაც, მორცების საზოგადოების ძალისმიერი აქცია დაწყებულიყო. ამ დიდი მოძრაობის წინამძღოლებს არასოდეს დაუმალავთ, რომ მათი საბოლოო მიზანი არსებული წყობილების დამხობა და "ახალი სამართლიანობის" დამყარება იყო. შესაძლო არების ნიშნები ჯერ კიდევ წინა თვეებში იგრძნობოდა. ამჯერად მორცები თავს ესხმოდნენ კანონპროექტს შიდა მიგრაციის შესახებ, რომელიც პარლამენტს უნდა მიეღო. ეს ურიგო საბაბი როდი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი შეტევისათვის.

ცენტრალურ მოედნებსა და ქუჩებში მთელი დღე რაღაც საერთო მიზნით შეპყრობილი და, თითქოსდა, გამომწვევსახიანი ადამიანთა ჯგუფები ირეოდნენ. მათ არ ჰქონდათ განმასხვავებელი ნიშნები: არც — დროშები, არც — ლოზუნგები, არ იყვნენ დაწყობილი კოლონებად, არც მსვლელობების გამართვას აპირებდნენ, მაგრამ სულ იოლი მისახვედრი იყო, რა ჯურისანიც იყვნენ. სიმართლე რომ ვთქვათ, ამაში არაფერი გახლდათ უცნაური: ასეთი უწყინარი და უხმაურო გამოსვლები ხშირ-ხშირად იმართებოდა წლების განმავლობაში. მხოლოდ კვესტურაში[5] შემოსული ინფორმაცია იძლეოდა იმის საფუძველს, რომ სულ რამდენიმე საათში შიშით უნდა დალოდებოდნენ ამბოხებას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მაშინვე საქმის კურსში ჩააყენეს რომი, გამოაცხადეს პოლიციისა და კარაბინიერების მობილიზაცია, ჯარის ნაწილებიც კი მოიყვანეს მზადყოფნაში. ვერც იმას გამორიცხავდით, რომ ყალბი ყოფილიყო საგანგაშო სიგნალი. სხვა დროსაც მომხდარა ასეთი რამ. თვითონ მორცები ავრცელებდნენ ასეთ ხმებს. ეს მათი საყვარელი ფანდი იყო.

ასე იყო თუ ისე, როგორც იცის ხოლმე ასეთ დროს, შიშის ბუნდოვანი და ენით გამოუთქმელი გრძნობა მთელ ქალაქს დაეუფლა. არ არსებობდა კონკრეტული ფაქტი, ასეთი აფორიაქების საფუძველს რომ იძლეოდა. არც მითქმა-მოთქმა მიანიშნებდა ზუსტად რამეზე, არავინ არაფერი იცოდა. და მაინც, იმ საღამოს ჰაერი საკმაო დაძაბულობით დაიმუხტა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბევრი ბურჟუა აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა შინისკენ, თან შეშფოთებით აკვირდებოდა ქუჩებს, აქაოდა, რომელიმეს ბოლოდან შავი ბრბო არ გამოვარდეს ქუჩის გადასაკეტადო. მოქალაქეთა სიმშვიდეს პირველად როდი ემუქრებოდა საფრთხე. ბევრი თანდათანობით ეგუებოდა ყოველივე ამას. ამიტომაც უმრავლესობამ ჩვეულებრივ განაგრძო თავისი ყოველდღიური საქმიანობა, თითქოსდა, უბრალო, სხვებისგან არაფრით გამორჩეული საღამო ყოფილიყო. მხოლოდ ერთი გარემოება გახლდათ ყურადსაღები, რაც ყველამ შენიშნა: ვინ იცის, რამდენ ინს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანციაში გაფილტრულმა დიდი მოვლენების წინათგრძნობამ ქალაქში აქა-იქ დაიწყო გველივით ფუთფუთი, მაგრამ მაინც არავინ ლაპარაკობდა ამაზე და, მართალია, ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ტონით, ქარაგმებით, მაგრამ საღამოსათვის ჩვეული მუსაიფი იმართებოდა. ერთმანეთს ეუბნებოდნენ "გამარჯობას" და "ნახვამდის" ყოველგვარი გადაკრული მინიშნების გარეშე, მეორე დღისთვის უთანხმდებოდნენ ერთმანეთს შეხვედრაზე. ერთი სიტყვით, საზოგადოებას არ სურდა, აშკარად გაემეღავნებინა ის, რაც ასე თუ ისე სულს უშფოთებდა. თითქოსდა, ამაზე ლაპარაკს შეეძლო, ჯადო აეხსნა, უბედურება მოეტანა, საშინელება დაეტრიალებინა, ისე უფრთხოდნენ სიტყვის თქმას, როგორც ომის დროს გემზე, სადაც წესად აქვთ, ხუმრობითაც კი არ მიანიშნონ ერთმანეთს სილურით ან ჩვეულებრივი გემბანიდან გამოსროლილი ბომბით ჩაძირვის შესაძლებლობაზე.

იმათ შორის, ვინც სხვებზე მეტად თვლიდა უსაფუძვლოდ ასეთ შეშფოთებას, უდავოდ იყო დირიჟორი კლაუდიო კოტესი, გულუბრყვილო და მიამიტი კაცი, ვისთვისაც ამქვეყნად მუსიკის გარდა არაფერი არსებობდა. წარმოშობით რუმინელს (ამის შესახებ მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ), საუკუნის დასაწყისში ძალიან ახალგაზრდას მისი სიცოცხლის საუკეთესო წლებში, ფეხი მოეკიდებინა იტალიაში და თავიდანვე განსაცვიფრებელ ვირტუოზობას უმოკლეს დროში სახელგანთქმული მუსიკოსი გაეხადა. მერე მსმენელებს თავდაპირველი ენთუზიაზმი განელებოდათ, მაგრამ მაინც დარჩენილიყო შესანიშნავ, თუმცა, უფრო დახვეწილ, ვიდრე ძლიერ პიანისტად, რომელიც დაახლოებით ორმოციან წლებში ევროპის უდიდეს ქალაქებში ყველაზე დიდ ფილარმონიულ დაწესებულებათა მოწვევით პერიოდულად მართავდა კონცერტების ციკლს. განსაკუთრებით ცოცხლად ახსოვდა ლა სკალას სიმფონიურ სეზონებზე არაერთგზის მოპოვებული წარმატებები. როგორც კი იტალიის მოქალაქეობა მიიღო, მაშინვე მილანელ ქალზე დაქორწინდა და სავსებით კანონიერად დაიკავა კათედრა კონსერვატორიაში მაღალ კურსებზე. თავი უკვე ნამდვილ მილანელად მიაჩნდა. უნდა ვაღიაროთ, მაღალ საზოგადოებაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანს შეეძლო მასზე უკეთ მილანურ დიალექტზე ლაპარაკი.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე პენსიაზე გასულიყო და კონსერვატორიაში ზოგიერთ საგამოცდო სესიაზე საპატიო კომისრის ტიტული დარჩენოდა, კოტესი უწინდებურად მხოლოდ და მხოლოდ მუსიკით ცხოვრობდა, მხოლოდ და მხოლოდ მუსიკოსებისა და მელომანთა წრეში ტრიალებდა, ერთ კონცერტსაც არ გამოტოვებდა და ერთგვარი მღელვარე მორიდებით ადევნებდა თვალს ვაჟიშვილის, არდუინოს, პერსპექტიული და ნიჭიერი ოცდაორი წლის კომპოზიტორის გამოსვლებს. "მორიდებით" იმიტომ ვთქვით, რომ არდუინო, ყველაფრით სულ მთლად ყმაწვილი, ერთგვარად გადაჭარბებულად მგრძნობიარეც კი იყო. იგი ძნელად თუ ენდობოდა ვინმეს და იშვიათადვე გამოდიოდა თავისი ნაჭუჭიდან. დაქვრივების შემდეგ მოხუცი კოტესი, ასე ვთქვათ, განიარაღებულად და უხერხულად გრძნობდა თავს შვილის წინაშე. არ ესმოდა მისი. არ იცოდა, რა ცხოვრებით ცხოვრობდა. ხედავდა, რომ მის რჩევას, მუსიკის სფეროშიც კი, ყურს არ უგდებდა.

კოტესი არასოდეს ყოფილა მომხიბვლელი მამაკაცი. ახლა კი, 67 წლისა, კოხტა მოხუცი იყო, ერთი იმათგანი, ვისაც თოჯინასავით კოხტას უწოდებენ. ასაკის მომატებასთან ერთად, კიდევ უფრო გამოკვეთილიყო მისი ერთგვარი მსგავსება ბეთჰოვენთან. ამით გაუცნობიერებლად მოსწონდა კიდეც თავი. კმაყოფილი აკვირდებოდა თეთრ გრძელსა და ფუმფულა თმას, რომელიც დიდი "ოსტატობით გამოძერწილი" გვირგვინივით ედგა თავზე. იგი ტრაგიკული ბეთჰოვენი კი არ იყო, არამედ, პირიქით, გულკეთილი, მუდამ მზა ღიმილისათვის, თანაზიარობისათვის, თითქმის ყოველთვის — სიკეთისათვის. "თითქმის", რადგან, როცა საქმე პიანისტებს შეეხებოდა, ძალიან იშვიათად, ცხვირი რომ არ აებზიკა. ეს მისი ერთადერთი სისუსტე იყო და უწყინრადაც პატიობდნენ.

— როგორია, მაესტრო? — ეკითხებოდნენ მეგობრები შესვენებისას.

— Tutt ben per mi. Ma se ghe fuss staa el Beethoven? [7] — მიუგებდა.

ანდა:

— Perché? Lu l'ha minga senti? El s'è éndormentaa? [8]

ასეთი იყო ყოველთვის მისი უკბილო, ძველი ყაიდის სახუმარო ფრაზები მაშინაც, ბარკაუსს, კორტოტს, ანდა გისკინგსაც რომ დაეკრა.

ოდნავაც არ ენაღვლებოდა, რომ ასაკის გამო არტისტულ ცხოვრებას გამოთიშვოდა. მისი ბუნებრივი უბრალოება ყველას თვალში სიმპათიურს ხდიდა და ლა სკალას დირექციას იმისათვის განაწყობდა, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მოწიწებით მოპყრობოდა. ლირიკული მუსიკის სეზონში, როგორც წესი, პიანისტების სიხალვათე იგრძნობოდა და ამიტომაც პარტერში კეთილი კოტესის ყოფნა ყველაზე რთულ საღამოებზე პატარა იმედის ნაპერწკალი იყო. უკიდურეს შემთხვევაში იმისი გარანტია მაინც, რომ თვითონ მაინც დაუკრავდა ტაშს და მოსალოდნელი იყო, სახელგანთქმული კონცერტმეისტერის მაგალითი ბევრ მოწინააღმდეგეს შეარბილებინებდა პოზიციას, მეჭოჭმანეებს მოაწონებინებდა, ნელთბილებს კი კიდევ უფრო მკვეთრად გამოახატვინებდა აღტაცებას. რომ არაფერი ვთქვათ მის "ლასკალურ" იერსა და პიანისტურ დამსახურებაზე, მისი სახელი ფიგურირებდა მცირერიცხოვან, გასაიდუმლოებულ სიაში, "ვისაც მუდამ უფასოდ აძლევდნენ აბონემენტს". ყოველი პრემიერის დღეს, დილით, კონვერტი, რომელშიც მისი ბილეთი იდო, ჩვეულებრივ, ვნების ქუჩის 7 ნომრის მეკარესთან, მის საფოსტო ყუთში აღმოჩნდებოდა. ორ სავარძელს: ერთს მისთვის, მეორეს — შვილისთვის მხოლოდ იმ პრემიერაზე უთმობდნენ, რომელსაც, წინასწარ ეტყობოდა, რომ ნაკლები მაყურებელი ეყოლებოდა. თუმცა, არდუინოს ეს სულაც არ ანაღვლებდა: ერჩია, მეგობრების დახმარებით თავად ეზრუნა საკუთარ თავზე და დასწრებოდა გენერალურ რეპეტიციებს, სადაც ვალდებული არ იყო, კარგად ჩაცმული წასულიყო.

ახალგაზრდა კოტესი წინა დღით, მართლაც დასწრებოდა "ყრმების ამოხოცვის" გენერალურ რეპეტიციას. ამაზე, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მამისთვის ძალიან ბუნდოვნად უკვე გადაეკრა სიტყვა. მიენიშნებინა რაღაც "საინტერესო ტემბრულ გადაწყვეტაზე", ერთ, "ძალიან კარგად ჩამოქნილ პოლიფონიაზე", "უფრო დედუქციურ, ვიდრე ინდუქციურ ვოკალიზაციაზე" (ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, დაწუნების ნიშნად იღრიჯებოდა) და ა. შ. მიამიტ მამას ვერ გაეგო, კარგი სპექტაკლი იყო, თუ — ცუდი, ვერც იმას მიმხვდარიყო, მოსწონდა თუ არა. არც უცდია ამის გარკვევა. ახალგაზრდებს მასთან საუბარში არაერთხელ მიუმართავთ თავიანთი იდუმალი ჟარგონისათვის, რომელსაც ვერც ახლა მოარგო გასაღები დარცხვენილმა კოტესმა.

ახლა შინ მარტო იყო. დამლაგებელი ქალი, რომელიც რამდენიმე საათით მოდიოდა, უკვე წასულიყო. არდუინო გარეთ სადილობდა და ფორტეპიანო, ღვთის წყალობით, დუმდა. "ღვთის წყალობით" — სწორედ ეს სიტყვები გახმიანდა მოხუცი კონცერტმეისტერის თავში, რადგან არასოდეს ეყოფოდა სიმამაცე, ხმამაღლა ეთქვა. როცა შვილი მუსიკას თხზავდა, კლაუდიო კოტესს განსაკუთრებული შინაგანი აფორიაქება იპყრობდა. თითქმის სანუკვარი იმედით მოელოდა, რომ მისი ყურისათვის აუხსნელი აკორდებიდან ამ ან იმ წუთს ნამდვილი მუსიკის მსგავსი რამე აჟღერდებოდა. ესმოდა, რომ სიახლის მიუღებლობა მისი ძველმოდური, ადამიანისეული სისუსტე იყო, რომ არ შეიძლებოდა, ხელახლა გაეტკეპნათ ძველი გზები. თავისთვის იმეორებდა, რომ როგორმე უნდა აეცილებინათ სწორედ ყურისთვის სასიამოვნო მუსიკა, რომელიც უძლურების, დაჩაჩანაკებულობის, დამპალი ნოსტალგიის გამოხატულება იყო. იცოდა, რომ ახალ ხელოვნებას, უპირველეს ყოვლისა, სული უნდა შეეძრა მსმენელისათვის. როგორც ამბობდნენ, ეს იყო მისი სიცოცხლისუნარიანობის გამოხატულება. მაგრამ, ამის მიუხედავად, თავის თავს ვერაფერს უხერხებდა. შვილს რომ უსმენდა მომიჯნავე ოთახიდან, ხანდახან თითებს ისე ძლიერ გადააჭდობდა, ტკაცუნი გაუდიოდათ. თითქოს ამით სურდა, "გაეთავისუფლებინა" შვილი. იგი კი თავს არ ითავისუფლებდა. ღამღამობით წვალობდა და სულ უფრო და უფრო აბურდული აკორდები გამოუდიოდა, სულ უფრო და უფრო მტრულად ჟღერდა მუსიკა, სათქმელს ბოლომდე არ ამბობდა, უფრო მეტიც, აკორდების ჯერი გაკაპასებული მოჩხუბარივით ატყდებოდა თავზე. ღმერთმა დალოცოს! გაწბილებული თითები ერთმანეთს სცილდებოდა და აცახცახებული მოხუცი ცდილობდა, სიგარეტისთვის მოეკიდებინა.

კოტესი მარტო იყო. თავს კარგად გრძნობდა. ღია ფანჯრებიდან ნელთბილი ჰაერი შემოდიოდა. საღამოს ცხრის ნახევარი იყო, მაგრამ მზე ჯერ კიდევ ბრწყინავდა. ტანზე რომ იცვამდა, ტელეფონმა დარეკა.

— შინ არის მაესტრო კოტესი? — იკითხა უცნობმა ხმამ.

— დიახ, გახლავართ, — უპასუხა.

— მაესტრო არდუინო კოტესი?

— არა, მე კლაუდიო ვარ, მამამისი.

ზარი გაწყდა. საწოლ ოთახში რომ დაბრუნდა, ტელეფონმა ხელახლა დარეკა.

— ბოლოს და ბოლოს შინ არის არდუინო? — იკითხა იმავე ხმამ, თითქმის თავხედური ტონით.

— No, el gh' éno[9], — უპასუხა მამამ და შეეცადა, თვითონაც უხეშად გაპასუხებოდა.

— მით უარესი მისთვის, — მიუგო იმანაც და ყურმილი დაუკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უზრდელობაა! გაიფიქრა კოტესმა. მერედა, ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო? რა ჯურის ხალხშია გარეული არდუინო? ანდა, რას ნიშნავს "მით უარესი მისთვის"?! ტელეფონის ზარმა ერთგვარი უსიამოვნობის გრძნობა დაუტოვა. საბედნიეროდ, ამან მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა.

ახლა მოხუცი ხელოვანი გარდერობის სარკეში ხელახლა ისიხჯავდა თავის ძველმოდურ ფრაკს: ფართოს, ტომარისებურს, მისი ასაკისათვის შესაფერისს და ამავე დროს ძალიან ბოჰემურს. როგორც ჩანს, ლეგენდარული ჯოაკიმის მაგალითით შთაგონებული, დამყაყებულ კონფორმიზმს რომ გარიდებოდა, კოტესი სიკეკლუცით იცვამდა შავ ჟილეტს, თითქოს ოფიციანტი ყოფილიყოს. სწორედ ასე. თუმცა, ბრმაც რომ ყოფილიყო, მთელს მსოფლიოში ვინ იტყოდა, კლაუდიო კოტესი ოფიციანტიაო?! ცხელოდა, მაგრამ გამვლელთა მოურიდებელი, ცნობისმოყვარე მზერა თავიდან რომ აეცილებინა, მსუბუქი ლაბადა მაინც მოიცვა. პატარა ბინოკლი აიღო და შინიდან გავიდა. თავს ბედნიერად გრძნობდა.

ნაადრევი ზაფხულის მომხიბვლელი საღამო იყო, როცა მილანიც კი ახერხებს, რომანტიკული ქალაქის იერი მიიღოს: მშვიდი და ნახევრადუკაცრიელი იყო ქუჩები, ბაღებიდან არყის ხეების სუნი მოდიოდა, ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა. წინასწარ ტკბებოდა მოსალოდნელი ბრწყინვალე საღამოთი, მეგობრებთან შეხვედრებით, სჯა-ბაასით, ლამაზი ქალების ყურებით, შამპანურით, სპექტაკლის დასასრულს თეატრის ფოიეში გამართულ მიღებაზე. ასე მიუყვებოდა კოტესი გზას კონსერვატორიისაკენ. ცოტაოდენ იგრძელებდა სავალს. ამით ცდილობდა, თვალი აერიდებინა ზემოდან დაფარული ნავილიოებისათვის[10], რომლებიც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა.

გზაზე მაესტრო ერთ უცნაურ სანახაობას წააწყდა: ხუჭუჭა, გრძელთმიანი ახალგაზრდა ტროტუარზე ნეაპოლურ რომანსს მღეროდა, თან ხელში პირთან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით მიკროფონი ეჭირა. მიკროფონიდან მავთული პატარა ყუთამდე მიდიოდა, იქვე აკუმულატორი, ხმის გამაძლიერებელი და დინამიკი იდო, საიდანაც თავხედურად იფრქვეოდა ხმა და შენობებს ეხეთქებოდა. სიმღერაში ველური ვნების დაკმაყოფილების ჟინი, რაღაცნაირი ბრაზი იგრძნობოდა. გაცვეთილი სიტყვები სიყვარულზე ღაღადებდა. გეგონებოდათ, ახალგაზრდა მომღერალი იმუქრებაო. გარშემო შვიდი-რვა ბიჭუნა იდგა, რომელთაც გამოთაყვანებული სახე ჰქონდათ. ეს იყო და ეს. თითქოს უარს ამბობენ მუსიკის მოსმენაზეო, ქუჩის აქეთ-იქით ფანჯრები დაეტეხა მანათ: მოსრიალე დარაბები ჩამოეშვათ. ეძინა ძლება, სულაც ცარიელი იყო სახლები? ანდა, იქნებ ჩაკეტილიყვნენ მობინადრეები, რათა ჰგონებოდათ, თითქოს შინ არ იყვნენ? ეშინოდათ რაღაცის? კლაუდიო კოტესმა რომ ჩაუარა, მომღერალს ფეხი არ მოუცვლია, მაგრამ ხმას ისე ძლიერ აუწია, რომ დინამიკმა რხევა დაიწყო: ეს დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ ყუთზე დადებულ პატარა თეფშზე ფული დაეგდო. სულშეძრულმა მაესტრომ, თვითონაც არ იცოდა, როგორ, ნაბიჯს აუჩქარა და ბიჭს გასცდა, მაგრამ დიდხანს გრძნობდა მხრებში ორი შურისმაძიებელი თვალის ჩხვლეტას.

— გაუთლელო ვირო! — გულში გათათხა მაესტრომ ტროტუარის ბინადარი. შოუს ვულგარულობამ, ვინ იცის, რატომ, გუნება წაუხდინა. მაგრამ კიდევ უფრო გაუფუჭდა განწყობილება, როცა წმინდა ბაბილას ეკლესიას მიაღწია. ერთი წუთით შეჩერდა ბომბასეისთან, ფხიან ბიჭთან, რომელიც კონსერვატორიაში მისი მოწაფე იყო და ახლა ჟურნალისტობდა.

— ლა სკალასია, მაესტრო? — ჰკითხა, როცა ლაბადის გახსნილ ყელში თეთრი ჰალსტუხი შენიშნა.

— ალბათ სიტყვა იმაზე, გინდა, გადამიკრა, ონავარო ბიჭუნავ, რომ ჩემს ასაკში დროული იქნებოდა... — გულუბრყვილოდ მიუგო იმანაც, რათა ქათინაური დაემსახურებინა.

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ლა სკალა ლა სკალა არ იქნებოდა, იქ მაესტრო კოტესი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ არდუინო? როგორ მოხდა, თქვენთან ერთად რომ არ მოდის?! — იკითხა ბიჭმა.

— არდუინო გენერალურ რეპეტიციაზე იყო, ამ საღამოს კი რაღაც საქმე გამოუჩნდა.

— აჰა, გასაგებია, — ჩაილაპარაკა ბომბასეიმ ეშმაკური ღიმილით, აქაოდა, მიგიხვდითო. — ამ საღამოს... შინ ყოფნა ამჯობინა...

— რას გულისხმობ? — ჩაეკითხა კოტესი, რომელსაც რაღაც ენიშნა.

— ამ საღამოს ძალიან ბევრი მეგობარია ქუჩაში გამოსული, — მიუგო ახალგაზრდამ და თავი გამვლელებისკენ გაიქნია. — ესეც არ იყოს, მის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი, — აჰა, ჩემი ტრამვაიც. მომიტევეთ, მაესტრო... სასიამოვნო დროსტარებას გისურვებთ.

მოხუცი ადგილზევე გახევდა. სახტად დარჩენილს, აფორიაქებულს, ვერაფერი გაეგო. ხალხს დააკვირდა და უცნაური ვერაფერი შენიშნა. ჩვეულებრივზე უფრო

მეტი სიხალვათე კი იგრძნობოდა და ამ ორიოდე გამვლელსაც სახეზე დაბნეული გამომეტყველება აღბეჭდვოდა და სადღაც მიეჩქარებოდა. თუმცა, ბომბასეის სიტყვები გამოცანად დარჩა, მალე თავში ნატეხ-ნატეხ ამოუტივტივდა ერთმანეთში არეული ასოციაციები: შვილზე გადაკრული ზოგიერთი ნახევარფრაზა, ახალი ამხანაგის სახე, ახლახან საიდანღაც რომ გამოტყვრა, საღამოობით გამოჩენილი საქმეები, რომლებზედაც არაფერი უთქვამს მისთვის არდუინოს და რომელთა ახსნისაგან რაღაცრაღაცეების მომიზეზებით იძვრენდა თავს. რა მოხდა, რამე ხათაბალაში ხომ არ გაეხვია მისი შვილი? ან რა განსაკუთრებული საქმე ჰქონდა ამ საღამოს? ვინ იყო ეს "ქუჩაში გამოსული ძალიან ბევრი მეგობარი"?

ეს ფიქრები უტრიალებდა თავში, ლა სკალას მოედანს რომ მიაღწია. და აი, დაინახა თუ არა თეატრის კარი, მაშინვე სადღაც გაიკრიფა უსიამოვნო აზრები. დამამშვიდებლად მოქმედებდა ყველაფერი: ქალბატონები, მოსასხამებისა და თავსაბურავების ტალღის სწრაფ დინებაში რომ მიიჩქაროდნენ, ხალხი, თავს აქეთ-იქით რომ აქნევდა, მდიდრული ავტომობილების უსაშველო მწკრივი, რომელთა ფანჯრებში თვალს გჭრიდა ბრილიანტები, საღამოს ხალათების ქათქათა მკერდ-საყელოები, ქალების გაშიშვლებული მხრები. ასეთი, საგანგაშო, იქნებ ტრაგიკული, ღამის წინაც ლა სკალა ძველებური სიდიადით ელვარებდა. ბოლო სეზონებში არავის უნახავს ესოდენი ჰარმონია მდიდარი და იღბლიანი ადამიანებისა, სულებისა და საგნებისა. მოუსვენრობა, ნელ-ნელა რომ ეუფლებოდა ქალაქს, კიდევ უფრო მეტი სიცოცხლით ავსებდა ლა სკალას. ვინც საქმის კურსში იყო, ეჩვენებოდა, თითქოს ოქროში ჩამჯდარი მთელი ელიტა თავს აფარებდა საყვარელ ციტადელს ისე, როგორც ნიბელუნგები — მეფის სასახლეს მათი დიდებისა და უსაზღვრო თავდავიწყების ღამეს, ატილას გამოჩენის წინ. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთებმა იცოდნენ. ისეთი თბილი საღამო იყო, რომ უმეტესობას ეგონა, მოქუშული დღეები ზამთრის უკანასკნელ კუდს უკან მიჰყვა და ნამდვილი, მშვიდი ზაფხული დადგაო.

სულ მალე ხალხის ტალღამ კლაუდიო კოტესი სრულიად შეუმჩნევლად კამკაშა შუქით გადაბდღვრიალებულ პარტერში შეიყვანა. ცხრას ათი წუთი აკლდა. თეატრი კი უკვე გადაჭედილიყო. პატარა ბიჭივით აღტყინებულმა, ირგვლივ მიმოიხედა. მრავალ წელს ჩაევლო, მაგრამ ყოველთვის, როცა ამ დარბაზში შევიდოდა, თავდაპირველი გრძნობა ისევ ისეთი წმინდა და ძლიერი ჰქონდა, როგორც — [illegible] სანახაობის წინაშე. იგივეა [illegible] ადამიანები, ვისაც კოტესი შორიდან ნაჩქარევად ესალმებოდა და მან ეს იცოდა. სწორედ ასე იბადებოდა განსაკუთრებული ძმობის, უწყინარი მასონური ერთობის გრძნობა, რომელიც ნებისმიერ უცხო კაცს, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოეჩვენებოდა.

ვინ აკლდა? კოტესის გამოცდილმა თვალმა მაყურებლები მოიძია, თითოეული სექტორი გაჩხრიკა: ყველანი ადგილზე იყვნენ. მარცხნივ, გვერდით ეჯდა პედიატრი ფერო, ვისი სახელიც ყველას პირზე ეკერა, ის, ვინაც არჩია, ათასობით პატარები კრუპით დახოცილიყვნენ, ოღონდ პრემიერა არ გამოეტოვებინა (კოტესს სწორედ ეს მოაგონა საგანგებოდ შერჩეულმა, გადაკრულმა სიტყვებმა ჰეროდესა და გალილეველთა ყრმებზე და მაესტრო თავის თავს დაჰპირდა, ამას მოგვიანებით გამოვიყენებო). მარჯვნივ მოკალათებულიყო წყვილი: უკვე ხანში შესული ცოლ-ქმარი, რომელიც "ჯიბეგახვრეტილ ნათესავებად" მონათლა. მათ, მართალია, საღამოს, მაგრამ უკვე გაცვეთილი და ყველასათვის კარგად ნაცნობი ტანსაცმელი ეცვათ. არასოდეს აცდენდნენ პრემიერას და ერთნაირი გატაცებით მუდამ ისე უკრავდნენ ტაშს, რომ ყველანი გულუხვ claqueur-ებს[1] ეძახდნენ. არავისთან დაძრავდნენ სიტყვას და არც არავის ეუბნებოდნენ გამარჯობას. ასეთი სიტყვაძუნწნი იყვნენ ერთმანეთშიც. ყოველთვის პარტერის ყველაზე არისტოკრატიულ ნაწილში ისხდნენ, რათა მათით დაწყებულიყო ტაშის დაკვრა. აი, მათ იქით, ზის ყოჩაღი პროფესორი სკიასი, ეკონომისტი, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ ყველა საკონცერტო ტურნეზე ჩრდილივით დასდევდა ტოსკანინის. ცოტა ხელმოკლედ იყო და ველოსიპედით მოგზაურობდა, პარკებში ეძინა და იმაზე გადადიოდა, რაც მთასვლელის ზურგჩანთით თან დაჰქონდა. მართალია, ნათესავებს და მეგობრებს ცოტა შექანებული მიაჩნდათ, მაგრამ მაინც უყვარდათ. აი, ინჟინერი ბეჩიანიც, სანტექნიკოსი, ალბათ, მილიარდერი, თავმდაბალი და უიღბლო მელომანი, რომელიც რაღაც ერთი თვის წინათ კვარტეტის საზოგადოების მრჩევლად დანიშვნის შემდეგ (რისთვისაც ათეული წლები შეყვარებულივით უცემდა გული და მის მისაღწევად უმძიმესი დიპლომატიური მუშაობა გასწია), შინაც და ფირმაშიც უეცრად ისე გაბღენძილიყო, ვეღარავინ იტანდა. აქამდე უკანასკნელ კონტრაბასსაც სიტყვას რომ ვერ შებედავდა, ახლა ძლივს იმეტებდა კომპლიმენტებს პურსელისა და დ'ინდის მიმართ. აი, აგერ, მშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენიერი მადი კანესტრინი თავის მოცუცქნულ ქმართან ერთად, ყოფილი გამყიდველი, რომელიც, თავი რომ არ შეერცხვინა საზოგადოებაში, ყველა პრემიერის წინ კატეხიზმოს იღებდა მუსიკის ისტორიკოსისაგან. აქამდე ასე ყოველმხრივ არასოდეს მოხიბლულან მისი საარაკო გულმკერდით, რომელიც, როგორც ერთმა სიტყვამოსწრებულმა ტიპმა თქვა, რაც მართალია, მართალია, ისე ბრწყინავდა ამ უამრავ ხალხში, როგორც — შუქურა კეთილი იმედის კონცხზე. აი, ვეებერთელა ცხვირნისკარტა პრინცესა ვერც-მონტაგუე, თავის ოთხ შვილთან ერთად საგანგებოდ რომ ჩამობრძანებულა ეგვიპტიდან. აი, აგერ კი, ყველაზე დაბალი ავანსცენიდან ანათებს ავხორცი თვალები ნვეროსან გრაფ ნოჩესი, რომელიც საგულდაგულოდ მხოლოდ იმ სპექტაკლებს ესწრება, სადაც ბალერინები უნდა გამოჩნდნენ. არავის ახსოვს, ოდესმე მოსწყენოდეს, კმაყოფილების გამოხატვა თავისი უკვე ფრთიანად ქცეული სიტყვებით: "ოჰ, რა გოგოებია! ოჰ, რა რბილობია!" აი, ლოჟის პირველ რიგში ძირძველი მილანური გვარის — სალჩეტების მთელი ჯალაბობა, რომელთაც თავი იმით მოაქვთ, რომ 1837 წლიდან მოყოლებული არც ერთი პრემიერა არ გამოუტოვებიათ. მეოთხე რიგში, თითქმის ავანსცენაზე, სხედან საბრალო მარკიზები, მარიცონიები: დედა, გაუთხოვარი ქალიშვილი და დეიდა, რომლებიც საცოდავად აპარებენ თვალს მდიდრული, მეთოთხმეტე ლოჟის მეორე რიგისაკენ, მათი ყოფილი სამფლობელოსაკენ, რომელიც ნლეულს ფინანსური სირთულეების გამო დატოვეს. აბონემენტის საფასურის ერთი მერვედის გადახდა უფლებას აძლევდათ, ზემოთ, მტრედებთან ერთად ქანდარაზე შემომსხდარიყვნენ. ოფოფებივით გაფხორილებს, თავი ფრთხილად ეჭირათ და ცდილობდნენ, არავისი ყურადღება არ მიეპყროთ. ამასობაში ერთ ჩაპუტკუნებულ, საეჭვო ინდოელ პრინცს, რომელსაც სამხედროფორმიანი საველე ადიუტანტი ახლდა, ჩასძინებოდა, რიტმულად ფშვინავდა და ჩალმაზე aigrette აუდიოდ-ჩაუდიოდა. ფშვინვის ხმა ლოჟის გარეთ ისმოდა. ოდნავ მოშორებით ფეხზე იდგა ოცდაათიოდე ნლის მომხიბლავი ქალი, რომელსაც ქამრამდე მოღიავებული, გამაოგნებლად ცეცხლისფერი კაბა ეცვა და ხალხი უკეთ რომ მოეხიბლა, შიშველ მკლავებზე შავი ლენტი გველივით დაეხვია. მასზე ამბობდნენ, ჰოლივუდის მსახიობიაო, თუმცა, სხვა მოსაზრებებიც არსებობდა. მის გვერდით გაუნძრევლად იჯდა ულამაზესი, საშინლად ფერმკრთალი ბიჭუნა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს იფიქრებდით, სადაცაა, სულს გააცხებსო. რაც შეეხება ორ მტრულ ბანაკს — არისტოკრატებს და მდიდარ ბურჟუებს — ერთსაც და მეორესაც დაევიწყებინა დიდკაცური ჩვეულება: მხოლოდ სანახევროდ შეევსოთ გვერდითი ლოჟები. ერთ მტევნად ახუნძლულიყვნენ მზით დამწვარსახიანი, გაქათქათებულ ხალათებსა და სანაქებო ფირმებში შეკერილ ფრაკებში გამოწყობილი ლომბარდიის შედარებით უფრო მარიფათიანი "პატარა ბატონები". მოსალოდნელი ხიფათ..ს მიუხედავად, საღამოზე უამრავ ლამაზ ქალს მოეყარა თავი, რომელთაც საოცარი გულუხვობით მოღელილი კაბები ეცვათ. კოტესი საკუთარ თავს შეჰპირდა, ანტრაქტის დროს კიდევ ერთხელ შეექცია თავი ისე, როგორი გართობის უფლებას ახალგაზრდობის წლებში აძლევდა ხოლმე თავს: ამ წარმტაცი სურათისათვის ზემოდან ქვემოთ ჩაეპარებინა მზერა და საამისოდ გულში ლოჟის მეორე რიგი შეარჩია, სადაც შესანიშნავი კონტრალტოსა და კეთილი მეგობრის, ფლავია სოლის გიგანტური ზურმუხტის თვალები ელვარებდა.

ამ ქარაფშუტულ ბრწყინვალებას მესამე რიგში მხოლოდ ერთი ლოჟა აფერმკრთალებდა, რომელიც უდარდელად მონანავე ყვავილებს შორის ბნელსა და უძრავ ლაქას ჰგავდა. ერთი სინიორი ფეხზე იდგა, ორი — აქეთ-იქიდან — გვერდით ეჯდა. სამივენი ოცდაათიდან ორმოც ნლამდე იქნებოდნენ, ორბორტიანი შავი პიჯაკები ეცვათ, მუქი ჰალსტუხები ეკეთათ, გამხდარი და პირქუში სახეები ჰქონდათ. გაუნძრევლად, უხმოდ, ყველაფრის მიმართ გაუცხოებულად, დიდხანს უყურებდნენ გულგრილად ჩამოშვებულ ფარდას, თითქოს ამის მეტი არაფერი აინტერესებდათ. იოტის ოდენადაც არ დაჰკრავდათ სიამოვნების მისაღებად მოსული მაყურებლის იერი. პირიქით, იმ რაღაც ავბედით მოსამართლეებს ჰგავდნენ, განაჩენის გამოტანის შემდეგ მის სისრულეში მოყვანას რომ ელოდებიან და ამ დროს ურჩევნიათ, არ უყურონ მსჯავრდებულს, მისდამი სიბრალულის კი არა, არამედ ზიზღის გამო. ბევრი მაყურებელი საგანგებოდ დააკვირდა მათ და ყველამ რაღაცნაირი უხერხულობა იგრძნო. ვინ იყვნენ ისინი? თავს როგორ აძლევდნენ უფლებას, დაემწუხრებინათ ლა სკალა საპანაშვიდო გამომეტყველებით? გამოწვეა ხომ არ იყო ეს? მერედა, რა ჰქონდათ მიზნად? ოდნავ დაიბნა მაესტრო კოტესიც კი, ისინი რომ შენიშნა. მოეჩვენა, რომ ბოროტი დისონანსი შემოჰქონდათ და ისეთი გაურკვეველი შიში მოეძალა, რომ ვერ

გაბედა მათთვის ბინოკლის მიშვერა. ამასობაში შუქი ჩააქრეს. სიბნელეში ალიცლიცდა თეთრი ათინათი, რომელიც ორკესტრის თავზე ირწეოდა. მერე თანამედროვე მუსიკის ხელოვნის, დირიჟორ მაქს ნიებერლის გამხდარი ფიგურა გამოიკვეთა.

ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს დარბაზში დამფრთხალი, ანდა აფორიაქებუ-ლი ადამიანები იყვნენ. მათზე სწორედ რომ, დამამშვიდებლად ვერ იმოქმედებდა გროსგემუთის მუსიკა, ტეტრარქოსის მღელვარება, სულის შემძრავი სცენები, ბობოქარი და მოუთოკავი აქტიურობა გუნდისა, რომლის წევრები ყვავებივით შემომსხდარიყვნენ რაღაცნაირ კონუსის ფორმის კბოდეზე (მათი წამოძახილებები კარატაქტივით ურტყამდა თავში დამსწრე საზოგადოებას და ხშირ-ხშირად წამოახტუნებდა). მართალია, იგრძნობოდა ძალა, სიცოცხლე, მაგრამ რა ფასად?! ინსტრუმენტები, მუსიკოსები, გუნდი, მომღერლები, მოცეკვავეები (უწვრილმანესი მიმიკური ექსპლიკაციებისათვის თითქმის სულ სცენაზე რომ იყვნენ, მაშინაც, როცა მოქმედი პირები იშვიათად თუ მოძრაობდნენ), დირიჟორი და მაყურებელიც კი ისე ძლიერ დაძაბულიყვნენ, რომ ვერვინ მოსთხოვდათ, უფრო მეტისათვის გაეძლოთ. პირველი ნაწილის დასასრულს მქუხარე ტაში არა იმდენად საერთო მოწონების ნიშნად ატყდა, რამდენადაც იმის გამო, რომ ყველა ესწრაფოდა, რამენაირად განმუხტულიყო დაძაბულობა. სულ ერთიანად ირყეოდა შესანიშნავი დარბაზი. მესამე ზარზე მსახიობებს შორის გამოჩნდა გროსგემუთის წეროსავით მოყელყელავე სილუეტი, ელვისებური და თითქმის ნაძალადევი ღიმილით რომ უპასუხებდა მაყურებლის აღტაცებას და თან რიტმულად ხრიდა თავს. კლაუდიო კოტესს სამი მოქუფრული სინიორი გაახსენდა და ტაშისკვრის შეუწყვეტლად ისე შეხედა, თავი არ აუწევია. ისევ იქ იყვნენ, უწინდებურად უძრავნი და ინერტულნი. ოდნავაც არ ეცვალათ ადგილი. ტაშს არ უკრავდნენ, ხმას არ იღებდნენ. სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდათ. თითქოს ფიტულები ყოფილიყვნენ. არ განძრეულან მაშინაც კი, როცა ხალხის უმეტესობა ფოიეში გავიდა.

სწორედ პირველი ანტრაქტის დროს გავრცელდა ხმა: გარეთ, ქალაქში, რევოლუციის მაგვარი რაღაც იწყებაო. ამ ხმამ ჩუმ-ჩუმად, ნელ-ნელა დაიპყრო ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ინსტინქტურად უძალიანდებოდნენ მას. რა თქმა უნდა, მითქმა-მოთქმა ვერ ჩააცხრო გროსგემუთის ნაწარმოების გარშემო გაცხარებულმა კამათმაც, რომელშიც მოხუცმა კოტესმაც მიიღო მონაწილეობა მენეგინეთი ... მარო კომენტარებით ისე, რომ ... აზრი არ გამოუთქვამს. ბოლოს ზარმა მაყურებელს entr'acte[14]-ის დასრულება ამცნო. თეატრალური მუზეუმის მხარეს კიბეებზე ჩასვლისას, კოტესი ერთი ნაცნობის გვერდით აღმოჩნდა, რომლის სახელი არ ახსოვდა. ნაცნობმა კოტესს ცბიერად გაუღიმა და უთხრა:

— შესანიშნავია, ძვირფასო მაესტრო. სწორედ რომ დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. ერთი რამე, მინდოდა, თქვენთვის მეთქვა, — დინჯად ლაპარაკობდა და საგულდაგულად თლიდა სიტყვებს. თან ქვემოთ ჩადიოდნენ. მერე ხალხი აირია და ერთხანს ერთმანეთი დაკარგეს. — აჰ, როგორც იქნა, გიპოვეთ, — წამოიწყო ნაცნობმა, ისევ ერთმანეთის გვერდით რომ აღმოჩნდნენ.

— სად დამეკარგეთ? იცით, ერთი წუთით ისიც კი გავიფიქრე, მიწამ ხომ არ ჩაყლაპამეთქი?.. დონ ჟუანივით! — მერე, ეს რა კარგი სახუმარო მსგავსება აღმოვაჩინეო და, გემრიელად ახარხარდა ისე, რომ საშველი აღარ დაადგა მის გაჩუმებას. ერთი უფერული, არაფრისმთქმელსახიანი სინიორი იყო, კარგი ოჯახიდან გამოსული, მაგრამ ცხოვრების კიბეზე ჩამოქვეითებული ინტელიგენტი. ასე იტყოდი მისი ძველმოდური სმოკინგის, მომჩვარებული, საეჭვო სისუფთავის ხალათისა და ნაცრისფერზოლებიანი ფრჩხილების შემხედვარე. მოხუცი კოტესი თავს უხერხულად გრძობდა. დუმდა. თითქმის პარტერამდე მისულიყვნენ.

— შესანიშნავია, — წინდახედულად წამოიწყო ისევ ნაცნობმა, რომელიც არ ახსოვდა, სად გაიცნო. — პირობა უნდა მომცეთ, რომ კონფიდენციალურ განდობად ჩამითვლით, რასაც ახლა გეტყვით... კონფიდენციალურ განდობად, ხომ გასაგებად ვამბობ?.. ერთი სიტყვით, ნუ იფიქრებთ იმას, რაც არ არსებობს... გუნებაშიც არ გაივლოთ, თითქოს ვიყო, როგორ ვთქვათ, თითქოს ოფიციალური წარმომადგენელი ვიყო... პრესატაშე, ასე ეძახიან ახლა, მგონი, არა? ასე, არა?

— ჰო, ჰო. — თქვა კოტესმა და იგრძნო, როგორ ეძალებოდა ავბედითი შეგრძნება, ბომბასეისთან შეხვედრისას რომ გაუჩნდა, ამჯერად კიდევ უფრო მწველი ავბედითი შეგრძნება. — ჰო... მაგრამ გარწმუნებთ, არაფერი მესმის.

მეორედ მოუხმო ზარმა მაყურებელს. იდგნენ დერეფანში, რომელიც მარცხნივ პარტერს მიუყვებოდა . სადაცაა, იმ საფეხურზე შედგამდნენ ფეხს, სავარძლამდე რომ მიიყვანდათ.

აქ შეჩერდა უცნაური სინიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი უნდა დაგტოვოთ. — უთხრა. — მე პარტერში არ ვზივარ... ყოველ შემთხვევაში... საკმარისი იქნება, რასაც გეტყვით: თქვენს შვილს, მუსიკოსს... ალბათ, უკეთესი იქნებოდა... ოდნავ მეტი წინდახედულება, ჰო... პატარა ბიჭი აღარ არის, ხომ მართალს ვამბობ, მაესტრო?.. მაგრამ მიბრძანდით, მიბრძანდით, უკვე ჩააქრეს შუქი... მე კი, იცით, ზედმეტადაც კი წავიგრძელე ენა? — გაიცინა, თავი ისე დაუკრა, რომ ხელი არ გაუწვდია და მკვირცხლად, თითქმის სირბილით, გაუყვა ხალიჩას გაუკაცრიელებულ დერეფანში.

მოხუცი კოტესი დაბნეული შევიდა უკვე ჩაბნელებულ დარბაზში. ბოდიშ-ბოდიშით მიაღწია თავის ადგილს. აფორიაქებული იყო. რას სჩადიოდა ეს გიჟი არდუინო? ეტყობა, მთელმა მილანმა ყველაფერი იცოდა, იგი, მამამისი კი ბაიბურშიც არ იყო. ანდა, ვინ იყო ეს იდუმალი სინიორი? სად გააცნეს კოტესს? ამაოდ ცდილობდა, გაეხსენებინა, რა ვითარებაში გაიცნო. გაიფიქრა, უნდა გამოვრიცხო მუსიკალური სამყაროო. მაშინ სად? იქნებ საზღვარგარეთ? იქნებ დასვენებისას რომელიმე სასტუმროში? ვერა და ვერ იხსენებდა. ამასობაში სცენაზე, ვნების აღმძვრელი მართა ვიტი გველივით მოცურავდა წინ და ჯოჯოხეთურად გაშიშვლებული ასხეულებდა შიშს ან რაღაც მისთანას, ტეტრარქოსის სასახლეში რომ ისადგურებდა.

ღვთის წყალობით, როგორც იქნა, მეორე ანტრაქტი გამოაცხადეს. აინთო თუ არა შუქი, მოხუცი კოტესი მაშინვე წამოდგა. ერთი სული ჰქონდა, მოეძებნა უცნობი სინიორი, გამოეკითხა, ყველაფერი დაწვრილებით აეხსნევინებინა. ვერ ეტყოდა უარს, გაეგებინებინა, რას მიანიშნებდა. მაგრამ არსად ჩანდა. ბოლოს, კოტესის მზერა რატომღაც სამი ბნელი ტიპის ლოჟამ მიიპყრო. სამივე იქ იყო. მეოთხეც მიმატებოდათ, სადღაც უკან მოკალათებულიყო. მასაც დასტყობოდა ტანსაცმელზე სიღატაკე, თუმცა, სმოკინგი ეცვა. დიახ, ძველმოდური სმოკინგი (ამჯერად კოტესმა გულდაგულ შეათვალიერა ბინოკლით) და მომჩვარებული საეჭვო სისუფთავის ხალათი. იმ სამი კაცისაგან განსხვავებით, ახალშემატებულს ცბიერი იერსახე ჰქონდა და იღიმებოდა. მაესტრო კოტესს ზურგში ჟრუანტელმა გაურბინა.

მერე პროფესორ ფეროს მიუბრუნდა იმ კაცივით, რომელიც წყალში იძირება და განურჩევლად ეჭიდება ხელში მოხვედრილ პირველსავე საგანს.

— ბოდიშს გიხდით, პროფესორო, — მიმართა აუჩქარებლად. — ხომ ვერ მეტყვით, ვინ არიან ის თავხედები, მესამე რიგში, ლოჟაში, იისფერკაბიანი ქალბატონის მარცხნივ რომ სხედან?

— ნეგრომანტები? — სიცილით უპასუხა პედიატრმა. — ეს ხომ გენერალური შტაბია! გენერალური შტაბი თითქმის სრული შემადგენლობით!

— გენერალური შტაბი? რა გენერალური შტაბი?

ისე ჩანდა, თითქოს ფერო თავს ირთობდა:

— თქვენ, მაესტრო, ისევ ღრუბლებში დაცურავთ. ნეტავი თქვენ!

— რა გენერალური შტაბი? — ჩაეძია მოთმინებადაკარგული კოტესი.

— რა დაგემართათ, მორცებისა, ღმერთო დიდებულო!

— მორცებისა? — ექოსავით გაიმეორა მოხუცმა, რომელსაც კიდევ უფრო პირქუში ფიქრები მოსძალებოდა. მორცები... რა ავბედითად ჟღერს ეს სახელი. იგი, კოტესი, მათი არც მომხრე იყო და არც - წინააღმდეგი, არაფერი არ იცოდა მათზე, არც არასოდეს მოუნდომებია, რამე შეეტყო, მხოლოდ ის გაეგო, რომ საშიში ხალხი იყო, რომ სჯობდა, არ გაეღიზიანებინათ ისინი. გიჟი არდუინო კი წინ აღდგომია, მტრად გადაკიდებია. თურმე, ეს უტვინო ბიჭი პოლიტიკაში, ინტრიგებში ყოფილა გახვეული იმის მაგივრად, რომ თავისი მუსიკისთვის მიეხედა. საერთოდ, იგი არ იყო მომთხოვნი მამა, ვერ იჩენდა სიმკაცრეს. ახლა კი ღმერთმანი, შეძლებს ბიჭის ჭკუაზე მოყვანას! წარმოგიდგენიათ, შეიძლება, თავი გაიფუჭოს რაღაც იდიოტური გატაცების გამო. ერთხანს იფიქრა, რჩევა ეკითხა ნაცნობი სინიორისთვის, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ამას აზრი არ ჰქონდა, იქნებ უარესიც კი ყოფილიყო. მორცები არ არიან ის ხალხი, ვისაც ხუმრობა უყვარს. სიკეთე და კეთილშობილება გამოიჩინეს და გააფრთხილეს. უკან მოიხედა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამრეზით უყურებდა მთელი დარბაზი. ცუდი ხალხია მორცები, გავლენიანები, გამოუცნობები. რა საჭიროა მათი გამოწვევა?

ძლივს გაინძრა.

— მაესტრო, ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა პროფესორმა ფერომ.

— ბატონო?.. რატომ მეკითხებით? — გაიკვირვა და ნელ-ნელა აიყვანა თავი ხელში.

— დავინახე, როგორ გაფითრდით... ხდება ხოლმე ასე სიცხეში... მომიტევეთ.

— პირიქით... მადლობელი ვარ... ერთხანს მართლაც მომეძალა დაღლილობა... — უპასუხა კოტესმა. — Eh, sont vecc![15] — მერე

წამოდგა. გასასვლელისკენ გაემართა და, როგორც მზის პირველი სხივი ფანტავს საზარელ სიზმარს, რომელიც მთელი ღამე ტანჯავდა ადამიანს, ისე გამოიყვანა მოხუცი ხელოვანი ფოიეში მარმარილოებს შორის გამოფენილი მდიდარი, ჯანმრთელი, კარგად ჩაცმული, სუნამოიანი და სიცოცხლით აღსავსე ადამიანების საზოგადოებამ იმ ბურუსიდან, რომელშიც საიდუმლოს გამჟღავნებამ გაახვია. მოძალებული ფიქრები რომ გაეფანტა, კრიტიკოსთა ჯგუფს მიუახლოვდა კამათში ჩასაბმელად.

— ყოველ შემთხვევაში, — ამბობდა ერთი. — ქოროები რჩებიან, შეუძლებელია ამის უარყოფა.

— ქოროები ისე უხდება მუსიკას, როგორც მოხუცის თავი ნახატს. — თქვა მეორემ. — იოლია ეფექტის მიღწევა, მაგრამ არავის მოსდის აზრად, იკითხოს, როგორი ეფექტის.

— კარგით, — მიუგო გულწრფელობით გამორჩეულმა კოლეგამ. — მაგრამ ამ ნაბიჯით?.. ახლანდელი მუსიკა არ ეძებს ეფექტს, არ არის ქარაფშუტული, არ არის ვნებიანი, არ არის საამოდ მოსასმენი, არ არის ინსტიქტური, არ არის იოლი, არ არის უწმაწური. ძალიან კარგი, ბატონო, მაგრამ მითხარით, მაშინ რაღა დარჩა?

კოტესს თავისი შვილის ნაწარმოებები გაახსენდა.

●

გარეგნულად ოპერას გასაოცარი წარმატება ხვდა წილად. სინამდვილეში კი ძალიან საეჭვოა, გულწრფელად ერთ მაყურებელს მაინც მოსწონებოდა "ამოხოცვა", მაგრამ ყველას უნდოდა, მონოდების სიმაღლეზე ყოფილიყო და თავი ავანგარდისტად მოეჩვენებინა. ცხოველური ინსტიქტით დაიწყეს ერთმანეთის დასანახად თავის გამოდება. და მერე, როცა კაცი მთელი გულმოდგინებით ცდილობს, ადვოკატად დაუდგეს მუსიკას, რომ როგორმე გამოავლინოს მთელი მისი სილამაზე, გენიალური მიგნებები, ტრანსცენდენტური მნიშვნელობა, მაშინ თვითშთაგონებასაც უკიდეგანოდ ეშლება ფრთები. გარდა ამისა, როდის აქეთ იყო, რომ ხალხი თანამედროვე ნაწარმოებებით ტკბებოდა? ცხადზე უცხადესია, რომ ახალი სკოლების მეთაურები თავს არიდებენ მაყურებლის ტკბობას. მიუტევებელი გაუთლელობაა, მათ მაყურებლის ყურის დატკბობა მოსთხოვო. ვისაც ტკბობა სურს, განა მათთვის ცოტაა არჩევანი, განა არ არის "მთვარის პარკები"[6] ბასტიონებზე? სულაც არ იყო დასაგმობი გროსგემუთის ორკესტრი, მუდამ დახვეწილი ხმები, განსაკუთრებით კი, ჩაქუჩივით ბასური ქოროები, რაც მაყურებელში ნეტარებულ მოუთმენლობას იწვევდა. ასე იყო თუ ისე, მაყურებელს, თუნდაც გაუცნობიერებლად, მაგრამ რაღაცნაირად მაინც აუჩუყდა გული. ეს აფორიაქება, რაც სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ხალხს, აიძულებდა, როგორც კი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ტაში დაეკრა, ეყვირა "ბრავო" და აღელვებულიყო. რა იყო ეს თუ არა, კომპოზიტორის დიდი გამარჯვება?

ყველაზე დიდი გაოგნება-აღმაფრენა გამოიწვია "ორატორიის" ბოლო, საშინელმა სცენამ, როცა ბეთლემში ჰეროდეს ჯარისკაცები სახლებში შეიჭრებიან ბავშვების მოსაძებნად და დედები თავიანთი კარის ზღურბლზე მანამ უწევენ წინააღმდეგობას, სანამ მომხდურები არ გადათელავენ და ცა ერთბაშად არ მოიქუფრება. მერე საყვირების მაღალმა აკორდმა სცენის სიღრმიდან გააცხადა უფლის გადარჩენა. აღსანიშნავია, რომ სცენოგრაფმა და მხატვარმა, განსაკუთრებით კი — სცენოგრაფმა, მთელი სასცენო გაფორმების სულისჩამდგმელმა, იოჰან მონკლარმა, შეძლო, თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საეჭვო ინტერპრეტაციები, რაშიც ერთგვარად დაეხმარა პარიზში მომხდარი თითქმის სკანდალური ამბავი. ასე რომ, თუმცა, ჰეროდე არ ჰგავდა ჰიტლერს, მაგრამ ძლიერ დაჰკრავდა ჩრდილოური იერი და ზიგფრიდს უფრო მიამსგავსებდით, ვიდრე — გალილეას მეფეს. მისი აღჭურვილობა, მეტადრე - მუზარადი, ნიადაგს აცლიდა ყოველგვარ ეჭვს.

— Ma sta chi l'é minga la reggia d'Erode. — თქვა კოტესმა, — Che doveven scriv su Oberkommandantur[7].

სასცენო სურათებს ხინჯს ვერ უპოვიდით. როგორც ვთქვით, გამაოგნებელი ეფექტი ჰქონდა მკვლელებისა და დედების ბოლო, ტრაგიკულ ცეკვას, ქორო კი ამ დროს კლდეზე არა და არ ცხრებოდა. მონკლარის, ასე ვთქვათ, ტრიუკი (სხვათა შორის, ეს სულაც არ იყო ახალი ხერხი) ძალიან მარტივი იყო. ჯარისკაცები ერთიანად ჩაშავებულიყვნენ, სახეებიც კი შავი ჰქონდათ, ხოლო დედები თეთრად ანათებდნენ. ბავშვებს სადურგლო დაზგაზე გამოჩარხული (როგორც პროგრამა იუწყებოდა, მოქანდაკე ბალარინის ნახატის მიხედვით თოჯინები) განასახიერებდნენ. ხასხასა წითელი ფერისანი იყვნენ და გაპრიალებულები, ამაღელვებლად ელვარებდნენ. გარემოს მოიისფრო ფონზე სამი ფერის — თეთრის, შავისა და წითლის — სულ უფრო და უფრო თავბრუდამხვევი რიტმით შერწყმასა და განფენას არაერთხელ მოჰყვა ხანგრძლივი ტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხედე, როგორ ბრწყინავს გროსგემუთი! — წამოიძახა ერთმა სინიორამ კოტესის უკან, როცა კომპოზიტორი ავანსცენაზე ავიდა.

— მაგარია! — უპასუხა იმანაც. — El gha on crapon ch'el par on specc! [18]

სახელგანთქმულ კომპოზიტორს მართლაც კვერცხივით მოტვლეპილი (ანდა, იქნებ, გადაპარსული?) თავი ჰქონდა.

მესამე რიგში მორცების ლოჟა უკვე ცარიელი იყო.

საერთო კმაყოფილება სუფევდა და მაყურებელთა უმეტესობა უკვე შინ მიდიოდა, cr me[19] კი ერთბაშად გაიშალა კორიდორში. გაჩახჩახებული დარბაზის ყოველი მხრიდან გაბრწყინდა თეთრი და ვარდისფერი ორტენზიებით, რომლებიც აქამდე, ანტრაქტების დროს არავის შეენიშნა. ერთგან, კარებთან მაყურებლებს სამხატვრო დირექტორი მაესტრო როსი-დანი ესალმებოდა, მეორეგან კი — დირექტორი დოქტორი ჰირში თავის უშნო, მაგრამ თავაზიან მეუღლესთან ერთად. მათ უკან, პატივცემულ მაესტრო კორალოსთან ენას იქავებდა სინიორა პორტალაქუა, რომელსაც უფრო ხშირად დონა კლარას ეძახდნენ. მას სიამოვნებდა სხვებისთვის თავისი არსებობის შეხსენება, მაგრამ ამავე დროს არ უნდოდა, თავი მოეწონებინა იმ ძალაუფლებით, რომელიც თანამდებობით არ ეკუთვნოდა. მრავალი წლის წინათ პორტალაქუა მაშინდელი სამხატვრო დირექტორის, მაესტრო ტარას მდივანი და მარჯვენა ხელი იყო. ოცდაათი წლის ასაკში დაქვრივდა. მდიდარი ოჯახიდან გამოსული, მილანის საუკეთესო ინდუსტრიულ ბურჟუაზიას ენათესავებოდა და მაესტრო ტარას გარდაცვალების შემდეგაც შეძლო, სხვების თვალში საჭირო პიროვნების რეპუტაცია შეენარჩუნებინა. რა თქმა უნდა, მტრებიც ჰყავდა, რომლებიც ინტრიგანად თვლიდნენ, მაგრამ ისინიც კი პატივისცემით ეპყრობოდნენ, როცა შემთხვევით გადაეყრე-ბოდნენ. მაინც იშინოდათ მისი, თუმცა, ალბათ საამისო საფუძველი არ ჰქონდათ. შემდგომი სამხატვრო დირექტორები და დირექტორები თავიდანვე მიხვდნენ, რამდენად ხელსაყრელი იყო მისი გულის მოგება. ჰოდა, სწორედ მას ეკითხებოდნენ რჩევას, როცა რეკლამას ამზადებდნენ, ეთათბირებოდნენ მსახიობთა შერჩევის დროსაც; ყოველთვის მას ეძახდნენ საქმის მოსაგვარებლად, როცა ხელმძღვანელობასა და დასს შორის რაღაც გაუგებრობა წარმოიშვებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ საქმეებში, მართლაც ბადალი არ ჰყავდა. ესეც არ იყოს, მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა, დონა კლარა წლების განმავლობაში ერთ-ერთი ავტონომიური ორგანიზაციის მრჩეველი იყო. ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობის სავარძელი ეჭირა, რომლის დაკავებაზე სხვა ვერავინ იოცნებებდა. დონა კლარას თავიდან მოცილებას, ცხოვრების ნავიგაციაში გამოუცდელობის გამო, ერთადერთი კომენდატორი[20] მანკუზო შეეცადა, რომელიც ფაშისტური რეჟიმის მიერ ხელდასხმული დირექტორი იყო და თითქოს ბუზს ვერავინ აუფრენდა, მაგრამ სამი თვის შემდეგ, ყველასათვის უცნობი მიზეზით, გაათავისუფლეს.

დონა კლარა უშნო ქალი იყო, მომცრო ტანის, გამხდარი, უფერული სახის, ყურადღებას არ აქცევდა ჩაცმა-დახურვას. ახალგაზრდობაში ცხენიდან გადმოვარდნილიყო, ბარძაყის ძვალი მოეტეხა და ოდნავ კოჭლობდა (მტრებს ამიტომაც დაერქმიათ მეტსახელად: "კოჭლი ეშმაკი"), მაგრამ, როგორც კი ხმას ამოიღებდა, თვალისწამში ყველას აოცებდა საზრიანობით, მთელ სახეს რომ უსხივოსნებდა. უცნაურია, მაგრამ არაერთ მამაკაცს შეჰყვარებოდა. უკვე სამოც წელს გადაშორებულიყო და იმ სოლიდურობის გამოც, რასაც ასაკიც უქმნიდა, როგორც არასდროს, აშკარად იგრძნობოდა მისი გავლენა. სინამდვილეში დირექტორს და სამხატვრო დირექტორს თეატრში მათ ხელქვეით ფუნქციონერებზე ოდნავ მეტი უფლებები ჰქონდათ და მეტი არაფერი. თანაც მას ისე მოხერხებულად და დიდი ტაქტით შეეძლო სხვები ემართა, რომ ვერავის ვერაფერი შეემჩნია, პირიქით, საკუთარი თავი თეატრში დიქტატორისთვისაც კი გაეტოლებინათ.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შედიოდა მისაღებ დარბაზში, რომელსაც ნელ-ნელა ავსებდნენ სახელგანთქმული და პატივცემული ადამიანები, ცისფერი სისხლის ნაკადულები, პარიზიდან ჩამოტანილი ახალთახალი ტუალეტები, ძვირფასი ბრილიანტები, პირსახეები, გაშიშვლებული მხრები და გვერდებ-მკერდები, რომელთაც ყველაზე თავშეკავებული ადამიანიც კი თვალს ვერ მოწყვეტდა. მაგრამ მათთან ერთად შემოდიოდა ის, რაც აქამდე მხოლოდ წამიერად გაელებულიყო ხალხში: შემოდიოდა შორეული და დაუჯერებელი ექო, შიში, რომელსაც აქამდე არავისთვის არაფერი დაეშავებინა. არეულიყო და ერთმანეთს დამსგავსებოდა სხვადასხვა ხმა, რომელსაც ხალხი მოეთოკა. სადაც კი გაიხედავდი, ყველგან ჩურჩულებდნენ, ყურიდან ყურში ჩუმჩუმად გადასცემდნენ ახალ ამბებს, დაეჭვებით წაიღიმებდნენ კიდეც, ვინც ყვე-

დინო გუბაბი ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერს ხუმრობაში ატარებდნენ, ურწმუნოდ წამოიყიყინებდნენ ხოლმე. სწორედ ამ დროს გამოჩნდა გროსგემუთი მსახიობთა თანხლებით. ამას მოჰყვა ორატორიის დამდგმელთა პომპეზური წარდგენა ფრანგულ ენაზე. შემდეგ კომპოზიტორი, ჩვეულებისამებრ, ბუფეტისკენ წაიყვანეს. გვერდით დონა კლარა მიჰყვებოდა.

ასეთ შემთხვევებში, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, თეატრის მესვეურებს უცხო ენების ცოდნის მკაცრი გამოცდისთვის უნდა გაეძლოთ.

— Un chef-d'oeuvre, véritablement, un vrai chef-d'oeuvre![21] — განუწყვეტლივ იმეორებდა დირექტორი, დოქტორი ჰირში, რომელსაც, თუმცა უცხოური გვარი ჰქონდა, ნეაპოლელი იყო და ახლა ისე გამოუდიოდა, თითქოს სხვა სიტყვები არ სცოდნოდა. მაინცდამაინც ვერც გროსგემუთი პირწყლიანობდა, თუმცა დოფინში წლების განმავლობაში ეცხოვრა. მისი ყელისმიერი ბგერები კიდევ უფრო გაუგებარს ხდიდა, რას ამბობდა. თავის მხრივ, დირიჟორი, მაესტრო ნიებერლი, ისიც გერმანელი, ცოტა მწყრალად იყო ფრანგულთან და კარგა ხანი მოუნდა საუბრის აწყობას. და აი, სიურპრიზი, ყველაზე დახვეწილ ადამიანებსაც კი, რომ დაუამა გული: მარტა უიტი, ბრემენელი მოცეკვავე, ჩინებულად ალაპარაკდა იტალიურად, თანაც, საოცარი ის იყო, რომ ბოლონიური აქცენტი დაჰკრავდა.

ვიდრე ოფიციანტები ხალხს შორის დაჰქროდნენ შამპანურ-ტკბილეულიანი ხონჩებით ხელში, მაყურებლები ნელ-ნელა დაჯგუფდნენ.

გროსგემუთი ხმადაბლა ელაპარაკებოდა მდივან ქალს, როგორც ეტყობოდა, ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე.

— Je parie d'avoir aperçu Lenotre, — ეუბნებოდა. — Etes-vous bien sûre qu'il n'y soit pas?[22]

ლენოტრი "ლე მონდის"[23] მუსიკალური კრიტიკოსი იყო, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა კომპოზიტორი პარიზული პრემიერის შემდეგ. დღეს მისი აქ ყოფნა გროსგემუთისათვის შესანიშნავი გამარჯვების მაუწყებელი იქნებოდა. მაგრამ მუსიე ლენოტრი არ ჩანდა.

— A quelle heure pourra-t-on lire le "Corriere della Sera"?[24], — დიდი ადამიანებისათვის ჩვეული უდარდელობით ისევ ჰკითხა დონა კლარას სკოლის მეთაურმა. — C'est le journal qui a le plus d'autorité en Italie n'est-ce-pas, Madame?[25]

— Au moins on le dit[26], — ღიმილით მიუგო დონა კლარამ. — Mais jusqu'à demain matin[27]...

— On le fait la nuit, n'est-ce-pas, Madame?[28]

— Oui, il paraît le matin. Mais je crois vous donner la certitude que ce sera une espèse de panégyrique. On m'a dit que le critique, la maître Frati, avait l'air rudement bouleversé[29].

— Oh, bien, ça serai trop, je pense[30], — შეეცადა, ამოეცნო კომპლიმენტი. — Madame, cette soirée a la grandeur, et le bonheur aussi, de certains rêves... Et, à propos, je me rappelle un autre journal... le "Messaro", si je ne me trompe pas[31]...

— Le "Messaro"[32]? — ჩაეკითხა დონა კლარა.

— Peut-être le "Messaggero"[33]? — შეეშველა დოქტორი ჰირში.

— Oui, oui, le "Messaggero" je voulais dire[34]...

— Mais c'est à Rome, le "Messaggero"[35]!

— Il a envoyé tout de même son critique[36], — საზეიმო ტონით შენიშნა ერთმა კაცმა, რომელსაც, სამწუხაროდ, არავინ იცნობდა. მერე დაუმატა. — Maintenant il est derrière à téléphoner son reportage[37]! — ეს ფრაზა შემდგომში ლეგენდად დარჩა, მაგრამ მაშინ მის მოხდენილ ფორმას, როგორც ჩანს, მხოლოდ გროსგემუთი ვერ ჩასნვდა.

— Ah, merci bien. J'aurais envie de la voir demain, ce "Messaggero"[38], — თქვა გროსგემუთმა, მდივანი ქალისაკენ დაიხარა და გადაუჩურჩულა. — Après tout c'est un journal de Roma, vous comprenez[39]?

ამასობაში სამხატვრო დირექტორი გამოჩნდა და გროსგემუთს ლა სკალას ავტონომიური ორგანიზაციის სახელით გადასცა ცისფერატლასიან კოლოფში მოთავსებული ოქროს მედალი, რომელზეც ამოტვიფრული იყო თარიღი და ოპერის სახელწოდება. ამას მოჰყვა ჩვეულებრივი პომპეზური ცერემონიები, სამადლობელოები და დიდ კომპოზიტორს, ჩანდა, ერთ წუთს ცრემლიც კი მოერია. შემდეგ კოლოფი მდივან ქალს გადასცა, რომელმაც გახსნა, რათა მისი ცქერით დამტკბარიყო, მერე აღტაცებულმა გაიღიმა და მაესტროს ჩასჩურჩულა:

— Epatant! Mais ça, je m'y connais, c'est du vermeil[40]!

მოწვეულებს გულისყური სხვა რამისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. მათ უმანკო ყრმების კი არა, სულ სხვაგვარი ამოხოცვა უშფოთებდათ გონებას. მორცები რომ შემოტევას აპირებდნენ, ეს უკვე აღარ იყო მხოლოდ მცირერიცხოვან განდობილ ადამიანთა საიდუმლო. ხმა ისე ვრცელდებოდა ყოველ კუნჭულში, რომ ისეთებამდეც კი მიაღწია, როგორიც იყო მაესტრო კლაუდიო კოტესი, ვინც მუდამ ღრუბლებში დაცურავდა. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ბევრს არ სჯეროდა გულისგულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ თვეშიც გააძლიერეს პოლიცია. მხოლოდ ქალაქში ოცდათასზე მეტი აგენტია. ახლა, არ იკითხავთ კარაბინიერებს... ჯარს... — ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს.

— ჯარს? მერე, ვინ იცის, საჭირო დროს რას მოიმოქმედებენ ჯარის ნაწილები? ბრძანება რომ გასცენ, ესროლეთო, ესვრიან?

— სწორედ გუშინწინ ველაპარაკე გენერალ დე მათეისს. მითხრა, პასუხს ვაგებ ჯარის ნაწილების მორალურ მდგომარეობაზე... შეიარაღება კი, რა თქმა უნდა, არ არის შესაბამისიო...

— რასთან შესაბამისიო?

— სამოქალაქო წესრიგის დაცვის ოპერაციებთანო... უფრო მეტი ცრემლსადენი ყუმბარები გვჭირდებაო... ისიც თქვა, ასეთ შემთხვევაში კავალერიას რა ჯობიაო... მაგრამ სად არის ახლა კავალერია?.. გარეგნულად უწყინარია, ეფექტი კი საოცარი აქვსო...

— მომისმინე, ძვირფასო, განა არა სჯობს, შინ წავიდეთ?

— შინ? რატომ შინ? დარწმუნებული ხარ, რომ შინ უფრო საიმედოდ ვიქნებით?

— ღვთის გულისათვის, სინიორა, ბუზს სპილოდ ნუ გადააქცევთ. უპირველეს ყოვლისა, დაველოდოთ, რა მოხდება... და მერეც, თუ რამე მოხდა, მოხდება ხვალ, ზეგ... ვის უნახავს, რევოლუცია ღამით მომხდარიყოს... სახლები დაკეტილია... ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებს... წესრიგის დამცველთათვის ერთი გალაღება იქნება!..

— რევოლუცია? ოჰ, ღმერთო ჩემო, გაიგონე, ბეპე?.. აი, მაგ სინიორმა თქვა, რევოლუცია იწყებაო... ბეპე, მითხარი, რა ვქნათ?.. ხმა ამოიღე, ბეპე, გაინძერი... ნუ გაჩუმებულხარ მუმიასავით!

— დაინახეთ? მესამე მოქმედებაზე მორცების ლოჟაში უკვე არავინ იყო.

— მაგრამ, ჩემო ძვირფასო, არც კვესტურისა და პრეფექტურის ლოჟებშია ვინმე, და არც ჯარისაში... არც სინიორები ჩანან... ერთიანად გაკრეფილან... თითქოს, ყველას პაროლით მიეღოს ბრძანება.

— აბა, აბა, პრეფექტურაში კი არ სძინავთ... იციან თავიანთი საქმე... მთავრობას მორცების ყველაზე შორეულ ლოჟებშიც კი ჰყავს თავისი მოენეები.

ასე ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. თითოეული გულის სიღრმეში ამჯობინებდა, ახლა ლა სკალაში კი არა, საკუთარ სახლში ყოფილიყო, მაგრამ ვერავინ ბედავდა შინ წასვლას. ეშინოდათ ლოგინში სიგარეტით ხელში პირველი კივილის გაგონების მოლოდინში მარტოდ დარჩენისა, სიჩუმისა, ინფორმაციის უქონლობისა. აქ კი, ხელშეუხებელ სამფლობელოში, თითქოს ლა სკალა დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდა, უცნობ ხალხში, პოლიტიკოსებს შორს მდგომ საზოგადოებაში, ძალაუფლებით აღჭურვილ მრავალ პიროვნებას შორის თავს თითქმის დაცულად გრძნობდნენ. ამასთანავე, განა, შეიძლებოდა, ერთი ხელის მოსმით გაექროთ, მთელი ეს მხცოვანი კრებული: მხიარული, კეთილშობილი და ზრდილი, ჯერ კიდევ ასე სოლიდური, ჭკვიანი მამაკაცები, ლამაზი საგნების მოყვარული თავაზიანი ქალები.

აი, თეოდორო კლისი, "იტალიელი ანატოლ ფრანსი", როგორადაც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მონათლეს, წარმოსადეგი, ქერუბიმივით ვარდისფერსახიანი, ინტელიგენტის ყავლგასული ყაიდის ერთგული შეევრცხლილულვაშიანი. მაღალი წრის ადამიანისთვის ჩვეული ცინიზმით, რაც ფრიად დახვეწილი გემოვნების მაუწყებლად ეჩვენებოდა, იქვე, შორიახლოს მთელი გემოვნებით წინასწარ წარმოსახავდა იმას, რისი მოხდენისაც ყველას ეშინოდა.

— პირველი ფაზა, — პროფესორის ყალბი ტონით ამბობდა და თან მარჯვენა ხელის თითებს მარცხენა ხელის ცერა თითის წვერს ჰკიდებდა, თითქოს ბავშვებს თვლას ასწავლისო. — პირველი ფაზა: ქალაქის ეგრეთწოდებული სასიცოცხლო ობიექტების დაკავებაა... ღმერთმა ნუ ქნას, ეს უკვე მთლიანად მოესწროთ, — და სიცილით დახედა საათს. — მეორე ფაზა, ჩემო ძვირფასო სინიორებო, მტრული ელემენტების დაკავებაა...

— ღმერთო ჩემო, — წამოსცდა მარიუ გაბრიელის, ფინანსისტის ცოლს. — ჩემი პაწაწინები შინ მარტოდმარტონი არიან!

— პაწაწინები ნუ გადარდებთ, ძვირფასო სინიორა, დამშვიდდით, — მიუგო კლისიმ. — ეს მსხვილფეხებზეა ნადირობა: არავითარი ბავშვები, მხოლოდ მოზრდილნი და სრულფასოვნად მოწიფულნი.

გაეცინა მასხრობაზე.

— მერე, შინ არა გყავს nurse[4]? — აღმოხდა მშვენიერ ქეთი ინტროცის, რომელსაც ბატისტვინად იცნობდნენ.

ჩაერია ერთდროულად წკრიალა და თავხედური ხმა:

— კლისი, ბოდიში, მაგრამ მართლა ხუმრობის გუნებაზე გაყენებთ ეს ამბები?

ლიზელორ ბინი იყო, ერთდროულად სიმპათიური, სიცოცხლით აღსავსე სახისა და გაუხედნავი გულახდილობის გამო, მილანის ყველაზე ბრწყინვალე ახალგაზრდა სინიორა, როგორსაც ადამიანს, ალბათ, მარტოოდენ დიდი სული ან მაღალი სოციალური მდგომარეობა ხდის.

— აი, — თქვა რომანისტმა, ხუმრობანარევი ოდნავი ჭოჭმანით. — საჭიროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმაჩნია, ამ ქალებს გზა გავუკვალო სიმართლისაკენ, რომ...

— იცით, კლისი, უკაცრავად, მაგრამ მითხარით: აქ, ამ სალაპოს, ასეთ სიტყვებს წარმოთქვამდით , პირადად თავი ქუდში რომ არ გეგულებოდეთ?

— რატომ გგონიათ, რომ თავი ქუდში მეგულება?

— ოჰ, კლისი, ნუ მაიძულებთ იმის თქმას, რაც ყველამ იცის. თუმცა, რატომ უნდა გისაყვედუროთ ვინმემ, რომ კეთილი მეგობრები გყავთ იმათშიც, როგორ ვთქვათ, რევოლუციონერებში... პირიქით, კარგად მოიქეცით, ძალიან კარგად... ალბათ, ძალიან მალე დავრწუნდებით ამაში... თქვენც კარგად იცით, რომ მათგან განსაკუთრებული მოპყრობის იმედი უნდა გქონდეთ...

— რა განსაკუთრებული მოპყრობის? რისი განსაკუთრებული მოპყრობის? — წამოიძახა გაფითრებულმა.

— ეშმაკმა დალახვროს! კედელთან რომ არ მიგაყენებენ, იმისი! — დაუმატა მერე და ზურგი შეაქცია იქ მყოფთ, პირზე სიცილის მოთოკვას რომ შეეცადნენ.

ჯგუფი ორად გაიყო. კლისი თითქმის მარტოდ დარჩა. სხვები ოდნავ მოშორებით, ლიზელორს შეუერთდნენ. ძალაგამოცლილმა ბინიმ კი, თითქოს ერთგვარ თავშესაფარს, ამქვეყნად უკანასკნელ უიმედო თავშესაფარს მიაგნოო, იატაკზე, სიგარეტის ნამწვებსა და შამპანურების გუბეებში, როგორც მოუხერხდა, ისე მოირთხა ფეხი, შემოიკეცა თავისი ბალმანის კაბა[42], რომელიც სახელდახელო შეფასებით, ორასი ათასი იტალიური ლირა მაინც ეღირებოდა. მწვავედ შეეკამათა წარმოსახვით მოწინააღმდეგეს და თავისი კლასის ინტერესები დაიცვა, არავინ გაძალიანებია. ამიტომ იფიქრა, კარგად ვერ გამიგესო. ამაზე ბავშვივით მოუვიდა გული და თვალებით ჭამდა იქვე, ფეხზე მდგარ მეგობრებს.

— იციან თუ არა, როგორ ვიზარალეთ? იციან თუ არა, რომ ბანკში ერთი სოლდოც[43] აღარ გვიჭყავის? ბრილიანტები?! აი, ბრილიანტები! — და დემონსტრაციულად აჩვენებდა ოქროს ორასგრამიან იაგუნდისთვლიან სამაჯურს. — კარგი რამეა! საბიჟუტერიო სამკაულებიც რომც შევაწიოთ, რა პრობლემას გადავჭრით ამით?.. არა, ეს არ არის მათი მიზანი... — თითქოს, ტირისო, ისე ჟღერდა მისი ხმა. — უბრალოდ, ვერ იტანენ ჩვენს სახეებს. ვერ შერიგებიან იმას, რომ შეიძლება, არსებობდეს ცივილიზებული ხალხი... ვერ შერიგებიან იმას, რომ ჩვენ მათსავით არ ვყარვართ... აი, "ახალი სამართალი", რომლის დამყარება სურთ ამ ტილიანებს!..

— კეთილგონიერებას! — ... ლიზელორ, — ურჩია ახალგაზრდამ. — არავინ იცის, ვინ გვისმენს.

— კეთილგონიერებას კი არა, იმას! გგონია, არ ვიცი, ჩემი ქმარი და მე პირველები რომ ვართ სიაში? აქაც არის საჭირო კეთილგონიერება? ზედმეტად გამოვიჩინეთ კეთილგონიერება. ეს არის პრობლემის თავი და თავი. მაგრამ აილა... — ენაზე იკბინა. — ჰო, სჯობს, ენას კბილი დავაჭირო.

დამსწრეთა შორის, ვინც წონასწორობა მაშინვე დაჰკარგა, ერთადერთი სწორედ მაესტრო კლაუდიო კოტესი აღმოჩნდა. როცა გაიგო, მორცები გამოსვლას იწყებენო, ძველი ყაიდის შედარება რომ ვიხმაროთ, მოხუცი პიანისტი ისე აკანკალდა, როგორც პირველი მოგზაური, რომელმაც საშიშროების თავიდან ასაცილებლად შორიდან მოუარა კაციჭამიების ქვეყანას და, მრავალი დღის სიარულის მერე თავი საიმედო მიწაზე რომ ეგონა და საფრთხეს უკვე ფიქრადაც არ ივლებდა, თავისი კარვის უკან, ბუჩქებსა და ხის ტოტებში ნიამ-ნიამების[44] მოშიებული თვალების ანთებული გუგები და მათი ასეულობით შუბები დაინახა. ყველაფერი ერთბაშად, სულ რამდენიმე საათის განმავლობაში დაატყდა თავს: პირველად სატელეფონო ზარმა ააფორიაქა, მერე – ბომბასეის ორაზროვანძა სიტყვებმა, შემდეგ — იდუმალი სინიორის გაფრთხილებამ. ახლა კი გარდაუვალი კატასტროფის წინაშე იდგა. ო, ეს გამოლენჩებული არდუინო! ქვეყანა თუ აირია, მორცები ერთ-ერთ პირველს სწორედ მას გამოუყვანენ წირვას. გაფუჭებულ საქმეს ახლა უკვე აღარაფერი ეშველება.

მერე, თავი რომ დაემშვიდებინა, გაიფიქრა: "თუ უფალმა ეს-ესაა გამაფრთხილა, განა ეს კეთილი ნიშანი არ უნდა იყოს? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არდუინოს წინააღმდეგ მხოლოდ ეჭვები აქვთ? მოგცლია ერთი, — ეწინააღმდეგებოდა შინაგანი ხმა. — საყოველთაო აჯანყებისას ხალხი როგორ დაკარგავს დროს რაღაც წვრილმანებზე ფიქრით! როგორ გამოვრიცხო, რომ, შეიძლება, ბოროტი მიზნით სწორედ ამ საღამოს გამაფრთხილეს, როცა დრო აღარ რჩება არდუინოს გადასარჩენად?"

გაცოფებული მოხუცი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა ნერვულად, არეული სახით. იმედი ჰქონდა, რომ რამე გულის მოსაფონებელ სიახლეს შეიტყობდა. მაგრამ ვერავისგან გაიგონა კარგი ამბები. მეგობრები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ, ყოველთვის მხე და ენამახვილი ენახათ, გაოცებულნი იყვნენ, ასეთ აფორიაქებულს რომ ხედავდნენ. მაგრამ მათ თავიანთი საფიქრალიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისი ჰქონდათ, რომ თავი შეეწუხებინათ უწყინარი მოხუცის გამო. ვის-ვის და, მას მაინც არ ჰქონდა საფუძველი წუხილისათვის.

ასე ბორიალში, გული რამენაირად რომ გაემაგრებინა, დაბნეულად ყლურწავდა ერთიმეორის მიყოლებით შამპანურის ჭიქებს, რომლებსაც ოფიციანტები უშურველად სთავაზობდნენ. ფიქრები კი სულ უფრო და უფრო ებურდებოდა, ვიდრე არ მოიფიქრა ყველაზე იოლი გამოსავალი, თანაც გაუკვირდა, ეს აქამდე როგორ არ მომაგონდაო: შინ დაბრუნებულიყო, გაეფრთხილებინა შვილი და ვინმეს ბინაში დაემალა. რა თქმა უნდა, ცოტანი როდი გამოჩნდებოდენ მეგობრები, რომლებიც შეიფარებდნენ. საათს დახედა: ორის ათი წუთი იყო. კიბისკენ გაემართა.

მაგრამ კარებიდან ორიოდე ნაბიჯზე გააჩერეს.

— საით გაგიწევიათ, დალოცვილო მაესტრო, ასეთ დროს? რატომ გაქვთ არეული სახე? ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს? — არც მეტი, არც ნაკლები, დონა კლარა ეკითხებოდა, რომელიც ყველაზე გავლენიან ჯგუფს გამოყოფოდა და გასასვლელთან ერთ ბიჭთან გაჩერებულიყო.

— ოჰ, დონა კლარა, — ამოიოხრა კოტესმა და გამოერკვა. — თქვენი აზრით, სად უნდა წავიდე ასეთ დროს? თანაც ჩემს ასაკში? შინ მივდივარ, რა თქმა უნდა.

— მომისმინეთ, მაესტრო, — და პასალაქუა კიდევ უფრო კონფიდენციალურ ტონზე გადავიდა. — დამიჯერეთ: ცოტა კიდევ მოიცადეთ. კარგი იქნება, გარეთ თუ არ გახვალთ... იქ რაღაც გამოსვლებია, ხომ გესმით ჩემი?

— როგორ, უკვე დაიწყეს?

— ნუ გეშინიათ, ძვირფასო მაესტრო. საშიში არაფერია. ნანი, მიაცილეთ მაესტრო და რამე გამამხნევებელი სასმელი შესთავაზეთ.

ნანი კოტესის ძველი მეგობრის, კომპოზიტორ მაესტრო ჯიბელის შვილი იყო. ვიდრე დონა კლარა გაშორდებოდათ, რათა გასასვლელთან სხვებიც გაეჩერებინა, ახალგაზრდამ კოტესი ბუფეტამდე მიაცილა და თან ცხელ-ცხელი ამბები გადმოულაგა. რამდენიმე წუთის წინათ ლა სკალაში მოსულიყო ადვოკატი ფრიჯერიო, პრეფექტის ძმის უახლოესი მეგობარი, რომელმაც მუდამ ყველაფერზე ყველაფერი იცოდა და ყველანი გაეფრთხილებინა, რომ არავის მოეცვალა ფეხი. მორცებმა ქალაქის გარეუბნებში სხვადასხვა ადგილას მოიყარეს თავი და სადაცაა, ცენტრშიც შემოიჭრებიანო. პრეფექტურა თითქმის ალყაშემორტყმულია, იზოლაციაში მოაქციეს პოლიციის განყოფილებები, რომლებსაც გადაადგილების ავტოსაშუალებებიც აქვთო. ცხადი იყო, რომ მდგომარეობა რთულზე რთული იყო. ლა სკალადან გასვლა, ისიც საღამოს გამოსასვლელი ტანსაცმლით, არ იყო მიზანშეწონილი. აჯობებდა, აქვე დაეცადათ. მორცები ალბათ არ შემოცვივდებოდნენ თეატრში დასალაშქრად.

ახალმა ამბებმა, გასაოცარი სისწრაფით რომ ვრცელდებოდა, საშინელი ეფექტი მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. არავის ჰქონდა ხუმრობის თავი. ჩაცხრა ყაყანი, ერთგვარი მისვლა-მოსვლა მხოლოდ გროსგემუთის გარშემო შეინიშებოდა. არ იცოდნენ, როგორ დაებინავებინათ იგი. მისი ქანცგაწყვეტილი ცოლი, უკვე ერთი საათი იყო, რაც მანქანით სასტუმროში წასულიყო. როგორ უნდა მიეცილებინათ ახლა სასტუმროში კომპოზიტორი, როცა ქუჩებში უკვე მეამბოხეები დათარეშობდნენ? მართალია, ხელოვანი უცხოელი და მოხუცი იყო, მას რატომ უნდა დასხმოდნენ თავს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. სასტუმრო შორს იყო, რკინიგზის სადგურის წინ. იქნებ აგენტებისათვის ეთხოვათ მისი გაცილება? მაგრამ ეს ალბათ კიდევ უფრო უარესი იქნებოდა.

ჰირშმა მოიფიქრა:

— ყური მიგდეთ, დონა კლარა. იქნებ მოგვეხერხებინა მორცების რომელიმე მეთაურის ნახვა... ხომ არ გინახავთ რომელიმე აქ?.. სწორედ რომ, საუკეთესო მფარველ-გამცილებელი იქნებოდა.

— ოჰ, მართლაც, — დაეთანხმა დონა კლარა და დაფიქრდა. — სწორედაც-იცით, მართლაც საუცხოო აზრია?.. თანაც ბედმა გაგვიღიმა... ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთი მათგანი აქ კიდევაც დავინახე... მაინცადამაინც დიდი ვინმე არ არის, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, დეპუტატია. ლაიანიზე ვამბობ... სწორედაც, სწორედაც. ახლავე წავალ და მოველაპარაკები.

პატივცემული დეპუტატი ლაიანი არც წყალი იყო და არც — ღვინო, არც ჩაცმის გემოვნებით გამოირჩეოდა. იმ საღამოს მოდიდან გასული სმოკინგი და საეჭვო სისუფთავის ხალათი ეცვა, ხელზე ფრჩხილებს კი ნაცრისფერი ზოლი შემოპარვოდა. უმთავრესად აგრარული საკითხების მოგვარება ჰქონდა მინდობილი, მილანში იშვიათად ჩამოდიოდა და მხოლოდ ზოგიერთი ცნობდა სახეზე. ამასთან, ბუფეტის მაგიერ, მარტოდმარტო წასულიყო თეატრალური მუზეუმის დასათვალიერებლად. რამდენიმე წუთის წინათ დაბრუნებულიყო ფოიეში, ცალკე მდგარ დივანზე ჩამომჯდარიყო და სიგარეტ "ნაციონალურს" ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონა კლარა ჯიქურ მიეჭრა. ლაიანი ფეხზე წამოდგა.

— მართალი მითხარით, პატივცემულო, — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაიწყო პასალაქუამ. — მართალი მითხარით: თქვენ აქ ჩვენს დასაცავად გამოგგზავნეს?

— თქვენს დასაცავად? სწორად გაგიგეთ? მერე, ვისგან? — აღმოხდა დეპუტატს და გაოცების ნიშნად წარბები აწკიპა.

— ამას მე მეკითხებით? რაღაცა მაინც ხომ იცით, თქვენ მორცელი არა ხართ!

— აჰა, თუ ამას გულისხმობთ... ცხადია, რაღაცა ვიცი... და ეს თავიდანვე ვიცოდი, გულახდილად რომ ვთქვა... დიახ, აჯანყების გეგმას ვიცნობდი, სამწუხაროდ.

დონა კლარამ, ისე რომ ყურადღება არ მიუქცევია "სამწუხაროდ"-ისათვის, თავდაჯერებით განაგრძო:

— ყური მიგდეთ, პატივცემულო. მესმის, რომ, შესაძლოა, კომიკურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში ვართ. გროსგემუთი დაღლილია, დასვენება უნდა, ჩვენ კი არ ვიცით, როგორ მივაცილოთ სასტუმრომდე. ხომ გესმით? გარეთ არეულობაა... რა ვიცით... რაღაც გაუგებრობა... ინციდენტი... სულ ერთი წუთის საქმეა... მეორე მხრივ, როგორ ავუხსნათ ჩვენი სირთულეები? უცხოელია და, მგონი, მთლად მოსაწონად არ უნდა ვექცეოდეთ. და მერეც...

ლაიანიმ შეაწყვეტინა:

— ერთი სიტყვით, თუ სწორად მიგიხვდით, გსურთ, მე გავაცილო, ჩემი ავტორიტეტით დავიფარო, ხომ მართალია?.. აჰ, აჰ... — ხარხარი წასკდა. დონა კლარა გახევდა. ლაიანი კი ფხუკუნებდა და მარჯვენა ხელს ისე იქნევდა, თითქოს ამბობდა, მესმის, დიახაც, გაუთლელობაა ასეთი სიცილი, ბოდიშს ვიხდი, სირცხვილისაგანაც ვიწვები, მაგრამ იშვიათი სახუმარო ამბავიაო. მერე სული მოითქვა და შეეცადა, აეხსნა.

— ყველაზე ნაკლებად, პატივცემულო სინიორა! — თქვა პომპეზურად, როგორც სჩვეოდა, თან სიტყვებს ისევ აწყვეტინებდა სიცილისაგან ატეხილი სლოკინი. — იცით, რას ნიშნავს "ყველაზე ნაკლებად"? ყველაზე ნაკლებად აქ, ლა სკალაში მყოფთაგან, მასკერებისა[49] და ოფიციანტების ჩათვლით... ყველა ამათ შორის ყველაზე ნაკლებად მე შემიძლია კეთილი გროსგემუთის დაცვა. სწორედ მე — ყველაზე ნაკლებად... ჩემი ავტორიტეტი? ეს მართლაც გენიალურია! იცით, ყველაზე პირველად ვის გამოუყვანდნენ მორცები წირვას, აქ რომ იყვნენ? იცით?.. — თქვა და პასუხს დაელოდა.

— ვერ გეტყვით, — მიუგო დონა კლარამ.

— თქვენს მონა-მორჩილებას, ბატონო, ცემულო სინიორა! აბსოლუტურ პირველობას დამითმობდნენ და პირველს სწორედ მე გამისწორებდნენ ანგარიშს.

— ასე ვთქვათ, მათი წყრომა დაიმსახურეთ? — როგორც სჩვეოდა, მიუკიბ-მოუკიბავად პირში მიახალა ქალმა.

— დიახ, სწორედ, ასეა.

— მერე, ასე უცებ? სწორედ ამ საღამოს?

— დიახ. ხდება ხოლმე ასე. ზუსტად მეორე და მესამე მოქმედებას შორის, ერთი წაკამათებისას. მაგრამ, ვფიქრობ, რომ თვეების განმავლობაში მიმზადებდნენ ამას.

— ჰმ, მაგრამ სულაც არ გეტყობათ შეშფოთება.

— ო, ჩვენ! — ნაღვლიანად აუხსნა. — ჩვენ მიჩვეულები ვართ, ყოველთვის უარესს ველოდოთ... ეს ჩვენი პროფესიული ჩვევაა... და ვაი, ჩვენ, თუ არ...

— კარგით. ჩემმა მისიამ, როგორც ვხედავ, უშედეგოდ ჩაიარა. მაპატიეთ... და წარმატებას გისურვებთ, თუ გგონიათ, რომ საამისო შემთხვევაა... — დაუმატა დონა კლარამ და უკან მოიხედა, რადგან ლაიანმა უკვე ზურგი შეაქცია. მერე დირექტორს მიუბრუნდა. — თავს ზემოთ ძალა არ არის. პატივცემული, როგორც იტყვიან, ჩალის ფასადაც არ ღირს... ნუ ჩავარდებით სასოწარკვეთილებაში... გროსგემუთზე მე ვიზრუნებ...

სტუმრები შორიახლოდან ხმის ამოუღებლად ადევნებდნენ თვალს მათ საუბარს და ზოგიერთ ფრაზასაც კი მოჰკრეს ყური. არავის დაუჭყეტია თვალები მოხუცი კოტესივით: იგი, ვისაც მის თვალწინ პატივცემულ ლაიანის ეძახდნენ, სხვა არავინ იყო, თუ არა იდუმალი სინიორი, რომელმაც არდუინოზე ჩამოუგდო სიტყვა.

მორცების დეპუტატთან დონა კლარას საუბარს, თავისუფალ ურთიერთობას და იმას, რომ გროსგემუთი სწორედ მას უნდა გაეცილებინა და ამისათვის მთელი ქალაქი გადაესერა, უამრავი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ესე იგი, მართალი ყოფილა, რასაც, დიდი ხანია, ჩურჩულით ამბობდნენ: დონა კლარას მორცებთან ჰქონია კუდი გადაბმული. აქაოდა, პოლიტიკაში არ ვერევიო და როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან თამაშობდა, თუმცა, ვინც მას იცნობდა, ამას სრულიად ლოგიკურად თვლიდა. ვინ დაიჯერებდა, დონა კლარა, უნაგირზე რბილად რომ მჯდარიყო, ყველა შესაძლებლობას არ გამოიყენებდა და არ ეცდებოდა, ცოტაოდენ მორცებსაც დამეგობრებოდა? ამის გამო მრავალი სინიორა ვერ მალავდა თავის აღშფოთებას, მამაკაცებს კი უფრო ებრალებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გროსგემუთის წასვლამ პასალაქუასთან ერთად, რამაც ცერემონია დააგვირგვინა, კიდევ უფრო გააძლიერა საყოველთაო აფორიაქება. უკვე ამოწურული იყო თეატრში დარჩენის ყველა საბაბი. ნელ-ნელა თავის ნამდვილ სახეს ავლენდა გარეგნული ბრწყინვალება. უცებ მწარე უბადრუკობად იქცა აბრეშუმი, დეკოლტეები, ფრაკები, ბრილიანტები, მთელი საზეიმო მორთულობა ისე, როგორც ეს ჩავლილი კარნავალის ნიღბებს ემართება და ხელახლა იწყება ყოველდღიური ქანცგამომცვლელი ცხოვრება. მაგრამ ამჯერად დილით დიდმარხვა კი არ უნდა დაწყებულიყო, არამედ რაღაც ძალიან საშიში რამ მომხდარიყო.

ერთი ჯგუფი აივანზე გავიდა გარეთ გასახედად. მოედანზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა. თვლემდნენ შავი ავტოები, როგორც არასდროს, მარტოდმარტო მიტოვებულნი. მერე, მძღოლები? უკანა დასაჯდომზე ეძინათ, თვალს მოფარებულებს? ან იქნებ სულაც გაქცეულიყვნენ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად? ჩვეულებრივ ბრწყინავდა ლამპიონები, ყველაფერს ეძინა. სმენას იმახვილებდნენ ყველანი, რათა არ გამოჰპარვოდათ შორეული გრუხუნი, არეულობის ექო, სროლა, აღალების ხმაური, რომელიც ახლოვდებოდა, მაგრამ ხმას აქამდე ჯერ არ მოეღწია.

— ჭკუიდან შევიშალეთ? — იყვირა ერთმა. — წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ასე გადაბდღვრიალებულები რომ დაგვინახონ? ეს ხომ მათი მოსაწვევი ბარათი იქნება!

შენობაში შევიდნენ. სანამ ვიღაცა მონტიორის მოსაძებნად წავიდოდა, თვითონვე დახურეს გარეთა დარაბები. მერე ფოიეში ჩააქრეს ჭაღები. მასკერებმა ერთი დუჟინი შანდლები მოიტანეს და იატაკზე დადგეს. ყველას ესეც ავად ენიშნა.

დივანები არ ეყოთ. რომ არ დასვრილიყვნენ, ლაბადები იატაკზე დაიფინეს და ილაჯგაწყვეტილნი ზედ დასხდნენ. პატარა კაბინეტის წინ, მუზეუმის ახლოს, სადაც ტელეფონი იდგა, რიგი ჩამომწკრივდა. კოტესიც დაელოდა თავის ჯერს. სურდა, მაინც ეცადა ბედი და არდუინო გაეფრთხილებინა მოსალოდნელ ხიფათზე. აღარავინ ხუმრობდა მის ირგვლივ და არც აღარავის ახსოვდა გროსგემუთის "ამოხოცვა".

ორმოცდახუთი წუთი მაინც მოუწია ლოდინმა. კაბინაში მარტოდმარტო რომ დარჩა (აქ შუქი ენთო, რახან უფანჯრო იყო), ხელები უკანკალებდა და ორჯერ შეცდომით აკრიფა ნომერი. ბოლოს და ბოლოს გაიგონა თავისუფალი ზუმერის ხმა. მეგობრულ ბგერებად მოესმა ხმა, საკუთარი სახლიდან დამამშვიდებლად რომ მოდიოდა. მაგრამ რატომ არავინ პასუხობს? რა, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა შინ არდუინო? არადა, ... საათს უკვე გადაცილებულია. იქნებ უკვე დაიჭირეს მორცებმა? თავს ძალას ატანდა, ქოშინს რომ მორეოდა. ოჰ, ღმერთო, რატომ არავინ პასუხობს? ოჰ, როგორც იქნა!

— გისმენთ, გისმენთ, — არდუინოს ნამძინარევი ხმა იყო. — რომელი ბრძანდებით, ეშმაკმა დალახვროს, ამ დროს?

— ალო, ალო, — ჩასძახა კოტესმა, მაგრამ იმ წუთსვე ინანა: გაიფიქრა, შეიძლება, ხაზს უსმენენ და აჯობებს, ხმა არ ამოვიღოო. რა უნდა ეთქვა ახლა მისთვის? რჩევა მიეცა, საკუთარი თავისთვის ეშველა? აეხსნა, რაც ხდებოდა? მაგრამ, თუკი ისინი უსმენენ?

შეეცადა, რამე სარწმუნო საბაბით გაემართლებინა ნაგვიანევი სატელეფონო ზარი. მაგალითად, ეთქვა, სასწრაფოდ მოდი ლა სკალაში, შენი მუსიკის კონცერტი უნდა გავმართოთო, მაგრამ არა, ამის თქმა არ შეიძლება, რადგან არდუინოს ქუჩაში გამოსვლა მოუწევს. იქნებ რაღაც სხვა, უკბილო მიზეზი მოძებნოს? უთხრას, რომ შინ დარჩა საფულე და ამის გამო საგონებელშია ჩავარდნილი? უარესი. არდუინო ვერ მიხვდებოდა, რას მიანიშნებდა და მორცები, რომლებიც უეჭველად ყურს უგდებენ, იეჭვიანებენ, რომ მამა-შვილი რაღაცის გაკეთებას აპირებს.

— მომისმინე, მომისმინე... — თქვა მერე, დროის მოსაგებად, და გაიფიქრა: იქნებ ერთადერთი რამ, რისი გამხელა შეიძლება, ისაა, რომ უთხრას, თითქოს სადარბაზოს გასაღები დაავიწყდა: ეს დამაჯერებლად და უწყინრად გაამართლებს ნაგვიანევ დარეკვას.

— მომისმინე, — გაიმეორა. — სადარბაზოს გასაღები შინ დამრჩა. ოც წუთში დაბლა ვიქნები. — თქვა და თავს შიშის ტალღა დაატყდა: არდუინო ქვემოთ რომ ჩამოვიდეს და ქუჩაში დაელოდოს, მერე? იქნებ ვინმე გამოგზავნონ მის ასაყვანად ან, შეიძლება, უკვე კიდეც არის ვინმე მანდ ჩასაფრებული.

— არა, არა, — გაასწორა. — მოიცადე, არ ჩამოხვიდე ქვემოთ, სანამ არ მოვალ და ჩემს სტვენას არ გაიგონებ. — "რა იდიოტი ვარ", კიდევ ერთხელ გაკილა საკუთარი თავი, "ეს ხომ იმას ნიშნავს, მორცებს ასწავლო, ყველაზე იოლად როგორ ჩაავლონ ხელი არდუინოს".

— კარგად მომისმინე. — უთხრა. — კარგად მომისმინე... არ ჩამოხვიდე, სანამ არ გაიგონებ რომანული სიმფონიის მოტივს... გახსოვს, არა?.. ხომ გავუგეთ ერთმანეთს? აბა შენ იცი.

ყურმილი დაკიდა, თავიდან რომ აეცილებინა სახიფათო შეკითხვები. ეს რა ხათაბალა აიტეხა? არდუინომ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა საფრთხეზე, მორცები კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოსტს ყარაულობდნენ. შეიძლება, მათ შორის რომელიმე მუსიკოსი იცნობდა სასიგნალო სიმფონიას. იქნებ, შინ მისულს, ქუჩაში დახვედროდნენ ჩასაფრებული მტრები. რომც მოენდომებინა, ამაზე უფრო სულელურად ვერ მოიქცეოდა. რახან ასეა, იქნებ ჯობდეს ხელახლა დაურეკოს და მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაელაპარაკოს? მაგრამ ამ დროს კაბინის კარი გამოიღო და გოგონას შეშფოთებული სახე გამოჩნდა. კოტესი გამოვიდა, თან ოფლს იმშრალებდა.

ფოიეში მკრთალ შუქზე კიდევ უფრო სერიოზული მოეჩვენა მათ თავს დამტყდარი უბედურება. მძიმედ სუნთქავდნენ მოკრუნჩხული და შემციენებული, ერთიმეორეს გვერდი-გვერდ მიწოლილი სინიორები. ზოგიერთებს მოეხსნათ ყველაზე დიდი ბრილიანტები და ხელჩანთაში დაემალათ, სხვები –კედლის სარკეების წინ ტრიალებდნენ, უნდოდათ, რაც შეიძლება, ნაკლებად გამომწვევი გაეხადათ თმის ვარცხნილობა, სხვებს კი ისე მოერგოთ შალები და თავსაბურავები, რომ მართლაცდა მგლოვიარე ქალებს დამსგავსებოდნენ.

— ბოლოს და ბოლოს აუტანელია ეს ლოდინი. უმჯობესია, რაც მოსახდენია, მოხდეს და ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს ყველაფერი!

— არა, მართლაც რაში გვჭირდებოდა ეს?!. თითქოს წინასწარ ვგრძნობდი ამას... სწორედ დღეს უნდა გავმგზავრებულიყავით ტრემეძოში, მაგრამ ჯორჯომ თქვა, დასანანია გროსგემუთის პრემიერის გამოტოვებაო. ვუთხარი, გველოდებიან-მეთქი. მან კი მიპასუხა, ოჰ, დიდი ამბავი, დავურეკოთ, მორჩა და გათავდაო. არა, არ მინდოდა, ახლა თავიც ამტკივდა... ჩემი საბრალო თავი...

— ოჰ, ბოდიში, მაგრამ შენ მაინც ნუ წუწუნებ. შენ თითსაც არ დაგაკარებენ, შენ არ ხარ კომპრომენტირებული...

— იცი, ჩვენი მებალე, ფრანჩესკო ამბობს: საკუთარი თვალით ვნახე შავი სიებიო... მორცელია, ეგეც... თქვა, რომ მარტო მილანიდან უკვე ორმოც ათასზე მეტი კაცის სახელია შეტანილიო.

— ღმერთო ჩემო, წარმოგიდგენიათ ასეთი სულმდაბლობა?

— რა არის ახალი?

— არაფერი, ვერაფერი ვერ შევიტყვეთ.

— ხალხი მოდის?

— არა, ხომ გითხარი, ჯერჯერობით ვერაფერი ვერ შევიტყვეთ-მეთქი.

ქალთა ერთ ჯგუფს ხელები ვითომდა შემთხვევით გადაეჯვარედებინა და ლოცულობდა. მეორენი ერთმანეთს ყურებზე მიკრობოდნენ და ისე სულმოთქმელად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, თითქოს, საცაა, სული უნდა ამოხდეთ [illegible] თქმას ესწრაფვიანო. მამაკაცები კი მიწაზე განრთხმულიყვნენ, ფეხსაცმელები გაეხადათ, საყელოები გაეღეღათ, ჰალსტუხები ჩამოეკონწიალებიათ, ეწეოდნენ, ამთქნარებდნენ, ვერ ისვენებდნენ, ხმადაბლა კამათობდნენ და, ვინ იცის, ოქროს ფანქრებით, რას წერდნენ პროგრამის უკანა მხარეს. ოთხი-ხუთი კაცი ჩამოსაშვები დარაბების ღრიჭოებთან დარაჯობდა და მზად იყო, უმალვე ემცნო ყველასთვის გარეთ მომხდარი ყოველი სიახლე. პატივცემული ლაიანი კი მარტოდმარტო მიყუჟულიყო სადღაც კუთხეში, ფერწასული, წელში ოდნავ მოხრილიყო და თვალებგაფართოებული, "ნაციონალს" ეწეოდა.

კოტესის არყოფნაში ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა უცნაურად სტაბილური გამხდარიყო. ცოტა ადრე, ვიდრე იგი ტელეფონზე დასარეკად წავიდოდა, შენიშნეს, რომ ინჟინერი კლემენტი, ონკანების მაღაზიების მეპატრონე, დირექტორ ჰირშთან მივიდა და გვერდზე გაიხმო. მერე ორივენი განდობილი ჩურჩულით თეატრალური მუზეუმისკენ წავიდნენ და ერთხანს სიბნელეში იდგნენ. მალე ჰირში ისევ გამოჩნდა ფოიეში, რაღაც გადაუჩურჩულა და თან გაიყოლია ოთხი კაცი: მწერალი კლისი, სოპრანო ბორი, ქსოვილებით მოვაჭრე, ვინმე პროსდოჩიმი და ახალგაზრდა გრაფი მარტონი. ისინი იქვე, სიბნელეში მდგარ ინჟინერ კლემენტისთან მივიდნენ და რაღაც საიდუმლო თათბირი გამართეს. მერე რომელიღაც "მასკერა" გამოჩნდა, ფოიეში მდგარი ერთი შანდალი უბოდიშოდ აიღო და მუზეუმის სალონში შეიტანა, სადაც შეთქმულებს მოეყარათ თავი.

ამ მისვლა-მოსვლამ, რომლისთვისაც თავიდან ყურადღება არავის მიუქცევია, მალე ინტერესი, მეტიც, შეშფოთება გამოიწვია; მათ მდგომარეობაში სულ პატარა რაღაც საკმარისი იყო ეჭვისთვის.

ზოგიერთმა, ვითომ სრულიად შემთხვევით, თვალის შესავლებად გაიარა იქეთ, მაგრამ ყველა არ მობრუნებულა ფოიეში. ჰირში და კლემენტი, იმისდა მიხედვით, თუ ვინ გამოჩნდებოდა სალონის კარებში, მაშინვე წყვეტდნენ საუბარს, ანდა, ისე ეპატიჟებოდნენ შიგნით, რომ უარს ვერავინ იტყოდა. სულ მალე სეპარატისთა რიცხვმა ოცდაათს მიაღწია.

ყოველივე ამის წარმოდგენა სულაც არ იყო ძნელი იმათთვის, ვინც იცოდა, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებოდნენ ესენი. ჰირში, კლემენტი და მათი ამხანაგები ცდილობდნენ, სხვებისგან განცალკევებულიყვნენ, მტკიცედ დარზმულიყვნენ მორცების მხარეზე, ეჩვენებინათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არაფერი ჰქონდათ საერთო ამ დამყაყებულ, ფოიეში გამოფენილ მდიდრუნებთან. ამბობდნენ, რომ ზოგიერთ მათგანს წარსულში, სხვადასხვა მიზეზით, უმეტესწილად კი, როგორც ჩანს, უფრო შიშის გამო, ვიდრე — ღრმა რწმენისა, უკვე მოექონათ თავი მორცეების გავლენიანი სექტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ინჟინერ კლემენტის დესპოტური და პატრონყმული მენტალიტეტი ჰქონდა, მისგან ეს სულაც არ იყო გასაკვირვი იმათთვის, ვინც იცოდა, რომ მის ერთ-ერთ გადაგვარებულ შვილს მორცებთან მეთაურის ადგილიც კი ეჭირა. სულ ახლახან ნახეს, თუ როგორ შევიდა იგი ტელეფონის ჯიხურში და, სანამ საუბარს მორჩებოდა, თხუთმეტ წუთზე მეტხანს ალოდინა ისინი, გარეთ რომ იცდიდნენ. ასე იფიქრეს მაშინ: კლემენტიმ საფრთხე რომ დაყნოსა, შვილს ტელეფონით სთხოვა დახმარება და იმანაც, თავი განსაცდელში რომ არ ჩაეგდო, მამას ურჩია, დამოუკიდებლად ემოქმედა: ჩამოეყალიბებინა პრომორცული კომიტეტის მსგავსი რაღაც, ასე ვთქვათ, ლა სკალას რევოლუციური ხუნტა, რომელსაც მორცები მოსვლისთანავე უსიტყვოდ აღიარებდნენ და, რაც მთავარია, არაფერს ავნებდნენ. ბოლოს და ბოლოს, როგორც ერთმა თქვა, სისხლი წყალი ხომ არ იყო, რომ არ გაფრთხილებოდნენ.

ვისი ვისი და ზოგიერთი სხვა სეპარატისტის ამბავი კი პირდაპირ გასაკვირი იყო. ისინი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები იყვნენ საზოგადოების ყველაზე მაღალი წრეებისა, მორცებს დიდად რომ არ ეხატებოდათ გულზე. სწორედ ისინი ან მათი მსგავსი ხალხი, შეიძლებოდა, დაედანაშაულებინათ ყველა იმ უბედურებაში, რაც მორცებს ხშირად მტრული კრიტიკისა თუ ამბოხების საბაბს აძლევდა. და აი, ახლა, ასე უცებ, სწორედ ისინი დგებოდნენ მტრების მხარეზე და უარს ამბობდნენ მთელ თავიანთ წარსულზე, რომ არაფერი ვთქვათ სულ რამდენიმე წუთის წინათ გაკეთებულ განცხადებებზე. როგორც ჩანს, მათ დიდი ხნით ადრე დაეწყოთ მოწინააღმდეგე ბანაკთან ერთად ამბოხების მომზადება და არ ერიდებოდნენ ხარჯებს, ოლონდაც საჭირო მომენტში თავის შველის საშუალება ჰქონოდათ. მაგრამ ამას ჩუმ-ჩუმად, შუამავლის მეშვეობით აკეთებდნენ, რათა თავი არ შეერცხვინათ ელიტარულ საზოგადოებაში, სადაც დღედაღამ ტრიალებდნენ, ხოლო, როგორც კი საფრთხე დაემუქრათ, უმალვე გამოავლინეს თავიანთი ნამდვილი სახე ისე, რომ სულაც არ უცდიათ დარბაისლური იერის შენარჩუნება: ჯანდაბამდე გზა ჰქონია ნაცნობობას, კეთილშობილ ხალხთან მეგობრობას, ადგილს საზოგადოებაში. ახლა საქმე საკუთარ სიცოცხლეს ეხებოდა!

თუ ამას თავიდან ჩუმ-ჩუმად ჩადიოდნენ, ახლა არჩიეს, აშკარად გამოეხატათ თავიანთი პოზიცია, რათა ნათლად გამოეთქვა ეთილიყო თითოეულის დამოკიდებულება. მუზეუმის სალონში ისევ აანთეს შუქი და ყურთამდე გააღეს ფანჯრები, რათა მორცები, მოედნამდე რომ მოვიდოდნენ, მაშინათვე მიმხვდარიყვნენ, რომ აქ, მაღლა შენობაში, ნამდვილი მეგობრები ელოდებოდნენ.

მაესტრო კოტესმა ფოიეში შესვლისას უმალ შენიშნა ეს სიახლე, დაინახა კაშკაშა ნათელი, მუზეუმიდან რომ იღვრებოდა, ათინათი, ერთი სარკიდან მეორეში რომ გადადიოდა და შემოესმა ხმა კამათისა, იქ რომ გამართულიყო. მაგრამ არ იცოდა, რა შეიძლებოდა, ყოფილიყო ამის მიზეზი, რატომ აენთოთ შუქი მუზეუმსა და ფოიეში — არა. მართლა, რა ხდებოდა?

— რას აკეთებენ ისინი იქ? — იკითხა ბოლოს ხმამაღლა.

— რას აკეთებენ? — დაიჩხავლა ლიზეროლე ბინიმ, მიწაზე რომ მოერთხა ფეხი და ზურგით ქმარს მიყრდნობოდა. — ნეტარ არიან უცოდველნი, ძვირფასო მაესტრო!.. ლა სკალას ხუნტა შექმნეს მაგ მაკიაველებმა. უქმად არ დაუკარგავთ არც ერთი წუთი. იჩქარეთ, მაესტრო, თორემ კიდევ რამდენიმე წუთი და შეწყვეტენ ახალი წევრების ჩაწერას. დიდებული ხალხია, იცით?.. გვითხრეს: ყველაფერს ვიღონებთ, რომ გადაგარჩინოთო. ახლა ტორტს ინაწილებენ, კანონპროექტებს ადგენენ, შუქის ანთების უფლება დაგვრთეს... წადით და ნახეთ, მაესტრო, ნამდვილად ღირს... შესანიშნავი ხალხია, იცით?.. ჩასიებული, ნეხვიანი ღორები! — ხმას აუწია. — ვფიცავ, თუ არაფერი მოხდა...

— გეყოფა, ლიზეროლე, — დაამშვიდა ქმარმა, რომელიც თვალებდახუჭული იღიმებოდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყველაფერი ეს მხოლოდ ერთი, ახალი სახეობის სპორტული თავგადასავალი ყოფილიყოს.

— და დონა კლარა? — იკითხა კოტესმა და იგრძნო, როგორ ამღვრეოდა თავში აზრები.

— აა, ეგ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა, ეგ კოჭლაქალა, ეგა!.. ყველაზე ეშმაკურ გამოსავალს მიაგნო, თუმცა — ყველაზე ძნელს... დონა კლარა ერთ ადგილზე არასდროს ჩერდება! ხომ გესმით, ერთ ადგილზე არასდროს ჩერდება?! სულ მიდიმოდის... ერთ სიტყვას აქ იტყვის, მეორეს — იქ და ასე შემდეგ. როგორც არ უნდა შეტრიალდეს საქმე, თავი მუდამ ქუდში აქვს... არასოდეს არ ჰკარგავს წონასწორობას... არასდროს გაამხელს თავის აზრს... არ ჩამოჯდება... ხან აქეთაა, ხან იქით... შედი-გამოდის მაქოსავით, წინ და უკან... ჩვენი შეუდარებელი პრეზიდენტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალიც იყო. გროსგემუთი რომ მიაცილა და უკან მობრუნდა, კლარა პასალაქუა ისევ ფლობდა ვითარებას და ისე მიდიმოდიოდა ერთი ჯგუფიდან მეორეში, რომ არავის ემხრობოდა. თვალთმაქცობდა, არაფერი ვიცი ცალკე შეკრებილთა მიზნებზე. ეს, ალბათ მათი ერთი უბრალო ახირებაა, თუმცა, თავისი დამოკიდებულება რომ არ გაემჟღავნებინა, იძულებული იყო, არავისთან შეჩერებულიყო, რადგანაც გაჩერება საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთებას ნიშნავდა. მიდი-მოდიოდა და ცდილობდა, გაემხნევებინა ყველაზე სასოწარკვეთილი ქალები, მოჰქონდა ახალი-ახალი სკამები, შესანიშნავად მოაწყო განმეორებით მეტად მდიდრული კოქტეილი. კოჭლაკოჭლაობით თავად დაიარებოდა ხონჩებითა და ბოთლებით, რათა ორივე ბანაკის ნდობა გაენაღდებინა.

— პს, პს... — ამასობაში დაუძახა დარაბების მიღმა ჩასაფრებულმა ერთ-ერთმა მოდარაჯემ და მოედნისაკენ მიანიშნა.

ექვსი-შვიდი კაცი სირბილით მივარდა ფანჯარას. კომერციული ბანკის გასწვრივ, კაზე როტეს[46] ქუჩის მხრიდან ძაღლი მოდიოდა. ეტყობოდა, მაწანწალა უნდა ყოფილიყო. თავი ჩაექინდრა და კედელს აჰკრობოდა. ერთხანს მიიმალა და მერე ისევ გამოჩნდა მანძონის ქუჩის დაღმართზე.

— რისთვის დაგვიძახე, ამ ძაღლისათვის?

— ჰმ... მეგონა, რომ ძაღლის უკან...

ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა სულ უფრო გროტესკული ხდებოდა. გარეთ ქუჩები დაცარიელებულიყო, მდუმარება, სამარისებური სიმშვიდე დასადგურებულიყო, გარეგნულად მაინც. აქ, შენობაში კი, ყველაფერი დამარცხებაზე მეტყველებდა: ათეულობით ადამიანი — მდიდარი, პატივცემული და გავლენიანი, ბედს შერიგებული იტანდა იმ დამცირებას, მოსალოდნელ საშინელებას რომ გამოეწვია.

გადიოდა საათები. მატულობდა დაღლილობა, ნაწილებად იშლებოდა სხეული, ზოგიერთებს კი თვალის ჩინიც წართმეოდათ. ძალიან უცნაური იყო: მორცებს შეტევა წამოეწყოთ და ლა სკალას მოედნამდე ამბოხებულთა პირველ ჯგუფს ჯერაც არ მოეღწია. ძალიან დაწყდებოდათ გული, სულ ტყუილუბრალოდ რომ ეჭამათ ამხელა შიში. იმ ჯგუფისაკენ, სადაც ყველაზე უფრო ღირსეული სინიორები შეკრებილან, სანთლების მოკანკალე შუქზე, შამპანურით სავსე ჭიქით მარჯვენა ხელში, ნელ-ნელა მიდის ვექილი კოზენცი, ერთ დროს სახელგანთქმული თავისი გამარჯვებებით, რომელსაც ზოგიერთი მოხუცი ქალი ჯერაც საშიშ მამაკაცად თვლის.

— მომისმინეთ, ძვირფასო მეგობრებო! — მხიარული ხმით დაიწყო კოზენცმა. — ხვალ აქ დამსწრე ბევრი ჩვენგანი, შეიძლება, ვამბობ, შეიძლება-მეთქი, მოხვდეს, ევფემიზმს მივმართავ და ვიტყვი, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკულ ვითარებაში... — მერე მცირე პაუზა გააკეთა და განაგრძო. — მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ხვალ მთელს მილანს მუცელი ხელით ეჭიროს ჩვენზე ოხუნჯობით, თუმცა არავინ იცის, ამ ორი ჰიპოთეზიდან რომელია უფრო სარწმუნო. ერთი წუთით, ნუ მაწყვეტინებთ... მშვიდად შევაფასოთ ფაქტები. რა გვაფიქრებინებს, რომ ასე ახლოსაა საფრთხე? სათითაოდ ჩამოვთვალოთ ამის ნიშნები: პირველი, მორცების, პრეფექტის, კვესტორისა და სამხედროთა წარმომადგენლების გაქრობა მესამე მოქმედებიდან. მაგრამ, მომიტევეთ მკრეხელობა, და ვის შეუძლია, გამორიცხოს, რომ მათ ყელში არ ამოსვლოდეთ მუსიკა და ამიტომ არ მიეტოვებინოთ სპექტაკლი? მეორე, სხვადასხვა ადგილიდან მოსული მითქმა-მოთქმა, სადაცაა აჯანყება უნდა დაიწყოსო. მესამე — ეს კი უფრო სერიოზული გარემოებაა — ხმები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ვიმეორებ, როგორც ამბობენ, ჩემმა ღრმად პატივცემულმა კოლეგა ფრიჯერიომ მოიტანა და თვითონ მაშინვე წავიდა, უფრო მეტიც, ისეთი მცირე ხნით გამოჩნდა, რომ თითქმის არავის დაუნახავს. ამას არ აქვს მნიშვნელობა. დავუშვათ კიდეც: როგორც ფრიჯერიომ თქვა, მორცებმა დაიწყეს ქალაქის ოკუპაცია და პრეფექტურას ალყა შემოარტყეს და ა. შ... საკითხავია, საიდან შეიტყო ეს ღამის პირველ საათზე? განა დასაჯერებელია, რომ ასეთი გასაიდუმლოებული ამბავი მას ასე გვიან ღამით აცნობეს? მერედა, ვინ აცნობა? ანდა, რატომ? ჯერჯერობით კი, ღამის სამი საათი უკვე გადასულია, ჩვენ ახლომახლო რამე საეჭვო ნიშანი არ ჩანს და არც განსაკუთრებული ხმაური გაგვიგონია, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ეჭვი მაინც რჩება, იქნებ სწორია გავრცელებული ამბავი.

— მერე, რატომ ვერავინ ახერხებს ტელეფონით ნამდვილი ამბის გაგებას?

— მართალია, მეოთხე შემაშფოთებელი ნიშანი, ასე ვთქვათ, ტელეფონის დუმილია, — განაგრძო კოზენცმა მას მერე, რაც შამპანურის ყლუპი გადაუშვა ყელში. — ვინც კი ეცადა პრეფექტურასთან ან კვესტურასთან დაკავშირებას, ყველა ამბობს, რომ ეს ან ვერ მოახერხა, ან ვერ შეძლო ხმის მიწვდენა. ჰო, მაგრამ თქვენ რომ ფუნქციონერი იყოთ და ღამის პირველ საათზე ვიღაც უცნობმა, ანდა ეჭვიანმა ხმამ გკითხოთ, როგორ მიდის საქვეყნო საქმეებიო, გეკითხებით, ამაზე პასუხს გასცემთ? და ეს, მიაქციეთ ყურადღება, მაშინ ხდება, როცა უაღრესად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელიკატური პოლიტიკური მდგომარეობაა. მართალია, გაზეთებიც კი დუმან... ჩვენმა ბევრმა მეგობარმა რედაქციებიდან უფრო ზოგადი შეფასება არჩია. მაგალითად, ბერტინიმ, "კორიერედან", ზუსტად ასე მითხრა: ჯერჯერობით ჩვენთან კონკრეტულად არავინ არაფერი იცისო. რომ ვკითხე, რაც შეეხება არაკონკრეტულს, ამაზე რას იტყვი-მეთქი, მომიგო, არაკონკრეტული ის არის, რომ კაცს ვერაფერი გაუგიაო. არ მოვეშვი: მაგრამ თქვენ შეშფოთებული ჩანხართ-მეთქი. მან კი მიპასუხა: ასე არ ვიტყოდი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინცო.

მერე ერთხანს ამოისუნთქა. ყველანი გიჟური სურვილატანილნი უგდებდნენ ყურს. უნდოდათ, კონკრეტული საფუძველი მოენახათ მისი ოპტიმიზმისათვის. სიგარეტის ბოლი ერთ ადგილზე ტრიალებდა, რაღაც უცნაური სუნი იდგა, ადამიანების ამონასუნთქ ჰაერსა და სუნამოებში არეული. აღელვებული ხალხის ხმის ექომ მუზეუმის კარებამდე მოაღწია.

- ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, — თქვა კოზენცმა. — არა მგონია, სატელეფონო ინფორმაციის, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ინფორმაციის ნაკლებობა სერიოზული საფუძველი იყოს შეშფოთებისათვის. რაც შეეხება გაზეთებს, შესაძლებელია, არც მათ შესახებ ვიცოდეთ ბევრი რამ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ რევოლუცია, რისიც ასე ძალიან გვეშინია ყველას, თუკი სადმე დაიწყო, ჯერჯერობით არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. როგორ ფიქრობთ, მორცები, ქალაქის ბატონ-პატრონები რომ გამხდარიყვნენ, "კორიერე დელა სერა"[47] გამოვიდოდა?

სრულ სიჩუმეში ორი-სამი კაცის სიცილის ხმა გაისმა.

— ჯერ არ დამიმთავრებია. მეხუთე შესაშფოთებელი ნიშანი, შეიძლება, იყოს, მაგათი, მანდაურთა გამოყოფა, — და ხელით მუზეუმისკენ მიანიშნა. — ,ეარგით ერთი: ვინ დაიჯერებს, ისინი ისეთი გამოთაყვანებულები იყვნენ, რომ ასე სახალხოდ გაამჟღავნონ თავი, თუკი იმის ელემენტარული იმედი არ ექნებათ, რომ მორცები წარმატებას მიაღწევენ? მაგრამ ჩემს თავს მაინც ვეკითხები: აჯანყება რომ ჩაიფუშოს, მისი დაწყება რომ დავუშვათ, ამა თუ იმ ადგილას, შეთქმულების გამართლების საბაბს რა გამოლევს. აზრზე ხართ, აღარც კი ეცოდინებათ, რა აირჩიონ: მაგალითად, მიტმასნების მცდელობა, ორმაგი თამაშის ტაქტიკა, ლა სკალას მომავლისათვის ზრუნვა და ასე შემდეგ... კარგად მომისმინეთ: ისინი, იქ რომ შეკრებილან, ხვალ დილით... — ერთი წუთით შეყოვნდა და მარცხენა ხელაღმართულს სიტყვა-გაგრძელებას უწყდა. იმ წამს ძნელად დასადგენი მანძილიდან ხმაური მოისმა. აფეთქების ხმა იყო, დამსწრეთა გულებშიც რომ გაიხმაურა.

— იესო, იესო, შენ დაგვიფარე! — წამოისლუკუნა მარიუ გაბრიელიმ და მუხლებზე დაეცა. — ჩემი შვილები!

— დაიწყეს! — ისტერიულად იკივლა მეორე ქალმა.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, საშიში არაფერია! ნუ მოიქცევით უტვინო ქალებივით! — ჩაერია ლიზელორე ბინი.

მერე წინ გამოვიდა მაესტრო კოტესი. გამოთაყვანებული სახე ჰქონდა, მხრებზე ლაბადა მოეგდო, ხელებში კი ფრაკის საყელოები ჩაებღუჯა. ვექილ კოზენცს მიაშტერდა. და საზეიმოდ გამოაცხადა:

— მე მივდივარ.

— სად, სად მიდიხართ? — რაღაც უცნაური იმედით ერთად იკითხა მრავალმა ხმამ.

— შინ, შინ მივდივარ. როგორ ფიქრობთ, აბა, სად უნდა წავიდე? აღარ შემიძლია აქ გაძლება, — თქვა და გასასვლელისკენ გაემართა. ნაბიჯი ერეოდა, გალეწილი მთვრალი გეგონებოდათ.

— სწორედ ახლა? არა, არა, მოიცადეთ! სადაცაა ინათებს! — უკან მიაძახეს.

ამაო აღმოჩნდა შეძახილი. ორი კაცი წინ გაუძღვა ანთებული სანთლებით და ქვემომდე ჩააცილა, სადაც ძილისაგან კისერმოტეხილმა მეკარემ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაუღო კარი.

— დაგვირეკეთ! — ეს იყო უკანასკნელი თხოვნა. კოტესი გზას გაუდგა ისე, რომ პასუხი არ გაუცია.

ზემოთ კი, ფოეში, სირბილით მიასკდნენ ფანჯრებს: დარაბების ჭუჭრუტანებიდან უთვათვალებდნენ, რა მოხდებოდა? დაინახეს, როგორ გადაჭრა მოხუცმა ტრამვაის ხაზი. მოუხეშავად მიაბიჯებდა, თითქმის ბორძიკობდა, მოედნის ცენტრალური გაზონისკენ მიემართებოდა. გასცდა მიყუჩებული ავტომობილების პირველ რიგს, მიდიოდა ტრიალი ადგილისაკენ. მერე ტყაპანის ხმა მოისმა. მაესტრო ასფალტზე გაიშოტა, ხელები გაეშვირა, გულდაღმა ეგდო. გაჭყლეტილი ვეება ყავისფერი ტარაკანა ეგონებოდა შორიდან კაცს.

ვინც კი დაინახა, სული შეუგუბდა. იქვე გაყუჩდნენ, შიშისგან თვალები დაეჭყიტათ, კრინტს ვერ სძრავდნენ. მერე რომელიღაც ქალს სულისგამყინავი ყივილი აღმოხდა:

— სული გააფრთხობინეს!

მოედანი გარინდულიყო. ავტომანქანებიდან, პატრონებს რომ ელოდებოდნენ, არავინ გადმოსულა მოხუცი პიანისტის

მისაშველებლად. არაფერს ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი. ცაზე კი უზარმაზარი კოშმარის სიმძიმე ეკიდა.

— ესროლეს. ჩემი ყურით გავიგონე სროლის ხმა, — თქვა ერთმა.

— რას ამბობთ, დაცემის ხმა იქნებოდა.

— სროლის ხმა გავიგონე, გეფიცებით. ავტომატური პისტოლეტის, კარგად ვერკვევი ასეთ რამეებში.

არავინ შეკამათებია. ასე დარჩნენ გახევებულნი: ვიღაც იჯდა და სასოწარკვეთილებისგან სიგარეტს ეწეოდა, ვიღაც – მიწაზე გაშოტილიყო, ვიღაც კი დარაბებიდან იჭვრიტებოდა. გრძნობდნენ, თანდათანობით როგორ მოდიოდა მათკენ ქალაქის კარიბჭიდან საერთო ბედისწერა.

ამასობაში რუხი შუქის მკრთალი ნათელი მიძინებულ კორპუსებს გადაეფინა. ჭრიალით ჩაისრიალა მარტოსულმა ველოსიპედისტმა. მოისმა გრუხუნიც, შორეული ტრამვაის ხმაურს რომ ჰგავდა. მერე მოედანზე წელში მოხრილი კაცი გამოჩნდა. ურიკას მოაგორებდა, ქაღალდებსა და ნაგავს ჰგავდა, ამასთან ერთად, შიშსაც ჰგავდა. ძალიან მშვიდად შეუდგა მარინოს ქუჩის შესახვევიდან დაგვას. ყოჩაღ! კოტეხის ხელ: რამდენიმე მოსმით მორჩა საქმეს. აი, კიდევ ერთი ველოსიპედისტი, აგერ, ფეხით მოსიარულე მუშა, პატარა სატვირთო მანქანა. ნელ-ნელა იღვიძებდა მილანი.

არაფერიც არ მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, შეანჯღრია თუ არა მეეზოვემ მაესტრო კოტესი, იგი ოხვრით ფეხზე წამოდგა. გამოთაყვანებულმა მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, ლაბადას წამოავლო ხელი და რწევა-რწევით საჩქაროდ შინისკენ გაემართა.

ფოეში, დარაბების ჭუჭრუტანებიდან გათიადთან ერთად დაინახეს, მშვიდი და უჩუმარი ნაბიჯებით როგორ შემოვიდა თეატრში მოხუცი მეყვავილე ქალი. მოჩვენება იყო თუ! გეგონებოდათ, ეს-ესაა ჩაიცვა და საპრემიერო საღამოსთვის მოირთოო, ღამე ისე გაშორებოდა, რომ ოდნავადაც არ შეხებოდა: მიწამდე ჩამოშვებული ტულეს გრძელი კაბა ეცვა, შავი თავსაფარი შემოეხვია, თვალების გარშემო შავი ჩრდილები ჩაბუდებოდა და ხელში პირთამდე სავსე კალათი ეჭირა. გაიარა გალურჯებული ადამიანების შუაში და მელანქოლიური ღიმილით ლიზელორე ბინის სულ ხასხასა გარდენია გაუწოდა.

შენიშვნები:

[1] maquis (ფრანგ.) — იატაქქვეშა წინააღმდეგობის ორგანიზაცია საფრანგეთში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ოკუპანტებს ებრძოდა.

[2] libello (იტალ.) — სატირული, მამხილებელი, როგორც წესი, ანონიმური, წიგნი.

[3] საღამო (ფრანგ.).

[4] questore (იტალ.) — თანამდებობის პირი ძველ რომში: რესპუბლიკის დამყარებამდე - მსაჯული, რესპუბლიკის პერიოდში - კონსულის თანაშემწე, იმპერიის პერიოდში კი - სხვადასხვა საქმის გამგებელი. თანამედროვე იტალიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციონერია, რომელიც სხვადასხვა რეგიონის მთავარი ქალაქების პოლიციას კურირებს.

[5] questura (იტალ.) — კვესტორს დაქვემდებარებული პოლიციის სამმართველო იტალიაში.

[6] siluro (იტალ.) — დიდი, თვითმოძრავი, ძლიერ სწრაფფეთქებადი წყალქვეშა ბომბი, რომელსაც წყლისზედა ან წყალქვეშა ნავიდან, ანდა საბრძოლო თვითმფრინავიდან ისვრიან.

[7] კაი, ბატონო, მე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ბეთპოვენი რომ ყოფილიყო აქ? (მილან. დიალ.).

[8] რატომ? ვერ გაიგონა? ხომ არ ჩაეძინა? (მილან. დიალ.).

[9] არა, არ არის (მილან. დიალ.).

[10] naviglio (იტალ.) — ხელოვნურად ამაღლებული სარწყავი ან სანაოსნო არხი, რომელიც უმთავრესად პადანიაში (ჩრდ. იტალია) სხვადასხვა მდინარიდან (ტიჩინო, ადდა, ოლიო, რაინი და ბრენტა) არის გამოყვანილი. ასეთი არხი პირველად XII საუკუნეში გაიყვანეს მდინარე ტიჩინოდან (ქალაქ ტორნავენტოს სიმაღლეზე) მილანამდე და XIII საუკუნეში გადააკეთეს. არხი მილანში ტიჩინოს კარის მცურავ დოკში გამოდის და დიდ ნავიღიოს უერთდება.

[11] ტაშის დამკვრელი (ფრანგ.).

[12] ბუმბული (ფრანგ.).

[13] მენეგინი (Meneghin) XVII საუკუნის მილანურ დრამებში გონებამახვილი და პატრონის ერთგული მსახურის სიმბოლოდ ქცეული პერსონაჟის, დომენიკოს სახელის, ლომბარდული ვარიანტია. ამიტომ გამოთქმა "მენეგინური" "მილანურს", "მილანურ დიალექტს" ნიშნავს.

[14] ანტრაქტი (ფრანგ.).

[15] ეჰ, მოვხუცდი! (მილან. დიალ.).

[16] luna (იტალ.) park (ინგ.) — ცისქვეშა ატრაქციონების პარკი.

[17] მაგრამ ეს, სულაც არაა ჰეროდეს სასახლე. ობერკომენდანტურა უნდა დაეწერათ ზედ (მილან. დიალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

[18] სულ სარკეს არ მიუგავს თავი! (მილან. დიალ.).
[19] ნაღები საზოგადოება (ფრანგ.).
[20] კომენდატორი თავდაპირველად შუა საუკუნეების ევროპაში აღნიშნავდა სარაინდო ორდენის ხარისხს — მხედარსა და უფროს ოფიცერს, ანუ დიდი ჯვრის მხედარს, მოგვიანებით კი იტალიაში გადაიქცა საპატიო ტიტულად, რომელსაც განსაკუთრებული, როგორც წესი, შრომითი საქმიანობისათვის, დამსახურებისათვის ანიჭებდნენ.
[21] შედევრია, ნამდვილად. ნამდვილი შედევრია (ფრანგ.).
[22] მომეჩვენა, რომ, მგონი, ლენოტრი იყო. დარწმუნებული ბრძანდებით, რომ იგი არ არის? (ფრანგ.).
[23] საღამოს კონსერვატიული გაზეთი, რომელიც 1861 წელს დაარსა ა. ნეფცერმა პარიზში. გამოდიოდა „ლე ტემპის" (Le Temps) სახელწოდებით. მესამე რესპუბლიკის პერიოდში დიდი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა როგორც საფრანგეთში, ისე საზღვარგარეთ. მეორე მსოფლიო ომის დროს რედაქცია ლიონში გადავიდა. გაზეთმა არსებობა შეწყვიტა 1942 წელს, როდესაც გერმანელებმა ეს ქალაქი აიღეს. 1944 წელს განაახლა გამოსვლა „ლე მონდის" (Le Mond) სახელწოდებით.
[24] რომელ საათზე გამოდის "კორიერე დელა სერა"? (ფრანგ.).
[25] ეს იტალიის ყველაზე ავტორიტეტული გაზეთია, არა, მადამ? (ფრანგ.).
[26] ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ (ფრანგ.).
[27] მაგრამ ხვალ დილამდე... (ფრანგ.).
[28] ღამე მუშაობენ მის გამოცემაზე, არა, მადამ? (ფრანგ.).
[29] დიახ, დილით გამოდის. მაგრამ შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ პანეგირიკის მაგვარ რამეს გამოაქვეყნებენ. მითხრეს, რომ კრიტიკოს მეტრ ფრატის ძალიან არეული იერი ჰქონდაო (ფრანგ.).
[30] კარგით, კარგით, ვფიქრობ, ეს მეტისმეტი იქნება (ფრანგ.).
[31] მადამ, ეს საღამო გრძელია და ამავე დროს — იღბლიანიც... სხვათა შორის, მახსენდება კიდევ ერთი გაზეთი, "მესარო" ჰქვ-ა, თუ არ ვცდები... (ფრანგ.). გროსგემუთი ამახინჯებს იტალიური გაზეთის სახელწოდებას "მესაჯერო".
[32] "მესარო"? (ფრანგ.).
[33] იქნებ, "მესაჯერო"? (ფრანგ.).
[34] პო, პო, სწორედ "მესაჯერო", მინდოდა, მეთქვა (ფრანგ.).
[35] მაგრამ "მესაჯერო" რომში გამოდის! (ფრანგ.).
[36] მაგრამ მაინც გამოგზავნეს თავისი კრიტიკოსი (ფრანგ.).
[37] ახლა კი ტელეფონზეა მიმკვდარი, რათა გადასცეს თავისი რეპორტაჟი (ფრანგ.).
[38] აჰ, დიდი მადლობა. ვისურვებდი, ხვალ დილით მენახა ეს "მესაჯერო" (ფრანგ.).
[39] ბოლოს და ბოლოს, ეს რომაული გაზეთია, გესმით? (ფრანგ.).
[40] გამაოგნებელია! მაგრამ, გამოვიცანი — ეს მოოქროვილი ვერცხლია! (ფრანგ.).
[41] ბავშვის მომვლელი ქალი (ინგ.).
[42] ბალმანი — სუნამოებისა და ტანსაცმლის ფრანგული ფირმა.
[43] სოლდო — ძველი ევროპული მონეტა, რომელიც რომის გვიანდელი იმპერიის ფულის ერთეულიდან - სილიდუსიდან წარმოიშვა. იტალიის სინამდვილეში მრავალგვარი ტრანსფორმაცია განიცადა და, საბოლოოდ, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე ლირის ერთ მეოცედს უდრიდა. დღესდღეობით ეს სიტყვა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ფულის უქონლობას ნიშნავს.
[44] ზანდის ტომის ხალხი, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე ზაირის ტერიტორიაზე, მდინარეების: ნილოსისა და კონგოს და ჩადის ტბის აუზებში.
[45] მასკერა — თეატრის მუშაკი (maschera, იტალ.), რომელიც დაგვიანებულ მაყურებელს ჯიბის ფარნით პარტერში მიაცილებს.
[46] case rotte (იტალ.) — დანგრეული სახლები.
[47] მილანური ლიბერალური გაზეთი, რომელიც 1876 წელს დაარსა ეუჯენიო ტორელი-ვიოლიერმა. 1899 წლიდან გამოდიოდა მისი ყოველკვირეული დამატება La Domenica del Corriene („კურიერის კვირადღე"). მისი ტირაჟი განსაკუთრებით გაიზარდა ლუიჯი ალბერტინის რედაქტორობისას, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა უცხოეთის ქრონიკას. დიდი იყო მისი გავლენა ნეიტრალიტეტის პერიოდში, ე. ი. მანამდე, ვიდრე იტალია პირველ მსოფლიო ომში ჩაებმებოდა (1914-1915). 1925 წელს ფაშისტურმა მთავრობამ ალბერტინი აიძულა, გაზეთი დაეტოვებინა, მის ადგილას „ი უგო ოიეტი დანიშნა. იტალიის გათავისუფლების შემდეგ ერთი პერიოდი გაზეთი არ გამოდიოდა, 1944 წლიდან კი განაახლა გამოცემა ჯერ Corriere d'informazione-ს („საინფორმაციო კურიერის"), შემდეგ კი Il Nuovo Corriere della sera-ს („საღამოს ახალი კურიერის") სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსალური აქტუალურობის საკიეგელი

დინო ბუცატი, ანუ დინო ბუცატი ტრავერსო (1906-1972) XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი იტალიელი მწერალია. მისი შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშს ჩვენს მიერ იტალიურიდან შესრულებული თარგმანებით უკვე იცნობს ქართველი საზოგადოებრიობა.* ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მოთხრობას, „შიში ლა სკალაში" (Paura alla Scala), რომელიც პირველად 1948 წელს გაზეთ „ევროპელში" დაიბეჭდა ოთხ გაგრძელებად (18-24 ოქტომბერი, 25-31 ოქტომბერი, 1-7 ნოემბერი, 8-14 ნოემბერი). იგი შემდეგ მწერალმა მცირეოდენ გადამუშავებული სახით დასტამბა კრებულებში „შიში ლა სკალაში" (მილანი. 1949) და „სამოცი ნოველა" (მილანი. 1958). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უმნიშვნელო პუნქტუაციურ და ორთოგრაფიულ შესწორებას, მოთხრობა ასეთივე სახით გამოქვეყნდა ჯულიო კარნაცის რედაქციით დასტამბულ მწერლის თხზულებათა რჩეულში (Dino Buzzati, *Opere scelte*, a cura di G. Carnazzi, Milano, Arnaldo Mondadori Editore, 1998, გვ. 697-740.). წინამდებარე თარგმანი მისდევს 1949 წლის გამოცემის ტექსტს, რამდენადაც, ვფიქრობ, იგი უფრო ზუსტად გამოხატავს ავტორისეულ ლიტერატურულ ნებას.

მოთხრობას საფუძვლად ერთი კონკრეტული შემთხვევა დაედო. 1948 წელს მწერალს მისმა მეგობარმა, ყოველკვირეულ გაზეთ „ევროპელის" მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა, არიგო ბენედეტიმ სთხოვა, მხატვრულად აესახა წითელი რევოლუციის შიში, რომელსაც მთელი იტალია გაეთანგა. სწორედ ამ პერიოდში, 1948 წელს, მოეწყო თავდასხმა პალმირო ტოლიატიზე, ამავე წლის 18 აპრილს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები (Antonia Veronese Arslan, *Invito alla lettura di Dino Buzzati*, Milano 1974, გვ. 82.), სადაც, ექსპერტები გამარჯვებას პალმირო ტოლიატის მეთაურობით კომუნისტურ პარტიას უწინასწარმეტყველებდნენ. დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურები, რომელთაც ეს გარემოება სერიოზულად აშფოთებდათ, აპოკალიფსური მომავლის სურათებით ყოველნაირად აღვივებდნენ შიშსა და ანტიკომუნისტურ განწყობას იტალიის საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც ბუცატი ძველ მილანურ ტრადიციულ ბურჟუაზიას უწოდებს.

XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი განსაკუთრებული პერიოდია თავად ბუცატის შემოქმედებაშიც. იგი ადრეულ მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტულ ნაწარმოებთაგან განსხვავებით, ახლა უფრო რეალისტურ თემატიკას ამუშავებს (E. Cecchi, *Sessanta racconti*, გაზ. *Corriere della Sera*, 10 ივლისი 1958; გადმოიბეჭდა წიგნში *Letteratura italiana del Novecento*, 2. Milano 1972, გვ. 1006-1011.). ამ თავისებურებითაა აღბეჭდილი როგორც წინამდებარე, ასევე კრებულში „შიში ლა სკალაში" შემავალი სხვა თხზულებები. ამიტომ, არიგო ბენედეტის თხოვნას რომ ასრულებდა, მწერალმა არ მიმართა მისთვის სანუკვარ ალეგორიას, პირიქით, უალრესად კონკრეტული სიტუაციის ფონზე სეისმოლოგიური სიზუსტით განაზოგადა მისი თანადროული იტალიის პოლიტიკურ-კულტურული პათოსი. მხატვრულ გარემოდ შეარჩია მილანის ოპერის თეატრი „ლა სკალა", რომელიც ყოველთვის იყო იტალიის უმაღლესი ბურჟუაზიის კულტურული და იდეოლოგიური საბრძმედე. აქ განავითარა მწერალმა მარტივი, სწორხაზოვანი სიუჟეტი: ერთი შეხედვით, გარდაუვალი და უეჭველი პროლეტარული რევოლუციის საფრთხე ერთი ღამის მანძილზე შებორკავს „ლა სკალას" მაყურებლებს. მწერალი ექსპრესიული კრეშენდოთი აღწერს, თუ როგორ იზრდება შიში, მეორე დილით კი გვიჩვენებს, რომ თურმე არაფერიც არ მომხდარა, არც ხდებოდა და არც არაფერი იყო მოსალოდნელი ამ დღისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, კლაუდიო კოტესის მსგავსად, ბუცატი თავად იყო ლა სკალელი ბურჟუაზიის ერთ-ერთი ყველაზე კანონიერი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, იშვიათი სატირული სული შთაებერა ნაწარმოებისათვის და „რევოლუციონერთა" დაგმობის ნაცვლად, დაუნდობლად გაეკრიტიკებინა საკუთარი კლასის წარმომადგენლები.

მწერალი ქირურგიული სიზუსტით აღწერს მოვლენებსა და ხასიათებს. გვიჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მილანელი ბურჟუებისათვის ჩაცმულობას: საკულტო თვეებში ელეგანტურ ტანსაცმელში არიან გამოწკეპილნი, ნაკლებად პრესტიჟულ სეზონში კი თავს უფლებას აძლევენ, მოვიდნენ იმ ტანსაცმლით, რისი ჩაცმის უფლებას ეტიკეტი მხოლოდ ნაშუადღევს იძლევა.

ბუცატი შესაშური მხატვრული ოსტატობით მიანიშნებს სტრიქონებს შორის სიტუა-

---

* *დინო ბუცატი, მოთხრობები: „შვიდნი მალემსრბოლნი", „შვიდი სართული", „თავდასხმა დიდ ქარვანზე", „კოლომბრე", „როგორ მოჰკლეს დრაკონი", „მოსასხამი", „ავდარი მდინარეზე", „კაცი, რომელიც თავს იფასებდა", ე. „საუნჯე", 1997 წ. თბ. გვ 73-129; მისივე „ვიღაც, ვისი სახელი „ლ-თი" იწყება", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 37 (3242), თბ., 1999 წ. 10=17 სექტემბერი. გვ. 15; მისივე, „ცრუ ამბები", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 28 (3223), თბ. 1999წ. 9-16 ივლისი, გვ. 14.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციათა ქვეტექსტებსა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიაზე. „ზემოთ, მტრედებთან ერთად ქანდარაზე შემომსხდარიყვნენ", წერს, მაგალითად, მარკიზ მარიცონიებზე და ამით ნახევარტონებში გვეუბნება, ავი ენები მათზე ამბობენ, უფულობის გამო ქანდარაზე სხედან და მტრედებთან ერთად უყურებენ ოპერასო. ბომბასეისთან შეხვედრისას კოტესის სიტყვებს „ალბათ სიტყვა იმაზე, გინდა, გადამიკრა, ონავარო ბიჭუნავ, რომ ჩემს ასაკში დროული იქნებოდა..." ბუცატი ასეთ კომენტარს უკეთებს: „გულუბრყვილოდ მიუგო იმანაც, რათა ქათინაური დაემსახურებინა". მწერალი ამბობს „ქათინაური დაემსახურებინა" და ამით მიგვანიშნებს იმაზე, რომ კოტესი იმიტომ უჩივის სიბერეს, რათა ბომბასეიმ უპასუხოს: რას ბრძანებ ბატონო, რა დროს თქვენი სიბერეა, შესანიშნავად გამოიყურებითო. ასეც ხდება.

მხატვრული სიტყვის სიზუსტე მწერალს საშუალებას აძლევს, ვიზუალურად დაგვისურათხატოს ვითარება. ვნახოთ, მაგალითად, როგორ აღწერს იგი ერთ დეტალში თეოდორო კლისის: „ამბობდა და თან ჭარჯვენა ხელის თითებს მარცხენა ხელის ცერა თითის წვერს ჰკიდებდა". მართლაც, იტალიელები, ჩვენგან განსხვავებით, დათვლისას მარჯვენა ხელის თითებს მარცხენა ხელის თითებს კი არ ადებენ, არამედ მარჯვენა ხელის თითებს მარცხენას ბალიშებს ჰკიდებენ.

მდიდარია მწერლის ენა. მაგალითად, სიტყვაძუნწ, გაცვეთილ ტანსაცმელში გამოწყობილ ხანში შესულ წყვილს „ჯიბეგახვრეტილ ნათესავებს" უწოდებს და ამით ძალიან ზუსტად ხმარობს სოციალური მნიშვნელობის იტალიური ტერმინს: ცოლ-ქმარი ელიტის ნათესავებია, მაგრამ ღარიბი, ჯიბეგახვრეტილი ნათესავები. ანდა, გავიხსენოთ, როგორ აფასებს მშვენიერი მადი კანესტრინის გულმკერდს: „რაც მართალია, მართალია, ისე ბრნყინავდა ამ უამრავ ხალხში, როგორც — შუქურა კეთილი იმედის კონცხზე". რა თქმა უნდა, მწერალი ირონიაშეპარულ მეტაფორას მიმართავს, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობითაც, გულმკერდი შეიძლება, ბრწყინავდეს და მერე როგორ! ანდა, განა, ირონიული არაა მწერალი, როდესაც გვეუბნება, რომ ლა სკალელი საზოგადოების წარმომადგენლებს „უმანკო ყრმების კი არა, სულ სხვაგვარი ამოხოცვა უშფოთებდათ გონებას".

მწერალი ერთგულად იცავს პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებასაც. მაგალითად, დაუნდობლად აკრიტიკებს მისი თანამედროვე პრესის ფსევდო-მხატვრულ ენას და მას იტალიური ჟურნალიზმის ფუჭ აკრობატობად მიიჩნევს. გაზეთები, გროსგემუთის ოპერას რომ ახასიათებენ, წერენ: „მელოდრამა ბოლოს და ბოლოს, ციმბირში გადასახლებიდან, სადაც ალქიმისტებს მისთვის ოცხლე ძლიერი ნარკოტიკებით შეეფარებინათ, სიმართლის მივიწყებულ შარაგზაზე დაებრუნებინა". მწერალი ამით გვაჩვენებს, თუ როგორ ფსევდომხატვრული სახეებითა და ფსევდომეტაფორებით აზროვნებენ იტალიელი ჟურნალისტები.

„შიში ლა სკალაში" ღრმა რეალისტური მოთხრობაა, მაგრამ მწერალი არ ცდილობს არც პოლემიკას და არც — ვინმეს იდეოლოგიურ კრიტიკას. მისი მიზანია, შეიცნოს არა ის, თუ რა მოხდა ან რა უნდა მომხდარიყო, არამედ ის, თუ როგორ და რატომ იქცევა ასე ხალხი, როგორია ე.წ. ნაღები ხალხის ფსიქოლოგია, ქცევა, ურთიერთმიმართება ექსტრემალურ სიტუაციაში, არაორდინალური მოვლენის წინაშე. მას აინტერესებს, მხოლოდ და მხოლოდ კოლექტიურმა შთაგონებამ როგორ შეიძლება გარდაქმნას ობიექტური ვითარება. რეალიზმისადმი ერთგულება და შესაშური მხატვრული ოსტატობა მწერალს საშუალება აძლევს, დაინახოს ვითარების ამბივალენტობა და მასზე დააფუძნოს მოთხრობის მხატვრული ეფექტი: გროსგემუთი ორ ტაფაში იწვოდა: გერმანელების კონცერტს უდირიჟორა და ამავე დროს მაკიებსაც დაეხმარა; მის ორატორიაში ნაცისტებიც იგულისხმებიან და მოკავშირეებიც; პატივცემული ლაიანი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მორცელი იყო, ახლა მათი მოწინააღმდეგე და მათგან შერისხული ხდება; კლარა პასალაკუა რევოლუციონერიცაა და კონტრრევოლუციონერიც, და ა. შ. ამით მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მის თანამედროვე საზოგადოებაში გამქრალია ყოველგვარი საზღვარი: ბოროტება, შეიძლება, ბოროტებაც იყოს და სიკეთეც, სინამდვილე - სინამდვილეც და სიცრუეც... ამიტომ შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ კრიტიკოსებს, რომლებიც მოთხრობას იტალიის უახლესი ისტორიული რეალიების სიურეალისტურ ასახვად მიიჩნევენ (N. Giannetto, *Buzzati o il coraggio della fantasia*, in «Annali». Istituto universitario di Lingue moderne. Facoltà di Lingue e Letterature Straniere, Sede di Feltre, 6, Ravenna, 1983, p. 96.). მეტსაც ვიტყოდი: იგი, მოთხრობებთან „და მაინც აკაკუნებენ კარებზე" (Eppure battono alla porta, 1940) და „კვერცხი" (L'uovo, 1962) ერთად იმისი ნათელი დადასტურებაა, თუ რამდენად რეალისტური შეიძლება იყოს ყველაზე ფანტასტიკური ლიტერატურაც კი. სწორედ აქაა მოთხრობის მარადიული და უნივერსალური აქტუალურობის საძიებელი.

იტალიურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო **მამა შურლაიამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

„რატომ არ მოვედ წვიმადა“

დიდი ხანია მინდოდა შთაბეჭდილებები გამომეთქვა ერთ წიგნზე და, მიზეზთა გამო, აქამდე ვერ შევძელი. ეს არის „გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი — მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი — ჩაიწერა ეთერ თათარაიძემ“. წიგნი მწერალთა დამოუკიდებელმა ასოციაცია „გულანმა“ გამოსცა 1991 წელს. რედაქტორი და მოხდენილი წინათქმის ავტორია სალომე ზვიადაძე. გარეკანის მხატვარი თენგიზ მირზაშვილია, მაგრამ აშკარა პოლიგრაფიულ ნუნს მისმა ხელრთვამაც ვერ უშველა. ეს მართლაცდა „ხელის-ხელ საგოგმანები“ წიგნი იმდენად ულიმლამოდ არის გამოცემული (უვარგისი ქაღალდი, ბეჭდვის მდარე ხარისხი), ზოგიერთ გვერდს ნაკითხვა არ უხერხდება. ამდენად, საჭიროა მომზადდეს ახალი გამოცემა, რომელსაც რამდენადმე მაინც შინაარსის შესაფერისი გარეგნული სახე ექნება.

უთუოდ მადლობის ღირსია საზღვარგარეთ არსებული ქართულ-ევროპული ინსტიტუტი და მისი თავკაცი ბატონი ჯანრი ჯაშია, ვისი თაოსნობითაც ეთერ თათარაიძის ნამუშევარს დაბეჭდვამდე საქვეყნო აღიარება ერგო — პრემია მიენიჭა.

წინასწარ შემუშავებული და დაწყობილი გეგმით ამ წიგნის შეფასება შეუძლებელია (ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არც თავად „ნაამბობი“ ემორჩილება) და მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუ ზოგჯერ ლოგიკურ მდინარეობას ვერც მე მივყვები.

●

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს — გენიოსებმა კარგად იციან თავიანთი თავის ფასი. მათი ცნობა ასეთ შემოქმედთა თანამედროვეებს უჭირთ.

გაღიზინებული გრაფი ვორონცოვი ერთ ტიტულოვან მოხელეს მოხსენებით ბარათში აცნობებდა — პუშკინს თავი გენიოსი ჰგონია, სინამდვილეში ბაირონის სუსტი მიმბაძველია და გთხოვთ ეს პუშკინი ოდესიდან მომაშორეთო.

ასე ფიქრობდა თავისი დროის საკმაოდ განათლებული პიროვნება და რა გასაკვირია, ვაჟას სიდიადეც, ძირითადად, შეუმჩნეველი რომ დარჩა მის სიცოცხლეში.

აკადემიური სკოლის დიდად განსწავლული მხატვარი გიგო გაბაშვილი კი ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრობას ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა.

შოპენჰაუერი ამბობს უპანიშადების ვედების შემქმნელებზე, რომ მათი უბრალო მოკვდავებად ჩათვლა არაფრით არ შეიძლებაო. იგივე ითქმის ვაჟაზე, რომელსაც თავად ჰქონდა შეცნობილი თავისი გამორჩეულობა. ასე რომ არ ყოფილიყო, არ იტყოდა:

მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ, — ეშმაკს შეჰშურდა.

ვაჟა-ფშაველამ ჯერ კიდევ გორის საოსტატო სემინარიაში ყოფნისას, სრულიად ყმანვილმა, იგრძნო თავისი სულიერი და მსოფლმხედველობრივი ნათესაობა გოეთესთან და ეს განცდა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს. კიდევ უფრო თვალსაჩინოდ და ღრმად საკუთარი მრწამსი, შემოქმედების თავისებურებანი გამოხატა შედარებით ადრინდელ (1894) ლექსში „ნუგეში მგოსნისა“, კერძოდ, ფინალურ სტროფში:

უსულო საგნებს სული ჩაგბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა,
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა.

ჩვენს მწერლობაში ვერ დავასახელებთ მეორე პოეტს, ბუნებასთან ვაჟასავით ახლო რომ მდგარიყო. ამას საგანგებო მტკიცება არც ესაჭიროება.

გიორგი ლეონიძეს აქვს ვაჟაზე დაწერილი ერთი მცირე, სიჭაბუკისდროინდელი ლექსი, რომელშიც უძველესი წარმართული სული ტრიალებს. მის წამკითხველს თავი მთიელთა ხატობაზე გეგონება. ერთმანეთზეა გადანასკვული ღრეობისა თუ მსხვერპლშეწირვის უცნაური სურათები. ქაფმოგდებული, მომწარო ლუდით გადავსებულ ჭურჭელს, ახალდაკლული, მუცელზე გაფატრული ტახის სხეული ენაცვლება („კერატი სისხლში გადარნეული...“). ერთმანეთშია არეული ცეცხლის ნაპერწკლებით დაკემსილი კვამლი და მოთუხთუხე ქვაბებიდან ავარდნილი წითელი ოხშივარი.

ამ ფონზე ვაჟა ნაყოფიერების ღვთაებასავით დაალაჯებს. ასეთად გვიხატავს მას ლექსის პირველი სტრიქონი: „ხარ ბახტრიონის დევი მაგარი...“ მრავალი თანამედროვის წარმოსახვაში ვაჟა-ფშაველას დევკაცის იერი ჰქონდა, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვრიე, ჯან-ღონიან ლექსშიც იგი თვალშეუდგამი სიმაღლის ზღაპრულ, ხერხემალგაუდრეკელ გოლიათად, „საქართველოს ხარად“ არის გამოყვანილი. დევი აქ გრძნეულობის, ღმერთთან ნილნაყარობის აღმნიშვნელი სიმბოლოცაა.

სწორედ ამ „დევის“ ნაშიერის, მისი ერთ-ერთი ქალიშვილის მახსოვრობის ნაირფერ, ულამაზეს ყვავილებს ვჭვრეტთ ეთერ თათარაიძის ხელით თუშურ ფარდაგივით ნაქარგ მომცრო წიგნში.

დევობის ამგვარ გაგებაზე მიგვანიშნებს თვით გულქანიც, როცა მამის გულჩათხრობილ, პირქუშ ხასიათს გვიხატავს:

„არ უყვარდა შვილებში გამორჩეულად არავინა. ვერა ნახავდი შვილების მოფერებაში. — გოგოო, შენ ყოჩაღი ქალი მყევხარო და თავზე ხელი დამადვის.

— მაგასავით დევიანი ხარო, — მაყვედრიან ჯალაბთა, — შე არგასაზრდელოო და იმით უყვარხარო.

ჰმ! დევიანი — მძლავრიო...“

აქ უნებურად მაგონდება ნამსხვრევებად შემორჩენილი ჩვენი ხალხური ეპოსის „ამირანიანის“ ერთი ადგილი. ასე მგონია, იმ უხსოვარ ჟამს გულქანისთანა გრძნეული არსება დაინახა დევების ქორწილის შემსწრემ, „ჯიხვთმწყემსა ქალაის“, დალის ნაშობმა, ღმერთთან მორკინალმა ამირანმა, როცა მედიდურად მოარულს ქარაგმულად გასძახა:

რას იცინი, დევის ქალო,
რას მიელვი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამამივლი,
გამისინჯავ ბაგე-კბილსა...

ეთერ თათარაიძის ჩანაწერებს რომ ვფურცლავდი, სწორედ ეს „დევის ქალი“ ამოიზარდა ჩემს თვალწინ. ვეღარ მოვწყდი წუთისოფლის ჭრელ სურათს, ამ უცნაურ ნაამბობს; ვინც გინდათ, რომელი წამკითხველიც გნებავთ — მრავალთა და მრავალთა „კბილის გასასინჯად“, სულის სიძლიერის შემმოწმებლად გამოდგება ბუდემოშლილის, სამუდამოდ მამის კერას მიჯაჭვულის ნაფლეთ-ნაფლეთი მოგონებანი.

თავიდანვე უნდა ითქვას — გულქან რაზიკაშვილისთანა ნიჭიერი, პირუთვნელი ადამიანის არსებასთან, ბუნებრივია, შეუთავსებელი იქნებოდა ყოველგვარი შური, ბოროტება; ამ საძრახ მანკიერებას მან შემაძრწუნებელი სიტყვიერი გამოხატულება მოუძებნა: „მე სულაც არ გამივლის გულში სხვისი ავშავი, ზოგ-ზოგსავით გველებით ნაწლავებს არ ავივსებ...“

წარმომიდგენია, რანაირი მარილიანი სახე და გამოხედვა ექნებოდა ყმაწვილქალობაში გულქან რაზიკაშვილს. თავად იხსენებს, პირველ ქმართან ერთად (ღალატისა და უხასიათობის გამო „უგემური“ რომ შეარქვა) მოშორებულ სოფლებში ნასულს როგორ ეხვეოდნენ გარს:

„რამდენიც სამგზავროზე წავედით მე და ჩემი კაცი, იმდენი ვისი ქალი ხარო? მე არაფერზე ლამაზი არ ვიყავი, მაგრამ რავი, აბა“.

ერთ თავის ფოტოს იხსენებს:

„ერთი სურათი იყო, რო თვალს ვერ მაა-შორებდი, ხევსურის ქალები ამბობდენ, კედელზე დავკიდებთ, ღვთისმშობელიაო. მართლა შუქიანი ვარ იმ სურათშია“.

ერთი კაცი მოსწონდა თურმე, მაგრამ სმას გადაჰყოლია, გალოთებულა:

„მინაში ჩაძვრეს ის დანელებული ისა, გუგუტაი... ერთი ხევსური მამწონდა. გულითა და საქცით იყო კარგი, საქცითა. არ მიყვარდა, მამწონდა... აიყოლ-გაიყოლიეს. სმა დაიწყო და იმაზე გამიცუდდა გული...“

ჩვენი მთიანეთის ქალები იმთავითვე საუცხოო მოლექსეებად ითვლებოდნენ. ერთ მათგანს თვითონ გულქანი იხსენებს.

ჩვეულების თანახმად, ვაჟას გარდაცვალებისთანავე, მისი თოფ-იარაღი და ტალავარი ორმოცი დღე ჰქონდათ გაშლილი. აქ იყო მისი გაცრეცილი ჩერქეზული ჩოხაც, რომლითაც ერთ საოცარ სიზმარში ნახულობს ქალიშვილი მამას. მთელი ფშავ-ხევსურეთის ქალები დასტირიან მიცვალებულს:

„ერთი დედაკაცის ნატირალი ახლაც მახსონ. ის არ დამავიწყდება. ის დედაკაცი იყო ბეროთ ნათელაი, ვისი სიტყვები დავიმახსოვრე, ბუთლაის სახლობა, იმის ქმარს ბუთლა ერქვა, თვითონ კანალხეველი ქალი იყო:

ეს არიაო ჩვენ ლუკაიო,
ბადალი მთელი ხმელეთისაო...
ვერ გაიგეთაა, ჩარგალლებოო,
შაგვეხსნა რკინის კარებიო“.

ქალმა იცოდა, ვისზედაც მოსთქვამდა, შეუძლებელია, ამის მთქმელს შეცნობილი არ ჰქონოდა „ალუდა ქეთელაურისა“ და „გველისმჭამელის“ სილრმე და სიდიადე.

ხმით ნატირლები — ერთგვარი ექსტაზის ჟამს შექმნეს უდიდესი არტისტიზმითა და ღვთაებრივი პოეტური გზნებით ანთებულმა ჩვენმა მთიელმა ქალებმა.

მათი ჯიშის და გვარისა გახლდათ გულქან რაზიკაშვილი, რომელიც, განგების ნებით, ღმერთკაცის სულის ნაწილი იყო.

●

ეთერ თათარაიძე გულქანს ერთმა ფშაველმა ქალმა, მაუბარაშვილმა, წარუდგინა, თან მანამდე გააფრთხილა, იმდენად გულჩათხრობილია, შეიძლება „გამარჯობაზეც“ არ გიპასუხოსო. არ გამართლდა იმ ქალის ეჭვი. ამოხედა თუ არა მისულს, მაშინვე ახლობლად, საკუთარი ხასიათის მონათესავედ შეიცნო, მისი ხელი მუხლზე დაიდო, მოეფერა, გაძვალებული თითები გადაუსვა და ერთადერთი ფრაზა უთხრა:

„ეიი, ეხლა შენ შეგჭამენ, ეხლა შენ ამოგაძრობენ სულსა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სინანულით, მოსხლეტილად ნათქვამი ვაჟას მთელ ტრაგიკულ ბედზეა მიშუქებული.

მოხდა სასწაული — ეთერ თათარაიძემ შეძლო ის, რასაც მის გარდა ვერავინ შეძლებდა — ფასდაუდებელი საუნჯე გადაგვირჩინა და გამოამზეურა.

უპირველესი შთაბეჭდილება, რაც თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ნაამბობს, ის არის, რომ გულქანი წამით არ წყდება, ფესვებითაა მიბმული თავის დიდ მშობელს. უკიდურესი, გაუთავებელი გაჭირვებითაც გავს მამამისს. დაღამებისა ეშინია: მასავით ჭრაქი და ნავთი აქვს სანატრელი. თავის თავს ხშირად ადარებს ღამის მწუხარე ფრინველს („ვზივარ მშიერტიტველი ბუვივითა...“). არცთუ იშვიათად თავისებურად ეტოლება კიდეც ვაჟას. ისე ვერ იტყოდა: „მე და მამას ერთ კალაპოტში გვიდგა ფეხები და ერთნაირად დავბერდით“.

დროდადრო თითქოს გულთმისანის ნაღვლიანი ბუტბუტი ჩაგვესმის, თავისი წუხილის მოზიარედ გხდის:

„მამაჩემი იყო ტანჯული და ეხლა მენა ვარ ასეთი. მე და მამამ წუთისოფლისა ვერაფერი გავიგეთ... ხუთმეტისა ვიყავ, მამა რომ დამეღუპა... მოხრილი ვარ, ძლივ დავცოცავ... ხალხი აქამდე მაშინებდა, ეხლა მივეჩვიე...“

ბებრული ხვნეშით ამოთქმული ყოველი ფრაზა უფსკრულივით შეიძლება გადაიხსნას და მსმენელი მის სილრმეში დაინთქას.

ყოველთვის ისე გამოუდის (ეს არც გვეხამუშება), რომ თავისი თვისებები, ხასიათი მამისას შეუდაროს, არასოდეს ეთიშება, ფიქრით მუდამ მასთანაა, გარდასულს აცოცხლებს, აკვირდება:

„ძროხებში დავბერდი, საქმეში დავბერდი, ეხლაც ვერ გამაშვებინებენ საჩეჩელ-საქსოვსართავსა. მამაიც ეგეთი იყო. სუ შრომა... — შვილო, არ მომიტანე ჭრაქიო? ნავთი არ გვქონდა...“

დედის უეცარი გარდაცვალების სურათს რამდენიმე მოკვეთილი ფრაზა ხატავს. მომაკვდავს (ეს შვილებმა არ იციან) თავი სიპ ქვაზე უდევს. შემთხვევით შემოდის მეზობლის ქალი და დაფეთებული ჩასძახის:

„ — კეკე, კეკეე, ქალოო! — და თავი გადაუგორდა დედასა... ეგ მახსოვს. მამა ყვარელში იყო წასული, იქ ეთქვათ სანადიროდ ნამყოფისთვინა, ცოლი მოგიკვდა, წვრილშვილი ლოგინში ჩამსხდარი გიჟივისო... ნეტა აქა ყოფილიყო, იქნება დედას ეცოცხლა...“

მამას იმოწმებს, მამას ალაპარაკებს, თავისი გაუტეხელი ბუნება, სიკერპე რომ დაგვანახოს: „მამამ თქო ერთხელა, მახსონ: გულქანი მე მგავო ხასიათშიო, ნუღარ. ელაპარაკებით, ერთ რო იტყვისო“.

შიგადაშიგ მწარე ირონიასაც არ ერიდება და მიზანი აქაც იგივეა: „მამას ვგევარ, კაცო, ფრინველის და ნადირის ხორცი ჩემს თავს მირჩევნია, არ კი სადაა“.

ერთგან ამბობს და იმ ერთ პატარა წინადადებაში მინდიად გარდასახეულებული ვაჟა ჩანს, „გველის-მჭამელის“ დამწერი: „ყვავი ფრინველია, ჩვენს თავს ერჩია“.

დაუვიწყარია ის ადგილიც, პოეტის ერთ კარგ ლექსად ღირს, სადაც ულამაზესი, გაზაფხულის მაცნე არყის ხისადმი ვაჟას თავგამოდებული სიყვარულია გაცხადებული. ვინ იცის, რამდენი ასეთი გულიანად ნათქვამი მამამისისა, საფლავში ჩაიყოლა გულქანმა:

„უყვარდა გაზაფხული ძალიანა მამასა. ერთი ხე ჰქონდა არყისა. ის არავინ მომიჭრათო, — ეტყოდა ხალხსა. რადა, ლუკაო, — ეტყოდნენ. ეგაო, იმითაო, რო ჩვენი მახარობელია, ცოდვაა, არ მოჭრათ, გაზაფხულის მოსვლას ეგ მაგებინებსო...“

ციმბირის წყლულით დაზიანებულ ვაჟას თვალსაც სხვანაირად, მიმზიდველად ხატავს გულქანი, აქაც თავის საკვირველ ხილვას იშველიებს: „ის ცოტათი წითლად ამობრუნებული უპე არას უშლიდა. სიბნელეში სხივები ედგა მამასა“.

ერთ ადრინდელ წერილში გრიგოლ რობაქიძეს ვაჟას მზერა აქვს აღწერილი. რომელიღაც რედაქციაში ერთმანეთს კონტის ფილოსოფიის გამო შეკამათებიან. მეგონა იმ ცალი, საღი თვალით მთელი სამყარო შემომყურებდაო, იგონებს „გველის პერანგის“ ავტორი.

სხვადასხვა ალაგას სხვადასხვანაირად ედრება თავის გენიოს მამას გულქანი. პარალელები, თანხვედრის, თანაზიარობის მაგალითები არ ელევა:

„მამაჩემს — კალამი და მე ქსოვა. წინდების ქსოვა ვიცი და მამამ წერა იცოდა. საფლავსამარეში მივდივარ და ისევ ამასა ვქსოვ. ვშიბავ წინდებსა ქალი“. დავაკვირდეთ რა სილაღეა მის მეტყველებაში.

ამავე დროს ყველას გაურბის, განმარტოებას რჩეობს, ფრთხილობს, მამის გამო აპპარტავნობა არ დასწამონ.

„არ ვიყავ ხალხში გაჩვეული და მერიდებოდა, თან ვფიქრობდი, არა თქვან, თავი მოსწონ დიდი მამის შვილობითო. მიკუნჭული ვიყავ და მიკუნჭული მივალ მიწასა...“ აქ როგორ არ გაგახსენდეს ათასი უბედურების მომსწრე, გაუთავებელი წამების სიმბოლოდ ქცეული ბიბლიური იობის ნათქვამი: „შიშველი გამოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე...“

გულქან რაზიკაშვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობს რომ კითხულობ, ვეება ლოდებშუა ამოგრაგნილ, გამაბრუებელ ორთქლზე გადამხობილი პითიას დუდუნს ისმენ.

ერთგან იგი რაზიკაშვილთა შთამომავლობის „ნაწილიანობაზე“ ჰყვება (სხვანაირად „ქუდბედიანობასაც“ რომ ეძახიან) და თავისი ერთადერთი, ორი წლის ასაკში დაღუპული ბიჭის ასაკს იხსენებს, რა გამწარებითაც, იოლი მისახვედრია:

„ნანილიანი“ ყოფილა პაპაჩემი, პავლე, ჩემი ბალღიც „ნანილიანი“ იყო, ორი წლისა მამიკვდა. როგორ „ნანილიანი“ ეხლა... ნამდვილ „ნანილიანი“. მე უფროსებს ვეკითხებოდი. არ ვიცოდი.

უ.ა.ბ. ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარში ერთი ჩამოდის „ნაწილიანიო“... პერანგიანი დაიბადა, ჭარივით რამ არი, ეგრეც ეტყობოდა, კოხტა მასკვლავი ეჯდა საწვერის ზემოთა... ეს პერანგი გადავაგდე და იმიტომაც მალე დამეღუპა. დაბადებისას ვისაც პერანგი დაჰყვება ბედნიერიაო. არ უნდა გადამეგდო. უშეშეცეცხლობით მამიკვდა, გაფითრებული დამიხვდა ტყიდან მოსულსა...“

ეს სულისშემძვრელი ტრაგედია შემდგომ უფრო სახიერად აქვს აღწერილი და გამაოგნებელ სიღრმესა და სიძლიერეს აღწევს, რაზედაც კიდევ მოგვიხდება თქმა.

გულქანი შეცბება, როცა სტუმარი, თუში ქალი ეკითხება, მამას სიზმარში არ ხედავო? გაოცებული ეუბნება ეთერს: „დავბერდი და, ჩემის ლამაზის მამის სულს გეფიცები, შენს მეტს არავის უკითხავ“.

არადა, ხომ სასწაულია — ელაპარაკები ოთხმოცდაათი წლის დაჩიავებულ დედაბერს, ვისაც მამამისი, ვაჟა-ფშაველა სიზმარში ეცხადება. სიზმარი და ცხადი ამ ნაუბარში ერთმანეთზეა გადაქსოვილ-გადალამბული, როგორც თავად ცხოვრება.

გიკვირს, როგორ ჩვეულებრივად ჰყვება:

„იმ დღესა მამაი ვნახე სიზმარში. კარები შამააღო და შამაიხედა. არ მომაგონდა სიკვდილი, ცოცხალივით შევხვდი. მახათრებდა მამა, ხმას ვერა ვცემდი... შამოვიდა, გაიუკმარა თითქო ჩემი ყოფა-ცხოვრება და მითხრა: — აბა, გოგოო, როგორ ხარ, რანაირათა ხარო, შენ ესე ვერ იქნებიო... რატო დიდხანს არ ეჩვენებიან ნეტა კაცსა, რაღაზე დაიკარგებიან, რა იქნებოდა, სიზმარში მაინც მეამბნა მამისთვინა, ეგ რაღა შესაშური იყო ჩუმთვინა“.

სხვა დროს მაგიდასთან ხედავს მარტო მიმჯდარს. საწერ-კალამს ანვდის იგი გულქანს (სხვა არც არაფერი გააჩნია), ჭკუას არიგებს, მოძღვრავს:

„ — დაიჭი, დაიჭიო ეს საწერ-კალამიო, მითხრა. მე კიდევა: — მამაო, — უთხარ, — მეძროხე ქალი ვარ, წერა-კითხვა არ ვიციო... — დაიჭი, დაიჭიო, — გამიმეორა, — რაც მოგაგონდეს, სუყველაფერი წერეო...“

და უეცრად ქრება ძვირფასი ლანდი და ისევ ამოგმინვასავით სინანული:

„დამეკარგა, ვეღარაფერი ვკითხე, დამეკარგა ჩემი მამაი“.

ალაგ-ალაგ კომენტარებდართული ჩანართებია, განსხვავებული, ნვრილი შრიფტით ანყობილი. იოლად გამოსარჩევი, სხვანაირად რომ ავსებს და ელვარებას მატებს ძირითად ტექსტს. აი, ერთი ასეთი ჩანართი:

„რაც ამოხვედი, ეთერო, მეორე წინდაზე გადავე, ამასაც ჩაუთავე ნაჭრელაი. ფოთოლანი ჩავაშიბე... — ხელსაქმის პატარა ჩანთიდან დასრულებული ცალი წინდა ამოიღო და ჩხირასხმულს დაატოლა. რაღაც თვალა, იჩიფჩიფა...“

ისევ მამამისს ეჯიბრება, არ ანებებს თავს. იმის კალამს თავის „საქსოვ-სასთავს“ უფარდებს, თან გეღიმება ამის ნაკითხვაზე, თანაც გსიამოვნებს. ეს არ არის უბრალო თავის მოწონება, ყოყოჩობა:

„მამასა ბედ-მწერელმა საწერ-კალამი მისცა და მე საქსოვ-სასთავი. მამა სანამ თავის საფიქრალს ისე არ გამოიყვანდა, როგორც უნდოდა, არ მეეშვებოდა. მე საქსოვში ვარ ეგეთი. სანამ ისეთას ნაჭრელას არ ამოვიყვან, როგორსაც თავიდან ვიფიქრებ, არ მოვეშვები... ვაი, აგე ეხლაც ჩამივარდა თოლი, ნავშჩხვლიკე წინდის ჩხირი და ამოვაბძანე. ზოგ დღესა კაშკაშით მიჩანს ნაქსოვი, ზოგ დღეს დამიბუნდდება ეს ოხერი თვალები რადამა... რაღა კი რადამა, ასსაღა ვარ მიტანებული და მითა...

ხევსურები მოჰქსოვენ სადადა, აიღებენ ნემსსა და ისე ააყვავებენ, რო თვალს ვერ მააშორებ...

ფშაურ წინდებია ესეები, ფშაური...

თუშის ქალებმა ხო ხელდალოცვილი ქსოვა იციან...“

გულქანის მამას ჭრელი წინდები არ ყვარებია. ტანსაცმელს დიდად არ არჩევდა თურმე, რასაც დაუდებდნენ, ჩაიცვამდა. ერთ რამეს კი ვერ თმობდა — „მარტო ეწერა, ეწერა, ეგ იყო მისი საფიქრალიც და სატკივარიცა“.

ყვავილებიდან ცისფერ, უნაზეს სასუტელას და იას აღმერთებდა. მოატანინებდა ტყისპირებიდან, ნაწვიმარზე, გულქანს და ეზოში ჩაარგვევინებდა.

ან კიდევ, რა საცნაური სურათია; მთელი ჯალაბი კალოზეა წასული. ავდრის მოლოდინია. ხორბალს ლეწავენ, ბზეს აცლიან. ამ დროს — „მამა კალოს პირზე ზის, წერს. ჩემმა დედინაცვალმა გამაიარა და: — ეე, რასა სჩხაპნიო! მამაჩემმა გამახედა და: შენ რო რამე გესმოდეს, მეტყოდი, დასწერე, დასწერეო“. იოლი წარმოსადგენია, რანაირადაც „გამახედავდა“ ვაჟა თავის უბირ მეუღლეს. აქვე ერთ ფრაზაშია მოქცეული შვილის სინანული, ამ ტიტანს გამუდმებულ შრომაში არავითარი სარგებელი რომ არ უნახავს, გ - ჭირვებაში ამოხდა სული („იმან რო ვერაფერი გაიგო თავის დანახარჯი ენერგიისა“). ამას კვლავ მოსდევს ერთი პაწია, საკვირველად შეკუმშული ფრაზა, სადაც ვაჟას მთელი მონამებრივი ცხოვრებაა დახატული: „სწერდა, სწერდა, გახდა ავადა, დაიღუპა...“

ერთ რამედ ღირს ძალუას ეპიზოდი, იმ ქალისა, ვისზედაც გულქანს ნათქვამი აქვს: „მადლიანი იყო, ჩემი ობლობის მეპატრონე“. ეს ქალი სტუმრად მისულ პატარა გოგოს ხან ქადას უნილადებდა, ხან — ხაბიზგინს, ხანაც — ხინკალს, რაიმე სასუსნავს. ერთხელ კენჭიან ქადისკვერს შეპირებია, შენი საქონელი, ძროხები მე გამატანე, ოღონდ ლუკას ნუ ეტყვიო. მართლაც, ვაჟასგან ნამალევად, „ერთ ქადაზე გაუტანებია ძროხები იმ ქალისთვის. ეტყობა, სინდისის ქენჯნა სტანჯავდა ამის გამო და თავისი ნალაპარაკევის ჩამწერს აღსარებასავით უმჟღავნებს:

„— ეს ამბავი სუ ტვირთივით მაწევს. საიქიოს რო შავხვდები მამასა, სუ პირველად ამაზე

ვთხოვ პატიებას, სხვა არა დამიმალნია მისთვის...“

ამას რომ წაიკითხავ, შეგაჟრიალებს, იქნებ მართლა შეხვდა ამდენი ხნის დაშორებული, ერთურთის ნახვას დანატრებული მამა-შვილი ერთმანეთს. ჰომეროსის წარმოსახვა სჭირდება ამის აღწერას.

ზმანებებში, ლანდების სამყაროში გადავარდნილი გულქანი იმასაც აღნიშნავს – სიზმარში ეგებ დედასაც ვნახულობ, მაგრამ სახით არ მახსოვს და ალბათ ვერ ვხვდები, რომ ის ქალი დედაჩემიაო.

რაა გასაკვირი, რომ ვაჟას ნაგრამს, მის უსაყვარლეს ქალიშვილს, ფრინველები და ცხოველები უზომოდ ჰყვარებოდა. თვითონაც ერთი ციცქნა, პანია წინილებს ხელში აიყვანდა და ალერსით ახრჩობდა თურმე, დედინაცვალი აფრთხილებდა, ცოდვებია, წვენი გასდით, დაიხოცებიანო.

დღეს ვის ნახავთ ისეთს, ეზოში შინაურ ფრინველებს ხვდებოდეს და კოცნიდეს. რამდენი ხანი იყო გასული და უკლებლივ ახსოვდა იმათი სახელები:

„ჭრელი ვარია იყო, „გუგულას“ ვეძახოდი, ერთს „ანაპნიას“ ვეძახოდი, ის მიყვარდა, ვიჭერდი და ვკოცნიდი“.

„გუგულა“ ქორმა გაუბდღვნა. ტირილისგან გული ამოუჯდა. ისევ მამამ დააწყნარა – ნულარ სტირი, ვერაფერს უშველიო. დაპირებია, ლამაზ საკაბეს გიყიდიო – „ზედ შენი გუგულა-ნაპნიები ისხდნენ, აი, ისეთსაო“. ნასულა დუქანში და შეუსრულებია დანაპირები.

ვაჟამ, ცხადია, გაუგო ხასიათი თავის ანც, ბარტყების ამოსაყვანად ხეებზე მძრომიალე ქალიშვილს და ერთ დღეს თავად მიუყვანა მტრედის ორი ხუნდი:

„აპა, გულქანო, ტრედის ბარტყებიო... დედავ, როგორ გამიხარდა! გავზარდე, შევიჩვიე. სუ ჩემი ტახტის თავზე ისხდნენ. ქედნები გამოვიდნენ. თენებისთვი დაიწყებდნენ ღულუნსა: ვუუ, ვუ, ვუუო... მაშინ ვერ ვიცოდი, შინაური ტრედებიც თუ იყვნენ... ვერ დავაყენე, ვაჭრიდი მხრებსა, მაგრამ მაინც დამიფრინდნენ. მცნობდნენ კი, რას არა მცნობდნენ. როცა უცხო ვინმე შემოვიდოდა, ტახტის ქვეშ დაიმალებოდნენ... კუჭუნჭია, კუჭუნჭია, გენაცვალე თირკმელუნაშიო, – მოვეფერებოდი. გამოგოგდებოდნენ. თუ ვინმე შემოვიდოდა, დაიხრიდნენ თავებსა და შაძვრებოდნენ...“

სათითაოდ იგონებს, რა გაუზრდია და რას ელოლიავებოდა, ალერსად დნება ეს პირქუში, სხვებთან სიტყვაძვირი ადამიანი:

„რაღა არ მყვანდა, ქალო!

მწყრის შვილი მყვანდა. დამეკარგა. დამეკარგა და დავლონდი. კინაღამ მოვკალ ციცა, შენ შემიჭამდიო. ის კიდევ ბუხარში შამძვრალიყო. ნაცარში ფუტკულაობდა რა ლამაზადა, ერთი მხარი ნაცარში ქონდა, მეორით ნაცარს ზედ გადმაიყრიდა... სახლსა ვგვიდი იმ დროსა. გამოვიყვანე, ფეხზე ბანარი მოვაბი, მოვეფერე.

შვილი არ მემეჯიგრება ისეთი, როგორც ეს მწყრის შვილი. ვაი, შენს პატლონსა, ვინ ალაღა უჩანდა ნაცარშია...

მწყრის შვილაი, მწყრის შვილაიო! – დაუძახებდი. დაიწყებდა მძიმე-მძიმედ წინინსა, ალბათ თავის ენაზე თუ მელაპარაკებოდა.

გავიდა კარებთანა, მამაის ოთახშია. „ფრიო“, გამიფრინდა, გაიყოლა ბანარიცა. ციცა შამიჭამდა იმ ბეჩალასა... გველივით მეცემა იმის დარდი გულზედა“.

პატარა ციყვი („ციყვის კნუტაი“) მოუყვანია ვიღაც მადლიანს ტყიდან, მისთვის უჩუქებია. ისიც გაუზრდია გულქანს, ადამიანივით გონიერი ყოფილა, არაფრის წესი და რიგი არ ეშლებოდა თურმე, მუდამ თავის დროზე ჭამდა და იძინებდა. დაძახებისთანავე პატრონთან გაჩნდებოდა. ძაღლს დაუფეთებია და გაუქცევია. სანანებლად დარჩა, რაღა თქმა უნდა, მისი გადაკარგვა გოგოს.

ერთი გარეული კურდღელი უტრიალებდა თურმე, რაზიკაშვილების კარ-მიდამოს, მოსწონებია იქაურობა. იქნებ გრძნობდა კიდეც რაღაცას, ვინ იცის. გულქანიც დიდის ამბით, გაკვირვებით ყვება:

„ქალოო! რამდენ ხანს იარა ველურმა კურდღელმა ჩვენ სახლის გარშემო. არ გვერიდებოდა რადამა. რა მაიყვანდა ველის კურდღელსა. მოვიდოდა, აქ უტკბებოდა გული, არ გვერიდებოდა, რავი, რატომა. სუ კბილებში ვკოცნიდი კურდღელსა, მიყვარდა...

კალოზე ჩამაირბენდა ეგ კურდღელი, ხმაზე მცნობდა, სახეზედაც იქნებ მცნობდა, აბა, რა ვიცი!

მეცხვარის ძაღლმა დამიფრთხო ეგეცა. ჩვენი ეზო-კარი მაინც არ დააგდო დამფრთხალმა, მაინც მოვიდიდის...“

მერე ისევ მწყერს იხსენებს, ყველას იმას ამჯობინებს, ახლაც ოცნებაში ეფერება, გეგონება რუხ, სრიალა ბუმბულს ხელს უსვამსო:

„მწყერი კი მაინც ქვეყანას მირჩევნია. ვიცი, თუ მწყერზე მეტად ადამიანი შემიყვარდება“.

მეძროხე ბიჭს უთქვამს, დეკიანში მოკრუხებული როჭო მეგულება და იმას მოგიყვანო. ცას ეწია სიხარულისგან გულქანი, ჭრელ წინდებს მოგიქსოვო, შეჰპირდა იმ ბიჭს. როჭო შინ ბანრით ჰყოლია ერთხანს დაბმული. მალე აუწყვეტია და ბანრიანა გაქცეულა. ცალკე იმ კარგი ბანრის დარდი დარჩა, ცალკე – როჭოსი. ვაჰთუ სადმე გაიხლართაო.

ამოძახილზე ეტყობა, რამდენად დანანებია ქოხის კარებს გამობმული როჭოს გაქრობა, ვერ ივიწყებს, ფიქრში ელაციცება:

„როჭო, როჭო... როჭოც მყვანდა. დედავ, როგორ მიყვარდა!..“

„ირმის ხბოს“ როგორ დაიკლებდა „შვლის ნუკრის ნაამბობის“ დამწერის შვილი; მწყემსმა გოგოებმა მოუყვანეს იალაღიდან, მშობიარე ირემს დაატოვებინეს. ძროხის რძით გამოზარდა, შეიჩვია, მოიშინაურა. შავი ბედი დაურჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალოს. მის ამბავს მოთქმა-ვაებით ამთავრებს გულქანი:

„ვაიმე, რა ლამაზი იყო, ღმერთო!.. „ფურას" ვეძახდი, დაუძახებდი და – ااا, ااا... ძერასავით ხმა ჟქონდა. კალოში, ჭინჭროლაში იმალებოდა. ჩავიდოდი კალოში. „ფურაო" რო დაუძახებდი, ჯერ არ გამომეძრახებოდა. სამჯერ რო დაუძახებდი, მერე გამოყოფდა თავსა. – მოდი, ვითამაშოთო... გავიქცეოდი, გამომიდგებოდა, გამეკროდა გვერდზე. ერთხელაც, რო დავიღალენით მე და ფურაი, დავჯექი, გვერდზე დამიწვა. შევხედე და ამოუვიდა სული. კუდზე თუ მოჰკიდა ვინმემა ხელი. ნაულელა აქვ კუდშია, ის უსქდება... ვაჰმე, როგორ გავხე! ეხლაც რო მამაგონდება, ჩავინაცრები. შვილივით ვზრდიდი, ისეთი ჯიგარი მქონდა, შვილზე რო გექნება. როგორც მკვდრის პატრონი, ისე გავხე. ვაჰმე!"

მხოლოდ დიდ პიროვნებას, სულით პოეტს თუ შეუძლია ბუნების შვილთა, ცოცხალ არსებათა ასეთი ღრმა და სათუთი სიყვარული. აქვე თავისი, სიღარიბისაგან წელში გაწყვეტილი მამა აგონდება გულქანს: „ვშტერდები... ძალიან, ძალიან მაკვირვებს, ის ფიქრი საიდანლა ჟქონდა მამასა, შვლის ნუკრზე საფიქრალად ნეტა როდის დაჯდა ჩემი მამაი, სუ აღელვებული, სუ დაღალული".

ამას მოსდევს სხვანაირი ნუხილი, რომელიც იმ უცნაური, უღრმესი ფრაზით თავდება, წიგნის სათაურად რომ არის გატანილი და გაოცებს, ბოლომდე ვერ ჩაწვდომიხარ, ვერ გაგისიგრძეგანებია:

„მამაჩემსავით მე რას გამოვიყვან ან რას გიამბობ, ჩემო ქალო, **მამამა ღმერთს სახელი ჩამაჰყარა!"**

აქ გულქანი უკან იხევს, ვერ ბედავს შეედაროს, თავი გაუტოლოს უმაღლეს სიბრძნეს ნაზიარებ მამას, ვინც ღვთაებასთან წილნაყარი, მისი გმირების მსგავსად, როგორც ძველი ფშაველები იტყოდნენ, „ნაწილიანი" ანუ „დავლათიანი" იყო.

ამ უკიდურესად თამამი და ტევადი მეტაფორული ნათქვამის ჩვეულებრივ ენაზე გადმოღება არ ხერხდება. იგი უფრო უნდა ვიგრძნოთ, მისი განსაკუთრებულობა გონების გარდა სხეულითაც უნდა ვიაზროთ.

ამის მერე თარიღებია დასმული (27.VII – 6.VIII. 1987 წ.), რამდენიმე თვის წყვეტილია ჩანაწერებში, მომდევნო წლის თებერვლამდე აღარ მიუკითხავთ ცოლ-ქმარს (ეთერსა და მის მეუღლეს, ძალზე მორიდებულ პიროვნებას, ამირან არაბულს, ვინც სურათებსაც უღებდა ხოლმე გულქანს). აქ ისევ გამორჩეული, წვრილი შრიფტითაა აწყობილი შინ მარტო მყოფის მოძრაობა:

„ღუმელთან ზის. ფეხსამოსს იცმევს ჩაღუნული და თავისთვის ჩიფჩიფებს. ხმაზე მიცნო – შემოდით, ამ შუა ზამთარში აქ საიდან გაჩნდით..."

მამლის დაჟინებულ ყივილზე უგრძვნია, რომ სტუმარი მოუვიდოდა. მერცხლის („ჭიკჭიკელას") ლექსს იწყებს, სიხარულის, გამარჯვების მაცნედ მიიჩნევს მის გამოჩენას, შიგადაშიგ თავის ნაფიქრალს ურთავს („თუ ვისმე ეჩქარება, სიტყვა პირში მითავდება, არ ვიცი, რადამა..."), მერე ხევსურული ბალადის სტრიქონს ამოთქვამს, თვით აკაკი შანიძისათვის უცნობი ვარიანტის ნაწყვეტს: „ა, დედას ჩანთელისასა, თოფში ჩასვლია წყალიო..." იგრძნობა, როგორი სინანულითაც ამბობს ამას. ეს ლექსი ორი გულუშიშარი, ერთმანეთის მოსისხლე მთიელი ვაჟკაცების ჩანთელისა (ალექსი ჭინჭარაული ვარაუდობს, რომ აქ შეიძლება ყოფილიყო „ჭანთელი", ვინაიდან ქისტეთში არის ჭანთეთის ხეობა) და აფთარაულის შერკინებაზეა გამოთქმული. ისინი წყლისგან გამოფულეროებული ზვავის ზედაპირზე შეყრილან და ერთმანეთის ფარები დაუნაფოტებიათ. ხმლით ნაცემი ჩანთელი ძირს ჩავარდნილა, ლულა გაწყალებული თოვლით ავსებია. თოფი, ეტყობა, გაწმინდა, კიდევაც უსვრია ზვავს ქვემოდან, მაგრამ მეტოქისთვის ვერაფერი დაუკლია. მოგვაქვს ამ ლექსის აკაკი შანიძისეული ტექსტის რამდენიმე სტრიქონი:

ხმლითა სცა აფთარაულმა, ზედ
მიანაყრა ტარია,
ზვავს ქვეშ ჩავარდა ჩანთელი, ჩამასდის
ზვავის წყალია.
ქვემოთით ამოდიოდა ჩანთელის თოფის
ხმანიო...

ვარიანტი, რომელიც გულქან რაზიკაშვილს სცოდნია, მოსაძებნია, ცნობილი ტექსტისაგან, ზოგი რამით, უთუოდ განსხვავებული იქნება.

ერთგან გულქანი მოლექსეებით განთქმულ ფშაველების სოფელ ჯიჯეთს ახსენებს, რამაც მყისვე მომაგონა აკაკი შანიძის მიერ სამაგალითოდ გამოცემული ხევსურული პოეზიიდან ერთი ულამაზესი მინიატურა, სიყვარულისგან გულშეძრული ქალის შეფარვით ნათქვამს რომ გავს:

ჩამოგიარე, ჯიჯეთო, ველიანო
და ტყიანო,
სად-რა ხარ, ჩემო ძმობილო,
თვალჭრელო, ყვითელთმიანო?

მერე, ვაჟას გამწარებული ნაშიერი, მის მოსანახულებლად ამოსული ცოლ-ქმრის თვალწინ ბუზღუნებს, ეტყობა, წინდის ჩხირები აღარ ემორჩილება, თვალთა ჩინიც მიბჟუტული აქვს, დაიჩივლებს: „ველარასა ვქსოვ, ველარა, ველარა..." სხვა რამეებსაც ემდურის: „მერევა გონება, მეხსიერება როდის რასღა იმეტებს ჩემთვინა..."

ისევ იწყება სიზმრები, ისევ მამა ეჩვენება, ის არიგებს, განსაცდელისაგან იცავს. ცული დაუკარგავს ორი დღის წინ, ჯავრად ჩაჰყოლია ეს ამბავი. მამა გამოცხადებია, ალუბლის ხესთან გაჩერებულა, ხელში წყლით სავსე ჭიქა სჭერია, იმას უსწავლებია, სადაც იყო ცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშის საჭრელთან გდია, ნაფტვებთან, ტარი უჩანსო. მართლაც, გამოლვიძებულს, ზუსტად იქ უნახავს ცული.

ერთი ხილვა მთლად სასწაულებრივია, ჟრუანტელი დაგივლის, უცრემლოდ ვერ ჩაიკითხავ. ეს ნამდვილად ღვთაების გამოცხადებასავითაა:

„სიზმარი ვნახე: ჩერქეზულად ჩაცმული თავის ნიკორაზე ზის მამაი და თავქვე მოდის გაჩქარებული... – სად მიდიხარ, მამაო?! – დაუძახე, – ქვეითა, ქვეითა, შვილოო, საქმე უჭირს საქართველოსა, საქმეო. სანამ არ მოვანარმოებ საქმესა, ვერ მოვბრუნდებიო... ლევანის ცოლი მოგვკვდომიყო, რძლის სამძიმარზე მიდენილიყო ბეჩავი მამაი"...

გულქანს რომ დღევანდლამდე სული სდგომოდა, ახლაც ნახავდა თავის „ბეჩავ მამას" სიზმარში. თუ უჭირს, ახლა უჭირს საქართველოს – დახანძრებულს, დაჯიჯგნილს, ამდენი ბოროტისა და მოღალატის გადამკიდეს; ბოლო წლებში იმდენი უბედურება დაატეხეს შინაურმა და გარეშე მტრებმა, ლამის გაქრეს, ჯოჯოხეთის ალში ჩაინვას. ასეთ ყოფაში რა გული გაუძლებდა ვაჟას – ისევ გამოეცხადებოდა მარტოხელა ქალიშვილს და გაანდობდა ნაფიქრალს, რამე სანუგეშოს, წამალივით სიტყვას მაინც შემოაშველებდა თავის ერთადერთ საფიცარს – სამშობლოს – მისი „კაცობის გვირგვინს".

ფშაველი ქალი ულექსოდ სად გაგონილა და გულქანიც ძალას ატანს დაუძლურებულ მეხსიერებას; ხალხური და მისი მამის მარგალიტები ერთმანეთს ენაცვლება. მერე სტუმარს სთხოვს, იმანაც უთხრას რამე თუშურ კილოზე, რომელსაც „წყაროს ლიკლიკს" ადარებს.

ეთერიც უკითხავს თავის ერთ უმშვენიერეს, წუთისოფლის სამდურავად ნათქვამ ლექსს, გულქანის გუნება-განწყობილებას ზედგამოჭრილად რომ ესადაგება:

დიდხნის ნადებ თოვლსავით
ვარ ერთთავად მდუმარ,
იმ თეთრ საფარველსავით
წუთისოფლის სტუმარ.
სამოკლეო სოფლისა
დღედა მჩივარ, მგმობარ,
იამ დალოცვილ მიწისა
ერთ სამარით მმკობარ.

კვლავ მომცრო შრიფტით ანყობილი მცირე შენიშვნა გვამცნობს შთაბეჭდილებას, რაც ამ სტრიქონებს მოუხდენია „დევის ქალზე" – აშკარად შეუძრავს, მაგრამ ამჯერად ხმა აღარ ამოუღია; ეტყობა, აღელდა, ყელში გორგალი გაენასკვა:

„ორი გრძელი ცრემლი ჩამოედინა გულქანს. სიტყვა არ დაუძრავს, არც საქებარი და არც საგმობი".

ეს მინიშნება ცხადყოფს – ეს ლექსიც ზამბარასავით დაჭიმულ სტრიქონებში ჩანნეხილი სევდა და სილამაზე.

მოგვიანებით, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, როცა ნუხს, რომ მისი ძმა, ვახტანგი, მამაპაპეულ ეზოში არ უნდა დამარხულიყო, ეს ამბავი ახსენდება და ეთერს თხოვს, ისევ წაუკითხოს:

„არ მამწონ, რო ვახტანგის სამარე ამ ეზოშია. რა ვიცი, რატო იბრძოდა, მე და შენ მანდ უნდა დავიმარხოთო, – მითხრის, ე ტყე მაინც გადმეეჭრა და მანდ მაინც სადმე დეემარხა. მე არ ვინდა ამ ეზოში დასამარება... ეთერო, კიდევ წამიკითხე შენი ლექსი, სამარეზე რო გაქვ. ჩემზე ხომ არ დასწერე ეგა?.. მამწონ, ვშეშდები... მაგას ვინ დაიჯერებს, რო შენი ნათქვამია. შენ მაგის საფიქრლად და განსაცდელად პატარა ხარ, ეთერო. არაა!.. არავინ დაიჯერებს, რო შენ დაჰწერე. საქცზე კი გეტყობა, რომ დასწერდი. ჰო, ჩემის ლამაზის მამის სულს გეფიცები, გეტყობა!"

ამას ვერ მოიგონებ, ეს უთუოდ ასე ითქმებოდა; ხმაც, გახშირებული სუნთქვაც კი ჩაგესმით სულეთის გზაზე დამდგარისა.

გულქან რაზიკაშვილს ლექსის ცნობა რომ არ შეეშლებოდა, ყოველი სიტყვისა თუ წინადადებისადმი მისი დამოკიდებულებიდანაც ჩანს. პოეზიის მადლს პატარაობიდანვე იყო ნაზიარები, მაგრამ დუხჭირმა ყოფამ, ათასმა უბედურებამ ხელი შეუშალა, მისი ნიჭი სრულად გამოვლენილიყო.

ეთერივით ობოლი (გულქანს უყვარდა თავის თავის შედარება ქართული ფოლკლორის ამ ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ და უმშვენიერეს პერსონაჟთან) და მასავით მოსაზრებული, გონიერი მეოჯახე, გულქანი ხშირად დადიოდა სამწყემსურში.

ერთხელ, ათი წლის გულქანი ძროხებს რომ მწყემსავდა, თქეში წვიმა წამოვიდა, დაასველა. მამა ამ დროს სხვაგან ყოფილა. მის გარდა ყველას მიუტანეს თურმე სამოსი, გამოსაცვლელი. გალუმპულს, სიცივისაგან აკანკალებულს მოშივდა, გამხმარი პურის ნატეხი ჰქონია. არავინ მიაკითხა. მალევე გამოუდარებია. ისევ მზეს გაუთბია. დაფიქრებულა თავის ბედზე. ობლობა-სიბეჩავემ მოშიებულს, გამწარებულს, ეს ლექსი ათქმევინა:

რად გამაჩინე, უფალო,
რატომ არ მოვედ წვიმადა,
ამითვისებდნენ ღრუბელნი,
თან მატარებდნენ შვილადა.

დაუჯერებელი სულაც არ არის, ათი-თორმეტი წლის გულქანს ფიქრში ასეთი ლექსი მოსვლოდა (მსგავსი შემთხვევები პოეზიის ისტორიას არაერთი ახსოვს). აქ უმალ გვახსენდება ვაჟას ერთი ცნობილი შედევრი – „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა...", 1913 წელი). ცხოვრებისეული ტრაგიზმი, მცირეწლოვანი ქალიშვილის ნათქვამში რომ შეინიშნება, ცხადია, ვაჟა-ფშავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ლექსში სულ სხვა სილრმესა და განზოგადებას იძენს, სხვა სიმაღლეზეა ატანილი.

თვითონ გულქანი ზემოთ მოხმობილ სტრიქონებს თავისებურ ახსნას ურთავს (ამ ლექსის გამო მამამისის აღტაცებასაც აქვე გვატყობინებს):

„ჩემი ობლობა და მწყემსობა ემაგ ორ-სამ სიტყვაში ჩავხატე. შენა მყვანდიო, — მითხრა, — შენაო, პირველად მაშინ მაკოცა. შევნანდი მამასა და იმითა.

მამამ მითხრა, რო ეგაო ძალიან გენიოსური სიტყვაა, შენაო, გოგოო, ჩემზე მეტი ნიჭი გქონიაო. დაწერე, როცა რა მოგაგონდეს ესეთი, ქვებზე და მომიტანე, ჩავწერო. **დაბეჭდილი ყოფილა ეგა**... დავწერდი, გაიავდრებდა, გადამირეცხდა. დავწერდი ქვაზედა, ძროხები **დამიბზიკავდებოდნენ**, დავედევნებოდი, მივბრუნდებოდი, ადგილი გადამიბრუნდებოდა, დავკარგავდი, ეეე! მამა მთხოვდა, ქვებზე წერე და მოიტანეო...“

აქ ყოველ გვერდზე გელის სასწაული, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს წააწყდები, თვალებს არ დაუჯერებ.

ალბათ, გაძნელდება მეორე მაგალითის დასახელება, რომ ქალი, ვისაც მშობელი კუთხიდან თითქმის ფეხი არ გაუდგამს, თავის საქსოვსა და კრუხ-წიწილებს არ მოშორებია, მასავით ღრმად ჩასნვდომოდეს შემოქმედების ურთულეს საიდუმლოს, ასე ხელშესახებად შეეგრძნოს და გაეთავისებინოს ლექსის მადლი:

„როგორც ფერადი შეუხამო ფერადსა, ისე სიტყვას უნდა სცნობდე, სიტყვა სიტყვას უნდა დაატოლო, რო გულს მოგხვდეს, აზრიანი გამოგივიდეს ნათქვამი“.

ამგვარი მიგნებები უხვად არის გაბნეული წიგნში. თავადვე აოცებს, მის უმდიდრეს ნარმოსახვაში რაც ხდება, ცდილობს სახიერად ახსნას ზეშთაგონების იდუმალი ძალა: „... გამიკვირდება, ზოგჯერ ისეთა სიტყვას ვიტყვი, თვითონვე გამიკვირდება, მე ხო უსნავლელი ვარ და საიდან ვთქვიო. ნამოვიტყვი უცბადა, როგორც პეპელა მიაფრინდეს და გაუფრინდეს, აი, ისე მომივა სიტყვა და წამივა სიტყვა, გამიფრინდება“.

არც სხვისი ნიჭის დანახვა და დაფასება ეშლება. ხშირად ახსენებს ბოროტთა ხელით სიჭაბუკეში მოკლულ მიხა ხელაშვილს, სწორუპოვარ ფშაველ მოლექსეს. არ შეიძლებოდა ცაში ყოფილიყო გამოკიდებული გულქანის ზღვარდაუდებელი აღტაცება:

„მიხა ხელაშვილსა მუზა ჰყავდა ეგეთი, როა გააცეტა ქვეყანა იმის ნათქმებმა. ტვინი ჰქონდა, მუზა ჰქონდა დალოცვილი“.

გადაბმა უჭირს სტრიქონების, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოისვრის მისი დანაკუწებული მეხსიერება მიხას ლაღ შაირებს, თანვე ხსნის, რომელი რამ ათქმევინა:

„ვილაცა ქალი ცხვარში დადენილა, მოსწონებია, მე ეგრე ვიცი:

გულსა ჰკლავს, თვალსაც ატყუებს
ზოგ-ზოგა თათრის ქალია...

ეე, სხვანაირი მუზა ჰპატრონობდა ხელაშვილსა, სხვანაირი“.

თუნდ ორი შედევრის გახსენებაც კმარა („ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“, „ბინდისფერია სოფელი“), ამ ნათქვამის სისწორე რომ ვირწმუნოთ; უკვდავსაყოფად ესეც ეყოფა ერთი კაცის სახელს.

გულქანი მუდამ კვნესა-ვაებით იგონებს თავის ულამაზეს და უვაჟკაცეს ძმას, ოცდაოთხ წელში ჯალათებისგან ვერაგულად დახვრეტილ ლევანს. სანამ ლევანის მოკვლის ამბავს შეიტყობდა, ზედიზედ ნახა უცნაური სიზმარი. ვიღაც კაცმა უთხრა — თქვენი სახლის ზემოთ ეკლისხეზე გუდა ჰკიდია და მიეპატრონეო. მეორე თქმაზე ის გუდა ჩამოუხსნია და შიგ კაცის გულ-ღვიძლი აღმოჩენილა. მიხვდა, ავი „ლიშანი“ რომ იყო; აი, ასეთი კუდიანი სიზმარი ვიციო, დასძენს.

სულ ბოლოს ლევანი თიანეთში ენახა, ცხენზე შესმული რომ მიჰყავდათ: „გამოვაყოლეთ თვალები და ჩვენ იმას რა მოგვაგონებდა, რო უკანასკნელად ვხედავდით. ვაი, რამდენი ძნელი მეერგება ადამიანსა! გამოგვხედა, არა გვითხრა, არაფერი...

არა ჰქონდა დაკითხვა, არა, ეგრე გამოიყვანეს და მოკლეს ნადირივითა. არ იფიქრეს, რომ ემ კაცის შვილია და ვკითხოთ, მტყუანია თუ მართალიო და... ეეე; დაიგმინებდა, გადაბრუნდებოდა მამაიც საფლავშია, ერთხელ მკვდარი კვლავ მოკვდებოდა.

ვაი, შენს დასაცა და მიწაი, ლევანო, მიწაი!..“

ლევანის ყოველ ხსენებაზე გმინვა აღმოხდება. მისი ლაზათი და მოხდენილობა, ვაჟკაცური ხასიათი და გარეგნობა სულ თვალწინ უდგას, მხოლოდ მას თვლის მამის ღირსეულ მემკვიდრედ, ოხრავს, თავის უბედურებას დასტირის, რომ ძმის მკვლელებს სამაგიერო ვერ მიუზღია:

„არც ერთ ქვეყანას არა ჰყავო, იციან, ეგეთი ბუნების მგოსანიო. ჰოდა, ერთი ვაჟიშვილი ჰყვანდა და ისიც თავის ქვეყანამ მოუკლა ვაჟასა, ისიც ქართველებმა...“

საოცარია თავად ამის გაფიქრება — როცა ეს ჩანაწერები კეთდება, არაგვის ჭალის მახლობლად, ფშავის ერთ სოფელში, ცოცხლობს ადამიანი, ვისაც დედამიწაზე ერთადერთს ჯერ კიდევ ესმის ვაჟას ხმა; სულერთია — ცხადში თუ მძინარეს, ცხადი და სიზმარი, კარგა ხანია, არეული აქვს ერთმანეთში:

„ამ ეზო-ყურეში მამედინება ჩემის მამაის ხმა, თვალწინ ჩამამიდგება ხანა. დავეფიცები ხოლმე, არ ნახვიდეო, დამეკარგება, გამიქრება“.

გაუქრება და მალევე მოაკითხავს, რჩევებს აძლევს; ბევრჯერ განსაცდელსაც გადაარჩინა. ზოგჯერ სურვილებსაც უმხელს სამზეოზე დარჩენილ ქალიშვილს. გულქანიც დიდის ამბით უყვება თავის მესაიდუმლეს:

„ეთერო, მამა ენახე, ქალო, გუშინწინებში. არაყი მთხოვა, მამის სულს გეფიცები და ლიკიორზე შენდობაც უთხარ. დამალევინე არაყიო, — დაილაპარაკა. არაყი მთხოა, მამა, არაყი, რატო არ მასმევ, გულქანოო, რატოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს რაც ტანისამოსი ეცვა, ის ეცვა. არ იცოდა იმან არაფრის თხოვა, მარტო იყო, მარტო. გამიკვირდა სიზმარშიაცა და საცხადაცა, არაყი რომ მთხოვა. არაყი არა მქონდა, ლიკიორის ნარჩენი მქონდა და პურ-წყალზე და იმაზე შენდობა უთხარ, მზე მოსვლითა..."

დროდადრო გულქანი გამოურევს საკვირველად ლამაზ, იშვიათ სიტყვებს, მამისგან რომ გაუგია. ქსოვის დროს გამოყვანილ ფიგურას თუ ორნამენტს (ჩვეულებრივ „უზორს" რომ ეძახიან) „საკვლეველა" რქმევია.

ზოგჯერ ერთ პატარა აბზაცში ანუ ერთ დღეში ადამიანის მთელი ცხოვრებაა დატეული:

„სად მაადილაურე (მარტო ეს სიტყვა რად ღირს!) ძროხებიო, მეტყოდა მამაი. ჯვარჩიო, ვეტყოდი მამასა. მეევ დავწველდი. ხაჭო იქნებოდა, დო იქნებოდა თუ ცარიელა პური, იმას შევჭამდი. მზე რო კარგა ამაივლიდა, ძროხას მოვრეკდი, წამაიშუადღებდა და მაშინ გავრეკდი".

მამამისის დალუპვის ამბავიც იმ საძოვარში შეიტყო. მისივე გვარის ნათესავი მისულა, ენის ბორძიკით უთქვამს: „ეო, რაღა ვქნათ ეხლაო, გულქანოო, მამა მოგიკვდა, დაილუპენითო, შე ბეჩაო, რაღა გეშველებაო... იმის შემდეგ დავკარგე თვალის სინათლე და დავდეგ ერთზედა (აქაც თითქოს მამის ბედი გაიზიარა). რაზე მივხვდი ეხლა: იმ ჯვარში დაჯდომა ვიცოდი ერთი იფნის ქვეშა და იქიდან ვიყურებოდი. ტყის სილამაზეს ვთვალთვალობდი, იმ იფნის ქვეშ ვიცოდი პურის ჭამაცა. იქვე ვზივარ და გამოვსცქერ ტყესა. აღარ არი ისე ლამაზი, იცვალა ტყემა ფერი, იცვალა და ჩამეხოცა მუხლები. დავიწყე ტირილი, ჩამოვიყვირნე, გადავიქე იქა და ვტიროდი... გული წამსვლოდა ტირილშია მარტუასა..."

მის მერე ჯვრის ტყე ძველ, ხასხასა ფერზე აღარც სჩვენებია, სამუდამოდ გაუფერულდა, გახუნდა მის თვალში; მიზეზს თავადვე აგნებს:

„რატო ველარ ვხედავდი იმ ტყეს ისე ლამაზსა, იმიტო რო იქ ჩაკვდა რაღაც, იქ მეცა ელდა და დაეკარგა ტყესაცა ფერი, გათხოვებამდე სუ იქ ვიარე და ის ტყე მე ლამაზი ველარა ვნახე, ველარა..."

ეთერმა იცის გულქანის ხასიათი. გუმანითაც გრძნობს, რასაც უპასუხებს, მაგრამ მაინც ეკითხება, მამის საფლავი თუ აქვს ნანახი. მისმა გონებამ ვერაფრით ვერ იგუა უსაყვარლესი ადამიანი მინაში მწოლად. ეს პასუხი არც არი გასაკვირი:

„მე მამის სამარე არ მინახავ, იქავ გავთავდები. ისე მივდივარ სამარეში, მამის სამარე არ მინახავ. რო დამიწყებენ, განახვებთო, ვატყუებ, ვყოფილვარო ზოგთა. ეთერო, შენ იცოდე სიმართლე, რო მე მამის სამარე არ მინახავ, არა, ქალო, არ შემიძლიავ იმის საფლავის ნახვა, არა. **მე ვინც მიყვარდა**, იმის საფლავს რა მანახებს. არა ვნახავ იმის სამარესა, არა. წარმოვიდგენ რო ძვლებიღაა და რანაირად უნდა ავიტანო, იქა გადაყრიან, იქავ იქავა".

ლევანის გაქრობას ხომ ვერა და ვერ ინელებდა, უკეთესი ბედისა არც სხვა აღმოჩნდა – გულქანის ერთი და – მარიამი – სულ გაუხარელი წასულა ამ ქვეყნიდან; ახალგათხოვილი, ფეხმძიმე, თივა რომ მოჰქონდა ურმით, დამფრთხალ ხარებს ღობეზე მიუჭყლეტიათ. ვერც ის უტირია ადგილზე, თავისთვის გლოვობდა. ხასიათი ჰქონდა ასეთი, თავად ამბობს:

„არც მარიამის დამარხვაზე ვყოფილვარ. საფლავი არ ვიცი არც თამარისი და არც მარიამისი. კაცო, ვერ ვიტან მაგ ამბავს, უცებ რაღაც მამდის. ექიმმა მითხრა, რო ვინმე ჩხუბობდეს, ყურებში თითი გაიკეთე და ისე გაიარეო".

სააქაოსთან განშორებას აღარაფერი უკლია. სიზმრები უნაზღაურებს, რაც სიყმაწვილიდანვე აკლია ობოლს და საბრალობელს – სიზმრებს მოჰყავს მასთან მოსიყვარულე, გამქრალი მამა. სიზმრად ნანახი ზოგჯერ ისეთი ფიზიკური სიცხადითაა წარმოდგენილი, გეგონება, დოკუმენტური ფილმის კადრებს უყურებდე.

ეს სიზმარი მთლად ჩვეულებრივ ამბავს ჰგავს; ავადმყოფს მამა გამოეცხადა („საცხად ვნახეო", ამბობს) და ურჩია, ქალაქს არ წახვიდე სამკურნალოდო. მყისვე დაეთანხმა. ამ სიზმარს ბავშვური გულუბრყვილობით ჰყვება თითქმის ას წელს მიტანებული:

„მე ვემზადებოდი ქალაქისკენ წასასვლელადა, მამას არ უჯდებოდა ჭკვაშია, არ უნდოდა ჩემი ადგილიდან დაძვრა და არ წავყევი მეცა არავის ექიმთანა. აი, ეხლა კარგადა ვარ. იცოდა მამამა, რო მე ქალაქს ვერ ავიტანდი და მოვკვდებოდი... **თავადაც ეგრე არ დეემართა!** სუ აქ მოყვანას ითხოვდა თურმე ბოლოსა..."

გულქანის ერთი სიზმარი (საზარლად აცხადებული) იმდენად მძიმე და შემზარავია, გეგონება, „გველის-მჭამელში" აღწერილ ჯოჯოხეთურ ხილვებს ჰყვება რომელიმე ქადაგი. ესეც ისეთი სიზუსტითაა ჩაწერილი, მთხრობელის სახის გამომეტყველებას ვხედავთ, ხმასაც ვისმენთ:

„რა ვნახე, ქალო, ეხლა რამა ვნახე, ერთი თვე იქნება, სიზმარი:

ჩვენი მეზობელია, აქაურია ის დედაკაცი, შამოვიდა ექა... ფრუშკის (ცნობილი ფშაველი მელექსის) შვილის ცოლი ვნახე, სალომე. გული მიჭერავ ხელშია, რავი, რის გულია. მიჭერია ხელშია და ოთხადაა ის გული დაჭრილი. ეს დედაკაცი ღვიძლსა ჭამს. მომაწოდა მენცა ი გული. უნდა შემეჭამა და აღარ შევჭამე. ი დიდი ღვიძლი დევ კედელზედა, ის ავიღე, პატარა ნაგლეჯიც ავიღე.

ამ სიზმრის მერე აქაური ბიჭი მოკლეს თავის ამხანაგთან ერთადა. ფრუშკათ სალომეს მულმაც თავი მოიკლა და... ერთი ნაჭერია კიდევ დარჩენილი, ერთი ნაჭერი გულისა..."

დედინაცვალი მაინცდამაინც გულთბილი ქალი ვერ გამომდგარა. ობლებს სითბო ვერ აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძნობინა და ამის სამდურავი არაერთგან გამოსჭვივის. რამდენი სიმწარეა ჩაგუბებული გულქანის ერთ ამოოხვრაში. „ბალღიც ობოლი ვიყავ და სიბერეც ობოლი მაქვ მენა". მამა, ცხადია, ყოველთვის ეცდებოდა, შვილებს დაჩაგრულად არ ეგრძნოთ თავი. გულქანს გამორჩეულად ანებივრებდა. ხელმოკლეობის მიუხედავად, ხან ახალ კაბას მოუტანდა, ხან „პოლსაპოშკებს", ერთხელ საკერავი მანქანაც უყიდა. ოჯახის სხვა წევრებს რასაც არაფრით არ აპატიებდა, გულქანს იოლად პატიობდა, ვითომ არც შეემჩნია. ამას თავისებურად კიდეც აყვედრიდა დედინაცვალი: „ნეტავ რას თვალზე გხედავს მამაშენი, შე შავბნელოო", ეტყოდა ხოლმე. აქ ერთი საინტერესო ცნობა უნდა მოვიტანოთ გულქანის ნაამბობიდან:

„ილიასათვი უთქვამს მამასა: გულქანს უყვარს, ჩემს შვილსაო, ძროხა-საქონიო, დედინაცვალი მაინც დედინაცვალია, აიშურებს, რო გაიგოსო და „ეთერიანი" ჩემ შვილზე მაქვ დაწერილიო. განმარტოებით არი ჩემზე დაწერილი, განმარტოებით. სილამაზეც თუ მქონდა, ალბათ, რაღაცა და... იმან სუ ისე გამაიყვანა, რო... მაგრამ იმასაც მიხვდა, რო ბედი არ მექნებოდა".

ეს ცნობა, ვფიქრობ, სამომავლოდ უნდა აისახოს ვაჟას პოემის – „ეთერის" კომენტარებში.

ზემოთ მოხმობილი ნაწყვეტიდან ადვილი მისახვედრია – მოიარებით, ამავე დროს რაღაცნიარი შინაგანი კმაყოფილებით ადარებს გულქანი თავის თავს ქართული ფოლკლორის ერთ-ერთ უმშვენიერეს და ტრაგიკულ პერსონაჟს – ეთერს. საერთო ბედის – ობლობის – და ძროხის მწყემსობის გარდა, გულქანიც გონიერი მეოჯახე იყო და ეთერივით მასაც ემარჯვებოდა ხელსაქმე – თითისტარის ტრიალი და ქსოვა.

აქვე, ამავე ნაწყვეტში, ვაჟას ერთ საუკეთესო საყმანვილო მოთხრობას („როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?") ახსენებს გულქანი მასთან მოსაუბრეს:

„ბუები" არ ნაგიკითხავ, ეთერო? ეგეც თავის ობლებზე აქვ დაწერილი ბეჩავ მამასა. „ვერ მოჰხელეო". – რამდენჯერ ვეძახდით ობოლ-ობრები ერთმანეთსა დაკარგულ საქონზედა შავშუაღამესა. ეეე!.."

ორიოდე ფრაზას კმარობს, დედინაცვლის ბუნება რომ დაგვიხატოს და ცხადი ხდება, თუ რა სინანულია ჩაქსოვილი ამ ნათქვამში:

„სხვანაირი იყო ი დედაკაცი, როგორ თუ შამეტყობაო ქმარზე დარდიო, არა ეტყობოდა, არა! **ხმელის ხასიათის** დედაკაცი იყო. საწყალი ლუკაო, – იცოდა, – ჩვენ არ გვიგდებდა ყურსა, სუ სწერდა და რა მისცა ქვეყანამ, მშიერ-ტიტვლები დაგვყარა ჩვენცა და მშიერ-ტიტველი დაწვა თავადაც მიწაში ლუკაო, – იცოდა. სხვას არას იტყოდა, არა..."

თბილისში კი ჩასულა გულქანი თამარის დასაფლავებაზე (გაჭრილ სამარესთან იქაც არ მისულა), ორი წლის უნახავი ჰყოლია. მწერლები შემოჰხვევიან გარშემო. იმათგან ერთს იხსენებს გამორჩეულად, მამამისისგან დალოცვილს, ვაჟას სულის თანაზიარს, ნამდვილ მემკვიდრეს – გიორგი ლეონიძეს, არც შეიძლებოდა გამოპარვოდა მისი დიდი, ადამიანური სითბო და ალერსი (გულმა გული იცნო):

„მწერლები გამეცვნენ თამარის სიკვდილზე ჩასულსა, გოგლა ლეონიძე იყო ერთი, სულში მიძვრენდა. იყვნენ მწერლები სხვებიცა. ი გოგლამ სახლშიაც დაგვპატიჟა. ისეთი კაცი იყო, რო მაშინვე მაითვისებდა ადამიანსა. ძალიან მიყვარდა ის კაცი მენა – ტკბილი, ტკბილი ენა ჰქონდა ბადაგივითა".

თავად ყველაზე უკეთ გაეგება ენის სიტკბოცა და სიმწარეც. ერთგან აღნიშნავს: „ფშაველსავით წელ-გულის მამწყვეტი სიტყვა არავინ არ იცის და არც გამხარებელი". თვითონაც ასეთია – მოფერება თუ განიზრახა, თაფლად ილვრება; თუ ვინმე გაიმეტა, მტრისას, მიწაში ჩასდებს. თავისი პირით ამბობს: „გაცოფებულმა ფინთი განაჩენის ნაკითხვა ვიცი. არ მეევლება ჩემ განაჩენსა. ბალღობიდან მაქვ ეს ხასიათი".

სხვანაირი მოფერება იცის გულქანმა. აქაც არავის ჰგავს. ფშავლების რძალს, კეთილ რუსის ქალს (სონიას), დიდი ხნის უნახავსა და გარეგნულად შეცვლილს, ასე ესიყვარულება: „... არ მოგხდომია გასუქება, არაა, ვაიმეე, რა ლამაზი იყავ, შე შავის მინისაო..."

ბავშვობაში, მამისგან დასაჩუქრებული, როცა თავისი მაშინდელი სიხარულის გამოხატვა სწადია, ასე ამბობს: „ნამოვე ნიავივითა".

ეჯავრებოდა ყინვა, ვერ ქსოვდა ამ დროს თითებდამზრალი და კვამლისგან დაბრმავებული: „მთელ ზამთარ თვალები მთხარა ე ოხერმა ბოლმა..."

ვაჟა ხომ აშკარად არჩევდა შვილებიდან გულქანს, თავის მხრივ, ვაჟას მიმართ თურმე ასევე იქცეოდა მამამისი, პავლე რაზიკაშვილი. ვაჟას დედა ბარბარე ფხიკელაშვილი იგონებს: ისე დავზარდე შვილები, რომ მამას ვაჟას მეტი ხელში არავინ აუყვანიაო.

თითოეულ სიტყვას გემოს ატანს, სადად და, ამავე დროს, საოცრად სახიერად მეტყველებს; ერთხელ პატარაობისას, „გულთმისნების", ნამდვილი წინასწარმეტყველების საინტერესო ლაპარაკს შესწრება და ამას ასე გადმოგვცემს: „იმათ ლაპარაკში პირი გავრიე მენცა". თავის გაუხარელ ბავშვობასაც ერთ პაწია წინადადებაში ატევს: „გამამეძროხევეს შვიდის წლისა".

საბას პროზა გეგონება, ისე მოკვეთილად და ჩამოქნილად მეტყველებს: ზედმეტს ერთ ფიცქვსაც ვერ უპოვი. ძებნა არ დაგვჭირდება, თუნდაც ეს ადგილი ვნახოთ:

„ერთხელა ძროხები დავკარგე. წავე მოსაძებნადა. დამილამდა. ვკოხე ის წიფელი. ციცინათელები დადენილიყვნენ, მე მგლები მეგონენ. გადადიოდა რაიმა, გადმოდიოდა წითლადა. დავაყარე ქვები. **პატარუნა** რაიმ გადაცოცდა... ის მქონდა გაგონილი, მგლის თვალები ანათებენო. მივედ – ჭია არი. ავიარე ნაკალოვრებზე, ვკვლიე ძროხები. ჩამოვიარე დიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუერიანზედა, გავჩერდი. მე არცრაი მაშინებდა (მანამდეც ამბობს: „ჩემ გულს რა შედრეკდა...“). რავი, რამდენისა ვიქნებოდი. რვა-ცხრა წლისა ვიქნებოდი. ბოლო ქვა რო დავარტყი, **გადაიბურჯღლა**, წიფლის ფუტურამ გაანათა“.

უადგილოდ ნახმარ სიტყვაზე ტანში ბურძგლავს. ეთერს უზიარებს თავის აღშფოთებას რომელიღაც კალმოსნის ნაცოდვილარზე:

„აი, ექ ვინამ წამიკითხა, გაზეთში ეწერა ერთი პოეტის ლექსები: ფოთოლი შრიალებდა, ქარი კი ბღაოდაო... ვაიმე, ავიღე და ნაცარში ჩაუძახე... **არც არას ვიტყვი უშნოოსა...**“

ადრეც მოვიტანე მაგალითი; ერთ პატარა წინადადებაში შეუძლია ცხოვრების მთელი დრამა მოაქციოს. ბიჭი ხარ და მიდი, გაეჯიბრე ამის მთქმელს:

„მე ჩემი გზა მაქვ, ჩემი სამარე, კარებზე უდგეკარ და ჩავცქერ“ (არადა, რაც თავი ახსოვდა, ყველა თავისიანის სამარეს გაურბოდა, ახლოს არ მიკარებია).

ეპიკურ აზროვნებას არ უყვარს ერთხელ მოძებნილი ეპითეტების ცვლა; ისიც თითქმის მუდამ ერთი და იმავე სიტყვებით იხსენიებს თავისი სიზმრების ყველაზე ხშირ ბინადარს: „ჩემი მამაი“, „ბეჩავი მამაი“, „ბედბნელი მამაი“... დახასიათება როცა უნდა, მაშინაც ერთადერთ სიტყვას იშველიებს და კვლავ არაფერი ეშლება: „ფიცხი იყო მამაი“. არც უნდოდა ამის თქმა, ასე იქნებოდა.

ეს ხომ სხვა დიდმა მარტოსულმაც, გალაკტიონმაც იგრძნო: „რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და ვაჟა?“ იმიტომაა, იარაღასხმული მხედარი სამარეშიც რომ ვერ ისვენებს, იქაც სამშობლოს საშველად მიიჩქარის, იქაც ამას იძახის: „უჭირს საქართველოსა!..“

რამდენიმე თვეში ბევრ რამეს შეესწრო ამ ნაამბობის ჩამწერი. ერთხელ რომელიღაც სკოლის მოსწავლეები მოსულან ჩარგალში ექსკურსიაზე. ზრდილობა და ყურადღება ვერ გამოუჩენიათ, რაც გულქანს საწყენად დარჩენია. ეს შემთხვევა შენიშვნად არის მოწოდებული: „ვაჟას შვილს ისე ჩაუარეს, როგორც ექსპონატს, არავინ დამშვიდობებია, მოვალეობა მოიხადეს. ხელი ჩაიქნია გულქანმა: სიყმითსიბერემდე სწავლზე დადიან, ცოდნაზე დადიან და ის არ იციან, რო კარგა იყავო! — თქვან...“

არ არი დიდად გასაკვირი; ყველაფერი გადაგვარდა, დამახინჯდა და სკოლას რა ხეირი დაადგებოდა.

ყველა რაღაცას მიაგნებს და ამოიკითხავს ამ ჩანაწერებში, თავისთვის საგულისხმოს და სასარგებლოს; ამ ფურცლებზე გამქრალი, ან გარდასული საქართველოა შემონახული, მისი ზნეობა და წეს-ჩვეულებანი. ისტორიკოსი, ეთნოგრაფი ძვირფას მასალას ნააწყდება გულქანის მონაყოლში:

„მეკვლე რო მოვიდოდა, გამომცხვარი იყო ხართგოგაი. მეორე კვერი იყო კიდევა, მეკვლეს კარებში რო მიაგებებდნენ. მეკვლე სამჯერ გამააგორებდა კერათკე. წაღმე თუ დადგებოდა, ოჯახს ყველაში ხელი ემატებოდა. [illegible] ლსა, წაღმა წაზდიოდის საქმე, ძაან გაუხარდებოდა ოჯახსა...

თავისებურად გენიოსები იყვნენ წინანდელი ხალხი. ნაცარს შინჯავდნენ ახალ წელსა: საქონლის ჩლიქი თუ ეტყობა, სანლეულოდ ჩვენი საქონლის საქმე კარგად წავაო. ახალ წელს ნაცარში ჩაიქცქირებოდნენ და მოსავალსაც იქ შინჯავდნენ...“

ყველაზე დრამატული და სულისშემძვრელი მთელს ნაამბობში გულქანის პირადი უიღბლობა, ოჯახის დანგრევა, ერთადერთი ვაჟის დაღუპვაა. მერე კიდევ მუცელი მოეშალა ბიჭზე და შეურაცხყოფილი, აღრენილი ქმარს გაშორდა.

ბიჭის გაჩენამდე სიზმარი უნახავს, ვითომ ქმართან ერთად ხომში მიდიოდა. მაღლა აუხედნია და მომქროლავი წმინდა გიორგი უცვნია. ზღაპრული სურათია დახატული: „ცისაკე ავხედე და ვხედავ, მოფრინავს ამხედრებული წმინდა გიორგი და მოჰკეცს იმის ცხენი ოთხსავ ფეხსა“. ძირს დაშვებულა და წინ გადადგომია ცოლ-ქმარსა, ერთხანს მათთან ერთად უვლია, მერე მოსახვევის ბოლოს ცერა თითიდან ოქროს ბეჭედი ნაუძვრია და ქალისთვის გაუკეთებია... მალე ბიჭიც გაჩენილა და გულქანს წმინდანის სახელი — გიორგი — დაურქმევია (სხვა სახელიც ჰქვიებია, „იმედაი“).

სულ ორი წლის სიცოცხლე ჰქონია მიცემული ბედკრულს. ბევრ დიდ მწერალს შეშურდებოდა, ტრაგიზმის ისეთი განცდითა და მღელვარებით არის გადმოცემული შვილის დაღუპვის უსაშინლესი წუთები:

„შეშაზე წაველ და ბავშვი დავტოვე. აქ ვიყავი ქმრიდან გამამწყარალი, ერთი თვეღა მეკლდა. კალო გვეყარა. ი დედაკაცი, ჩემი დედინაცვალი, კალოში იყო, ხოვს ანიავებდა. შეშა არა გვქონდა, ესენი ხო სუ უშეშცეცხლოები იყვნიან. მე კიდევა დავაძინე ბალღი, ავიღე საბელი და წაველ შეშაზე. ჭალაზე. ეჰეჰე!.. მერე დამეგვიანა იქა. მოვე და ბალღსა ხმა აღარა აქვ, კნავის. რა ვიცი, თურმე ნანილიანს ეტანება სატანა. ამ ბალღს შასცივდებოდაო, გადაღვიღლულ-გადმოღვიღლული იყო გულზედა. გავათბე წყალი, გავაბანავე, აღარ ჭამს ე ბალღი, აღარა სწოვს ძუძუსა. ჩავინწვინე გვერდითა და ჩავწევ. გაჭუნჭყურდა ბავშვი, გაინძრა. მოვაწოვე, კარგა მოწოვა, კაცო, სწოვს ეს ბალღი. გათენებულია. გეყოფა, ნიწილოო, გეყოფაო, — მე. მემიჭირა ღრძილები, მატკინა — თურმე უკვე კვდება. ცეცხლი დავანთე და ჩავისვი კალთაში. ი დედაკაცი კალოზე წავიდა და ასლოკინებს, ასლოკინებს, უცბად დოჯურაანთ თამარი შამოვიდა, იმ დედაკაცსა ბალღები ეხოცებოდა. ვაიმე, — მითხრა, — მოგიკვდეს ჩემ თავიო, ე ბალღი შენ სარგო აღარ არიო.

გადავხადე. გადაფარებული მენვა. დამკაცრევებულია ბალღი. დამჯუღვილი ხელები გულზე უწყვია. დავჰკვლიე და აღარ არი ცოცხალი. ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთი ყისმათიანი და დავლათიანი შვილი დავკარგე.

რო მოვკვდები, ეგა მწყურიან, რო ჩემ გვერდით იყოს ი ბალღი დახატული. არავინ მომიყვანა მხატვარი, რო მოვრიგებულიყავ და გამეკეთებინა ეგეთი სურათი: მე და ჩემი შვილი გვერდისგვერდა".

მართალია, გულქანი თურმანაულების რძალი აღარაა, მაგრამ მისი ნაქმრევის ნათესავები ერთთავად დიდი პატივით ეპყრობიან. სხვანაირი სითბოთი და სიყვარულით იგონებს იგი უდროოდ გარდაცვლილ უკეთილშობილეს ვაჟკაცს, მთის ხალხური პოეზიის უბადლო მცოდნეს, მაღაროსკარელ გოგი თურმანაულს. ვაჟას ქალიშვილს სხვანაირად როგორ მოექცეოდა ყოველმხრივ დახვეწილი, ქვეყანაზე სიკეთედ მოარული პიროვნება. ასევე კეთილად დაამახსოვრდა გულქანსაც:

„გოგიაი რო იყო თურმანაული, მაშინვე გადმომეხვეოდა და მაკოცებდა. ჩემკე თუ ვინ ცუდს იტყოდა, მაშინვე პირში ეცემოდა, სიტყვაშიც მეხმარებოდა".

საქმიანი და დასახმარებელი მართლაც იყო მარტოხელა ქალი; ძალიანაც უჭირდა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია თავის საბუდარიდან. ყური ვუგდოთ, რამოდენა სული შფოთავს, თანაც რა ძალით შფოთავს, როგორ ვერ ეყრება მამის დანატოვარ კერას:

„მამძულდა სიმარტოვეცა, მაგრამ ვერ გავძლებ, არ ვიცი, რა გამიხდა ეს **თავისნვერობაი**. სულ გაკრული ვიყავ მამასა, სუ, რით ვერ დავეხსენ ჩარგალსა, არ ვიცი, რაი მაქვ ასეთი... როგორიც მონყობილობა მაქვ ჯიშისა, სისხლისა, თუ **ისე ვარ, კარგა ვარ, არადა, არაში ვარ**".

ისევ თავის ჩაფერფლილ ახალგაზრდობას იხსენებს. ქმართან გაყრილსაც, გაუბედურებულსაც არ ასვენებდნენ; ერთ გომბორელ მეცხვარეს, მეტსახელად „მგელბიჭას", მისი მოტაცება სდომოდა. ახლობლებმა ურჩიეს, ლამაზი ქალი ხარ, არ დაგეხსნებიან და გათხოვდიო. გამოუძებნეს ვითომ კარგი შეძლების კაცი, მაგრამ მეორედ უსიყვარულოდ გათხოვილი გულქანი საშინლად ნანობდა:

„ძალად გავთხოვდი, ძალადა, ძალადა მეორე ქმარზედა. აი, ეგ დაღონება გამოვიარე. ეგ იყო ჩემი ახალგაზრდობა, ეგრე ჩამელია.

მეორე ქმართან დიდხანს იყო და შვილი არ ეყოლა. ვერა და ვერ გამოუვიდა ოჯახის შექმნა და ისევ მამის კერას დაუბრუნდა, იქვე დალია სული.

პირველ უიღბლო ქორწინებას აბრალებდა ყველაფერს, „უგემურის" ცოლი რომ გახდა პატარა გოგო, მაშინაც მოტაცებით ემუქრებოდნენ ვიღაცეები. იმათზე იყო დაბოღმილი — „გადამილახეს ბედ-ყისმათი და დამაკარგვინესო", ამბობდა.

უცნაურ რამეს ჰყვება ამის მერე გულქანი. გომბორელ მეცხვარეს, „მგელბიჭას", მთელი სიცოცხლე უტარებია თურმე გულქანის სიყვარული. ბოლოს, დაბერებულს, უნახავს იგი:

„ის მგელბიჭაი შარშან აქ მაპყოლიყო ეჭვურსიასა. ხანდახან თვალებში გაიცინებს ერთი ბებერი კაცი. მიყურებს, აქეთ ნაპირზე მე ვზივარ, იქით ნაპირზე სკამისა — ისა. აბაო, ბიჭო, სურათებ გადავიღოთო. გადაიღეს, ადგნენ, მიდიან. ეს სურათი ხო გადავიღე ამასთანაო... ის იყო, ისა, ის იყო, ის იყო, ისაა! მემრე გავიგე, რო მგელბიჭა იყო, ის კარგ უნახავი, იმის შიშით შევირთე პაპი ხისფეხიშვილი. ბოდავში ცხოვრობდა პაპი-ჩემი მეორე ქმარი. ოცდაათი წელი ვიცხოვრე იმ კაცთანა და... მოკლედ, არ მქონდა მე შვილის ბედი და რაღა ვქნა, აბა, ეგეც ჩემ საუბედუროდა, წყლის მამწვდელი მაინც არ უნდა მოეცა ღმერთსა ჩემთვის! რა დაუშავე ამ წუთისოფლის მწერელსა ნეტარა..."

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ვაჭარბებ, წვრილმანებს გადავყევი, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. გზადაგზა იმდენი ძნელად გასამეტებელი „წვრილმანი" გამოვტოვე, კიდევ რამდენიმე წერილი გამოვიდოდა.

ორი ნაწყვეტის ამოწერა კიდევ მოგვიწევს, შთაბეჭდილებებს მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე რომ მიეცეს. ერთია გულქანის ბოლო სურვილი, თუ სად უნდა პპოვოს სამუდამო განსასვნებელი. აქაც მისი პირდაპირობა, განუმეორებელი ბუნება გამოსჩანს:

„მე მინდა რო დავიმარხო მამაის გვერდით, მამასავით ამ სამზეოში არავინ მიყვარს, იქ დავისვენებ და თუ მამაის გვერდით არ მოხდება — ხომში. ჩარგალში არ მინდა, არა, ღორები სთხრიან საფლავებსა, ძვლებს ამააყრეინებენ. ჩემი ბალღის და დედის ძვლებიც აღარ იქნება. სალომეს მამამ გაუკეთა კუბო და იმან დამიმარხა შვილი. ვერ ნავედ, არ მინდოდა, რო დამენახა, აქ ვიღრიალე".

მეორე, უფრო მოზრდილი ნაწყვეტი, ეტყობა, პასუხია შეკითხვისა — რას მოიმოქმედებს, როგორ შევა იგი სულეთში; არც შემკითხველია დავიწყებული, მასაც, მიწის ზევით დარჩენილსაც არ უვიწყებს სიკეთეს გულქანი:

„...როგორ შევალ საიქიოსა?

მძიმე-მძიმედა, მძიმედა. ვკითხავ ამბავს მამასა. მოუსაუბრებ მძიმედა, რო რა თვალთმაქცი და მოკლე ყოფილა, მამაო, ჩვენი წუთისოფელიო. რა დაუნდო ყოფილა სამზეო, რა მოკლე ხნისაო. რა მალე კეტილა სამზეოს კარიო, — ვეტყვი. მამას ეჯავრებოდა შატაბუტაობა... დედას ჩამოვკოცნიდი. არ გადავიხელთები მე, რაც უნდა მიყვარდეს, არ მივარდები მგელივით, არა... ჭკვიანადა. დიდი მოვლენისა ყოფილაო, — იმას ვეტყოდი, — უცნაური წუთისოფელიო. ბუნება ყოფილა ჩვენი გართობაო. მამავ, რამდვენი ქვეყანა მოდიოდა შენი სიყვარულის და შენი შრომის გულისთვინაო. ხატად ჰყევხარ ქართველებსა, ვისაც ჭკვა აქვ და გული უცემსო. შენზე იმას ვეტყოდი, რო ერთი ადამიანი მყვანდა და სუ ის უნდოდა, რო შენი სახელი სამზეოთვი მოეფინაო, გაფასებდაო, სუ წვრილად მეკითხ-

ებოდა შენ ხასიათსა, შენ ყოფასა, ნვრილ-ნვრილადაო.

და-ძმებსაც შევხვდები მძიმედა, ვერ შევ-ხვდები ხელგაშლილი. თვალთმაქცი საქციელი ჩემთან არ იპუება".

აქვე, დაუძლურებული, თავის თავს პანია ჭიას – მზომელას (მეორე სახელს, ჭიალოლიასაც ეძახის) ადრის, მცენარის ღეროზე თუ ფოთოლზე ცოცვისას ნელში რომ შეიზნიქება და მერე ისევ სწორდება, რათა მცირე მანძილით გადაადგილდეს. ტანში გაგცრის, იმდენად ზუსტი, სამწუხაროა ეს შედარება:

„მზომელას დამაფერა სამზეომა, ხან მოვიკუნჭები, ხან გავიშლები. ტყუილად იტყვის, ტყუილადა კაცი, მე ვერა მომერევაო..."

ცხადია, ამის გამფიქრებელსა და მთქმელს სასიცოცხლო ძალა გამოცლილი აქვს, აჩრდილთა საუფლოში მოხვედრას აღარაფერი უკლია, მაგრამ მაინც ღმერთსა და ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ თავისი უბერებელი და უჭკნობი სული ბუნებასავით უხვსა და ულამაზეს წიგნში ჩასტოვა.

თვითონ ეთერ თათარაიძის – ამ გასაოცარი პოეტური ნიჭისა და არაერთი უნარით დაჯილდოებული პიროვნების გამო უნდა ითქვას – სხვა რომ არაფერი, ეს წიგნიც იკმარებდა, ქართულ მწერლობაში მისი სახელი სამუდამოდ დარჩენილიყო.

●

ერთხელ, 1994 წლის ნვიმიანი გვიანი ტოსდილას, ვაჟაობაზე რომ ჩავედი ჩარგალში და მუზეუმის ექსპონატებს ვათვალიერებდი, ყველაზე დიდხანს ორ ფოტოსურათთან შევჩერდი. ერთზე თექვსმეტიოდე წლის ვაჟაა, უნ-ვერულვაშო, შავი ნაბდის ქუდი ხურავს, ტუჩები ძლიერად მოუკუმავს, თვალებში უცნაური ცეცხლი უკიაფებს, თითქოს გალიმებას აპირებსო. ჯგუფური სურათიდანარის ამოღებული, გორში (იქ სწავლობდა სოსტატატო სემინარიაში) ალმოუჩენია სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს. მზერაზეც ეტყობა, ჩვეულებრივი მოკვდავი რომ არ იქნებოდა. მის დაზიანებულ, დაწყლულებულ თვალზეხომ თქვა გულქანმა: „სიბნელეში სხივებიედგაო" დათვქვსმეტი წლისა როგორი უნდა ყოფილიყო.

მეორე, უფრო დიდი ზომის ფოტოზე შავებში ჩაცმული მოხუცი გულქანია გამოსახული, ჯორკოზე ზის; შალის ძაფს ხვევს და ახვევს, ცერად გაჰყურებს მოშორებით მბრუნავ, აბრეშუმის პეპელასავით ტანდამსხვილებულ თითისტარს, რომელიც სადაცაა სიმძიმისგან გაკოტრიალდება.

„დევის ქალი", „დევების დედა"... – პირველი ფიქრი ეს იყო. თავისი გარდაცვალების წინა წელს, 1988 წლის 16 თებერვალს, დაუძლურებულმა, მაგრამ ბოლომდე გაუტეხელმა, ანრიალებულმა, თვითონვე ამოიძახა:

„თოვლი... თოვლი... რაღას შამაციევებს, ბევრი ეგეთი ზამთარი ჩამამიდნია... მაინც გამოვალ, მაინცა, **დევ დედათ დედაბერივითა**... არ მაშინებს სიკვდილაი, აი, ავადობაი მაშინებს..."

რა ძლიერი ყივილია სულისა... ეს ... ბანარილა ჰქონდა თურმე ამის მეტ-დამჩქარა, ერთხელაც ჩამოადნო ახუნის გორზე დადებული თოვლი და თვითონაც ძვლებდამდნარს გულზე დაუკრიფეს სიბერის ტალებით დაფოთლილი, ნაჯაფარი ხელები.

გულქანიც ხომ „ნანილიანის" – „დევის დედა" იყო, მაგრამ განგებამ მოუსპო ეს სიხარული, არ დასცალდა თავისი ქუდბედიანი ბიჭის გაზრდა. მაინც მოხუცებულ „დევების დედას" დაემგვანა სიცოცხლის მინურულს. მასზე უკეთ ამას ვინ იგრძნობდა.

ადრე უკვე დავიმონმე ერთი ნანყვეტი ჩვენი უძველესი მითოლოგიური პოემისა, ჟამთა სიავის გამო, ყამარის კოშკში დალეწილი თეფშების ნამსხვრევებივით რომ შემოგვრჩა. მაშინ არ მითქვამს – ამირანმა, სანამ სიტყვას გადაუგდებდა, გაეძრახებოდა, ის „დევის ქალი" ძაფის სართავ დაბზრიალებულ ჯარასთან ხელსაქმეში გართული ნახა. იმ სურათის ძალა და დიდებულება რომ ვიგრძნოთ, საუკუნეთა მიღმა გამოჩარხული სტრიქონების გრგვინვა რომ ვისმინოთ, კიდევ ერთი მცირე „ნამსხვრევი" უნდა გამოვაცალკევოთ:

თხორს სძახდა დევების დედა,
ჯარა ხვიშტაკი ხვიოდა...

განუშორებელი სართავ-საქსოვი, მომნუსხველი მზერა, „დევების დედა"... სხვა მეტი რამ მსგავსებაა საძებარი... „მაინც გამოვალ, მაინცა..." მაინც ვერ ისვენებს მბორგავი, აფორიაქებული გონება...

შაოსანი გულქანის სახეს მიჩერებულმა, ერთი გაფიქრება ესეც გავიფიქრე: ლეგენდარულ ლიდიელ მქსოველს – არაქნეს – სიბერე რომ დასცლოდა, ზედმეტად გათამამებული, ზევსის ასულს, ათინას, ქარგვაში რომ არ გაჯიბრებოდა და განრისხებულ ქალღმერთს, მედიდურობის გამო, იგი ობობად რომ არ ექცია, ალბათ ასეთი გარეგნობა და გამოხედვა ექნებოდა-მეთქი. გულქანსაც იმ ჯადოქარივით ადრე დაეღუპა დედა, ისიც არაქნესავით ამაყი იყო და მისებრ ცერად იცოდა გახედვა (ეს იმ სურათზეც ჩანს), მასავით ემარჯვებოდა ქსოვა – ამით ხომ თვით მამამისს, ვაჟაფშაველას ადრიდა თავს. ნამით ასეთი ფიქრიც გამიკრთა თავში: „გულქანი – ჩვენი მოხუცებული, გრძნეული პარკაა".

დიდხანს ვერ მოვისვენე გადიდებულ ფოტოზე აღბეჭდილი შაოსანი გულქანის მხილველმა, ერთ ხატს მეორე მოჰყვებოდა, ვფიქრობდი – ჩვენთვის ხილული უახლოესი სამყაროს ცენტრში, ასევე თითისტარივით ბზრიალებს ცეცხლისმფრქვეველი მზე და გარშემო უვლიან მეტნაკლებად დაშორებული პლანეტები, მის ირგვლივ დასრიალებენ. მერე ამ შედარებას სხვა შეენაცვლა, უფრო ფართო და მითოსური აზროვნებით დაქსელილი, წიგნებში ამოკითხული. იმის გათვალისწინებაც მოგვიწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაჩანა ბრეგვაძე პლატონის ერთ-ერთ უიდუმალეს დიალოგზე („ტიმეოსი") დაწერილ მეტად ღრმა გამოკვლევაში საგანგებოდ ჩერდება პლატონისავე სხვა შედევრის – „სახელმწიფოს" – ფინალურ ნაწილზე, სადაც მოთხრობილია უცნაური, დღემდე დაუდგენელი ნარმომავლობის პიროვნების, სიცოცხლეში სულეთის მომხილავის ერ პამფილიელის მისტიურ ხილვაზე. სასიკვდილოდ დაჭრილი, იგი მიცვალებული ეგონათ და კოცონზე დასწვავად დადებული, მეთორმეტე დღის აღსდგა მკვდრეთით და ინყო თხრობა ზეცაში თავისი საკვრველი მოგზაურობისა, წარმოადგინა „გრანდიოზული ესქატოლოგიური პანორამა", რომლის მიხედვითაც „... ცასა და მიწას აკრავს სინათლის სხივოსანი სფერო, ხოლო სამყაროს მთელ სიღრმეზე – ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე განწონის ცისარტყელასავით მოელვარე სინათლის სვეტი, რომელიც ცარგვალისა და დედამიწის ორ ურთიერთსაპირისპირო ნაპრალზე გადის. სვეტის შუაგულში ბრუნავს ანანკეს (აუცილებლობის) გიგანტური თითისტარი, რომელიც სხვა არა არის არ, თუ არა სამყაროს ღერძი. ალმასის თითისტარზე წამოცმულ ალმასისვე კვირისტავს ნახევარსფეროსა თუ ნაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს, რომლის განივჭრილი ზემოდან რვა კონცენტრული წრის სახით წარმოუჩნდება მზერას. თითოეული წრე ცის რვა სხვადასხვა სფეროს შეესაბამება – მზის, მთვარის, ხუთი ცთომილისა და უძრავ ვარსკვლავთა სფეროებს. მათ შორის ყველაზე დიდია გარეგანი ანუ უძრავ ვარსკვლავთა სფერო, რომელიც შვიდ დანარჩენ სფეროს მოიცავს".

ანანკე იგივე ბედისწერაა, რომელიც თვით ღმერთების ხვედრსაც კი განაგებს. კვირისტავის წრეების ანუ სფეროთა სიჩქარე სხვადასხვაა, უმთავრესი ის გახლავთ, რომ „... კვირისტავი ანანკეს კალთაში ბრუნავს". ამასთანავე, „კვირისტავის რვავე წრეზე ფეხმორთხმით ზის თითო სირენა, რომელიც წრეებთან ერთად ბრუნვისას გარკვეული სიმაღლის ბგერებს გამოსცემენ". სირენების მახლობლად, თანაბარ მანძილებზე (თითოეული თავის ტახტზე) ზის ანანკეს სამი ასული, მოირები, ბედისწერის ქალღმერთები: „ლახესისი, კლოთო და ატროპოსი. სამივეს სპეტაკი სამოსი მოსავს და გვირგვინები ადგია თავზე". აქვეა ჩამოთვლილი თითოეული მათგანის მნიშვნელობა და დანიშნულება: „ლახესისი" წილის მყრელს ნიშნავს ბერძნულად, „კლოთო" – ქსელის მბეჭველს, „ატროპოსი" კი – „შეუქცეველს", „ურყევს", „გარდუვალს". ამრიგად, ბედისწერის სამ ქალღმერთთაგან პირველი წარსულში უყრის წილს ადამიანს, მეორე მისი სიცოცხლის ძაფს ართავს, მესამე გარდუვალად აახლოებს იდუმალებით მოცულ მომავალს" (პლატონი, ტიმეოსი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „ირმისა", 1999. გვ. 80-83).

ცხადია, გაცნობიერებული მაქვს მოხმობილი პარალელი ადამიანთა ჩვეულებრივი საქმიანობისგან, კონკრეტული ყოფისაგან ძალზე დაშორებული, მეტისმეტად რთული, ჭეშმარიტად კოსმიური მასშტაბისაა (პლატონის „დიად სოციალურ უტოპიაში" წარმოდგენილი სურათი, რამდენადაც შევიძელი, გავამარტივე), მაგრამ ცდუნებამ დამძლია და თვით მეტაფორათა მსგავსებამ გამაბედვინა, მცირე ხნით სათქმელიდან გადამეხვია, რამაც, საბოლოოდ, არა მგონია, წერილის ამ მონაკვეთის აზრი გააბუნდოვანოს, დააბნელოს. აი, რამდენი საფიქრალის აშლა შეუძლია ერთ შთამბეჭდავ, ოსტატურად გადაღებულ ფოტოს, თუკი მას ცოტათი სხვანაირი თვალით დააკვირდები. ახლა ისევ გულქან რაზიკაშვილს უნდა მივუბრუნდე, მის მარჯვე, ღვთიური მადლის გამომჩენელ ხელსაქმეობას.

იმაზე დიდი სიხარული, ეტყობა, აღარც განუცდია, როცა ერთხელ მამას წინდები მოუქსოვა და იმანაც, როცა ჩაიცვა, შეუქო ნახელავი: ნიჭი უნდა, ნიჭიო ყველაფერსაო. ორ-ორ რიგად სხვადასხვა ფერის ყვავილები დაუყვებოდა თურმე იმ წინდების თითოეულ ყელს... „მწვანე-წითლიანები, ლურჯ-შავიანები იყო ჩემი დაქსოვილი მამაის წინდები..." – იგონებს თითქმის საუკუნეს მიტანებული, ნამით გახალისებული. ხსენებულ სურათზეც, ალბათ, მამამისს დასტრიალებს მისი ფიქრი – ვისთვისღა გამოიყვანოს ყვავილებიანი საკვლეველა, ვისღა მოუქსოვოს ნაჭრელაებით განყობილი, დაგვირისტებული წინდები.

გუშინდელივით ახსოვს – ერთ ზაფხულს, მამამისთან ერთად მარხილით ძნას ეზიდებოდა, ხარებს უძღვებოდა. მინიშნებულიც აქვს, ტანად რამოდენაც იყო: „უღელს ვეჭარბე თავითა ცოტაადა".

ყველაფერზე ეტყობოდა გულქანს, მამის ჩამონათალი რომ იყო. აქ ეთერ თათარაიძის ერთი სტრიქონი მახსენდება – („კლდეს მომწყდარ, ჭრილობიან ქვაო..."); „იმ შემოქმედის მაღლის ღვთის" ხელმა ერთი ცომისგან მოზილა ისინი, ერთ გუნდაღ შეკრა. პატარაობიდანვე ტყუილად როდი ადარებდნენ მამამისს – „მაგასავით დევიანი ხარო". ერთნაირად ემდურებოდნენ ნუთისოფელს. ნატვრაშიაც ერთნი იყვნენ. ამიტომაც მოხვდა ვაჟას გულზე პატარა გულქანის ნათქვამი შაირი, სთხოვდა, ქვებზე დაწერე ეგ ლექსები და მოიტანეო.

ხანდახან თავისი ყმაწვილქალობისდროინდელი სახის გახსენება მოუნდებოდა გულქანს, სწუხდა, რომ ვიღაცეებმა დაპარეს ის სურათები, არ შეარჩინეს:

„მამენატრება ჩემი სიჯვეილის ნახვა. აღარ **მატიალია** ერთი სურათიცა. გან კი არ ეენება ვისა, მაგრამ არ აჩენენ".

დარდად ჩაჰყვა ის გაფანტული სურათები. ნეტა იმათაც აღმოაჩენდეს ვინმე.

მამამისის სურათებიდან ერთს გამოარჩევს, ერთს ამჯობინებს დანარჩენებს, მიგახვედრებს, რომელზედაც ლაპარაკობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქუდი ხელში უჭერია, ხანჯარი არტყია და ცერად უდგა ფეხები... ის სურათი მამწონ მამაისა, ის სურათია ნამდვილი მამაი".

ნაგულისხმევია ფოტო, რომელზედაც გაჭალარავებული, თავშიშველი ვაჟა მთელი ტანითაა აღბეჭდილი, სოლომონ ყუბანეიშვილის ბიოგრაფიულ-დოკუმენტური წიგნიდან მახსოვს და კარგი იქნება, გულქანის „ნაამბობის" ახალ გამოცემას მის მიერვე მონონებულ ამ სურათს თუ დაურთავენ, დამშვენდება.

ისევ იმ ნაბდისქუდიან, სახეგადანათებულ ჭაბუკს მივუტრიალდი და ვუყურებდი. არსებობს სემინარიის ერთი მასწავლებლის სუდაკოვის მოგონება – სექტემბრის დილას როგორ შეიყვანა პავლე რაზიკაშვილმა თავისი ვაჟი გორის სემინარიის ეზოში:

„ჩვენს ბლუზიან, სიცოცხლით სავსე აჟივჟივებულ ჯგუფს შემოგვიერთდა მოკლე, ამტვერებულ ჩოხაში, წინდა-პაჭიჭებში და ჩუსტებში გამოწყობილი ჯირკვა-ტანიანი განიერმხარბეჭიანი, ყვითელ თვალებბრიალა, შავწარბანეულაშმუშნული, დიდხელებიანი „ვაჟა". მის ურჩ და ანეწილ ქოჩორს ამშვენებდა ზედ კეფაზე მიმჯდარი თუშურ-კახური პაწია მრგვალი ნაბდის ქუდი".

ამ სურათის გადაღებისას, როგორც ჩანს, ვაჟას სემინარისტებისთვის სავალდებულო ფორმა ბლუზა – კი ჩააცვეს, მაგრამ კეფაზე დაკოსებულ თავის ნაბდის ქუდს ვერ შელევია.

ამ ორ ფოტოს შუა გაგიჭირდება საერთო ძაფის გაბმა. ვერაფრით ვერ იტყვი, რომ ეს პირტიტველა ბიჭი მამაა ამ საცოდავად მოკაკვული დედაბრისა. არადა, ძნელად თუ წარმოიდგენ იმაზე უფრო შეკავშირებულ, ერთმანეთზე ბედით, ნიჭით, ხასიათით ისე გადაჯაჭვულ მამა-შვილს, ვიდრე ვაჟა და გულქანი იყო. არანაირ ძალას არ შეეძლო მათი სამუდამო გათიშვა და ახლა ისევ ერთად არიან. აქ კი, მამა-პაპეულ კერასთან განმარტოებული ზის „დევის ქალი" და განუყრელ თითისტარს აბზრიალებს.

იმარცვლება გაბმული ფიქრი, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იკვრება თავი და ბოლო. მახსენდება ოდესღაც ნაკითხული: ხელსაქმეს, სართავ-საქსოვს დაუფლებული ქალი დროს იმორჩილებს, ოჯახში სიმშვიდეს, მყუდროებას ამყარებსო.

არ შეიძლება ეს უღრმესი დაკვირვება არ ირწმუნო, როცა, მაგალითად, დავით კაკაბაძის სურათს – „იმერეთი – დედაჩემი" – აკვირდები. ამ ტილოს მთლიანად სიმშვიდე და ჰარმონია მსჭვალავს – მინდვრის ყვავილებითა და პეპლებით მოჩითულ ეზოში, ხის გადანაჭერზე ჩამომჯდარი სახედაღარული მანდილოსანი, დაძარღვულ ხელებში ყაისნაღი რომ უჭირავს და ქსოვს, ნანატრი სიწყნარის, უშფოთველობის განწყობილებას ქმნის, იქაურობას სხვანაირ სიკეთესა და შუქს ჰფენს.

ასე დამაშვრალმა და მოფუსფუსემ გალია თავისი გაუხარელი ცხოვრება გულქან რაზიკაშვილმა. ოღონდ გიჭირს დაჯერება – ნუთუ ეს ჟამგადასული დედაბერი ერთ დროს ... ნლის მკვირცხლი გოგონა იყო, ვისაც სამწყესურში ღვართქაფმა მოუსწრო და მარტო დარჩენილმა, თავის სიობლე-სიბეჩავეზე დაფიქრებულმა, საკვირველი ლექსი ამოთქვა. ეგებ იგრძნო ბავშვობაგამწარებულმა, გულდათუთქულმა – რამდენი შავი დღე და განსაცდელი ელოდა ამ ცრუ, გაუტანელ სოფელში; ეგებ მართალიც იყო, უფალს ადამიანად დაბადება რომ უსაყვედურა და ღრუბლებში ატანილ ნამად გაჩენა ინატრა.

ჭეშმარიტად ღვთის თვალი ტრიალებს ამ პატარა წიგნში. აქ უამრავი სიმდიდრეა გაბნეული და ყოველი მათგანის გამოტოვება მენანება. ნვრილშვილიან ოჯახში საქმეს რა გამოლევს და გულქანი ისევ თავის ბალღობას იხსენებს; სამწყესურში ალიონზე საქონლის გადენასაც უცნაური, ჩვენთვის გაუგონარი, პოეტური ენით გადმოსცემს: „... დიდი ძროხები **გაუდილაურე**..." რამდენის მთქმელი, რა სილამაზის დამტევია ეს ერთი სიტყვა – „გაუდილაურე" (იგი გულქანს, როგორც ადრევე ვნახეთ, მამისგან ჰქონდა განაგონი) სხვამ, მწერლობას რომ იჩემებს, შეიძლება რამდენიმე გვერდი მოანდომოს ამის თქმას და სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიოს

რანაირ სურათს არ დაგიყენებს თვალწინ, ნამდვილად უჩვეულო ძალისაა გულქან რაზიკაშვილის ერთი ხატოვანი გამონათქვამი, თავის ჩანაწერებში ეთერ თათარაიძემ რომ გადაგვირჩინა. იგი თავად ვაჟას ხილვას ნააგავს:

„მე ისე ვარ, კედელს რომ ვაშენებდე და ქვას სხვა მაწვდიდეს, რაღაცა მაწვდის სიტყვას, რაღაცა".

ის „რაღაცაა" ყველაფერი, თავად ღმერთია. ეთერ თათარაიძის ამ წიგნმა და ამ „რაღაცამ" დააწერინა გივი გეგეჭკორს (მას ცხოვრებაში ერთხელ ჰყავდა ნანახი, მამის კერასთან, სანოლზე ჩამომჯდარი, უკვე დაუძლურებული „დევის ქალი") თავისი ერთი უბრწყინვალესი ლექსთაგანი – „გულქანი", – სადაც ბედს ემდურის, რომ ქალიშვილი, გულქანისთანა დამტირებელი, ვინც თმას გაიშლიდა და მის ტალავარს ცრემლით დაალტობდა, გულზე ხელებდაკრეფილს არ დარჩება და, ამ მხრივ, დიდი ვაჟას ხვედრს შენატრის („ჩემთვის სანუთრო ყოფილა გულქვა...") ამ ლექსის იშვიათი მადლი, გულისმომკვლელი სევდა და მშვენიერება რომ შევიგრძნოთ, მისი ერთი მოზრდილი, შუა, ნანილი მაინც უნდა ამოვიწერო:

მე მივხვდი, როცა გავიდა ხანი,
რაზიკაშვილის ასულო გულქან,
რომ თურმე მაინც არა ყოფილა
მამაშენისთვის საწუთრო გულქვა,
რადგან შენ ჰყავდი, შენ ღაღანებდი
როგორც ახუნის გორზე კესანე,
მისი სიბერის მანუგეშებლად
და მისი სულის მონათესავედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ბედნიერი იყო, მის გვერდით
როცა მინდორში იქნევდი სამ თითს,
ან როცა დინჯად ცომს აბრტყელებდი
და ჯვარს ასტამით შუაში სვამდი.
ის ბედნიერი იყო, პაწია
ქალბატონს როცა კაბას გჩუქნიდა
და ქალამნები თალათინისა
როცა მოჰქონდა შენთვის დუქნიდან.
იმან იცოდა, ფერდობს ქოშინით
ჩამოირბენდი და ვით ალქაჯი,
მოეხვეოდი და მოიქცევდი
შენი მკლავების ვიწრო ალყაში...
ახალ კაბაში შენ გაფხორილი,
ვით ინდაურის იდექი ჭუკი
და მამის წითლად გადმობრუნებულ
უპეში ნელა დგებოდა შუქი...
და შენ გესმოდა ხნულში ჩამჯდარი
მისი ჩურჩული და საუბარი,
ქვას რომ აწვდიან კალატოზს ისე
როცა აწვდიდა სიტყვას უფალი.

რა მეტყველი სურათებია გაცოცხლებული, ამოძრავებული. აქ აღარ შევუდგები ცალკეული, დიდოსტატურად მიგნებული სახეების გარჩევასა და შეფასებას — ლექსის ავტორს თავადვე ნათლად აქვს გამოკვეთილი თავისი სათქმელი, დასადგენი და განსამარტავიც არაფერია; ვისაც ნამდვილი პოეზიის შეგრძნობის, შეცნობის უნარი გააჩნია, იგი აღტაცებული და ბედნიერი უნდა იყოს, როდესაც ასეთ სტრიქონებს კითხულობს. სწორედ ეს გახლავთ ის სისადავე, ღვთაებრივი უბრალოება, რომლისკენაც სიტყვასთან შეჭიდებული ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი უნდა ილტვოდეს.

დასანანია, რომ ძვირფასი გივის ლექსი გულქან რაზიკაშვილის მიწიერი ცხოვრებიდან წასვლის მერე დაიწერა, თორემ მის სიცოცხლეში რომ დასტამბულიყო, სხვა თუ არავინ, ეთერ თათარაიძე აუტანდა და წაუკითხავდა. მინდა ვიფიქრო, რომ ვაჟას უსაყვარლესი ქალიშვილის ნეტარი სული სამუდამო სასუფეველშიც იგრძნობს შვილივით მოფერებას პოეტისა, ვინც ჩარგალში ასულმა მას გაძვალტყავებულ, სიბერის ტალებით დალაქავებულ, ნაჯაფარ ხელზე კოცნა ვერ გაუბედა.

P.S. ვიცი, რომ ეთერ თათარაიძის წიგნის ხელახლა გამოცემა აქვთ განზრახული და ამ საშურ საქმეს თაოსნობს ჩვენი ბრწყინვალე მხატვარი, საქართველოს მთიანეთის უბადლო მცოდნე თენგიზ მირზაშვილი.

კარგად მახსოვს, გულქან რაზიკაშვილის ნაამბობიდან ზოგი რამ ჩაწერილი ჰქონდა ქართული საბავშვო მწერლობის მშვენებას, დიდებულ ქალბატონს მაყვალა მრევლიშვილს. მისი ეს მასალა, თუ არ ვცდები, დაბეჭდილია „ლიტერატურული საქართველოს" 1987 წლის ერთ-ერთ ნომერში და კარგი იქნება თუ იგი ეთერ თათარაიძის წიგნს ბოლოში დაერთვება — უთუოდ რაღაცას შემატებს.

აქვე ერთი რამის დამატებაც მინდოდა; როგორც ვიცით, გულქანი თურმანაულების რძალი იყო, იმათგან გამობრუნდა შინ, მაგრამ ქმრის ნათესაობას, მთლიანად ამ გვარს მუდამ კეთილად იხსენიებდა. მის ნაუბარში (ეს ზემოთაც ვნახეთ) მომეტებული სითბოთი და სიყვარულითაა გარემოსილი მთელ ფშავში მართლაცდა საკითხავი, უებრო ვაჟკაცი, მარგალიტებივით ლექსთა მთქმელი და შეუდარებელი მებადურ-მონადირე გოგი თურმანაული.

1999 წლის იანვრის თვეში (№2) „ლიტერატურულმა საქართველომ" გამოაქვეყნა გოგი თურმანაულის საუცხოო „ჩანახატები", რომელთაგან ერთმა, პოეტურობითა და სიმშვენიერით გამორჩეულმა, განსაკუთრებულად მომხიბლა. მასში ფშავის ულამაზესი გაზაფხულის დღეებია გაცოცხლებული — მზის სხივებითა და ჩანჩქერთა ვერცხლისფერი ძაფებით, მთის ველური ყვავილებითა და ცისარტყელას უნაზესი ფერებით მოფარდაგებულ, მზერის დამაამებელ ფერდობებს ვხედავთ. თვით გაზაფხული ფშავის მკვიდრ წარმართ მქსოველ ქალს არის შედარებული. ამის მერე გოგი თურმანაული დედის დაუვინყარ პორტრეტს ქმნის (აქ არ შეიძლება ისევ არ გაგვახსენდეს დავით კაკაბაძის უკვდავი, რენესანსული სულით ნასაზრდოები გენიალური ტილო „იმერეთი-დედაჩემი"), თავის მხრივ, ასერომ გვაგონებს თითისტართან ჩამუხლული გულქან რაზიკაშვილის ნაოჭებით დაღარულ, უღრმეს და ნატანჯ სახეს. ხსენებული პუბლიკაცია გოგი თურმანაულის ქალიშვილის მზისავარ თურმანაულის მიერ არის მომზადებული. მოგვაქვს ამ ბოლო ჩანახატის ბოლო აბზაცი:

„დედა ხშირად ართავს ტარზე მატყლის ფთილებს — ფარტენებს. მე ჩემთვის ვფიქრობ: დედა მატყლის ფთილებს კი არ ართავს, არამედ თავისი სიცოცხლის ფთილებს და ფარტენებს, სიცოცხლის ძაფებად ართავს და ტარებზე ახვევს. რამდენი ტარი გაავსო უკვე თავისი განვლილი სიცოცხლის ძაფით და გვერდზე გადადო, ხიფებად ამოახვია, დაძახა ჯარაზე და ფარდაგებად მოქსოვა, ჭრელ ფარდაგებად. მთელი სიცოცხლე ასე ართავდა და ართავს დედა სიცოცხლის ფარტენებს, ხან თეთრ, ხან კიდევ შავ ძაფებად. რამდენილა დარჩა დედას ნეტავი სიცოცხლე ძაფებად დასართავი?"

არც ვიცი რა დავარქვა სულის ამ ღაღადისს. ბუნდოვნად ვგრძნობ — ეს არის ცამდე ამაღლებული პოეზია, აუცდენელი და გულისმომკვლელი შემზადება სამზეოსთან ძვირფასი არსების, დამბადებლის, აკვნის დამრწევის — დედის — გამოთხოვებისა, მოურეველი, დაუძლეველი შიში იმისა, რომ მალე გამოილევა, მზედაცხუნებული თოვლივით დადნება მისი ხელით დართული „სიცოცხლის ფარტენები". რაოდენ ნატიფი, რა უმდიდრესი შინაგანი სამყაროს პატრონია ამ სტრიქონების დამწერი. ასეთი ხედვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარ ფიქრთა ნყობის კაცი მხოლოდ ფშავის ზღაპრულ გარემოში, ვაჟა-ფშაველას ფეხის დანაბიჯარზე თუ დაიბადებოდა. ახირებად არ მინდა ჩამეთვალოს – სურვილი აღმეძრა, გოგი თურმანაულის ეს რამდენიმე, ღვთიური მადლით ცხებული სტრიქონი გულქან რაზიკაშვილის სულის გაუხუნარ ყვავილებში ჩაწნულიყო. ვიფიქრე, რომ მოუხდებოდა. არც შევმცდარვარ. მათებრ ნათელი, უსაზღვროდ კეთილი, დიდი ნიჭის პიროვნებები ამშვენებენ ადამიანთა მოდგმას, დედამიწაზე ჩვენს არსებობას ამართლებენ.

წერა რომ ჩავათავე (გაწვალებას ვინღა ჩივის), მაინც უკმარისობის გრძნობა დამეუფლა, გული დამწყდა. დიდი დავით გურამიშვილისა არ იყოს, ვეცადე და, მე რომ მეწადა, ისე ვერ გადმოვეცი სვეგამწარებული „დევის ქალის" სვენებ-სვენებით ნაამბობი – ეს თავად ბუნების ხმაა. როგორ გინდა, კაცთა ენაზე გადმოიტანო ერეგვის ბეგობაში მოწრიალე ზამთრის ქარბუქის ბოთქმა, მუხის დაკბილული, ჟრუანტელდავლილი ფოთლების მწუხარე შრიალი, პურის ყანაში გატრუნული მწყრის ქვითქვითი, ხავსიან ქვებზე გადასრიალებული მთის წყაროს ლიკლიკი, ჩარგლის თავზე თვალის დახამხამებაში თავმოყრილ შავი ღრუბლებიდან დაშვებული ნვიმის გაბმული, დაგუდული გუგუნი... ჩემი სიტყვა უძლურია საამისოდ. ეგებ სხვამ სცადოს, ნახოს, რა გამოუვა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმ სხვას რალას ვერჩი, ისიც ხომ ჩემნაირ დღეში ჩავარდება, ჩემსავით განვალდება?! ასეთი წერილის დაწერა უფრო ერთ მიზანს ემსახურება – მკითხველს მოაძებნინოს ეს იშვიათზე იშვიათი წიგნი, ეთერ თათარაიძემ მომაჯადოებელი ხელოვნებითა და, რაც მთავარია, ქრისტესმიერი სიყვარულით რომ შექმნა. ეს კი, ვგონებ, ასე თუ ისე, შევძელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ბერეკაშვილი

თბილისი დღევანდელობის ფონზე

თბილისი ყველა ქართველისთვის ქალაქობის საზომია. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველა ნანახ ქალაქს, სწორედ თბილისს ვადარებთ. ხშირად ამ შედარების შედეგად გული გვწყდება. ალბათ, ზედმეტ ნაციონალიზმსა ან პატრიოტიზმში არ ჩაგვითვლიან, თუ ვიტყვით, რომ თბილისი მიეკუთვნება მსოფლიოს ისეთ ქალაქთა რიცხვს, რომელთაც თავისი უნიკალური კულტურა შექმნეს. არსებობს თბილისური კულტურა. ეს გამოიხატება ქალაქის განსაკუთრებულ ატმოსფეროში, არქიტექტურაში, საკონტაქტო ენასა თუ ენებში, დროის გატარების ჩვევებში, საზოგადოდ, ყოფის ჩვევებში, ურთიერთობებში, ხელოვნებაში. თბილისის ერთადერთობა და საკუთრივი კულტურული მნიშვნელობაც ამ ზემოჩამოთვლილ ნიშნებსა თუ სფეროებში განსახიერდა. ცხადია, რომ ეს კულტურა არ შექმნილა ერთ წელიწადში ან თუნდაც ერთ საუკუნეში. ამას სჭირდებოდა მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მრავალი განსაცდელი და სიხარული, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ადამიანის ის განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც თბილისელი ჰქვია. ეს არ ნიშნავს თბილისში დაბადებას და არ გულისხმობს ამა თუ იმ ფენის, წრის წევრობას. რამდენადაც ბუნდოვნად არ უნდა. ეღერდეს, ეს არის სულიერი, მენტალური და ღირებულებრივი მიკუთვნებულობა, აზროვნების, შეფასების და დაფასებისა, გამოცდილების სპეციფიკური მანერა, რომელიც შესაბამისად თავის საკუთარ ენას ფლობს. ეს ენაც არ ამოიწურება ბგერებით, სიტყვებით, საზოგადოდ ლინგვისტური რაობით, ეს არის აგრეთვე ცხოვრების და თანაცხოვრების საკუთარი წესები, ქცევის დაუწერელი ნორმები, იუმორი და ღირებულებები, ამასთან უფრო ესთეტიკური, ვიდრე პოლიტიკური, აზრისა და შეხედულების კოდირების განსაკუთრებული წესები, რომელიც ცნობილია მარტო „თბილისელებისთვის" და რაც ძალიან საგულისხმოა და მნიშვნელოვანი, თბილისის ეს უნიკალური კულტურა ღიაა, მას შერწყმული და გათავისებული აქვს ევროპული თუ აღმოსავლური ცივილიზაციების თავისებურებები. ის გახსნილია ყველა კულტურისადმი, ყველა ენისადმი, ყველა რელიგიისადმი. ღიაა დღესაც, მიუხედავად ყველა ცვლილებისა და ქარტეხილისა, რომელიც მას თავს დაატყდა. დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად, მისი გახსნილობა ლამის აღვირახსნილობად იქცა.

თბილისის „თბილისურობა" ვერ გაანადგურა ვერც რუსეთთან მიერთებამ, ვერც საბჭოთა რეჟიმმა, ვერც მსოფლიო ომებმა. პირველი ბზარი საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ გაჩნდა, როდესაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თბილისელები და არათბილისელები.

მეორე დარტყმა თბილისს ე.წ. გლობალიზაციამ მიაყენა. მისი წყალობით თბილისმა იწვნია ყოველივე სპეციფიკურის მოშლა, ერთნაირობის დამკვიდრება, რაც არა უფლებათა თანასწორობაში გამოიხატა, არამედ პიროვნულობის უარყოფაში, სტანდარტიზებაში, დამდაბლებასა და ერთგვარი „სამომხმარებლო ღირებულებათა" გაზიარებაში – სალაპარაკო ინგლისური ენა, ქეისი, კომპიუტერის ზედაპირული ცოდნა, მობილური ტელეფონი...

ამას დაემატა მიგრაცია და ემიგრაცია, სილარიბე, უმუშევრობა (პოსტსაბჭოთა პრობლემები).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, მოიშალა თბილისის საკუთარი ენა, რომელიც, როგორც ითქვა, მარტოოდენ ლინგვისტური მნიშვნელობის არ არის. უცხო ელემენტების მომრავლებამ, ახალი სინამდვილის ძალისმიერმა შემოჭრამ დაზარალა ის თანაარსებობის წესები და ღირებულებები, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა თბილისის მიმზიდველობას.

ეს ახალი სინამდვილე არა მარტო დასავლური რეალიების გათავისებაა, არამედ აგრეთვე ცრუძველი და ცრურელიგიური ხატების დაბრუნება. საქართველოსთვის ახალი ველური კაპიტალიზმის „აქტორები" (თუ დავესესხებით თანამედროვე პოლიტოლოგიურ ტერმინოლოგიას) დემონსტრატიულად აჩვენებენ თავის ღვთისმოსავობას და ახალ-ახალი ეკლესიების მოზღვავებით სამოთხეშიც ცდილობენ ადგილი დაჯავშნონ.

მოსახლეობის კონცენტრაციამ თბილისში და არათბილისელთა უპირატესობამ თბილისელებთან შედარებით, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხობრივმა, ასევე ფუნქციონალურმა, გაზარდა არსებულისა და ღირებულის გადაქცევა უსარგებლოდ და ნაგვად. ნაგვის გროვებით დაფარულ ქუჩებს დაემატა სრულიად უსახო სახლების, ჯიხურების მშენებლობა, ქალაქი ჩაფლულია უაზრო ხმაურიან და არსებითად უცხო ბგერებში — იქნება ეს მუსიკა, თუ ინგლისური ან უფრო ამერიკული ტერმინებით გაჟღენთილი მეტყველება, სახლების ფასადები და სავალი გზები დაფარულია გაუგებარი წარწერებით და თბილისელისთვის შინაარსის არმქონე მოწოდებებით. თბილისური ქართული გადაიქცა ქართული წარმოშობის სიტყვების გროვად, რომელიც შეზავებულია უცხოური (რუსული, ინგლისური) ლექსიკით, რომელთა დაკავშირება შეიძლება ყოველგვარი რიცხვის, ბრუნვის, უღლების წესების გაუთვალისწინებლად. ქართული ენის ცოდნა გახდა არააქტუალური, ზედმეტი და ხშირად სახიფათოც კი. თბილისი გადაიქცა ცხოვრების ერთერთ ყველაზე კორუმპირებულ, საშიშ და უსიამოვნო ადგილად. მძიმე დღეში არიან მოხუცები, საერთოდაც, ორმოცდაათსგადაცილებულები. მათ არა აქვთ ამ სამყაროში ადგილი, ფუნქცია; მათ არ იციან ახალი ენა, აცვიათ 60-70-იანი წლების მოდის დიდი ხნის გაცვეთილი ტანსაცმელი; მათი პრეტენზია არსებობაზე ღიმილსაც კი არ იწვევს, იმდენად არაარსებითია და უმნიშვნელო. უსარგებლოდ და არარსებულად იქცა ისტორია, თანაარსებობის წესები, ზრდილობის ელემენტარული ჩვევები. ყველა აშენებს თუ აგვარებს თავის სასიცოცხლო კუთხეს, იქნება ეს ბინა მრავალსართულიან სახლში, რომელსაც მისი პატრონი მეზობლების დაუკითხავად ამატებს ოთახებს, აივნებს, სხვენებსა და სარდაფებს (და ბუნებრივია, უწოდებს ევრორემონტს); ქუჩა, რომელიც ნებისმიერს შეუძლია გადაკეტოს თავისი ჯიხურითა თუ მანქანის სადგომით, თუ საკმარისი ფული აქვს; რესტორანი, რომელსაც მოულოდნელად აღმოაჩენ მეზობლად შუაღამისას სიმღერებისა და გინების წყალობით; ჟურნალ-გაზეთები, გავსებული პირადი კონფლიქტებით, ჭორებით, პიროვნული ბრალდებებითა და ინტიმური წვრილმანებით; ტელევიზია — სერიალებით, მტრებისა და მეტოქეების დაპირისპირებით, ამერიკული „ბოევიკებით". მიუხედავად სიმჭიდროვისა და ხალხმრავლობისა, სრული სიმარტოვის, ერთგვარად უდაბნოში ცხოვრების განცდა იპყრობს ყველას, ვინც შეჩვეულია სხვა ყოფას, ვისაც ახსოვს თბილისი და ვინც თვლიდა, რომ ღირებულებები რაღაცად ღირს. ურთიერთობებსა და შირების ამ მუდმივ ქსელებში არ რჩება ის მთავარი, რის გამოც ურთიერთობა მყარდება — კულტურათა, პიროვნებათა შეხვედრა. ამიერიდან ურთიერთობა გადაიქცა ყოფითი და „აქტუალური", მოარული ინფორმაციის გატარებად. დაიკარგა ადრესატიც და ინფორმაციის მიმწოდებელიც, დარჩა მარტო არხი. ყველა ადამიანი მეტნაკლებად კარგი არხია. უკეთესი არხები ატარებენ არა მარტო ქართულენოვან კლიშეებს, არამედ ინგლისურენოვანსაც, რითაც დიდ კმაყოფილებას იმსახურებენ ჩამოსულ დასავლეთელებში, რომელთაც აქ ხვდებათ „იქიდან" გამოგზავნილი თავისი „მესიჯი".

თბილისში იკარგება მისი ის სპეციფიკური სფერო, რომელსაც შეიძლება სოციალური და კულტურული ატმოსფერო ვუწოდოთ და რაც სოციალურობის დამახასიათებელ გამოვლინებად ჩამოყალიბდა საუკუნეების მანძილზე. ქრება არა მარტო ეს განსაკუთრებული ფორმა სოციალურისა, არამედ თავად სოციალური კავშირები.

ადამიანები თანდათანობით იქცნენ მასებად. რაც უფრო იზრდება ხალხის რაოდენობა და სიმჭიდროვე, მით უფრო მცირდება სოციალური ურთიერთობები. მეორე მხრივ, თბილისი, რომელიც უთუოდ ერთერთ უდიდეს ქალაქს წარმოადგენს კავკასიაში, ითავსებს სოციალურობის ყველა ელემენტს — ურთიერთობის შესაძლებლობა და მუდმივი ურთიერთკავშირები, ინფორმაციის მისაწვდომობა, გადაადგილების სიადვილე და ა.შ. მიუხედავად ამისა, ურთიერთობის ღირებულება შეიცვალა კლიშეების, ურთიერთგაცვლის ფორმით, რომლის ფასი მით უფრო მაღალია, რაც უფრო პრესტიჟულია ამ ურთიერთგაცვლის სფერო და ფენა. და რაც უფრო პერსპექტიულია ურთიერთგაცვლის ეს ფორმები პირადი მოგებისთვის, მით უფრო ფორმალურია და ნორმალიზებული; ინფორმაციისა და ფორმალური წესების ამ სიუხვეში ადამიანი კარგავს არაფორმალური ურთიერთობების აუცილებლობის განცდას, პირადი შეფასებების უნარს, რაც არ შეიძლება არ იწვევდეს პროტესტის გრძნობას. ყოველივე ეს თავის მხრივ, სულ უფრო გადაიზრდება სიძულვილში, უსაგნო, უმიზნო, აუხსნელ სიძულვილში, რომელიც აგრესიის სახით იჩენს თავს. აგრესია ვრცელდება ყველაზე და ყველაფერზე. ამის მაგალითები ბევრ ჩვენგანს მრავლად ხვდება ყოველდღე — ტრანსპორტსა თუ ქუჩაში, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზიასა თუ რადიოში, პირად ურთიერთობებში. შეიცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალა სალაპარაკო ინტონაციაც კი, მან მრავალფეროვნება დაკარგა; დარჩა მოწოდების, ბრძანების, იძულებისა და მოუთმენლობის ტონი. სიძულვილი მიმართულია ყველასა და ყველაფრის მიმართ, რაც განსხვავებულია. ამასთან, ეს სიძულვილი ეხება ერთნაირსაც, სტანდარტულსაც, სწორედ ერთნაირობის, მსგავსების, იდენტურობის გამო. იმარჯვებენ და „წარმატებას" აღწევენ ისინი, ვინც განსაკუთრებით აგრესიულნი არიან, ვინც ყველაზე ხმამაღლა ყვირის და ყველაზე უშვერი სიტყვებით იგინება. იმისთვის, რომ მოგისმინონ, დაგიჯერონ, გამოგყვნენ, საჭიროა ყველაზე ხმამაღლა ილრიალო და ყველაზე ხშირად, სასურველია, განუწყვეტლივ. წარმატების სიმბოლოდ, რაც ამავე დროს ეროვნულობის, სიმამაცის, უფლებამოსილების, ხალხურობის და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამის სიმბოლოა, გახდა ამართული მუშტი.

ამავე დროს, თბილისი სავსებით შესაძლებელია ჩაითვალოს თანამედროვე ქალაქად, თუნდაც ის ერთგვარად შელახული და ნაკლებად ეფექტური ჩანდეს. ყოველ შემთხვევაში, ის რისკის საზოგადოება, რომელზედაც ლაპარაკობენ დასავლეთის მოაზროვნეები (ე. გიდენსი, უ. ბეკი) თბილისშიც ყალიბდება. საინტერესოა, რომ ეს პროცესი თან სდევს კაპიტალიზმის განვითარების პროცესს, რაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ვინაიდან ამ უკანასკნელის მიზანია სიმდიდრის დაგროვება და გადანაწილება. რაც შეეხება რისკის საზოგადოებას, მისი ძირითადი პრობლემაა რისკის მინიმიზაცია, გადარჩენა ამ საშიშ სამყაროში, სადაც აღარ არსებობს ჯანსაღი ჰავა, საკვები, ტყე და წყალი, სადაც ბუნების კანონებიც პირობითი გახდა (ჩვენ ვართ იმ ასაკის, იმ სქესის, იმ გარეგნობის, რომელიც გვინდა); რომ აღარ ვილაპარაკოთ ომის საშიშროებაზე, რომელიც თითქოს ყველა მოსახვევიდან გვემუქრება.

მოვიდა თავისუფლება თბილისში და წალეკა არა მარტო დიქტატურა, ცენზურა, ბოლშევიზმი, ურო და ნამგალი, არამედ ჩვენი ურთიერთობები, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იყო ადრე, როცა სხვა არაფერი გვქონდა თავისუფალი. სამუდამოდ წავიდა თბილისიდან ძველი სურნელი, ღიმილი, ფერები, რაც, როგორც ზემოთ ვთქვი, არც ერთ რეჟიმს არ შეუქმნია, შექმნეს მხოლოდ თბილისელებმა საუკუნეების მანძილზე.

რაც არ უნდა ბევრი დუქანი და რესტორანი გაიხსნას, ყველა სახლში რომ სამლოცველო აიგოს, თბილისს ვერც ძველ ხიბლს დავუბრუნებთ და ვერც დასავლურ ქალაქად ვერ ჩავთვლით.

შესაძლებელია თბილისში ძველი ატმოსფეროს დაბრუნება ან კი საჭიროა მისი დაბრუნება?იქნებ არც არაფერია შემაშფოთებელი. მთავარია, რომ ცოცხლები ვართ და ის სიძულვილი, რომელიც დღეს ანადგურებს ისტორიას, კულტურას, ურთიერთობებს და ა.შ., გაანადგურებს თავის თავსაც და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

ნონა არჩვაძე

გურამ დოჩანაშვილის პროზის მხატვრული ენის შესახებ

გურამ დოჩანაშვილის პროზის კითხვისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტორის დამოკიდებულება მხატვრულ ენასთან. მისი შემოქმედების გაცნობისთანავე ცხადი ხდება, რომ მწერალს მშობლიური ენის განსაკუთრებული შეგრძნება აქვს. იგი ქმნის მეტად ორიგინალურ და მრავლისმეტყველ ნეოლოგიზმებს, იყენებს უამრავ მხატვრულ ხერხს, რითაც შთამბეჭდავს ხდის თავის ნაწარმოებებს. გურამ დოჩანაშვილის ენა მეტად თავისებური და თვითმყოფადია, რასაც განაპირობებს მწერლის დახვეწილი შემოქმედებითი ალღო.

ნეოლოგიზმები მწერალს უხვად აქვს გამოყენებული თავის შემოქმედებაში. კონტექსტის გარეშე ეს სიტყვები შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ თავის ადგილას გამომსახველობით ძალას იძენენ. მაგალითად: „გულსულშიგანშემატკივარნი", „ჰაერთ-დიადი-მპყრობელები", „უიმნატიფხმოდ", „უცნაურმზერადაბინდული", „ტუჩფლეიტიანი", „მიმოფანტასტე", „გულვერჩატანებული", „მიმოიარე", „ექვსნაბიჯოვანი", „მიმონყენილი", „მომცრო-არშიყულ-შეხლა-შემოხლით", „პირდაბნეულ-გახარებულ-ღიმილიანი", „ფიცხელწარბებიანი", „ფსკერიანთვალებიანი". გვაქვს ალოგიკური წყვილებიც: „სალუქად საშიში" (ქალის სხეული), „მორცხვულად უკმეხი" (სიო), „უხამსოდ მოტკბო" (სუნი), „ნატიფად უილაჯო, მშრალად ლბილი" (მთვარის თითები), „შავად მოგრძო" (თვალები), „უილაჯოდ მონაცრისფრო" (თვალები), „ფესვგადგმულად მწვანე" (თვალები), „თეთრად მაღალი" (ყელი), „ნატიფად უხეში" (ხელები), „დიდად ობოლი". გვაქვს ზმნებიც: „შეაზუსტა", „მტკივიხარ", „ამოესმოდა" და ა.შ. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვათა ასეთი კომპოზიტების შექმნით გურამ დოჩანაშვილი უგულვებელყოფს ქართული ენის ნორმებს და გრამატიკის ნომინალურ წესებს. ზოგიც მწერალს ქართული ენის „დამსხვრევაში" ადანაშაულებს. მაგრამ კრიტიკოსთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი ნეოლოგიზმების შექმნით მწერალი არათუ „ამსხვრევს" ენას, არამედ, პირიქით, მეტ გამომსახველობით ძალას და მრავლისმეტყველ უნარს სძენს მას. „სიტყვა გურამ დოჩანაშვილის ხელში მართლაც- რომ ცვილივით მოქნილია და უდიდეს გამომსახველობას იძენს. ერთი მარჯვედ მოძებნილი, ორიგინალური ეპითეტი ხშირად მასთან მთელ აღწერებს ცვლის. არაიშვიათად იგი ამას ახერხებს ენაში არსებული პოტენციური შესაძლებლობების თამამი გამოყენებით" (ლ. ბრეგაძე). გურამ დოჩანაშვილის მიერ შექმნილი კომპოზიტები მის მხატვრულ შემოქმედებაში უთუოდ პოზიტიური მოვლენაა. საინტერესოა, რას ფიქრობს ენის პრობლემების შესახებ თავად მწერალი. იგი „ცისკრის ანკეტაში" წერს: „ენობრივი ქსოვილი ხერხემლის ფუნქციას ასრულებს, რაც თავისთავად დიდი ამბავია, მაგრამ ამ სხეულს უნდა ჰქონდეს... ტვინიც და გულიც. ჩვენში დღეისათვის შემუშავდა აზრი, რომ თანამედროვე პროზაიკოსებმა... მთავარია, მნიშვნელოვან თემას მიაგნონ, თორემ სხვაფრივ „ყველაფერი იციან".

დიდი შესაძლებლობა გვაქვს ქართველებს სიტყვაზე მუშაობისათვის. ჩვენი ენის დიალექტური მრავალფეროვნება, თვით ქართული ზმნის ამოუწურავი სიღრმეები მწერალს ძალიან ეხმარება იმაში, რასაც სიტყვათქმნადობას ვეძახით.

ადამიანის მეტყველების მთელ რიგ თვისებათა გადმოცემა დასაშვებად მიმაჩნია. სხვა რომ არაფერი, ეს მეორეხარისხოვანი, მაგრამ ნაცადი ხერხია პერსონაჟის დასახასიათებლად და „გასაცოცხლებლად"... და ბოლოს... როსინანტზე ამხედრებულ იდალგოს, მის საჭურველმტვირთველსა და დიდ ესპანელს თითქმის სავსებით იდენტური ენით რომ ელაპარაკათ, „დონ კიხოტი" მსოფლიო პროზის გვირგვინი ნამდვილად არ იქნებოდა". აქ უსათუოდ უნდა დავეთანხმოთ მწერალს, რადგან ნაწარმოების ენობრივი ქსოვილი მუდამ თხზულების საერთო მხატვრული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის ძალიან დამახასიათებელია ერთი თავისებურება, რომელსაც კრიტიკოსების ერთი ნაწილი „ესეისტურ ნაკადს" უწოდებს, ნაწილი — „ლირიკულ გადახვევებს", ზოგიც — „ლირიკულ დიგრესიებს". ეს თავისებურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს ერთგვარ ჩართულ ეპიზოდებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან მეტისმეტად დაცილებულია, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ისინი ორგანულად ერწყმიან მხატვრულ ქსოვილს და მხატვრული იდეის უკეთესად გამოკვეთას ემსახურებიან. ზოგს მიაჩნია, რომ ასეთი ხერხის გამოყენება დასავლური ლიტერატურის მიბაძვაა, რომელიც ქართული სინამდვილისათვის უცხო ესთეტიკური პრინციპებით არის დაწერილი.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ აზრს, რადგან ესთეტიკური პრინციპების ეროვნული ნიშნით გამორჩევა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამავე დროს გურამ დოჩანაშვილსაც შეიძლება ჰქონდეს საერთო ტიპოლოგიური მსგავსება დასავლურ ხელოვნებასთან, მაგრამ ამას „მიმბაძველობას" ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების ამ თავისებურებას აქვს საერთო ბრეხტისეული „ეპიკური თეატრის" სააზროვნო კონცეფციასთან (ლ. ბრეგაძე, ზ. გოგია). „ეპიკური თეატრის" სახელმძღვანელო პრინციპში იგულისხმება ესთეტიკური „გაუცხოების" ეფექტი. „ეპიკური თეატრის" პოეტიკაში მხატვრულ და რეალურ სამყაროს შორის დაახლოებით ისეთივე პირობითობაა დაშვებული, როგორც სიმბოლიზმის პოეტიკაში — სიმბოლოსა და სიმბოლიზებულ საგანს შორის, სადაც ერთი მეორის მეტაფორაა, ოღონდ ირონიული და ფარსულ-გროტესკული ნიშნებით აღბეჭდილი მეტაფორა. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაშიც ცენტრალური სიუჟეტური ხაზის პარალელურად ვხვდებით ლირიკულ დიგრესიებს, სადაც... მოქმედება მწერლის ლირიკული ორეულის ცნობიერების სცენაზე თამაშდება. იკვეთება საინტერესო პარადიგმა: გმირი — თეატრალურ ნიღაბს ამოფარებული ავტორი. ასეთი ლირიკული გადახვევები... წარმოადგენს „ეპიკური თეატრის" დისპოზიციური ჭვრეტის ხერხს" (ზ. გოგია).

ასევე მეტად დამახასიათებელია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის პარალელური თხრობის ხერხი. ამასთან დაკავშირებით ასახელებენ არაერთ მწერალს დასავლეთის ლიტერატურიდან. თავად მწერალი კი უარყოფს ამ მწერლების ყოველგვარ გავლენას და ასახელებს მხოლოდ ორ მათგანს: „პარალელური თხრობის ხერხი ჩემი მოგონილი არ არის, მაგრამ მიკვირს, როცა ამასთან დაკავშირებით ჯოისსა და ფოლკნერზე მეტად ხშირად სხვა მწერლებს ასახელებენ. თავი რომ დავიზღვიო, მოგახსენებთ, რომ ეს მწერლები 1969 წლის შემდეგ გამოჩნდნენ, როცა იმხანად მე „ლამაზქალაქის" ნახევრამდე ვიყავი მისული და (დაბეჭდილი იყო მოთხრობა „მხიარული ბორცვი") ამ რომანის შესაფერისი წერის მანერა უკვე ამორჩეული მქონდა".

გურამ დოჩანაშვილის თხზულებებში პროზაულ თხრობას ხშირად რიტმული ტექსტი ენაცვლება ხოლმე. ამის შესახებ ავტორიც შენიშნავს თავის ერთ-ერთ მოთხრობაში: რომ მან, მწერალმა, ვისაც „ბევრი ჭკვამხიარული გასართობი" შეხვედრია ამ ქვეყნად, „ამოირჩია შეხვედრილთაგან ყველაზე მეტი ხელობა — პროზა, და თუ ხანდახან ლექსად უქცევდა, ოჰ, აპატიეთ, ვის არ გაგვირბის ლამაზ ქალისკენ ოხერი თვალი". აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ლიტერატურაში რიტმული პროზის არაერთი ნიმუში არსებობს, რომელსაც საფუძვლად დაედო თხზულებები ძველი ქართული ლიტერატურიდან. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მაინც საყვედურობს მწერალს და მიიჩნევს, რომ ამას ავტორი „მოთხრობის დაწერის ტრადიციული მანერის უგულებელსაყოფად" აკეთებს და რომ ეს ხერხი „აძნელებს მოთხრობის აღქმას და არავითარ ფუნქციას არ ასრულებს ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში". ნამდვილად ძნელია, დავეთანხმოთ ამ აზრს, რადგან გურამ დოჩანაშვილს პროზაულ ნაწარმოებში ლირიკული ნაკადის ჩართვით რომანტიკულ-ამაღლებული განწყობა შემოაქვს, რაც უთუოდ მაღალმხატვრულ ელფერს სძენს თხზულებას. მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ენის შემოქმედია. გურამ დოჩანაშვილსაც აქვს მეტად თავისებური მიდგომა მშობლიური ენისადმი. იგი ამ მხატვრულ ხერხს თუ ზოგჯერ ლირიკული საწყისის გასაძლიერებლად იყენებს, სხვა შემთხვევაში მისი საშუალებით პათეტიკური სტილის პაროდირებას ახდენს, ზოგჯერაც ირონიული განწყობის შესაქმენელად იყენებს.

რიტმული პროზის გამოყენების ხერხის შესახებ თავად ავტორიც შენიშნავს თავის ერთ-ერთ წერილში: „პოეზიისა და პროზის ურთიერთგავლენა ენაზე, უდავოდ, სასიკეთო გავლენას ახდენს. პოეტიცა და პროზაიკოსიც სიტყვათა საუკეთესო და საჭირო შეხამების მაძიებელნი არიან და ერთმანეთის მიღწევებით აუცილებლად უნდა ისარგებლონ". მწერალი თავის რომანში „სამოსელი პირველი" თხზულების საერთო ირონიულ ატმოსფეროს კანუდოსის აღწერისას ცვლის ამაღლებული განწყობით და უცბად პროზიდან ლექსზე გადადის. მა-

გალითად მოვიყვანოთ მენდეს მასიელის სიტყვა:

„თავისუფლებას გაჩვენებთ რაა, ოღონდ დროებით,
იცოდეთ ესეც და ნუ შეკრთებით,
რადგან ისედაც დროებითა ვართ
აქ, ამ მიწაზე,
და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ, ნურც
— არყოფნისა,
ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია,
დაბადებამდეც ხომ არ ვიყავით.
რა არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე:
დიდრონ ქალაქებს იღებდნენ ერთნი
და მეორენი თაყვანსა სცემდნენ,
ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი...
ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი“.

ასეთი ნიმუშების დაძებნა უხვად შეიძლება როგორც რომანში, ისე — მოთხრობებშიც.

გვინდა, ყურადღება შევაჩეროთ ერთ მხატვრულ ხერხზე, რომლის საშუალებითაც მწერალი ამყარებს საოცრად უშუალო ურთიერთობას მკითხველთან, ესაუბრება მას, ეკამათება და უფრო მეტიც — მკითხველს აქცევს თავისი თხზულების ერთ-ერთ მოქმედ პერსონაჟად. ამ ხერხს განსაკუთრებით ხშირად იყენებს ავტორი თავის რომანში „სამოსელი პირველი“. იმ ქვეთავს, რომელშიც ავტორი უშუალოდ ესაუბრება მკითხველს, მწერალი უწოდებს „ახირებულ გასეირნებას“. აქ იგი მკითხველთან ერთად ჯერ ერთ-ორ ჭიქა ღვინოს გადაჭკრავს და შემდეგ მასთან ერთად მოივლის ლამაზ-ქალაქის განათებულ ფანჯრებს. მეორე დღეს კი ჩივიან ლამაზ-ქალაქელები, რომ ვილაც ორი სალახანა მათ ფანჯრებში ჩუმად იცქირებოდა. მეორე გასაუბრებაში ავტორი მეტი გულახდილობით გამოირჩევა. აქ იგი თავის საყვარელ სერტანელებს გვაცნობს. მათი გაცნობის შემდეგ კი თავის ერთ დიდ საიდუმლოს გვიმხელს: „ახლა გაგიმხელთ — იცით, სამნი ვართ... მე მუდამ მადევს მხარზე ვილაც ვეება უსინათლოს ხელი. არავინ იცის, მე დამყავს იგი, თუ ის დამატარებს...“ მესამეჯერ მწერალი მოგვატარებს თავისუფლების ქალაქს — კანუდოსს და დროდადრო კითხვებით შემოუტრიალდება მკითხველს: „გაგიღვიძნია კია როდესმე ასე — პირზე ღიმილით, როცა წინ დღეა — სიმართლით სავსე. როცა იცი, შენი ყოველი ნაბიჯი რომ სწორი იქნება?“ კაციჭამია ბუჩქნარში, კაატინგაში, გავლისას კი მწერალი მკითხველის გაკენწვლასა და შეცბუნებასაც ახერხებს თავისი მოულოდნელი შეკითხვით: „ხომ ისევ აქ ხართ? — კაატინგაც გამოიარეთ... სულ არ გაგფხაჭნათ? სულ, სულ ცოცხალ ეგ არაფერი, ნუ გეწყინებათ...“ და აგრძელებს თხრობას. აქ მკითხველი უნებურად იწყებს ფიქრს, თუ რატომ უნდა გაეფხაჭნა კაატინგას, რომელსაც ადამიანის სულში პატარა ჩრდილიც კი არ დარჩება შეუმჩნეველი და ასე თავისდაუნებურად მკითხველი თავად ერთვება თხრობაში. ასე, თითქოსდა უბრალოდ, ახერხებს მწერალი თავისი მკითხველის გვერდით დაყენებას. ცხადია, ამ ხერხს ავტორი იყენებს იმისათვის, რათა უფრო დაიახლოვოს და მეტად უშუალო ურთიერთობა დაამყაროს თავის მკითხველთან. ამით იგი სასურველ ეფექტს აღწევს.

დაახლოებით ასეთივე ხერხებს იყენებს გურამ დოჩანაშვილი თავის ბოლოდროინდელ მოთხრობაშიც „დაეძებდა“. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე ირონიზებულია. ჯერ „თავდაპირველი ავტორი“ შედის თხზულებაში და გამოცანას გვთავაზობს, თუ ვინ არის იგი. ამ დროს თხრობაში ერთვება „ახალი ავტორი“. ესენი გამართავენ კამათს, სადაც დროდადრო ჩაერთვებიან: „ახლთახალი ავტორი“, „სამართლიანი მზარდი ავტორი“, „სამართლიანი შეკითხვის დასმის ავტორი“, „ახალყაიდის ავტორი“, „მარადახალი ახალი ავტორი“, „რომელიღაც ავტორი“, „ძველი ახალი ავტორი“, მარადმწვანე ავტორი“, „გრძნეული ავტორი, „დადებითი ავტორი“, „ვაი-ავტორი“, „სულმთლადბოლო შემოსწრებული უკანასკნელიც ერთი ავტორი; ბაირამული“. ეს მოთხრობა მკვეთრად განსხვავდება გურამ დოჩანაშვილის სხვა მოთხრობებისაგან. ამის შესახებ თავად ავტორი აღნიშნავს ამავე მოთხრობაში: „და ნუთუ არ მაქვს იმის უფლება, თუნდ ყოფილ ავტორს, ყოფილ მბრძანებელს, ექს გუბერნატორს მე, რომაც ასეთი ნაშრომნადაგის შემდეგ ეს, როგორიცაა თვით ვარლამი და თითან გუბე, ერთი ასეთი ჩავარდნაც მქონდეს მოთხრობაული, ოღონდ ერთგვარი?“ ამ მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს ფრაზა: „რომ პროზაც არის თავისუფალი ლექსის საგანი“, ამიტომ მოთხრობაში ხშირად გვხვდება თავისუფალი ლექსი. თავისუფალ ლექსს წარმოადგენს მოთხრობის დასასრულიც: „და ეს იქამდე არადიდებული, სადამდეც მოვა ჩვენებური და საჩვენო დღე, ცხელცხელაური მზით, და რაღა ამ სწორეცდა თანამედროვე მოთხრობის გიკვირთ აბურდულობა ალაგალაგური, და ფეხადგმული კუპრისნაცვლობით ბნელისნაცვლური ახალთახალი წაფენილობა, — გარიჟრაჟული, აქ — დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული". მოთხრობას ბოლოში დაერთვის მწერლის მინაწერი, სადაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ავტორი, რომ იგი ამ მოთხრობაში არასერიოზულად საუბრობდა სერიოზულ თემებზე და „თუ ამ გაჭირვებისას თუნდ მხოლოდ ალაგ-ალაგ შენებურად თუ მართლა გულით გაგეღიმება, – ბევრია ჩემთვის", – მიმართავს ავტორი თავის მეგობარს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ამ მოთხრობის ენა ლაღი, მხიარული და მარტივია. მასში სიუჟეტური ხაზი პირობითია. მოთხრობა წარმოადგენს ორი კაცის დიალოგს, სადაც დროდადრო ერთვება მესამე კაცი – იგივე ავტორი, ბოლოში უკვე რამდენიმე ავტორი სხვადასხვა სახელებით, რომლებიც უფრო მწერლის განწყობას გამოხატავენ. აღნიშნულ დიალოგსაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ დიალოგი, რადგან ფაქტიურად იგი წარმოადგენს ორი კაცის მონოლოგს, რომლებიც ერთმანეთისგან ნათქვამ ბოლო რომელიმე სიტყვას უაზროდ ჩაეჭიდებიან და კვლავ თავის სათქმელს აგრძელებენ. ეს მხატვრული ხერხიც განსაკუთრებულია გურამ დოჩანაშვილის ამ მოთხრობაში და სხვა თხზულებებში არ შეიმჩნევა.

საინტერესოა გურამ დოჩანაშვილის მოთხრობებში ფერების სიმბოლიკაც. ავტორს ხშირად სხვა საგნის აღმნიშვნელი სიტყვის საშუალებით შემოაქვს ფერის განცდა. სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია ფერები: შავი, ნაცრისფერ.. – იდუმალების, ბოროტების გამომხატველია (ნაცრისფერი ქალაქი – კამორა, შავი დედაბერი, კუპრისფერი ზღვა), მწვანე – უშუალობის, ბუნებრიობის ფერია: მწვანე კაბა – მიწის სამოსელი, მოლისფერი კაცი, მოვისპერანგა კაცი, იისფერი – ოცნების, რომანტიკულობის გამომხატველია: იისფერი სატრფო, „გიორგა პაპა სულ მოიისფრო ბურანში დაიარებოდა". თეთრი – სიწმინდის, სიმაღლის, სიმართლის სიმბოლოა: კანუდოსი – თეთრი ქალაქი, თეთრი სანთელი და ა.შ. რახსი – შავწითელია. იგი ჯოჯოხეთის კუპრის ტბის სიმბოლოა. თხზულებებში ფერის განცდა კარგად ჩანს ერთ-ერთ ეპიზოდში „თავფარავნელი ჭაბუკიდან": „მოცელილ ბალახში უზარმაზარ წვეთებად გაბნეულიყო ყაყაჩო. ველზე მიიწევდა ჭაბუკი, მიწა დიდი ქალი იყო, ტკბილად ოხშივარადენილი. ქალი იყო და მწვანე კაბა ეცვა, წითელკოპლება..."

ამოუწურავია გურამ დოჩანაშვილის პროზის მხატვრული ენისა თუ ლიტერატურული ხერხების გამოსახვის საშუალებანი, რომელიც მწერლის მხატვრულ სამყაროს განუმეორებელ ელფერს ანიჭებს. გურამ დოჩანაშვილს აქვს საკმაოდ გამახვილებული პოეტური ხედვა და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან საკუთარი სტილი და მშობლიური ენის, სიტყვის სრულიად ახლებური შეგრძნება შემოიტანა. ყოველივე ეს მწერალს სჭირდება იმისათვის, რათა უფრო ნათლად გადმოგვცეს და გააფართოოს თავისი მხატვრული სამყაროს ესთეტიკური აღქმის წრე.

ხატია ნიკოლეიშვილი

„ყორანი“, როგორც ედგარ პოს პოეტური ხელოვნების ნიმუში

“ნაწარმოების კითხვისას მკითხველის სულის აღელვება მწერალს უნდა შეეძლოს”

ეს სიტყვები ეკუთვნის ყველასათვის კარგად ცნობილ პოეტს, მწერალსა და კრიტიკოსს ედგარ ალან პოს. ყოველთვის რაღაც იგრძნობოდა მის შემოქმედებში ისეთი, რაც დიდ ინტერესს აღუძრავდა ყველა დროის ხალხს. სხვა რომანტიკოსი მწერლებისა თუ პოეტების მსგავსად, რომლებიც გაურბოდნენ ყოველდღიურ სინამდვილეს და წერდნენ მხოლოდ საკუთარი გრძნობების კარნახით, ედგარ პოც, როგორც რომანტიკოსი მწერალი ქმნიდა ისეთ მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებსაც შეეძლოთ მკითხველი რეალური ცხოვრებიდან ოცნების სამყაროში გადაეყვანათ, ანუ ეს იყო სამყარო, რომელიც სინამდვილეში არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ეარსება. აი, რას წერდა მის შესახებ დოსტოევსკი: “იგი თითქმის ყოველთვის ყველაზე უფრო განსაკუთრებულ სინამდვილეს გვიხატავს, თავის გმირს მოაქცევს ყველაზე უფრო განსაკუთრებულ გარემოსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში და განსაცვიფრებელი სიზუსტით წარმოგვიჩენს ამ გმირის სულის ამბავს”.

ედგარ პოს მიაჩნდა, რომ პოეზია, პირველ რიგში, სილამაზის ამსახველი უნდა ყოფილიყო და არა მშრალი სიმართლისა. “ინფორმაციისა” და “იდეების” პოეზია დიდაქტიკური მოტივების წარმოჩენით, მისთვის წარმოუდგენელი იყო. აქედან გამომდინარე, მკითხველის ნამდვილი პოეტური ემოცია მიიღებოდა ბუნდოვანი და ქაოტური სულიერი მდგომარეობით.

ედგარ პოს პოეზია, ისევე, როგორც მისი პროზა იდუმალებით მოცულია. მათში თითქმის ყოველთვის რჩება რაღაც ამოუცნობი და უთქმელი. ალბათ ამის მიზეზიც არის ის, რომ მისი შემოქმედება უდიდესი ინტერესით იკითხება. პო ამბობდა, რომ ეს შეუცნობელი, მოცემული აზრის სიღრმეში უნდა გვეძებნა, რასაც ჯონ დრაიდენის სიტყვებითაც ასაბუთებდა: „ჩალა წყლის ზედაპირზეც უხვად ტივტივებს, ხოლო მარგალიტების მაძიებელი წყლის ფსკერზე უნდა დაეშვას” მაგრამ პო არ სთხოვდა მკითხველს თავისი ჩანაფიქრი ამოეცნო და, ჩემი აზრით, არც წერდა ამ მიზნით. სწორედ იმიტომ ეძებდა საგნის არსს მის სიღრმეში, რომ თავად განუსაზღვრელობა და საიდუმლო ხიბლავდა.

ლექსი, პოს აზრით, განსხვავდებოდა სამეცნიერო ნაშრომისაგან იმით, რომ სიმართლის წარმოჩინების ნაცვლად ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიენიჭებინა მკითხველისათვის, თუნდაც აბსურდული სიუჟეტით. იგი მოუწოდებდა თავის თანამედროვეებს, რომ პირველ რიგში საკუთარ სულებში ჩაეხედათ და როგორც თავად ამბობდა, იქ აღმოეჩინათ, რომ “მზის ქვეშ არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ეარსება ისეთ ქმნილებას, რომელიც უფრო დიდი და ღირსეული იქნებოდა, ვიდრე თავად ლექსი” ლექსი და სხვა არაფერი - „ლექსი დაწერილი მხოლოდ ლექსისათვის”. აი, როგორ გამიჯნა პომ პოეზია და პროზა: „მუსიკასთან შერწყმული უმშვენიერესი ჩანაფიქრი პოეზიაა, მუსიკა ამ ჩანაფიქრის გარეშე არის უბრალოდ მუსიკა, ხოლო ჩანაფიქრი მუსიკის გარეშე არის პროზა, მისივე განსაზღვრულობიდან გამომდინარე”

პო მკაცრ საზღვარს ავლებს ყოველივე რეალურსა და პოეტურს, ანუ შექმნილს შორის და საინტერესო დასკვნებს აკეთებს არისტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებების მიხედვით. სამყაროს გონის სამ ნაწილად დაყოფის შედეგად, პო გვაუწყებს, რომ გვაქვს წმინდა ინტელექტი, გემოვნება და ზნეობრიობა. ედგარ პო გემოვნებას ამ ცნებათა შორის განგებ ათავსებს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ იგი კავშირშია თითოეულ მათგანთან. პოს შეხედულებით ინტელექტი, როგორც გონებრივი განვითარების დონე, სიმართლით შემოიფარგლება, ხოლო ზნეობრიობა გულისხმობს მოვალეობას იმ დროს, როცა გემოვნება გვანიჭებს სილამაზის აღქმის უნარს.

ამრიგად, პო ყოველივე ლამაზსა და პოეტურს განასხვავებს სიმართლისა და მოვალეობისაგან და ამით ,კიდევ ერთხელ აყალიბებს თავის შეხედულებას – პოეზიის მთავარი მიზანია ემსახუროს სილამაზეს.

არისტოტელემ, როგორც ვიცით, პოეზია განსაზღვრა, როგორც ისტორიაზე ბევრად უფრო ფილოსოფიური, რადგან ისტორია გამოხატავდა კონკრეტულს, პოეზია კი – უნივერსალურს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ედგარ პო შემდეგ დასკვნას აკეთებს: “მას მიაჩნია, რომ პოეზიის ზღვარი შეგონებაა, ხოლო თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი არსებობის დასასრული ბედნიერება უნდა იყოს, მაშინ ყოველივე იმის დასასრული, რაც დაკავშირებულია ჩვენს არსებობასთან ასევე ბედნიერების სახელით მოინათლება. აქედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე, შეგონების დასასრულიც, რომელიც ასევე ჩვენს არსებობასთან არის დაკავშირებული, ბედნიერებაა. რადგან ბედნიერების მეორე სახელია სიამოვნება, შეგონების დასასრული არა მარტო ბედნიერება, არამედ სიამოვნებაც ყოფილა. ამრიგად, „თანამედროვეობის ყურადღებას ის უფრო იპყრობს, ვინც ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე ის, ვინც შეაგონებს “ – ამტკიცებს პო.

როგორც ჩანს, პოსთვის მთავარი მაინც სიამოვნების მინიჭება იყო თავისი მკითხველისათვის და პოეზია, რომელშიც იგი თავისუფლად გრძნობდა თავს, სიამოვნების მინიჭების წყაროდ მიაჩნდა და არა მშრალი სიმართლის მიწოდების საშუალებად.

პოს ნაშრომებში ხშირად ვხვდებით თავად ავტორის კრიტიკას, რაც მოსალოდნელიც უნდა იყოს, ვინაიდან მისი ერთ-ერთი მიზანი იყო გამხდარიყო კრიტიკოსი. აი, რას ამბობს პო თავის ერთ-ერთ წერილში: „ამბობენ, რომ კარგი კრიტიკის წერა ლექსზე შეუძლია მას, ვინც თავად პოეტი არასოდეს ყოფილა, რასაც მე ვერ დავეთანხმები – რაც უფრო ნაკლებ პოეტურია კრიტიკოსი მით უფრო ნაკლებად ღირებულია მისი კრიტიკა და პირიქით“. პო, როგორც კრიტიკოსი, ხშირად წერდა იმის შესახებ, თუ როგორ ქმნიდა თავის ნაწარმოებებს. ორიგინალობას პოეტი განსაზღვრავდა, როგორც უნარს, მშვიდად მოეხდინა თავის ნაწარმოებში სხვადასხვა პოეტური ხერხების კომბინირება. და მაინც, როგორ იქმნება ლექსი? ამ კითხვაზე პო თავად სცემს პასუხს თავის ნაშრომში „კომპოზიციის ფილოსოფია“, სადაც წარმოდგენილია მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „ყორანი“. პოეტისათვის წარმოუდგენელია რაიმეს დაწერა ფაბულის, ან სიტუაციის წინასწარი შერჩევის გარეშე. ლექსის სიუჟეტი ასეთია: დეკემბრის ცივ ღამეს, ახალგაზრდა ვაჟი დადარდიანებული მშვენიერი საატრფოს, ლინორის გარდაცვალებით, მარტო იმყოფება თავის ოთახში. უეცრად გარედან რაღაც ხმა იქცევს მის ყურადღებას; ვაჟი აღებს კარს და უჩვეულო სურათის მომსწრე ხდება – მის ოთახში შავი ყორანი შემოფრინდება. ყორნისადმი მიმართულ ვაჟის ყველა კითხვაზე ერთადერთი პასუხი მოისმის ფრინველისაგან „ აღარასოდეს“. ეს პასუხი უიმედობის გრძნობით აღავსებდა ვაჟს, რომელსაც ერთადერთი იმედიღა დარჩენოდა – იქ, იმქვეყნად მაინც შეხვედროდა თავის საატრფოს. საგულისხმოა, რომ ედგარ პომ მშვენიერი ქალის, ლინორის სიკვდილის თემა გამოიყენა სხვა ლექსშიც. ზოგადად სიუჟეტი „სიკვდილი ახალგაზრდა მშვენიერი ქალისა და მისი საატრფოს მნუხარება“ მე-19 საუკუნის დასაწყისში დამახასიათებელი ყოფილა ამერიკული პოეზიისათვის. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მოტივი პირადულია პოსთვის: მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაკარგა საყვარელი ქალი, ხოლო მოგვიანებით . გარდაიცვალა მისი მეუღლე. საინტერესოა, ხომ არ ეხმიანებიან ლექსებში გამოყენებული თემატიკა მის პირადულ განცდებს? ყოველ შემთხვევაში, პოეტს რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომ ასეთი სიუჟეტი შეერჩია თავისი ნაწარმოებისათვის. თუმცა, მკითხველზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ სიუჟეტი, არამედ შესრულების ტექნიკაც: „ნებისმიერი სახის კომპოზიციისათვის „ეფექტის, ანუ შთაბეჭდილების ერთიანობა“ იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას“– ამბობდა პოეტი და თვლიდა, რომ ეს შესაძლებელი იყო, პირველ რიგში, ლექსის, ან თუნდაც მოთხრობის ზუსტი მოცულობის დადგენით: “ლექსები, ისევე, როგორც მოთხრობები იმდენად მცირე მოცულობის უნდა იყოს, რომ მათი წაკითხვა ერთი ამოსუნთქვით შეიძლებოდეს, სხვა შემთხვევაში შთაბეჭდილების ერთიანობა უსათუოდ დაირღვევა“. პოეტმა შეძლო „ყორანში“ მთელი თავისი ჩანაფიქრი მოეთავსებინა 108 სტრიქონში, რამაც ხელი არ შეუშალა თავად ლექსის კომპოზიციას ერთი მხრივ, შთაბეჭდილება მოეხდინა მკითხველზე და მეორე მხრივ, არ გამხდარიყო მისთვის მოსაწყენი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ედგარ პო, რომელიც ძლიერი ეფექტის შექმნაზე ზრუნავდა, სილამაზის ცნებას უპირველეს ადგილზე აყენებდა. მას სჯეროდა, რომ სიამოვნების განცდა სილამაზის ჭვრეტით, მისი აღქმით მიიღწეოდა. “სილამაზე იწვევს სულის აღელვებასა და სასიამოვნო აღმაფრენას.“ რაც შეეხება სიმართლის გადმოცემას, პოს მიაჩნდა, რომ იგი უფრო პროზაულ ნაწარმოებებში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა პო არც იმას გამორიცხავდა, რომ სიმართლე პოეზიაშიც შეიძლებოდა გადმოცემულიყო, მხოლოდ, როგორც ზოგადი ეფექტის მისაღწევი საშუალება. სწორედ ეს შეხედულება განავითარა პომ “ ყორანში, “ როცა მშვენიერი ქალის სიკვდილის თემა, რასაც ადგილი ჰქონდა მის ცხოვრებაში, სიმბოლურად დაუდო ლექსს სიუჟეტად.

“შთაბეჭდილების ერთიანობა“ პოსთან “ინტონაციის ერთიანობასაც“ გულისხმობს, რომელიც “ყორანში“ სევდიანია. საერთოდ, მელანქოლიური განწყობა, პოს აზრით, ბევრად უფრო უხდებოდა ლირიკას, ვინაიდან მშვენიერებას, თუკი იგი კარგადაა გამოხატული ცრემლის მოგვრის უნარიც აქვს. თუკი ჩავთვლით, რომ ეს ლექსი სიკვდილის თემასაც უკავშირდება, მაშინ სევდის მოტივიც მასთან უნდა იყოს ასოცირებული. “რომელია ყველაზე უფრო მელანქოლიური მელანქოლიურ თემათაგან?“- ეკითხება პოეტი თავის თავს და იქვე ამბობს: „თემა სიკვდილისა - აი, მკაფიო პასუხი“ ხოლო ლამაზი ქალის სიკვდილის თემა, წარმოდგენილი მარტოდ დარჩენილი მიჯნურის ტრაგედიის ფონზე, ყველაზე პოეტურად მიაჩნდა პოს მელანქოლიურ თემათაგან.

არც შავი ყორნის ხატია შემთხვევითი, რომელიც შეიძლება სიმბოლურად სიკვდილს დავუკავშიროთ. გავიხსენოთ როგორი დინჯი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაყი და მედიდურია ედგარ პოს ყორანი. ისე გაბედულად შემოფრინდა იგი ვაჟის ოთახში, როგორც სიკვდილი, რ.ომელიც ასევე მოულოდნელად და გაუფრთხილებლად შეიძლება ესტუმროს ადამიანს:

"... შემოდის ფრთების გაუგონარი
ტყლაშუნით დიდი, შავი ყორანი,
ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი,
ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის,
ვით სეფე-კაცი, ანთუ თავადი
გულგორზი და ამპარტავანი."[1]

თვით დეკემბრის ცივი ღამე, რომლის დროსაც ხდება მოქმედება ლექსში, ედგარ პომ ალბათ პირობითად შეუსაბამა სიტუაციას ისევე, როგოც მოქმედების ადგილი-ტყე. საერთოდ, სივრცის შემოფარგვლა, მისი აზრით, იყო აუცილებელი, რათა ერთიანი სურათის სახე მიეცა ცალკეული ეპიზოდებისათვის.

ედგარ პო, რომელსაც სურდა მკითხველზე უდიდესი შთაბეჭდილება მოეხდინა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ხერხს—რეფრენს. რეფრენში ერთი მხრივ მუსიკა იგრძნობოდა, ხოლო მეორე მხრივ—სევდა, როგორც ყორნის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში „აღარასოდეს". პოს აზრით, რეფრენის ძალა დამოკიდებული იყო მონოტონურობაზე ლექსში. სწორედ ასეთი განმეორებითი მელოდია ახდენდა სასურველ ეფექტს, ამიტომ ერთსიტყვიანი რეფრენი იდეალურად მიიჩნია პომ. ამ სიტყვის სიძლიერე მთელი ლექსის მანძილზეა შენარჩუნებული, რომლის საშუალებითაც პოეტი შესანიშნავად ახერხებს გაგვაცნობიერებინოს გმირის მთელი შინაგანი ტრაგედია. რეფრენი ყოველი მხრიდან გზას უღობავს მიჯნურს და არანაირ გამოსავალს არ უტოვებს, გარდა იმისა, რომ არსებულს შეაგუოს, ანუ გააცნობიერებინოს, რომ სატრფოსთან შეხვედრა აღარასოდეს მოხდება. ორთაბრძოლა მწვავდება ლექსის ბოლოს, ვაჟის უკანასკნელი კითხვით:

„ვთქვი: ბოწყალება ერთხელ მოიღე
გაფიცებ უფალს, არსთა მორიგეს,
... მარქვი, თუ ჩემი სული ხანდახან
მისწვდება ლენორს გარსთა გადაღმა
და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადაღავს
მიწას რომ ცასთან ათანასწორებს."

რაზეც მოისმის ყორნის იგივე პასუხი - "აღარასოდეს". ამის მოსმენა, რაღა თქმა უნდა, აუტანელი სატანჯველია მიჯნურისათვის, ვინაიდან იგი ერთადერთი იმედით სულდგმულობდა—იქ, იმქვეყნად მაინც ეხილა მშვენიერი ლინორი. ეს კითხვა უკანასკნელი გაბრძოლებაა რეალობის წინააღმდეგ და ამასთანავე უდიდესი მარცხიც. რეფრენი კი უნდა გავიგოთ, როგორც მიჯნურის მელანქოლიით აღსავსე გულის გამოძახილი, ვინაიდან ფრინველი მხოლოდ გმირის წარმოსახვაში არსებობს. ეს არის თავად გმირის პასუხი საკუთარ ფიქრებსა და [illegible] ბრძოლა რეალურსა და ირეალურს შორის, ვაჟის სურვილსა და შესაძლებლობას შორის. მიჯნური, რომელიც ვერ ეგუება სატრფოს დაკარგვას, ცდილობს გაექცეს რეალობას და როგორც ლექსის ბოლოს ჩანს, ის აგდებს ყორანს, მაგრამ ამაოდ—ფრინველი არ მიფრინავს, ანუ სინამდვილეს ვერსად ნაუხვალ.

„და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,
როგორც ცივი და ქუში ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი,
... და ჩემი სული მისი ლანდისგან
სულ რომ იზრდება თვალწინ თანდისთან,
ღამის მრუმეში რომ გადადის და
ავაზასავით წევს და აზმორებს
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან
ავაზასავით რომ გააზმორებს,
არ განიყოფა აღარასოდეს".

ვაჟის ეს უკანასკნელი სიტყვები იმის მაუწყებელია, რომ იგი სულის სიმშვიდეს ვერასოდეს მოიპოვებს და განწირული იქნება სამუდამო სულიერი ტანჯვისათვის. სწორედ აქ აღწევს ავტორი თავის მიზანს—უკანასკნელ კითხვაზე მიღებული პასუხით მიჯნური აცნობიერებს, რომ მხოლოდ რეალობაა ყველაფერზე უფრო რეალური და იმედგაცრუებულს ისღა დარჩენია სინამდვილეს შეეგუოს. ამასთანავე, ეს ბოლო სტრიქონი არის ყოველივე ზემოთ თქმულის მორალის ძებნა. ავტორის აზრით, სწორედ ამ უკანასკნელ ეპიზოდში აღიარებს მკითხველი ყორანს დაუსრულებელი ტანჯვის სიმბოლოდ.

აი, ასეთი პესიმისტური განწყობით ასრულებს ედგარ პო თავის "ყორანს", რომლის შესახებაც თავად ამბობდა: "მე დავწერე "ყორანი" ერთადერთი მიზნით — გამეგო, თუ რაოდენ შეიძლებოდა აბსურდულთან მიახლოება, თანაც ისე, რომ არ გადამებიჯებინა ზღვარისათვის".

პო, მიაჩნდათ, რომ იყო „პოეტი განუსაზღვრელობისა." მისთვის ლექსები ისევე, როგორც ყოველი რომანტიკოსისათვის, იყო აღსარების ფორმა, მხოლოდ გამსჭვალული დიდი ფანტაზიით, ისეთი ნათელით და უხვით, რომ მას შეეძლო ყველაზე მოსაწყენი ყოფითი პროზა გარდაექმნა საინტერესო სიუჟეტად.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, პოს სახელმა გაიელვა იმ მწერალთა შორის, რომლებიც "წმინდა ხელოვნების" მიმდევრებად ინოდებოდნენ. მათი აზრით, ხელოვნების მიზანი იყო მხოლოდ "მშვენიერების", "წმინდა სილამაზის" სამსახური და "მომხიბლავი ფორმის" შექმნა, რასაც ასე ოსტატურად ახერხებდა ედგარ პო. ამასვე ადასტურებდა ხელოვანი მწერალი ოსკარ უაილდი, რომლის სიტყვებითაც მინდა დავასრულო ეს წერილი:

„ხელოვნება კი არ უნდა იყოს პოპულარული, არამედ ადამიანები უნდა შეეცადონ თავად ხელოვანებად იქცნენ."

---

1 თარგმანი გ. ნიშნიანიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიო გაგოშიძე

თანამედროვე ირანელი პოეტი სოჰრაბ სეფეჰრი

XX საუკუნის ორმოციან წლებში ირანის პოეზიაში ფართოდ გავრცელდა მიმდინარეობა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით – „შერე ნოუ" – ახალი პოეზია. ეს პოეზია თავს უყრიდა ახალგაზრდა პოეტების მთელ ჯგუფს. ამ მიმდინარეობის მიმდევრებს აერთიანებთ მთავარი: მისწრაფება პოეზიისა და სიცოცხლისაკენ; პოეტების დაინტერესება თავიანთი ქვეყნის ბედნიერებით და სურვილი, ახლებურად გააანალიზონ ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება.

თუ ორმოციანი წლების დასასრულს ამტკიცებდნენ, რომ ახალი მიმართულება გამოგონებაა რამდენიმე პოეტისა, რომ მას არ გააჩნია მომავალი, ამჟამად ახალი პოეზიის არსებობა, როგორც განსაზღვრული ლიტერატურული მიმართულება, არავის ეჭვს არ იწვევს.

უახლესი დროის მიმდინარეობა „შერე ნოუ" განიხილებოდა ირანულ კრიტიკაში, მხოლოდ როგორც ლიტერატურული სკოლა; ახალი პოეზიის პრობლემის არსი ბადებდა კითხვას, არის თუ არა სპარსულ ლიტერატურაში წინაპირობა შემდგომი განვითარებისა? შეძლებს თუ არა თავისუფალი ლექსი წარმატებით შეეწინააღმდეგოს ტრადიციულს?

სწორედ ამ ლიტერატურული მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელია თანამედროვე ირანელი პოეტი სოჰრაბ სეფეჰრი. იგი დაიბადა 1928 წლის 7 ოქტომბერს ქაშანში. ლიტერატურის განხრით კოლეჯის დამთავრების შემდეგ გადავიდა თეირანში და ჩააბარა ნატიფ ხელოვნებათა ფაკულტეტზე, რომელიც 1953 წელს დაამთავრა. ამ დროიდან მოყოლებული სეფეჰრი, როგორც მხატვარი, ილებს მონაწილეობას სხვადასხვა გამოფენებში: ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, ინდოეთში, ბრაზილიაში, გერმანიაში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. სეფეჰრის პირველი ლიტერატურული ცდა 19 წლის ასაკში განხორციელდა. იმთავითვე თავის შემოქმედებით მოღვაწეობაში იგი ბრწყინვალედ ათავსებდა მხატვრობასა და პოეზიას. როგორც კი დაიბეჭდებოდა ახალი პოეტური კრებული, თეირანის სხვადასხვა ადგილებში ეწყობოდა მისივე სურათების გამოფენა, სადაც მხატვარი კითხულობდა ლექსებს.

მისი ლექსი გამსჭვალულია მისტიციზმით, განდეგილობით. ამიტომაც მას უწოდებდნენ თანამედროვე მისტიკოსს. მისი შემოქმედების აღსაქმელად საჭიროა სათუთი, მგრძნობიარე და ნაზი ხედვა. სოჰრაბის მხატვრული ქმნილებები, ლექსი იქნება ეს თუ ფერწერა, აღბეჭდილია პოეტური გულახდილობით. მისმა პოეტურმა კალამმა და ფუნჯმა გაიარა მუდმივი შემოქმედებითი ძიებისა და წვრთნის გზა. იაპონიაში სწავლობდა ხეზე კვეთას; საფრანგეთში – ლითოგრაფიას. მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა... იტაცებდა დიდი ირანელი პოეტების, მწერლების, მეცნიერების, ფილოსოფოსების, ღვთისმეტყველთა აზრები და შეხედულებები. ყურანის გავლენის ქვეშ მოქცეული პოეტი კი ამბობდა: ჩვენი ზეციური წიგნი, თავისი ღვთიურობით, მსოფლიო ლიტერატურის უმაღლეს შედევრთა-აგანიაო.

სოჰრაბ სეფეჰრის ლექსები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ესპანურ, თურქულ და სხვა ენებზეა თარგმნილი. მხოლოდ საბედისწერო ავადმყოფობამ 1980 წლის 21 აპრილს შეძლო მისი შემოქმედებითი წვის შეჩერება. იგი დაკრძალულია მშობლიურ ქაშანში.

სეფეჰრი ავტორია უამრავი ფერწერული ნამუშევრისა, რომლებიც ინახება მსოფლიოს სხვადასხვა გალერეებში, ასევე მას დარჩა საკმაო რაოდენობით ლექსები, რომლებიც ძალიან უყვართ ირანში. მისი ერთი ლექსის სათაური: „მეგობრის სახლი სად არის?" დაერქვა ფილმს, რომელმაც მიიღო ჯილდო ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ კინო-ფესტივალზე.

სეფეჰრი 50-60-იანი წლების ყველაზე საინტერესო პოეტთაგანია, არა მარტო ლიტერატურული მოღვაწეობის, არამედ პიროვნული თვალსაზრისითაც. იგი ითვლება „შერე ნოუს" ლიტერატურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო წარმომადგენლად. „ახალ პოეზიას" ფართო გაგება აქვს. თავისი შემოქმედებითი მრწამსით ის არ წარმოადგენს ერთიან პოეტურ სკოლას და მიმართულებას, ზოგჯერ კი აკავშირებს სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო პოეტურ დაჯგუფებებსა და იდეებს, შეხედულებებსა და სტილს. „შერე ნოუ" ჩვენს წინაშე წარმოდგება ვერლიბრული ნიმუშებით. თუმცა ახალი ფორმის ჩასახვა ხდებოდა ჯერ კიდევ 20-იანი წლების პოეზიაში. იგი განსაკუთრებით განვითარდა 40-50-იან წლებში.

ლექსთწყობის თეორიული საფუძვლები და პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა პოეტმა-მკვლევარმა ნიმა იუშიჯმა, რომელიც ცდილობდა ეროვნული პოეზიის განახლებას და მის მსოფლიო ასპარეზზე გატანას. ამ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლებად ითვლებიან: ახავან სალესი, აჰმად შამლუ, ფორუღი ფაროხზადი, სოჰრაბ სეფეჰრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა. სოჰრაბ სეფეჰრის ლიტერატურული მემკვიდრეობა შედგება რვა კრებულისაგან: „მარგე რანგ“ – 1951 („ფერთა გარდაცვალება“); „ზენდეგიე ხაბჰა“ – 1953 („სიზმრების სიცოცხლე“); „ავარე ავთაბ“ – 1961 („მზის ნატეხი“); „შარყე ანდუჰ“ – 1961 („მწუხარების აღმოსავლეთი“); „სედაიე ფაიე აბ“ – 1965 („წყლის ფეხის ხმა“); „მოსაფერ“ – 1966 („მოგზაური“); „ჰაჯმე საბზ“ – 1968 („სიმწვანის სიდიადე“); „მა ჰიჩ, მა ნეგაჰ“ – 1977 („ჩვენ არაფერი, ჩვენ – ხედვა“).

პირველი ორი კრებული ძალიან ჰგავს ერთმანეთს შინაარსითა და გარეგნული ფორმით. ამ პერიოდში სოჰრაბი „შერე ნოუ“-ს აღიარებული კლასიკოსების ნიმა იუშიჯისა და ახავან საალესის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ კრებულის ყველა ლექსი დაწერილია მოდერნისტულ-ნოვატორული სულით. სეფეჰრის პირველ კრებულში ნიმა იუშიჯის მიბაძვა უფრო იგრძნობა, ვიდრე საკუთარი პოეტური „მე“. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი მთელი ცხოვრება ერთხელაც არ ჩართულა თავისი შემოქმედების გარშემო ატეხილ პოლემიკაში, არ შეიძლება ითქვას, რომ თვალყურს არ ადევნებდა თავისი პოეზიის შეფასებას. უარყოფითი შეფასებანი მხოლოდ აძლიერებდა მის შინაგან მოუსვენრობას. ამ დროს იგი ცდილობდა სულიერი სიმშვიდე სხვა სამყაროში აღმოეჩინა, განსაკუთრებით კი – მოგზაურობაში. ის მოგზაურობდა პარიზსა თუ ლონდონში, ინდოეთსა თუ შორეულ აღმოსავლეთში.

ევროპული კულტურის, ჩინური ფილოსოფიის და იაპონური პოეზიის გაცნობამ სოჰრაბ სეფეჰრის პოეტური სტილის ევოლუცია მოახდინა.

მომდევნო კრებულში ქრება მწუხარება და ნაღველი. ჩნდება და ძლიერდება მისტიციზმი. იცვლება ლექსის რიტმი. ის არა მარტო „უცხო სამყაროში“ ეძებს აღმაფრენას, არამედ მიემართება სპარსული ლიტერატურის წარსულისაკენ. თავის შემოქმედებით ძიებას პოეტი მიჰყავს „ინდურ სტილამდე“, „ინდური სტილი“ კი დამახასიათებელია სპარსულენოვანი ლიტერატურისიმ პერიოდისათვის, რომელიც ქრონოლოგიურად მე-16 მე-18 ს. ს. მოიცავს (ირანში, ცენტრალურ აზიასა და ინდოეთში). ეს სტილია „თარზე ნოუ“ ან „თარზე თაზე“, ე.ი. ახალი სტილი.

ინდური სტილისათვის დამახასიათებელია ლექსთნყობის რთული ფორმა და ამავე დროს მარტივი პოეტური აზრი, რომლის გადმოსაცემადაც ღრმა წარმოსახვაა აუცილებელი. ასევე ამ პოეზიის სახეთა განლაგების სისტემაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს „თაშხისი“, ე.ი. პერსონიფიკაცია. პოეტები უსულო საგნებსა და აბსტრაქტულ მოვლენებს გარკვეულ სახეს ანიჭებენ. სოჰრაბ სეფეჰრი „ინდური სტილის“ – „თაშხისის“ ყველაზე სრულყოფილი ნარმომადგენელია. პოეტი იმდენად გაიტაცა ამ სტილის პოეზიამ, რომ იგი გასცდა კიდეც ახალი ლექსის – „შერე ნოუს“ ფარგლებს.

ლექსის „სედაიე ფაიე აბ“ („ნულის ფეხის ხმა“) სახელწოდება ჩვენ მიგვითითებს მოცემულ ფიგურაზე. მასში შეიძლება ვიპოვოთ ბევრი მაგალითი „თაშხისისა“, გამორჩეული სილამაზითა და მრავალფეროვნებით: აქ სხივი ნაადგავს თავმოკვეთილ ჩიტს, რომელიც აგონიაშია; სიყვარული კიბით მიემართება ღვთიური სამეფოსაკენ. ყვავილებთან მოსაუბრე პოეტი თქვენობით მიმართავს „შროშანს“, რომელსაც „ათასი ენა აქვს“, მაგრამ მაინც მდუმარეა. დროდადრო მის ყურთასმენამდე აღწევს ბაღის სუნთქვა. „მარტოობა“ მღერის სიმღერას და ხანდახან მწუხარებისაგან ფანჯარაში იხედება, თითქოს რაღაცას ხატავს ან თავის თავს ემსახურება: „უკეთესი იქნება თუ ავდგები, ფერებს მოვიტან, ჩემს მარტოობაში ჩიტს დავხატავ“. „ერთხელ დავინახე მე უკარო გალია, რომელსაც სიკვდილის წინ ეცემოდა სინათლე, მე დავინახე საფეხური, რომლითაც სიყვარული მიემართებოდა ცის თავანისკენ“,

თავის შემოქმედებაში სეფეჰრიმ ასევე გამოიყენა სხვა პოეტური გამოსახვის ხერხები: სიტყვათა თამაში, ირონია და სხვა.

სეფეჰრის შემოქმედებისათვის ცნობილი პანთეისტური მოძღვრების თანახმად, ბუნებაში ღმერთი აღწევს სრულყოფილებას. სხვა სიტყვებით, კონკრეტული სინამდვილე ვლინდება ყველაზე სრულყოფილი, ბრწყინვალე ყოფიერებით. თავდაპირველად ადამიანი სწორედ ამ ყოფიერების ჰარმონიაში იმყოფებოდა.

მეტად აქტუალურია სეფეჰრის შემოქმედებაში ბუნება და კოსმოსი. მასში სილამაზის განცდა, ბუნების ნატურალური ასახვა, ყოველი ხისა თუ ყვავილის სიყვარული, მათდამი პატივისცემით და კრძალვით მოპყრობა. მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ბუნების თითოეულ ნაწილს, თუნდაც ერთ „ყვავილსა“ და ერთ „ფოთოლს“ ან ერთ „ხესა“ და ერთ „ჩიტსაც“ კი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას მოსწონს მზიანი დილა. მისი შემოქმედება სავსეა სხივისა და სინათლის სხვადასხვაგვარი გამოხატვითა და დახასიათებებით. ის ისწრაფვის ნათელი სამყაროსაკენ, რომელშიც მზის ყოველ სხივს ადამიანთა გულები გაუთბია.

მაგრამ უცნაურია სეფეჰრის ბუნება და შესაბამისად მისი შემოქმედებაც. ამავდროულად პოეტის სიტყვები თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რადგან ერთგან ლაპარაკია იმედსა და სინათლეზე; სხივსა და არსებობაზე, სიცოცხლესა თუ სიყვარულზე და გზადაგზა ვხვდებით ისეთ სტრიქონებსაც, რომლებიც სავსეა უიმედობით, მწუხარებითა და დარდით. იქნებ ამიტომაცაა მისი შემოქმედების აღქმა რთულიც და ადვილიც. პოეტის აზრით, მხოლოდ ბუნებას შეუძლია გონება გაანათოს; რომ პოეტი მუდამ ბუნების მადლობელი და მისი გულუხვი მასპინძელი უნდა იყოს, რადგან იგი თვითონვეა ბუნებაში, ხოლო ბუნება – მასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეფეჰრი იყენებს მითოლოგიას, ამტკიცებს, რომ ადამიანი არა მხოლოდ სამყაროს ნაწილია, არამედ თვითონვე გვევლინება მიკროკოსმოსად. აი, რას წერს იგი:

„მე სავსე ვარ სინათლით, სხივითა და ქვიშით, სავსე ვარ ხეებით.

სავსე ვარ გზებით, ხიდებით, მდინარეებით, ტალღებით, სავსე ვარ ფოთლების ჩრდილით, როგორც მდინარე".

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამოკიდებულება ყურანისადმი, რომლის სურების გავლენით შეიძლება აიხსნას ასეთი სტრიქონების არსებობა მის პოეზიაში:

„მე სტუმრად მსოფლიოს ვეწვიე,
მე მწუხარების ველს ვეწვიე,
მე ღვთიურ ბაღს,
მე ნათელი ცოდნის აივანს ვეწვიე"...

აი, რას წერს ცნობილი ირანელი პოეტი ქაჟიბ ლიბოთეკა ფორული ფაროხზადი:

„სეფეჰრი ყველასაგან განსხვავებულია, მისი ფერებისა და გრძნობათა სამყარო ჩემთვის ყველაზე საინტერესო სამყაროა. იგი არასოდეს არაფერს ამბობს კონკრეტულად, პირიქით, ზოგადად ეხება ისეთ გლობალურ საკითხებს, როგორიცაა კაცობრიობა, ქვეყნიერება, ადამიანთა გრძნობები. მას საზოგადოებაში უკვე თავისი წონა აქვს, მაგრამ რომ დასცლოდა საკუთარი ძალების ბოლომდე გამოაშკარავება, მისი სიმაღლე სულ სხვა მნვერვალს მიაღწევდა".

სეფეჰრი თავისი ეპოქის შვილი იყო. მისთვის სულ ერთი არ გახლდათ ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ძვრები, რომელიც მე-20 საუკუნეში ხდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოჰრაბი პოეტი და მხატვარი — ცდილობდა ჩასნვდომოდა საუკუნის რთულ პრობლემებს და ყოველივე ეს გადმოეცა ორიგინალური მხატვრული აზროვნების მეშვეობით.

თამარ ფაჩულია

თანამდევი სული

გურამ ასათიანის – კრიტიკოსის, სიტყვის ოსტატის, ხასიათის უღრმეს შრეებში შეღწევის უნარის მქონე ფაქიზი ანალიტიკოსის სახე სრულად გამოვლინდა მის მიერ შექმნილ XX ს-ის მწერალთა განუმეორებელ პორტრეტებში. სიტყვა „განუმეორებელი" შემთხვევით როდი ვიხმარეთ. ძნელია წარმოიდგინო, რომ სხვა მკვლევარი, კრიტიკოსი, მოაზროვნე შეძლებს ასე ორგანულად შეუხამოს ერთმანეთს პიროვნების ფსიქოლოგიური წყობის ანალიზი, ხასიათის ძირითადი ნიშან-თვისებების სათავეების ძიების პროცესი, სიღრმისეული განსჯა და უშუალო, მართლაც ერთი „წამისაგან; მიღებული შთაბეჭდილებები. რაც მთავარია, ამ შეხამება-შენივთებით მიღებულ პორტრეტს კრიტიკოსი ყოველთვის ზუსტ ეპოქალურ, დროულ ფონს უძებნის, რის შემდეგაც ერთ მთლიანობად წარმოდგება მის მიერ შექმნილი მწერლის მართლაცდა ფერწერული პორტრეტი. კიდევ ერთი დეტალი აპირობებს ამ პორტრეტების „განუმეორებლობის" ფენომენს. კრიტიკოსი არ ქმნის თანამედროვე მწერალთა სახის ამსახველ ვრცელ ტილოებს. თავის უშუალო შთაბეჭდილებებს იგი თითქმის მინიატურასთან მიახლოებულ ვიწრო ჩარჩოებში ათავსებს. ანალიზით მიღებული დასკვნებისგან „იქსოვება" მცირე ზომის, მაგრამ შინაგანად საოცრად ტევადი, ღრმა, ყოველმხრივ, ყოველგვარ რაკურსში დანახულ-განხილული სახე, რომელიც მთელი სისავსით წარმოდგება პორტრეტის სიბრტყეზე.

მაშასადამე, გურამ ასათიანის მიერ შექმნილ თანამედროვე მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა სახეებში გამოვლინდა კრიტიკოსის ორიგინალური აზროვნების და მხატვრული სტილის ნიშნები, რომელთაც გარკვეულ თვითმყოფად მოვლენად, ცალკე რკალად ჩამოაყალიბეს ეს პორტრეტები არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ, საერთოდ, XX ს-ის ქართული კრიტიკული აზროვნების ისტორიაში.

კრიტიკოსის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა ხორციელდება არა მშრალად დაწერილ, მკაცრ ანალიტიკურ ან მეცნიერული ტერმინოლოგიით დატვირთულ წერილებში, არამედ თითქმის მხატვრული პროზის ან თუნდაც ესეისტიკის ზღვარზე მისულ ლაღად, თავისუფლად, მოხდენილი სტილით, მძაფრი შინაგანი განცდითა და უშუალო ხალასი შთაბეჭდილებებით გაჯერებულ „მზიური ნიშნით აღბეჭდილ" პორტრეტებში. ნიმუშად მოგვყავს ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი.

ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტში აისახა კრიტიკოსის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედებითი პრინციპი – მწერლის შემოქმედება განხილული უნდა იყოს თვით მწერლისავე სტილის, მხატვრული სამყაროს თავისებურებათა „გადმონერგვა-გათავისების" გზით. აქვე გამოვლინდა გურამ ასათიანის დამოკიდებულება სტილისადმი: „ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი მისივე სტილით უნდა დაიწეროს. იმ უეცარი, მოსხლეტილი, ბასრი ხელწერით, მან რომ შემოიტანა ჩვენი საუკუნის ქართულ მწერლობაში.

ასეთი სურვილი გასაგებია, მაგრამ არსებითად განუხორციელებელი; სტილი ხომ იგივე ადამიანია – ცოცხალი პიროვნება, თავისი დაუნანევრებელი მთლიანობით, ეს უკანასკნელი კი, სამწუხაროდ, არ მეორდება."

მიუხედავად ამ სკეპტიკური დამოკიდებულებისა, კრიტიკოსმა მაინც შეძლო მიახლოებოდა თავის იდეალს – საკუთარი შეხედულებების გადმოცემისას მაქსიმალურად, რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში, დაეცვა მწერლის სტილი. ამ შემთხვევაში ეს, ალბათ, გადაულახავი სიძნელე არც უნდა ყოფილიყო, რადგან, თუ ნიკო ლორთქიფანიძის სახელი განუყოფლად უკავშირდება იმპრესიონისტული აზროვნების სისტემას, თავის მხრივ, გურამ ასათიანიც იმპრესიონისტული კრიტიკის წარმომადგენელია. ეს თანხვედრა მაინც ვერ გადალახავს ორ ინდივიდუალობას შორის არსებულ ზღვარს. თუმცა, დიდმა სურვილმა და მსოფლმხედველობრივმა სიახლოვემ, მაინც შეაძლებინა კრიტიკოსს ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი მისსავე სტილთან **მიახლოებული** სტილით დაეწერა.

ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტშივე გამოჩნდა კრიტიკოსის ე.წ. „პორტრეტული ფერწერის" სხვა ნიშანდობლივი თვისებებიც. კერძოდ, მოგონების ფუნქცია – პორტრეტის ექსპოზიციაში მწერლის სახე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი და ახლობელთა მოგონებების მეშვეობითაა მოხაზული და გამოვლენილია პიროვნების შინაგანი წყობისადმი ინტერესი: „ის იყო იშვიათად მრთელი და ქედუხრელი პიროვნება თავისი შეურყეველი ზნეობრივი მრწამსით, თავისი შეურყვნელი, ნებისმიერ ძალმომრეობასთან შეუთვისებელი, ცხოვრების ჩარხის ცვალებად ბუნებას დაუქვემდებარებელი იდეალებით".

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების ანალიზის დაწყებისთანავე კრიტიკოსი ხაზგასმით გამოყოფს მწერლის მთავარ თემას **– ადამიანის სულის ისტორიას**, „რომლის დინებაში და ცვალებადობაში მისი თვალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ანარეკლს განჭვრეტდა".

მწერლის მხატვრული სამყაროს ფესვების ძიებამ გურამ ასათიანი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მწერალს ბევრი საერთო აქვს XIX ს-ის მწერლობასთან, უპირველეს ყოვლისა, წარსულისადმი, ძველი საქართველოსადმი არაგაუცხოებული დამოკიდებულება. სხვაობა კი ის არის, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს, წინა საუკუნის მწერალთაგან განსხვავებით, ისტორია არა აქვს გააზრებული იმ მაგალითად, გაკვეთილად, რომელიც უნდა განმეორდეს. „ისტორიაში მას აინტერესებს „სული" – ძველი საქართველოს არა გარეგანი, არამედ სულიერი კოლორიტი, მის ოდინდელ მკვიდრთა ზნენი და ჩვევანი, მათი შინაგანი წყობა".

კრიტიკოსი გამოყოფს წარსულისადმი მწერლის ცხოველი ინტერესის სამ ძირითად ასპექტს:

1) ისტორია ქართული ხასიათის, მისი თვისებების: სრულქმნილი არისტოკრატიზმის, ბუნებრივი კეთილშობილების გამოვლენაა (მაგ.: „რაინდები");

2) ისტორია განხილულია კრიტიკულად და მკაცრად შეფასებულია მისი სოციალური საფუძველი; „ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძე XIX საუკუნის – დანიელ ჭონქაძისა და სამოციანელთა გზას მიჰყვება". სიახლე კი ის არის, რომ, მაგალითად, „მრისხანე ბატონში" ფეოდალის სისასტიკე ესთეტიზებულია. თუმცა, ესთეტიზება სულაც არ ნიშნავს სულის მანკიერების გამართლებას, სისასტიკე, ამ შემთხვევაში, ესთეტიკური ზემოქმედებით კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას;

3) განსაკუთრებით მძლავრია მწერლის ინტერესი წარსულის ნამუსრევთა მიმართ („ჟამთა სიავე", „დანგრეული ბუდეები"); ამ ინტერესით და ძიებებით შექმნილ სახეებში საბოლოოდ გამოიკვეთება მწერლის ისტორიული კონცეფცია.

გურამ ასათიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეცდომა იქნებოდა ნიკო ლორთქიფანიძის „ერთი თემის" მხატვრად წარმოდგენა. მისი ისტორიული ხედვა თანამედროვე ხედვაა და იგი ქართული ხასიათის ზოგად თვისებებს ეძიებს როგორც გარდასულ დროთა სახეებში, ისე თანამედროვეთა ხასიათებში. „ტრაგედია უგმიროდ" ფართო განზოგადების შემცველი სიმბოლური სახელწოდებაა, რომლითაც მისი შემოქმედების მთელი ციკლი შეიძლება დასათაურდეს". სინამდვილის ტრაგიკული აღქმის საფუძველი იმის შეგნებაა, რომ ყველაფრის სათავეა **უადამიანობა**, მაშასადამე, ეს მანკიერი სამყარო უნდა დაინგრეს, გაქრეს, მოვიდეს რაღაც ახალი. აქედან მომდინარეობს იმ ძიებათა პათოსი, რომელიც დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედებისათვის, როგორც იდეურ-თემატური, ისე გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით. მაგრამ წარსულისგან განსხვავებით, ნიკო ლორთქიფანიძე თანამედროვეობის ასახვისას გარკვეულ „ესთეტიკურ სიფრთხილეს" იჩენს. როგორც გურამ ასათიანმა შენიშნა, იგი ძირითადად ესკიზური სტილით მუშაობს, ძერწავს ცალკეულ პორტრეტებს და იმპრესიონისტული ჩანახატებითაც კმაყოფილდება. „მაგრამ რაოდენ ნიშანდობლივია, რომ ნიკო ლორთქიფანიძე თავისი შემოქმედებითი ევოლუციის მხოლოდ გარკვეულ (საკმაოდ გვიანდელ) ეტაპზე გრძნობს საკუთარ უფლებამოსილებას, რათა თანამედროვეობისადმი მიძღვნილი მასშტაბური ტილო შექმნას და ისიც, არა საკუთრივ დღევანდელობის, არამედ მისი სათავეების, მისი სოციალურ-იდეოლოგიური საყრდენების ამსახველი ნაწარმოები". – წერს გურამ ასათიანი და იქვე ცალკე გამოყოფს მწერლისათვის ნიშნეულ ძალზე საინტერესო თვისებას – ე.წ. „საგნებით ტკბობას". ის თითქოს საგნებს, ნივთებს „ეალერსება", პოულობს მათში ღრმა შინაარსს, ანიჭებს დროის შემომნახველის რთულ მხატვრულ ფუნქციას.

როგორც აღვნიშნეთ, პორტრეტის ძერწვისას, კრიტიკოსისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკვლევი ობიექტის ხასიათის, ბუნების, ჭეშმარიტი არსის (პიროვნული და შემოქმედებითი) მიგნებას. ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნებასა და მხატვრულ სამყაროში იგი ორი „ნატურის" ურთიერთშეხამებას ხედავს.

„პირველი ნატურა" (კრიტიკოსის აზრით, უფრო სუსტი) რომანტიკული ამაღლება, მიწისა და ხორციისაგან გათავისუფლებაა, ხოლო „მეორე ნატურა", რომელმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროთა განმავლობაში იმძლავრა პირველზე, მოიცავს მიწიერ „მანივთებელ" სფეროს. გარკვეულ ეტაპზე მიწიერმა საწყისმა აშკარად უკანა პლანზე გადასწია ამაღლებული, „უსაგნო". ამ მოვლენას კრიტიკოსი ერთდროულად გამარჯვებადაც თვლის და დიდ მარცხადაც მიაჩნია, მაგრამ ისევ და ისევ ევოლუციური თვალსაზრისით ცდილობს ახსნას:

„ამგვარი ძვრები ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ ევოლუციაში სიმპტომატურია, უწინარეს ყოვლისა, ფართო ესთეტიკური მნიშვნელობით, ვინაიდან ისინი მისი სტილისა და მეთოდის ჩამოყალიბების ნიშანდობლივ კანონზომიერებებს ასახავენ".

ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტში კრიტიკოსი შეეცადა შეეღწია მწერლის მხატვრული სამყაროს სიღრმეში, მის სულში. ამასთან, მისთვის სრულიად ნათელია მწერლის მნიშვნელობა თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარებისათვის. მიუხედავად ესთეტიკური „გაკვეთილები" ბევრ რამეს ასწავლ ნს და შესძენს მომავალ თაობებს. მაგრამ კრიტიკოსისთვის მაინც ყველაზე საინტერესოა იმ უმთავრესი, ძირეული მარცვლის ამოცნობა და ამოზიდვა, რომელიც ღვივის მწერლის შემოქმედების უღრმეს შრეებში. თვითონ ნიკო ლორთქიფანიძე „შეუდარებლად მოკლედ წერდა მთავარზე!" — ამბობს გ.ურამ ასათიანი და თვითონაც მთავარზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით კი, უმთავრესი ყოფილა ის რაინდული სული, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძემ მოიტანა თანამედროვე მწერლობაში:

„რაინდობა — რაინდობის ქართული ვარიანტი — აი, ყველაზე დიდი სულიერი ფასეულობა, რაც მან მოიტანა ჩვენს საუკუნემდე, ჩვენს დრომდე, ჩვენამდე თავისი ნატურალური — ხალასი, შეულამაზებელი და შეუბღალავი სახით".

ლიტერატურა

გ. ასათიანი, „თანამდევი სულები", „მერანი", თბ., 1983, გვ. 90.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიორენ კირკეგორი

ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა პიროვნულობის განვითარების გზაზე*

ფრაგმენტი

გენიოსის თხზულებათა გადაქცევა მოდად მხოლოდ ვნებს მათ; მოდა, სალონური ცნობიერება აღარიბებს, აკნინებს, აფერმკრთალებს გენიოსის აზრებსა და განცდებს. მოდის ზეგავლენით მაღალი ქმნილებები ჰკარგავენ სიმძაფრეს, ტრაგიკულობას, სერიოზულობას. სამწუხაროდ, მოდის ამ დამაკნინებელი შემოტევის მსხვერპლი დანიელი ფილოსოფოსის სიორენ კირკეგორის (1818-1855) ნააზრევიც გახდა.

მოდის შტამპებისაგან თავის დახსნის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ჩაღრმავება თავად შემოქმედის ქმნილებებში. სწორედ ამ მიზნით ვთავაზობთ მკითხველს სიორენ კირკეგორის თხზულების ფრაგმენტს.

კირკეგორი დაიბადა 1818 წელს კოპენჰაგენში. 1840 წელს აქვე დაამთავრა უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი. მისი სამაგისტრო დისერტაცია ეხებოდა ირონიის ცნებას. ერთხანს ბერლინში ისმენდა შელინგის ლექციებს. 1842 წელს დაბრუნდა კოპენჰაგენში, სადაც გარდაცვალებამდე – 1855 წლამდე – განდეგილად ცხოვრობდა.

„ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა პიროვნულობის განვითარების გზაზე" წაწილია კირკეგორის ცნობილი თხზულებისა „ან-ან", რომელიც გამოქვეყნდა კოპენჰაგენში 1843 წელს. წიგნში მითითებული იყო მხოლოდ გამომცემელი – ვიქტორ ერემიტა. დანიელ ფილოსოფოსს უყვარდა ფსევდონიმები; „ვიქტორ ერემიტა" რაც „განდეგილობაში გამარჯვებულს" უნდა ნიშნავდეს, „ან-ან"-ის ავტორის ერთ-ერთი ფსევდონიმია.

ჩემო მეგობარო! კვლავ გეუბნები იმას, რაც უკვე მრავალგზის მითქვამს, გეუბნები კი არა – მოგიწოდებ: „ან-ან", aut-aut-ის, რის გაგებაც გვსურს ამ გამოთქმით, მნიშვნელობით სავსეა, რთულია. არსებობს ცხოვრებისეული ვითარებები, რომელთა მიმართ „ან-ან"-ის გამოყენება სასაცილო ან თავისებური უგუნურება იქნებოდა. შეხვდებით ადამიანებს, რომელთა სული იმდენად დაუძლურებულია, რომ ვერ გააგებინებთ ამ დილემის აზრს. ამგვარ ადამიანთა პიროვნულობას არ გააჩნია ენერგია. ამიტომ მათ არ ძალუძთ პათოსით წარმოთქვან: „ან-ან". პირადად ჩემზე ეს სიტყვები მუდამ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ისინი ახლაც ასევე ზემოქმედებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ისეთი წმინდა და გაშიშვლებული ფორმით გამოვთქვამ, რომ შესაძლებელი ხდება დღის სინათლეზე გამოვიდნენ უსაშინელესი წინააღმდეგობანი. „ან-ან" მოქმედებს, როგორც ჯადო სიტყვები, ზოგჯერ ვძრწუნდები კიდეც. ვიგონებ ადრეულ სიჭაბუკეს, როცა ჯერ არ მესმოდა, რას ნიშნავს არჩევანი, ბავშვური ნდობით ვისმენდი უფროსთა სიტყვებს. არჩევანის წუთი ზეიმისა და მოწინეების გრძნობით მავსებდა, თუმცა არჩევანისას მხოლოდ სხვათა მითითებებს მივდევდი. ვიგონებ უფრო გვიანი ცხოვრების წამებს, როცა გზის გასაყარზე ვიდექი, როცა ჩემი სული უკვე მომწიფებული იყო გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ვიგონებ ჩემი ცხოვრების მრავალ, ნაკლებმნიშვნელოვან, მაგრამ ჩემთვის არცთუ ნვრილმან შემთხვევებს, როცა საჭირო იყო არჩევანის გაკეთება. არსებობს მხოლოდ **ერთი** მიმართება, რომელშიც ამ სიტყვას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა – ესაა მაშინ, როცა ერთ მხარეზეა ჭეშმარიტება, სიმართლე და სიწმინდე, მეორეზე კი – სიამოვნება და მიდრეკილებები, ბნელი ვნებები და მანკიერებანი. და მაინც, სწორი არჩევანი, ამით კი საკუთარი თავის გამოცდა, დიდი მნიშვნელობის მქონეა ისეთ ვითარებაშიც კი, რომელშიც არჩევანი უვნებელ რაიმეს ეხება. ასეთი არჩევანი საჭიროა, რათა როდისმე არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება და ღმერთისთვის მადლობის თქმა იმის გამო, რომ საკუთარი თავის მიმართ მხოლოდ დროის გაცდენა გვაქვს სასაყვედურო. ყოველდღიურ ცხოვრებაში მე ისე ვხმარობ ამ სიტყვებს, როგორც სხვები. ამაზე უარის თქმა უაზრო პედანტობა იქნებოდა. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება უცებ გამიკვირდეს კიდეც, რომ ამ სიტყვებს სავსებით უმნიშვნელო საგნის მიმართ ვიყენებ. მაშინ ისინი იშორებენ თავიანთ უბრალო საფარველს, მე ვივიწყებ უმნიშვნელო აზრებს, რომლებიც ამ სიტყვების საშუალებითაა განსხვავებული ერთმანეთისაგან. ეს სიტყვები წარმოდგებიან ჩემს წინაშე მთელი თავისი ღირსებით და ბრწყინვალებით. ხალხში გარეული ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია,

**თარგმანი მოგვაწოდეს ქართველი ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის არქივიდან (რედაქციის შენიშვნა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებისაგან არაფრით განსხვავდება. ასევე შემოდის ეს სიტყვები ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენელი ყველასაგან განსხვავებული აღმოჩნდება, თუ თავის ავტორიტეტს გამოიყენებს. ეს სიტყვები მე წარმომიდგება, როგორც ძალაუფლებით აღჭურვილი პირი, რომლის ხილვასაც შეჩვეული ვარ მხოლოდ საზეიმო ვითარებაში – ასეთ შემთხვევაში სულს მუდამ სერიოზული განწყობილება ეუფლება. თუმცა ჩემს ცხოვრებას თავისი „ან-ან" რამდენადმე უკვე წარსულში ეგულება, მაინც კარგად მომეხსენება, რომ მრავალგზის შეიძლება შევეყარო ვითარებებს, რომლებშიც ამ სიტყვებს თავისი სრული მნიშვნელობა ექნებათ. ვიმედოვნებ, რომ ეს სიტყვები, ჩემს გზაზე შეხვედრისას, მუდამ ღირსეულად განწყობილს მნახავენ, რომ მე შევძლებ სწორი არჩევანის გაკეთებას. დიახ, ყოველთვის გავირჯები, რათა ჭეშმარიტი სერიოზულობით ავირჩიო რაიმე. მე, ყოველ შემთხვევაში, შემიძლია ვინუგეშო თავი, რომ მცდარი გზიდან სწრაფად გადავუხვევ.

შენ კი როგორ გაქვს საქმე? შენ საკმაოდ ხშირად ხმარობ ამ სიტყვებს, თითქმის ჩვევად გაქვს ქცეული მათი გამოყენება საუბრის დროს. რა მნიშვნელობას ანიჭებ მათ? არავითარს. შენთვის, შენსავე ენაზე რომ ვთქვა, ეს სიტყვები სხვა არაფერია თუ არა გაელვება, რაღაც წამიერი coup de mains, აბრაკადაბრა. კარგად მოგეხსენება, თუ როგორ უნდა გამოიყენო ისინი ნებისმიერ ვითარებაში და თანაც შედეგიანად, ისინი ხომ შენზე ისევე მოქმედებენ, როგორც მაგარი სასმელი ნერვებაშლილ ადამიანებზე. შენ გათრობს ის, რასაც თავად უდიდეს უგუნურებას უწოდებ. „ამ სიტყვებში ცხოვრების სიბრძნეა მოცემული, – ამბობ შენ, მაგრამ არცერთ ადამიანს არ გამოუთქვამს ის ისე შთამბეჭდავად – თითქოსდა ტანჯულ კაცობრიობას საფრთხობელას მსგავსი ღმერთი ელაპარაკებაო – როგორც ერთ დიდ მოაზროვნესა და ჭეშმარიტ ცხოვრების ფილოსოფოსს; მან ასე მიმართა ადამიანს, რომელმაც ქუდი დაუგდო მინაზე: „თუ აიღებ ამ ქუდს – გცემ, თუ არ აიღებ – გცემ, ახლა შეგიძლია აირჩიო". დიდად ხარობ იმით, რომ „ანუგეშებ" ადამიანებს, როცა ისინი კრიტიკულ ვითარებაში მოგმართავენ. უსმენ მათ და შემდეგ ამბობ: „დიახ, მე ახლა კარგად ვხედავ, რომ შესაძლებელია ორი ვითარება – შეიძლება მოიქცეთ ან ასე, ან ისე. მაგრამ ჩემი გულწრფელი აზრი ამგვარია: ასე მოიქცევით თუ ისე, – ორივე შემთხვევაში მონანიება მოგინევთ". მაგრამ ის, ვინც სხვას დასცინის, თავის თავსაც დასცინის. ეს დაცინვაა საკუთარი თავისა, სამწუხარო დასაბუთებაა იმისა, რომ შენი სული საყრდენს მოკლებულია, რომ შენი შეხედულება ცხოვრებაზე ამ ერთადერთ მსჯელობაშია კონცენტრირებული – „ან-ან" უმნიშვნელო რამაა". ეს სიტყვები მართლაც რომ შენი არსების გამომხატველი ყოფილიყო, შენთან საქმის დაწყება არ ელირებოდა. მე მექნებოდა მხოლოდ სიბრალულის გრძნობა იმის გამო, რომ მელანქოლიამ ან ქარაფშუტობამ ეგზომ დაასუსტა შენი სული. მაგრამ ეს რადგან არ არის ასე, მე კი არ შეგიბრალებ, არამედ ვისურვებ, რომ შენმა ცხოვრებამ ერთხელაც გაიძულოს დღის სინათლეზე გამოიტანო ის, რაც შენში დაფარულია, მოგინყოს ძნელი გამოცდა, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებს ლაყბობა და ხუმრობა. ცხოვრება მასკარადიაო, ამბობ შენ, და ეს აზრი ამოუწურავი მასალაა შენი სიამოვნებისა. შენი შეცნობა ვერავინ შეძლო, რადგან შენი გულღიაობა მუდამ მოჩვენებითია, მხოლოდ ასე შეგიძლია სუნთქვა, ასე იშორებ ადამიანებს, რომლებიც გზღუდავენ და სუნთქვას გიშლიან. შენი მოქმედების მიზანი შენივე დაფარულობის შენარჩუნებაა. ამ მიზანს აღწევ, რადგან შენი ნიღაბი საიდუმლოა. შენ, თავისთავად, ხარ არარა, და წარმოადგენ რაიმეს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში; რაც ხარ, ხარ ამ მიმართების წყალობით. მწყემს ქალს ალერსიანად ჩაჰკიდებ ხელს და უმალ ინიღბები მწყემსის სენტიმენტალობით, დიდად პატივსაცემ სულიერ მამას ატყუებ ძმური ამბორით და ა.შ. შენ, თავისთავად, ხარ არარა, ხარ საიდუმლოებით მოსილი ვინმე, რომელსაც შუბლზე აწერია: „ან-ან". იტყვი ხოლმე: „ესაა ჩემი დევიზი, ეს სიტყვები კი სულაც არ გამოხატავს ურთიერთგამომრიცხავ მიმართებებს, როგორც ამას გრამატიკის მკვლევარები ფიქრობენ. არა! ისინი უწყვეტ კავშირში არიან ერთმანეთთან და ამიტომ უნდა დავწეროთ როგორც ერთი სიტყვა. ეს სიტყვები, დაკავშირებულნი ერთმანეთთან, გადაიქცევიან შორისდებულად, რომელსაც შევძახებ კაცობრიობას, როგორც ებრაელს მიაძახებენ ხოლმე მეტსახელს". შენი ამგვარი გამოთქმები არ მოქმედებენ ჩემზე, და თუკი ზემოქმედებენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სამართლიან აღშფოთებას იწვევენ ჩემში. მიუხედავად ამისა, მსურს შენთვის სასარგებლო პასუხი გაგცე. ნუთუ არ იცი, რომ მოვა შუაღამე, როცა ყველამ თავისი ნიღაბი უნდა მოიხსნას? იქნებ ფიქრობ, რომ ცხოვრებასთან მუდამ შეხუმრებული იქნები? იქნებ შუაღამის დადგომისას გაუჩინარებას აპირებ? იქნებ ამ დროის მოსვლა არ გაშინებს? ცხოვრების გზაზე მინახავს ადამიანები, რომლებიც ისე ხშირად ცრუობენ, რომ საბოლოოდ მათი ჭეშმარიტი არსება გამოუმჟღავნებელი რჩება. მინახავს ადამიანები, რომლებიც ისე დიდხანს თამაშობდნენ დამალობანას, რომ ბოლოს, შეშლილებივით სხვებს დაჟინებით ახვევდნენ თავზე თავიანთ საიდუმლო აზრებს, აქამდე რომ ამაყად უმალავდნენ ყველას. იქნებ შეგიძლია გაიაზრო ყოველივე ამის საშინელი ბოლო, გაიაზრო, რომ შენი არსება, უბედური ეშმაკეულის მსგავსად დაიშალა უამრავ ნაწილად, რომ შენ გადაიქეცი ლეგიონად, რომ დაკარგული გაქვს ადამიანის უწმინდესი რამ – პიროვნულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემაკავშირებელი ძალა. ჭეშმარიტად, არ უნდა შეეხუმრო იმას, რაც არა მარტო სერიოზულია, არამედ საშიშიცაა. ყოველ ადამიანში არის რაღაც, რაც უშლის მას ხელს სრულყოფილად წვდეს საკუთარ თავს. ზოგჯერ ეს რაღაც შეიძლება ისე გაიზარდოს, ისე გადაეხლართოს ცხოვრებისეულ მიმართებებს, რომ ადამიანს თითქმის აღარ ძალუძდეს გულღიაობა, ხოლო ვისაც არ შეუძლია იყოს გულღია, იმას არ შეუძლია უყვარდეს ვინმე, ის კი, ვისაც სიყვარული არ შეუძლია, ყველაზე უბედურია. სულ ოხუნჯობ და მიმართავ ხელოვნებას, რომელიც ყველასათვის საიდუმლო ადამიანად გადაგაქცევს. ჩემო ჭაბუკო მეგობარო! აბა, ერთი ნუთით დაუშვი, რომ არავინ დაინტერესდა შენი გამოცანის ამოხსნით, მაშინ როგორღა უნდა გაიხარო? გონს მოეგე, უპირველეს ყოვლისა შენივე თავისთვის, შენი კეთილდღეობისთვის, — შენ ხომ დაწყევლილი კაცის დღეში ხარ, — შენყვიტე ეს ველური რბოლა, ამოიკვეთე აბობოქრებული სურვილი განადგურებისა — შენ ხომ გსურს მოსპო ყველაფერი, გსურს შენი გაჩენილი შიმშილი ეჭვისა რაიმეთი დაიკმაყოფილო. ამისათვის ამზადებ შენ თავს, ამძვინვარებ საკუთარ სულს. შენ სიამოვნებით იტყვი, რომ არაფერი ძალგიძს და მხოლოდ ერთი რამ მოგანიჭებს სიამოვნებას — შვიდგზის შემოუარო ყოველივე არსებულს, ბუკს ჩაბერო და სამყაროს აღსასრულს დაელოდო. ამით შენი სული შვებას იგრძნობს, სევდაც კი დაისადგურებს მასში, შენში გაისმის ექოს ხმა: ექო ხომ მხოლოდ სიცარიელეში ისმის.

მაგრამ ამ გზით მე და შენ შორს ვერ წავალთ — შენთვის მე სუსტი ვარ, რათა გავუძლო ამას, ჩემი აზრით კი, მე ძლიერი ვარ, რათა კმაყოფილება ვპოვო იმაში, რაც მუდამ მატყუებს. ამიტომ საქმეს სხვა მხრიდან მივუდგები. წარმოიდგინე ახალგაზრდა, რომლისათვისაც ცხოვრება თანდათან იძენს მნიშვნელობას. ის ჯანმრთელია, ნმინდაა, მხიარულია, მაღალი სულით დაჯილდოებული, იმედით სავსეა და იმედის მომცემი. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ, ალბათ, წარმოიდგინე, რომ ის მოტყუვდა — ჩაგთვალა სერიოზულ ადამიანად, რომელსაც შეუძლია ცხოვრების გამოცანების გამოცნობა. წარმოიდგინე, რომ ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი ნდობით აღსავსემ, შენ მოგმართა. რას უპასუხებ? ეტყვი „ან-ან" უმნიშვნელო რამეაო? საეჭვოა. იქნებ — როგორც ამას აკეთებ ხოლმე, როცა მოგაკითხავენ გულისნადების გასაზიარებლად — თავს გაყოფ ფანჯარაში და გასძახებ — ვისაც ეძებთ, სახლში არ გახლავთო. ან იქნებ დარიგებისათვის მოსულთ მოექცევი ისე, როგორც საეკლესიო გადასახადის ამკრეფთ ექცევი — ეტყვი, რომ ხარ მდგმური ამ ცხოვრებისა და არა აქაური ბინადარი და ოჯახის თავი? ამას, ალბათ, არ იზამ. ახალგაზრდა, სულიერად დაჯილდოებულ ადამიანს შენთვის მაღალი ღირსება აქვს. ამავე დროს, შენი შეხვედრა მასთან არ იქნებოდა მთლად ისეთი, როგორიც შენ გსურს. ეს არ იქნებოდა შემთხვევითი, ნამიერი შეხვედრა, და, ამდენად, შენს ირონიას მიზეზი გამოეცლებოდა. და თუმცა ის უმცროსი იქნებოდა, შენ კი — უფროსი, მაინც იმ წამს სერიოზულობას მიანიჭებდა სწორედ ის — თავისი კეთილშობილი სიჭაბუკით. შენ კი არ გაახალგაზრდავდებოდი, არ იგრძნობოდი, რომ ჭაბუკად ყოფნაში რაღაც სიმშვენიერეა, არ იგრძნობდი უფრო სერიოზულ რაიმესაც — იმას, რომ ადამიანისათვის არ არის სულერთი ის, თუ როგორ გამოიყენებს თავის სიჭაბუკეს, რომ მის წინაშე არჩევანია — „ან-ან"? შენ იგრძნობდი, რომ მთავარია არა გონის განათლება, არამედ საკუთარი პიროვნების სრულქმნა. შენი გულითადობა, შენი სიმპათია ამოძრავდებოდა, ამოქმედდებოდა. შენ შეეცდებოდი, მათი ზეგავლენით მტკიცე გაგეხადა ჭაბუკის სული, გაგეძლიერებინა მისი ნდობა სამყაროსადმი. შენ დაარწმუნებდი მას, რომ ადამიანს შესწევს ძალა დაუპირისპირდეს სამყაროს, ასნავლიდი დროის გამოყენებას. ყოველივე ამის გაკეთება შენ ძალგიძს და, თუ მოინდომებ, მშვენივრად გააკეთებ კიდეც.

შენიშვნები:

1. სახარება მოგვითხრობს ამბავს უწმინდური სულით შეპყრობილ კაცზე. იხ. სახარება ლუკასი, 8. 30: „ჰკითხა მას იესომ: რა გქვია სახელად? ხოლო მან მიუგო: ლეგიონი; ვინაიდან მრავალი ეშმაკი შესულიყო მასში! სახარება მარკოზისა, 5.9: „და ჰკითხა მას: რა გქვია სახელად? ხოლო მან მიუგო: ლეგიონია ჩემი სახელი, ვინაიდან მრავალნი ვართ",

2. ძველ აღთქმაში ვპოულობთ ამბავს იერიქონის დაცემის შესახებ. იხ. იესო ნავეს ძე, 6. „1. ჩაიკეტა იერიქონი და ჩაკეტილი იყო ისრაელიანთათვის, ვერვინ გამოდიოდა და ვერვინ შედიოდა იქ. 2. უთხრა უფალმა იესოს: დამაცადე, ხელში ჩაგაგდებინებ იერიქონს, მის მეფეს და მებრძოლებს. 3. ირგვლივ შემოუარეთ ქალაქს ყველამ, ვისაც ბრძოლა შეუძლია. ერთხელ დაარტყით წრე. ასე აკეთეთ ექვსი დღის მანძილზე. 4. შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქის შვიდი ბუკი კიდობანის წინ. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს და მღვდლებმა სცენ ბუკებს.

გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო

თამაზ გუაჩიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა თეთვაძე

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკატორები

ქართველების ტოლერანტობამ, გადაჭარბებულმა სტუმართმოყვარეობამ უცხო ეთნოსისადმი უარყოფითი როლი შეასრულა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, ეჭვის ქვეშ დააყენა საერთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ქართველი ერის არსებობის საკითხი. მონოფიზიტი სომხები და მაჰმადიანი ვაჭრები, უცხო ტომთა მეცნიერები და პოეტები საქართველოში თავს ისევე გრძნობდნენ, როგორც ამ ქვეყნის შვილები. უფრო მეტიც, გონიერი მმართველი თავის გერებს ზოგჯერ უფრო მეტადაც მფარველობდა, ვიდრე თავის საკუთარ შვილებს.

საქართველოს, მის ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი ეთნიკური ჯგუფების (აზერბაიჯანელების, სომხების, ოსების, აფსუების და სხვ.) მიწები არ დაუპყრია, სხვისთვის კი არ ნაურთმევია, არამედ, ისტორიული ბედუკუღმართობის სხვადასხვა დროს თვით ეს უცხო ეთნიკური გაერთიანებები დასახლდნენ ქართულ მიწაზე, რაც მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით იყო განპირობებული.

ცარიზმისა და განსაკუთრებით საბჭოთა იმპერიის დროს საქართველოში შემოხიზნულმა არაქართველთა უმადურმა ლობმა აშკარად დაიწყო ქართულ მიწებზე პრეტენზიების წამოყენება, ქართული კულტურის, ეკლესია-მონასტრების მითვისება-მიტაცება, ძირძველ ქართულ მიწებზე ე.წ. ეროვნული სახელმწიფოების შექმნა, ხელოვნური ავტონომიების შექმნის მოთხოვნა. თურმე, ამ სეპარატისტთა აზრით, მტკვრის მარჯვენა მხარე თბილისამდე და სამცხე-ჯავახეთი სომხეთის ყოფილა, მარცხენა მხარე გორამდე ოსების, ქვემო ქართლი რუსთავამდე აზერბაიჯანელების, დასავლეთ საქართველო – ქუთაისამდე კი აფსუების.

არაქართველებით დასახლებული ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილება და სხვა სახელმწიფოსთან მიერთება უდიდესი დანაშაული იქნებოდა ქართველი ხალხის წინაშე. ამიტომ არაქართველებმა ქართული ენისა და კულტურისადმი პატივისცემასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა იზრუნონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ამაში ხელი უნდა შეუწყოს თვით ქართველმა ხალხმა. ქართველებს ამ მხრივ, ალბათ, ნაკლებად მოეძებნება სასაყვედურო, დაუნახავობა და უმადურობა. საქართველოს 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის 38-ე მუხლში ნათქვამია: „1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას".

მაგრამ, სამწუხაროდ, არაქართველთა შოვინისტურად განწყობილი ცალკეული ორგანიზაციები, გაერთიანებები, „მეცნიერები", „ჟურნალისტები", ოფიციალური მოხელეები კვლავაც ცდილობენ გააყალბონ საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა, ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენონ ქართველ ხალხს, მიითვისონ ქართული კულტურის ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, ეჭვის ქვეშ დააყენონ უძველეს დროიდან ქართველების საქართველოს ტერიტორიაზე აბორიგენობის საკითხიც კი.

არაქართველთა ტერიტორიულ პრეტენზიებსა და იდეოლოგიურ დივერსიას საფუძველი დაუდო რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთებამ, შემდეგში კი სრულმა ანექსიამ და ოკუპაციამ, რუსეთის მიერ წინასწარგანზრახულმა დემოგრაფიულმა ექსპანსიამ, რაც პირველ რიგში ქართველთა ძირძველ მიწა-წყალზე უცხო ეთნიკური ჯგუფების მასობრივი ჩამოსახლებით დაიწყო.

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიულ იდეოლოგიურ დივერსიას საქართველოს მიმართ, სათავე დაუდო ჯერ კიდევ 1483 წელს ალექსანდრე კახთა მეფის მიერ ივანე III-დმი გაგზავნილმა წერილმა, სადაც ვკითხულობთ: „დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს თაყვანისცემა. უწყებული იყავი, რომ შორეულ ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით ახლომყოფი, მდაბალი (მცირე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმა შენი ალექსანდრე სალამს (თაყვანისცემას) მოგიძღვნი. ბრმათათვის სინათლეე, ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სიმტკიცეე), ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფეე, ყველა ხელმწიფეთათვის თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ღატაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო. კუთვნილი ქვეყნის მრისხანე ხელმწიფეე, ყველა მთავართა მართლმსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებავ... თქვენი ყრმობის უღირსი ალექსანდრე" („პარალელები", 1999, №1, გვ. 33).

გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა მიაღწია დიდ უპირატესობას. კავკასიაში მან ფეხი მძლავრად მოიკიდა. ამიერიდან ცარიზმი ცდილობდა ამ პლაცდარმის განმტკიცებასა და გაფართოებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ხელყოფით ემუქრებოდა. მტრებით გარემოცული საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცარიზმის სამეფო კარის მოხელეებს ძლიერი საქართველო კი არ უნდოდათ, არამედ სუსტი და დაბეჩავებული, რათა საბოლოოდ მიეერთებინათ რუსეთისათვის. რუსეთის ამ პოლიტიკამ, ფაქტობრივად, განაპირობა აღა-მაჰმად ხანის შემოსევა საქართველოში. ოფიციალური ცნობებით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა 1783 წლიდან 1801 წლამდე განახევრდა («Акты, собранные Кавказской археографической комиссией», т.I, с. 426; „რუსეთის დამყარება საქართველოში", ტფ., 1905.)

ამიერკავკასიაში უმთავრესი პოლიტიკური ძალა საქართველო იყო, ხოლო რუსეთის პოლიტიკა ყველა დაპყრობილი ხალხის გარუსებას ითვალისწინებდა, ამიტომ იგი ამ უმთავრესი ძალის დასუსტებასა და მოსპობას შეუდგა, ამ ვერაგული მიზნის მისაღწევად რუსეთმა ამიერკავკასიის ყველა ეთნიკური ერთეული დაუპირისპირა. რუსეთის ამ დიდმპყრობელური პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცნენ სომხები, რომლებიც, თავის მხრივ, იმას შეეცადნენ, რომ რუსული იარაღი დიდი სომხეთის აღსადგენად გამოეყენებინათ საქართველოს მინა-წყლის მიტაცების ხარჯზე.

სომხები აღა-მაჰმად ხანის შემოსევის მოლოდინში და თვით შემოსევის დროს „აწარმოებდნენ ორჭოფა პოლიტიკას, ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდნენ სანთელს და ეშმაკსაც, ე.ი. რუსებსაც უშლიდნენ გულს ფიანდასად და ეპატიჟებოდნენ საქართველოში საბატონოდ, აღა-მაჰმად ხანსაც უგზავნიდნენ ფულსა და ფაშქაშებს, მოუძღოდნენ ნინ ქართლ-კახეთის დასაპყრობად" (ს. ქვარიანი, „ქართველი ერის ისტორია", ტფ., 1919, გვ. 112).

ქართული წყაროების მიხედვით, აღა-მაჰმად ხანის თბილისში შემოსვლას სომეხმა მელიქებმა შეუწყეს ხელი და ყველაზე თვალში საცემია ჯავად ხანის სახელი. სომხური წერილობითი ძეგლები დაუფარავად ამხელენ ამ საქმეში კარაბერდის მელიქ მეჭნურის მონაწილეობას.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „სომეხთა კათალიკოზმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად 1795 წელს მომავალს სპარსეთის შაჰს აღა-მაჰმად ხანს, ალბათ, შიშით, „სამხედრო ხარჯების დასაფარავად" 100 000 მანეთი მისცა" (ივანე ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები. ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ. თბ., 1996 წ. გვ. 27). ხოლო არტემ არარატელმა და სხვა სომხებმა გააპარეს თბილისში პატიმრად მყოფი სპარსეთის ელჩი და ნასასვლელად გამზადებული აღა-მაჰმად ხანი უკან შემოაბრუნეს.

●

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ გეორგევსკის ხელშეკრულება დაწერილია, როგორც ირკვევა არა ერეკლე II-ის თხოვნით, არამედ პავლე პოტიომკინის კარნახით (იხ. პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის 28-29 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაკითხული მოხსენება – „საქართველო, 1919, 4, 7 მაისი"). „რუსეთი საქართველოს უყურებდა როგორც იარაღს, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით კარგად გამოიყენებდა თავის სასაგებლოდ. ეს აზრი ციინიკური გულახდილობით თვით რუსეთის მთავრობას აქვს გამოთქმული გრაფი ნ. პანინის პირით, რომელიც ერთ-ერთ საიდუმლო წერილში იგი გენერალ ტოტლებენს ატყობინებდა: „უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებენ, ხოლო მთავრობაც დარწმუნებული იყოს, რომ ყველაფერი მისი სურვილის შესაბამისად ხდება. ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად, რომ სული რუსული იყოს, სხეული კი ქართული" (ივანე ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის მე-18 საუკუნეში", ტფ., 1919, გვ. 15).

ერეკლე II-ს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ერთმორწმუნე რუსეთის ქართლ-კახეთისადმი მფარველობის საიმედოობაში ეჭვი ეპარებოდა. მე-19 საუკუნის 50-იანი წლების პოპულარული პოეტი, მთარგმნელი და პროზაიკოსი გრიგოლ რჩეულიშვილი ერეკლეს ათეძევინებს: „მე დავიწყე შეკავშირება საქართველოსი რუსეთთან... ნეტავი ორმოცი წლის შემდეგ ჩემის სიკვდილისა, კვალად მაჩვენა ანუ გამაგონა შენი მდგომარეობა რუსეთის ხელში, ჩემი მანყევარი იქნება თუ მლოცველი ამ ფიქრისათვის... გულთამხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის ბედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემი დიდებისათვის... არ არის იმგვარი მსხვერპლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის შენირვაც არ გამოვიმეტო შენს დასამშვიდებლად, შენს გასაბედნიერებლად, უძლურო საქართველო!" (გრიგოლ რჩეულიშვილი. „ქვრივის ლიმონები" – „ქართული პროზა". თბ., 1984, წიგნი მე-7, გვ. 66-67).

117 წლის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ოცნება – აღადგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, მაგრამ იგი ხანმოკლე აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს საქართველოს ტერიტორიების გასაჩუქრება, ხელოვნური ავტონომიების შექმნა, ეთნიკური უმცირესობებისათვის პრივილეგიების მინიჭება, ქართული ენისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების თანასწორუფლებიანობასაც გამორიცხავდა. საქართველოში მცხოვრებ ცალკეულ მცირე ერებს გაუჩნდათ მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრების სინდრომი. მათ დაუფარავად დაიწყეს ქართულ მიწებზე პრეტენზიები, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკაცია, ქართული ეკლესიებისა და მონასტრების მითვისება-მიტაცება.

ქართველი ისტორიკოსის ალ. მანველიშვილის მონაცემებით, ბოლშევიკებმა ოსმალეთს გადასცეს ართვინის, არტაანის, ოლთისის ოლქებისა და ფოცხოვის თემის 12 115 კვ. კილომეტრი, 164 ათასი მოსახლეობით. ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი – 3 812 კვ. კილომეტრი და ზაქათალის ოლქი – 3 564 კვ. კილომეტრი.

სულ ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს დაუთმეს საქართველოს ტერიტორიის 19 491 კვ. კილომეტრის სივრცე (ალ. მანველიშვილი, „საქართველოს საზღვრები", პარიზი, 1938, გვ. 18). შემდგომ წლებშიც ქართული მიწები თურქეთის გარდა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსაც გადაეცათ.

დასანანია, რომ დღესაც, უმეცრების შედეგად, ზოგიერთ სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა და „მეცნიერთა" მხრიდან, კვლავაც გრძელდება ქართველებისადმი სიძულვილი, უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკაცია და სხვა. თანამედროვე შახატუნიანების, ტერაბრამიანების, ნახაპეტიანების, ერიცოვების, არნრიუნების, ვერმიშევების, ბაბახანიანების და სხვათა შრომებში, სტატიებსა და წერილებში აშკარად ჩანს ანტიქართული მიმართულება, ქართველების შეურაცხყოფა და მათდამი ცინიზმი. ამ გამოცემებს აფინანსებს სომხური გრიგორიანული ეკლესიის ცენტრი ეჩმიაძინი, კანადის სომხური ეკლესია, სომხური დიასპორა, სომეხი მეცენატები და ბიზნესმენები.

1992 წელს, ერევანში, „სომხური ენციკლოპედიურის შემსწავლელმა საზოგადოებამ" მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ბუკლეტი „ახალქალაქი", რომელიც შეიძლება შეევაფასოთ, როგორც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური შანტაჟი, სომხური ლობის მონამვლა შოვინისტური სინდრომით და მსოფლიო საზოგადოების გაუცნობიერებელი ნანილის დეზინფორმაცია, შეცდომაში შეყვანა. ბუკლეტი ნაწილია იმ სერიისა, რომელმაც უნდა გააშუქოს სომხური დასახლების ისტორია სომხეთის მოსაზღვრე რაიონებში და უმთავრესად საქართველოში. ბუკლეტისათვის დართულ ნუსხაში შეტანილია თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო. აღნიშნული სერიის დაბალ კვალიფიკაციურ ავტორთა მიზანია არა სომხური კოლონიზაციის ისტორიის ობიექტური გაშუქება, არამედ ე.წ. „დიდი სომხეთის" მანიაკური იდეის პროპაგანდა.

ივ. ჯავახიშვილი და სხვა ქართველი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანის „გამოგონების" შესახებ სომხური ვერსია (კორიუნი, მოვსეს ხორენაცი) სინამდვილეს არ შეეფერება, იგი ლეგენდას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ეს ლეგენდა არაერთი ცნობილი სომეხი მკვლევარის მიერ სრულ ჭეშმარიტებადაა გამოცხადებული. ასე მაგალითად, „სომეხი ხალხის ისტორიის" რვატომეულის II ტომში (პასუხისმგებელი რედაქტორები ს. ერემიანი და ბ. არაქელიანი), რომელიც 1984 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: „მესროპ-მაშთოცმა იცოდა ბერძნული, სპარსული და სირიული ენები, ხოლო ქართულის შესახებ... იმდენი წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რომ შეეძლო შეედგინა ქართული ანბანი"(ალ. აბდალაძე, „ლეგენდა და სინამდვილე". „ლიტერატურული საქართველო", 1988, 19 თებერვალი). ამ მონოგრაფიული გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორია ცნობილი სომეხი ისტორიკოსი სურენ ერემიანი, რომელიც წარმოშობით თბილისელი იყო. მან კარგად იცოდა ქართული ენა, იცნობდა სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას და, რა თქმა უნდა, მოეხსენებოდა, რომ ქართველი მკვლევარები არ აღიარებენ მესროპ-მაშთოცს ქართული დამწერლობის შემქმნელად. დასანანია, რომ ს. ერემიანმა არავითარი ანგარიში არ გაუწია ქართველ მეცნიერთა მოსაზრებებს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, კორიუნის თხზულებაში მესროპ-მაშთოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობების „გამოგონების" შესახებ ცნობები სწორედ გვიანდელ ჩანაწერს წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ მე-5 საუკუნის სომეხი მემატიანე, ლაზარ პარპეცი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს მესროპ-მაშთოცის შესახებ, აღნიშნავს მის მიერ სომხური ანბანის შექმნას, მაგრამ ქართულ და ალბანურ დამწერლობებს საერთოდ არ იხსენიებს. მაშთოცზე საუბრისას ლაზარი თავის ერთადერთ წყაროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორიუნს ასახელებს და რომ იმ დროისათვის კორიუნის თხზულებაში ყოფილიყო ცნობა მაშთოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობის „გამოგონების" თაობაზე, ლაზარი ამას აუცილებლად ჩაურთავდა.

ქართული დამწერლობის შექმნის სომხური ვერსიის თაობაზე თ. გამყრელიძე მიუთითებს: „სათანადო სომხურივე ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ მესროპ-მაშთოცმა თვით არ იცოდა ქართული, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას.

ახალი დამწერლობის შექმნა... გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას... ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია" (თ. გამყრელიძე. „მწიგნობრობა ქართული". „ლიტერატურული საქართველო", 1987, 20 ნოემბერი).

ძველ სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ქართული ანბანის წარმოშობის ისტორიის აღნიშნული ვერსიისათვის სერიოზული მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლება უბრალოდ იმიტომაც, რომ არსებობს მესროპამდელი ქართული მწერლობის ნიმუშები. ასეთია თუნდაც ახ. წ. მე-4 საუკუნის შუა ხანებში ბაკურ მეფის დიდედის, დედოფალ, ქართველთა განმანათლებელ ნინოსადმი მიძღვნილი თანამედროვეთა მოგონებების კრებული, ე.წ. ვრცელი „ნინოს ცხოვრება" (მ. ჩხარტიშვილი, „ქართული ანბანის ისტორიიდან". „მნათობი", 1989, № 6, გვ. 169).

ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის კ. თუმანოვის ნაშრომში „ქრისტიანული კავკასიის ისტორიის საკითხები" „დამტკიცებულია" ქართველ ბაგრატიონთა სომხური წარმოშობა. კ. თუმანოვის ყველა ცდა, დაგვარწმუნოს, რომ ბაგრატიონები ჯერ კიდევ არტაშესიდების ხანაში, თუ ახ.წ. მე-2-5 საუკუნეებში სომხეთიდან ქართლის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში გადმოსახლდნენ და აქედან მიიღეს „ფარნავაზიანობა", მოკლებულია ყველა საფუძველს, რადგან არ არსებობს არც ერთი წყარო, რომელიც მხარს უჭერდეს მის მოსაზრებას (იხ. დანვრ. გ. მამულია. „ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა". „მნათობი", 1971 წ., № 2, გვ. 179-189).

„დიდი სომხეთის" რუკიდან გამომდინარე, შორს გამიზნულ ამოცანას ისახავს გ. ვერმიშევის ქართველ-სომეხთა ურთიერთობის რომანიც „ამირსპასალარი", რომელიც დიდი ტირაჟით (65 ათასი) 1968 წელს გამოიცა.

როგორც ცნობილია, „შუშანიკის წამების" ქართული და სომხური რედაქციების ურთიერთმიმართების პრობლემას ფუნდამენტური გამოკვლევები უძღვნეს ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, ილია აბულაძემ, ლაშა ჯანაშიამ, ბეჟან კილანავამ და სხვა ქართველმა მეცნიერებმა. მათ თვალნათლივ ცხადყვეს, რომ „შუშანიკის წამება" დღემდე მოღწეული პირველი ორიგინალური ქართული ძეგლია.

მიუხედავად ამისა, სომეხი მეცნიერები საცილობლად ხდიან ვრცელი ქართული რედაქციის ორიგინალობის საკითხს და დასავლეთ ევროპაში დაჟინებით ავრცელებენ „შუშანიკის წამების" სომხური წარმომავლობის მცდარ კონცეფციას. ამის ერთ-ერთი მაგალითია რომის მხითარისტთა კოლეჯის ვიცე-რედაქტორის პაულო ანანიანის სტატია „სუზანა", რომელიც მოთავსებულია რომში, გამომცემლობა „ჩიტტა ნუოვას" მიერ დასტამბულ, მსოფლიო წმინდანთა მონუმენტური ენციკლოპედიის, 1969 წელს გამოქვეყნებულ მეთორმეტე ტომში. მასში ტენდენციურად არის გაშუქებული „შუშანიკის წამების" ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემები. ვარსქენი გამოცხადებულია სომხეთის საქართველოს გამგებლად, მიჩქმალულია თხზულების ქართული რედაქციების არსებობა და ის ფაქტი, რომ შუშანიკი ქართული ეკლესიის წმინდანია, ქართული კალენდრის მიხედვით არ არის მითითებული მისი ხსენების დღე. წმინდანის სახელი კი სომხური ფორმითაა წარმოდგენილი (იხ. ფართოდ გ. შურღაია, „ზნეობრივი ამაღლება. ქართველი მეცნიერის ერთი ნაშრომის უცხოეთში პუბლიკაციის გამო". „ლიტერატურული საქართველო", 1997 წ., 3-10 ოქტომბერი).

ქართველი ხალხის წარსული, მისი კულტურა დამცირებულია და განდიდებულადაა წარმოდგენილი სომეხი ხალხი მ. მურადიანის, რ. იშხანიანის, ლეოს (არაქელ ბაბახანიანი), რაფის (აკოფ მელიქ-აკოფიანი), ს. მამულოვის, რ. სიუნის, ა. ვართანიანის, ს. კარაპეტიანის, ჟ. ხაჩატრიანის, ფსევდონიმს ამოფარებულ, თბილისელ ჟურნალისტ ლ. ოგანეზოვის და სხვ. შრომებში და პუბლიკაციებში.

1998 წლის 10 ნოემბერს, ქ. ერევანში სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაიცვა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ანტიქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „აიდგილარას" ყოფილმა ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ, თემაზე: „პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთში, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით (ძვ.წ. მე-6, ახ.წ. მე-12 სს.)".

საქართველოს ისტორიის საკითხებზე დისერტაცია უნდა დაცულიყო ქ. თბილისში, სადაც ამ დარგის მაღალი რანგის სპეციალისტები მოღვაწეობენ. ს. შამბამ ეს ასე არ გააკეთა. ქართველი სწავლულებისაგან თავის არიდების მიზნით, მან დისერტაცია ერევანში დაიცვა. ამან, ცხადია, ქართველ მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათა გაკვირვება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რომ არაფერი ვთქვათ ნაშრომის ტენდენციურობაზე. მაგრამ ერევანში ამას ანგარიში არ გაუწიეს და ს. შამბას საძიებელი ხარისხი მიანიჭეს (იხ. ფართოდ: თეიმურაზ მიბჩუანი. „მეცნიერული ცულლუტობა გრძელდება". „აფხაზეთის მოამბე", 1999, № 2-3, გვ. 44-45).

აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ქართველური ტომები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. ძველ ბერძნულ და ქართულ წყაროებში ამის შესახებ უამრავი მასალაა დაცული. 1621 წლამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი აფსუურ-ადიღეური გვარის მატარებელი არ დასტურდება. და მხოლოდ იმ პერიოდიდან გამოჩნდა სამი აფხაზური გვარი: ზვამბა, ლაკირბა და შამბა.

I საუკუნის მეცნიერმა, რომის იმპერიის აღმოსავლეთის მმართველმა პლინიუსმა დაგვიტოვა ნაშრომი, „ისტორია", რომელშიც შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული პოლიტიკური ერთეულები დაწვრილებით და სრულყოფილად აღწერა, რისთვისაც ისარგებლა რომში ისტორიაში გავრცელებული გზამკვლევებით, რომლებითაც სარგებლობდნენ სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის დროს, პლინიუსი ქართველებს მოიხსენიებს „გეორგებად", „კოლხებად", „მოსხებად". პლინიუსი აფსუებს სკვით ხალხად ასახელებს და მათ ადგილსამყოფელად მდინარე ვოლგის შესართავს (ამჟამად ასტრახანი) მიიჩნევს. პლინიუსის ეს საყურადღებო ცნობები საბჭოთა მეცნიერებმა მიჩქმალეს. პლინიუსის ეს ცნობები ფრანგმა მოგზაურმა დიუბუამ 1838-1843 წლებში რამდენჯერმე დაბეჭდა.

აფსუები აფხაზეთში როცა ჩამოსახლდნენ, მექანიკურად მათ სატომო სახელად იქცა იმ ტერიტორიის გეოგრაფიული სახელი, რომელზედაც ისინი დამკვიდრდნენ და სადაც მათ მასპინძელ მკვიდრ მოსახლეობას, აგრეთვე ეწოდებოდათ აფხაზები. ეს აფხაზები მე-17 საუკუნემდე იყვნენ ისეთივე ქართველები, როგორც არიან სვანები, მეგრელები, გურულები, კახელები, იმერლები და ა.შ. რაც მომდინარეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახელწოდებებიდან. აფხაზთა 450 გვარიდან 300-ზე მეტი ქართულია და 100-ზე ნაკლები ჩრდილო კავკასიურია. ამჟამად ე.ნ. აფხაზთა დაახლოებით 80 პროცენტი ქართულ გვარებს ატარებს: ალარია, ჭავჭავაძე, წერეთელი, ახვლედიანი, სანიკიძე, ლორთქიფანიძე, ჩანკვეტაძე, ჭელიძე, აბაშიძე, თაყაიშვილი, კუხალეიშვილი, კედია, ქვაჩახია, ნოდია, ნოზაძე, სიჭინავა, ტაბაღუა, შერვაშიძე, შამათავა, მირცხულავა, ცეცხლაძე, ჩხეიძე, ხიდაშელი, ხარბედია და ა.შ. ეს არის ის ეთნიკური ბირთვი, ვისაც ეწოდებოდა აფხაზები, ხოლო ჩრდილო კავკასიური წარმომავლობის 10-13 პროცენტი თავიანთ თავს აფსუას უწოდებენ (იხ. ფართოდ: თეიმურაზ მიბჩუანი. „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე". თბ., 1994, გვ. 15-16).

მე-12 საუკუნის სპარსელი ვარდან შარვანელი წერდა:

„ტრფობით შენი თეთრი სახის
და კავების, მას რომ ამკობს,
აფხაზეთში დაგესახლე
და ქართულად ვლაპარაკობ
იმდენჯერ და ასეთი ხმით
გიხმობ: „მოი, მოი, აქო",
ენა თმისებრ დამიწვრილდა
და თმა ენად მექცა კარგო".

აფსუა ხალხური მასალა (ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ტოპონიმიკა) ადასტურებს, რომ ისინი ჩამოსულები არიან:

„აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ,
და მთებს უდგეხარ ერთგულ დარაჯად
და არც შენი ნავალი, არც
კვალი არ ჩანს".

(ჯანო ჯანელიძე, „სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას" — „კოლხეთის დიადემა", 1992, ოქტომბერი, № 1).

მე-12 საუკუნის სომეხი მემატიანე ვარდან მოძღვარი წერს: „აფხაზეთის მეფენი გორგასლის ნაშიერნი არიან".

რუსი მეცნიერის ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველი ტომები" (А.И. Дячков-Тарасов. «Бзыбская Абхазия». ИКОРГО, XVIII, Тифлис, 1905, გვ 65).

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი და როგორც ქართლი და ქართლელი" (ნ. ბერძენიშვილი. „საქართველოს ისტორიის საკითხები". თბ., 1990 წ., გვ. 608).

საქართველოს ისტორია და კულტურა გაყალბებულია დ. გულიას, ს. აშხაცავას, ზ. აგრბას, ა. სამბას, შ. ინალ-იფას, ს. შამბას, ტურჩანინოვის შრომებში, აფხაზ ექსტრემისტთა 1989 წლის 18 მარტის ცნობილ „აფხაზურ წერილში" და ლიხნის „მიმართვაში", აგრეთვე ტ. შამბას, კ. ოზგანის, ვ. არძინბას და სხვათა გამოსვლებსა და პუბლიკაციებში.

1988 წელს სოხუმში დაისტამბა ს. ლაკობას წიგნი „ფრთიანი დღეები სოხუმ-კალაში", სადაც „ამტკიცებს" იმას, რომ კაცობრიობა ნარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს. ამ აკვიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს" აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, აშშ-ისა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავრცელებულ ციმშიან-ჩინუკისა და სხვა ენებთან. განდიდების საოცარი სენით შეპყრობილი აფხაზი „მეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისათვის" აფხაზეთი „ამაყი სილამაზის მხარეა", ხოლო აფხაზები „კავკასიის ფრანგებია", უაღრესად ნიჭიერი ხალხია, რომელიც ერკვევა რთულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში და რომელიც აკვირვებს უცხოელებს თავაზიანობით" (ა. თოთაძე, „აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა", თბ., 1995 წ., გვ. 4-8).

აფხაზმა მეცნიერებმა უკვე „დაამტკიცეს", რომ მთელი კოლხეთი უწინ აფხაზეთი ყოფილა, ხოლო ქუთაისი აფხაზეთის დედაქალაქი. აი, როგორი პრიმიტიული არგუმენტებით მსჯელობს პროფ. შალვა ინალ-იფა: „1952 წლის ივნისში სოფელ ეშერაში ჩავწერე 70 წლის ჯაირგედლადის ძე ხიბას ნაამბობი. შავი ზღვის მთელ კავკასიურ სანაპიროს ეწოდებოდა კოლხა. კოლხას მოსახლეობა კი ლაპარაკობდა აფხაზურ ენაზე. მისი საზღვრები გადაჭიმული იყო შორს-შორს, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და მას მართავდნენ აფხაზი მეფეები, რომლებსაც ჰყავდათ ძლიერი არმია და 350 ციხე-სიმაგრე" (შ. ინალ-იფა, „აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები" (რუსული გამოცემა), გვ. 202).

ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით არის გაჟღენთილი აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ბორის გურგულიას, მოსკოვში მოღვაწე „პროფესორი", სკკპ ცკ-ის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პარტკომის მდივნის (ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო კომერციის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი) ტ. შამბას, „ისტორიკოს" მ. გუმბას, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულუას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების „უფროსი მეცნიერი თანამშრომლის" ი. მარიხუბას (სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც გვარი –მარახოლია მარიხუბათი შეიცვალა) ყალბი პუბლიკაციები.

ი. მარიხუბამ (მარახოლიამ) „აღმოაჩინა", რომ „კავკასია არ არის ქართველი ხალხის თავდაპირველი სამშობლო და ქართველები უძველესი დროიდან არ ცხოვრობდნენ საქართველში. აქედან გამომდინარე, აქ არ შეიძლება ვეძიოთ მათი კულტურის ფესვები და წყაროები", ეს ვაი-„მეცნიერი" ამტკიცებს, რომ თურმე „ქართველები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ მხოლოდ XII საუკუნეში და მათი ისტორია აფხაზეთის ისტორიის შემადგენელი ნაწილია". იგი განაგრძობს: „ქართველები ერთ-ერთი ახალგაზრდა ხალხთაგანია კავკასიაში, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია... ამჟამად ძველ-ქართულ ალფაბეტად ცნობილი „ასომთავრული" სინამდვილეში წარმოადგენს აფხაზეთის სამეფოს ძველაფხაზურ ალფაბეტს და აფხაზების მიერ იხმარებოდა მათი სამეფოს დაშლამდე (XVI და XVII საუკუნეებში). ტერმინები „ქართველი" და „ქართული ენა" XI-XIII საუკუნეებში არ იყო ხმარებაში და ქართველები მსოფლიოსთვის ცნობილი გახდნენ არა როგორც ქართველები. ქართველი მეფეები: ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარი, ბაგრატ IV და სხვანი თავიანთ ქვეყანას უწოდებდნენ აფხაზეთს, რაც მეტყველებს ქართული სახელმწიფოებრივი ტრადიციების არსებობაზე" (ბერიშვილი ირმა. „ქართველები არ ცხოვრობდნენ საქართველოში... ანუ ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ". „კვირის პალიტრა", 2000 წ., 11-17 დეკემბერი).

1993 წელს მოსკოვში გამოვიდა აფსუების შეკვეთით დაწერილი „აფხაზეთის თეთრი წიგნი", რომელიც იდეოლოგიური დივერსია და უხეში თავდასხმაა ქართველ ერზე. აფხაზებმა გამოსცეს სასკოლო სახელმძღვანელო „აფხაზეთის ისტორია", რომელშიც ნათქვამია, რომ „გურჯი" არაბულ-თურქულ ენებზე ნიშნავსო „მგელს", ხოლო „გურჯისტან" – „მგლების ქვეყანას". ამ ყალბი სახელმძღვანელოს ავტორები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ არაბებისა და თურქების ისტორიის არენაზე გამოჩენამდე, დიდი ხნით ადრე, ბერძნები ქართველებს „გეორგიანს" უწოდებდნენ, რაც მათ ენაზე ნიშნავს „მიწის მუშას" (თეიმურაზ მიბჩუანი. „აფხაზური სეპარატიზმის სათავეებთან". „აფხაზეთის მოამბე", 1999 წ., № 2-3, გვ. 42).

ამრიგად, აფხაზი „მეცნიერები", „აფხაზური წერილისა" და ლიხნის „მიმართვის" ავტორები საკვლევ საკითხებში უაღრესად პრიმიტიულ ცოდნას ამჟღავნებენ, ტენდენციურად და ულოგიკოდ განიხილავენ აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, ამასთან, ფაქტობრივად, ხელყოფენ ქართულ კულტურას და ყოველმხრივ ცდილობენ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის მითვისებას.

●

ოსებს ქართველებმა გაჭირვებისას ხელი გაუწოდეს, საკუთარ მინა-წყალზე დაასახლეს. მაგრამ მათ შეთავაზებული მეგობრობისა და სიკეთის ნილ ძირძველი ქართული ტერიტორიების მითვისება დაიწყეს რუსეთის იმპერიის წაქეზებით და, შესაბამისად, შექმნეს ყალბი ისტორია, გააუკუღმართეს ქართულ-ოსური ურთიერთობანი.

საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ გაყალბებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი საქმიანობა, განსაკუთრებით მისი ეროვნული პოლიტიკა. „ამტკიცებდნენ", რომ თითქოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს იჩაგრებოდნენ ეროვნული უმცირესობები. ამის მაგალითად ასახელებდნენ შიდა ქართლში ოს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობას. რა მოხდა სინამდვილეში?

1918 წლის დეკემბერში „სამხრეთ ოსეთის" ბოლშევიკური ეროვნული საბჭო არ სცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ოსების ეროვნული საბჭო 1919 წლის

მაისში მთებში გაიხიზნა, მისი ნარმომადგენლები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, კრებებს მართავდნენ და ბარის გლეხებს მოუწოდებდნენ, დახმარებოდნენ ჯაველ აჯანყებულებს. „სამხრეთ ოსეთის" რევკომის 1920 წლის 8 ივნისის ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ „მენშევიკურ საქართველოში სამხრეთ ოსეთი არასდროს არ შედიოდა და არ შედის. ვთვლით, საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად", ხოლო „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში" მისმა ავტორებმა განაცხადეს, „სამხრეთ ოსეთი" საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი იყო მემორანდუმის განცხადება: „ის, რასაც საქართველო ჰქვია, ჩვენი რწმენით, უნდა შევიდეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები"(ციტირებულია — ლ. თოიძე. „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი". თბ., 1991 წ., გვ. 45).

ბუნებრივი იყო, რომ ასეთი ავანტურისტული ლოზუნგებით აჯანყებულთა და სისხლისმღვრელთა პირველდამწყებთა წინააღმდეგ რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა. სამწუხაროა, რომ ამ აჯანყებას ორივე მხრიდან უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა.

სიყაბლისა და ცრუ ისტორიის უმაღლესი ნიმუშია 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდილი, ვინმე კ. ჩელეხსატის მიერ შედგენილი სქელტანიანი წიგნი „ოსეთი და ოსები", რომლის რედაქტორია ლ. ჩიბიროვი.

წიგნი აგრძელებს და აღრმავებს იმ ტენდენციას, რასაც საბჭოთა ხელისუფლების დროს რამდენიმე ოსმა ავტორმა ჩაუყარა საფუძველი. ესაა საქართველოს ისტორიის შეგნებული ფალსიფიკაცია, არარაობისაგან ისტორიის შექმნა, რაც იწვევდა და იწვევს უბრალო ოსი ხალხის მოტყუებასა და გაბრიყვებას, ხალხში ყალბი ისტორიის დანერგვას და საბოლოოდ ეროვნული ფსიქიკის მოშლას, ფაშისტური ტენდენციების წარმოქმნას.

მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს იდეა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის და საქართველოს შემადგენლობაში საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ერთი ქვეყანაა, ოსეთია, ანუ ირისტონია. წიგნის ყდის შიდა ნაწილზე დაბეჭდილია სწორედ ამის დამადასტურებელი ანტიმეცნიერული და ანტიქართული რუკა, რომელიც თავის დროზე, ოსი მკვლევარის კალოევის წიგნში „ოსები" დაიბეჭდა, რის შემდეგაც არაერთ გამოცემაში ოსი ავტორები იმეორებენ მას.

ქართლის ერთ-ერთი ძველი, პატარა ქალაქი ცხინვალი ოსურ ქალაქადაა გამოცხადებული. მაგრამ ცნობილია, რომ ეს ქალაქი [illegible] ქად მხოლოდ საბჭოთა ხელ[illegible] იქცა, ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ ქართული მოსახლეობის შევინროებისა და ოსთა მთიანი სოფლებიდან გადმოსახლების მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად.

წიგნის შემდგენელი ჩელეხსატი ამაყობს თავისი სამშობლოთი იმის გამოც, რომ ოსებს კაცობრიობისათვის თურმე მიუციათ: დიდი ანტიკური ფილოსოფოსი, ბრძენი ანახარისი და მე-6 საუკუნის უდიდესი ისტორიკოსი იორდანე; შუა საუკუნეების დაუცხრომელი მხედართმთავარი, „ვეფხისტყაოსნის" დამწერი დავით სოსლანი და დიდი კოსტა ხეთაგუროვი.

ქართველების ბრძოლას ექსტრემისტი ოსების წინააღმდეგ, რომლებიც საუკუნეების სიღრმეში ჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთობას არღვევდნენ და ქართულ მიწა-წყალს იტაცებდნენ, ჩელეხსატი ქართველთა საგარეო აგრესიას უწოდებს ოსებისა და ოსეთის წინააღმდეგ. ოსები თურმე თავიანთ სამშობლოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებს იცავდნენ აგრესორი ქართველებისა და ინგუშებისაგან.

თურმე დასავლეთ ევროპაში 70-ზე მეტი ალანური ეთნოტოპონიმია. გარდა ამისა, გვმოძღვრავენ, რომ „ლონდონი" ოსურად ნავმისადგომს ნიშნავს. ესპანეთის პროვინცია „კატალონია" თურმე აიხსნება როგორც „გოტალანია". პრუტზე მდებარე ქ. იასის სახელწოდება აუცილებლად დაკავშირებულია იას-ალანებთან და სხვა.

წიგნის შემდგენელი ავტორის მიმართ ქართველები თურმე აშკარა სიძულვილს ამჟღავნებენ და შეურაცხყოფენ მას. ქართველები თურმე ინერტულები ვყოფილვართ, იბერია კი ბნელი ქვეყანაა. ჩვენი წინაპრები თურმე ცრუ საისტორიო თხზულებებს ქმნიდნენ და არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებდნენ მეზობელი ხალხების და, მათ შორის, ირანული კულტურის მიმართ (როლანდ თოფჩიშვილი. „პროვინციულ ფაშისტთა ცრუ ისტორია". თბ., 1999 წ.).

ქართველი ხალხის ლანძღვა-გინებაში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკაციაში არ ჩამორჩებიან რუსი პოლიტიკოსები და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

„ნეზავისიმაია გაზეტა"-ს, რომელსაც ქართველების მიმართ ვითომც მეგობრობის სურვილი ამოძრავებს, დროდადრო გვმოძღვრავს, ჭკუას გვასწავლის, თან მონდომებული უბერავს აბრიალებულ ხანძარს. ამ საძრახის საქმეში თავიანთ „ავტორიტეტულ" სიტყვას ამბობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების კავკასიის ინსტიტუტის ე.წ. სპეციალისტები — ბატულინი, მიგრანიანი; რუსი პოლიტიკოსები — ბაბულინი, ტიხონოვი, ჟირინოვსკი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნეზავისიმაია გაზეტა"-ს დაქირავებულ „სპეციალისტებს" რუსეთისათვის გამოაქვთ პროვოკაციული პოლიტიკური რეცეპტები. ამ რეცეპტებში ფალსიფიცირებულია ქართულ-აფხაზური დიალოგი, ისინი აშკარად მხარს უჭერენ და მფარველობენ არძინბას პოლიტიკურ ხროვას, ხოტბას ასხამენ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებს, არარაობად მიიჩნევენ აფხაზეთიდან 300 ათას დევნილს. კავკასიის ამ ვაი-„სპეციალისტებისათვის" სრულიად არაა საჭირო სიმართლისა და ობიექტურობის დაცვა.

პროვოკაციული ანტიქართული გამოხტომებით განსაკუთრებით აქტიურობს სომხების ლობი რუსეთში. ეს ლობი იმდენად ძლიერია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ, გარკვეულწილად, სწორედ სომხური ლობი წარმართავს. თანაც რუსული პატრიოტიზმის ნიღბით, საკმაოდ ეშმაკურად და შეუმჩნევლად. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ა. მიგრანიანი და ა. ვართანიანი, რომელთაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ სომხური ინტერესები ამოძრავებთ.

საქართველოს ისტორიის ფალსიფიცირებაში არ ჩამორჩება ჩვენი მეგობარი აზერბაიჯანის ზოგიერთი მეცნიერი და მაღალი რანგის ოფიციალური პირი, რომლებიც თავიანთ პუბლიკაციებსა და გამოსვლებში „გვიმტკიცებენ", რომ ქვემო ქართლში (გარდაბნის, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონები) მცხოვრები აზერბაიჯანელები „საკუთარ მიწაწყალზე მცხოვრები მკვიდრი აბორიგენი მოსახლეობაა" („კვირის პალიტრა", 2000, 17-23 აპრილი, გვ. 4-6). სინამდვილეში კი ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე თურქულენოვანი მოსახლეობა, რომელიც დღეს აქ მცხოვრები აზერბაიჯანელის წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს, მე-15-17 ს.ს.-ში გაჩნდა. ისინი იყვნენ თურქმანული მომთაბარე ტომები („თათრის ელები"), რომლებსაც ირანის გამგებლები საქართველოსაგან მიტაცებულ მიწებზე ასახლებდნენ. მე-16-17 ს.ს.-ში მდ. ძეგამიდან ალგეთამდე მაჰმადიანური სახანო-სასულთანოები ჩამოყალიბდა (შამშადელი, ყაზახი, ბორჩალო, ბაიდარი). „ელები" სახლდებოდნენ აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დმანისის ხეობაში, ლორეში, კახეთში. მომთაბარეთა ნაწილი უკვე მე-17 ს.-ში ქართველ მეფეებს ემორჩილებოდა, ხოლო მე-18 ს-ში მთელი აღნიშნული ტერიტორია პოლიტიკურად კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს დაექვემდებარა.

ზოგიერთი აზერბაიჯანელი „ისტორიკოსის" აზრით, საინგილოს მთელი მოსახლეობა აზერბაიჯანულია. ისტორიული ფაქტია, რომ საინგილო ფეოდალური ხანის საქართველოს — ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. იგი მოიცავს ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონების ტერიტორიას. მე-16-17 ს.ს.-ში კახეთის სამეფოში ოსმალთა და სპარსელთა გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნის ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია, ნადგურდებოდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, მის ადგილზე სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები, ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა განმავლობაში საინგილო საერთოდ მოწყდა კახეთის სამეფოს. კახეთის მეფეების მრავალი ცდა, გაეთავისუფლებინათ აღმოსავლეთ კახეთის მიწები, უშედეგოდ მთავრდებოდა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფალსიფიკაცია ახალი მაშსტაბით გრძელდება. ქართველმა მეცნიერებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პრინციპული და ობიექტური პოზიცია უნდა დაიკავონ თანამედროვე ფალსიფიკატორთა ანტიქართული მონაჩმახების წინააღმდეგ, გაბედულად ამხილონ ყველა მათი გამოხტომა და სიყალბე. უპრინციპობა, ნაყრუება და უსაფუძვლო დათმობები, ღალატი და დიდი დანაშაულია ქართველი ერის წინაშე.

მარინა ნახუცრიშვილი

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“

ილია ჭავჭავაძე თავის ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურის ახალი ხანა იწყება.

სიახლე კანონზომიერია და არა სტიქიური სახის, რადგან ერს მოეძალა მოქმედების სურვილი ისევე მძაფრად, როგორც საუკუნის დასაწყისში „წყურვილი დასვენებისა ხანგრძლივი შფოთების შემდეგ“. ამ დროს ერთად გამოჩნდნენ „მოაზრენიც“ და „მოსაქმენიც“, რომელთა სიჭარბის გამო, მეტად გაძნელდა ნამდვილისა და ჭეშმარიტის გამორჩევა (ილიასათვის „მოაზრე“ და „მოსაქმე“ პირობითი ტერმინებია, – აზრი და საქმე ერთი საგნის ორი მხარეა, „აზრი საქმეა ჯერ განუხორციელებელი“, ხოლო „საქმე, აზრია უკვე განხორციელებული“)[1].

სიახლე თვისობრივია. „ჩვენს ცხოვრებას ამ საუკუნეში რომ გულამდე თვალი გავუბნიოთ, ვნახავთ, რომ იგი წარმოგვიდგენს აზრთა და მიმართულების წინსვლას, წარმატებას, მერე ისე, რომ **შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო სავსე, უფრო ვრცელი და უკეთესი. აქ ზრდაა, მატებაა**...“ (იქვე, გვ. 432-433, ხაზგასმა ჩვენია).

ახალი ხანის თვისობრივი და სტრუქტურული ცვლილებები ყველაზე სრულყოფილად თვით ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში გამოვლინდა. საკითხი ახალი არ არის – ახალი ეპოქის დასაწყისი როგორც ტრადიციულად, ისე ბოლო წლების კრიტიკაში, ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. ნიკო ანდრონიკაშვილის წერილების კრებულში ერთ თავს პირდაპირ ეწოდება „ახალი ეპოქის დასაწყისი. ილია ჭავჭავაძე“[2].

XIX საუკუნის 60-იანი წლების სიახლეს ძირითადად ადამიანის ფორმირების **პროცესის** ჩვენება, ე.ი. სქემატურობის მოხსნა და ლიტერატურული ხასიათის ხატვა წარმოადგენს. აღნიშნული ორი მომენტი ერთმანეთს განაპირობებს, რამდენადაც ხასიათის სრულყოფას „თავისუფლება“ დასჭირდა, რაც მხოლოდ ცხოვრებისეული და ლიტერატურული დოგმებისაგან განთავისუფლების შედეგი უნდა ყოფილიყო.

პენ ჯონსონის ხასიათების შექმნის პრეკლაციტური ხანის მეთოდი, რომელიც მე-17 საუკუნეში გავრცელდა და ეფუძნებოდა ეგრეთწოდებულ „ხასიათების თეორიას“, ვერ იქნებოდა ფსიქოლოგიურად გამართლებული და შესაბამისად, ვერც რაიმე მხატვრული ღირებულების მქონე, რამდენადაც ხასიათი წინასწარ დადგენილი ნიმუშის მიხედვით იძერწებოდა.

ახალი ლიტერატურის პროზაში რიტორიკა შეცვალა ფსიქოლოგიურმა ანალიზმა, სოლო გმირი ხასიათმა, რომელიც „თავისთავში ატარებს ყველა ადამიანურ ჩანასახს და ზოგჯერ ამჟღავნებს ერთს, ზოგჯერ მეორეს და ხშირად ხდება, რომ სულ არ ჰგავს თავისთავს“[3]. „ადამიანურ ჩანასახთა“ ეს გამჟღავნება სიტუაციათა სიმრავლეს მოითხოვს. ინგლისელი პროზაიკოსის ჯონ გოლზუორთის სიტყვები „მწერალმა წინასწარ თითქმის არ იცის რა ბოლო ექნება მის წიგნს... ხასიათები თავად მოქმედებენ“,[4] – ორ თეორიულ ასპექტს მოიცავს: 1. ხასიათი განვითარებადია, პროცესის შედეგია; 2. ხასიათის სისრულე დროსა და სივრცეს, „წიგნს“, ე.ი. დიდ ფორმის ეპიკურ ჟანრს გულისხმობს. ამ მცირე თეორიული ექსკურსის შემდეგ, დავუბრუნდეთ საქართველოს სინამდვილეს და 60-იანი წლების შემდგომ ხანას. ილია ჭავჭავაძისათვის ვრცელი მოთხრობის ჩარჩოები საკმარისი აღმოჩნდა – ლუარსაბ თათქარიძე იმდენად სრულყოფილი ხასიათი გამოდგა, იმდენად განზოგადდა, რომ უკუ პროცესი მოხდა: თათქარიძეობა ყოფაში შემოვიდა. ამჯერად, ჩვენ ახალი ხანის თვისობრივი და სტრუქტურული ცვლილებების საჩვენებლად „სარჩობელაზედ“ ავირჩიეთ, პავლე ინგოროყვას შეფასებით ერთი უძლიერესი ნაწარმოები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან. იგი 1879 წელს არის დაწერილი და ისეთი მრავალმხრივი ასპექტებით იქცევს მკვლევარის ყურადღებას, როგორებიცაა თემატური სიახლე, იდეური მხარე, პერსონაჟთა ხატვის თავისებურება და მისი მიმართება ჟანრულ სპეციფიკასთან, ფსიქოლოგიური დეტალების აქცენტირება, მონოლოგის ფუნქციური დატვირთვა, – ე.ი. თითქმის ყველა ის საკითხი, რასაც ახალი ლიტერატურა გულისხმობს.

„სარჩობელაზედ“ ერთ ხასიათზე აგებული ნაწარმოებია. რადგან თვისობრივ სიახლეებზე საუბარი ხასიათით დავიწყეთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რამდენად იძლევა აღნიშნული ნაწარმოების თემატიკა და მოცულობა ხასიათთა გაშლის შესაძლებლობას?! „სარჩობელაზედ“ ცხოვრების ერთ ეპიზოდს ეხება, რომელსაც სხვა მოვლენებთან მიმართება არა აქვს; აქედან გამომდინარე, იგი სიტუაციათა შინაარსობრივ მრავალფეროვნებას თავიდანვე გამორიცხავს, ხოლო რადგან ხასიათი სიტუაციათა სიმრავლეში იძერწება, ამდენად, არც უნდა ველოდოთ მის სრულყოფილ წარმოსახვას. მეორე მხრივ, თუ ხასიათები დინამიკაში არ გვეძლევა, გასარკვევია, ხომ არ რჩება ნაწარმოები კვლავ სქემატურობის, ხოლო პერსონაჟები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატიკურობის ჩარჩოში?! მივყვეთ თვით ტექსტსა და პერსონაჟთა „ქმედებებს“.

„სარჩობელაზედ“ ქართულ კრიტიკაში მოთხრობად მოიხსენიება; ჩვენი აზრით, ტერმინი დასაზუსტებელია, ამიტომ ჯერჯერობით პირობითად ილიასეულ მინაწერს ვიხმართ – „პატარა ამბავი“. პეტრე, როგორც ხასიათი, წარმოსახვის ორი პარალელური ხაზით ვითარდება: 1) კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულად გამოვლენილი ქმედებით ან მისი შესატყვისი რეაქციით; 2) პერსონაჟის ფიქრების დეტალური გადმოცემით. ხასიათის დასრულება ნაწარმოებში მათი ერთობლიობით არის მიღწეული და ჩვენც წარმოსახვის ორივე ასპექტის მაქსიმალური გათვალისწინება მოგვიხდება. გავიხსენოთ ფაქტობრივი მასალა:

პირველი ეპიზოდი – ახალმოსული ბიჭები იტყუებიან, პეტრე ამ ტყუილს ალალად იჯერებს. მისი პირველივე სიტყვები „პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ“, ქრისტიანი კაცის სიტყვებია, რასაც მოჰყვება ასევე ქრისტიანული საქციელი, – გახსნა ხურჯინი და ბიჭებს თითო შოთის პური მისცა.

მეორე ეპიზოდი – გათენდა. ძმებს გაუქურდავთ გლეხი და გაპარულან: „იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა... ჩემზედ ახია, ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე“. პეტრე რომ კეთილი და უბოროტო კაცია, ორივე სცენაში გამოხატული რეაქციითაც ჩანს და ავტორისეული პირდაპირი შეფასებითაც, ხოლო სიტყვები – „სირცხვილით შინ როგორღა მივიდე“, მის თავმოყვარეობაზე მეტყველებს. მოხუცს ფულის დაკარგვით გამოწვეული სინანულის გრძნობა საერთოდ არ გამოუმჟღავნებია: „– ბევრი ნაიღეს? – ჰკითხა ვიღაცამ... მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვჭამო, ... გაიქნივა თავი ისეთის ღიმილით, თითქო ხუმრობაში ატარებსო ამ საქმეს, მაგრამ გულში კი მართლა სცხვენოდა.“ როგორც ვხედავთ, პეტრეს გულშიც არ დანანებია დანაკარგი.

მესამე ეპიზოდი ოთხი წლის შემდეგ – უფრო მობერებული პეტრე ქალაქს მოდიოდა იმავ თავმოწონებით, როგორც უწინ. თავმოწონების მიზეზი სხვაცა ჰქონდა – მისი შვილისთვის მეურმეებს პირველობა მიეცათ.

მეოთხე ეპიზოდი – ვიღაც უცხომ წერილი მისცა, რომლის შინაარსის გაგების სურვილს კაცი ისე შეუპყრია, რომ სულს ძლივს იბრუნებს, უნდა მალე გაიგოს შიგ რა სწერია: „პეტრე მიდიოდა და გული ფეხს უსწრებდა“.

მეხუთე ეპიზოდი – რეაქცია უცხოს წერილზე ერთადერთი ფრაზით გამოიხატება – მე რა შუაში ვარ!

ნაწარმოებში მეტი სიტუაცია ფაქტობრივად არც არსებობს, თუ არ ჩავთვლით მთავარს – კაცის ჩამოხრჩობის სცენას, რაც ინვევს პეტრეს ფიქრთა ნაკადს. ამგვარად, დასახელებული ხუთი ეპიზოდის მიხედვით, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი (ჯერ ხასიათს ვერ დავარქმევთ) წარმოგვიდგება, როგორც კეთილი, ენერგიული, ცოლ-შვილის მოყვარული, მიმტევებელი, ზედმეტად ცნობისმოყვარე. რომელიმე სხვა ნიშან-თვისების დასახელების საშუალებას ტექსტი არ იძლევა. ამბავში ურთიერთობები სხვა პერსონაჟებთან თითქმის არ ფიქსირდება, – იგი პირველივე ორ სიტუაციაში ძმებთან შეხვედრის სცენით ამოიწურება.

გლეხი მეურმეებთან შინაურია, ხოლო ქალაქში, ერთად შეკრებილ უცხო ხალხში, – ბუნებრივია, გაუცხოებული. სწორედ ეს უხერხულობის გრძნობა იწვევს მის ინტენსიურ ფიქრს, ფიქრთა „გრეხილს“. მოედანზე მისვლისთანავე პეტრეს უცნაური გრძნობა დაეუფლა, რასაც მოჰყვა გონებაში მისი გაანალიზება: გრძნობას, ილიას ტერმინით „გუნებას – ჭკუის ლაგამს“, ზედ დაემატა მისი ყოველი იმპულსური რეაქციის მაკონტროლებელი განსჯა. მოედანზე კი გლეხი უსაქმურობის გამო მივიდა, ხოლო იქ შედარებით ხანგრძლივად დარჩენის მიზეზად ინტერესი იქცა – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური თვისება. „ერთი შევიტყო რას ყაყანებენო“, – გაიფიქრა და ხალხში გაერია: „გულმა ძალიან გაუნივა იქით, ბევრი ვაივაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, – სთქვა გულში, – მოდი, ერთი ესეცა ვნახოო...“ მახათაზე, სადაც კაცი უნდა ჩამოეხრჩოთ, უამრავი ხალხი ირეოდა. პეტრეს ეჭვი შეეპარა და გაიფიქრა: „იქავ რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნება არც ნამოვსულიყავ“, – თავადვე შერცხვა საკუთარი აზრისა, მაგრამ უკვე ცოდვილი გახდა: საუბედუროდ თურმე ერჩივნა, ნამდვილი კაცი ნამდვილად ჩამოეხრჩოთ. პეტრე ცხოვრებაგავლილი გლეხია, რომლისთვისაც სიკეთე და ბოროტება ადამიანური არსებობის კანონზომიერებაა, ამდენად, მათი კონკრეტული გამოვლენა რაიმე მძიმე განცდის საბაბად ვერ იქცევა. იგი ზედმეტი ემოციების გარეშე ღებულობს იმ ფაქტსაც, რომ სიკეთე უცხო ბიჭებმა გაძარცვით გადაუხადეს და იმ მომენტსაც, როცა საკუთარ თავში ადამიანის ჩამოხრჩობით მიღებული სიამოვნების სასურველი განცდა დააფიქსირა... სხეულში თითქოს ეშმაკი ჩასახლებიაო, ისე ეწევა; უნდა გაიქცეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაურბის და მხოლოდ ადგილსღა გადაინაცვლებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ირღვევა პროპორცია გრძნობასა და გონებას შორის, როცა „გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს“; ეს არის პიროვნებაში არსებული ცოდვა-მადლის მხატვრული გამოვლენა მისი განზოგადების ფილოსოფიური ასპექტით.

პეტრეს პიროვნება მართალია მრავალმხრივ – სხვა პერსონაჟებთან ურთიერთმიმართების საშუალებით, დინამიურად არ ვითარდება, მაგრამ ამბავში იმდენად კრიტიკული სიტუაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებია შერჩეული, იმდენად მკვეთრია რეაქციები და გაშიშვლებული პერსონაჟის განცდები, რომ იგი სრულყოფილ ხასიათად იძერწება. ამბავში კიდევ ორი მოქმედი პირია, ორი ძმა, რომლებიც იდეის განსახოვნების საშუალებად, განზოგადებულ სახედ უფრო გვევლინებიან, ვიდრე ხორცშესხმულ პიროვნებებად.

ილია ჭავჭავაძე ბიჭებს, სრულიად შეგნებულად, სახელების გარეშე მოიხსენიებს: „პირველი", „მეორე", „სხვა" ნიშნავს იმას, რომ მოქმედ პირებადაც კი არ იყვნენ ჩაფიქრებულნი, — ქვეყნად არსებული უსამართლობის უსახელო, რიგითი მსხვერპლნი არიან მხოლოდ. მათი მეურმეებთან დიალოგიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ავტორის შედარებითი სიმპათია უმცროსი ძმის მხარეს უფროა: მეორეს სხვა ნიშან-წყალი ჰქონდაო... რას ნიშნავს „სხვა ნიშან-წყალი"? ალბათ, მეტ სიმარჯვეს, მაგრამ საით გადაიხრება იგი სამომავლოდ?!

უმცროსი ძმა, თითქოს, შინაგანად რამდენადმე ეწინააღმდეგება უფროსს, დაუნდობლობა რაღაც უარყოფით განწყობას იწვევს მასში, მაგრამ იმპულსურად გამოვლენილი დადებითი ემოცია, ბოროტების შიგნით არსებულ რეაქციათა შეჯახებაა და არა პიროვნებაში ცოდვა-მადლის ბრძოლის პროცესის შედეგი. ამგვარად, ნაწარმოების პირველ ორ სიტუაციაში ერთმანეთის პირისპირ დგება ცხოვრებისაგან გაბოროტებული მსხვერპლი — ორი ძმა და მიამიტი გლეხი პეტრე.

ორივე შემთხვევაში ახალგაზრდები ცოდვას სჩადიან, ხოლო მოხუცი მადლს გასცემს: ცოდვა პირველი — სიცრუე; ცოდვა მეორე — ქურდობა. მადლი პირველი — მშიერის დაპურება; მადლი მეორე — მიმტევებლობა. ამბის თავშივე ნახსენები თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმანვილის „სხვა ნიშან-წყალი" და „შინაგანი ამღვრეულობა" კი უნდა გაიხსნას, თუმც ოთხი წელი გაივლის, ვიდრე ხასიათის ამ ერთგვარი საწყისის გამოვლენა აუცილებელი გახდებოდეს. ყველაფერი ის, რაც ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე (ჩამოხრჩობის მომენტამდე) ხდებოდა, მკითხველის თვალთახედვის მიღმა რჩება. ერთადერთი, რაც ძმების დასახასიათებლად მასალას იძლევა, არის უმცროსი ძმის მიერ პეტრესადმი მიწერილი წერილი, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც მონოლოგი — საკუთარ თავთან საუბარი, ე.ი. თითქოს მაქსიმალური გულახდილობის მომენტი. აღსანიშნავია, რომ წერილი განსაკუთრებულ სიტუაციაშია დაწერილი, განსაკუთრებული დანიშნულებით — „ვთქვი და ლოდი ამეხსნა" — თვითგადარჩენის ინსტინქტით ნაკარნახევი. საერთოდ, მონოლოგი ნებისმიერ ნაწარმოებში ძირითადად მაშინ ჩნდება, როცა პერსონაჟი სულიერი რყევისა და შინაგანი ძვრების ყველაზე მწვავე მომენტს განიცდის. ამის გამო, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა მხატვრული და ფსიქოლოგიური სიმართლე არ დაირღვეს. ილია ჭავჭავაძის მიერ მოთხრობილ ამბავში ეს ფა-სმით აქცენტირებულია დროის ის ხანგრძლიობა, როცა წერილი იწერებოდა. დუქანში, სადაც პეტრე იჯდა, ერთი ნაბადში გახვეული ყმაწვილი კაცი შევიდა, საწერ-კალამი მოითხოვა და წერა დაიწყო... „ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა". კაცის დუქანში შემოსვლის მომენტიდან მის გასვლამდე, ადამიანის სულიერი განწყობა ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს: როცა სწერდა პეტრეს, „ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასაო", სწორედ მაშინ ესახებოდა ის მაცოცხლებელი სხივი, რომელიც ქვეყანასთან კვლავ დააკავშირებდა. როგორც ვხედავთ, მონოლოგის, როგორც მხატვრული ხერხის გამოყენებას, შინაგანი ფსიქოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე, თავისი ფუნქციური დატვირთვა გააჩნია. აღნიშნულ ფაქტს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ფსიქოლოგები და მედიკოსებიც ამჩნევენ და მის სისწორეს აღიარებენ:

„ილიას მთელი შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რომ გადაუდებელი, საჭირო და აუცილებელია სიმბიოზი მეცნიერულ ფსიქოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის... ი. ჭავჭავაძე არის მოქმედების ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენელი მხატვრულ ლიტერატურაში"[5]. უცნობის მიერ დაწერილი წერილი, ანუ პერსონაჟის მონოლოგი, იმავდროულად მწერლის აზრობრივი სისტემის ნაწილსაც წარმოადგენს, თუმც, ავტორს ის პოზიცია უჭირავს, რომ ისიც ჩვეულებრივი, რიგითი მსმენელია, და ამდენად, ყოველგვარი სუბიექტივიზმი ჩამოშორებული აქვს. ავტორის, მთხრობელისა და მთავარი გმირის სფერო ამბავში აშკარად გამოიკვეთება, ხოლო მათი ურთიერთმიმართების წერტილები, მკითხველის მიერ მძაფრად აღიქმება. წერილში უამრავ მძიმე ცოდვათაგან, მხოლოდ პეტრეს მიმართ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის აღიარებაა დაფიქსირებული, ე.ი. ის, რაც დამწერის მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენას და არა მის სულიერ ხსნას სჭირდებოდა. უცხო პატიებას არც თხოულობს და არც ელოდება; ამქვეყნიური განაჩენიც თავად გამოაქვს საკუთარი თავისთვის — „თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე". მთავარი მაინც ის არის, რომ მას თავი მართალი ჰგონია: „განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია". ნათქვამი, რომ მთელ ქვეყანაზე შური უნდა იძიოს და ამიტომ აგრძელებს სიცოცხლეს, მხოლოდ საბაბია (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართლა იძიებს შურს), გადარჩენის სურვილია, სიკვდილის შიშია და არა ქრისტიანის შემგუებლობა თუ მოთმინება. საინტერესოა, წერილში როგორ იგონებს, ან რამდენად სწორად იგონებს პერსონაჟი წარსულს. ამ შემთხვევაში, სიზუსტის დადგენა ძნელია, რადგან დროთა რამდენიმე შრე ემთხვევა ერთმანეთს. მეხსიერებას უფრო გამოკვეთით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემორჩენოდა ის, რამაც გაამწარა და არა ის, ვინც თვითონ გაამწარა. აქედან გამომდინარე, უცხო, ბოლომდე სნორი, მისდაუნებურად ვერ იქნება; მკითხველს კი, სიტუაციები უშუალოდ არ ეძლევა, რომ მათი შეფასების საშუალება ჰქონდეს. ნერილი თითქოს აღსარების ფორმითაა დანერილი, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ისეთი კაცის მიერ, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ცხოვრება. ეს თხრობა მისთვის აუცილებლობაა კრიტიკულ მომენტში, ძმის ჩამოხრჩობის დღეს. წერილში გადმოცემულ, საკუთარი სურვილით გაცნობიერებულ მისსავე ნარსულში, მოგონებათა განცდაში მთავარი ის კი არ არის, თუ რა გადახდენია ობიექტურად და თანმიმდევრობით პერსონაჟს, არამედ ის, თუ თავად როგორ შეუფასებია იგი ნარსულის იმ კონკრეტულ მომენტში. მოგონებების ლაბირინთებში, მის მიერ გაცნობიერებულ ტრაგიკულ წარსულში, ბევრი ყოფითი დეტალი, ეტყობა, სრულიად გამქრალა, ხოლო ბევრი ფაქტის ჰიპერბოლიზაცია და გამძაფრება ხდება, რათა მსმენელის (მოცემულ შემთხვევაში პეტრეს), თანადგომა დაიმსახუროს. აქ მონოლოგი პერსონაჟის სულიერი სამყაროს გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ხერხია და იმავდროულად, ავტორის იდეური პოზიციის შენიღბვის საშუალებაც.

ნერილი, რომელიც პეტრეს სახელზეა დანერილი, ადრესატის მიერ ხელახლა იქმნება, მისი გრძნობა-გონების პრიზმაში გარდაისახება და მოყვასის დახმარების გრძნობას ბადებს, მაგრამ პეტრე ხელახლა ისჯება, რადგან ამის საშუალება არ ეძლევა; ხელახლა ისჯება მტანჯველი ბრალდებითაც – შენ დამნაშავე ხარ! ამ სიტყვების არსს კი ვეღარ სწვდება მოხუცი გლეხის გონება.

ნაწარმოებში სამივე პერსონაჟის ცხოვრებასა და პიროვნულ გამოვლენას ფონად ხალხი – ადამიანთა ერთობლიობა (და არა საზოგადოება) ედება. ყველა შემთხვევაში იგი აგრესიის თუ არა, გულგრილობის გამომხატველი მაინც არის. ნაწარმოების დასაწყისში, პირველივე სიტუაციაში, ძმები მეურმეებს მიუახლოვდებიან და დახმარებას სთხოვენ მათ (მართალია იტყუებიან, მაგრამ ხალხმა არ იცის მათი ნაამბობი ტყუილია თუ მართალი), მაგრამ სრულ ინდიფერენტიზმს ნააწყდებიან. ხალხის მასას პიროვნება გამოეყოფა პეტრეს სახით, რომელიც არაფერს კითხულობს, არ იძიებს მოსულთა ვინაობას, – დახმარებას სთხოვენ და ისიც ეხმარება. ამ შემთხვევაში, იგი ხალხისაგან გამორჩეულია.

კაცის ჩამოხრჩობის სცენა, როგორც ილია იტყოდა, „ხალხის გროვის“ ჩვენების საშუალებაა; ეს არის ადამიანების ერთობლიობა, ბრბოს სახით გამოვლენის თავისი უკიდურესი ფორმით. პეტრე, უსაქმურობისა და გართობისათვის მათთან მიახლოვებული, დროებით მისსავე ნაწილად იქცევა – და როგორც კი ერთი აზრით შეპყრობილ ბრბოს ფიზიკურად შეუერთდება, მაშინვე მოხდება მისი პიროვნული თვისებების დაქვეითება. ხალხს, რაღაც მომენტში, თავადვე რცხვენია საკუთარი გრძნობის გამომჟღავნებისა, ამიტომ შიგადაშიგ გვესმის მათი საქციელისათვის სრულიად შეუფერებელი სიტყვები „– ვუი, ვუი შენს დედას!“

აღსანიშნავია, რომ პეტრე, მართალია, ბევრ ცოდვაში გამოიჭერს საკუთარ თავს, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს ადამიანურ თვისებებს, შეიძლება იმიტომაც, რომ თავისი სოფლელობის გამო, მათთან ყოფნისას მუდმივ უხერხულობას განიცდის და ხალხში ბოლომდე ვერ ითქვიფება; მეორეც – იგი რეალობას არ იჯერებს, მთელი იქ ყოფნის პერიოდში მუდმივად მერყეობს და ამასობაში, მისი გონება სწყდება ყველაზე მთავარ მომენტს; მას დრო რჩება იმისათვის, რომ გაუკვირდეს – რატომ მიყაყანებენ ადამიანები მხიარულად!

მცირე ფორმის ნაწარმოებში შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი ხალხის მოქმედების არე, რამდენადაც იგი ავტორს ბრბოს ფსიქიკის წარმოსაჩენ სარბიელად, ფონად სჭირდება.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებასთან ერთად, იზრდება ბარიერი მასა და დანარჩენ ადამიანებს შორის. შეგნების, ინტერესების დიფერენცირება, ინდივიდთა ურთიერთდაპირისპირებას ბადებს; ეს დაპირისპირება, როცა მას გამოვლენის საშუალებები აღარ გააჩნია, შინაგან კონფლიქტში გადადის და სულიერ ძვრებს იწვევს. კონფლიქტი რომანში, აუცილებლობაა და იგი მრავალმხრივ აისახება, ხოლო ისეთ პატარა ფორმის ნაწარმოებში, როგორიცაა „სარჩობელაზედ“, რაღაც შტრიხით მოიხაზება დეტალის აქცენტირების ხარჯზე.

როგორც დავინახეთ, „სარჩობელაზედ“ ერთ თემას მოიცავს, ერთ ხასიათს ხატავს, ერთ ძლიერ ემოციას ეყრდნობა და ერთ პასუხგაუცემელ კითხვას უსვამს პეტრეს, და მასთან ერთად მკითხველს; აქედან გამომდინარე, ტრადიციულად მიღებული მისი ჟანრული დეფინიცია დაკონკრეტებას მოითხოვს. თუ საკითხს უფრო მასშტაბურად შევხედავთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „სარჩობელაზედ“ მოთხრობაა (რამდენადაც ნოველა, იმავდროულად მოთხრობაც არის და არა პირიქით), მაგრამ რადგან ნოველა თავისი გამოკვეთილი ფორმით კარგა ხნის წინ გამოეყო მოთხრობას, ამიტომ, ჩვენს მიერ განხილულ ნაწარმოებშიც ნოველისათვის დამახასიათებელი აშკარა ნიშნები უნდა დავაფიქსიროთ. ეტაპობრივი საფეხურები ნოველაში შეზღუდულია, მაგრამ სულ ბოლო ეტაპი, ე.ი. რეაქცია, ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად გამართლებული უნდა იყოს, რათა ნაწარმოების მხატვრული სიმართლე არ დაირღვევს.

ხასიათები და კონფლიქტები, საერთოდ ნოველაში, განსაკუთრებულია: იგი მკითხველის თვალწინ არ ვითარდება, დინამიური არ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ფაქტი არ ნიშნავს მის სტატიკურ მდგომარეობას. ნოველაში მწერლის ცნობიერებაში დასრულებული ხასიათის გამოვლენა ხდება ერთი-ორი ნიშნით, რაც გაცილებით უფრო რთულია, რადგან მხატვრული სიმართლის მიღწევა გრძნობათა სფეროშია გადატანილი. აღნიშნული ფაქტი სრულიადაც არ გამორიცხავს ნათქვამს – ხასიათს მწერალი უბრალოდ მიჰყვება და თავად არ ერევა მის ქმედებებში. ქმედებაში მწერალი „არ ჩაერევა", თუ ხასიათი მთელი თავისი სრულყოფილებით არის გააზრებული. ნოველის კრიტიკულ სიტუაციაში პერსონაჟი როგორც მოქმედებს, სწორედ ისე უნდა იმოქმედოს, და არა სხვანაირად, ხოლო მის რეაქციაზე მკითხველის ემოციური დამოკიდებულება ისეთივე სრულყოფილი უნდა იყოს, როგორიც იქნებოდა მოთხრობის სიტუაციათა სიმრავლეში, დინამიურად გამოვლენილი ხასიათის მიმართ. უბრალოდ, მოთხრობის ჩარჩოში, ხასიათის ხატვისას სვლა არის ერთეულიდან მთელისაკენ, ნოველაში კი, პირიქით, – მთელიდან ერთეულისაკენ.

გავიხსენოთ, როგორ იკრიბებიან პერსონაჟები ილიას „ამბავში". იგი იწყება ორ სურათად წარმოდგენილი ზაფხულის გვალვიანი დღის აღწერით:

სურათი პირველი – ხევისპირას განლაგებული ურმები და ქანცგანყვეტილი, მთვლემარე მეურმეები;

სურათი მეორე – იგივე გარემო, აღწერილი მზის ჩასვლის შემდეგ, იმ დროს, როცა ჰაერი ამოძრავდა და „ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა".

ამ ორი სურათის გადმოცემის დინჯი, ეპიკური ტონი, სავსე წინადადებები, დამახასიათებელი ზოგადად ქართული ენისათვის, თითქოს იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ მოვლენები უფრო მრავალმხრივ განვითარებულიყო და ნაწარმოებშიც მეტი პერსონაჟი შემოსულიყო, მაგრამ ამბავი სულ სამი მოქმედი პირით არის წარმოდგენილი: ინტერესი ცალმხრივ არის მიმართული და ამიტომ ავტორს სხვა კონტაქტების დამყარება არ სჭირდება. ორი პერსონაჟი ერთად გამოჩნდება, უეცრად, ხევის ყურიდან, მესამე – ცოტა მოგვიანებით. ავტორი ახლადმოსულ ბიჭებს ასაკისა და გარეგნობის (რამდენადაც ერთი მათგანის ჩამოფხატული ქუდი იძლევა პორტრეტის დახატვის შესაძლებლობას) მიხედვით წარუდგენს მკითხველს; ჩერქეზულქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმანვილისა და მისი ძმის სახელებსაც კი არ ამბობს. შემდგომში, უმცროსი ძმა (და არა ავტორი) ერთი-ორჯერ სახელით „ბეჟან" მოიხსენიებს უფროსს. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი მის ირ.კვლივ ხდება, ბეჟანი მაინც მეორეხარისხოვან პერსონაჟად რჩება, რომლის არსებობა სიკვდილით დასჯამდეც და სიკვდილით დასჯის შემდეგაც, უმცროსი ძმისა და პეტრეს ურთიერთმიმართება-დაპირისპირების მიზეზი თუ საშუალება ხდება. ამ ორივე პირველ სიტუაციაში სამივე პერსონაჟი იყრის თავს, რომელთაგან ორი ცრუობს, მესამე კი ამ სიცრუეს გულნრფელად იჯერებს. მეორე სიტუაციაში სიცრუეს ბოროტი ქმედება – მოხუცის გაქურდვა მოჰყვება. ამ ეტაპზე შორდებიან პერსონაჟები ერთმანეთს: უფროსი ძმა სახრჩობელაზე ამთავრებს სიცოცხლეს, ხოლო უმცროსი, ერთხელ კიდევ გამოჩნდება პეტრეს ცხოვრებაში თავისი უცნაური ნერილით. როგორც დავინახეთ, ნაწარმოებში ერთადერთი ხასიათი იძერწება, თუმც მეტად თავისებურად და ორიგინალურად.

„სარჩობელაზედ" სულ ოთხი დაუსათაურებელი ნანილისაგან შედგება: პირველში, პეტრესა და უცხო ბიჭების შეხვედრის სცენაში, აშკარად გამოვლინდა პიროვნული კონტრასტი, რასაც დიდი ფორმის მხატვრულ ნაწარმოებში, თუნდაც ვრცელ მოთხრობაში, შეიძლებოდა კონფლიქტური სიტუაციების მთელი ჯაჭვი მოჰყოლოდა, – აღნიშნული სიტუაცია საამისოდ ფსიქოლოგიურად შემზადებული იყო.

... პეტრემ ქრისტიანულად მიუტევა უცნობებს ცოდვა და სიტუაცია, ასე ვთქვათ, ჩაიკეტა, კონფლიქტი არ განვითარებულა; კონტრასტული ხასიათი გამოვლინდა, მაგრამ შემდგომში ცალმხრივ, – მხოლოდ პეტრეს სულიერი მდგომარეობის ჩვენების გზით განვითარდა. მეორე ნანილი დამოუკიდებელ პასაჟად ვერ ჩაითვლება, თუმცა კონფლიქტი ლოგიკურად პირველიდან არ მომდინარეობს და სიუჟეტური ხაზიც შეწყვეტილია, რადგან პიროვნების დიდი სულიერი ძვრები, ოთხი ნლის წინ, ზაფხულის ერთ გვალვიან დღეს მომხადრმა ამბავმა გამოიწვია: „მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობაზედ". კულმინაციაც პეტრეს შინაგან მდგომარეობას უკავშირდება, იგი ნაწარმოების ფინალშია გატანილი და ემოციურად მძაფრადაა დამუხტული. მესამე ნანილი, კაცის ჩამოხრჩობის მომენტის ღაფიქსირებით მთავრდება, მაგრამ კულმინაციად მაინც არ ჩაითვლება, რადგან აქ სანახაობითი მხარეა ნაჩვენები და არა მწერლის პოზიციის იდეური დასრულება: ფინალის სულ ბოლო კითხვა, რომელიც მთავარ პერსონაჟს ღრმად ჩააფიქრებს, მწერლის მიერვე გაცემულ პასუხს გულისხმობს, სადაც საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება ფულზე: „შვილმა ნიგნი გახსნა, გადაშალა და ასიგნაციები გადმოცვივდა... ფულის დათვლა უნდოდა, მამა გაუწყრა და ტუქსვით უთხრა: – რა დროს ეგ არის!". „სარჩობელაზედ" არის ფილოსოფიურ საკითხზე აგებული სიუჟეტი, რომელშიც მატერიალური მხარე (ყოველ შემთხვევაში პეტრესათვის), მთლიანად იგნორირებულია. ფულის გამოჩენას სხვა ფუნქცია აკისრია – იგი მოულოდნელობის ფაქტორს უკავშირდება, რაც ნოველისათვის არის ნიშანდობლივი.

ჩვენი ნაშრომის დასაწყისშივე, ახალი ლიტერატურის თვისობრივი სიახლეებიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ საკითხად ჟანრული სპეციფიკაც დავასახელეთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ – დღემდე „სარჩობელაზედ“ ლიტერატურულ კრიტიკაში მოთხრობად მოიხსენიება; აღნიშნული ნაწარმოების ანალიზისას მასში ნოველისათვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური ნიშნები დავაფიქსირეთ, როგორებიცაა გამორჩეული თემატიკა, შეზღუდული მოცულობა, პერსონაჟთა სიმცირე, ფსიქოლოგიური დეტალების აქცენტირება, ემოციურად დატვირთული კულმინაცია, მოულოდნელი დასასრული... თუმცა , აქვე უნდა ითქვას, რომ ენობრივი ქსოვილი ნოველის სტილს არ შეეფერება – ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლე და ლაკონიურ ფრაზებს, საერთოდ ქართული ენის ბუნება ძნელად ითავსებს, ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, ილიასეული მინაწერი „პატარა ამბავი“, ამბავის (повесть), როგორც ჟანრის, მნიშვნელობით დავტოვოთ.

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ საუკეთესოდ ასახავს ახალ ქართულ ლიტერატურაში მომხდარ თვისობრივ სიახლეებს. ნაწარმოები, ჟანრული თავისებურებების გამო, შეიძლება ამბად ჩაითვალოს, რომელშიც მრავლად არის წარმოდგენილი ნოველისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები.

ამბის ძირითადი თემაა ცოდვა-მადლი, როგორც ბოროტება-სიკეთის ერთდროულად არსებობა არა მარტო ზოგადად, მინიერ სამყაროში, არამედ ცალკეულ პიროვნებაში; აქედანვე გამომდინარეობს პიროვნების „ხალხის გროვასთან“ დაპირისპირების გარდუვალობაც. ამბავში ორიგინალურადაა წარმოდგენილი ბრბოში შესული კაცის ადამიანური თვისებების დაქვეითება.

ნაწარმოების იდეა გამოკვეთილია – სიკვდილით დასჯა მეტ აგრესიას ინვევს, საზოგადოებას ბრბოდ აქცევს, რადგან დანაშაული დანაშაულს ბადებს.

ამბის გამომხატველობითი მხატვრული საშუალებები აბსოლუტურად ეფუძნება ფსიქოლოგიურ და მხატვრულ სიმართლეს: ამბავი ერთ ხასიათზეა აგებული, რომელიც ორი გზით ავლენს თავს: 1) კონკრეტულ სიტუაციებში რეაქციების სახით; 2) პერსონაჟის ფიქრთა „გრეხილის“ გარეთ გამოტანის საშუალებით. ნაწარმოებში კიდევ სამი პერსონაჟია, რომელთაგან პეტრეს შვილს, წერილის წაკითხვის გარდა, სხვა ფუნქციონალური დატვირთვა არ გააჩნია და ძმები – ორ პერსონაჟად წარმოდგენილი, ერთი იდეის გამოსავლენად გაორებული ერთი მხატვრული სახე.

ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, თხზულებანი, პავლე ინგოროყვას შესავალი წერილით, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1957, გვ. 434.
2. ნიკო ანდრონიკაშვილი, „კლასიციზმიდან რეალიზმისაკენ“, თბილისი, 1995 წ.
3. აკ. გაწერელია, „ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“, ჟ. „საუნჯე“, 1978 წ. № 4, გვ. 171.
4. ჯ. გოლზუორთი, „ხასიათის შექმნა ლიტერატურაში“. ჟ. „ინოსტრანნაია ლიტერატურა“, 1962, № 7, გვ. 193.
5. ავლ. ზურაბაშვილი, „პერსონოლოგიური პრობლემები ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, კრებული „პერსონოლოგიური ძიებანი“, თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1979, გვ. 141-142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ურუშაძე

სცენური სახის მხატვრული ფორმა

ძნელია მოიძებნოს ხელოვანი, რომელიც მხატვრული ფორმის პრობლემაზე არ დაფიქრებულა და არ ყოფილა მისი მაძიებელი. ცხოვრებაში ყველაფერს აქვს ფორმა ანუ საგნისა თუ მოვლენის შინაარსის გარეგნული სახე. თუ მოვლენა ან საგანი მხატვრული ქმნილებაა, მისი ფორმა ავტორისეული ჩანაფიქრის სხეული იქნება – ხელოვანი ხომ მაშინ იწყებს ფორმის ძიებას, როდესაც იცის რისთვის ეძებს მას. ამავე დროს, გამომხატველ საშუალებათა მოძიება ჯერ კიდევ არაა ფორმა, ეს მხოლოდ თავისებური საშენი მასალაა. ფორმად მაშინ გადაიქცევა, როდესაც მათ შორის შეირჩევა მხოლოდ აუცილებელი და ეს შერჩეულები განუყოფლად შეკავშირდებიან. უამისოდ უმშვენიერესი ჩანაფიქრიც მხატვრულ მოვლენად არ ჩაითვლება. ესთეტიკური პრობლემების ჩვენი დროის ცნობილი მკვლევარი ნ. ჭავჭავაძე ფორმის სწორედ ასეთ განსაზღვრას გვთავაზობს:

„იმას, რაც აერთიანებს და ამთლიანებს შინაარსის ელემენტებს, იმ წესს, რომლის მეშვეობითაც არსებობს და მჟღავნდება ეს ერთიანობა, ფორმა ეწოდა. ხელოვნებაში ფორმა, ე.ი. რისი საშუალებითაცაა ორგანიზებული და გამოთქმული ხელოვანის აზრები და გრძნობები, იდეები და მისწრაფებანი, თვითონ მხატვრული ნაწარმოებია. ფორმა და შინაარსი საგნის ან მოვლენის ნაწილები კი არაა, არამედ მისი მომენტებია".

ყველა ხელოვანს ხელთ გარკვეული მასალა აქვს. ცხადია, რომ ის ამ მასალით უთუოდ შეზღუდულია. ამიტომ ლიტერატურული და მუსიკალური ფორმა არაა ერთი, არც ფერწერული და ხუროთმოძღვრული, მით უფრო, თეატრალური. მათ შორის საერთოა ის, რომ ყველა ეს ფორმა ხელოვანის მიერ გააზრებულ ცხოვრებისეულ მასალას ანიჭებს დასრულებულ სახეს. ანიჭებს იმით, რომ ახდენს იმის კონცენტრაციას, რის შედეგადაც ნაწარმოები ხდება გრძნობიერი, ემოციური აღქმის საგანი. ამიტომ ეს ორი ცნება – შინაარსი და ფორმა – ფაქტობრივად გადაქცეულია ერთი საგნის ან მოვლენის თავისებურ ორსახეობად: ფორმა შინაარსიანია, შინაარსი კი ფორმად ჩამოყალიბებული ანუ მისი ხილული ნაწილი.

თეატრი აქტივობის, ქმედების ხელოვნებაა და მისი ნაწარმოების ფორმაც აქტიური, ქმედითი გამომსახველობაა. გ. ტოვსტონოგოვი ამბობს:

„ნებისმიერი არქიფსიქოლოგიური, ფილოსოფიური ფორმაც კი თეატრში მუდამ სანახაობრივია. და რადგან ის სანახაობრივია, მე დაჟინებით მოვითხოვ, რომ სპექტაკლის პლასტიკურსა და ხმოვან გამომსახველობას, რეჟისორულ ჩანაფიქრსა და მის გადაწყვეტაში ჰქონდეს პირველმნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფუნქცია."

ვინ ამჩნევს, ვის ახსოვს ჰარეში მონავარდე ლაინერის დეტალები? მაგრამ არ შედგება ეს ნავარდი მათი ერთობლიობის გარეშე. იმის გარეშე, რაც ქმნის მის ფორმას.

რაღა არ შედის ამ ცნებაში, მაგრამ თუ ეს მსახიობს ეხება, პირველად მაინც გარეგნობა გვახსენდება. ალბათ, იმიტომ, რომ ფორმა მასალასთანაა დაკავშირებული, მასალა კი თვითონაა. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი ამბობდა:

„სულს საკუთარ სხეულთან ყოფნა სურს, რადგან ამ სხეულის ნაწილთა გარეშე ვერც ვერაფერს შეიგრძნობს და ვერც ვერაფერს მოიმოქმედებს... შექმენი ფიგურები ისეთი ჟესტებით, რომლებიც იქნებიან იმის გამომხატველი, რაც ახლა ხდება ამ ფიგურის სულში". კ. სტანისლავსკი კი ყველას გასაგონად აცხადებდა – „სიტყვებს შეუძლიათ იცრუონ, რაღაც დაფარონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარბილონ. სხეულს არ შეუძლია იცრუოს".

ამ სხეულებრივში მაინც თვალთა მზერაა ყველაზე ბევრის მთქმელი. განა შემთხვევითია, რომ არც ერთი სხვა ხელოვანის თვალებზე არ ლაპარაკობენ, გარდა მსახიობისა? ცხოვრებაშიც ხომ ითვლება, რომ თვალებია სულის სარკე, რადგან იგულისხმება არა მარტო მათი მოხატულობა, არამედ გამომეტყველება. ვს. მეიერჰოლდი იმასაც თვლიდა, რომ კარგი და ცუდი მსახიობი თვალებით განირჩევა. რამდენმა კრიტიკოსმა შემოგვინახა აღწერით ელეონორა დუზეს, ნუცა ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, უშანგი ჩხეიძის და კიდევ სხვა მსახიობთა თვალთა მზერა... რამდენმა ფოტოსურათმა და ფირმა...

ადამიანის სხეული მოქნილი, პლასტიური მასალაა, თბილი და ცოცხალი, შიგნიდან მისი სულით აღსავსე. ამ სხეულით შექმნილი ფორმა მის სიღრმეში სისხლის უწყვეტ მიმოქცევასა და გულისცემას მოიცავს. ამიტომაა სხეულის ყველა ნაწილი მეტყველი. ვს. მეიერჰოლდის აზრით, თვით ზურგიც კი, თანაც განსაკუთრებით, რადგან „თვალს ადვილად შეუძლია იცრუოს, ზურგს კი არასდროს. ის ადამიანის სხეულის ყველაზე გულწრფელი ნაწილია, რადგან არასოდეს ვაკონტროლებთ მას", – უხსნიდა ის თავის მონაფეებს და აქვე, ქუჩაში მიუთითებდა წინ მიმავალთა ზურგებზე.

1880 წელს კოტე მესხი წერდა საფრანგეთიდან ივანე მესხს:

„მარსელში სარა ბერნარი ვნახე სცენაზე. კინაღამ გადამრია. თუმცა მისი ლაპარაკი არ მესმოდა, მაგრამ თამაშს ვხედავდი და ტანში მაციებდა". თამაშს ვხედავდიო ანუ მოქმედებას, იმდენად გამომხატველს, რომ უსიტყვოდაც ატყობინებდა ყველაფერს ენის არმცოდნე მაყურებელს!

აქტიორული ფორმა ცოცხალია და ამიტომ მოძრავი, მუდმივცვალებად მიზანსცენაში განფენილი. მიზანსცენა კი – ბუნებრივად გამომდინარე იმისგან, რაც ახლა ხდება მოქმედ პირთა ცხოვრებაში და იმ ადამიანთა თვისებებიდან, ვინც ამ ხდომილებაშია ჩართული. ყველა სცენის სივრცეშია.

როცა სცენის სივრცეს ვახსენებთ, ორუნდა დაგვავიწყდეს მაყურებელთა დარბაზის სივრცე და ის მანძილი, სცენასა და მაყურებელს რომ ერთმანეთს აშორებს. სცენის შეზღუდულ სივრცეში მიმდინარე ცხოვრებას დარბაზის დიდი სივრცის შორი ადგილებიდან მაყურებელ ადამიანებს თეატრი ჭოგრიტებსაც სთავაზობს, რათა მათთვის მისაწვდომი იყოს ყველაფერი, რასაც მსახიობის სხეული გამოხატავს.

სხეულს ყველაფრის გამოხატვა შეუძლია. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა არც ფერწერა, არც ქანდაკება, მით უფრო, მსახიობის ცოცხალი ქმნილება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია ის საგანგებო ნიჭი, რომლის ძალითაც შენი სხეული იქნება იმის მორჩილი, რასაც მსახიობის ჩანაფიქრი უბრძანებს. ბრძანებები კი ათასნაირია და ხშირად ძნელი შესასრულებელი.

სხეულის ფორმას სამოსელიც განაპირობებს – მსახიობს ყველა დროის ყველანაირი სამოსელის გათავისება უნდა შეეძლოს და ყოველ მათგანში თავისუფლად უნდა გრძნობდეს თავს.

მსახიობის სცენური გმირის პლასტიკა საგანგებოდ გააზრებული, შეთხზული პლასტიკაა – ის ხომ რაღაცის გამომხატველი უნდა იყოს და არა მხოლოდ ბუნებრივი! ამ შეთხზულ ფორმაში უნდა ჩაიღვაროს მსახიობის სხეული და ისე გამოიძერწოს სხვა ადამიანად. რადგან შეთხზულია იგი და მიზანმიმართულად გააზრებული, არაფერი შემთხვევითი არ შეიძლება იყოს მის ცოცხალ პლასტიკაში ისევე, როგორც მის ცოცხალ სიტყვაში.

გარდა სხეულის პლასტიკისა, სცენური სახის ფორმას ქმნის მოქმედი პირის მეტყველება. განა არ ვიცით, როგორ ავლენს პიროვნებას მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მისი ინტონაციური ნაირფერობა?! ის ხომ საოცარი სიზუსტით ავლენს იმას, რაც მისი მთქმელის სულში ხდება! განა შეიძლება იმის დათვლა, თუ რამდენნაირად წარმოითქმის თუნდაც ერთი რომელიმე, სულ უბრალო და მოკლე, ყოველდღიურ ხმარებაში ასე ხშირად გამოყენებული სიტყვა? გააჩნია, ვინ ამბობს, ვის ეუბნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად, რატომ... როგორ ეღერს ამ დროს ადამიანის ხმა, ეს უდიდესი ძალა მსახიობისა!

ასე, სხეულის პლასტიკითა და ხმის ინტონაციური ეღერადობით იძერწება სცენური სახის მხატვრული ფორმა. იბადება მსახიობის ქმნილება, რომელიც ერთი საღამოს განმავლობაში ჩვენ თვალწინ გაივლის ხოლმე თავისი ცხოვრების გზას. ჩვენ ვხედავთ ყოველ მის მოძრაობას, ვისმენთ ყოველ მის სიტყვას, ვგრძნობთ იმას, რასაც ის განიცდის... ჩვენ ბევრნი ვართ და განსხვავებულნი. ამიტომ ნებისმიერ მხატვრულ ქმნილებას ყოველი ჩვენგანი თავისებურად აღიქვამს, თავისებურად განიცდის და ითავისებს. მაგრამ როგორა აქვს გააზრებული და განცდილი მოქმედი პირის ცხოვრების ეს გზა მის განმასახიერებელ მსახიობს, ეს მხოლოდ მან იცის და ძალიან იშვიათად შევყავართ საკუთარი სულის იმ საიდუმლო საცავში, სადაც სცენური სახის გააზრებისა და მხატვრული ხორცშესხმის მხოლოდ მისთვის ცნობილი სრული სურათია.

ამის საუკეთესო ნიმუშია ვერიკო ანჯაფარიძის მიერ დაწერილი ევრიპიდეს მედეას როლის პარტიტურა (მარჯანიშვილის თეატრი. დადგმა ა. ჩხარტიშვილის. 1962 წ.). მსახიობის მიერ აღწერილი მისი სცენური ქმნილების ცხოვრება მოიცავს ყველაფერს — ამ მხატვრული სახის თავისებურ შინაარსსაც და ფორმასაც. იმდენად იშვიათია იგი და ისეთი საბუთი ქართული სამსახიობო ხელოვნების დონისა, რომ მკითხველს სრული სახით ვთავაზობთ.

მედეას როლის პარტიტურა

კულისებიდან გმინვა-კვნესა მოისმის. გამოდის მედეა ხელაპყრობილი, ქვითინს ძლივს იმაგრებს, მთელი ხმით შესჩივის ზევსს და წყევლა-კრულვას უთვლის იმათ, ვინც ეს წამება არგუნა წილად. პირქვე დაემხო, დასტირის მიტოვებულ სამშობლოს, მოკლულ მამას და ძმას. ქორო ხმას არ იღებს. მედეა ფიცარნაგიდან ძირს ჩამოდის, სცენის შუაგულისაკენ მიემართება, ჯდება მიწაზე, გარშემო ქორო შემოუსხდა. ჩუმად, მძიმედ, მუსიკის ფონზე იბადება მონოლოგი ქალის [illegible] გამო. საყვირები კრეონის მოსვლას იუწყებიან. მედეა არ ამდგარა, წელში მოხრილი გასწორდა მხოლოდ, თავი მაღლა ასწია, სახე ცივი გაუხდა, მკაცრი.

კრეონმა გამოუცხადა, რომ გადაწყვიტა მისი განდევნა. თითქოს რაღაც ჩასწყდა მედეას, დაიკლაკნა, ორივე ხელით მიწას ჩაებღაუჭა. არწმუნებს კრეონს, ჩემზე რასაც ამბობენ, სულ სიცრუეაო. ჩემი ჭკუა, ცოდნა, ოსტატობა შურით აღავსებს ადამიანებს ჩემდამი და ამის გამო ცილს მწამებენ თითქოს შენ გმტრობდეო. მედეა ებრძვის მხოლოდ ქმარს, რომელმაც მიატოვა ცოლ-შვილი. მედეა ხელს არ შეუშლის მეფეს, მოათხოვოს ქალიშვილი რჩეულ მამაკაცს, იქორწინონ, ოღონდ მედეას დაანებონ თავი, მისცენ უფლება აქ დარჩეს. დგება, მუდარის გამომხატველ ხელებს კრეონისაკენ გაიშვერს, ემუდარება მეფეს, გაიღოს მოწყალება და ლმობიერად მოეპყრას.

კრეონს არ უნდა მისი მოსმენა, ის ბრძანებს ძალით დაატოვებინონ ქალაქი. პაუზა. ძლივს მოთოკა მედეამ მოზღვავებული სიამაყე, მიუახლოვდა კრეონს და აიძულა თავი, რომ მის წინაშე მუხლი მოეყარა. ის წავა, მაგრამ ახლა სხვა რამეს სთხოვს, ერთი დღით აქ დარჩენის უფლება მაინც მისცეს, რომ ბავშვები მოამზადოს შორი გზისათვის. თავი დახარა, მზერა მაყურებელთა დარბაზისკენ მიმართა, საშინელი აზრი აწვალებს, ჯერ არ იცის, რა გამოსავალს გამონახავს. კრეონი თანახმაა, ერთი დღით გადასდოს განდევნა. სიხარულის ოხვრა აღმოხდა მედეას და მთლად გაერთხა მიწაზე. კრეონი წავიდა. მედეა იწყებს სიცილს, ჯერ ჩუმად, თანდათან ეს სიცილი ხარხარში გადადის. კრეონის და მისი მხლებლების ფეხის ხმა აღარ ისმის. მედეა ხარხარებს, გასწორდა, წამოხტა. საფეხურები აირბინა და სიხარულისაგან სუნთქვაშეკრული დასცინის სულელ ხელმწიფეს, რომელმაც დაუჯერა. ხარხარი შეწყდა. უცებ ჩაფიქრდა მედეა, ბოლმა ახრჩობს, შურისძიების შესაძლო გეგმები მის გონებაში ელვის სისწრაფით ცვლიან ერთიმეორეს... რა ქნას, სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწვას თუ დანით დაკლას. თუ სხვა ვერაფერს მიაგნო, დანით დაკლავს ყველას და თავსაც მოიკლავს. ერთი დღე შეუძლია დარჩეს და ეს დრო ეყოფა იმისათვის, რომ ყველას სამაგიერო მიუზღას (ეპიზოდის შინაგანი დაძაბულობა სულ უფრო და უფრო იზრდება). მედეამ ჰეკატეს საშინელი ფიცით შეჰფიცა, რომ მტერს არ გააცინებს, რომ ქორწილი არ შედგება, რომ არავის არ აპატიებს განდევნასა და შეურაცხყოფას. მაშ წინ, მედეა, ნუ დაიშურებ ძალასა და ხელოვნებას. დადგა დრო საშინელი შურისძიებისა. დაე, აღსრულდეს იგი! მყისვე, სულმოუთქმელად თავში იტაცა ხელი მედეამ, ამ ხელებში ჩამალა სახე, კვნესა მოისმა. გაბმით და სულ ჩუმად მოთქვამს, რად გაუთენდა ასეთი დღე, სამარცხვინო... უცებ გასწორდა, მძიმედ გადმოაბიჯა კიბის საფეხურს, ორივე ხელი ისე მაგრად შეეკუმშა, რომ ფრჩხილები ხორცში შეესო. მთელი ძალით, ხმამაღლა, თითქოს მთელ ქვეყანას უნდა აუწყოს, რომ მედეა არ დაუშვებს იაზონის მეორე ქორწილს, არც ელინთ მისცემს იმის უფლებას, რომ დასცინონ დიდი კოლხეთის მკვიდრს. მედეა ახლა სცენის ნაპირზეა, მისი ყვირილის საპასუხოდ ქორომ ხელები მისკენ გაიწვდინა და სწორედ ამ დროს საყვირის ხმამ იაზონის მოსვლა აუწყა ყველას. ისმის იაზონისა და მისი მხლებელი მეგობრების მხიარული სიცილი. ეს სიცილი ბასრი მახვილივით მოხვდა მედეას გულს, წაბარბაცდა, უკან, სილრმისაკენ დაიხია და პირისახე შავი თავსაბურავით დაიფარა. ასე ისმენს იგი იაზონის ქარაფშუტულ განმარტებებს. მძიმედ შემობრუნდა მისკენ, საშინელმა სევდამ მოიცვა მთელი მისი არსება. ამიტომ მისი მამხილებელი სიტყვაც ჩუმია, ყრუ ხმით წარმოთქმული. თანდათან ხმაში სიმკაცრის ელფერი ჩნდება, იზრდება ძალა და იმ ტკივილმა, რომელსაც აქამდე ფარავდა, უცებ იფეთქა და ამოხეთქა. იწყება თხრობა იმისა, რაც ჩაიდინა მან იაზონის სიყვარულით. უარყო სამშობლო, მამა, ძმა და კიდევ ბევრი სხვა ბოროტება მოიმოქმედა. აი, ამ ხელებით მან ოქროს ვერძი მოიტაცა, მედეამ ხელები წინ გაიწვდინა, თითქოს ახლაც ხედავს მათზე სისხლის ლაქებს. დაამთავრა, მოეგმანა, გამოიფიტა... შემდეგ მიდის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ უკან დასახევი გზა არა აქვს, არა აქვს სამშობლო, არც მეგობრები ჰყავს. წარმოთქვამს ამას ხმადაბლა, მშვიდად, იაზონისაგან პირშექცევით. დიალოგიც ასევე ჩუმად მიმდინარეობს... ისმის სიმღერა, რომელიც იაზონს უხმობს. იაზონიც მიჰყვება მას. მედეას ესმის ეს სიმღერა. შემობრუნდა იაზონისკენ, ხედავს მის სახეზე ღიმილს. ის მიდის. დაიძაბა მედეა. თვალს არ აშორებს იაზონს, გადაჭრა სცენა. იაზონი გრძნობს მის დაჟინებულ მზერას და ერთი წუთით არ შეჩერდება. მედეამ ვედრებით ხელები მისკენ გაიწვდინა, უნდა რომ შეაჩეროს, მაგრამ სიმღერა ისე უხმობს იაზონს, რომ მიდის. ყველაფერი გათავდა! ისმის მედეას გმინვა, სულის საშინელი გმინვა, მგლის ღმუილივით ხანგრძლივი. რამდენიმე სიტყვა უთხრა მიმავალ იაზონს და ხმამაღალი ქვითინით მიწას დაემხო. ქვითინებს დიდხანს თავშეუკავებლად. შემდეგ ეს ქვითინი თანდათან იკლებს, წყდება. მედეამ წამოიწია, სახე ცრემლისაგან სულ სველი აქვს. გულამომჯდარი ხმამაღლა ჰფიცავს, რომ ჩაშლის ქორწილს. ზის, მისი მზერა სადღაც შორსაა. სრული განწირულობა.

შემოდის ეგეოსი. მედეა არ ამდგარა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ეგეოსი შეიფარებს მას, განდევნილს შვილებითურთ, წამოხტა, ძალა დაუბრუნდა, ემუდარება ეგეოსს შეიფაროს იგი, სამაგიეროდ ეყოლება ნანატრი მემკვიდრე. ეგეოსი მიდის, მედეა აცილებს... გადაჭრა სცენა, ნაპირს მიუახლოვდა, სახეზე გამარჯვების ღიმილი უკრთის, შინაგანად უკიდურესად დაძაბულია, მზერაში გადარჩენის სიხარული ჩანს. აქ დაებადა მას მეტოქის განადგურების მზაკვრული გეგმა. ტემპი იზრდება, დაყოვნება არ შეიძლება! ამისთვის კი საჭიროა დაარწმუნოს იაზონი, რომ ბედს შეურიგდა, წავა აქედან, მაგრამ უნდა, რომ ბავშვები იყვნენ ბედნიერნი მამასთან ერთად. რატომ უნდა მოაკლოს მამის ალერსი ან სასახლის ფუფუნება. რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა დაარწმუნოს იაზონი. ეს არის ბავშვების სასახლეში შეგზავნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი შესაძლებლობა. ისევ საშინლად შფოთავს, იმიტომ კი არა, რომ ბავშვებს ტოვებს – არ დატოვებს, არ გაახარებს მტერს, გამარჯვების ზეიმს არ განაცდევინებს არც ახლა, არც არასოდეს. ჯობს სიკვდილი. რად ღირს სიცოცხლე, თუ აღარა გაქვს არც სამშობლო, არც გადარჩენის საშუალება. ისევ შეიცვალა, გადატყდა რიტმი – უპირველესად, მოღალატეს სამაგიეროს გადაუხდის! კორიფე ემუდარება მედეას, არ ჩაიდინოს ბოროტება. მედეა ვერ ხედავს სხვა გამოსავალს – დაე, აღსრულდეს! ის მოიხმობს იაზონს. მიწაზე მჯდომი მედეა გაირინდა, მოლოდინად იქცა. მიდის ქოროს დიდი ეპიზოდი მუსიკის თანხლებით. მედეას მზერა მაყურებელთა დარბაზისკენაა მიმართული, მისი შინაგანი ხედვის წინაშე წარსულის ბედნიერი სურათები იშლება, აწმყო კი ასე ტრაგიკულია. აგერ, იაზონიც. შეკრთა მედეა, თავსაფარი მოიხვია, რომ იაზონმა არ დაინახოს მისი სახე, ასე უფრო ადვილად მოატყუებს. იაზონთან დიალოგი რბილად მიმდინარეობს, მორჩილად, ხმა და ინტონაცია შემპარავია, ხოლო სახე დაფარულია იაზონისაგან, მაყურებლისთვის კი ღია, საშინელ ტანჯვას გამოსახავს. ამაყ მედეას უჭირს იცრუოს იაზონთან, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. იაზონმა დაიჯერა, კმაყოფილია, რომ მედეა ბედს დაემორჩილა და ბავშვებსაც მას უტოვებს. მედეა ისევ ისე ზის მიწაზე და ბავშვებს უხმობს. მოვიდნენ, უბრძანა მამასთან მისვლა. მივიდნენ. თავი დახარა მედეამ – არ შეუძლია ბავშვების და იაზონის ერთად დანახვა. პაუზა. „ხელი მიეცით მამას!" – წუთიც და მედეამ იგრძნო, როგორ შეუერთდნენ ბავშვების ხელები მოღალატე მამის ხელებს. გველნაკბენივით წამოიჭრა. გულის სილრმიდან კვნესა აღმოხდა, არ შეუხედავს მათთვის, ისე გავარდა სცენიდან. რამდენიმე წუთი საკმარისია იმისთვის, რომ საშინელი საწამლავით გაჟღინთოს სასახლეში გასაგზავნი საჩუქრები. მედეა ისევ სცენაზე შემოვარდა, ხედავს როგორ ეალერსება იაზონი ბავშვებს. კვლავ ხანგრძლივი კვნესა... იაზონი გაკვირვებულია, მას არ ესმის რა ემართება მედეას. მძიმე ნაბიჯით გამოდგა მედეა, მზერას არ აშორებს იაზონს, სთხოვს, მოახერხე ბავშვების აქ დატოვებაო. იაზონი თანახმაა სთხოვოს ეს კრეონს. მედეას ერთი წუთითაც არ მოუშორებია მისთვის მზერა, თითქოს ჯადოს უკეთებსო. უფრო რბილად, უფრო ალერსიანად შესთავაზა კრეონის დაყოლიება ქალიშვილის საშუალებით. ის ხომ ქალია, შეძლებს მამის გულის შემობრუნებას. სამაგიეროდ, მედეა მას გაუგზავნის ძვირფას საჩუქარს – ოქროს ფარჩას და ოქროს გვირგვინს, მემკვიდრეობით რომ მიიღო წინაპრებისაგან. სახეზე ღიმილი უკრთის, მზერას არ აშორებს იაზონის სახეს. შემდეგ საჩუქრების მოტანა ბრძანა. ყუთის სახურავი ახდილია, იაზონს მიშტერებული მედეა ცალი ხელით ყუთში ჩაწყობილ საჩუქრებს სინჯავს. შემდეგ, უგზავნის იაზონის ახალ მეუღლეს. იაზონი და ბავშვები მიდიან. მედეამ სწრაფად გადასცა ბავშვებს ყუთი და მღელვარებისაგან სულშეგუბებული სხაპასხუპით არიგებს, ბავშვებს, თუ როგორ უნდა ჩააბარონ ეს განძეული მის ახალ პატრონს საკუთარ ხელში. შემდეგ კი დაუყოვნებლივ აქ დაბრუნდნენ, ისევ დედასთან. ბავშვები მიდიან, მედეა აცილებს მათ, თან მიაძახა მალე დაბრუნდითო და იქვე გაქვავდა, თვალს ვერ აცილებს იმ გზას, რომელსაც გაჰყვნენ მისი შვილები. მისი მზერა ისეა დაძაბული, თითქოს სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. წელში გასწორდა და მოლოდინად იქცა. ხანგრძლივი პაუზა. მოქმედებაში ერთვება ქორო, მედეა კი ელის გაუნძრევლად, თითქოს ოდნავი შერხევისაც კი ეშინია. ბოლოს მოისმა ბავშვებთან ერთად წასული გამზრდელის ხმა – ეს ხმა აუწყებს, რომ ყველაფერი კარგადაა, საჩუქრები მიღებულია და ბავშვებსაც ტოვებენ აქ. მედეას ფეხქვეშ თითქოს მიწა გამოეცალა. ამ სიტყვებმა სიხარული კი არ მოუტანა, არამედ შვილებთან განშორება. გამზრდელი ცდილობს დაამშვიდოს, მაგრამ მედეას არაფერი ესმის. ორივე შვილს ხელი მაგრად მოხვია, გულში ჩაიკრა, თვალები ცრემლებით აევსო. პაუზა. მედეა ხელს უშვებს ბავშვებს და ძალიან მშვიდად, ღიმილით, რომ ბავშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს არ შეენიშნათ, სთხოვს შინ შესვლას. მიმავალ შვილებს მზერით აცილებს, მაგრამ როდესაც თვალს მიეფარნენ, ყრუ გმინვით მიწაზე ეცემა. იწყება გამოთხოვების სცენა, ფონი – ქართული ნანა. ამ მონაკვეთში მედეას ქართველობა განსაკუთრებით საგრძნობია. ზოგიერთ სტროფებს მოთქვამს, როგორც ახლაც მიღებულია მეგრულ სატირალში. დაძაბულობა იზრდება და მთავრდება აფეთქებით! არა, არ შეუძლია განშორდეს შვილებს, თან წაიყვანს!

გამოდის ქორო, მედეა კედელთან დგას, თავი უკან აქვს გადაგდებული, სახეს გამჭვირვალე თავსაბურავი უფარავს – არ უნდა ვინმეს დაანახოს უბედურებით შეშლილი სახე. ის ელის მაცნეს სასახლიდან. მუსიკა, მის ჰანგში ისმის ჯერ შორეული განგაშის ხმები. მედეა სახიდან იშორებს თავსაბურავს. მუსიკაში მატულობს განგაშის ხმა... მედეამ გადაჭრა სცენა და მიდის იქით, საიდანაც მაცნეს მოელის: მუსიკამ კრეშჩენდოს მიაღწია. უკანასკნელი ძლიერი აკორდი და სცენაზე ყველაფერი ამოძრავდა. მედეა მოწყდა ადგილს, სიღრმისაკენ გაიქცა, შეერია ქოროს, მათ ზურგს უკან მიიმალა. მან ჯერ არ იცის რა ამბავს მოუტანენ სასახლიდან. პანიკაა. შემოიჭრა მაცნე, ეძებს მედეას. უხმობს მას, ვინც სასახლეს სიკვდილი მოუტანა. გაიგონა თუ არა ეს, მედეა მოშორდა ქოროს, მთელი მისი არსება გამარჯვების სიხარულითაა სავსე და მაცნეს კეთილ მეგობრად აცხადებს. მიუახლოვდა მას. შეძრწუნებულმა მაცნემ უკან დაიხია. მედეა კი სთხოვს უამბოს დაწვრილებით, როგორ მოხდა ყველაფერი, მას სიამოვნებას გვრის ამის მოსმენა. აი, ის უკვე კიბეზეა, მაცნე კი ისევ უკან იხევს, მას ეშინია მედეას სახის. შურისძიებით გასხივოსნებული სახისა. თითქოს ყველას სუნთქვა შეეკრა, ყველამ მზერა მაცნეს მიაპყრო. ის იწყებს თხრობას იმის შესახებ, თუ რა საშინლად დაიღუპა კრეონი მის შვილთან ერთად. მედეა ხარბად იჭერს ყოველ სიტყვას, სახეზე გამარჯვების ღიმილი უკრთის, თვალები ბოროტად უელავს – მან იძია შური! აღსრულდა! მაცნემ თხრობა დაამთავრა. თითქოს გაქვავდა, გარინდებული დგას მედეა. უცებ, მაცნეს ეს რაღაც გაახსენდა და შეჰყვირა – ბავშვებს მიხედე, მტერი სამაგიეროს მათ გადაუხდის, მოწამლული საჩუქრები ხომ მათ მოიტანეს სასახლეშიო. მხეცის ყვირილი აღმოხდა მედეას. იქვე დაემხო საფეხურზე. პაუზა. უძრავი, მოტეხილი სხეული... მდუმარების ამ წუთებში დაებადა მედეას აზრი – გადაარჩინოს მტრისაგან შვილები. წამოხტა, ჩახრინწული ხმით ძლივს, წყვეტილად წარმოთქვა: „ყველაფერი გათავდა, გამოსავალი აღარ არის“... და დაიფიცა შურისძიების ღმერთი, რომ შვილებს მტერს ხელში არ ჩაუგდებს, მაინც მოკლავენ... აწყვეტილი ნადირივით დაძრწის სცენაზე. ისმის ქოროს რეპლიკები. მას დაეუფლა საშინელი წინათგრძნობა. მედეა იჭერს ქოროს რეპლიკებს, ჰკვეთს მათ. ჯობს ჩემი ხელით დაიღუპონ! ქორო ებრძვის, ახსენებს დედის გულს. მედეას ვნება მხოლოდ იზრდება და უფსკრულისაკენ მიაქანებს მას. ჩაიკეცა, სადაცაა დაეცემა, საშინელმა აზრმა ისარივით გაჰკვეთა, გულს მტერი მომიკლავს, მერე დამცინებს! მე მივცემ ამის უფლებას? ეს კითხვები საშინელი ხმით და საოცარი სისწრაფით სულმოუთქმელად მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს.

ისევ მოწყდა ადგილს, სულის მოთქმა ვერ მოასწრო, ბავშვებს ეძახის. მუხლებზე დგას, ხელები მათკენ გაუწვდია. ორივე ავანსცენისაკენ მიჰყავს, ქოროს მიხედა – შვილებს მოწმეთა გარეშე უნდა რომ გამოემშვიდობოს. მუხლი მოიყარა, ეალერსება, კოცნის თავით ფეხამდე, ტირის, ვერ იშორებს, ცრემლით იხრჩობა და ჩურჩულებს – სხვა სამყაროში პირდება სიმშვიდესა და ბედნიერებას. ისევ ეხვევა, კოცნის, ყვირის, – მეტი აღარ შემიძლიაო, – მერე საშინელი ძალით უბრძანა ბავშვებს რომ წავიდნენ, დატოვონ. არ შემიძლია მათ ვუქცირო. ბავშვებმა უკან დაიხიეს. უნდათ მათი წაყვანა, მაგრამ მედეა კლდესავით მტკიცეა, ცრემლი გაუშრა, ცივად, მშვიდად, ხელით ანიშნა შეშინებულ ბავშვებს სახლის კარზე. შევიდნენ. მედეა სწრაფად გაედევნა, მერე უცებ თითქოს გაქვავდაო, შემობრუნდა, ქოროს სახეზე შიშის ზარი ამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხა, სასოწარკვეთილმა შეჰყვირა – ვისაც არ ყოფნის ძალა მსხვერპლის შეწირვას რომ დაესწროს, გამშორდეს ახლავე! მე დავივიწყებ, რომ დედა ვარ, მერე ვიტირებ. ერთი ნაბიჯით ქოროს მიუახლოვდა, ჩუმად შესჩივლა თავისი უბედურება. კიდევ ერთი წუთი, სწრაფად შემობრუნდა და გარბის შინისაკენ. ქორომ გზა გადაუჭრა, სწვდა ხელებში, სთხოვს, ისმის ყვირილი. მედეა ცდილობს თავი დაიხსნას, ყურზე ხელი აიფარა, რომ არ ესმოდეს ქოროს მუდარა, რომ ამ მუდარამ არ სძლიოს მის ნებისყოფას. ერთი საშინლად შეჰყვირა კიდევ. ქორო დადუმდა და მედეა შევარდა შინ. სიჩუმეა. მოლოდინი. კულისებიდან კიდევ ერთხელ ისმის ყვირილი. ისევ სიჩუმე. ქორო გაქვავდა. სიჩუმე. ყველაზე იაზონია, ის ეძებს ბავშვებს. ქორომ აუწყა, რა ჩაიდინა მედეამ. იაზონის გოდება. ის უხმობს მედეას. გამოჩნდა მედეა. იაზონს სიტყვა პირზე შეაშრა. მედეა მძიმედ მოაბიჯებს, თვალები თითქმის დახუჭული აქვს, ხელები ოდნავ წინ წამოუწევია და შავი მოსასხამით დაუფარავს. არავის არ ხედავს, არაფერი არ ესმის. ასე მოდის სილრმიდან წინ, ავანსცენისაკენ. იაზონი ყვირის. ამ ყვირილზე შეჩერდა მედეა. ხმადაბლა, ყველაფერი ინტონაციის გარეშე, მექანიკურად უპასუხა. მძიმედ შებრუნდა და გაემართა. მოჩანს მინის ვიწრო ზოლი, რომელიც შემდეგ სილრმეში იკარგება. ამ გზას დაადგა მედეა და წავიდა, წავიდა, თვალს მიეფარა".

გამოსათხოვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქართველი კაცი, რომელსაც არ სმენია მურმან ლებანიძის სახელი, ძნელი წარმოსადგენია ისიც, რომ დღეს ამ ადამიანებს მხოლოდ ხსოვნა გაჰყვებათ პოეტის ცოცხალი ხატისა.

მურმან ლებანიძის ამოთქმული ლექსი უბრალოც არის და გულშიჩამწვდომიც, ბრძნულიც და ტანჯვაგამოვლილი ფიქრით ნასაზრდოებიც, ულერადიც და მჭექარეც, სევდიანიც და ომახიანიც.

მურმან ლებანიძე არა მარტო სიტყვის ოსტატი იყო, არამედ მისი მესაიდუმლეც გახლდათ. სწორედ ამ საიდუმლოთია აღბეჭდილი პოეტის ლირიკული ნააზრევი და იმიტომაც იკვლევს ყველაზე ძნელად გასაკვალავ გზას. ეს გზა მკითხველთა გულებისკენ მიემართება.

გაივლის დრო და ახალი თაობა განსხვავებულ შტრიხებს ამოზიდავს პოეტის სულიერი მემკვიდრეობიდან და ეს იქნება იმის დასტური, რომ პოეტის სიტყვა ჟამთასვლისგან არ გახუნებულა.

მურმან ლებანიძეს არ შეეძლო მშვიდი ცხოვრება. ან კი როგორ შეძლებდა, როცა არ დაკლებია არც საქვეყნო და არც პირად-ცხოვრებისეული სატკივარი. მისი მოუშუშებელი ჭრილობები ლექსებად იქცა. ეს ლექსები გამორჩეულია იმ სინრფელითა და პირდაპირობით, რომლის მიღწევაც ძალზე ძნელია.

გივი ძნელაძე

გივი ძნელაძის შემოქმედების მთავარი თემა სიკვდილ-სიცოცხლეს უტრიალებს ირგვლივ. პოეტისთვის სიკვდილი უმთავრეს ცხოვრებისეულ ღირებულებებთან განშორებას ნიშნავდა. სამშობლო, მოყვასი, სულიერება, პოეზია — აი, ის ღირებულებები, გივი ძნელაძისთვის მნიშვნელობას რომ სძენდნენ ამქვეყნიურ არსებობას. გივი ძნელაძე არა მხოლოდ სიტყვით, არამედ თავისი პირადი ცხოვრებით, უშურველობით და სიალალით, ხელგაშლილობით და უსაზღვრო ადამიანური სითბოთი ამკვიდრებდა სამშობლოსადმი ზნეობრივი მსახურების კულტს.

პოეტი მაინც თავისი ლექსით ამახსოვრდება ადამიანებს. ვის არ ახსოვს გივი ძნელაძის შესანიშნავი, სიმღერადქცეული ლექსი „გაიხედე ძმობილო, თენდება თუ ღამდება", აქაც წუთისოფლის ხანმოკლეობაზე და სიცოცხლის სიყვარულზეა ლაპარაკი; აქაც რწმენას დაეფუძნა პოეტის მთრთოლვარე სული, იჭვი და მერყეობა განაგდო რწმენის მეშვეობით და ტკივილი თვითონვე დაიამა. აკი შესანიშნავად თქვა კიდეც: „ვინამე და ტკივილი თანდათან მიამდება".

ჩვენც ლექსებში განფენილი ნათელი რწმენა დაგვიტოვა ამ კეთილშობილმა კაცმა და პოეტმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი, რუსთაველის გამზ. №38
ტელეფონი: მთ. რედაქტორის – 99-51-61
განყოფილებების – 99-91-00
გადაიცა ასაწყობად 19/VIII, 2002 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X, 2002 წ.

ტირაჟი 300

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. №42

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასი ორი ლარი

ინდექსი
76125